მერი ბაჩელორი

# ბიბლიის კარი

წიგნთა წიგნის საუკეთესო მეგზური







ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლიის კარი

მერი ბაჩელორი



გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 99928-13-50-4

ინგლისური გამოცემის სახელწოდება: Opening Up the Bible

ტექსტის საავტორო უფლება © 1993 Mary Batchelor

რუკების, ფოტოების, ილუსტრაციების საავტორო უფლება © 1993 Lion Publishing

ყველა უფლება დაცულია

ქართული თარგმანი © 1999 გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებების საქართველოს წარმომადგენლობა

K 24.670
4

მთარგმნელი:
**რამაზ ფარესაშვილი**
თეოლოგიური სემინარია

სამეცნიერო რედაქტორები:
**მალხაზ სონღულაშვილი**
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ელგუჯა გიუნაშვილი**
გ.ბ.ს. საქართველოს წარმომადგენლობა

ტექნიკური რედაქტორი და გამომცემელი:
**ავთანდილ გურული**
გ.ბ.ს. საქართველოს წარმომადგენლობა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარჩევი


ბიბლია — საოცარი წიგნი 8
ბიბლიის წიგნები 10

**1 დასაწყისი** **12**
დაბადება

ური: აბრაამის ქალაქი

**2 რჯული და თავისუფლება** **19**
გამოსვლა · ლევიანნი · რიცხვნი · მეორე რჯული

ცხოვრება ეგვიპტეში 20
სადღესასწაულო კარავი 26

**3 ნაირგვარი ისტორიები** **32**
იესო ნავეს ძე · მსაჯულნი · რუთი · მეფეთა · ნეშტთა

ქანაანელები 35
ფილისტიმელები 38
დავითის სამეფო 43
სოლომონის ტაძარი 45
მეფეები და წინასწარმეტყველები 46
აშურეთი 50

**4 ადრეული წინასწარმეტყველები** **54**
ელია · ელისე · მიქაიაჰუ · ამოსი · ესაია · მიქა

**5 წინასწარმეტყველები და ერები** **62**
იერემია · ნაუმი · სოფონია · აბაკუმი · იოველი · აბდია · იონა

**6 ტყვეობა და დაბრუნება** **68**
ეზეკიელი · ეზრა და ნეემია · ანგია · ზაქარია · მალაქია · ესთერი · დანიელი

ბაბილონელები 70
კიროსი და სპარსეთის იმპერია 76

**7 პოეზია და საგალობლები** **81**
ფსალმუნები · ქებათა-ქება სოლომონისა · გოდება · იერემიასი

მუსიკა 82

**8 საბრძნო წიგნები** **88**
იგავნი სოლომონისა · იობი · ეკლესიასტე

ძველი აღთქმის წიგნები 95
აღთქმათაშორისი ეპოქა 97
ძველი ბერძნები 100
ახალი აღთქმის მსოფლიო 102
ესეველები და მკვდარი ზღვის ხელნაწერები 104

**9 ახალი აღთქმა** **107**
ოთხი სახარება: მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე

იესოს ცხოვრება 114
იესოს იგავები 117
იესოს სასწაულები 120
ჰეროდეს ტაძარი 125

**10 ეკლესიის განთიადი** **129**
მოციქულთა საქმეები

რომაელები 136
პავლეს ცხოვრება და მოგზაურობა 144

**11 პავლეს წერილები** **146**
რომაელთა წერილიდან ფილიმონის წერილამდე

საწერი მასალა და ხელსაწყოები 158

**12 საყოველთაო წერილები** **159**
ებრაელთა წერილიდან იუდას წერილამდე

**13 იესოს მეფობა** **166**
გამოცხადება

ახალი აღთქმის წიგნები 171

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბიბლია – საოცარი წიგნი

კულტურული მსოფლიოს მწიგნობრობის ისტორია ბიბლიაზე უფრო ცნობილ და განუმეორებელ წიგნს არ იცნობს. ამ წიგნში ვკითხულობთ ადამიანთა ვნებებსა და საქმიანობაზე, რომელნიც ავტორის წარმოსახვით კი არ არიან შექმნილნი, არამედ სრულიად რეალურ, ჩვეულებრივ პიროვნებებს წარმოადგენენ. მათი გრძნობები, წარმატებანი თუ მარცხი და ხელმოცარვა დღესაც აქტუალურია და გასაგები. თუმცა არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბიბლიის პოპულარობის მთავარი მიზეზი ეს იყოს. იგი მკითხველს აოცებს და იზიდავს იმ ღრმააზროვანი კითხვებით, რომელთა პასუხსაც ჩვენ ყველა მოშურნეობით დღესაც ვეძიებთ: რატომ გავჩნდით ამ ქვეყნად? რა არის ჩვენი სიცოცხლის აზრი? და რა მოგველის მას შემდეგ, რაც ჩვენი სული და ხორცი გაიყრებიან? როგორ მოვერიოთ აუტანელი შიშისა და ცოდვით დაცემის გრძნობას? და ბოლოს – არსებობს კი ღმერთი?

ბიბლია არ კამათობს ღმერთის არსებობა-არარსებობაზე. იგი ღმერთის არსებობის აღიარებით იწყება და გადმოგვცემს, როგორ ეპყრობა ღმერთი ადამიანს და რა ურთიერთობას მოითხოვს მისგან.

საკმარისია ერთხელ მაინც ჩავიკითხოთ ბიბლია, რომ დღევანდელობისაგან სრულიად განსხვავებულ სამყაროში აღმოვჩნდებით. თანამედროვე მკითხველისათვის ძველი კულტურის წვდომა რთულია. ლაპარაკია იმ კულტურაზე, რომელსაც ბიბლია წარმოსახავს. და ამ კულტურის წვდომისათვის მილიონობით ადამიან ბიბლიის აუცილებელ საჭიროებას განიცდის. დრომ შეიძლება შეცვალოს ადამიანის გარეგნული სახე, მაგრამ მის შინაგან ბუნებას ვერ ცვლის. სანამ ადამიანი იარსებებს მისთვის უცხო არ იქნება შური, შიშ სიყვარული, სიძულვილი, მწუხარება სიძუნწე და სხვა. ადამიანის სიცოცხლის მთავარი მისტერია არის ქვეყნად მისი გაჩენა და სიკვდილისაკენ პირდაპირი გზით სვლა. ყველას განუცდია ის სულიერი შიმშილი, რომელიც ბევრად აღემატება, როგორც ჭამა-სმას და ყოფით კომფორტს, ასევე ხორციელ გულისთქმათა დაკმაყოფილებას; და ამ შიმშილის მოკვლის პირდაპირი გზა ბიბლიისაკენ მიდის.

ბიბლიის კითხვისას კიდევ ერთი სირთულე გაჩნდება ხოლმე: ეს არის წიგნი, რომელიც ჩვენთვის უცნობ ენაზე შეიქმნა: ძველი აღთქმა ძველებრაულზე და ახალი აღთქმა – ძველბერძნულზე. ჩვენს წინაშეა ორიგინალი, რომელიც წარმოადგენს ფაქტიურად მთარგმნელის ცოდნის, ოსტატობისა და გამოცდილების ნაყოფს; ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგი, ჩვენ ვეცნობით მხოლოდ დედანთან მიახლოებულ ტექსტს.

ბიბლიას ჩვენ ერთ წიგნად მივიჩნევთ, თუმცა კი იგი 66 სხვადასხვა თხზულებისაგან შედგება, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მოცულობით, შინაარსითა და თხრობის ფორმით. მაგალითად, ზოგი მათგანი ისტორიულ-პროზაული ხასიათისაა, ზოგი – პოეტური. მათი ავტორები იყვნენ ებრაელთა ცნობილი მეფეები, სახელმწიფო მოხელეები, სასულიერო პირები და ზოგჯერ უბრალო მწყემსები და მებადურები; თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგი მათგანის ვინაობის დადგენა დღეს სრულიად შეუძლებელია.

ბიბლია მრავალი საუკუნის განმავლობაში იქმნებოდა. დღეს ბიბლია მთლიანი წიგნია, რომლის ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან პირობითად არის დაკავშირებული. თითოეული ავტორი მისთვის დამახასიათებელი ხერხებით გადმოსცემს ღვთის სიტყვას, რომელიც გვამცნობს, თუ რატომ შექმნა ღმერთმა ადამიანი მამაკაცად და დედაკაცად და გვაუწყებს ღმერთის სურვილს – ცოცხალი ურთიერთობა ჰქონდეს თავის სახედ და ხატად შექმნილ ადამიანთან.

ბიბლიის 66 წიგნი ორ მთავარ ნაწილად იყოფა: ძველი აღთქმა (39 წიგნი) და ახალი აღთქმა (27 წიგნი). არსებობს კიდევ 12 ეგრეთწოდებული არაკანონიკური წიგნი, რომლებიც ზოგიერთ გამოცემებში გვხვდება. ამ წიგნებს, უდავოა, თავისი ისტორიული ღირებულება აქვს.

ღმერთმა, რომელიც ადამიანებმა შეიცნეს ან ვერ შეიცნეს, თავად გადაწყვიტა საკუთარ ქმნილებასთან – ადამიანთან – ურთიერთობის აღდგენა.

ადამიანმა ბიბლიის კითხვა ღმერთის ძიების სურვილით უნდა დაიწყოს. და თუ ეს ასე მოხდება, სულ მალე ის აღმოაჩენს, რომ ღმერთი უკვე თავად გამოეხმაურა კაცობრიობას და თავისკენ მიმავალ გზაზე მიუთითა.

ბიბლიას უფრო მეტის თქმა შეუძლია თავის თავზე, მაგრამ ამ წიგნის უპირველესი მნიშვნელობა ის გახლავთ, რომ მისი ავტორები ღვთივსულიერებით იყვნენ შთაგონებულნი. ის, რასაც ბიბლია გვეუბნება ადამიანის ფიქრებზე, აზრებსა და აღმოჩენებზე ბევრად ზეაღმატებულია. ბიბლია არის ღვთის სიტყვა, რომელიც ეძლევნება სამყაროს, რომლის მემკვიდრენიც ჩვენა ვართ.

მერი ბაჩელორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ბიბლიის წიგნები

ბიბლიის ტექსტი თავებად და მუხლებად იყოფა. ასეთი სახით დაყოფა მოგვიანებით მოხდა, რათა წიგნის განსაკუთრებული, საინტერესო ადგილის მოძებნა გაადვილებულიყო. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ბიბლიის დაყოფის წესზეა აგებული. თითოეული სათაურის გვერდით მოყვანილია ჩვენი წიგნის იმ თავების ნუმერაცია, რომლებშიც აღწერილია ბიბლიის იქ მითითებული წიგნი.

## ძველი აღთქმის წიგნები

**რჯულის წიგნები – მოსეს ხუთწიგნეული**
დაბადება – *თავი 1*
გამოსვლა – *თავი 2*
ლევიანნი – *თავი 2*
რიცხვნი – *თავი 2*
მეორე რჯული – *თავი 2*

**ისტორიული წიგნები**
იესო ნავეს ძე – თავი 3
მსაჯულნი – *თავი 3*
რუთი – *თავი 3*
1 და 2 მეფეთა – *თავი 3*
3 და 4 მეფეთა – *თავი 3*
1 და 2 ნეშტთა – *თავი 3*
ესთერი – *თავი 3*
ეზრა – *თავი 3*
ნეემია – *თავი 3*

**პოეტური და ბრძნული წიგნები:**
იობი – *თავი 8*
ფსალმუნნი – *თავი 7*
იგავნი სოლომონისა – *თავი 8*
ეკლესიასტე – *თავი 8*
ქებათა-ქება სოლომონისა – *თავი 7*

**დიდ წინასწარმეტყველთა წიგნები:**
ესაია წინასწარმეტყველი – *თავი 4*
იერემია წინასწარმეტყველი – *თავი 5*
გოდება იერემიასი – *თავი 7*
ეზეკიელ წინასწარმეტყველი – *თავი 6*
დანიელ წინასწარმეტყველი – *თავი 6*

**მცირე წინასწარმეტყველთა წიგნები:**
ოსია წინასწარმეტყველი – *თავი 4*
იოველ წინასწარმეტყველი – *თავი 5*
ამოს წინასწარმეტყველი – *თავი 4*
აბდია წინასწარმეტყველი – *თავი 5*
იონა წინასწარმეტყველი – *თავი 5*
მიქა წინასწარმეტყველი – *თავი 4*
ნაუმ წინასწარმეტყველი – *თავი 5*
აბაკუმ წინასწარმეტყველი – *თავი 5*
სოფონია წინასწარმეტყველი – *თავი 5*
ანგია წინასწარმეტყველი – *თავი 6*
ზაქარია წინასწარმეტყველი – *თავი 6*
მალაქია წინასწარმეტყველი – *თავი 6*

## ახალი აღთქმის წიგნები

ოთხთავი: იესო ქრისტეს ცხოვრების აღწერა
მათეს სახარება – *თავი 9*
მარკოზის სახარება – *თავი 9*
ლუკას სახარება – *თავი 9*
იოანეს სახარება – *თავი 9*

**ქრისტიანული ეკლესიის სათავეები**
მოციქულთა საქმეები – *თავი 10*

**პავლეს წერილები**
რომაელთა მიმართ – *თავი 11*
1 წერილი კორინთელთა მიმართ – *თავი 11*
2 წერილი კორინთელთა მიმართ – *თავი 11*
გალატელთა მიმართ – *თავი 11*
ეფესელთა მიმართ – *თავი 11*
ფილიპელთა მიმართ – *თავი 11*
კოლასელთა მიმართ – *თავი 11*
1 წერილი თესალონიკელთა მიმართ – *თავი 11*
2 წერილი თესალონიკელთა მიმართ – *თავი 11*
1 წერილი ტიმოთეს მიმართ – *თავი 11*
2 წერილი ტიმოთეს მიმართ – *თავი 11*
ტიტეს მიმართ – *თავი 11*
ფილიმონის მიმართ – *თავი 11*

**მთავარი წერილები**
ებრაელთა მიმართ – *თავი 12*
იაკობის წერილი – *თავი 12*
პეტრეს 1 წერილი – *თავი 12*
პეტრეს 2 წერილი – *თავი 12*
იოანეს 1 წერილი – *თავი 12*
იოანეს 2 წერილი – *თავი 12*
იოანეს 3 წერილი – *თავი 12*
იუდას წერილი – *თავი 12*

**იოანეს ხილვები**
გამოცხადება – *თავი 13*

ეროვნული ბიბლიოთეკა

1

# დასაწყისი

## დაბადება

დაბადება

**მთავარი ამბები და მოვლენები**

სამყაროს შექმნა და ცოდვით დაცემა, თავი 1–3

კაენი კლავს საკუთარ ძმას აბელს 4

ნოე და წარღვნა 6–9

ბაბილონის გოდოლი 11

აბრაამის ამბავი 12–25

სოდომისა და გომორას განადგურება 19

იაკობის ამბავი 27–35

იოსების ამბავი 37–50

“თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა.” (დაბ. 1:1)

დიდებული და შთამბეჭდავი განცხადებით იწყება ბიბლია. ამ სიტყვებით იშლება ჩვენს თვალწინ სამყაროს შექმნის საკვირველი ამბავი. ამ რამდენიმე სიტყვით მწერალმა დიდი ჭეშმარიტება გვაუწყა: არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელიც დასაბამიდან არსებობს და მთელი ქმნილება მისი ნებით არის შექმნილი. ამ სიტყვებს ეყრდნობა ყოველივე და ბიბლიის ისტორიაც აქედან იღებს სათავეს.

### სამყაროს შექმნა

შემდეგ აღწერილია სამყაროს შექმნა:

“თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი. ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა – პირველი დღე.” (დაბ. 1:3-5)

შექმნის თანმიმდევრობით აღწერილი ყოველი აქტი იწყება სიტყვებით: “და თქვა ღმერთმა: იყოს...” და მთავრდება სიტყვებით: “იყო საღამო, იყო დილა.”

სამყაროს შექმნა პოეტურ ენაზეა აღწერილი და ამბები ზედმიწევნითი თანმიმდევრობით არის გადმოცემული. პოეზია მშვენიერებაა, მაგრამ ამასთან ერთად, იგი ჭეშმარიტების გადმოცემის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენს. ის, რასაც ბიბლია გადმოგვცემს, მოსაწყენი და მშრალი ფაქტები კი არ არის, არამედ მრავალმხრივ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი ჭეშმარიტება. ბიბლიაში აღწერილი ამბები უნდა გავიგოთ უბრალოდ, პირდაპირ, თუმცა ზოგიერთი ხაზგასმული მოვლენა საგანგებო ჩაღრმავებასა და გააზრებას მოითხოვს. ასე რომ, დაბადების წიგნის მიზანი არ იყო ზედმიწევნით იმის აღწერა, თუ როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო შვიდ სრულ დღეში, არამედ მკითხველისთვის შემოქმედებითი აქტის შესახებ სრული სიმართლის გადაცემა: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მცენარეები, ცხოველები, ადამიანები ყოვლადძლიერი ღმერთის განგებულებით შეიქმნა.

### კაცი და ქალი

მოუწესრიგებელი ზღვები, მოვლენების განვითარებით მოთვინიერდნენ, დედამიწა შეიმოსა ხეებითა და სხვა მცენარეებით, ცოცხალმა არსებებმა ხმელეთი, ზღვა და ჰაერი აავსეს. ღმერთის გადაწყვეტილება სხვაგვარად არის გადმოცემული, როცა რიგი ადამიანის შექმნაზე მიდგა:

“თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვემძრომს, რაც კი მიწაზე დახოხავს.” (დაბ. 1:26)

კაცი და ქალი, ცხოველთა სამყაროსგან განსხვავებით, ღმერთის მსგავსებად შეიქმნა. მათ ჰქონდათ სიყვარულის, მახსოვრობის, არჩევნის გაკეთების და ღმერთთან ურთიერთობის



ეროვნული
ბიბლიოთეკა 

# ძველი აღთქმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

1

# დასაწყისი

## დაბადება

დაბადება

**მთავარი ამბები და მოვლენები**

სამყაროს შექმნა და ცოდვით დაცემა, თავი 1–3

კაენი კლავს საკუთარ ძმას აბელს 4

ნოე და წარღვნა 6–9

ბაბილონის გოდოლი 11

აბრაამის ამბავი 12–25

სოდომისა და გომორას განადგურება 19

იაკობის ამბავი 27–35

იოსების ამბავი 37–50

"Თავდაპირველად ღმერთმა შექმნა ცა და მიწა."
(დაბ. 1:1)

დიდებული და შთამბეჭდავი განცხადებით იწყება ბიბლია. ამ სიტყვებით იშლება ჩვენს თვალწინ სამყაროს შექმნის საკვირველი ამბავი. ამ რამდენიმე სიტყვით მწერალმა დიდი ჭეშმარიტება გვაუწყა: არსებობს მხოლოდ ერთი ღმერთი, რომელიც დასაბამიდან არსებობს და მთელი ქმნილება მისი ნებით არის შექმნილი. ამ სიტყვებს ეყრდნობა ყოველივე და ბიბლიის ისტორიაც აქედან იღებს სათავეს.

### სამყაროს შექმნა

შემდეგ აღწერილია სამყაროს შექმნა:

"თქვა ღმერთმა: იყოს ნათელი! და იქმნა ნათელი. დაინახა ღმერთმა, რომ ნათელი კარგი იყო, და გაჰყარა ღმერთმა ნათელი და ბნელი. ნათელს ღმერთმა უწოდა დღე და ბნელს უწოდა ღამე. იყო საღამო, იყო დილა – პირველი დღე." (დაბ. 1:3-5)

შექმნის თანმიმდევრობით აღწერილი ყოველი აქტი იწყება სიტყვებით: "და თქვა ღმერთმა: იყოს..." და მთავრდება სიტყვებით: "იყო საღამო, იყო დილა."

სამყაროს შექმნა პოეტურ ენაზეა აღწერილი და ამბები ზედმიწევნითი თანმიმდევრობით არის გადმოცემული. პოეზია მშვენიერებაა, მაგრამ ამასთან ერთად, იგი ჭეშმარიტების გადმოცემის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებასაც წარმოადგენს. ის, რასაც ბიბლია გადმოგვცემს, მოსაწყენი და მშრალი ფაქტები კი არ არის, არამედ მრავალმხრივ საყურადღებო და ანგარიშგასაწევი ჭეშმარიტება. ბიბლიაში აღწერილი ამბები უნდა გავიგოთ უბრალოდ, პირდაპირ, თუმცა ზოგიერთი ხაზგასმული მოვლენა საგანგებო ჩაღრმავებასა და გააზრებას მოითხოვს. ასე რომ, დაბადების წიგნის მიზანი არ იყო ზედმიწევნით იმის აღწერა, თუ როგორ შექმნა ღმერთმა სამყარო შვიდ სრულ დღეში, არამედ მკითხველისთვის შემოქმედებითი აქტის შესახებ სრული სიმართლის გადაცემა: მზე, მთვარე, ვარსკვლავები, მცენარეები, ცხოველები, ადამიანები ყოვლადძლიერი ღმერთის განგებულებით შეიქმნა.

### კაცი და ქალი

მოუწესრიგებელი ზღვები, მოვლენების განვითარებით მოთვინიერდნენ, დედამიწა შეიმოსა ხეებითა და სხვა მცენარეებით, ცოცხალმა არსებებმა ხმელეთი, ზღვა და ჰაერი აავსეს. ღმერთის გადაწყვეტილება სხვაგვარად არის გადმოცემული, როცა რიგი ადამიანის შექმნაზე მიდგა:

"თქვა ღმერთმა: გავაჩინოთ კაცი ჩვენს ხატად, ჩვენს მსგავსებად. ეპატრონოს ზღვაში თევზს, ცაში ფრინველს, პირუტყვს, მთელს დედამიწას და ყველა ქვეწარმავალს, რაც კი მიწაზე დახოხავს." (დაბ. 1:26)

კაცი და ქალი, ცხოველთა სამყაროსგან განსხვავებით, ღმერთის მსგავსებად შეიქმნა. მათ ჰქონდათ სიყვარულის, მახსოვრობის, არჩევნის გაკეთების და ღმერთთან ურთიერთობის



ეროვნული ბიბლიოთეკა



შესაძლებლობა. ამის გარდა, ისინი პასუხისმგებლები იყვნენ დანარჩენ ქმნილებებზე, მათი მმართველები. ავტორი ადამიანებს ბრმა შემთხვევის წყალობად არ მიიჩნევს. ისინი წარმოგვიდგებიან მოსიყვარულე ღმერთის ქმნილებად, ღმერთისა, რომელმაც დედამიწის სამართავად, საპატრონოდ და თავისთან სამეგობროდ განაწესა ისინი. ეს წმიდა წერილის უნაკლო ადგილია. ავტორი თხრობას შემდეგი სიტყვებით აჯამებს:

“დაინახა ღმერთმა ყოველივე, რაც გააჩინა, და აჰა, ძალიან კარგი იყო.” (დაბ. 1:31)

ამ ამბის მეორე მნიშვნელოვანი მხარე არის ქალის, როგორც კაცის თანასწორი პარტნიორის შექმნა. ღმერთმა ორი ერთად აქცია. ავტორი ღვთის გადაწყვეტილებას ასე აჯამებს:

“ამიტომაც მიატოვებს კაცი დედ-მამას და მიეწებება თავის დედაკაცს, რათა ერთხორცად იქცნენ.” (დაბ.2:24)

ავტორმა პოეტური ენითა და ფართო თვალთახედვით აღწერა ღმერთის დიდებული ქმნილება. პასუხი გასცა რამდენიმე ღრმააზროვან კითხვას, თუ როგორ შეიქმნა სიცოცხლე და თუ რა მიზანი ჰქონდა მის შექმნას. მან წარსულში, სრულყოფილ დედამიწაზე გადაგვიყვანა.

მაგრამ ყველამ კარგად ვიცით, რომ სიცოცხლე არ არის სრულყოფილი. ბუნებაში არეულობა და ქაოსი სუფევს, ხოლო კაცობრიობაში: სიძულვილი, რისხვა, ჩაგვრა და მკვლელობა. შემდგომ, მწერალი მოგვითხრობს, ისევ პოეტური ენით, თუ როგორ შემოიჭრნენ სრულყოფილ დედამიწაზე ეს უცხო ელემენტები.

## ტრაგედია

პირველი ქალი და მამაკაცი, ადამი და ევა, ედემის საარაკო, მშვენიერ ბაღში ცხოვრობდნენ, მცენარეებსა და ცხოველებს უვლიდნენ და ღმერთთან ბედნიერი ურთიერთობა ჰქონდათ. ისინი სრული თავისუფლებით სარგებლობდნენ, ერთადერთი პირობით:

“მხოლოდ კეთილის და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი არ შეჭამო, რადგან როგორც კი შეჭამ მოკვდები.” (დაბ. 2:17)

ეს ღმერთის სიტყვები იყო. ხის სახელწოდება გარკვეულწილად მისი დანიშნულების ამოსაცნობი გასაღებია. კაცსა და ქალს შეიძლება შეეცნოთ, თუ რა იყო მათთვის კარგი და რა ცუდი. ეს კი მათ უმანკოებას მოსპობდა. ამ ნაყოფის შეჭმის შედეგი სიკვდილი იყო.

ავტორი აღწერს, თუ როგორ შთააგონა ევას ცბიერმა და მოხერხებულმა გველმა საშიში ნაყოფის ჭამა. ბიბლიის სხვა ადგილას ნათქვამია, რომ გველი ეწოდა სატანას, ღმერთისა და კაცობრიობის მტერს. ევამ იგემა ნაყოფი, რადგან იხილა, “რომ კარგი იყო საჭმელად ის ხე, რომ თვალწარმტაცი და საამური სანახავი იყო.”





ღმერთმა წარმოთქვა სიტყვა — ამბობს ბიბლია — რომელმაც შექმნა ყოველივე — მაკროკოსმოსი და მიკროკოსმოსი — ყველაზე შორეული ვარსკვლავიდან დაწყებული უმცირეს ყვავილამდე.

ორიონის ნისლეული 1600 სინათლის წლით არის დედამიწისგან დაშორებული. ჩვეულებრივი ბაღის გეორგინა შემოქმედის ჩანაფიქრის მშვენიერებაზე მეტყველებს.

ევამ ადამსაც მისცა ნაყოფი და როცა შეჭამეს, თვალები აეხილათ. მათი უმანკოება გაქრა და დაინახეს თავიანთი სიშიშვლე როგორც ღმერთის, ისე ერთმანეთის წინაშე. თავდაპირველად რცხვენოდათ ღმერთთან შეხვედრისა და ემალებოდნენ მას, რადგან მათ შემოქმედ ღმერთთან სიყვარულით სავსე დამოკიდებულება დაუმორჩილებლობას ანაცვა-

ლეს. ამ საბედისწერო ნაბიჯმა ქმნილების ერთიანობის დაშლა გამოიწვია. სწორედ ამ ტრაგიკული აქტიდან მოედინება ურიცხვი უარყოფითი შედეგები.

შემდეგ აღწერილია ღმერთის საუბარი გველთან, ადამთან და ევასთან. მათი ნამოქმედარის შედეგები აშკარა ხდება: ამიერიდან დედამიწა აღმოაცენებდა ეკალსა და გლოვას. ამას თან მოჰყვებოდა – არა უეცრად – ფიზიკური სიკვდილიც. სულიერმა სიკვდილმა საბოლოოდ დაასამარა ღმერთთან ურთიერთობა. ადამი და ევა სამოთხის ბაღიდან გამოაძევეს. სისხლი, პიროფლიანი შრომა და ცრემლი ელოდათ მათ წინ.

პირველი თავების პოეტურობას პირველი კაცისა და ქალის შთამომავლების ამბის პროზაული აღწერა მოსდევს. ადამისა და ევას ვაჟმა კაენმა, შურის გამო, საკუთარი ძმა, აბელი მოკლა. მათი დათრგუნული შთამომავლები ცოდვასა და ძალადობაში იძირებოდნენ. და ბოლოს:

"დაინახა უფალმა ღმერთმა, რომ იმატა ადამიანთა უკეთურებამ ამქვეყნად, რომ უკეთური იყო მუდამჟამს მათი ყოველი გულისთქმა. ინანა უფალმა, რომ შექმნა ადამიანი ამქვეყნად, და შეწუხდა." (დაბ. 6:5,6)

### წარღვნა

ღმერთმა საკუთარი ქმნილების წარღვნით წარხოცვა გადაწყვიტა, მაგრამ ერთი მართალი კაცი, ნოე, აღმოაჩინა, რომელიც ღვთისმოშიში იყო იმ ბნელითმოცულ დღეებშიც კი. ღმერთის ბრძანებით, ნოემ ააგო უზარმაზარი ხომალდი – "კიდობანი" – რათა საკუთარი ოჯახი და ცხოველთა სამყაროს ნაწილი გადაერჩინა. ნოე ცდილობდა ხალხი ღმერთთან დაბრუნების აუცილებლობაში დაერწმუნებინა, მაგრამ უშედეგოდ. ნოე და მისი ძვირფასი ტვირთით სავსე კიდობანი წარღვნას გადაურჩა. ბოლოს კი ვხედავთ აშენებულ სამსხვერპლოს და ღვთისადმი შეწირულ სამადლობელ მსხვერპლს. ღმერთმა პირობა დადო, რომ ასეთი წარღვნა აღარ განმეორდებოდა და დაურღვეველი პირობის ნიშნად ცისარტყელა გამოაჩინა.

ქ.წ. VII საუკუნის თიხის ფირფიტაზე ლურსმული დამწერლობით შესრულებული ძველბაბილონური მოთხრობა წარღვნის შესახებ.



### ბაბილონის გოდოლი

წარღვნის შემდეგ კაცობრიობამ საკუთარი გზით სიარული განაგრძო. მათ უარი თქვეს დედამიწის ზურგზე გავრცელებასა და დასახლებაზე, როგორც ეს ღმერთმა ადამს, ევას და მათ შთამომავლებს ურჩია. ამის ნაცვლად ისინი ერთ ადგილას დაფუძნდნენ და საკუთარი მიღწევებისა და სიამაყის ძეგლის აგებას შეუდგნენ. ღმერთმა მათი გეგმები დაამსხვრია. მაგრამ ერთი რამ ცხადი იყო: კაცობრიობის დიდი ნაწილი, ღმერთის გზით სიარულისათვის მზად არ იყო.

### აბრაამი

დაბადების წიგნის მეორე ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ერთ განსაკუთრებულ კაცზე, აბრაამზე და მის ცოლ-შვილზე. ღმერთს ისევ სურდა ადამიანის მიერ დარღვეული ბედნიერი ურთიერთობის აღდგენა. ღმერთმა ერთი ოჯახი ამოირჩია და ამ ოჯახისაგან ისეთი ერის შექმნა გადაწყვიტა, რომელიც ღმერთთან განსაკუთრებულ ურთიერთობაში იქნებოდა. ღმერთი მას თავს გააცნობდა, აღთქმასა და რჯულს მისცემდა. ეს ოჯახი კი, თავის მხრივ, მსოფლიოს ხალხებს გააცნობდა ღმერთს. ასეთი იყო ამ ხალხის არჩევის ღმერთისმიერი გეგმა და მიზანი.

### ღმერთის აღთქმა

აბრაამი და მისი ცოლი სარა ცხოვრობდნენ აღმოსავლეთის ქალაქ ურში, რომელიც ოქროს ან ნაყოფიერი ნახევარმთვარის სახელით ცნობილ ტერიტორიაზე მდებარეობდა. ეს ნახევარწრე მოიცავს ტერიტორიას, რომელიც იწყება ეგვიპტის ჩრდილო-აღმოსავლეთით, შემდეგ პალესტინისა და სირიის გავლით გრძელდება და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდინარე ევფრატის დინების გაყოლებით სპარსეთის ყურემდე ჩადის. შუამდინარეთის ქალაქ ურის კულტურულ სამყაროში აღზრდილ აბრაამს ღმერთმა მოუწოდა მიეტოვებინა სამკვიდრო და მომთაბარე ცხოვრება დაეწყო, პალესტინისკენ გამგზავრებულიყო. ღმერთი შეპირდა აბრაამს:

"გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს და კურთხეული იქნები. ვაკურთხებ შენს მაკურთხებელს და დავწყევლი შენს მაწყევარს; კურთხეული იქნება შენში მიწიერთა მთელი მოდგმა." (დაბ. 12:2-3)

**სამყაროს შექმნისა და წარღვნის სხვა გადმოცემები**

ბიბლიაში აღწერილი წარღვნის ამბის გარდა არსებობს სხვა ძველი გადმოცემები სამყაროს შექმნასა და წარღვნაზე, რომლებიც შუამდინარეთიდან მომდინარეობს. ამ წყაროებში აღწერილი ამბები ბიბლიისას ემთხვევა. ისინი ერთმანეთისაგან ღმერთზე არსებული წარმოდგენით განსხვავდებიან. დაბადების წიგნში აღწერილი ღმერთი, ერთი ღმერთია და არა მრავალი. ადამიანი მისი ქმნილების გვირგვინს წარმოადგენს. ბაბილონურ მოთხრობებში ადამიანი შეიქმნა, როგორც მეორეხარისხოვანი აზრის ნაყოფი, ღმერთებისთვის სარგებლობის მომტანი და მოსამსახურე. დაბადების წიგნში კი ღმერთი სიყვარულსა და სამართლიანობაში ვლინდება.




ბიბლიის ადრეული ამბები ახლო აღმოსავლეთის, "ნაყოფიერი ნახევარმთვარის" ტერიტორიაზე ვითარდებოდა. აბრაამის მოგზაურობაც ამ ნახევარწრეზე მიედინებოდა: ქალაქ ურიდან, ხარანის გავლით ბერშებაყამდე და შემდეგ ეგვიპტეში.



ქალაქ ურის დატოვების შემდეგ აბრაამი, მისი ოჯახი, მსახურები და საქონლის ჯოგი მომთაბარეობდნენ, ქანაანისაკენ მიმავალნი ერთი ადგილიდან მეორისკენ მიიწევდნენ. ბედუინთა კარვები იმდროინდელი ცხოვრების წესის გამოძახილია.

აბრაამი ღვთის ბრძანებას დაემორჩილა. თავი მომთაბარული ცხოვრებით გაჰქონდა. წყალსატევებთან კარვების ბანაკს შლიდა, რადგან მის ოჯახს, მსახურებსა და საქონელს წყალი ესაჭიროებოდა. ბოლოს იგი ქანაანის ქვეყანას მიადგა, ქვეყანას, რომელსაც ღმერთი მას და მის შთამომავლობას შეჰპირდა.

ღმერთმა აბრაამთან კავშირი შეკრა, აღთქმა დაუდო. შეჰპირდა, რომ მისი შთამომავლები ზღვისპირის ქვიშასავით ან ცაში ვარსკვლავებივით მრავალრიცხოვანნი იქნებოდნენ და ქანაანის მიწა-წყალს დაიმკვიდრებდნენ. ღმერთის პირობის აღსრულებას მხოლოდ ერთი რამ აბრკოლებდა. აბრაამს და სარას შვილი არ ჰყავდათ და თანაც საკმაოდ მოხუცებულნი იყვნენ. ეს მაშინ, როცა ღვთის აღთქმა მათ შთამომავლობაზე იყო გათვალისწინებული.

მრავალწლიანი ლოდინით გამოცდის შემდეგ, როდესაც სარამ შვილის გაჩენის უნარის ასაკი გადალახა, ღმერთის აღთქმა აღსრულდა და ცოლ-ქმარს ვაჟი, ისაკი, შეეძინა. ბიბლია ქებას უძღვნის აბრაამს, რადგან მას მაშინაც კი სწამდა ღმერთის, როცა მისი აღთქმის შესრულება შეუძლებელი ჩანდა.

მაგრამ აბრაამს წინ უფრო დიდი გამოცდა ელოდა: როდესაც ისაკი ჯერ კიდევ ყრმა იყო, ღმერთმა დაუჯერებელი რამ მოსთხოვა მას – ისაკის მსხვერპლად შეწირვა. იმ დროს ადამიანის მსხვერპლშეწირვა მეზობელ ხალხებში ფართოდ იყო გავრცელებული.

გულგატეხილი აბრაამი ერთადერთ, საყვარელ ვაჟთან ერთად დაადგა გზას. როდესაც მსხვერპლშეწირვის ადგილს მიუახლოვდნენ, ისაკმა იგრძნო, რომ ხიფათი ელოდა.

"უთხრა ისაკმა აბრაამს, თავის მამას: მამაჩემო! უთხრა აბრაამმა: რა იყო შვილო? უთხრა ისაკმა: ცეცხლი და შეშა მოგაქვს, აღსავლენი კრავი სადღა არის? უთხრა აბრაამმა: ღმერთი გამოაჩენს თავისთვის აღსავლენ კრავს."

(დაბ. 22:7-8)

# ური: აბრაამის ქალაქი

ეროვნული ბიბლიოთეკა



აბრაამი და სარა ბაბილონელთის ქალაქ ურში ცხოვრობდნენ, როდესაც ღმერთმა მათ ახალი გზა დაუსახა. მათ მთვარის ღმერთის ტაძრით განთქმული მდიდარი და სახელოვანი ქალაქი უნდა მიეტოვებინათ და აღთქმული მიწისკენ მიმავალ გრძელსა და რთულ გზას დასდგომოდნენ.

ძველი ურის არქეოლოგიურმა გათხრებმა მდიდარი მოქალაქეების კეთილმოწყობილი სახლების ნანგრევები აღმოაჩინა. აქვე აღმოჩნდა ურიცხვი თიხის ფირფიტა ლურსმული წარწერებით, რომლებშიც ქალაქის საქმიანი ცხოვრება იყო აღწერილი: მიწის ყიდვა-გაყიდვა, მემკვიდრეობითობა, ქორწინება, დიპლომატიური საბუთები. გაითხარა დიდი საფეხურებიანი პირამიდა-ტაძარი, ზიქურათი, რაც ურის მოქალაქეთა რელიგიურობას ადასტურებს.



ერთ დროს ამ მოხდენილ ოქროს თავსართს ურის დედოფალი ატარებდა (სამეფო სამარხებიდან).

უამრავი განძი ამოიღეს ურის სამეფო სამარხების გათხრისას, რომელიც აბრაამის წინარე პერიოდით თარიღდება. ეს სათამაშო დაფა სადგარითურთ ერთერთია მრავალრიცხოვან აღმოჩენათა შორის.



ოქრომჭედელთა მაღალი ოსტატობის განსაცვიფრებელი მაგალითია ეს ოქროს სატევარი და ქარქაში, რომელიც უფრო თავმოწონების მიზნით იყო შეკვეთილი (სამეფო სამარხებიდან).

ბიბლიური “ბაბილონის გოდოლი,” ალბათ, რამდენიმე ერთმანეთზე დაშენებული პლატფორმისაგან, საფეხურისაგან შედგებოდა, დაახლოებით ისე, როგორც ურის ტაძარი, რომლის ნანგრევები 4000 წლისაა.



როდესაც აბრაამმა შვილის მოსაკლავად დანა აღმართა, ღვთის ანგელოზმა შეაჩერა:

"უთხრა: ნუ აღმართავ ხელს ამ ყმაწვილზე, ნურაფერს დაუშავებ მას, რადგან მივხვდი, ღვთისმოშიში ყოფილხარ – მხოლოდშობილი შენი შვილი გამოიმეტე ჩემთვის."
(დაბ. 22:12)

აბრაამმა იქვე ბუჩქებში რქებით გახლართული ვერძი დაინახა და ისაკის ნაცვლად შესწირა ღმერთს. მიხვდა აბრაამი, რომ ღმერთს ადამიანის მსხვერპლი არ სჭირდებოდა, როგორც ამას სხვა ხალხების ღმერთები მოითხოვდნენ. აბრაამმა ისიც აღმოაჩინა, რომ ღმერთს სავსებით ენდობოდა, სწამდა მისი და ცხოვრებაში ყველაზე წინ მას აყენებდა.

ებრაელი ხალხი აბრაამს თავის მამად მიიჩნევს. ის მათი ტომის მხოლოდ ფიზიკური წინაპარი კი არ იყო, არამედ ღმერთის აღთქმის მფლობელი. იმ აღთქმისა, რომლის მიხედვითაც მისი მემკვიდრეები აღთქმულ ქვეყანას დაიმკვიდრებდნენ. აბრაამი ღვთის ერთგული ადამიანის ნათელი მაგალითია.

### იაკობი

იაკობი წესისა და რიგის მიხედვით დაქორწინდა და ტყუპი ვაჟიშვილი შეეძინა. ორი ვაჟიდან მხოლოდ ერთს ეკუთვნოდა პირმშოს მემკვიდრეობა და ღმერთის მიერ აბრაამთან დადებული აღთქმა. ვიდრე ვაჟები ამ ქვეყანას მოევლინებოდნენ, ღმერთმა მათი დედა, რებეკა, გააფრთხილა, რომ უმცროსი შვილი იქნებოდა მისი რჩეული. მაგრამ, ისაკი უფროს ვაჟს, ესავს მფარველობდა და უმცროსმა – იაკობმა ეშმაკობით განიზრახა ღვთის აღთქმისა და კურთხევის მითვისება.

ტყუილისა და ინტრიგის მიუხედავად, იაკობი მართლა გულით ზრუნავდა ღვთის აღთქმის მოპოვებაზე, მაშინ როცა, გულკეთილ ესავს ეს არ ადარდებდა. ღმერთმა იაკობის შემდგომი ცხოვრების მრავალი მძიმე გამოცდილება იმისთვის გამოიყენა, რომ ეს მზაკვარი და მატყუარა კაცი ღმერთთან დაახლოვებულ, მტკიცედ მორწმუნე ადამიანად ექცია.

მრავალწლიანი იძულებითი გადასახლების შემდეგ სამშობლოსკენ მომავალ იაკობს საკვირველი და მოულოდნელი შეხვედრა ჰქონდა. მთელი ღამის განმავლობაში იდუმალებით მოცულ უცნობს ეჭიდებოდა. ბრძოლის დასასრულს იაკობმა წამოიძახა: "პირისპირ ვიხილე ღმერთი!"

ეშმაკი იაკობი მოულოდნელად "ისრაელად" გარდაისახა, ანუ ადამიანად, რომელიც ღმერთს შეებრძოლა, შეეჭიდა. ეს ახალი სახელი მის მემკვიდრეებზეც გავრცელდა.

იაკობს თორმეტი ვაჟიშვილი ჰყავდა. მათგან გამორჩევით უყვარდა იოსები. იაკობის თერთმეტი ვაჟი და იოსების ორი ვაჟი ისრაელიანთა ტომების წინამძღოლები გახდნენ.

### იოსების ამბავი

იაკობს ყველა შვილზე მეტად იოსები უყვარდა. ის ხომ უსაყვარლესი ცოლის – რახელის პირველი შვილი იყო. მაგრამ ძმებმა იგი განსაკუთრებით მაშინ აითვალწუნეს, როდესაც მან თავისი წინასწარმეტყველური სიზმარი მოუთხრო მათ. ამ სიზმრის მიხედვით, იოსები ძმებზე და მთელ ოჯახზე უნდა გაბატონებულიყო. ერთ დღეს, როდესაც იოსები ცხვრის სამწყემსურში მყოფი ძმების სანახავად გაემართა, ძმებმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს,

#### როდის ცხოვრობდნენ მამამთავრები

აბრაამს, ისაკსა და იაკობს მამამთავრებს უწოდებენ, რადგან ისინი ერის მესაძირკვლე მამები იყვნენ. ადრე ზოგიერთი მეცნიერი მათ არსებობაზე კამათობდა, თუმცალა მრავალი საბუთი მეტყველებდა მათ რეალურ ცხოვრებაზე. ალბათ, ისინი შუა ბრინჯაოს ხანაში ცხოვრობდნენ, დაახლოებით ქ.წ. 2000-1500 წლებს შორის, თუმცა ზოგიერთის აზრით ისინი დაახლოებით ქ.წ. 3000-1000 წლებს შორის ცხოვრობდნენ. იმ ეპოქაში მრავალი ხალხი თუ ტომი გადაადგილდებოდა. მამამთავრებიც ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ, სადაც მრავალ ადგილობრივ სახელმწიფოს მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა ძლევამოსილ ეგვიპტესთან. მომთაბარეებს ნებართვა უნდა მიეღოთ ადგილობრივი მმართველებისგან, რათა მოსავლის აღების შემდეგ მინდვრებზე საძოვრად შეერეკათ თავიანთი საქონელი. შესაძლოა, რომ ასეთ დროს ისინი ნოყიერი ბალახისა და წყლის ძებნაში ოაზისებში, ვთქვათ ბერშებაყში, მოხვედრილიყვნენ.

#### იაკობის ოჯახის გენეალოგიური ხე




* იაკობის თერთმეტმა ვაჟმა და იოსების ორმა ვაჟმა (ნახევარ შტოებად მიჩნეულებმა) სატომო სახელები მისცეს ისრაელს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბიბლიის ხუთწიგნეული

ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი ერთ კრებულად წარმოგვიდგება. მას მოსეს ხუთწიგნეულსაც უწოდებენ. ამ ხუთწიგნეულს ებრაულად თორა ეწოდება, რომელიც ქართულად მოძღვრებას ნიშნავს. ეს არის ღვთის რჯულის წიგნი.

XIX საუკუნის მკვლევარებმა განავითარეს თვალსაზრისი, რომ არსებობს ხუთწიგნეულის ოთხი განმასხვავებელი ნიშანი. ერთ-ერთი ასეთი ნიშანია ღმერთის სახელის სხვადასხვა სახით ან ფორმით მოხსენება. მეცნიერებაში მიღებულია ხუთწიგნეულის ავტორთა შემდეგი კლასიფიკაცია: იაჰვეს მხსენებელი ავტორი (J), ელოჰიმის მხსენებელი ავტორი (E), სამღვდელო ავტორები (P), მეორე რჯულის ავტორები (D). ამ თეორიის მიმდევრებს მიაჩნიათ, რომ ეს ხუთი წიგნი ერთი მიმართულებისაა და ერთად უნდა გამოიცეს. ეს თეორია დღეს უფრო მრავალმხრივია, თუმცა კი საკამათო.

ხუთწიგნეულის ზოგიერთი ნაწილი უდავოდ ძალიან ძველია და უძველესი ზეპირი და, შესაძლოა, მოსეს პირადი ჩანაწერებიდანაც მომდინარეობდეს. თუმცა, ტექსტი სხვადასხვა ტრადიციებით შეივსო და გადამწერებმაც საკუთარი ხელოვნების დაღი დაასვეს ამ წიგნებს. გადამწერთა და კრებულად შემდგენელთა მოღვაწეობის ზუსტი პერიოდიც უცნობია.

მეცნიერებს ხშირად ავიწყდებათ, რომ ტექსტზე ასეთი შეხედულება ხელს ვერ შეგვიშლის მისი დედააზრის გაგებაში. მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ტექსტის უმთავრესმა ნაწილმა დროის ქარტეხილებს გაუძლო და დღესაც არსებობს.

შეიპყრეს და დამშრალ ჭაში ჩააგდეს. შემდეგ კი ეგვიპტისკენ მიმავალ ვაჭრებს მიჰყიდეს.

ეგვიპტეში იოსების ცხოვრება მღელვარე და ცვალებადი აღმოჩნდა. ვაჭრებისგან ეგვიპტის მეფის ანუ ფარაონის კარზე აღზევებულმა მოხელემ – ფოტიფარმა იყიდა იგი, თუმცა იოსებმა მოხერხებულობა გამოიჩინა და პატრონის ნდობა დაიმსახურა. მალე, ის სასახლის ზედამხედველად, გამგებლად დანიშნეს. მაგრამ, ფოტიფარის ცოლმა ვნებიანი თვალი დაადგა ახალგაზრდა იოსებს. როდესაც მან ქალის მაცდუნებელ წინადადებაზე უარი თქვა, ამ უკანასკნელმა იოსებს გაუპატიურების მცდელობაში დასდო ბრალი. ამის გამო იოსები საპყრობილეში დაამწყვდიეს. რა მდგომარეობაში იყო იქ, არ ვიცით, მაგრამ დაბადების წიგნი ამბობს, რომ უფალი იყო იოსებთან.

იოსებმა საპყრობილის უფროსის ნდობა მოიპოვა. სახელი იმითაც გაითქვა, რომ მასთან ერთად პატიმრობაში მყოფ ფარაონის ორ მოხელეს სიზმრები აუხსნა. ძველი ეგვიპტელები მომავლის შეცნობაში სიზმრებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. სიზმრების ახსნის სახელმძღვანელოებიც კი ჰქონდათ. ფარაონის მწდეთუხუცესი, რომელსაც იოსებმა სიზმარი აუხსნა, საპყრობილიდან გაათავისუფლეს. ერთხელ, როდესაც ფარაონის სიზმარი ვერავინ ახსნა, მას იოსები გაახსენდა. იოსები სასწრაფოდ გაათავისუფლეს და ფარაონთან მისაყვანად გაამზადეს. მან ფარაონს სიზმრები აუხსნა და ღმერთს მადლი შესწირა, ამ საოცარი ნიჭისათვის. ფარაონს კი ასე აუხსნა სიზმარი: იქნებოდა შვიდი ნაყოფიერი წელი, ხოლო შემდეგ კი შვიდი მოუსავლიანი წელი და საშინელი შიმშილობა. ამ სიტყვებმა ფარაონზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და იოსები თავისი ბეღლების ზედამხედველად და მთელი ეგვიპტის გამგებლად დანიშნა.

მოხდა ისე, რომ ღვთის განგებით – იოსების ძმები ეგვიპტეში ჩავიდნენ ხორბლის შესაძენად, რადგან მათ ქვეყანაშიც შიმშილობა მძვინვარებდა. გარკვეული დროის მანძილზე იოსებმა ეგვიპტეში ჩასულ ძმებს საკუთარი ვინაობა არ გაუმჟღავნა, მაგრამ ბოლოს გამოუტყდა, აპატია მის მიმართ ჩადენილი დანაშაული და მოხუცი იაკობის ოჯახითურთ ეგვიპტეში ჩამოიყვანა და დასახლება სთხოვა, რადგან იქ საკვები ყველასათვის საკმარისი იყო.

იქ, ეგვიპტის ქვეყანაში მთავრდება დაბადების წიგნი. მაგრამ, ღმერთის აღთქმა დავიწყებას არ ეძლევა. სიკვდილის წინ იაკობმა დაიბარა, რომ როცა მისი მრავალრიცხოვანი ოჯახი ეგვიპტეს დატოვებდა – ამაში კი ის დარწმუნებული იყო – მისი ძვლებიც თან წაეღოთ. მას სურდა, რომ საბოლოო განსასვენებელი აღთქმულ მიწაზე ჰქონოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


**2**

# რჯული და თავისუფლება

## გამოსვლა · ლევიანნი · რიცხვნი · მეორე რჯული

იოსების სიკვდილის შემდეგ ისრაელიანე-ბი ეგვიპტეში გამრავლდნენ და გამდიდ-რდნენ. მაგრამ, ეგვიპტელებმა მალე დაივიწ-ყეს იოსების დამსახურება, როცა მან შიმში-ლობისგან იხსნა ისინი. ქვეყნის მმართველთა მადლიერების გრძნობას სიძულვილი და ეჭვი-ანობა შეენაცვლა.

### გამოსვლა

300-400 წლის შემდეგ ისრაელიანთა მზარდი მოსახლეობა ეგვიპტის ადგილობრივ მკვიდ-რებს ტოლს არაფერში უდებდა. ეგვიპტის მე-ფემ, ანუ ფარაონმა, მათი დათრგუნვა განიზ-რახა და ამბიციური სამშენებლო გეგმების განსახორციელებლად მონებად აქცია. მიუხე-დავად ამისა, ისრაელიანები მაინც მრავლდე-ბოდნენ. ამიტომ ფარაონმა ყველა ისრაელიანი ახალშობილი ვაჟის დაბადებისთანავე მოკვლის ბრძანება გასცა.

მხოლოდ ერთი ცოლ-ქმარი არ დაემორჩი-ლა ამ ბრძანებას. სამი თვის მანძილზე მათ დამალული ჰყავდათ ვაჟიშვილი და როცა და-ფარვა შეუძლებელი გახდა, დედამ ლერწმის კიდობანი შეგოზა ფისითა და კუპრით, შიგ თავისი ყრმა ჩასვა და მდინარე ნილოსის პი-რას დადგა ლერწმიანში. ჩვილის და, მირიამი, კი ნაპირზე დაიმალა, რათა ბავშვისთვის თვალყური ედევნებინა. კიდობანში ჩაწვენილი ჩვილი მდინარეზე საბანაოდ მისულმა ფარაო-ნის ასულმა იპოვა. მირიამი მიეახლა მას და ძიძად დედამისი შესთავაზა. მეფის ასულმა ჩვილს მოსე დაარქვა და მოსავლელად დედას ჩააბარა. როდესაც მოსე წამოიზარდა, ის სა-სახლის კარზე წაიყვანეს და მეფის ასულის შვილობილისთვის შესაფერისი განათლება მისცეს.

#### მოსე

მეფური აღზრდის მიუხედავად, მოსეს კეთილ-განწყობა მთლიანად დაჩაგრული ხალხის, ის-რაელიანების მხარეზე იყო. ცდილობდა ისინი მონათა ზედამხედველებისგან დაეცვა და ეგ-ვიპტელთა ზიხლი შეემსუბუქებინა, მაგრამ იგი თანამემამულეთაგან უარყოფილ იქნა. ბოლოს, სამართლიანობის გრძნობით ანთებულმა, ეგ-ვიპტელი ზედამხედველი მოკლა, რომელიც ისრაელიანს უსამართლოდ სცემდა და ამის გამო, იძულებული გახდა ეგვიპტიდან გადახ-ვეწილიყო.

მომდევნო ორმოცი წელი მწყემსის ცხოვრე-ბით ცხოვრობდა მოსე და უმეტეს დროს უდაბნოში ატარებდა. ერთ დღეს, უდაბნოში, სინას მთის მახლობლად, ცეცხლმოდებული ბუჩქი შეამჩნია, რომელიც არ იწვოდა. როცა მიუახლოვდა, ხმა შემოესმა:

"ახლოს ნუ მოხვალ! გაიძრე ფეხსამოსი, რადგან ეს ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმიდა მიწაა. უთხრა: მე ვარ მამაშენის ღმერთი, აბრაამის ღმერთი, ისაკის ღმერთი, იაკობის ღმერთი." (გამ. 3:5-6)

ღმერთმა ისმინა თავისი ხალხის ტანჯვა-ვაების ხმა. მონობიდან მათი განთავისუფლე-ბის დრო მოვიდა. ღმერთმა მოსე ისრაელის წინამძღოლად აირჩია. მოსემ ორჯერ ზედი-ზედ პატიება სთხოვა ღმერთს, რადგან ის უკ-ვე მოხუცებული და უმწეო იყო თავისი ახალ-გაზრდობის დროინდელი მიზანსწრაფული წარსულისგან განსხვავებით და ამ დავალების შესრულება არ შეეძლო.

"კარგი, მივედი ისრაელიანებთან და ვუთხა-რი, თქვენი მამა-პაპის ღმერთმა გამომგზავნა-მეთქი. თუ მკითხეს მისი სახელი, რა ვუპასუხო?"

ღმერთმა მიუგო:

"მე ვარ რომელიც ვარ... რომელიც ვარ მგზავნის თქვენთან." (გამ. 3:13-14)

იმ დროში სწამდათ, რომ პიროვნების სახე-ლი მის ხასიათზე მეტყველებდა. ეს იდუმალე-ბით მოცული სახელი მიუთითებდა, რომ ღმერთი მოქმედებაში, საქმეებში ვლინდება. ჯონ დრეინის სიტყვებს თუ დავეყრდნობით, ეს ნიშნავს, რომ "ღმერთი დროის უფალია და ის იმას გააკეთებს მომავალში, რაც უკვე მოიმოქ-მედა წარსულში და რასაც აწმყოში აკეთებს." ანუ ღმერთი უცვლელია წარსულში, აწმყოსა და მომავალში.

ღმერთის აღთქმულმა სახელმა ახალი გზა აპოვნინა მოსეს. ამ სახელის ერთი ფორმაა იაჰვე, რომელსაც ზოგჯერ წარმოსთქვამენ, როგორც იეჰოვა. დღესდღეობით, ბიბლიის თანამედროვე გამოცემებში ღმერთის სახელი აღნიშნულია სიტყვით – უფალი.

ღმერთმა მოსე დაარიგა, ისრაელიანებისთ-ვის ეთქვა, რომ უფალი გაათავისუფლებდა მათ. ბევრს უკვე დავიწყებული ჰყავდა ღმერ-

### გამოსვლა

#### მთავარი ამბები და მოვლენები

მოსე ლერწმიანში 1-2

ათი სასჯელი 7-12

საუფლო პასექი 12-15

მეწამული ზღვის გადალახვა 14

ათი მცნება და რჯული 20-24

სადღესასწაულო კარავი 26

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხოვრება ეგვიპტეში

იოსების დროიდან მოსემდე (4 საუკუნე) ისრაელიანები ეგვიპტეში ცხოვრობდნენ – ქვეყანაში, რომლის ისტორია ათასწლეულებს ითვლიდა. მოსეს დროს ეგვიპტის მოსახლეობის უმეტესობა მიწათმოქმედებას მისდევდა. მათი ცხოვრება მდინარე ნილოსის ყოველწლიურ ადიდებაზე იყო დამოკიდებული. ნილოსის ადიდებისას წყალი დასამუშავებელ მიწებს ფარავდა და თან მოჰქონდა ნოყიერი ლამი, რომელიც მიწას აპოხიერებდა და მოსავლის ნაყოფიერებას ზრდიდა. ეგვიპტე ნაყოფიერი ქვეყანა იყო. ნილოსის ადიდების დროს მოსახლეობა მიწათმოქმედებას დროებით წყვეტდა და სახელმწიფოს სამშენებლო საქმიანობაში იღებდა მონაწილეობას.

ფარაონი (მეფე და შუამავალი ღმერთებსა და ადამიანებს შორის) ეგვიპტის საზოგადოების სოციალური კიბის სათავეში იდგა. მისი ორი ვეზირი მრავალრიცხოვან მოხელეებს განაგებდა. ეს უკანასკნელნი კი, ადგილზე განაგებდნენ სახელმწიფოს ცხოვრების ყოველ სფეროს.

მშრომელები ალიზით ნაშენ სახლებში ცხოვრობდნენ. წარჩინებულებს კეთილნაშენი, ბაღებით დამშვენებული სახლკარი ჰქონდათ. ეგვიპტური ცივილიზაციის შესწავლისათვის უხვი მასალა მოგვაწოდა ძველი სამარხების და ტაძრების წარწერებმა და ქანდაკებებმა, აგრეთვე, სამარხებში აღმოჩენილმა ნივთებმა.

ეგვიპტელები მრავალ ღმერთს სცემდნენ თაყვანს. სალოცავებსა თუ ტაძრებში ქურუმები მსახურობდნენ. მაგია ამ რელიგიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო. ძველეგვიპტელებს სიკვდილის შემდეგ საიქიო ცხოვრების არსებობისა სწამდათ და ახალი ცხოვრების თადარიგს წინდაწინ იჭერდნენ: სამარხებს, სადაც დაბალზამებულ მიცვალებულებს ასვენებდნენ, საიქიო ცხოვრებისათვის საჭირო ყველა ნივთით ამარაგებდნენ.



ეგვიპტური ნავის მოდელი, ძველეგვიპტური სამარხიდან.



ნილოსი ეგვიპტის მთავარი სატრანსპორტო არტერია იყო. იგი სამხრეთიდან მოედინებოდა უდაბნოს გავლით და მის ორივე ნაპირს სახნავ-სათესი სავარგული მიწების ვიწრო ზოლი გასდევდა.





რამზეს II ქანდაკება, ისრაელიანთა გამოსვლის დროინდელი ფარაონი (მკვლევართა ერთი ნაწილი ასე მიიჩნევს). სახელი გაითქვა ალმშენებლობითი მოღვაწეობით.

უდაბნოსთან სიახლოვის მიუხედავად, კარგი მოსავალი მოდიოდა. მარცვლეულს ყურადღებით, საგულდაგულოდ ინახავდნენ საწყობებში და აღრიცხავდნენ.





ებრაელი მონები იძულებულნი იყვნენ ალიზის აგურები ეკეთებინათ ფარაონთა დიდი სამშენებლო გეგმების განსახორციელებლად. სამარხის კედელზე გამოსახული სცენა გვიჩვენებს, თუ როგორ ზელავდნენ თიხასა და ბზეს ერთად, შემდეგ სპეციალურ ყალიბებში ასხამდნენ და მზეზე აშრობდნენ.



ეს უზარმაზარი კოლონები კარნაკის ამონის ტაძრის ნაშთია (ქ. წ. XIII საუკუნე). ისინი დიდიხანია უტყვად მოწმობენ ძველი ეგვიპტის სამეფოს ძლიერებასა და რელიგიის ძალაუფლებაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თი, მაგრამ მალე ისინი ღვთის ძალის გამოვლინების მოწმეები გახდნენ, როდესაც მოსე ეგვიპტის მეფის წინაშე წარსდგა. ხოლო როდესაც მან ბაგემძიმობა მოიმიზეზა, ღმერთი შეჰპირდა, რომ სალაპარაკოდ მისი ძმა აარონი გაჰყვებოდა. სიტყვა აღარ შეუბრუნა მოსემ და ბრძანებას დაემორჩილა.

## "გაუშვი ჩემი ხალხი"

მოსე და აარონი ფარაონის წინაშე მოთხოვნით წარსდგნენ, რომ ისრაელიანები ეგვიპტიდან გაეშვა, რათა თავიანთი ღმერთისთვის თაყვანი ეცათ. მაგრამ, მოთხოვნა უგულვებელყოფილ იქნა. იმის დასამტკიცებლად, რომ უფალი ფარაონსა და ეგვიპტის ღმერთებზე უფრო ძლიერი იყო და, აგრეთვე, ფარაონის დამოკიდებულების შესაცვლელად, ეგვიპტეს უბედურებათა მთელი სერია – ათი სასჯელი დაატყდა თავს. პირველი: ნილოსის წყლები სისხლისფრად შეიღება. შემდეგ, ეგვიპტეს ურიცხვი გომბეშო, მუმლი და ბუზანკალი შემოესია. მაგრამ, ფარაონმა გული გაიქვავა და ისრაელიანთა გაშვებაზე უარი თქვა. ამის გამო, ღვთის ბრძანებით, ეგვიპტის მოსახლეობა საშინელ გაჭირვებაში ჩავარდა. მეცხრე უბედურების შემდეგ, მოსემ ფარაონი გააფრთხილა, რომ მეათე უწინდელებზე საშინელი იქნებოდა. დათქმულ ღამეს ეგვიპტის ყოველი ოჯახის პირველშობილი ვაჟი და საქონლის პირველმოგებული უნდა დაღუპულიყო.

## ღვთის პასექი

ისრაელიანებს ამ უბედურებების ხილვის შემდეგ უნდა ერწმუნათ ღმერთის ძალა და მოწყალება. ახლა კი, სანამ ეგვიპტეს მეათე უბედურება დაატყდებოდა თავს, მოსემ ისრაელიანებს თადარიგის დაჭერა სთხოვა.

ისრაელიანთა ყოველ ოჯახს კრავი უნდა დაეკლა და სისხლი კარისთავისა და ორივე წირთხლისათვის ეცხო. ეს სიმბოლო იყო: მათ გადასარჩენად კრავის სიცოცხლის შეწირვა იყო საჭირო. ისრაელიანთა ყოველი ოჯახი, რომელიც სისხლით მონიშნულ სახლს შეაფარებდა თავს, სიკვდილის მსახვრალ ხელს გადაურჩებოდა.

ეგვიპტელთა დასჯის ღამე ისრაელიანთა დახსნის ღამედ იქცა. შინ მყოფ ისრაელიანებს შეწირული კრავი უნდა შეეწვათ და უფუარ პურთან და მწარე მწვანილთან ერთად ეჭამათ. ვახშმის დროს ჩაცმულნი და წასასვლელად გამზადებულნი უნდა ყოფილიყვნენ. ღამე რომ გავიდოდა, ეგვიპტელები დაუყოვნებლივ გაუშვებდნენ ისრაელიანებს თავის გზაზე.

როდესაც სიკვდილი შეიჭრა ეგვიპტელთა ოჯახებში, არემარე კვნესა-გოდებამ და ტირილმა შეძრა. ფარაონმა მოსე დაიბარა და უთხრა, თავის ხალხთან ერთად სასწრაფოდ დაეტოვებინა ეგვიპტე. ისრაელიანებს შეეძლოთ მონობის ქვეყანას გასცლოდნენ და იმ ქვეყანაში წასულიყვნენ, რომელიც ღმერთმა ჯერ კიდევ მათ დიდ წინაპარს, აბრაამს, აღუთქვა.

## მეწამული ზღვა

მას შემდეგ, რაც ისრაელიანებმა თავიანთი ცხვარ-ძროხით ეგვიპტის მიწა-წყალი მიატოვეს, ფარაონმა ინანა ამდენ მონას წასვლის ნება რომ დართო. ამიტომ ისრაელიანებს ლაშქარი დაადევნა, რათა უკან დაებრუნებინა ისინი. ეს ისრაელიანთა ხაფანგში მომწყვდევას ნიშნავდა. მათ წინ ზღვა იყო, უკან – ეგვიპტის მხედრობა.

ბიბლიაში ნახსენები მეწამული ზღვა თანამედროვე მეწამული ზღვა კი არ არის, არამედ მისი ჩრდილოეთი ნაწილი, ეგრეთწოდებული ლერწმიანი ზღვა, ანუ ზღვის ვიწრო ზოლი, რომელიც თანამედროვე სუეცის არხს ემთხვევა.

როდესაც ისრაელიანებმა ეგვიპტელთა საბრძოლო ეტლები შეამჩნიეს, შეშინდნენ და სასო წარეკვეთათ, მაგრამ მოსემ დაამშვიდა:

> "ნუ გეშინით, მტკიცედ იდექით და დაინახავთ, რომ მალე შეგეწევათ უფალი. დღეს ხედავთ ეგვიპტელებს, მაგრამ ამიერიდან აღარასოდეს იხილავთ."
>
> (გამ. 14:13)

ღვთის ბრძანებისამებრ, მოსემ ზღვის ნაპირზე შეაჩერა ხალხი და უფლის ნებით ამოვარ-



უფუარი პური, ხმიადი (ცხვება საფუარის გარეშე), სწრაფად უნდა დამზადდეს ღვთის პასექის დღესასწაულისათვის, ისე, როგორც ეგვიპტიდან წასვლისას დაამზადეს და შეჭამეს ძველმა ისრაელიანებმა. სურათზე გამოსახულია ბედუინი ქალი, რომელიც ძველებური წესით, კარვის შიგნით მდებარე კერიაზე პურს აცხობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


დინელმა აღმოსავლეთის ძლიერმა ქარმა წყალს უკან დაახევინა, ისე რომ ხალხი ზღვის ფსკერზე გავლით გადავიდა მეორე ნაპირზე. როცა ყველა სამშვიდობოზე გავიდა, წყალი ისევ დაიძრა და მდევარი ეგვიპტელი მეომრები ქვეშ მოიქცია.

მოსემ და მისმა დამ, მირიამმა გამარჯვების ნიშნად სიმღერა და ცეკვა წამოიწყეს და აღტაცებული ხალხიც მათ შეუერთდა:

"ვუმღერი უფალს, რადგან განდიდდა დიდად, ზღვაში გადაყარა ცხენი და მხედარი. ჩემი ძალი და დიდებაა უფალი, მხსნელად მყავდა იგი; ჩემი ღმერთია და მას ვაქებ." (გამ. 15:1-2)

ხსნის ამბავი მეტად მნიშვნელოვან მოვლენად ითვლება ისრაელის ისტორიაში. მსგავსად საღვთო პასექისა, რომლის მეშვეობითაც ღმერთმა ისრაელიანები ეგვიპტის მონობიდან გამოისყიდა.

### უდაბნოში

მოსემ ხალხი კარგად დაცული, ცენტრალური გზებიდან სამხრეთით, სინის უდაბნოსკენ, სინაის მთის მიმართულებით წაიყვანა. ღმერთმა აღუთქვა მოსეს, რომ ისინი იმ ადგილზე დაბრუნდებოდნენ, სადაც მას მოუწოდა პირველად. უდაბნოში ხანგრძლივი ხეტიალის პერიოდში ღმერთი ხალხს წინ მიუძღვოდა: დღისით ღრუბლის სვეტად, ღამით კი ცეცხლოვან სვეტად, ნიშნად იმისა, რომ ის მუდამ მათთან იყო. ცეცხლი და ღრუბელი ხშირად გამოიყენება ღმერთის თანასუფევის სიმბოლოდ. აღწერილია, რომ ღრუბელი კაშკაშა და მანათობელი იყო. შემდგომში, ღმერთის სუფევის კიდევ ერთ ხილულ სიმბოლოდ იქცა სადღესასწაულო კარავი.

### აღთქმა

აღთქმა, ანუ შეთანხმება ღმერთსა და ისრაელს შორის, რომელიც სინაის მთაზე შედგა, მთელი ძველი აღთქმის დედააზრი და ბირთვია. ღმერთის აღთქმა ისრაელიანთა მიმართ სიყვარულსა და ლმობიერებას ეფუძნებოდა. მან განსაკუთრებული მიხნისთვის აირჩია ისინი. ღმერთი ზრუნავდა და წარმატებას ანიჭებდა თავის რჩეულ ხალხს. თავის მხრივ, ხალხი უნდა დამორჩილებოდა ღმერთს და აღესრულებინა რჯული, რომელიც მოსეს მეშვეობით მიიღეს.

აღთქმას ხალხი აღფრთოვანებით შეხვდა. ეჭვიც არ ეპარებოდათ, რომ აღთქმით განსაზღვრულ მოვალეობას პირნათლად შეასრულებდნენ. თუმცა ძველი აღთქმა გვიჩვენებს, თუ რა მცირე ხანს გასტანა მათმა მორჩილებამ და სიმართლემ.

მოსე ღმერთის სიტყვების მისაღებად მთაზე ავიდა და აღთქმის ფიქალებით დაბრუნდა. საყვირის ხმითა და ჭექა-ქუხილით შეძრწუნებულმა ხალხმა პირობა დადო, რომ ღვთის აღთქმას დაიცავდა. მოსემ ამ აღთქმის ყველა პირობა მსხვერპლად შეწირული ცხოველის სისხლით დაბეჭდა.

ღმერთსა და ადამიანს შორის აღთქმით გათვალისწინებული ურთიერთობის ნიშანი იყო მამრობითი სქესის ისრაელიანების წინადაცვეთა, რომელიც პირველად აბრაამმა აღასრულა.

წინადაცვეთა ფართოდ იყო გავრცელებული მსოფლიოს ამ ნაწილში, როგორც ყრმის ზრდასრულ მამაკაცთა საზოგადოებაში გადასვლის ინიციაცია. მაგრამ, ისრაელიანებისთვის ეს წესი ღმერთთან ურთიერთობის ნიშნად ითვლებოდა და შემდგომში წინადაცვეთას ჩვილის დაბადებიდან მერვე დღეს ახდენდნენ. ღმერთმა მოსეს მეშვეობით მათ თავისი განსაკუთრებული სააღთქმო სახელი გაუმჟღავნა.

### ათი მცნება

გამოსვლისა და ლევიანთა წიგნებში აღწერილი კანონების ბირთვია ათი მცნება, ანუ დეკალოგი. ათი მცნების პირველი ნახევარი ღმერთისა და ხალხის ურთიერთობას განსაზღვრავს, მეორე ნახევარი კი საზოგადოებრივ ურთიერთობებს. ეს კანონები ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანთა მიერ დადგენილი ქცევათა წესები. ათი მცნება მსოფლიოში გავრცელდა, როგორც უნივერსალური და მარადიული კანონი. დასავლეთის სახელმწიფოთა თანამედროვე კანონები სწორედ ათ მცნებაზეა დაფუძნებული.

"მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, რომელმაც გამოგიყვანათ ეგვიპტელთა ქვეყნიდან, მონობის სახლიდან. არ გაიჩინოთ ჩემს გარდა სხვა ღმერთები. არ გააკეთო კერპები, არც რამე ხატი იმისა, რაც არის მაღლა ცაში, დაბლა მიწაზე და წყალში მიწის ქვეშ. არა სცე თაყვანი მათ, არც ემსახურო, რადგან მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი, შურისმგებელი ღმერთი, რომელიც მამათა ცოდვას შვილებს მოჰკითხავს, ჩემს მოძულეებს, მესამე და მეოთხე თაობაში. ათასწილ სიკეთის მზღველი ჩემს მოყვარულთათვის და ჩემი მცნებების დამმარხველთათვის. არ დაიფიცო ფუჭად უფლის, შენი ღვთის სახელი, რადგან დაუსჯელი არ გადაურჩება უფალს მისი სახელის ფუჭად მოფიცარი. გახსოვდეს შაბათი დღე, რომ წმიდა ჰყო იგი. ექვს დღეს იმუშავე, და აკეთე შენი საქმეები; მეშვიდე დღე კი უფლის, შენი ღვთის შაბათია... პატივი ეცი მამას და დედას, რათა დღეგრძელი იყო მიწაზე... არა კლა. არ იმრუშო. არ იქურდო. არ გამოხვიდე ცრუმოწმედ შენი თვისტომის წინააღმდეგ. არ ინდომო შენი თვისტომის სახლი... არც არაფერი მისი ქონებიდან." (გამ.20:2-17)



მირიამი (მოსეს და) ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ მღეროდა და ცეკვავდა, უკრავდა დაირაზე, ისე როგორც ამ პატარა თიხის ფიგურაზეა გამოსახული (როკფელერის მუზეუმი, იერუსალიმი).

ეროვნული ბიბლიოთეკა



სინაის მთა, სადაც ღმერთმა ისრაელიანებს კანონები მისცა, როგორც ღმერთსა და ადამიანს შორის ალთქმული კავშირის საფუძველი.

### მოსეს ეპოქის ალთქმა-ხელშეკრულებები

ალთქმის ანუ ხელშეკრულების მნიშვნელობა კარგად იყო ცნობილი მოსესდროინდელი საზოგადოებისათვის. არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ხეთური ხელშეკრულებების ტექსტები, რომლებიც ქ.წ. 1400-1200 წლებით თარიღდება. ხეთები მოსეს ცხოვრების პერიოდში მცირე აზიაში სახლობდნენ. ხელშეკრულებები ხშირად გამარჯვებულ და დამარცხებულ მეფე-მთავრებს შორის იდებოდა.

ხელშეკრულების შესავალ ნაწილში ავტორი წარადგენდა საკუთარ თავს და მიუთითებდა, თუ რა გააკეთა მეორე მხარისთვის. შეეძლო განსაზღვრული ტერიტორიის, ან ნივთის უკან დაბრუნების თხოვნა. ხშირად ტექსტს აბოლოვებდა ლოცვა-კურთხევა და წყევლა, იმისდა მიხედვით, შეასრულა თუ არა ფიცი მოპირდაპირე მხარემ (მეორე რჯულის წიგნის 28-ე თავში მოცემულია ლოცვა-კურთხევისა და წყევლის ჩამონათვალი).

ღმერთის ალთქმა ნებისმიერი მეფისა და მთავრის შეთანხმებას ჩრდილავს. ღმერთი, როგორც ალთქმის დამფუძნებელი თავის ერს კურთხევასა და წარმატებას შეჰპირდა.

## სამოქალაქო რჯული

ძველი ალთქმის სჯულდებით წიგნებში სხვადასხვა სახის კანონებს შევხვდებით, რომელთა ნაწილი იმ ეპოქის ცხოვრებისა და კულტურის გამოძახილია.

კანონები მიუთითებენ და განსაზღვრავენ განსაკუთრებულ ვითარებაში მისაღებ ქცევათა ნორმებს. მაგალითად, თუ ხარი ადამიანს მოკლავდა, ხარი უნდა მოეკლათ. ხოლო თუ ხარი ადამიანს დაასახიჩრებდა, მაშინ ხარის პატრონი დაზარალებულის სასარგებლოდ იხდიდა ჯარიმას.

კანონთა ნაწილი ოჯახური ცხოვრებისა და მონათმფლობელობის წესის განსაზღვრისაკენ იყო მიმართული. ამ კანონებს მოსახლეობის სუსტი და უუფლებო ფენის მიმართ გააჩნდა საგანგებო დამოკიდებულება, რადგან ღმერთი ისრაელიანებს ავალდებულებდა დაეცვათ ღარიბ-ღატაკი:

"როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ერთიანად ნუ მომკი შენს ყანას; სამკალში დაცვენილს ნუ აკრეფ... ყურძნის ბიბილოებს ნუ აკრებ ძირიდან; ღარიბ-ღატაკსა და მდგმურს დაუტოვე ისინი. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი... ნუ დაიტოვებ დილამდე ქირის კაცის გასამრჯელოს. ნუ გაქურდავ ყრუს და ნუ დაუდებ ბრმას წინ საბრკოლს. გეშინოდეს შენი ღვთისა. მე ვარ უფალი! უსამართლობას ნუ ჩაიდენ სასამართლოში, ზედმეტად ნუ მოუფრთხილდები ღარიბს და ზედმეტ პატივს ნუ მიაგებ დიდკაცს. სიმართლით განიკითხე შენი ახლობელი. ცილისწამებას ნუ დაიწყებ შენს ხალხში, ნუ აღდგები შენი თვისტომის სისხლის დასაღვრელად. მე ვარ უფალი!.. ნუ იქნები შურისმაძიებელი და ბოღმას ნუ ჩაიდებ შენი თვისტომის მიმართ; გიყვარდეს შენი ახლობელი, როგორც თავი შენი. მე ვარ უფალი!" (ლევ. 19:9-18)

## რიტუალური კანონი

კანონთა ერთი ნაწილი ღვთისმსახურებისა და თაყვანისცემის მრავალსახეობას განსაზღვრავდა. ნაწილი საკვების მიღების წესს: რა სახის საკვების მიღება შეიძლებოდა და რა სახისა – არა. მაგალითად, ღორის ხორცის, მოლუსკების ან ნებისმიერი უფარფლო და უქერცლო ზღვის არსების და ზოგიერთი სხვა სახის საკვების ჭამა აკრძალული იყო. შესაძლოა, ეს აკრძალვები სპეციფიკურ კლიმატში ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის იყო გამიზნული. ცხოველების წმიდად და უწმიდურად დაყოფა შესაძლოა სიმბოლურად მიანიშნებდა ისრაელის სხვა ხალხებისგან გამიჯვნას.

ამას გარდა, სხვა კანონები ადამიანის რიტუალურ სისუფთავეს განსაზღვრავდნენ. ეს ადამიანის ჰიგიენასთან იყო დაკავშირებული, მაგრამ ამ კანონის მთავარი მიზანი იმის ცხადყოფა იყო, რომ ისრაელის ღმერთი წმიდა და ცოდვამოუცხებელი ღმერთი იყო. ფიზიკური უწმიდურება სიმბოლურად სულიერი და ზნეობრივი სიბილწის გამოხატულებას წარმოადგენდა. იმისთვის, რომ ღმერთს თავის ხალხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


თან ეცხოვრა, მათ განუხრელად უნდა დაეცვათ სიწმიდისა და სისუფთავის წესები.

### ოქროს ხბო

ღმერთთან აღთქმის დაბეჭდვის, დამტკიცების შემდეგ მოსე ისევ მთაზე ავიდა და დიდი ხნით დარჩა. ხალხი დაიღალა ლოდინით. მათ დაივიწყეს და დაარღვიეს ღმერთთან დადებული აღთქმა და აიძულეს აარონი, რათა მათთვის ხილული ღმერთი გაეკეთებინა. აარონმა ხალხისგან ოქროს ნაკეთობები შეაგროვა, გადაადნო და ოქროს ხბო ჩამოასხა. გადაიხადეს დღესასწაული, ორგიებითა და ხბოს კერპის თაყვანისცემით.

მოსე და მისი თანაშემწე – იესო, როგორც იქნა გამოჩნდნენ. მოსეს ხელში ორი ფიქალი ეჭირა, რომელზეც ღვთის ხელით იყო დაწერილი ათი მცნება. ჯერ ბუნდოვნად, შემდეგ კი მკაფიოდ გაიგონეს ღრიანცელი, რომელიც ბანაკიდან ისმოდა. მოსე საქმის ვითარებაში მალე გაერკვა და განრისხდა. ქვის ფილები ძირს დაანარცხა და დაამსხვრია. აღელვებული მიეჭრა მოხეიმე, აღტყინებულ ხალხს და გონზე მოიყვანა. მას ვერ დაეჯერებინა, რომ ისრაელიანები ასე მალე დაარღვევდნენ მეორე მცნებას და ხელთქმნილ გამოსახულებას ეთაყვანებოდნენ.

რისხვით აღვსილმა მოსემ ოქროს ხბო ფხვნილად აქცია, სასმელ წყალში შეურია და ისრაელიანებს მისი დალევა უბრძანა. მცირე დროის გავლის შემდეგ მოსე ისევ აუყვა მთის ფერდობს და ღმერთს ამ მძიმე ცოდვის ჩამდენი ხალხის შეწყალება სთხოვა. მოსემ ასე მიმართა ღმერთს:

„უფალო! ღმერთო მწყალობელო და შემბრალებელო, სულგრძელო, დიდმადლიანო და ჭეშმარიტო. შემნახავო სიყვარულისა ათასთა მიმართ, დანაშაულთა, ცოდვათა და ბრალთა მიმტევებელო და შურისმგებელო, მამათა ცოდვის მომკითხავო." (გამ. 34:6-7)

მრავალჯერ შეიწყალა ღმერთმა თავისი ერი. მაგრამ სამწუხაროდ, კერპთაყვანისმცემლობა მომდევნო ასწლეულების მანძილზეც ვერ ამოიძირკვა ისრაელიდან. საბოლოოდ ამ მიზეზის გამო დაიშალა ისრაელი.

### სადღესასწაულო კარავი

ღმერთი შეჰპირდა თავის ხალხს, რომ ის მუდამ მათთან იქნებოდა. მისი სუფევა ღრუბლისა და ცეცხლის სვეტში ვლინდებოდა. მაგრამ ღმერთმა თაყვანისცემისა და მსახურებისთვის სავანე მოითხოვა: საკუთარი კარავი ისრაელის ბანაკის შუაგულში. მოსემ დახელოვნებულ ხელოსნებს ღმერთისგან დაწვრილებით მიღებული განსაკუთრებული, ანუ სადღესასწაულო კარვის მშენებლობის გეგმა გადასცა. სადღესასწაულო კარვის მრავალი გადატიხრული ოთახის, ან სათავსოს შუაგულში "წმიდათა წმიდა" მდებარეობდა. სადღესასწაულო კარავში არ იყო ღმერთის გამოსახულება. ეს აკრძალული იყო, რადგან კერპებს იმ დროის კერპთთაყვანისმცემელ ხალხთა საწმიდარებში ეთაყვანებოდნენ. კარავში მოთავსებული იყო ოქროთი დაფარული კიდობანი, რომელშიც მოსეს მიერ მთიდან ჩამოტანილი, ფიქალებზე ამოკვეთილი ღვთის რჯული იყო დასვენებული.

საწმიდარი იმით გამოირჩეოდა, რომ მისი ყოველი ნაწილი საყრდენი პალოებითა და რგოლებით იყო შენაწევრებული. იმის გამო, რომ ხალხი გამუდმებით იცვლიდა ადგილს, სადღესასწაულო კარავიც ადვილად გადასაადგილებელი უნდა ყოფილიყო. ისრაელის ღმერთი მეზობელი ხალხების ღმერთებს არ ჰგავდა, რომელთა ძალაუფლება მხოლოდ რომელიმე ტომის ტერიტორიაზე ვრცელდებოდა. რკაი ისრაელიანები გამუდმებით გზაში იყვნენ, ღმერთი მათ შეჰპირდა, რომ ისიც მათთან ერთად იმოგზაურებდა და მუდამ მათ შორის იქნებოდა.

მაგრამ, საჭირო გახდა ამკრძალავი ზომების მიღება, რათა ხალხს არ მოენდომებინა ღმერთთან უდიერად მიახლოვება. ამიტომ მხოლოდ ხელდასხმულ მღვდელს შეეძლო სადღესასწაულო კარავში მსახურება და ისრაელიანების დაბანაკებისას სწორედ მღვდლების საცხოვრებელ კარვებს შლიდნენ ხოლმე ღმერთის სავანის გარშემო. სადღესასწაულო კარავი ღმერთის თავის ერთან სუფევაზე მიანიშნებდა და ამავე დროს ხალხს ღმერთის სუფევის სიწმიდესთან მიახლოების საშიშროებისაგან იცავდა.

გამოსვლის წიგნი ღმერთის კურთხევით, მადლითა და სიწმიდით არის აღსავსე, მაგრამ ავტორი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ღმერთის სურვილია საკუთარ ხალხთან ყოფნა, მისი დაცვა და გადარჩენა. ღვთის რჩეულმა ერმა უდაბნოში ხეტიალის დროს ბევრი მწარე გაკვეთილი მიიღო. როდესაც მათ წყლის მარაგი ელეოდათ ბუზღუნებდნენ და მოსეს საჩივრებით იკლებდნენ. მაგრამ მალე აღმოჩნდებოდა, რომ ღმერთი პირობისამებრ მუდმივად ზრუნავდა მათზე და მათ საჭიროებებზე.

გამოსვლის წიგნი სადღესასწაულო კარვის მოწყობით მთავრდება. კარავს ღვთის სუფევის დიდებული ღრუბელი ერტყა გარშემო. ღმერთი მუდამ თავის ხალხთან იყო.

აარონის მიერ, ხალხის თხოვნით ჩამოსხმული რიტუალური ხბო ეგვიპტურ რელიგიას უკავშირდებოდა და ნაყოფიერების სიმბოლოს განასახიერებდა. ეს პატარა, ბრინჯაოსა და ვერცხლისგან დამზადებული ხბოს ქანდაკება, რომელიც 1991 წელს აშკელონში აღმოაჩინეს და ძ.წ. II საუკუნით, მოსეს ეპოქაზე ასწლეულებით გვიანი დროით თარიღდება და ამ კულტის სიცოცხლისუნარიანობაზე მეტყველებს.



## ლევიანნი

### მთავარი ამბები და მოვლენები

მსხვერპლშეწირვისა და ძღვენის მირთმევის კანონები 1-7

აარონისა და მისი შვილების მღვდლად კურთხევა 8-9

სიწმიდისა და უწმიდურების რიტუალური კანონი 11-15

გამოსყიდვის დღე 16

დიდი დღესასწაულები 23

წმიდა ცხოვრებისა და ღვთისმსახურების კანონები 17-21

## ლევიანნი

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ლევიანთა წიგნი ბევრად უფრო მეტია, ვიდრე მსხვერპლშეწირვისა და რიტუალური სამართლის და მათთან დაკავშირებული კანონების უბრალო ჩამონათვალი. წიგნის შინაარსი დაფუძნებულია მღვდლებისა და ლევიანების მოვალეობის განსაზღვრაზე, რაზედაც წიგნის სათაურიც მიგვანიშნებს.

ლევიანები ლევის შტოდან – ტომიდან იყვნენ. ისინი მღვდლები არ იყვნენ, ვინაიდან აარონის – პირველი მღვდელმთავრის შთამომავლები არ ყოფილან, მაგრამ მღვდლებს მოვალეობის აღსრულებაში ეხმარებოდნენ. ისინი რიტუალური მსახურების ზუსტად შესრულებისთვის დაწვრილებით მითითებებს ღებულობდნენ.

წიგნის მთავარი სიტყვაა "წმიდა." მღვდლების, ლევიანებისა და ხალხის ყოველდღიური ცხოვრება წმიდა და უბიწო უნდა ყოფილიყო ღვთის წინაშე. რადგანაც ისინი აღთქმით ურთიერთობაში იმყოფებოდნენ წმიდა ღმერთთან, თავადაც წმიდანი უნდა ყოფილიყვნენ.

წიგნის მნიშვნელოვანი ადგილი დათმობილი აქვს ისრაელიანთა დღესასწაულებს. ღმერთის მიერ ისრაელიანთა გადარჩენის დღესასწაული ყოველწლიურად აღინიშნებოდა.

### შენდობის დღე

ისრაელიანთა უმთავრესი დღესასწაული, რომელიც ღმერთის უწმიდესობას ახსენებდა ხალხს, შენდობის დღის დღესასწაული იყო. იმ დღეს არავინ შრომობდა, ყველა მარხულობდა. ხალხს უნდა შეეგნო და ეღიარებინა, რომ ღვთის ერთგულება და მორჩილება ვერ დაიცვეს. ამის შემდეგ საზეიმო ვითარებაში გმობდნენ ჩადენილ ცოდვებს.

მღვდელმთავრის გარდა, სადღესასწაულო კარვის წმიდათა წმიდაში შესვლის უფლება არავის ჰქონდა. მღვდელმთავარიც მხოლოდ წელიწადში ერთხელ შედიოდა წმიდათა წმიდაში, შენდობის დღეს. იგი სამსხვერპლო ცხოველის სისხლს ასხურებდა კიდობნის თავ-

## სადღესასწაულო კარავი

### ისრაელიანთა თაყვანისცემის კარავი

სადღესასწაულო კარვის აგების გეგმა აღწერილია გამოსვლის წიგნში. ისრაელიანებს დაევალათ ღმერთისთვის ადვილად გადასაადგილებელი კარვის მოწყობა, რათა აღთქმული მიწისკენ მიმავალთ თან წაეღოთ. დაბანაკების დროს ამ კარავს ისრაელიანების ბანაკის შუაგულში აღმართავდნენ ხოლმე იმის აღსანიშნავად, რომ ღმერთი ყოველთვის საკუთარი ხალხის წიაღში იყო დავანებული.

კარავი ორი ნაწილისგან შედგებოდა: შიდა სათავსოში — წმიდათა წმიდაში ღვთის აღთქმის კიდობანი იდგა, რომელშიც ფიქალებზე ამოკვეთილი ათი მცნება ესვენა. გარე სათავსოში — წმიდაში, იდგა შვიდსანთლიანი ლამპარი, საკმევლის სამსხვერპლო და ტაბლა. ღვთის სავანე დიდი, შემოღობილი ეზოთი იყო გარშემორტყმული, სადაც ხალხს მღვდლებთან შეხვედრა შეეძლო. ეზოში იდგა სამსხვერპლო აღსავლენი მსხვერპლისათვის და წყლით სავსე ბრინჯაოს საბანელი მღვდელმთავრებისათვის, რათა სავანეში შესვლამდე განბანილიყვნენ.



სადღესასწაულო კარავი. რეკონსტრუქცია. ბიბლიის მუზეუმი, ამსტერდამი

ეროვნული ბიბლიოთეკა


სარქველს, სამადლობელ მსხვერპლად, ისრაელიანთა ცოდვების შენდობის ნიშნად. სისხლი სიცოცხლის შეწირვას გულისხმობდა.

შენდობის დღე ცოდვების უარყოფისა და ღმერთთან ადამიანის შერიგებას გულისხმობდა. მღვდელმთავარიც მღვდლებისა და ხალხის ცოდვების შესანდობლად ცხოველს სწირავდა. შემდეგ ორ ვაცს ირჩევდა. ერთს აღსავლენ მსხვერპლად სწირავდა, ხოლო მეორეს მთელი ხალხის ცოდვებს აჰკიდებდა სიმბოლურად და უდაბნოში გაუშვებდა.

### შაბათი

შაბათი, როგორც ექვსი დღის შრომის შემდეგ ერთი დღით დასვენების წესი დაბადების წიგნში აღწერილ სამყაროს შექმნას უკავშირდება. დაბადების წიგნი გვაუწყებს, რომ ექვსი დღის შემოქმედების შემდეგ, მეშვიდე დღეს ღმერთმა დაისვენა და ეს დღე წმიდაყო. ამ დღის საგანგებოდ აღნიშვნას ითხოვს ათი მცნებაც. იგი ისრაელიანების ღმერთთან კავშირის ერთ-ერთი დამადასტურებელი ნიშანია. შაბათი ერთგვარი დღესასწაული იყო, ხალხი ყოველდღიური შრომისგან თავისუფლდებოდა და ღვთის აღთქმას მოწიწებით იხსენებდა. ამ დღეს მონები და საქონელიც თავისუფლდებოდნენ შრომისაგან.

### პასექი – უფუარობის დღესასწაული

უფუარობის დღესასწაული მთავარი ყოველწლიური დღესასწაული იყო ისრაელში. ეს იყო პირველი მუდმივი დღესასწაული ქანაანის დაპყრობის შემდეგ. ყველა ისრაელიანი მამაკაცი ვალდებული იყო საწმიდარში – სადღესასწაულო კარავში, ხოლო მოგვიანებით ტაძარში, გამოცხადებულიყო. პირველი უფუარობის, ანუ ღვთის პასექის დროს ღმერთმა ისრაელიანები ეგვიპტელთა მონობიდან გაათავისუფლა და სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად იქცა პასექი ისრაელის უმთავრეს დღესასწაულად. ღმერთის მიერ ისრაელის გამოსყიდვის გასახსენებლად ჭამდნენ შემწვარ კრავსა და მწარე მწვანილს, რაც ეგვიპტის მონობის სიმწარესა და ტანჯვას განასახიერებდა. ამას გარდა შეექცეოდნენ უფუარ კვერს ეგვიპტიდან გამოსვლის უკანასკნელი ღამის – პასექის ღამის მსგავსად.

უფუარობა (უფუარი კვერის დღე) მიწათმოქმედების დღესასწაულად მიაჩნია ზოგიერთ მკვლევარს, რადგან იგი ქერის მოსავლის აღებას ემთხვეოდა, როცა პირველმოწეული ქერის მოსავლის ძნას ღმერთს უძღვნიდნენ. ბიბლია უფუარობასა (უფუარი კვერის ჭამა) და პირველ პასექს ერთმანეთთან აკავშირებს, რადგან ეგვიპტიდან გასაქცევად მომზადებულ ისრაელიანებს დრო არ რჩებოდათ, რომ ცომის გაფუვებას დალოდებოდნენ.

### შვიდეულის დღესასწაული

პასექისა და ქერის ძნის ღვთისადმი მიძღვნიდან შვიდი კვირის შემდეგ დგებოდა შვიდეულის დღესასწაული, ანუ ორმოცდაათობის დღე, რადგან მას ქერის მოსავლის აღებიდან ორმოცდამეათე დღეს ზეიმობდნენ. მარცვლეულის მოსავლის აღება ამ ორმოცდაათი დღის განმავლობაში მთავრდებოდა. ამის აღსანიშნავად ისრაელიანები ღმერთს ძღვენს სწირავდნენ. ეს იყო მეორე მნიშვნელოვანი მოვლენა ისრაელის ცხოვრებაში, როდესაც ყოველი მამაკაცი ღვთის საწმიდარში უნდა გამოცხადებულიყო.

### კარვობის დღესასწაული

ეს იყო მესამე დღესასწაული, რომელზეც ისრაელიანები აუცილებლად უნდა მისულიყვნენ ღმერთის საწმიდარში და მადლობა შეეწირათ მოსავლის მიღებისათვის, ამიტომ ზოგჯერ მას სამკლის დღესასწაულსაც უწოდებდნენ. ის გამორჩეულად სასიხარულო დღესასწაული იყო, განსაკუთრებით ბავშვებისათვის. ხალხი ხის ტოტებისგან აშენებულ კარვებში ათენებდა ღამეს, ისე როგორც პალესტინაში ახალმოსახლეობის ჟამს. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ეს ჩვეულება მიწისმუშაკის მინდორში დაკავებას ემსახურებოდა, რაგდან  მოსავლის აღების დრო იყო. თუმცა, ლევიანთა წიგნი გვიხსნის, რომ ამ წესს უდაბნოში ხეტიალისას კარვებში ცხოვრება უნდა გაეხსენებინა ისრაელიანებისთვის.

### მსხვერპლშეწირვა

ცხოველების მსხვერპლშეწირვას ბევრი ბარბაროსულ წესად მიიჩნევს. მაგრამ ძველად, მთელ დედამიწაზე მსხვერპლშეწირვა სულიერ სამყაროსთან ურთიერთობის საშუალებად გაიაზრებოდა. ზოგიერთ რელიგიაში მსხვერპლშეწირვა ღმერთების დაპურების და მათი გულის მოგების მიზნით ხდებოდა. ბიბლია უარყოფს ასეთ შეხედულებას და ხაზს უსვამს ღმერთის სიწმიდეს, მის აბსოლუტურ სიკეთეს, უარყოფითისა და ბოროტის შეუთავსებლობას. მსხვერპლშეწირვას კი ცოდვილი და დაცემული ადამიანის ღმერთთან მიახლოების ერთგვარ საშუალებად თვლის.

სხვადასხვა სახის მსხვერპლშეწირვა განკუთვნილი იყო განსხვავებული შემთხვევებისა და სიტუაციისთვის. მაგრამ, ნებისმიერ ვითარებაში მსხვერპლშეწირვა იმაზე მიანიშნებდა, რომ ადამიანი ღმერთთან ახლოს მისვლის ღირსი არ იყო. თუ კაცი ღმერთთან მიახლოვებას განიზრახავდა, ჯერ მისი ცოდვები უნდა გამოსყიდულიყო. სწორედ ცოდვების მიტევების საჭიროებით იყო გამოწვეული მსხვერპლშეწირვა ისრაელში.

აი, როგორ მიმდინარეობდა მსხვერპლშეწირვა:

მსხვერპლის შემწირავი სამსხვერპლოსთან მიდიოდა, რომელიც სადღესასწაულო კარვის წინ, შემოღობილ ეზოში მდებარეობდა და საუკეთესო, უნაკლო, ზუსტად განსაზღვრული სახეობის შინაური ცხოველი მიჰყავდა თან. სამსხვერპლოს წინ მღვდელი ცხოველს თავზე ხელს დაადებდა, ანუ საკუთარ თავს მასთან გააიგივებდა. შემდეგ საკუთარი ხელით დაკლავდა სამსხვერპლო ცხოველს და სამსხვერპლოს ძირსა და რქებს სისხლს აპკურებდა. შეწირულ ცხოველს კი ცეცხლზე სწვავდნენ. ზოგჯერ, ხორცის ნაჭერს ააჭრიდნენ და იქვე შეექცეოდნენ.

მკაფიოდ არ არის ახსნილი, თუ როგორ გამოისყიდავდა მსხვერპლთშეწირვა ცოდვას, მაგრამ, როდესაც მსხვერპლის შემწირავი ცხოველთან აიგივებდა საკუთარ თავს, მკაფიოდ აჩვენებდა, რომ ის, როგორც ღვთის კანონის დამრღვევი, შეწირული ცხოველის ხვედრს იმსახურებდა. ცხოველი მისი გულისთვის კვდებოდა. არსებობდა მსხვერპლშეწირვის განსხვავებული სახეები. "სამადლობელი მსხვერპლის" შეწირვისას შეწირული ცხოველის ხორცს შეექცეოდნენ, რაც ღმერთთან და მოყვასთან ურთიერთობის განახლებაზე მიანიშნებდა.

მსხვერპლშეწირვის წესი, რომელიც შთამბეჭდავ სანახაობას წარმოადგენდა, მეტყველებდა იმის შესახებ, რომ თითოეული ადამიანის ცოდო-ბრალი წმიდა ღვთის წინაშე უნდა ყოფილიყო მიტანილი.

### რიტუალი

ლევიანთა წიგნისა და საერთოდ ხუთწიგნეულის დიდი ნაწილი რიტუალების აღწერას აქვს დათმობილი. შეუძლებელია სადღესასწაულო კარვის მშენებლობის და მსხვერპლშეწირვის პროცედურის დაწვრილებითი ინსტრუქციის მნიშვნელობის ან დანიშნულების ახსნა-განმარტება. ზოგიერთი მეცნიერის აზრით რელიგიური რიტუალი ამა თუ იმ ერის განსაკუთრებული თვისებების შესწავლასა და გაგებაში გვეხმარება. რიტუალი ერის ფასეულობებსა და მიდრეკილებებს ასახავს.

საზოგადოების ყველა ფენას თავისი რიტუალები და ტრადიციები აქვს, მაგრამ, ამის მიუხედავად, შეიძლება რიტუალების ურთიერთმსგავსების გამო, ჩვენი განსხვავებულობა თვალში საცემი არ იყოს. ისრაელიანთა რიტუალების მთავარი დანიშნულება იყო ღმერთის სიწმიდის ხაზგასმა, იმის დამტკიცება, რომ ღმერთი სრულყოფილია და ცოდვილისთვის მიუწვდომელი. რიტუალები ხალხს ღმერთთან ურთიერთობას, ღვთის რჯულის დაცვას და პირადი სიწმიდის შენახვას ასწავლიდა.

ლევიანთა წიგნის მეცხრამეტე თავი მშვენიერი მაგალითია იმისა, თუ როგორ ვლინდებოდა ისრაელიანთა ყოველდღიურ ცხოვრებაში სიწმიდე. ღვთის რჯულმა ცხოვრების ყველა სფერო მოიცვა: ზუსტი სასწორებიდან დაწყებული და უუფლებო ადამიანებზე ზრუნვით დამთავრებული. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ღმერთის სიყვარული და მორჩილება ყოველგვარ რიტუალს აღემატება.

ლევიანთა წიგნი გარკვევით აღწერს ღმერთის აღთქმას, რომ რჩეულ ერსა და მათ სამკვიდროს აღადგენდა. ყოველ მეშვიდე წელს ანუ შაბათის წელს მიწას ასვენებდნენ. ყოველი ორმოცდამეათე წელი კი ეგრეთწოდებულ "საიუბილეო" წლად ცხადდებოდა. ამ დროს მიწას მის ნამდვილ პატრონს უბრუნებდნენ და მონებს ათავისუფლებდნენ.

## რიცხვნი

**მთავარი ამბები და მოვლენები**


ცხოვრება უდაბნოში, სინაის მთა და სხვა 14

ქანაანის დაზვერვა 13

ორმოცწლიანი ხეტიალი 14

კორახის აჯანყება 16

კლდიდან გადმოხეთქილი წყალი 20

სპილენძის გველი 21

ბალაკი და ბალაამი 22-24

ქანაანის საზღვრები 34


## რიცხვნი

რიცხვნის წიგნი ისრაელიანებს მათი შტოების მიხედვით ჩამოთვლის – წიგნის სათაური სწორედ იმ აღწერიდან მომდინარეობს, რომლითაც ის იწყება. ის, რაც ჩვენთვის ერთი შეხედვით მშრალ საკითხავად გამოიყურება, ამაღელვებელი და საინტერესო იყო იმ ხალხისთვის, რომლებიც თავისი წინაპრების ამბებს კითხულობდნენ. მაგრამ ეს წიგნი ისრაელის მოსახლეობის აღწერაზე ბევრად მეტს მოიცავს. ამ წიგნში აღწერილია ის კანონები, რომლებიც ისრაელიანთა უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალის გამოძახილს წარმოადგენს.

### კადეშ-ბარნეაყი

წიგნის ერთი მთავარი ამბავი მოგვითხრობს, თუ როგორ გაგზავნა კადეშიდან მოსემ თითოთითო კაცი ისრაელის თორმეტი შტოდან, ქანაანის მიწა-წყლის დასაზვერად, რათა აღთქმულ ქვეყანაში შესასვლელად ნიადაგი მოემზადებინა. ხილი, რომელიც უკანდაბრუნებულებმა ისრაელიანთა ბანაკში მოიტანეს საოცრად მაწიერი და ზომით შთამბეჭდავი იყო. მაგრამ თორმეტი მზვერავიდან მხოლოდ ორმა ირწმუნა, რომ ღმერთი ამ მიწას მათ მისცემდა. დანარჩენი ათი ადგილობრივი მოსახლეობის გოლიათურ აღნაგობას შეუშინდა და გამარჯვების იმედი დაკარგა. ხალხმა ამ უკანასკნელთა მხარე დაიჭირა და ღმერთის რწმენა და მისი აღთქმა უარყო:

> "ატეხა მოთქმა მთელმა საზოგადოებამ და ტიროდა ხალხი იმ ღამეს." (რიცხ. 14:1)

ტყუილად ევედრებოდნენ ისრაელიანებს ღმერთზე მინდობილი ქალებ იეფუნის ძე და იესო:

“თუ გვწყალობს უფალი, შეგვიყვანს მაგ ქვეყანაში და მოგვცემს მაგ ქვეყანას, სადაც რძე და თაფლი დის... უფალი კი ჩვენთან არის. ნუ გეშინიათ!”

(რიცხ. 14:8-9)

მაგრამ, ხალხი მათ არ უსმენდა და იმის გამო, რომ ღვთის რწმენა შესუსტდა, უდაბნოში ორმოცწლიანი ხეტიალით დაისაჯნენ. ეს დრო ამ ურწმუნო თაობის გარდასვლისთვის საკმარისი აღმოჩნდა. ბოლოს და ბოლოს, იესო ნავეს ძე და ქალებ იეფუნის ძე ახალ თაობას შეუძღვნენ აღთქმულ ქვეყანაში.

## შხამიანი გველები

რიცხვთა წიგნი უდაბნოში ხალხის დიდ თავგადასავალზე და გამოცდილების მიღებაზე მოგვითხრობს. აქვე საუბარია იმაზე, თუ როგორ ასწავლიდა ღმერთი ხალხს მოსეს საშუალებით. ერთხელ ისრაელიანები ისევ დაუბრუნდნენ ღმერთისა და მოსეს წინააღმდეგ დრტვინვასა და ჩივილს:

“რისთვის მოგვიყვანა უფალმა ამ ქვეყანაში, სადაც მახვილი მოგვიღებს ბოლოს?”

საპასუხოდ ღმერთმა შხამიანი გველების სასჯელი დაუშვა მათზე. ხალხი სინდისის




ეგვიპტიდან გამოსვლა და უდაბნოში ხეტიალი

### მოსეს ცხოვრება

მოსე დაიბადა ეგვიპტეში იმ დროს, როდესაც ფარაონმა ისრაელიანთა ყოველი ახალშობილი ვაჟის მოკვლა ბრძანა; მოსე იყო ძე ლევიანი ყამრამისა და იოქებედისა (გამ. 2:6).

სიკვდილისაგან რომ დაეხსნათ, შეგოზილ კიდობანში ჩააწვინეს და მდინარე ნილოსის ნაპირას, ლერწმიანში ჩაუშვეს. ჩვილი ეგვიპტის მეფის ასულმა იპოვა, ჩვილის დედა ძიძად დაუყენა და სამეფო კარზე აღზარდა (გამ. 2).

იცავდა რა თავის ხალხს, მოსემ ეგვიპტელი ზედამხედველი მოკლა და ქვეყნიდან გადაიხვეწა (გამ. 2).

მიდიანის ქვეყანაში დაქორწინდა და ორმოცი წელი მწყემსად ედგა სიმამრს — ითროს (გამ. 2-3).

უდაბნოში ღმერთმა მოუწოდა მოსეს და უბრძანა ისრაელიანთა მონობის ქვეყნიდან გაყვანა (გამ. 3).

მოსე ეგვიპტეში დაბრუნდა, მაგრამ ფარაონისაგან ხალხის გაშვებაზე უარი მიიღო. მოსემ და მისმა ძმამ აარონმა ღმერთის საშინელი განაჩენი — ათი სასჯელი გამოაცხადეს (გამ. 7-12).

ახალშობილ პირმშოთა სიკვდილი; პასექი; მოსე ხალხის ეგვიპტიდან გასვლას ხელმძღვანელობს (გამ. 12-13).

მეწამული ზღვის გადალახვა და გამარჯვების სიმღერა (გამ. 13-15).

მოსემ ხალხს ღვთის რჯული მისცა, ღმერთთან აღთქმა დაბეჭდა (გამ. 20-24).

ოქროს ხბო; განრისხებულმა მოსემ აღთქმის ფიქალები დალეწა, მაგრამ ღმერთთან იშუამდგომლა ისრაელის ცოდვების შესანდობლად (გამ. 32).

კადეშიდან ქანაანში მზვერავები გაიგზავნა; ღმერთისგან განდგომის გამო ისრაელი ორმოცი წელი უდაბნოში დაეხეტებოდა, მოსე მათ წინ მიუძღვოდა და ამხნევებდა (რიცხ. 13).

კლდიდან გადმოხეთქილი წყალი; მოსეს რისხვა (რიცხ. 20).

მოსე უკანასკნელად მოუწოდებს ისრაელიანებს და ღმერთის აღთქმას ახსენებს; იესო ნავეს ძეს ხალხის წინამძღოლად ნიშნავს და აღთქმულ მიწას ნებოს მთის მწვერვალიდან ფისგადან გადაჰხედავს (რჯლ. 34).

რიცხვთა წიგნი მოსეს თავმდაბალ, მორჩილ ადამიანად გვიხატავს. სწორედ ეს თვისება წარმოადგენდა მის უმთავრეს ღირსებას. აღსანიშნავია ეგვიპტის სამეფო კარზე მიღებული განათლება. ღმერთმა ისრაელის წინამძღოლად აირჩია. სიმართლით ცხოვრობდა მოსე. მოთმინებით იტანდა ხალხის გაუთავებელ დრტვინვასა და ურჩობას. ხშირად, როდესაც ხალხი ღმერთს არად აგდებდა, მოსე მრისხანედ მიმართავდა მათ.

მან არა მხოლოდ ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა და აღთქმულ მიწამდე მიიყვანა ხალხი, არამედ მისცა ღვთის რჯული და ისრაელსა და ღმერთს შორის აღთქმა დადო. დაუმორჩილებელი ბრბო გააერთიანა. ზრუნავდა ხალხის ყოველდღიური საჭიროებებისათვის და სამართლიანობის დამკვიდრებას უწყობდა ხელს. ბრძოლებში ისრაელიანებს გამარჯვებისკენ მიუძღვოდა.

მეორე რჯული მის დამსახურებებს ამ სიტყვებით აჯამებს:

“აღარ გამოჩენილა ისრაელში, წინასწარმეტყველი, მსგავსი მოსესი, რომელსაც პირისპირ იცნობდა უფალი, ყველა იმ ნიშნით და სასწაულით, რომელთა მოსახდენად მოავლინა უფალმა ეგვიპტის ქვეყანაში ფარაონისათვის, მის მორჩილთათვის და მთელი ქვეყნისთვის, იმ მაგარი ხელით და დიადი სასწაულებით, რომელნიც მოიმოქმედა მოსემ მთელი ისრაელის თვალწინ.” (რჯლ. 34:10-12)


ეროვნული ბიბლიოთეკა

როდესაც ისრაელიანებს უდაბნოში შხამიანი გველები გესლავდნენ, ისინი იღუპებოდნენ, მაგრამ ღმერთმა ისინი განკურნების ხერხით უზრუნველყო. ეს არის შხამიანი ველის რქიანი გველგესლა.



ქენჯნით მივიდა მოსესთან და შეევედრა, რომ ღვთისთვის გველებისგან დახსნა ეთხოვა. ღმერთმა მოსეს თხოვნა შეისმინა და უბრძანა მას თითბრის, თუ სპილენძის გველი გაეკეთებინა და მაღალ სარზე დაემაგრებინა. ყოველი დაკბენილი ისრაელიანი, სპილენძის გველს თუ შეხედავდა, სიკვდილს უთუოდ გადაურჩებოდა. ეს ღმერთის კიდევ ერთი აშკარა მოწყალება იყო, რათა ხალხს ღვთის ნდობა და მორჩილება ესწავლა.

### საკვები

უდაბნოში ხეტიალით დაღლილ-დაქანცული ისრაელიანები ხშირად საუბრობდნენ ეგვიპტეში ცხოვრების დროინდელ საკვებზე – თევზზე, კიტრზე, ნესვზე, პრასსა და ნიორზე. უდაბნოში ასეთი საკვების შოვნა შეუძლებელი იყო. ამის ნაცვლად, იძულებულნი იყვნენ ისეთი საკვებით დაკმაყოფილებულიყვნენ, რომელსაც ისინი "მწირ საკვებად" მიიჩნევდნენ.

ღმერთმა უდაბნოში ცხოვრებისას ხალხი განსაკუთრებული საკვებით მოამარაგა. გამოსვლის წიგნი აღწერს მას, როგორც თეთრსა და ტკბილ ფანტელებს, რომელიც მზეზე დნებოდა. ხალხი მას "მანას" ეძახდა, რაც თარგმანში ამ მნიშვნელობით შეიძლება გავიგოთ: "რა არის ეს?" რადგან, როდესაც პირველად იხილეს ვერ მიხვდნენ, თუ რა იყო. მანა ყოველ დილით ფარავდა მიწას. შესაძლოა ეს იყო საკვები ნივთიერება, რომელსაც უდაბნოს ველურ ვარდზე დაბუდებული ორი სახეობის მწერი ტოვებს.

### ლოცვა-კურთხევა

ყოველთვის, როდესაც ღმერთის სუფევის ღრუბელი და ღვთის აღთქმის კიდობანი სადმე ჩერდებოდა, ისრაელიანები მაშინვე ბანაკს დასცემდნენ. აი, ასე ლოცულობდა მაშინ მოსე:

"დაბრუნდი, უფალო, ისრაელის ბევრათასეულთან."
(რიცხ. 10:36)

ხოლო მაშინ, როდესაც ღვთის სუფევის ღრუბელი და აღთქმის კიდობანი ადგილიდან დაიძრებოდა, მოსე ასე ლოცულობდა:

"აღიმართე, უფალო, და გაითფანტებიან შენი მტრები, გაიქცევიან შენი პირისგან შენი, მოძულენი."
(რიცხ. 10:35)

აარონი და მღვდლები ხალხს ასეთი ლოცვით აკურთხებდნენ:

"უფალმა გაკურთხოს და დაგიფაროს; უფალმა მოგანათოს თავისი სახე და შეგიწყალოს; უფალმა მოგაპყრას თავისი სახე და სიმართლე მოგცეს."
(რიცხ. 6:24-26)

უდაბნოში გატარებული მრავალწლიანი ცხოვრების შემდეგ, ისრაელიანთა თვალწინ ნაყოფიერი "აღთქმული მიწა" გამოჩნდა, რომელიც ხალხს ორმაგად თვალწარმტაცი ეჩვენა: მიწა, სადაც "რძე და თაფლი მოედინება." უდაბნოს ხრიოკი მიწის ნაცვლად მათ წინაშე იყო სანახევროდ დამშრალი მდინარის ამწვანებული ჭალები.





ამ წიგნს ძველი აღთქმის "მაჯისცემას" უწოდებენ. წიგნი ღმერთისა და ისრაელის აღთქმის განახლება-აღდგენას აღწერს და სწორედ ამიტომ აქვს ასეთი სათაური.

წიგნის დედააზრია მოსეს გამოსამშვიდობებელი სიტყვა ისრაელიანთა მიმართ, როდესაც მათ როგორც იქნა აღთქმულ მიწას მიაღწიეს. მოსეს აღთქმული ქვეყნის მიწაზე ფეხის დადგმის უფლება არ ჰქონდა, რადგან ისრაელიანთა გაუთავებელი ურჩობის გამო ღმერთმა დასაჯა იგი და უთხრა, რომ მხოლოდ შორიდან იხილავდა ქანაანის მიწას.

მეორე რჯულის წიგნში მოსე წარსულს მიმოიხილავს და ხალხს ახსენებს ღმერთის სიყვარულისა და სამართლიანობის ამბებს. აღთქმის პირობებს უმეორებს თავის ხალხს და ღმერთის ერთგულებისკენ მოუწოდებს. ისინი მორჩილად უნდა ასრულებდნენ აღთქმის ყოველ პირობას, თუკი სურთ წინ გადაშლილ ახალ ცხოვრებაში ღვთის კურთხევა მიიღონ.

წიგნი მოსეს სიკვდილით მთავრდება. სარბიელზე გამოდის ახალი წინამძღოლი, იესო ნავეს ძე, რომელიც ისრაელს აღთქმული ქვეყნისკენ გაუძღვება.

**მეორე რჯულის წიგნის შედგენა და მისი თარიღი**

ამ წიგნის შექმნის თარიღზე უამრავი თვალსაზრისია გამოთქმული: მოსეს პერიოდიდან დაწყებული და გადასახლების ეპოქით დამთავრებული (სხვაობა 600 წელია). ზოგიერთის აზრით წიგნის ნაწილი მოსეს ეკუთვნის, მაგრამ უმეტესობა მიიჩნევს, რომ წიგნი დაიწერა ან შეიკრიბა ქ.წ. VII საუკუნეში. ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ წიგნი ლევიანებმა ან რჯულის მცოდნეებმა შეადგინეს. შესაძლოა, წიგნი ისრაელიდან იუდაში გადმოხვეწილმა წინასწარმეტყველებმა შეკრიბეს, მას შემდეგ, რაც მათი დედაქალაქი — სამარია დაეცა; შესაძლოა იგი იმავე ავტორებმა შეადგინეს, რომლებიც იუდას ტომის მატიანეს შედგენაზე იყვნენ პასუხისმგებლები (4 მეფ. 21). მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეორე რჯულის შემდგენლები მონაწილეობდნენ იესო ნავეს ძის, მსაჯულთა და მეფეთა წიგნების შექმნაშიც. ამ წიგნებში ღმერთის აღთქმის მნიშვნელობის ავტორისეული გაგების საოცარი მსგავსება დაინახეს. ამ შემდგენლებს "დეუტერონომისტები" ანუ მეორე რჯულის ავტორები ეწოდებათ.

## სიყვარული და მორჩილება

ღვთის სამართლიანობის იდეა მეორე რჯულის წიგნის მთავარი თემაა. მოსემ ისრაელიანებს წარსულის ორმოცწლიანი ისტორია გადაუშალა თვალწინ და ღმერთის გამუდმებული მზრუნველობა შეახსენა. მრავალი გაჭირვების მიუხედავად, აშკარა იყო, რომ ღვთის სიყვარული მიუძღოდა მათ გზაზე:

"გახსოვდეთ მთელი ის გზა, რომლითაც მოჰყავდი ეს ორმოცი წელი უფალს, შენს ღმერთს, უდაბნოში, რომ მოეთვინიერებინე, გამოეცადე, რომ სცოდნოდა, რა გიდევს გულში, დაიცავდი თუ არა მის მცნებებს. გათვინიერებდა, გაშიევდა და გაჭმევდა მანანას, რომელიც არ იცოდი არც შენ და არც შენმა მამა-პაპამ, რათა მიმხვდარიყავი, რომ მხოლოდ პურით არ ცოცხლობს კაცი, არამედ უფლის პირიდან გამომავალი ყოველი სიტყვით ცოცხლობს კაცი." (რჯლ.8:2-3)

წიგნის შემდგენლები ხაზგასმით აღნიშნავენ, თუ როგორ უნდა უპასუხოს ისრაელმა ღმერთის მამობრივ მზრუნველობას. ისინი მორჩილად უნდა ემსახურონ ღმერთს:

"ეცადეთ, ისე მოიქცეთ, როგორც ნაბრძანები აქვს თქვენთვის უფალს, თქვენს ღმერთს: არ გადაუხვიოთ არც მარჯვნივ, არც მარცხნივ. სულ იმ გზაზე იარეთ, როგორც გიბრძანა უფალმა, თქვენმა ღმერთმა, რომ იცოცხლოთ, სიკეთე გქონდეთ და დღეგრძელი იყოთ ქვეყანაში, რომელსაც დაიმკვიდრებთ." (რჯლ. 5:29-30)

მეორე რჯული ათ მცნებას იმეორებს, აჯამებს მას და ორიოდე ფრაზით გამოხატავს:

"ისმინე, ისრაელო! ერთია უფალი, უფალი ჩვენი ღმერთი. გიყვარდეს უფალი, შენი ღმერთი მთელი შენი გულითა და სულით, მთელი შენი შეძლებით."
(რჯლ. 6:4-6)

ღვთის რჯული სიყვარულში აღსრულდა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

## მთავარი ამბები და მოვლენები

"არ დაგავიწყდეს" მთელი წიგნის დედააზრი ის არის, რომ მოსე ხალხს ახსენებს ღმერთის ბრძანებებს და წყალობას

ათი მცნება 5

მორჩილება და ურჩობა: წყევლა და კურთხევა 27-28

იესო ნავეს ძე, ახალი წინამძღოლი 31

მოსეს გალობა და კურთხევა 32, 33

მოსეს აღსასრული 34

ეროვნული ბიბლიოთეკა

3

# ნაირგვარი ისტორიები

## იესო ნავეს ძე · მსაჯულნი · რუთი · მეფეთა · ნეშტთა

Თუკი ბიბლიას იესო ნავეს წიგნიდან დაწყებული მეოთხე მეფეთა წიგნის ჩათვლით ერთი თვალის გადავლებით წავიკითხავთ, შესაძლოა ვირწმუნოთ, რომ ისინი ისრაელის ისტორიას ასახავენ მხოლოდ. ეს წიგნები ებრაელი ხალხის ცხოვრებას გადმოგვცემენ ღვთის აღთქმულ ქვეყანაში, ქანაანში შესვლიდან ბაბილონის ტყვეობამდე. ეს კი დაახლოებით 600 წელიწადს მოიცავს. მაგრამ ეს წიგნები მხოლოდ ისტორიული ამბების აღწერით არ შემოიფარგლება. თუკი ბიბლიის წიგნების ებრაულ თანმიმდევრობას მოვიშველიებთ, აღმოჩნდება, რომ ებრაული ტრადიციით ეს წიგნები ისტორიული კი არ არის, არამედ ადრეწინასწარმეტყველური.

წინასწარმეტყველია ის პიროვნება, რომელიც ღმერთის ნებას, თვალსაზრისსა და გადაწყვეტილებას გვამცნობს და გვიხსნის. სწორედ ასე იქცევიან ამ წიგნების ავტორები. ისინი მხოლოდ აღწერილი ამბების დეტალური გადმოცემით კი არ არიან დაინტერესებულნი, არამედ მოვლენების ღვთისეული შეფასების ასახვით. ისინი კაცობრიობის ცხოვრებისა და ადამიანური საქმეებისადმი ღმერთის დამოკიდებულებას გადმოგვცემენ. ეს წიგნები ისტორიას საერო ისტორიის საპირისპირო თვალსაწიერიდან აშუქებენ.

პირველი და მეორე ნეშტთა წიგნები, როგორც ფიქრობენ, ბიბლიის ამ ნაწილში თავმოყრილ წიგნებზე გვიან არის დაწერილი, მაგრამ ამის მიუხედავად, ადრეული წარსულის ამბებს გადმოსცემენ მათი თანამედროვე მკითხველის შესაგონებლად. ნეშტთა წიგნები ისრაელიანების ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დაიწერა და ხალხის რწმენის აღდგენასა და მათ გამხნევებას ემსახურებოდა.

### იესო ნავეს ძე

მოსეს ბადალი წინამძღოლი ისრაელს აღარასოდეს ჰყოლია. ის განუმეორებელი და გამორჩეული პიროვნება იყო. ეგვიპტის მონობიდან გამოიყვანა ხალხი და აღთქმული ქვეყნის, ქანაანის საზღვრებამდე მიიყვანა. მოსე გარდაიცვალა. ღმერთმა რჩეული ერის გადასარჩენად ახალი წინამძღოლი აირჩია. იესო ნავეს ძეს, მოსეს მარჯვენა ხელს, მიანდო ღმერთმა მოსეს დაწყებული საქმის დასრულება. ღმერთმა მას დაავალა ამ დიდი საქმის განხორციელება და განსაკუთრებული აღთქმა დაუდო:

"როგორც მოსესთან ვიყავი, ასევე შენთან ვიქნები, არ გამოგეცლები და არ მიგატოვებ. გამაგრდი და მტკიცედ დეგ, რადგან შენ უნდა დაუმკვიდრო ამ ხალხს ის ქვეყანა, რომლის მიცემასაც შევპირდი მათ მამა-პაპას. ოღონდ გამაგრდი და მტკიცედ დეგ მთელი რჯულის აღსრულებაში, რაც გიანდერძა მოსემ, ჩემმა მორჩილმა. არ გადაუხვიო მისგან არც მარჯვნივ, არც მარცხნივ, რომ ყველგან წარმატებით იარო."
(იესო 1:5-7)

ამ სიტყვებით გაამხნევა ღმერთმა იესო, გამხნევება კი მას მართლაც ესაჭიროებოდა. ქანაანი, ქვეყანა, რომლის დამკვიდრებას აბრაამის შთამომავლობას შეჰპირდა ღმერთი, უკაცრიელი არ იყო და არც ისრაელიანებს ელოდა მოუთმენლად. ქვეყნის მიწა-წყალი სხვადასხვა ტომებს ეპყრათ, მოსახლეობა იმ ქალაქ-სახელმწიფოებში ცხოვრობდა, რომლებიც ეგვიპტიდან არამისა (სირია) და შუამდინარეთისაკენ მიმავალ გზაზე მრავლად იყო გაშენებული ვაკეებზე. დრო და დრო ეს პოლიტიკური გაერთიანებები ეგვიპტის გავლენის ქვეშ ექცეოდნენ. თითოეულ მტკიცე გალავნით შემოზღუდულ ქალაქს საკუთარი მმართველი ჰყავდა, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობასა და დაცვაზე ზრუნავდა. ისრაელიანებს ქანაანში დასასახლებლად ამ ტერიტორიების ბრძოლით დაპყრობა და მოსახლეობის აყრა-განადგურება მოუწევდათ.

იესოს პირველი წინაღობა იყო დიდი და ძლიერი სასაზღვრო ქალაქი – იერიხო, მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი ქალაქი. ორი კაცი გაიგზავნა ქალაქის სანახების დასაზვერად. თავად ისრაელიანები კი მდინარე იორდანეს აღმოსავლეთით იყვნენ დაბანაკებულნი, ქანაანის საზღვარზე.

მზვერავები იერიხოს მეფის ჯარისკაცებისაგან იხსნა რახაბმა, მეძავმა ქალმა. რახაბმა მისი სახლის სხვენზე დამალულ ორ ისრაელიან მზვერავს აუწყა, რომ მას გაგონილი ჰქონდა ისრაელიანთა ღმერთის დიადი საქმეების ამბავი.

### იესო ნავეს ძე

#### მთავარი ამბები და მოვლენები

იესოს წინამძღოლობა მიანდეს 1

რახაბი და მზვერავები 2

მდინარე იორდანეს გადალახვა 3

იერიხოს დაცემა 5,6

ყაქანის ცოდვა; წარუმატებლობა ჰალაისთან 7,8

ქანაანის დაპყრობა 9-12

აღთქმული მიწის დანაწილება ისრაელიანთა ტომებს შორის 13-19

იესოს გამოსამშვიდობებელი სიტყვა და სიკვდილი 23-24

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მდინარე იორდანეზე გადასვლა

სამი დღის განმავლობაში ხალხი ერთი შეხედვით გადაულახავი მდინარე იორდანეს ნაპირზე იყო დაბანაკებული. გაზაფხულის წყალუხვობით ადიდებული და ნაპირებზე გადმოსული მდინარე აღთქმული მიწისაკენ მიმავალ გზაზე უკანასკნელი წინააღმდეგობა იყო, რომელიც ხალხს მიზნის აღსრულებაში უშლიდა ხელს. იესომ ისრაელის ბანაკს შეატყობინა, რომ ყველანი ღმერთის მოქმედებას უნდა დალოდებოდნენ. მღვდლები აღთქმის კიდობნით დაიძრნენ და ხალხი მათ მოკრძალებულ მანძილზე გაჰყვა. როდესაც მღვდლები ძვირფასი ტვირთით მდინარეში შევიდნენ, წყლის დინება უეცრად შეჩერდა და მდინარე კედლად აღიმართა, ხოლო მკვდარი ზღვისკენ მიმავალი წყალი თანდათან დაიწრიტა. ხალხმა მდინარის მშრალი კალაპოტი გადაკვეთა ისევე, როგორც მათმა მამებმა ეგვიპტიდან გამოსვლის შემდეგ მეწამული ზღვის მშრალი ფსკერი.

იესომ მომხდარი სასწაულის მაგალითით აუხსნა ხალხს, რომ ღმერთი, რომელსაც ასეთი დიდი ძალა აქვს, აუცილებლად დაუმკვიდრებდა აღთქმულ ქვეყანას თავის ერს. იორდანეს გადალახვის სასწაული იმის გარანტია იყო, რომ ღმერთი დახმარებას არ დააყოვნებდა:

"ამით დარწმუნდებით, რომ ცოცხალი ღმერთია თქვენს შორის და იგი აჰყრის თქვენგან ქანაანელებს."
(იესო 3:10)

იესომ უბრძანა ხალხს მდინარის ფსკერიდან თორმეტი დიდი ქვის აღება და მათგან ერთგვარი ნაგებობის აგება, რათა ისრაელიანთა შთამომავლებს ღმერთის დიადი საქმეები მუდამ ხსომებოდათ.

## უფლის მხედრობის თავი

იერიხოს მიდამოებში შეიარაღებული კაცი მიუახლოვდა იესოს. იესომ ჰკითხა, მტერი იყო ის თუ მოყვარე.

ახალმოსულმა უპასუხა:

"უფლის მხედრობის თავი ვარ. ახლა მოვედი."
(იესო 5:14)

იესო პირქვე დაემხო და თაყვანი სცა მას. ღმერთი მასთან იყო.

## იერიხოს დაცემა

ქალაქი იერიხო შეტევის ან ალყის შედეგად არ დაცემულა. სამხედრო ოპერაციის ნაცვლად უცნაური რიტუალი ჩატარდა. ღმერთის ბრძანებით ექვსი დღის მანძილზე, ისრაელის ჯარი ქალაქის გალავანს გარს უვლიდა. წინ იარაღასხმული დაცვა მიდიოდა, შემდეგ შვიდი მღვდელი მიჰყვებოდა ვერძის რქის ბუკებით, მათ უკან ღვთის აღთქმის კიდობანი მიჰქონდათ მღვდლებს, ბოლოში კი ისევ იარაღასხმული დაცვა მიჰყვებოდა. ლაშქარს ხმა არ უნდა ამოეღო. მეშვიდე დღეს კი პროცესიას შვიდგზის უნდა შემოევლო ქალაქის გალავნის გარშემო. და როდესაც მღვდლები ვერძის რქის ბუკებს დააყვირებდნენ, ისრაელიანთა ლაშქარს ყიჟინა უნდა დაეცა მთელი ძალით.

იესომ შეასრულა ღვთის უჩვეულო ბრძანება. მეშვიდე დღეს, მეშვიდე წრის შემოვლის შემდეგ, ლაშქარმა ხმამაღალი ყიჟინა დასცა და ქალაქის კედლები ჩამოიქცა. მებრძოლები გარღვეულ კედლებში შეიჭრნენ, აიღეს ქალაქი და მოსახლეობა დაატყვევეს. იესო და მთელი ისრაელი, ისე როგორც არასდროს, მიხვდა, რომ ქანაანში მოპოვებული გამარჯვებები მათი ძლიერების შედეგი კი არ იყო, არამედ ღმერთის დამსახურება.



იერიხო — "პალმების ქალაქი" იესოსა და ისრაელიანთა ლაშქრისათვის მსუყე ლუკმა იყო. მაგრამ ქალაქის თავდაცვის გატეხვა ადვილი არ აღმოჩნდა.



ვერძის რქის ბუკის — შოფარის ხმა იერიხოს დაცემის მაუწყებელი იყო.

## ქანაანის მოსახლეობა

ალბათ შეგვაშფოთა იმ სისხლიანი ამბების აღწერამ ქანაანის დაპყრობას რომ ახლდა თან. ძველი აღთქმის ავტორები ამ ბრძოლებს ქანაანელთა ცოდვების საზღაურად განიხილავდნენ. ღმერთმა აბრაამს აცნობა, რომ ქანაანში დამკვიდრებამდე 400 წელი ეგვიპტეში იცხოვრებდა მისი შთამომავლობა, ვიდრე ამორეველები იმდენად არ დაეცემოდნენ ცოდვით, რომ მათი დასჯა იქნებოდა საჭირო. იესოს ლაშქრობები უფრო ქანაანელთა დასჯად განიხილებოდა, ვიდრე სამხედრო აგრესიად და ქვეყნის ძარცვა-გლეჯად.

ქანაანელთა რელიგია გადაგვარებული იყო. სხვადასხვა ტომებს საკუთარი ღმერთები ჰყავდათ, რომლებიც გარკვეულ ტერიტორიებზე ბატონობდნენ. ღმერთების ზოგადი სახელი იყო ბაალი, რომელიც ითარგმნება, როგორც უფალი, ბატონი ან ქმარი. ზოგჯერ ბაალს ხა-




რის ან გველის სახით გამოსახავდნენ. მიწა ბაალის მეუღლედ, მოსახლეობა კი მის მონად ითვლებოდა.

ყოველ სოფელს ბორცვის თავზე ან დიდი ხის ქვეშ სამლოცველო ჰქონდა აღმართული ქვის ან ხის სვეტის ნიშით. დღესასწაულები თესვა-მკას ან ახალმთვარეობას უკავშირდებოდა. ღვთაებას სწირავდნენ აღებული მოსავლის ნაწილს და ცხოველებს. ბაალები ნაყოფიერების ღმერთები იყვნენ და თაყვანისცემის რიტუალი სექსუალურ ორგიებსაც მოიცავდა. მიღებული იყო რიტუალური ლოთობა, განსაკუთრებით მოსავლის აღების დღესასწაულზე. სავარაუდოა, რომ ბავშვებსაც სწირავდნენ მსხვერპლად.

მას შემდეგ რაც ისრაელიანები ქანაანში დასახლდნენ, გადაწყვიტეს – შეგნებულად თუ შეუგნებლად – რომ სასარგებლო იქნებოდა, თუკი ბაალის კულტს საკუთარ რელიგიაში შეუთავსებდნენ. ამას გარდა, ითვლებოდა, რომ ადგილობრივი ღმერთები მოსავლის რაოდენობის გაზრდაში ეხმარებოდნენ ქანაანელებს, უფალი ღმერთი კი უდაბნოში მრავალწლიანი ხეტიალისას ისრაელიანებს არასდროს აძლევდა მოსავალს. ღმერთს ბაალის საწმიდარებში დაუწყეს თაყვანისცემა და ბაალის მიმდევრებისათვის დამახასიათებელი უხნეობაც ადვილად შეითვისეს ქანაანელებისგან.

## დაპყრობილი მიწების განაწილება

იესომ დალაშქრა და დაამარცხა რამდენიმე ქალაქ-სახელმწიფო. როდესაც ქანაანის მიწაწყალი დაპყრობილ იქნა, იესოს წინაშე დადგა ამ ტერიტორიების ისრაელიანთა ტომებს შორის განაწილების საკითხი. ყველა ტომს ევალებოდა მონაწილეობა მიეღო ადგილობრივი მოსახლეობის აყრა-განადგურებაში და მათი მიწა-წყლის დასაკუთრებაში.

ამ ამბებთან დაკავშირებით რამდენიმე თვალსაზრისი არსებობს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ქანაანელები ერთიანად არ ამოუწყვეტიათ. ისრაელიანებმა თავდაპირველად ნაყოფიერი დაბლობები კი არ დაიპყრეს, არამედ ცენტრალური მთიანი მხარე. ფართომასშტაბიანი ომები იესოს პერიოდის შემდეგ დაიწყო, როდესაც ასპარეზზე გამოვიდნენ ახალი მტრები – ფილისტიმელები, ყამონელები და მოაბელები.

იესომ ქალაქები ლევიანებს გადასცა სამკვიდროდ, რადგან მათ შტოს ცალკე სამკვიდრო არ მიუღია. მათი მოვალეობა მღვდლების დახმარება იყო. ყოველი ისრაელიანი მათ რჯულით გათვალისწინებულ მეათედს უხდიდა.

## იესო ნავეს ძე – წინამძღოლი

იესომ ცხოვრების ხანგრძლივი და მრავალფეროვანი გზა განვლო. ვიდრე ისრაელიანთა წინამძღოლი გახდებოდა, მანამდე მრავალი წლის მანძილზე მოსეს მარჯვენა ხელი იყო. სიკვდილის წინ, ისრაელიანებს მგზნებარე სიტყვით მიმართა, რათა მათ არასდროს დაევიწყებინათ ღმერთის ერთგულება და მისი რჯულის შესრულება:

> "მაშ, გეშინოდეთ უფლისა, ემსახურეთ მას წრფელად და ერთგულად... თუ ავად მიგაჩნიათ თქვენს თვალში უფლის სამსახური, ახლავე გადაწყვიტეთ ვის ემსახუროთ... მე და ჩემი სახლი კი უფლის სამსახურში ვიქნებით."
>
> (იესო 24:14-15)

ხალხმა მას მტკიცედ აღუთქვა, რომ ღმერთს უერთგულებდა. ამის პასუხად იესომ განაახლა ღმერთსა და ისრაელს შორის დადებული აღთქმის პირობები.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ქანაანელები

ხალხი, რომელიც ქანაანელთა სახელით არის ცნობილი აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში დაახლოებით ქ.წ. 2 000 წელს დასახლდა. იესო ნავეს ძის დროს (დაახლ. 1300 წ. ქ.წ.). ქანაანი პატარა ქალაქ-სახელმწიფოებად იყო დაყოფილი და თითოეულ მათგანს საკუთარი მეფე ჰყავდა. იმდროინდელი ქალაქი პატარა იყო, მაგრამ ქვითკირის გალავნით კარგად იყო გამაგრებული.

ქანაანელები განთქმული იყვნენ ვაჭრობით და სავაჭრო გემებით სერავდნენ ხმელთაშუა ზღვას — ეგვიპტიდან კრეტასა და საბერძნეთამდე. მთავარი ნავსადგურები იყო: ტვიროსი, სიდონი, ბეირუთი და ბიბლოსი. ამ უკანასკნელმა — როგორც ჭილით (ქაღალდის ძველი სახეობა) მოვაჭრე ქალაქმა — სახელი მისცა წიგნს: ბიბლია (ამავე სახელწოდებიდან მომდინარეობს ძველი და ახალი აღთქმების სახელწოდება). ქანაანელებმა პირველებმა შემოიღეს ანბანური დამწერლობა.

ქანაანელი ხელოსნების სახელი საქვეყნოდ იყო ცნობილი. მას შემდეგ, რაც ისრაელიანები მტკიცედ დამკვიდრდნენ ქანაანის ქვეყანაში და ტაძრის აგება გადაწყვიტეს, სწორედ ქანაანელი ქვისმთლელებისა და ხუროების შრომით აიგო იერუსალიმის ტაძარი.



მომცრო თიხის ჭურჭელი ნელსაცხებლისთვის.



დღესაც გაოცებას იწვევს ქანაანელთა ყოფა. მათი რელიგია უხეში და უზნეო იყო. ეს არის ქანაანელთა ამინდის, ნაყოფიერებისა და ომის ღმერთის "ბაალის" ფიგურა.



ქანაანელთა სახლის მაკეტი (დაახლოებით 2000-1550 წ.წ. ქ.წ.) ავეჯი, ხის ჭურჭელი და კალათები იერიხოს არქეოლოგიური მასალის მიხედვით არის აღდგენილი. კერამიკული ნაწარმი ორიგინალური თიხის ნაკეთობებით არის წარმოდგენილი.

## მთავარი ამბები და მოვლენები

დებორა და ბარაკი ქანაანელებს ამარცხებენ 4-5

გედეონის საწმისი; მიდიანელთა დამარცხება 6-7

იფთახის ქალიშვილი; ყამონელებთან ბრძოლა 11-12

სამსონის ამბავი: ფილისტიმელები 13-16

# მსაჯულნი

მსაჯულთა წიგნის სათაური ღვთის რჯულსა და სამართალს გვახსენებს. თუმცა ის მსაჯულები, ვისზეც ამ წიგნშია საუბარი რეალური მსაჯულები არ იყვნენ. ისინი სახალხო გმირები იყვნენ, რომლებიც მაშინ გამოდიოდნენ ასპარეზზე, როდესაც ისრაელს უჭირდა და მტრების ძალმომრეობისგან იცავდნენ ხალხს. თუმცა ზოგი მათგანი მსაჯულის ფუნქციასაც ასრულებდა. ისინი ისრაელიანთა ტომებს აერთიანებდნენ საომარი მოქმედებების დროს და ხალხს ღმერთის ერთგულებისკენ მოუწოდებდნენ. მათ მსაჯულები იმიტომ ერქვათ, რომ ღვთის სამართალს აღასრულებდნენ, განსაკუთრებით ომების დროს.

მსაჯულთა წიგნი მიმოქცევის მოდელს მიჰყვება. ავტორი გვიხსნის, თუ როგორ ბედნიერებაში ცხოვრობდა ისრაელი, ვიდრე ღვთისადმი ერთგულებას იცავდა. მაგრამ როგორც კი სხვა ღმერთებს ანაცვალეს იგი, მტრის ძალმომრეობას ვეღარ გაუძლეს და დამორჩილდნენ მათ. ამ გაჭირვების ჟამს, ღმერთს შეჰღაღადეს შეწევნა და ღმერთმა მსაჯული, ანუ განმათავისუფლებელი მოუვლინა მათ:

"მას შემდეგ, რაც მსაჯულები დაუდგინა მათ უფალმა, უფალი იყო მსაჯულთან და მტრებისაგან იფარავდა მათ მსაჯულის სიცოცხლეში... მაგრამ მოკვდებოდა თუ არა მსაჯული, მამებზე უარესს სჩადიოდნენ."
(მსაჯ. 2:18,19)

გამუდმებული შემოსევები და ფიცხელი ბრძოლები მოწმობს, რომ მსაჯულთა პერიოდი ქანაანის მიწა-წყლის დაუფლებისათვის წარმოებული ბრძოლების ეპოქა იყო. ამ დროს სხვა ტომებიც ცდილობდნენ საკუთარი ტერიტორიების შენარჩუნებას. სხვადასხვა მსაჯულებმა სხვადასხვა ტომების შეტევები მოიგერიეს. თუმცა, ხშირად ისრაელის ერთი ან ორი ტომი თუ იღებდა მონაწილეობას შეტაკებებში.

- ცაცია აჰუდი წინუძღოდა მოაბელთა წინააღმდეგ გამართულ ბრძოლას.
- ქალი მსაჯული – დებორა – ბარაკთან ერთად, ქანაანელებს ებრძოდა.
- გედეონი მიდიანელებს ებრძოდა.
- იფთახი ყამონელებს შეებრძოლა.
- სამსონის დროს და შემდგომშიც ფილისტიმელები იყვნენ ისრაელიანთა მთავარი და დაუძინებელი მტრები.

### დებორა და ბარაკი

დებორა წინასწარმეტყველი და მსაჯული ქალი იყო. იგი რამასა და ბეთელს შორის მდებარე ფინიკის ხის ქვეშ იჯდა და იქ არჩევდა მასთან მისული ხალხის საქმეებს. ერთხელ, ღვთის ბრძანება გადასცა ერთ კაცს, სახელად ბარაკს, რომ ქანაანელთა მხედართმთავრის სისარას წინააღმდეგ წასულიყო საომრად, რომელიც აღმატებულ სამხედრო ძალას ფლობდა და დარკინული საბრძოლო ეტლებიც ჰქონდა. ქანაანელები ოცი წლის მანძილზე ჩაგრავდნენ ისრაელს და ხალხმა ღმერთს შეწევნა სთხოვა. დებორა ღმერთის სახელით გამარჯვებას შეჰპირდა ბარაკს, მაგრამ მას დებორას გარეშე ბრძოლის დაწყებისა მაინც ეშინოდა.

შეტევის ბრძანება მოვიდა და სისარას ჯარი უეცარმა თავდასხმამ და წყალდიდობამ დაქსაქსა, მათი საბრძოლო ეტლები კი ლაფში ჩაეფლო. სისარა ფეხით გაექცა განსაცდელს და სამარცხვინო სიკვდილით აღესრულა ერთი ქალის ხელით, რომლის კარავსაც შეაფარა თავი. ამგვარად, ისრაელის გამარჯვება მარტო ბარაკის პირადი დამსახურება არ ყოფილა.

### გედეონის ამბავი

შვიდი წლის მანძილზე, მიდიანელები (არაბეთის უდაბნოს მომთაბარე ტომი) ისრაელიანებს ცხოვრებას უმწარებდნენ. აქლემებზე ამხედრებულნი თავს ესხმოდნენ ისრაელს, აწიოკებდნენ და მოსავალს, საქონელს, ცხვრის ფარებსა და სახედრებს ართმევდნენ. ისრაელიანები სარჩოსაბადებლის გარეშე რჩებოდნენ. გაუბედურებულებმა საშველად ისევ ღმერთს მიმართეს.

პასუხად, ღმერთმა ანგელოზი გაგზავნა ახალგაზრდა კაცთან – გედეონთან, რომელიც საწნახელში ცეცხვავდა ხორბალს, მოთარეშე მიდიანელთაგან შეშინებული. ანგელოზი დაელაპარაკა გედეონს და უთხრა:

"უფალი შენთანაა, მაგარო ვაჟკაცო!" (მსაჯ. 6:12)



ისრაელის ლაშქარი, დებორასა და ბარაკის წინამძღოლობით თაბორის მთაზე შეიკრიბა, რათა ქანაანელების ძალა გადაეწონათ, რადგან მათ საბრძოლო ეტლებს მხოლოდ ვაკე ადგილზე შეეძლოთ მოქმედება.

ეროვნული ბიბლიოთეკა


### ღვთის საწმიდარი

მსაჯულთა დრო გარდამავალი პერიოდი იყო. ისრაელიანთა მდრტვინავი მასა, რომელიც აღთქმული მიწისკენ წლობით მიემართებოდა, ერთიან ერად ვერ ჩამოყალიბდა. ისინი ცალკეულ ტომებად იყოფოდნენ, მაგრამ პირველი ორასი წლის მანძილზე ღვთის საწმიდარი აერთიანებდა მათ. თორმეტივე ტომი მასთან იყრიდა თავს, რათა ღმერთისთვის თაყვანი ეცა. აქვე იყო აღთქმის კიდობანი, რომელიც უდაბნოში ორმოცწლიანი მოგზაურობის დროს სადღესასწაულო კარავში ინახებოდა.

პირველი საწმიდარი შექემში მდებარეობდა. მოგვიანებით კი სილოამში გადაინაცვლა, შემდეგ სამხრეთით ბეთელში, მერე კი ისევ უკან — სილოამში. იმის გამო, რომ ბიბლიაში სხვადასხვა ადგილებია დასახელებული საწმიდარის ადგილსამყოფლად, ზოგი მკვლევარი ფიქრობს, რომ ერთდროულად რამდენიმე საწმიდარი მოქმედებდა.

გედეონს მიდიანელთა ძალმომრეობისგან ისრაელის გათავისუფლება დაავალა და თან შეჰპირდა:

"მე ვიქნები შენთან." (მსაჯ. 6:16)

გედეონმა იმით დაიწყო, რომ მამამისის კუთვნილი ბაალის სამსხვერპლო დაანგრია და სანაცვლოდ ღმერთს ახალი სამსხვერპლო. შემდეგ ჯარი შეკრიბა. მაგრამ დარწმუნებული მაინც არ იყო, მართლა ღვთისგან იყო მოწოდებული და მართლა თუ გაამარჯვებინებდა მას ღმერთი. ასე მიმართა მან ღმერთს:

"თუ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი, მაშინ საწმისს გავშლი კალოზე: თუ ცვარი მხოლოდ საწმისზე იდება, მთელი მიწა კი მშრალი იქნება, ვირწმუნებ, რომ ჩემი ხელით იხსნი ისრაელს, როგორც მეუბნებოდი." (მსაჯ. 6:36-37)

შესრულდა გედეონის თხოვნა, მაგრამ ეჭვი მაინც უღრღნიდა გულს. შესთხოვა ღმერთს სასწაული პირუკუ გაემეორებინა — საწმისი მშრალი ყოფილიყო, ხოლო მიწა კი სველი. ღმერთმა ისევ მისცა ნიშანი.

დამშვიდდა გედეონი, შეკრიბა ჯარი და დაბანაკებული მიდიანელების წინააღმდეგ უნდა წასულიყო, როცა ღმერთმა შეაჩერა და უთხრა, რომ ზედმეტი ხალხი მიჰყავდა საომრად. გამოუცხადა გედეონმა ლაშქარს, რომ ვისაც ეშინოდა უკან დაბრუნებულიყო. მაგრამ, კვლავ მრავალრიცხოვანი იყო ისრაელის ჯარი. ღმერთმა გედეონს ლაშქრის წყლის დასალევად წაყვანა უბრძანა, სადაც მეომრების ნაწილმა ჩაიმუხლა და ისე შესვა წყალი, სხვებმა კი ძაღლებივით ენით შესვლიპეს. სწორედ ისინი დარჩნენ გედეონის ლაშქარში, ვინც წყალი შესვლიპა — სულ სამასი კაცი.

იმ ღამეს ასე მიმართა გედეონმა ჯარს: "ადექით, ხელში ჩაგიგდოთ უფალმა მიდიანის ბანაკი."

ყოველ მეომარს ბუკი და ცარიელი დოქი ჰქონდა, რომელშიც ანთებული კვარი იდო. შემდეგ კი გედეონის ბრძანება გაისმა:

"მიყურეთ და თქვენც იგივე აკეთეთ. აჰა, დავიძრები ბანაკისაკენ და რასაც მე ვიზამ, თქვენც იგივე ქენით." (მსაჯ. 7:17)

ბანაკს იმ დროს მიუახლოვდნენ, როცა ღამის გუშაგი იცვლებოდა. გედეონის წინამძღოლობით, სამასივე მეომარმა ბუკებს ჩაჰბერა და მთელი ხმით დასჭექა:

"მახვილი უფლისათვის და გედეონისათვის!" (მსაჯ. 7:20)

შემდეგ დოქები დალეწეს და ანთებული კვარების შუქმა არე-მარე გაანათა, შიშსა და ძრწოლაში ჩააგდო ახლადგამოღვიძებული მტერი. ბუკის ცემამ და ანთებული კვარების კაშკაშმა სრული არეულობა შეიტანა მიდიანელებში. ერთმანეთის ჟლეტას მიჰყვეს ხელი. თავზარდაცემულმა მიდიანელებმა სიბნელით ისარგებლეს და ბანაკი მიატოვეს. გედეონმა დამატებით ძალებს უხმო, რათა მდინარე იორდანეს ფონისკენ გაქცეული მტრისთვის გზა მოეჭრათ. ისრაელმა სრული გამარჯვება მოიპოვა.

### სამსონი

სამსონი ყველაზე ცნობილი მსაჯული იყო. ვიდრე დაიბადებოდა დედამისი უფლის ანგელოზმა გააფრთხილა, რომ სამსონს არ დაელია ღვინო ან თაფლუჭი და არც აკრძალული საკვები ეჭამა, რადგან იგი ღმერთისთვის უნდა ყოფილიყო მიძღვნილი, როგორც მოწმიდარი. მოწმიდარი აღთქმას დებდა მოწიფულ ასაკში (ზოგჯერ გარკვეული დროით), რომ თავს შეიკავებდა ალკოჰოლური სასმელების მიღებისგან. მათ აგრეთვე თმის შეჭრაც ეკრძალებოდათ. ყველამ იცოდა, რომ მათ ღმერთის მსახურების განსაკუთრებული გზა ჰქონდათ არჩეული. სამსონი დაბადებიდანვე ღვთის მოწმიდარის გზაზე დააყენეს.

ფილისტიმელები ქანაანში გადმოსახლებული ტომი იყო და ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე სახლობდნენ. ისინი ისრაელს მტრობდნენ და სამსონი მათ წინააღმდეგ საომრად იყო მოწოდებული.

სამსონი არაჩვეულებრივი ფიზიკური ძალით იყო დაჯილდოებული. შიშველი ხელებით მოკლა ლომი, ხოლო ერთხელ ძირფესვიანად მოგლიჯა ქალაქის კარიბჭე, თავისი ურდულებითა და საყრდენი სვეტებითურთ. მშობლების

# ფილისტიმელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფილისტიმელები ზღვის ხალხი იყო, შესაძლოა წარმოშობით კუნძულ კრეტადან. ისინი ქანაანის სანაპირო ზოლში დასახლდნენ ქ.წ. XIII-XII საუკუნეებში. ხუთი ქალაქი ეკუთვნოდათ ზღვისპირთან ახლოს: ღაზა, აშკელონი, აშდოდი, ყეკრონი და გათი. სახელწოდება — პალესტინა — მათი სატომო სახელიდან მომდინარეობს. ქანაანში მათი დასახლების ადრეული პერიოდის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები უცნობია, მაგრამ მოგვიანებით ადგილობრივ ღვთაებათა პანთეონი შეითვისეს და დაგონს, აშთორეთსა და ბელზებუბს სცემდნენ თაყვანს. მათ შემოიტანეს ქანაანში რკინა და რკინის სამეურნეო და საბრძოლო ნივთებზე მონოპოლიასაც დაეუფლნენ. ეს კი სამხედრო უპირატესობას ანიჭებდა მათ, რადგან რკინა ბრინჯაოსა და სპილენძზე ბევრად უფრო მკვრივია.



ფილისტიმელთა სახლის რეკონსტრუქცია. ჭერი, რომელსაც ხის ბოძები ამაგრებს, ტალახით, პალმის ფოთლებითა და ტოტებით არის დაფარული. აქ არის გადახურული ორი ოთახი და ღია ფართი. შიდა ეზოში ქვის ხელსაფქვავები და ყურძნის საწნახელია.




*ფილისტიმელთა ქვეყანა ხუთი სანაპირო ქალაქისგან შედგებოდა.*



ეგვიპტის ქალაქ თებეში ალმ
ჩენილ (ქ.წ. XII საუკუნე) რ
ლიეფურ გამოსახულებაზე ფ
ლისტიმელი მეომრის თავი დ
ბუმბულით შემკული მუზარა-
დია გამოსახული.



ფილისტიმურ კერამიკულ ნაწარმს დამახასიათებელი დეკორატიული სტილი აქვს.

ფილისტიმელები ასეთი სამხედრო გემებით სერავდნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს წყლებს და შიშის ზარს სცემდნენ სანაპიროს მოსახლეობას.



ეროვნული ბიბლიოთეკა


სურვილის საწინააღმდეგოდ ფილისტიმელი ქალი შეირთო ცოლად, ხოლო ფილისტიმელთაგან შეურაცხყოფას იმით უპასუხა, რომ სამას მელას კუდებზე ანთებული ჩირაღდნები მიაბა და მათ ყანებში შეუშვა, გადაუწვა მოსავალი და ზეთისხილის ბაღები.

სამსონი ქალებმა დაღუპეს. მშვენიერმა დალილამ, ფილისტიმელთა დაქირავებულმა ჯაშუშმა, სამსონს მისი არაბუნებრივი ძალის საიდუმლო გამოსტყუა:

"დედის მუცლიდან ღვთის მოწმიდარი ვარ. თავი რომ გამპარსონ, ძალა გამოძეცლება, დავძაბუნდები და სხვათა მსგავსი შევიქნები." (მსაჯ. 16:17)

მაშინ, როდესაც სამსონს დალილას კალთაში თავმიდებულს ეძინა, კაცი იხმო და მისი თმა გადააპარსვინა. მერე კი გააღვიძა:

"ფილისტიმელები მოდიან შენზე!" (მსაჯ. 16:20)

აღთქმის გამტეხ სამსონს ძალა წართმეოდა და წინააღმდეგობის გაწევის გარეშე ჩაუვარდა ხელში ფილისტიმელებს, რომლებმაც თვალები დასთხარეს და მეხელსაფქვავედ გაამწესეს საპატიმროში.

ერთხელ ფილისტიმელებმა მსხვერპლი შესწირეს თავიანთ ღმერთს, დაგონს და მათმა წინამძღოლებმა სამსონი მოიყვანეს თავის შესაქცევად. დასცინოდნენ მის უძლურობასა და სიბრმავეს. ამ დროს სამსონმა, რომელსაც თმები უკვე გაზრდოდა, შეიგრძნო ძველებურად ძალის მოზღვავება და ღმერთის წყალობის დაბრუნება. ყმაწვილს, რომელსაც ხელჩაკიდებული დაჰყავდა იგი, სთხოვა სასახლის მთავარ სვეტებთან მიეყვანა დასასვენებლად. ღმერთს სთხოვა ძალის მიცემა უკანასკნელად, მთელი ძალით მიაწვა სვეტებს და მოარყია ისინი. შენობა დაიქცა და მოხეიმეები და სამსონი ქვეშ მოიყოლა.

"დახოცილები, სამსონმა სიკვდილისას რომ დახოცა, იმათზე მეტნი იყვნენ, სიცოცხლეში რომ ჰყავდა დახოცილი." (მსაჯ. 16:30)

## რუთი

რუთის წიგნი ერთი ოჯახის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც მსაჯულების ეპოქაში ცხოვრობდა. წიგნი იმ პერიოდის მრავალ წეს-ჩვეულებას აღწერს, თუმცა შესაძლოა ბევრად უფრო გვიან იყოს დაწერილი. ეს არის მშვენიერი და შთამბეჭდავი ამბავი, რომელიც აღწერს ერთი ქვრივის და მისი უცხოელი რძლის ცხოვრებასა და სიყვარულს.

შიმშილი დაატყდა თავს ქალაქ ბეთლემს და ელიმელექის ოჯახი იძულებული გახდა ისრაელის ქვეყნიდან მეზობელ მოაბში გადასახლებულიყო, მაგრამ განსაცდელი თან სდევდა ლტოლვილებს. ჯერ ელიმელექი მოკვდა, ხოლო ათიოდე წლის შემდეგ მისი ორი ვაჟიც გამოეთხოვა წუთისოფელს. ორივეს მოაბელი ცოლები ჰყავდათ. ნაყომს – ქვრივ დედას – სამშობლო ენატრებოდა. როცა შეიტყო, რომ ბეთლემში შიმშილი აღარ მძვინვარებდა, უკან დაბრუნება გადაწყვიტა. ორივე რძალმა მასთან ერთად წასვლის სურვილი გამოთქვა. როდესაც ნაყომმა რძლებს აზრის შეცვლა სთხოვა, ერთმა მათგანმა, რუთმა დაჟინებით თქვა:

"ნუ მაიძულებ დაგტოვო და წავიდე შენგან, რადგან სადაც შენ მიდიხარ, მეც იქ უნდა წამოვიდე; სადაც შენ დაიღამდება, მეც იქ უნდა დამიღამდეს. შენი ხალხი ჩემი ხალხია, შენი ღმერთი ჩემი ღმერთია; სადაც მოკვდები, მეც იქ უნდა მოვკვდე და დავიმარხო. ასე და ასე მიყოს უფალმა და უარესიც, თუ რამემ გაგვყაროს, სიკვდილის მეტმა." (რუთ. 1:16-17)

ამგვარად, ნაყომი და რუთი ბეთლემში დაბრუნდნენ. რუთი ყანებში მოსავლის აღების შემდეგ დარჩენილ ქერის თავთავს აგროვებდა. რჯული ღარიბებს ამის უფლებას აძლევდა. ერთხელ ის შემთხვევით ბოყაზის კუთვნილ ყანაში მოხვდა, რომელიც რუთის მამამთილის ნათესავი იყო. ნაყომი დარწმუნებული იყო, რომ ღვთის ხელი ერია ამ ერთი შეხედვით შემთხვევითობაში და რძალს ურჩია შემდგომში როგორ მოქცეულიყო.

მოსავლის აღება რომ დასრულდა, რუთმა ბოყაზს რჯულით დაწესებული ნათესაური ვალდებულებების შესრულება და ელიმელექის კუთვნილი მიწის ნაკვეთის გამოსყიდვა მოსთხოვა. აგრეთვე შეახსენა, რომ როგორც ახლო ნათესავი, ბოყაზი ვალდებული იყო რუთი ცოლად შეერთო. ბოყაზმა ყველა თხოვნა შეასრულა. მოხუცებული ნაყომის შვებად და სიხარულად იქცა ამ ქორწინების შედეგად მოვლენილი ჩვილი.

წიგნის ავტორი დაწვრილებით წარმოგვიდგენს რუთისა და ბოყაზის შთამომავლების სიას და გვიჩვენებს, რომ დიდი მეფე დავითიც მათი შთამომავალი იყო. რუთი, რომელიც შეიძლება მოეძულებინათ მოაბური წარმომავლობის გამო, დავითის წინაპარი იყო.

ზოგის აზრით, რუთის წიგნი იმისთვის დაიწერა, რათა დაემტკიცებინა, რომ ღმერთი ისევე ზრუნავს სხვა ერებზე, როგორც ისრაელზე.

## პირველი და მეორე მეფეთა

1 და 2 მეფეთა წიგნები ერთ მთლიან ნაწარმოებს წარმოადგენს, რომელიც ისრაელის ისტორიის მორიგ გარდამავალ პერიოდს ეხმაურება, როდესაც მსაჯულთა მმართველობა სამეფო ხელისუფლებით შეიცვალა. ეს წიგნები აღწერენ ორი უკანასკნელი მსაჯულის ელისა და სამუელის ცხოვრებას და ორი პირვე-

## 1 და 2 მეფეთა

### 1 მეფეთა: მთავარი ამბები და მოვლენები

სამუელის დაბადება: ხანას ლოცვა 1,2

ყმაწვილი სამუელი – ღმერთის მოწოდება 3

საულის გამეფება და მისი უარყოფა 10-15

სამუელი დავითს, როგორც მომავალ მეფეს, ზეთსა სცხებს 16

დავითი კლავს გოლიათს 17

დავითისა და იონათანის მეგობრობა 20

დავითის დევნა 21-30

საულისა და იონათანის სიკვდილი 31

### 2 მეფეთა: მთავარი ამბები და მოვლენები

დავითი გლოვობს საულსა და იონათანს 1

დავითის გამეფება 2

დავითი იპყრობს იერუსალიმს 5

დავითს აღთქმის კიდობანი იერუსალიმში გადააქვს 6

ღმერთი აღუთქვამს დავითს 7

დავითის მრუშობა ბათ-შებასთან და ურიას სიკვდილი 11

ნათანი მიმართავს დავითს 12

აბესალომის აჯანყება მამის წინააღმდეგ 15

დავითი იერუსალიმიდან გარბის 15

დავითის გამარჯვება, აბესალომის სიკვდილი 18

დავითის ღვთის სადიდებელი საგალობელი და ბოლო სიტყვები 22,23

ლი მეფის საულისა და დავითის ზეობას. ამგვარად, 1 და 2 მეფეთა წიგნები ერთგვარად უკავშირდება მსაჯულთა წიგნს. პირველი მეფეთა წიგნი ერთი ოჯახის ამბის თხრობით იწყება, ისევე როგორც რუთის წიგნი. ელკანა და მისი ორი ცოლი ყოველწლიურად მიდიოდნენ სილოამში, ღვთის საწმიდარში, რათა თაყვანი ეცათ ღმერთისთვის. ერთ ცოლს, ფენინას შვილები ჰყავდა, ხოლო მეორე – ხანა – უშვილო იყო. ხანას სასოწარკვეთილებაში აგდებდა საკუთარი სიბერწე და როდესაც ოჯახი ღვთის საწმიდარში იყო, საბრალო ქალმა შეჰღაღადა ღმერთს:

“ცაბაოთ უფალო, თუ მოხედავ შენი მხევლის ტანჯვას, თუ გამიხსენებ და არ დაივიწყებ შენს მხევალს, და მისცემ შენს მხევალს ვაჟიშვილს, უფალს დავუთმობ მას. ვიდრე ცოცხალი იქნება სამართებელი არ შეეხება მის თავს.” (1 მეფ. 1:11)

როდესაც შესმენილი იქნა მისი თხოვნა და სამუელი დაიბადა, ქალმა შეასრულა პირობა: ღმერთს მიუძღვნა ვაჟიშვილი და აღსაზრდელად ელი მღვდელს მიაბარა. ხანას სამადლობელი ლოცვა მხურვალე იყო და სიხარულით აღსავსე:

“არავინ არის უფალივით წმიდა, რადგან არავინ არის შენს გარდა, არავინ არის ღმერთივით მფარველი... უფალი აღატაკებს და ამდიდრებს, დაამდაბლებს და აღამაღლებს. საპყარს მტვერიდან წამოაყენებს, სანეხვედან აღამაღლებს უპოვარს, რათა დიდებულთა გვერდით დასვას.” (1 მეფ. 2:2,7,8)

ყმაწვილ სამუელს ღვთის საწმიდარში ეძინა ხოლმე, იქ სადაც აღთქმის კიდობანი ინახებოდა. ერთ ღამეს მოესმა ძახილი – “სამუელ!” იგი მოხუცი ელი მღვდლის სარეცელისაკენ გაეშურა უმალ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ელის არ მოუხმია ყმაწვილი. კიდევ ორჯერ შემოესმა საკუთარი სახელი და ორჯერვე ელისკენ გაემართა. მიხვდა მოხუცი მღვდელი, რომ ღმერთი მოუწოდებდა ყმაწვილს. უთხრა სამუელს, რომ საწოლს დაბრუნებოდა და როდესაც ხმას გაიგებდა ასეთი პასუხი გაეცა:

“ბრძანე, უფალო, გისმენს შენი მორჩილი.”

სამუელი დაწვა. ღმერთმა კვლავ მოუწოდა და ელის უვარგისი ვაჟიშვილების სასჯელი აუწყა მას.

ელის ორმოცწლიანი წინამძღოლობის შემდეგ სამუელმა დაიმკვიდრა მსაჯულობა. ბრძნულად ემსახურებოდა ხალხს, როგორც მღვდელი, როგორც წინასწარმეტყველი და მართლმსაჯულების აღმასრულებელი.

## სამეფო ხელისუფლების დამყარება

დაბერდა სამუელი. მსაჯულებად მისი ვაჟები დაადგინეს, მაგრამ ნდობა ვერ მოიპოვეს მამის თვალში. ისრაელიანებმა მეფის დანიშვნა მოსთხოვეს სამუელს. ამ მოთხოვნით ხალხმა არა მარტო მსაჯული უარყო, არამედ ღმერთი. ღვთის რჯული, რომლის მიხედვით თავად ღმერთი იყო ისრაელის მეფე, ამქვეყნიური კანონით შეცვალეს.

სამუელმა გააფრთხილა ხალხი, რომ სამეფო ხელისუფლება კარგს არაფერს უქადდა მათ, მეფეები მალე სასტიკ ხელმწიფეებად იქცეოდნენ და გადასახადების აკრეფით ცხოვრებას გაუმწარებდნენ. მაგრამ, ხალხი დაჟინებით მოითხოვდა თავისას და ღმერთმა ურჩია სამუელს, რომ ისრაელიანთა სურვილი დაეკმაყოფილებინა. სამუელი ფიქრობდა, რომ მეფე ღვთის რჯულის შემსრულებელი და ღმერთის მორჩილი იქნებოდა. თუკი სამართლიანი მმართველები იქნებოდნენ, მეფეებს შეეძლოთ ხალხი ღვთის გზით ეტარებინათ. ისრაელის მეფე მეზობელი ქვეყნების შეუზღუდავი დესპოტების მსგავსი არ უნდა ყოფილიყო.

სამუელმა ახალგაზრდა საული სცხო ისრაელის პირველ მეფედ. ის ჭეშმარიტი წინამძღოლის ყველა თვისებას ავლენდა. მებრძოლი გმირი იყო საული და ისრაელის მეფედ გამოცხადდა. მაგრამ, მალე გადაუხვია ღმერთისთვის აღთქმულ გზას და საკუთარი, ურჩობის გზა ირჩია. ბოლოს და ბოლოს სამუელმა გაკიცხა იგი: “შეიძულე უფლის სიტყვა და უფალმაც მოგიძულა ისრაელის მეფედ.”

მაგრამ, სამუელს კვლავ უყვარდა საული და აღფრთოვანებული არ შეხვედრია ღმერთის ბრძანებას, რომ დაედგინა საულის ტახტის მემკვიდრე.

## დავითის მეფედ კურთხევა

დავითი რვა ძმას შორის უმცროსი იყო და ცხვარს მწყესავდა, როდესაც სამუელი ესტუმრა მის ოჯახს, რათა მომავალი მეფე აერჩია. შვიდ ძმაზე უარი თქვა სამუელმა და დავითს მოუხმო საჩქაროდ. ღმერთის შთაგონებით ახალგაზრდა დავითს ზეთი სცხო თავზე, იმის ნიშნად, რომ ღმერთმა ის ისრაელის მორიგ მეფედ დაადგინა. კურთხევის წესი საიდუმლოდ ჩატარდა.

## დავითი და გოლიათი

მას შემდეგ, რაც დავითი ისრაელის მომავალ მეფედ აკურთხეს, ის კვლავ მამამისის ცხვრის ფარის მოვლა-პატრონობას დაუბრუნდა. მაგრამ, მალე სამეფო კარზე მიიწვიეს, რათა სასოწარკვეთილი მეფე საულისათვის ქნარზე დაკვრით შეემსუბუქებინა ნაღველი.

ერთხანს დავითი ბეთლემიდან ბრძოლის ველზე დადიოდა ხოლმე, სადაც მისი სამი ძმა მსახურობდა საულის ჯარში.

საპირისპირო ბორცვებზე დაბანაკებულიყვნენ ფილისტიმელები და ისრაელიანები; მოწი-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნაალმდეგეთა სამხედრო ბანაკებს ხევი ჰყოფდა მხოლოდ. ფილისტიმელთა რიგებში გამოირჩეოდა ერთი კაცი, სახელად გოლიათი, რომელიც მოწინააღმდეგეს პირისპირ საომრად მოუწოდებდა. ყოველდღე მოუხმობდა მეტოქეს, მაგრამ, ისრაელის ბანაკში არ აღმოჩნდა ისეთი მეომარი, რომელიც გოლიათთან პირისპირ შებმას გაბედავდა.

როდესაც დავითმა შეიტყო გოლიათის ამბავი, გადაწყვიტა პირადად შებმოდა მას. გულადმა ყმაწვილმა უარი თქვა საბრძოლო აღჭურვილობაზე და მხოლოდ შურდულით სასროლი რიყის ქვები აიღო. ამგვარად შეიარაღებული გაემართა გოლიათთან შესახვედრად, სუსტი და გამოუცდელი ძლიერსა და გამოცდილს უნდა შერკინებოდა.

დავითის დანახვამ აღაშფოთა გოლიათი:

"ახლოს მოდექი, რომ ცის ფრინველებს და ველის მხეცებს გადავუგდო შენი გვამი." (1 მეფ. 17:44)

დავითის პასუხიდან სამეფო ტახტის იდუმალი მემკვიდრის დამოკიდებულება გამოსჭვიოდა:

"შენ ხმლით, შუბითა და ფარით გამოდიხარ ჩემთან, მე კი ცაბაოთ უფლის, ისრაელის მხედრობის ღმერთის სახელით გამოვდივარ, რომელიც შენ შეურაცხყავი." (1 მეფ. 17:45)

ამ მოკლე საუბრის შემდეგ დავითმა შურდულით გატყორცნილი ქვა შუბლში მოარტყა გოლიათს. გონდაკარგული გოლიათი მიწას დაენარცხა, დავითი მიეჭრა წაქცეულ ბუმბერაზს და მისივე მახვილით თავი მოჰკვეთა. შეძრწუნებულმა ფილისტიმელებმა უწესრიგოდ დაიხიეს უკან და გაიქცნენ.

### დავითი და იონათანი

გოლიათის მოკვლის შემდეგ დავითი საულის სამეფო ტახტს დაუახლოვდა და ისრაელის ლაშქრის წარმატებულ წინამძღოლად იქცა.

## დავითის ცხოვრება

- წინასწარმეტყველმა სამუელმა მეფედ აკურთხა დავითი (1 მეფ. 16)
- დავითი საულს ქნარზე დაკვრით ანუგეშებს (1 მეფ. 16)
- დავითი კლავს ფილისტიმელ ბუმბერაზს – გოლიათს (1 მეფ. 17)
- დავითისა და საულის ვაჟის, იონათანის, მეგობრობა (1 მეფ. 18)
- საულის ეჭვი და უნდობლობა – დავითის გაქცევა (1 მეფ. 18-21)
- დევნილი დავითი ემალება საულს და ორჯერ ინდობს მას (1 მეფ. 22-24,26)
- ოცდაათი წლის დავითი ისრაელის მეფეა (2 მეფ. 5)
- აღთქმის კიდობანი ისრაელის ახალ დედაქალაქში – იერუსალიმში გადააქვთ (2 მეფ. 6)
- დავითი ოცნებობს უფლის ტაძრის აშენებაზე, მაგრამ ღმერთი არ აძლევს ამის უფლებას, თუმცა დავითის შთამომავლობას აკურთხებს ისრაელის მეფეებად (2 მეფ. 7)
- დავითის ლაშქრობებმა სამეფოს საზღვრები გააფართოვა (2 მეფ. 5,8,10)
- დავითი მრუშობს ბათ-შებაყთან და აკვლევინებს მის ქმარს – ურიას, წინასწარმეტყველი ნათანი ამხელს დავითს. დავითის და ბათ-შებაყის პირველი ვაჟი მოკვდა, მაგრამ მალე მეორე ვაჟი, სოლომონი შეეძინათ (2 მეფ. 11,12)
- სამეფო ოჯახის განსაცდელი. აბესალომი, დავითის ძე, მამას აუჯანყდა (2 მეფ. 15,16)
- აბესალომის აღსასრული; დავითის დარდი; მეფე დაბრუნდა იერუსალიმში (2 მეფ. 18,19)
- დავითმა სოლომონი აღიარა სამეფო ტახტის მემკვიდრედ და უკანასკნელი რჩევა-დარიგება მისცა. ორმოცწლიანი მმართველობის შემდეგ, დავითი გარდაიცვალა და ძლიერი სამეფო დატოვა (3 მეფ. 1,2)



იუდას მთებში მწყემსი ცხვრის ფარას მწყესავს, ისევე როგორც ყრმა დავითი გამეფებამდე. სწორედ აქ შეიცნო მან ღმერთის, როგორც თავისი რჩეული ერის მზრუნველი მწყემსის, სიყვარული.

სწორედ მაშინ დამეგობრდნენ დავითი და საულის ვაჟი იონათანი. ისინი ურთიერთნდობითა და ერთგულებით იყვნენ განმსჭვალულნი.

დავითის საბრძოლო წარმატებებმა შური და ეჭვი აღუძრა საულს. იონათანი მამის რისხვისაგან იცავდა დავითს, მაგრამ ბოლოს, როცა ვერაფერს გახდა, დავითს სამეფო კარის მიტოვება და გაქცევა ურჩია, რათა სიკვდილისაგან გადაერჩინა მეგობარი.

საული სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდა დავითს და ისიც გამუდმებით ილტვოდა მეფისაგან. დავითს ორჯერ ჰქონდა საულის მოკვლის შესაძლებლობა, მაგრამ ორივეჯერ დაინდო.

ფილისტიმელებთან ომში დაიღუპა მამა-შვილი, საული და იონათანი. დავითმა გულისტკივილით და სინანულით დაიტირა ისინი:

"საულ და იონათან! საყვარელნი და სანატრელნი სიცოცხლეში, სიკვდილშიაც განუყრელნი არიან! არწივზე უსწრაფესნი, ლომზე ძლიერნი იყვნენ. ვწუხვარ შენზე, ძმაო იონათან! დიდად ძვირფასი იყავ ჩემთვის, საკვირველი იყო შენი სიყვარული ჩემდამი, ქალის სიყვარულზე ძლიერი. როგორ დაეცნენ ვაჟკაცები, როგორ განადგურდა საომარი საჭურველი."
(2 მეფ. 1:23,26,27)

## მეფე დავითი

საულის ვაჟთან, იშბოშეთთან გადახდილი ძლევამოსილი ბრძოლის შემდეგ დავითი მთელი ისრაელის მეფე გახდა.

მრავალი წარუმატებლობისა და ხელმოცარვის მიუხედავად, დავითი ისრაელის ჭეშმარიტი მეფე იყო. მისი ძლევამოსილი მეფობის დრო ისრაელის ისტორიის ოქროს საუკუნედ ითვლება.

## დავითის წარუმატებლობანი

გაზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს სასახლის ბანზე მოსეირნე დავითმა შორიახლოს მობანავე ულამაზესი ქალი დაინახა. ქალს ბათ-შებაყი ერქვა და დავითის ერთგული მოლაშქრის – ურია ხეთელის ცოლი იყო. ამ დროს ურია ლაშქარში იყო გაწვეული. მეფის ბრძანებით ბათ-შებაყი სასახლეში მიჰგვარეს დავითს. მცირე ხნის შემდეგ ქალმა აცნობა დავითს, რომ ორსულად იყო.

შემდეგ დავითმა ბათ-შებაყის ქმარი დაიბარა, ესაუბრა ომის ამბებზე და ბოლოს შინ, ცოლთან წასვლა ურჩია. მაგრამ ურია არ წამოეგო ანკესზე. მტკიცედ იუარა სახლში წასვლა და მოლხენა იმ დროს, როცა მისი მეგობარი ჯარისკაცები მტერს ებრძოდნენ.

თავგზააბნეულმა დავითმა ურიას სიკვდილი განიზრახა. იოაბ მხედართმთავარს წერილი გაუგზავნა ურიას ხელით და უბრძანა, რომ წერილის მომტანი შეტაკებისას ყველაზე სახიფათო ადგილზე დაეყენებინა. ბრძანება შესრულდა და ურია ხეთელი ბრძოლის დროს დაიღუპა. დავითმა კი ქვრივი ბათ-შებაყი ცოლად შეირთო.

ღმერთმა დავითთან წინასწარმეტყველი ნათანი გაგზავნა, რომელმაც მეფე საღმრთო



ეროვნული ბიბლიოთეკა


რჯულის დარღვევაში ამხილა. ნათანმა იგავის სახით აუწყა მეფეს მისი დანაშაული.

*"ორი კაცი ცხოვრობდა ერთ ქალაქში, მდიდარი და ღარიბი. მდიდარს უამრავი ცხვარი და ძროხა ჰყავდა, ღარიბს არაფერი გააჩნდა პატარა ბატკნის გარდა, რომელიც ნაყიდი ჰყავდა, და ზრდიდა თავისთან, თავის ბავშვებთან ერთად. ეწვია ერთხელ ვინმე მგზავრი მდიდარ კაცს. ვერაფერი გაიმეტა თავისი ცხვარ-ძროხიდან დასაკლავად, წამოიყვანა ღარიბი კაცის ბატკანი და გაუმზადა სტუმრებულ კაცს."*

(2 მეფ. 12:1-4)

მოისმინა თუ არა ეს ამბავი დავითმა, განრისხდა და თქვა, რომ მდიდარი კაცი გულქვაობისთვის სიკვდილს იმსახურებდა.

ნათანმა ჯიქურ მიუგო: "შენა ხარ ის კაცი!"

დავითი იმდენად თავმდაბალი და მორჩილი აღმოჩნდა, რომ ნათანის მხილება ჯეროვნად დააფასა, შეიცნო საკუთარი დანაშაული და ღმერთის წინაშე აღიარა ცოდვა. მიეტევა ცოდვა დავითს, მაგრამ ბათ-შებაყს ჩვილი მოუკვდა. მალე მეორე ვაჟი შეეძინა მეფეს ურია ხეთელის ცოლყოფილისგან – სოლომონი, რომელიც სიკვდილის წინ სამეფო ტახტის ერთადერთ მემკვიდრედ გამოაცხადა დავითმა.

# დავითის სამეფო




დავითმა ისრაელის სამეფოს მიწა-წყალი ჩრდილოეთისაკენ, სამხრეთისაკენ და აღმოსავლეთისაკენ განავრცო. დაამარცხა და დაიმორჩილა ედომელები, მოაბელები, ყამონელები, არამელები (სირიელები) და ფილისტიმელები. დაიპყრო ქანაანელთა ციხე-ქალაქი იერუსალიმი, რომელიც იქცა სამეფოს დედაქალაქად, მის საერო და სასულიერო ცენტრად.

დავითის ქალაქის მაკეტი. დღეს თანამედროვე იერუსალიმის ერთ-ერთი პატარა უბანია.



ეროვნული ბიბლიოთეკა

### დავითისთვის ნაბოძვარი ღვთის აღთქმა

დავითი ღმერთისთვის დიდებული ტაძრის აშენებაზე ოცნებობდა, რომელშიც ღვთის აღთქმის კიდობანი უნდა მოთავსებულიყო. თავდაპირველად წინასწარმეტყველი იონათანიც იზიარებდა მის აზრს, მაგრამ მოგვიანებით მანვე აუწყა ღმერთის გადაწყვეტილება მეფეს: დავითი ვერ ააშენებდა ღმერთის "სახლს," არამედ თავად უფალი ღმერთი დააფუძნებდა დავითის "სახლს." ღმერთი დავითს შთამომავლობის განმტკიცებასა და გაძლიერებას შეჰპირდა:

"მტკიცედ იდგება მისი სახლი და სამეფო სამარადისოდ ჩემს წინაშე; მყარი იქნება მისი ტახტი სამარადისოდ."
(2 მეფ. 7:16)

ეს მეტად მნიშვნელოვანი სიტყვები მესიანური ეპოქის აღთქმის საფუძველს წარმოადგენს. მომავალი მეფე, რომლის სამეფო მარადიული იქნება, დავითის შთამომავლობიდან გამოვა.

დავითმა ქება-დიდება და მადლი შესწირა ღმერთს ამ კურთხეული აღთქმისთვის.

მეფე დავითი იმით დაკმაყოფილდა, რომ ტაძრის ასაგებად საჭირო სამშენებლო მასალა მოიმარაგა, რათა მის ვაჟს, სოლომონს განეხორციელებინა მამის ოცნება.

## 3 და 4 მეფეთა

როგორც სათაური მიგვითითებს, 3 და 4 მეფეთა წიგნები, რომლებიც რეალურად ერთ მთლიანობას წარმოადგენს ისრაელის მეფეთა ცხოვრებაზე მოგვითხრობენ. ისინი გადმოგვცემენ ებრაელთა მონარქიის აღზევების, დასუსტებისა და დაცემის ამბავს. ეს ამბები მოსაწყენი ფაქტების სახით კი არ არის გადმოცემული, არამედ, პირიქით, ცოცხალი, ნათელი ფერებით.

ავტორი გვამცნობს ღმერთის დამოკიდებულებას ისრაელის მეფეებთან. მისი ახსნა-განმარტება მოკლეა, მაგრამ ნათელი: "სწორედ იქცეოდა უფლის თვალში," ან უფრო ხშირად სინანულით აღსავსე: "ბოროტად იქცეოდა უფლის თვალში." ეს კი სამეფოს კეთილდღეობას ან დიდ გასაჭირს მოასწავებდა.

ავტორი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს წინასწარმეტყველებს, რომლებიც მეფეებსა და ხალხს ღმერთის ნებას ამცნობდნენ. ისინი განსაკუთრებულ პირუთვნელობასა და მიუკერძოებლობას იჩენდნენ, როდესაც საქმე საღვთო სამართალს შეეხებოდა. თუკი ისრაელს ღმერთთან აღთქმული ურთიერთობის განმტკიცება სურდა, მაშინ მეფესა და ხალხს ღმერთისთვის და ღვთის აღთქმისთვის პატივი უნდა მიეგო. წინასწარმეტყველები მზად იყვნენ მეფე ყოველგვარ შეცდომაში: საღმრთო რჯულის დარღვევასა თუ სამართლის გამრუდებაში თამამად ემხილებინათ.

### სოლომონის სიბრძნე

მას შემდეგ, რაც სოლომონმა თავზე ისრაელის სამეფო ჯიღა დაიდგა და მამამისის – დავითის ტახტი დაიმკვიდრა, გაბაონს გაემართა, რათა ღვთის საწმიდარში მსხვერპლი შეეწირა. სიზმარში უფალი ღმერთი გამოეცხადა და უთხრა: "მთხოვე, რა გინდა, რომ მოგცე."

სოლომონმა შეჰღაღადა ღმერთს:

"ახლა, უფალო, ღმერთო ჩემო, შენ გაამეფე მამაჩემის, დავითის ნაცვლად შენი მორჩილი, თუმცა უასაკო ყმაწვილი ვარ და არ ვიცი გამოსვლა და შესვლა... მიანიჭე შენს მორჩილს გამგები გული, რათა განსაჯოს შენი ერი, რომ სიკეთე გაარჩიოს ბოროტებისაგან."
(3 მეფ. 3:7-9)

ღმერთს მოეწონა სოლომონის სურვილი და დაჰპირდა, რომ სიბრძნის გარდა იმასაც უწყალობებდა, რაც მას არ უთხოვია: სიმდიდრე და დიდება.

მრავალ ქვეყანაში გაითქვა სახელი სოლომონმა სიბრძნითა და კეთილშობილებით. მეფის ცხოვრების ერთი ამბავი ორი მეძავი ქალის შესახებ, რომლებიც სოლომონთან მივიდნენ სამართლის საძიებლად მოგვითხრობს, რომ ორივემ თითქმის ერთდროულად იმშობიარა, მაგრამ ერთ-ერთის ჩვილი გარდაიცვალა. ახლა კი ორივე ერთხმად აცხადებდა, რომ ცოცხლად გადარჩენილი ბავშვი მისი შვილი იყო. სოლომონმა ბავშვის მახვილით შუაზე გაკვეთა ბრძანა, რათა ორივე მომჩივანისთვის ჩვილი თანაბრად გაეყო. უეცრად გულდამწვარმა ნამდვილმა დედამ შეღაღადა მეფეს, რომ ოღონდ ბავშვს ნუ მოკლავდნენ და მეორე ქალისთვის მიეცათ. ამგვარი ბრძნული განსჯის წყალობით სოლომონ მეფემ გაარჩია მტყუან-მართალი.

### ტაძრის მშენებლობა

ოთხი წლის გამეფებული იყო სოლომონი, ღვთის ტაძრის შენებას რომ შეუდგა. აღადგინა კეთილმეზობლური ურთიერთობები, რომლებსაც საფუძველი ჯერ კიდევ მეფე დავითმა ჩაუყარა, ტვიროსის მეფე ჰირამთან, რომელიც დახელოვნებული ხელოსნებითა და ძვირადღირებული ლიბანის ნაძვით ამარაგებდა სოლომონს. ტვიროსიდან ზღვით ნაპირის გასწვრივ მიაცურებდნენ ხის მორებს ისრაელის სანაპირომდე, იქიდან კი სახმელეთო გზით იერუსალიმში გადაჰქონდათ. ტაძარი ქვის ლოდებით აშენდა და შემდეგ ნაძვის ხის ფიცრებით მოპირკეთდა. ტაძრის მშენებლობის წმიდა ადგილზე ჩაქუჩის ან სხვა სამშენებლო იარაღის

### 3 და 4 მეფეთა

#### 3 მეფეთა: მთავარი ამბები და მოვლენები

- სოლომონი სიბრძნეს სთხოვს ღმერთს 3
- ტაძრის აგება და კურთხევა, სოლომონის ლოცვა 5,6,8
- შებას დედოფლის სტუმრობა 10
- სამეფოს დაყოფა 12
- ელია და ზეთის დოქი 17
- ელია და ბაალის მსახურები 18
- ოდნავი ჩქამი: ღმერთი ელიას გამოეცხადა 19
- მეფე აქაბი და ნაბოთის ვენახი 21

#### 4 მეფეთა: მთავარი ამბები და მოვლენები

- ელიას ცადაყვანა; ცეცხლოვანი ეტლი 2
- ელისე და მისი სასწაულები 2,4,6
- ნაყამანის განკურნება 5
- დედოფალი ღოთოლია და ყმაწვილი მეფე იოაში 11
- სამარიის დაცემა – აშურეთმა ისრაელი დაიპყრო 17
- მეფე ხიზკიაჰუ და აშურელთა შემოსევის საფრთხე 18
- მეფე იოშიამ რჯულის წიგნი აღმოაჩინა: რეფორმები 22, 23
- ბაბილონელები იპყრობენ იერუსალიმს 25

ეროვნული ბიბლიოთეკა


# სოლომონის ტაძარი

სოლომონის ტაძარი ფინიკიური არქიტექტურული სტილით აშენდა. თუმცა მსგავსება ტაძრის გარეგნულ მხარეში უფრო გამოვლინდა, ვიდრე ზომებში. ძვირადღირებული ლიბანის ნაძვით დაფარული ქვის ნაგებობა ოქროთი მოჭედილის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ტაძრის შიდა სივრცის სიგრძე 27 მეტრი იყო, სიგანე კი 9 მეტრი და ორ დარბაზად იყოფოდა: შიდა დარბაზი, ანუ დაბირი, წმიდათა წმიდა, სიგრძით, სიგანით და სიმაღლით 9 მეტრი იყო. აქ მოთავსდა უფლის აღთქმის კიდობანი, რომელშიც ღვთის მცნებების ფიქლები იდო. ამავე დარბაზში დადგეს ზეთისხილის ხისგან გამოკვეთილი ოქროს ფირფიტებით დაფარული ორი ფრთებგაშლილი ქერუბიმი: გარე დარბაზში აღმართული იყო ოქროთივე დაფარული სამსხვერპლო, სადაც მღვდლები აღსავლენ საკმეველს წვავდნენ. ცხოველების შესაწირი სამსხვერპლო ტაძრის ეზოში იყო აღმართული.



ხმა არ ისმოდა. ქალაქის მახლობლად მდებარე ქვის სამტეხლოებიდან გათლილი და დამუშავებული ქვა მშენებლობის ადგილზე მიჰქონდათ.

დასრულებული ტაძრის შენობა დიდი არ იყო და სადღესასწაულო კარვის არქიტექტურულ ფორმას იმეორებდა: ორი შიდა დარბაზითა და ვრცელი ეზოთი. ტაძარს დიდებული მორთულობა ამშვენებდა. მშენებლობა შვიდ წელიწადში დასრულდა.

ტაძრის კურთხევის დროს სოლომონმა აღიარა, რომ ნებისმიერი შენობა, რაოდენ მშვენიერი და დიდებულიც არ უნდა ყოფილიყო, ყოვლადძლიერი ღმერთის სავანე ვერ იქნებოდა:

"ნუთუ ნამდვილად იმკვიდრებს მიწაზე ღმერთი? აჰა, ვერ იტევენ მას ცანი და ცანი ცათანი, როგორ დაიტევს ეს ჩემი აშენებული სახლი?" (3 მეფ. 8:27)

როდესაც დაამთავრა სოლომონმა ლოცვა, მოგვითხრობენ 3 მეფეთა წიგნის ავტორები, ღვთის დიდებამ აავსო ტაძარი.

### სოლომონის მეფობა

გარეგნულად სოლომონის მეფობა ძლევამოსილად და წარმატებულად გამოიყურებოდა. მამამისივით სახელმწიფო საზღვრების დასაცავად ხშირად არ უწევდა ბრძოლა, ვაჭრობითა და პოლიტიკური ქორწინებებით ინარჩუნებდა მშვიდობასა და უსაფრთხოებას. დიდებული სამეფო სასახლე აიშენა თავისთვისა და მრავალრიცხოვანი ცოლებისათვის. ტაძრის აგების პატივიც მას ხვდა წილად. აქაბას ყურეს ჩრდილოეთ ნაპირზე, ეცლიონ-გებერში სავაჭრო ხომალდების ფლოტი ააგო. მის ხელში იყო ვერცხლის საბადოები და მადნის გადამამუშავებელი საწარმოები. ამას გარდა, ჯიშიან ცხენებს ყიდდა.

სოლომონმა ისრაელის სამეფო ადმინისტრაციულ ოლქებად დაყო და გადასახადების ასაკ-

# მეფეები და წინასწარმეტყველები

ეროვნული ბიბლიოთეკა




ცხრილში მოყვანილია მხოლოდ იმ მეფეთა სია, რომლებიც ამ წიგნის ტექსტშია დასახელებული. ეს არ გახლავთ სრული სია. ისრაელისა და იუდას ზოგიერთი მეფის ზეობის წლები თანადროული იყო, ამიტომ მათი მეფობის წლები ნაწილობრივ ერთმანეთს ემთხვევა. ჩვენთვის უცნობია იოველ წინასწარმეტყველის ცხოვრების წლები


ორი სამეფო: ისრაელი და იუდა
ტვიროსი
სირია
ფინიკია
დანი
ხაცორი
ყაქო
დიდი (ხმელთაშუა) ზღვა
ქინერეთის (გალილეის) ზღვა
მთა ქარმელი
იზრეყელის ველი
მთა თაბორი
მეგიდო
შუნემი
იზრეყელი
რამოთ-გილყადი
მთა გილბოაყი
ბეთ-შანი
სამარია
თირცა
შექემი
მთა ღებალი
მთა გერიზიმი
ისრაელი
მდინარე იორდანე
ყამონი
იაფო
ბეთელი
ჰაღაი
მიცფა
გაბაონი
გეზერი
იერიხო
გიბყა
მთა ნებო
იერუსალიმი
ბეთლემი
იუდას უდაბნო
რაბა
აშკელონი
ფილისტიმეთი
მარილოვანი (მკვდარი) ზღვა
ლაქიში
ხებრონი
ყენ-გადი
დიბონი
ღაზა
იუდა
მოაბი
ბერშებაყი
ნეგების უდაბნო
ედომი

რებად გამგებლები დანიშნა. გრანდიოზული სამშენებლო პროექტების განსახორციელებლად იძულებით სამუშაო ძალასაც იყენებდა.

მეფეთა და ნეშტთა წიგნებში ამაღლევებლად და დიდებულად არის აღწერილი სოლომონ მეფის აურაცხელი სიმდიდრის ამბავი. ოქროუხვ ქვეყანაში ვერცხლს ფასი ჰქონდა დაკარგული. მისი მეფობის დროს ეგზოტიკური, იშვიათი საქონელი და ცხოველები შემოჰყავდათ ისრაელში, მათ შორის: ფარშევანგები, ყაფუზუნები, ოქრო, ვერცხლი და სპილოს ძვალი.

სოლომონმა შორს გაითქვა სახელი. შებას სამეფოს დედოფალი შორიდან – შესაძლოა იემენიდან – ეწვია სახელგანთქმულ მეფეს. მეფეთა წიგნის ავტორი ირწმუნება, რომ დედოფალი სოლომონის გამოსაცდელად ჩამოვიდა და რთული კითხვები დაუსვა მას. სავარაუდოა, რომ სავაჭრო და პოლიტიკური მიზნებიც ამოძრავებდა სტუმარს. სოლომონმა დედოფლის ყველა კითხვას გასცა პასუხი. სოლომონის სიმდიდრემ და სიბრძნემ დედოფლის ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა:

"მართალი ყოფილა, რაც ჩემს ქვეყანაში მქონდა გაგონილი შენზე და შენს სიბრძნეზე. სიტყვების არ მჯეროდა, ვიდრე თავად არ მოვედი და ჩემი თვალით არ ვიხილე. აჰა, თურმე ნახევარიც არ უთქვამთ ჩემთვის. უფრო მეტი სიბრძნე და დოვლათი გქონია, ვიდრე გამეგონა... კურთხეული იყოს უფალი, შენი ღმერთი, რომელმაც მოგისურვა, რათა ისრაელის ტახტზე დაესვი." (3 მეფ. 10:6-9)

დედოფალმა ურიცხვი ოქრო, ძვირფასი თვალი და ნელსაცხებელი უძღვნა მეფეს. სოლომონმაც არ დაიშურა ძვირფასი საჩუქრები სამშობლოში მიმავალი დედოფლისათვის.

რამდენადაც დიდებულად ცხოვრობდა სოლომონი, იმდენად გაჭირვებული იყო უბრალო ხალხი. ამიტომ იყო, რომ როდესაც სოლომონი გარდაიცვალა, გაღიზიანებულ, გაჭირვებულ ხალხში შეფარულად, ამბოხის სული ტრიალებდა. ღვთისგან ბოძებულმა სიბრძნემ ღმერთთან და ხალხთან ურთიერთობაში დაშვებული შეცდომებისაგან ვერ დაიცვა სოლომონი. ერთხანს იგი უცხოტომელი ცოლების მიერ ისრაელში შემოტანილ წარმართულ ღვთაებებსაც კი ეთაყვანებოდა. აი, რას ამბობს მეფეთა წიგნის ავტორი:

"განურისხდა უფალი სოლომონს, რადგან გული აიცრუა მან უფალზე, ისრაელის ღმერთზე." (3 მეფ. 11:9)

## ისრაელის სამეფოს დაყოფა

მეფე სოლომონის გარდაცვალების შემდეგ, მის შვილს, რობოამს, ხალხის წარგზავნილები ეახლნენ და ჰკითხეს: მოსახლეობის მძიმე უღლის შემსუბუქებას თუ აპირებო. სამეფო კარის უხეცესმა მრჩევლებმა ხალხის სამართლიანი მოთხოვნების შესრულება ურჩიეს, მაგრამ რობოამი ახალგაზრდა, თანშეზრდილ კარისკაცთა სიტყვებს ენდო და უკმეხი, მუქარით სავსე პასუხი გასცა ხალხს:

"ხომ დაგიმძიმათ მამაჩემმა უღელი, მე კიდევ უარესად დაგიმძიმებთ უღელს! ხომ შოლტებით გსჯიდათ მამაჩემი, მე მორიელებით დაგსჯით!" (3 მეფ. 12:14)

ისრაელიანთა სამხრეთის ტომებმა, რომლებიც სოლომონის ზეობის ჟამს ნაკლებ შეჭირვებას განიცდიდნენ, რობოამი მეფედ ცნეს. მაგრამ ჩრდილოეთის ტომები, რომლებიც უფრო მეტად დაზარალდნენ სამეფო ხელისუფლებისაგან, ისრაელის სახელმწიფოს გამოეყვნენ და ცალკე სახელმწიფოდ ჩამოყალიბდნენ. მეფედ აირჩიეს იერობოამი, რომელიც ადრე სახელმწიფო მოხელე იყო სოლომონ მეფის კარზე.

ამ დროიდან ჩრდილოეთის სამეფოს ეწოდა ისრაელი, სამხრეთისას კი – იუდა.

ამ მოვლენის შემდეგ ბიბლიის ავტორები ისრაელისა და იუდას სამეფოების ცხოვრებას ცალ-ცალკე აღწერენ და მეტ-ნაკლებად იცავენ ქრონოლოგიურ თანმიმდევრობასა და პარალელებს. ისრაელი ტერიტორიითა და სიმდიდრით იუდას აღემატებოდა, მაგრამ პოლიტიკური უსაფრთხოება ნაკლებად ჰქონდა დაცული. იუდას სამეფოს ტერიტორიაზე საერთაშორისო მნიშვნელობის სავაჭრო-საქარავნო გზები თითქმის არ გადიოდა და არც სტრატეგიული მდგომარეობით გამოირჩეოდა. სწორედ ამიტომ მტრის შემოსევებისაგან უფრო მეტად იყო დაცული.

## იერობოამი – ისრაელის მეფე

3 მეფეთა წიგნის ავტორები იერობოამს უარყოფითად ახასიათებენ და მიიჩნევენ, რომ ისრაელი ცოდვის გზაზე მან დააყენა. ორ ქალაქში, ბეთელსა და დანში, საწმიდარებში ოქროს ხბორები აღმართა, რომლებსაც ისრაელიანები და ქანაანელები ერთნაირად ეთაყვანებოდნენ.

როგორც ჩანს, იერობოამმა გადაწყვიტა ხალხისთვის იერუსალიმში, ძველ პოლიტიკურ და რელიგიურ ცენტრში, წასვლაში ხელი შეეშალა და ამ მიზნით ოქროს ხბორები აღმართა. თავდაპირველად შესაძლოა, ეს ხბორები ღმერთის ტახტის საყრდენებად მოიაზრებოდნენ, მაგრამ მალე თაყვანისცემის საგნად იქცნენ. ქანაანელების რელიგიაში ხბო ნაყოფიერების სიმბოლო იყო. ბიბლიის ავტორთა თვალსაზრისით, სწორედ ამ მოვლენამ შებილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


წა ღმერთის ჭეშმარიტი თაყვანისცემა და ცოდვის ის თესლი ჩათესა, რომელმაც ისრაელის სამეფოს გარდაუვალი დაცემა გამოიწვია ორასი წლის შემდეგ.

## ისრაელის მეფეები – ყომრი და აქაბი

ყომრისა და მისი ვაჟის, აქაბის, მეფობის წლებში ისრაელის სამეფო გაძლიერდა. ყომრიმ სამეფოს ახალი დედაქალაქი, სამარია, ააშენა. აქაბმა ცოლად შეირთო ციდონის მეფის ასული იეზებელი და ამით პოლიტიკური ურთიერთობები გააღრმავა ფინიკიასთან. ფინიკიის მეფის ასულმა ბაალის წარმართული კულტი ჩამოიტანა სამშობლოდან და ხელი მიჰყო ბაალის თაყვანისცემის დანერგვას ისრაელში. 3 მეფეთა წიგნის ავტორი მეფე აქაბის შესახებ გვამცნობს:

"თავის წინამორბედ ისრაელის მეფეებზე უფრო მეტად აჯავრებდა აქაბი უფალს, ისრაელის ღმერთს." (3 მეფ. 16:33)

ამ დროს ასპარეზზე გამოდის უშიშარი და შეუდრეკელი წინასწარმეტყველი ელია, რომელიც თამამად მოუწოდებდა ისრაელიანებს ჭეშმარიტი ღმერთის რწმენას დაბრუნებოდნენ (იხილეთ თავი 4, სადაც აღწერილია ელიასა და მისი მემკვიდრის, ელისეს ამბავი).

ყომრისა და აქაბის უსამართლობისა და ბაალის თაყვანისცემის წინააღმდეგ გაილაშქრა სარდალმა იეჰუმ, მაგრამ მან მალე სამართლიანი ბრძოლა საშინელ სისხლისღვრად აქცია. ისრაელში სამოყვროდ მოსული იუდას მეფე ახაზიც ვერ გადაურჩა მის რისხვას.

## იუდას სამეფო

იუდას უფრო კეთილგონიერი მეფეები მართავდნენ, ვიდრე ისრაელს. რობოამის შვილიშვილი ასა გონიერი და მართლმორწმუნე მეფე იყო, ისევე, როგორც მისი ვაჟი იოშაფატი. მაგრამ, ამ უკანასკნელის მემკვიდრემ, იორამმა, ცოლად შეირთო აქაბისა და იეზებელის ქალიშვილი ღოთოლია, რომელიც დედის მსგავსად უწმიდური პიროვნება გახლდათ.

მას შემდეგ, რაც მათი ვაჟი ახაზია იეჰუმ მოკლა, ღოთოლია იუდას სამეფოს ძლევამოსილ დედა-დედოფლად იქცა. სამეფო ტახტის ყველა მემკვიდრე და პრეტენდენტი გზიდან ჩამოიშორა, მმართველობის ძალაუფლება ხელში ჩაიგდო და სამეფოში ბაალის გარეგნულად შთამბეჭდავ თაყვანისცემას ამკვიდრებდა ექვსი წლის მანძილზე. მაგრამ, იეჰოშაბყათმა, მეფე იორამის ასულმა თავისი ძმისშვილი, იოშია ახაზიას ძე, სიკვდილისგან იხსნა. ექვსი წლის შემდეგ სახალხოდ აკურთხეს იოაში იუდას მეფედ. გამწარებული ღოთოლია კი გაჰკიოდა: "ღალატია! ღალატი!" მისი განწირული ყვირილი მცველების ყურადღებას იპყრობდა მხოლოდ, რომლებმაც არ დააყოვნეს და დედოფალი სიცოცხლეს გამოასალმეს.

## ისრაელი და იუდა

ისრაელის მეფე იერობოამ II და იუდას მეფე ყუზიაჰუ თითქმის ორმოცი წლის მანძილზე ერთსა და იმავე პერიოდში წარმატებით მართავდნენ საკუთარ სამეფოებს. მათ გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოები და სოლომონის მეფობის დროინდელ საზღვრებამდეც კი მიაღწიეს. მეფეთა წიგნის ავტორები ყუზიაჰუს მიმართ ნაწილობრივ მაინც იჩენენ კეთილგანწყობას, ხოლო იერობოამზე პირდაპირ



შალმანასარის მეფობის დროინდელი აშურული "შავი ობელისკი." ისრაელის მეფე იეჰუ ხარკის სახით ძვირფას ძღვენს უგზავნის აშურეთის მეფეს.

მიუთითებენ, რომ იგი ბრალეული იყო ღვთის წინაშე. ავტორები ამ მეფეების მიერ პოლიტიკურ ასპარეზზე მიღწეულ წარმატებებს უფრო აფასებენ, ვიდრე მათ ღვთისმოსაობას.

## ისრაელის სამეფო

გარეგნული კეთილდღეობისა და წარმატების მიუხედავად, ისრაელის სამეფო ზნეობრივად იყო დაცემული. წინასწარმეტყველმა ამოსმა იერობოამ II დროინდელი ისრაელის ცოდვები სააშკარაოზე გამოიტანა და დაგმო. წინასწარმეტყველმა ამხილა და აღწერა სახელმწიფოს მაღალ ფენებში გამეფებული ფუფუნება და გართობისაკენ მიდრეკილება, მოსახლეობის ღარიბი ფენების ჩაგვრა და მათი უფლებების შელახვა. სამეფო კარზე უსამართლობა ბატონობდა საწმიდარებში კი ღვთისმგმობელობა.

იერობოამის გარდაცვალების შემდეგ გამეფდა მისი ძე ზაქარია. ექვსი თვე იმეფა და შალუმის მიერ მოწყობილი შეთქმულების შედეგად დაიღუპა. შალუმმა ერთი თვე იმეფა და სამეფო ტახტის უზურპატორი მენახემმა მოკლა. ათი წელი მართავდა ისრაელს მენახემი, მაგრამ მისი მეფობა ღვთის აღთქმის უგულებელყოფით და უსამართლობით გამოირჩეოდა. ისრაელი აშურეთის ძლიერ იმპერიას დამორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# აშურეთი

ძველი აღთქმის ეპოქის გარკვეული პერიოდის მანძილზე აშურელები მდინარე ევფრატსა და ტიგროსს შორის მოქცეულ მიწაწყალზე ბატონობდნენ. დღეს ეს ტერიტორია ერაყის შემადგენლობაში შედის. აშურეთი ქ.წ. 1100 წელს გაძლიერდა, ქ.წ. 900 წელი კი აშურეთის ძლევამოსილ იმპერიად ჩამოყალიბების თარიღად არის მიჩნეული.

თიგლათ-ფილასარ III, რომელიც ბიბლიაში "ფულის" სახელით არის ცნობილი, იმპერიის საზღვრები ყველა მიმართულებით გააფართოვა.

ომში სასტიკნი იყვნენ აშურელები. დაპყრობილ-დამორჩილებული ხალხების ბორკილდადებულ წინამძღოლებს ქალაქის კარიბჭესთან აღმართულ ტახტზე მჯდომი აშურის მეფის წინ ჩაატარებდნენ ხოლმე. შემდეგ საშინლად აწამებდნენ, აბრმავებდნენ და ცოცხლად წვავდნენ ცეცხლში. ერთ-ერთი მეფე ტრაბახობდა, რომ აუტანელი სიკვდილისწინა აგონიით შეპყრობილი ადამიანების სვეტი აღმართა. ამ დროს კი სამეფო მწერლები დახოცილი ადამიანების მოჭრილ თავებს ითვლიდნენ, რათა ამ თავებისაგან საზარელი პირამიდა აეგოთ.

აშურბანიფალმა (669-636 ქ.წ.) იმპერიის დედაქალაქის, ნინევეს სასახლე ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების ცენტრად აქცია. სასახლის ბიბლიოთეკაში 20 000 თიხის "წიგნი" ინახებოდა. მეფის ბრძანებით, შუამდინარეთის ისტორიისა და ყოფა-ცხოვრების ამსახველი ყველა საბუთი შეაგროვეს და გადაწერეს.

ლურსმული წარწერები შესრულებულია სველი თიხის ფირფიტებზე სოლისებურად წამახული ხის ან ძვლის ჩხირით (იხილეთ დამწერლობის სახეები). შემდეგ ამ თიხის ფირფიტებს მზეზე აშრობდნენ და გამოწვავდნენ ხოლმე. შუამდინარეთის უძველესი ცივილიზაციების ისტორია სწორედ ნინევეს სასახლის ბიბლიოთეკის თიხის ფირფიტებმა შემოგვინახა.

აშურული ქვის ბარელიეფები ხშირად გვიჩვენებდნენ მეფე აშურბანიფალს საყვარელი გართობის — ნადირობის — დროს. სწრაფ და მსუბუქ ეტლზე შემდგარი მეფე ჰოროლითა და მშვილდ-ისრით არის შეიარაღებული. ერთ-ერთ წარწერაში მეფე ტრაბახით გვამცნობს, რომ ერთი ნადირობის დროს 50 სპილო, 370 ლომი და 250 სხვა გარეული ცხოველი დახოცა.



ძველ ნინევეში აღმოჩენილ ბარელიეფზე გამოსახულია აშურეთის მეფე აშურბანიფალი ნადირობისას.

ეროვნული ბიბლიოთეკა




აშურულ ბარელიეფზე გამოსახულია აშურელი ჯარისკაცი და ორი ისრაელიანი ტყვე. ქ.წ. VIII საუკუნეში აშურელმა მეფეებმა დაიპყრეს ისრაელის სამეფო და ალყა შემოარტყეს იერუსალიმს.






ეს შავი ბაზალტის ლომები თაიმათის ტაძრის კარიბჭის სვეტების დეკორატიულ საფუძველს წარმოადგენდნენ, ქ.წ. VIII საუკუნის ლომების გამოსახულება ხშირად გვხვდება აშურულ ქვის ბარელიეფებსა თუ ქანდაკებებში.



ეს უზარმაზარი ადამიანისსახიანი ფრთოსანი ხარი აშურეთის მეფის სარგონის სასახლეს ამშვენებდა.

ჩილდა. სამეფოს მდგომარეობა თანდათან უარესდებოდა და ბოლოს, აშურელთა ძლევამოსილი მეფის თიგლათ-ფილასარ III მრავალრიცხოვანმა ლაშქარმა ისრაელის დედაქალაქს – სამარიას – ალყა შემოარტყა. ორი საშინელი წლის შემდეგ, შიმშილით ღონემიხდილი ისრაელიანები მტერს დანებდნენ. აშურული პოლიტიკის შესაბამისად, დამორჩილებული მოსახლეობა გადაასახლეს და მათ ადგილას სხვა დაპყრობილი ტომები ჩამოასახლეს. ასე დასრულდა ისრაელის ათი ტომის ისტორია.

**იუდას სამეფო**

ისრაელის სამეფოს დაცემის შედეგად, იუდას სამეფო ფაქტიურად დაუცველი დარჩა აშურელთა აგრესიის წინაშე. იუდას მეფე ახაზმა ყურად არ იღო ესაია წინასწარმეტყველის – სამეფო კარის მრჩევლის, ბრძნული რჩევა და იძულებული გახდა აშურელთათვის მძიმე ხარკის გადახდა ეკისრა. ესეც არ იკმარა და სამეფოში აშურელთა ღმერთების თაყვანისცემას შეუწყო ხელი. მაგრამ, მისმა ვაჟმა და მემკვიდრემ ხიზკიამ შეისმინა წინასწარმეტყველის შეგონება და ფრთხილად შეუდგა დამოუკიდებლობისათვის მზადებას. იერუსალიმის გალავანი და კოშკები გაამაგრა, ჯარი განაახლა და ალყის შემთხვევაში მოსახლეობის წყლით უზრუნველყოფის მიზნით მიწისქვეშა გვირაბი გაიყვანა. მოგვიანებით, აშურელებმა ხარკი მოითხოვეს, მაგრამ მეფე მტრის შეტევას გადაურჩა. ამ სიტყვებით აღწერს ავტორი იმ უბედურებას, რომელიც იერუსალიმის ახლოს დაბანაკებულ აშურელთა ლაშქარს დაატყდა თავს:

*"იმ ღამით იყო, რომ გავიდა უფლის ანგელოზი და მუსრი გაავლო აშურის ბანაკში ასოთხმოცდახუთ ათას კაცს. ადგნენ დილით და, აჰა, მკვდარი იყო ყველა. აიყარა, წავიდა, გაბრუნდა სანხერიბი, აშურის მეფე, და ცხოვრობდა ნინევეში."* (4 მეფ. 19:35,36)

მომაკვდინებელმა სენმა გაანადგურა აშურელების ბანაკი.

მენაშე ხიზკიას ძე ორმოცდათხუთმეტი წელი მეფობდა. ხელახლა აღადგინა ბაალის კულტი სამეფოში და თვით ტაძარშიც კი. მისმა შვილიშვილმა იოშიამ მძიმე მემკვიდრეობის მიუხედავად, განწმიდა ღვთის ტაძარი და სახელმწიფოში გარდაქმნები განახორციელა. აღდგენითი სამუშაოების დროს ტაძარში რჯულის წიგნი (შესაძლოა მეორე რჯულის წიგნი) აღმოაჩინეს. როდესაც წიგნის შინაარსი გააცნეს მეფეს, თავზარი დაეცა. ისრაელიანთა წინამძღოლებს მოუწოდა, რომ ტაძარში მოსულიყვნენ და აღედგინათ ღვთის აღთქმით დაწესებული რჯული. მაგრამ, ღმერთის გადაწყვეტილებით, იუდას სამეფო უნდა დასჯილიყო. იოშიას სასიკეთო ძალისხმევის მიუხედავად, ხალხის დიდი ნაწილი ურჩობას იჩენდა.

იოშიას მომდევნო მეფეები უნებისყოფო და უგერგილო მმართველები აღმოჩნდნენ. ბაბილონელებმა, რომლებმაც იმ დროისათვის აშურეთის სამეფო დაიმორჩილეს, იერუსალიმს ალყა შემოარტყეს და ხელთ იგდეს იუდას მეფე, სამეფო კარის მოხელეები და ურიცხვი სიმდიდრე. გამარჯვებულებმა ქ.წ. 597 წელს სამეფო ტახტზე ციდკია აიყვანეს, რომელიც თავის კეთილისმყოფელებს აუჯანყდა და თვრამეტთვიანი ალყის შემდეგ, ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორმა იერუსალიმი აიღო.

ქალაქი გაიძარცვა, წმიდა ტაძარი დაინგრა, ხოლო მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ბაბილონეთში იქნა გადასახლებული. მხოლოდ ჭეშმარიტი წინასწარმეტყველები ხედავდნენ



"სინაქერიბის პრიზმა," ქვაზე ამოკვეთილი აშურული წერილობითი ძეგლი, აშურელთა მეფის მიერ იერუსალიმის ალყაში მოქცევის ამბავს აღწერს. ტექსტში ნათქვამია, რომ მეფემ ისე გამოკეტა ხიზკია ქალაქში, როგორც "ჩიტი გალიაში."

ეროვნული ბიბლიოთეკა


მომავალი იმედის სხივს ბაბილონის ტყვეობაში. (იხილეთ თავი 6 – ხალხის ცხოვრება ტყვეობაში და შემდეგ).

## 1 და 2 ნეშტთა

ნეშტთა წიგნების წაკითხვის შემდეგ, აუცილებლად გავიფიქრებთ: „ეს ყველაფერი ხომ უკვე წაკითხული გვაქვს!" – რადგან ისინი მეფეთა წიგნებში აღწერილ ამბებს იმეორებენ. ნეშტთა წიგნები ისრაელიანთა შტოების სიის მიხედვით ერის ჩამოყალიბების აღწერით იწყება, შემდეგ ყურადღებას ამახვილებს იუდას სამეფოზე მეფე დავითიდან იერუსალიმის დაცემამდე. ამ წიგნებში აღწერილი ამბები მეფეთა წიგნებს ავსებს და განსაკუთრებით ხაზგასმით გადმოგვცემს ტაძრის მშენებლობისთვის მზადებას, აშენებას და მის კურთხევას. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ნეშტთა წიგნებში დაწვრილებით არის აღწერილი იუდას მეფეთა ცხოვრება – დავითის ოჯახის ამბავი.

ნეშტთა წიგნები ბევრად უფრო გვიან დაიწერა, ვიდრე ძველი აღთქმის სხვა წიგნები, დაწყებული იესო ნავეს ძიდან მეფეთა წიგნების ჩათვლით, ანუ იმ წიგნების ჯგუფი, რომელიც დაწერეს ან შეკრიბეს მეორე რჯულის ავტორებმა, ან შემდგენელებმა. მაგრამ, ამ წიგნების მსგავსად, ნეშტთა წიგნები ძხრთაჭიდილის ისტორიას გვამცნობენ.

ფიქრობენ, რომ ნეშტთა წიგნები ქ.წ. IV საუკუნეში დაიწერა სპარსეთის იმპერიაში მცხოვრები ებრაელებისთვის (იხილეთ თავი 6). ისრაელიანთა ცხოვრების ტყვეობამდელი ამბები ისეთივე წარსული იყო მათთვის, როგორც ჩვენთვის დღეს. ავტორებმა იუდას მეფეებისა და ღვთისმსახურების ისტორია ღმერთის სიდიადისა და სამართლიანობის საჩვენებლად მოიყვანეს.

მნიშვნელოვანია ვიცოდეთ ის, თუ რა არის გამოტოვებული ნეშტთა წიგნებში, ისევე როგორც ის, თუ რა არის ჩართული მათში. დავითისა და სოლომონის მეფობა ისრაელის ოქროს ხანა იყო. თუმცა აქ არაფერია ნათქვამი დავითისა და ბათ-შებაყის უკანონო ურთიერთობასა და ურიას მკვლელობაზე. არც სოლომონის კერპთაყვანისმცემლობის ცოდვებზე მოგვითხრობენ ავტორები. ზედაპირულად და მშრალად არის ნახსენები ერთიანი სამეფოს დაშლის შემდეგ წარმოქმნილი ისრაელის სამეფო. შესაძლოა, ავტორები ისრაელის სამეფოს, მისი დაარსების დღიდანვე, განწირულად მიიჩნევდნენ. უდავოა, რომ ისინი მეფე დავითის შთამომავლებით არიან დაინტერესებულნი და ღვთის აღთქმული ისრაელის მარადიული სამეფოს აღშენების გასრულებას შენატრიან.

ნეშტთა წიგნები დაწვრილებით კრებენ და აღწერენ იუდას სამეფოს უკანასკნელ მოვლენებს, რათა გაშუქებულ იქნას ღმერთისა და მისი რჩეული ერის ურთიერთობა. ღმერთი განსჯის და დასჯის წინასწარგანზრახულ ურჩობას, მაგრამ მალევე აღადგენს გაწყვეტილ ურთიერთობას და ღმერთის მოწყალე სიყვარული მისსავე მოქმედებაში გამომჟღავნდება. ღმერთის ყოველი მოქმედება გარკვეული ნიშან-თვისებით ხასიათდება: მისი მოწყალება, სიკეთე, სიყვარული და კურთხევა ყოველთვის სჭარბობს ისრაელიანთა დამსახურებას. ღმერთის მზრუნველობა და მოწყალება კარგად არის გამოხატული მეფე ასას სიტყვებში, რომელიც მტერთან შესახვედრად ასეთი აღსარებით დაიძრა:

> *„განა შენგან არ არის შეწევნა ძლიერისა და უძლურისა? შეგვეწიე უფალო, ღმერთო ჩვენო, რადგან შენზე ვართ მინდობილნი და შენი სახელით გამოვედით ამ ურდოს წინააღმდეგ. უფალო, შენ ღმერთი ხარ ჩვენი, ვერ გაგიძლოს კაცმა!"*
>
> (2 ნეშტ. 14:10)

ნეშტთა წიგნების ავტორთა სურვილია მათი თანამედროვე ისრაელიანები თავიანთი წინაპრების კვალზე დამდგარნი იხილონ.

### 1 და 2 ნეშტთა

**1 ნეშტთა: მთავარი ამბები და მოვლენები**

- გენეალოგიური ხე: ადამიდან პირველ მეფეებამდე 1-9
- მეფე საულის სიკვდილი 10
- მეფე დავითის ამბავი 11-21
- დავითი ემზადება ტაძრის ასაშენებლად და ღმერთის სათაყვანებლად 22-29

**2 ნეშტთა: მთავარი ამბები და მოვლენები**

- მეფე სოლომონის ამბავი 1-9
- სამეფოს გაყოფა; იუდას სამეფოს ამბები 10-21
- ღოთოლია და იოაში 22-24
- მეფე ხიზკიას ამბავი: აშურელები ალყაში აქცევენ იერუსალიმს 29-32
- მეფე იოშიას რეფორმები; რჯულის წიგნის აღმოჩენა 34-35
- იერუსალიმის უკანასკნელი დღეები და დაცემა 36

ეროვნული ბიბლიოთეკა

4

# ადრეული წინასწარმეტყველები

## ელია · ელისე · მიქაიაჰუ · ამოსი · ესაია · მიქა

მაგარი გული უნდა გქონდეს კაცს, რომ საზოგადოების წინაშე ამ სიტყვებით წარსდგე: "ამას ამბობს უფალი," მაგრამ სწორედ ასე იქცეოდნენ წინასწარმეტყველები. ისრაელის ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ღმერთი დადუმებული არ იყო და წინასწარმეტყველებიც ღვთის განგებას წუთისოფელს უცხადებდნენ.

ზოგჯერ ღვთის მითითებით მეფეებს ამხელდნენ ან აფრთხილებდნენ, უფრო ხშირად კი მთელ ერს და ღმერთის აღთქმით გათვალისწინებული ურთიერთობის აღდგენისაკენ მოუხმობდნენ. როდესაც ისრაელიანები საკუთარი საქმის მოსაგვარებლად გარეშე ძალას უკავშირდებოდნენ; როდესაც ღარიბებსა და უმწეოებს ჩაგრავდნენ; როდესაც ღმერთის თაყვანისცემას წყეული და ბოროტი ბაალის თაყვანისცემით ბილწავდნენ, წინასწარმეტყველები ყოველივე ამის შესახებ ღვთის დამოკიდებულებას უცხადებდნენ ისრაელს.

ძალიან ხშირად ხალხს ღვთის სასჯელის მოახლოებას აუწყებდნენ, მაგრამ მარცხისა თუ ტყვეობის საფრთხე ყოველთვის კურთხევის აღთქმით იცვლებოდა, თუკი ისინი დანაშაულს მოინანიებდნენ. წინასწარმეტყველის ხმა, მსგავსად სინდისის ხმისა, იმ ღმერთის ერთგულებისკენ მოუწოდებდა ხალხს, რომელსაც კვლავ უყვარდა ისინი და ზრუნავდა მათზე.

### სხვადასხვა წინასწარმეტყველები

წინასწარმეტყველები მხოლოდ ისრაელიანებს როდი ჰყავდათ, სხვა რელიგიებშიც არსებობდნენ ისინი, თუმცა ისინი ძალიან განსხვავდებოდნენ ისრაელიანი წინასწარმეტყველებისაგან. წარმართი მისნების მოვალეობა იყო, განეჭვრიტათ რომელიმე მეფის მომავალი, ან ბედი იმ პიროვნებისა, ვინც მომსახურებისათვის საჭირო თანხას გადაუხდიდა. ხშირად, წინასწარმეტყველების მიხნით, ისინი ექსტაზურ მდგომარეობაში ვარდებოდნენ.

ისრაელის წინასწარმეტყველები ზოგჯერ მომავალსაც ჭვრეტდნენ, თუმცა უფრო პირობითად და მათი წინასწარმეტყველება ყოველთვის ღმერთის შთაგონებაზე იყო დამოკიდებული. თუკი ხალხი მოინანიებდა და ღმერთს დაუბრუნდებოდა, აუცილებლად გადაურჩებოდა მკაცრ სასჯელს, მაგრამ თუკი ისინი ღვთის ურჩობასა და უსამართლობას გააგრძელებდნენ გამარჯვებული მტრების ულელქვეშ აღმოჩნდებოდნენ.

ზოგჯერ წინასწარმეტყველთა ჯგუფები ან სკოლები ერთ თემში ერთიანდებოდნენ, ზოგჯერ საწმიდარში ცხოვრობდნენ ერთად, ზოგიერთი კი სამეფო კარზე მსახურობდა. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც მეფეებს იმას აუწყებდნენ, რაც მხოლოდ საამური და იმედის მომცემი იყო და წარმატებასა და გამარჯვებებს ჰპირდებოდნენ. წინასწარმეტყველი იერემია დაუნდობლად ამხელდა მის თანამედროვე ცრუწინასწარმეტყველებს, რომლებიც მოვლენებს ვერ აფასებდნენ და ფუჭი იმედებით ანუგეშებდნენ ხალხს:

> "არ შეისმინოთ წინასწარმეტყველთა სიტყვები,
> რასაც გიწინასწარმეტყველებენ, გაცთუნებენ ისინი,
> მოგონილ ხილვებს გიქადაგებენ, არა უფლისმიერს."
>
> (იერ. 23:16)

ისრაელის ყოველი მნიშვნელოვანი წინასწარმეტყველი მარტოხელა ადამიანი იყო. ელიასა და ელისეს მოღვაწეობის შესახებ 3 და 4 მეფეთა წიგნებში ვკითხულობთ. ამ წიგნების ავტორები ამაღელვებლად მოგვითხრობენ ამ წინასწარმეტყველთა საქმეებსა და სასწაულებზე, მათ მხურვალე ქადაგებებზე. ბიბლიის ის წიგნები, რომლებსაც მოგვიანებით წინასწარმეტყველთა სახელები ეწოდა – ესაია, იერემია და სხვა – ხშირად წინასწარმეტყველთა მოღვაწეობაზე უფრო მოგვითხრობენ, ვიდრე მათ ბიოგრაფიაზე. ისინი ეგრეთ წოდებული "მწერალი წინასწარმეტყველები" არიან, რომლებიც ღვთის მიერ გაცხადებულ სიტყვას მაშინვე ან მოგვიანებით იწერდნენ (შესაძლოა ამას მწერლები ან მათი მოწაფეები აკეთებდნენ). მათ შორის ქრონოლოგიურად პირველია ამოსი, რომელიც ელისეს შემდეგ ორმოცი წელი მოღვაწეობდა და გარდაიცვალა დაახლოებით ქ.წ. 760 ან 750 წელს.

ბიბლიაში წინასწარმეტყველთა წიგნები ფსალმუნებისა და ეგრეთ წოდებული "სიბრძნის წიგნების" შემდეგ მოდის. ჯერ მოდის დიდი წინასწარმეტყველების: ესაიას, იერემიას, ეზეკიელის წიგნები, მათ მოსდევს მცირე წინასწარმეტყველთა წიგნები. ამგვარად, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა მკაცრად არ არის დაცული.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## სასწაულები ძველ აღთქმაში

ზოგიერთი მკვლევარი ძველი აღთქმის სასწაულებს – ელიას, ელისეს და სხვათა ამბებს – ხალხური სიტყვიერების ნაყოფად მიიჩნევს. ისინი ამბობენ, რომ ძველ აღთქმაში სასწაულებრივი ამბები მოგვიანებით იქნა ჩართული.

სხვანი აღნიშნავენ, რომ სასწაულები მთელი ძველი აღთქმის მანძილზე კი არ გრძელდებოდა, არამედ მხოლოდ ზოგიერთ ამბავში გვხვდებაო. ეს სასწაულები უკავშირდება ისრაელის ეგვიპტის ტყვეობიდან გამოსვლასა და უდაბნოში ორმოცწლიან ხეტიალს. სასწაულების სიუხვე თვალში საცემი იყო ელიას და ელისეს დროსაც.

მოსეს დროს, ეგვიპტელებს ღმერთის მოთხოვნა უნდა შეესრულებინათ. მნიშვნელოვანი იყო სასწაულები ისრაელიანებისთვისაც, რათა მათ შეეგნოთ ჭეშმარიტ ღმერთთან დაბრუნების აუცილებლობა.

ელიას მოღვაწეობის ჟამს ბაალის თაყვანისცემა ისრაელიანთა რწმენას ამოძირკვით ემუქრებოდა. ღვთის რჩეულმა ერმა იხილა ჭეშმარიტი ღმერთის ძალმოსილება, რომელიც ყოველ კერპს აღემატებოდა თავისი ძალით.

იმ პერიოდში სასწაულების დანიშნულება ისრაელის ღვთის აღთქმის რწმენაში დაბრუნება იყო.

ბიბლია ისე გამოკვეთილად არ განასხვავებს სასწაულებს ბუნებრივი მოვლენებისგან, როგორც დღეს ჩვენ. ღმერთი განიხილებოდა როგორც ყველგანმყოფი და მოქმედი. იგი თავის ნებას ხორცსასხამდა როგორც ბუნებრივი მოვლენებით, ისე სასწაულებით. ის არის ქარიშხლისა და მოსავლის ღმერთი, ისევე როგორც ის ღმერთი, რომელმაც ზეციდან ცეცხლი გადმოუშვა ქარმელის მთაზე.

ზოგჯერ ბუნებრივი მოვლენები სასწაულად არის ხოლმე წარმოდგენილი. მაგალითად, ქარი, რომელმაც მეწამული ზღვის წყლებს უკან დაახევინა. ღმერთი განუწყვეტლივ მოქმედებს უჩვეულო თუ ჩვეულებრივი გზებით, რათა საკუთარი მიზნები განახორციელოს.

## წინასწარმეტყველება და მოქმედება

ეგრეთ წოდებული "მწერალი წინასწარმეტყველები" ღმერთის ნებას მოკლე პოეტური გამონათქვამებით გამოხატავდნენ, რომელსაც ხშირად იწყებდნენ და ამთავრებდნენ შემდეგი სიტყვებით: "ასე ამბობს უფალი." წინასწარმეტყველთა წიგნებში არეკლილია იმ დროის მოთხოვნები და მოვლენები, რომელთა ფონზეც იწერებოდა წინასწარმეტყველება.

წინასწარმეტყველები ღმერთისგან მიღებული ხილვების საშუალებით გებულობდნენ ღვთის ნებას. ხშირად ისინი სიმბოლური მოქმედებებით ამძაფრებდნენ სათქმელს. მაგალითად, იერემიამ მიწაზე დაანარცხა თიხის დოქი იმისათვის, რომ ამ მოქმედებით უფრო ცხადი გამხდარიყო უფლის ნება.

## წინასწარმეტყველის დანიშნულება

წინასწარმეტყველის მნიშვნელობა ძალიან დიდი იყო. პირველი, მისი ამოცანა იყო მეფის მხილება და შეგონება. ისრაელი ღვთის ერი იყო – ღმერთი იყო მათი მეფე – და ისრაელის პირველი მეფეები სწორედ ღმერთის წარმომადგენლები იყვნენ ქვეყანაში. ღვთის რჯული იყო უმაღლესი კანონი და მეფე შეუზღუდავი ძალაუფლებით არ სარგებლობდა. მაგალითად: ნათანმა ამხილა მეფე დავითი ბათ-შებაყსა და ურიასთან მომხდარი ურთიერთობის ჟამს; ელიამ მეფე აქაბი ხელქვეითის დაჩაგვრის გამო დატუქსა (იხილეთ ქვემოთ).

წინასწარმეტყველის ვალი იყო სამართლიანობის დაცვა – სამეფო კარზე იქნებოდა ეს თუ ისრაელიანთა ყოველდღიურ ურთიერთობებში. ღმერთი სასწორის ქვების სიზუსტესა და ჯამაგირის დროულად გადახდაზეც ზრუნავდა. ის იცავდა ღარიბებისა და უმწეოების უფლებებს.

მაგრამ, წინასწარმეტყველის ყველაზე მთავარი დანიშნულება იყო ისრაელისათვის ღვთის აღთქმული ურთიერთობისა და მათი უფლება-მოვალეობების შეხსენება. ისრაელს ღვთის რჯული უნდა დაეცვა. პირველ რიგში უფალი ღმერთი უნდა ჰყვარებოდა და შემდეგ აღთქმის ყველა თანამოზიარე ადამიანი.

წინასწარმეტყველი ღვთის თაყვანისცემის ფორმალურ მხარეზეც ამახვილებდა ყურადღებას. მსხვერპლშეწირვა და მსახურება არაფერს ნიშნავდა ღმერთისთვის, თუკი მსახური ღვთის რჯულს არ იცავდა და სიკეთეს არ თესავდა. სამუელმა ისრაელის პირველ მეფეს, საულს უთხრა:

> "მოსმენა უკეთესია საკლავზე, მორჩილება – ცხვრის ლურთებზე." (1 მეფ. 15:22)

## ელია და ელისე

დიდი წინასწარმეტყველი ელია ძველი აღთქმის ერთ-ერთი ნათელი პიროვნება გახლავთ და მისი მოღვაწეობა მრავალთათვის კარგად არის ცნობილი. ის მორალურად დაცემულ მეფე აქაბსა და მის მეუღლეს იზებელს დაუპირისპირდა და ხანგრძლივი გვალვიანობა იწინასწარმეტყველა:

> "ვფიცავ უფალს, ისრაელის ღმერთს, რომლის წინაშე ვდგავარ, რომ არ იქნება ამ წლებში ცვარი და წვიმა, თუ არა ჩემს სიტყვაზე." (3 მეფ. 17:1)

რა თქმა უნდა, თავად ელიაც ვერსად გაექცეოდა გვალვას. ღმერთმა უბრძანა მას, რომ



ბიბლია გვამცნობს, რომ დიდი გვალვის დროს ყორნებს მიჰქონდათ საკვები ელია წინასწარმეტყველისათვის.

იორდანეს გაღმა, აღმოსავლეთით ქერითის ხევში ერთ-ერთ ნაკადულთან დაედო ბინა. ნაკადული სასმელი წყლით ამარაგებდა ელიას, ყორნებს კი პური და ხორცი მიჰქონდათ დილა-საღამოს. მაგრამ, ერთხელაც ნაკადული დაშრა და ღმერთმა უბრძანა მას წასულიყო ჩრდილოეთში, ფინიკიის ქალაქ ციდონის მხარეში, სადაც მას ქვრივი ქალი დააპურებდა.

როდესაც ქალაქ ცარფათს მიუახლოვდა, შემოხვდა ქვრივი ქალი, რომელიც შეშას აგროვებდა. ამ ქალს წყალი და საკვები სთხოვა ელიამ. ქალმა კი მიუგო, რომ უკანასკნელი ულუფის მოსამზადებლად მიდიოდა თავისთვის და თავისი ვაჟისთვის. სასოწარკვეთილებაში იყო ჩავარდნილი უბედური ქალი. ელიამ სთხოვა პატარა ხმიადი მისთვისაც გამოეცხო და დაჰპირდა:

ელიას და ბაალის მსახურებს შორის დაპირისპირება ქარმელის მთაზე მოხდა.



"ასე ამბობს უფალი, ისრაელის ღმერთი; კასრში ფქვილი არ გამოილევა და დოქში ზეთი არ დაიკლებს, ვიდრე უფალი წვიმას არ მოიყვანს ამქვეყნად."
(3 მეფ. 17:14)

## პაექრობა ქარმელის მთაზე

გვალვის მესამე წელს ელიამ მიიღო მეფე აქაბთან დაბრუნების ბრძანება. ელიამ მეფეს ისრაელიანები დააბარებინა ქარმელის მთაზე, რათა მათ საკუთარი თვალით ეხილათ ისრაელის ღმერთისა და იზებელის მიერ ჩამოყვანილი ბაალის 450 წინასწარმეტყველის გადამწყვეტი ბრძოლის შედეგი. დაპირისპირებულმა მხარეებმა სამსხვერპლოები მოამზადეს. ის ღმერთი იქნებოდა ჭეშმარიტი, რომელიც სამსხვერპლოზე დაწყობილ შესაწირს ზეციდან გამოგზავნილი ცეცხლით დასწვავდა.

პირველად ბაალის წინასწარმეტყველები შეუდგნენ მოქმედებას. ბაალს ცეცხლის მოვლენას სთხოვდნენ და მთელი დღის მანძილზე სამსხვერპლოს გარშემო როკავდნენ, თან გაცოფებულნი თავს მახვილებითა და შუბებით ისერავდნენ. ასე ლამობდნენ თავისი ღვთაებისაგან პასუხის მიღებას. მაგრამ ამაო იყო მათი ძალისხმევა.

და აი, ელიას რიგიც მოვიდა. ჯერ ღმერთის დანგრეული სამსხვერპლო აღადგინა და წყალი გადაასხა, რათა სასწაულის მოხდენა უფრო მეტად გაეძნელებინა. შეევედრა უფალ ღმერთს, რომ პასუხი გაეცა და ცეცხლი მოევლინა აღსავლენი მსხვერპლის დასაწვავად, რათა ერწმუნა მთელ ისრაელს, რომ მხოლოდ ის არის ჭეშმარიტი ღმერთი და მხოლოდ ის არის თაყვანისცემის ღირსი.

ელიას ლოცვის პასუხად ცეცხლი დაეშვა ზეციდან და მსხვერპლი დაწვა. განცვიფრებულმა ხალხმა ისრაელის ღმერთი ჭეშმარიტ ღმერთად აღიარა. ბაალი, ჭექა-ქუხილისა და წვიმის ღმერთი, უძლური აღმოჩნდა, რადგან ვერ შესძლო გვალვის შეჩერება და ცეცხლით მსხვერპლის დაწვა. ჭეშმარიტი ღმერთისგან საყოველთაო განდგომის ჟამს წინასწარმეტყველმა ელიამ რჩეული ერი ღვთის აღთქმით განმტკიცებულ ურთიერთობას დაუბრუნა.

## ელიას ღმერთის ხმა ესმის

წინასწარმეტყველ ელიას სიმტკიცე და მხნეობა სასოწარკვეთილებით შეიცვალა მას შემდეგ, რაც დედოფალი იზებელი მოკვლით დაემუქრა. იმედდაკარგულმა სინაის მთას შეაფარა თავი. იქ გამოეცხადა უფალი ღმერთი ელიას.

"უფლის წინაშე ამოვარდა დიდი და ძლიერი ქარი, მთათა დამაქცეველი და კლდეთა შემმუსვრელი, მაგრამ ქარში არ იყო უფალი. ქარის მერე — მიწისძვრა, არც მიწისძვრაში იყო უფალი. მიწისძვრის

მერე — ცეცხლი, არც ცეცხლში იყო უფალი;
ცეცხლის მერე — ოდნავი ჩქამი." (3 მეფ. 19:11,12)

ჩქამით ანუ ჩურჩულით დაელაპარაკა ღმერთი წინასწარმეტყველს. დამშვიდდა ელია და უთხრა, რომ მარტო ის არ იყო ღვთის ერთგული. ისრაელში 7000 ღვთისმოსავი იყო, რომლებმაც ბაალს არ სცეს თაყვანი. ღმერთმა ელიას ახალი საქმეების შესრულება დაავალა და შემწედ დაუნიშნა ახალგაზრდა ელისე, რომელიც მის მოწაფედ და ისრაელის მომავალ წინასწარმეტყველად ჰყავდა განწესებული ღმერთს.

### ნაბოთის ვენახი

დედოფალ იზებელის ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ელია წინასწარმეტყველმა ღვთის რჯულისა და სამართლიანობის დასაცავად სიმამაცე გამოიჩინა. მეფე აქაბმა ერთი ვენახის ხელში ჩაგდება მოიწადინა, რადგან ძალიან მოეწონა. მაგრამ, ვენახის პატრონმა, ნაბოთმა, გაყიდვაზე უარი განაცხადა.

იზებელს მიაჩნდა, რომ მეფის სურვილები უბრალო ხალხის უფლებებზე მაღლა იდგა. დედოფალმა გადაწყვიტა ნაბოთის დაღუპვა.

ყველაფერი ვერაგული გეგმის მიხედვით მიდიოდა, მაგრამ იმ დროს, როდესაც მეფე აქაბი კმაყოფილი სეირნობდა ახლად დაუფლებულ ბაღში, ელია წინ გადაუდგა და გააფრთხილა, რომ ჩადენილი ბოროტების სანაცვლოდ მისი სამეფო სახლი განადგურდებოდა. რაც აღსრულდა კიდეც.

### ელიას გამგზავრება

როდესაც ელიას აღსასრული მოახლოვდა, წინასწარმეტყველმა სცადა ჩამოშორებოდა თავის მოწაფეს, ელისეს და წასულიყო ამ სოფლიდან. მაგრამ ელისეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი არ მიეტოვებინა იგი.

როდესაც მდინარე იორდანეს მიადგნენ, ელიამ დაგორგლილი მოსასხამი დაარტყა წყალს, წყალი შუაზე გაიპო და დამშრალი ფსკერით გადავიდნენ მეორე ნაპირზე. მაშინ ჰკითხა ელიამ ელისეს:

"რა გავაკეთო, ვიდრე ავმაღლდებოდე შენგან?" (4 მეფ. 2:9)

ელისემ ელიას სულის "ორმაგი წილი" მოსთხოვა, რათა წინასწარმეტყველის სულიერი ძალა და ავტორიტეტი დაემკვიდრებინა. მასწავლებელმა პირობა მისცა, რომ თუკი ამაღლების ჟამს მას თვალს მოჰკრავდა, გულისწადილი აუსრულდებოდა.

"როცა მიდიოდნენ და მისაუბრობდნენ, აჰა, ჩადგა მათ შორის ცეცხლის ეტლი და ცეცხლის ცხენები და განაშორა ორნი ერთმანეთს და ცად ავიდა ელია ქარბორბალათი." (4 მეფ. 2:11)

დადარდიანებული ელისე უკან, იორდანესკენ გაბრუნდა და როდესაც მდინარეს მიუახლოვდა აიღო ელიას დატოვებული მოსასხამი და დაარტყა იორდანეს წყლებს, ისევე, როგორც მისმა მასწავლებელმა და თქვა:

"სად არის უფალი, ელიას ღმერთი?" (4 მეფ. 2:14)

გაიპო იორდანეს წყლები შუაზე, ზუსტად ისე, როგორც ელიას დროს. ელისემ დაიმკვიდრა წინასწარმეტყველის ღვთისგან მონიჭებული სულიერი ძალა.

ელისემ ღვთიური ძალა სასწაულებში გამოავლინა. მიადგა ისრაელის სამეფო კარს და მეფე დაარიგა და თან არამეელთა მხრიდან მოსალოდნელი საფრთხე – დედაქალაქის, სამარიის, ალყაში მოქცევა, უწინასწარმეტყველა.

ამას გარდა, რამდენიმე მცირე სასწაული მოიმოქმედა ღარიბი ხალხის სასიკეთოდ, მათ დასახმარებლად. სწორედ მისი ძალისხმევით აკურთხეს მეფედ იეჰუ, რომლის სისხლიანი საქმეებიც მოგვიანებით ამხილა ოსია წინასწარმეტყველმა.

### ცრუ და ჭეშმარიტი წინასწარმეტყველები

წინასწარმეტყველ მიქაიაჰუს ამბავი მკაფიოდ გადმოსცემს განსხვავებას ღვთის წინასწარმეტყველსა და ცრუ წინასწარმეტყველს შორის.

### უფლის დღე

უფლის დღის თემას ხშირად მიმართავს ბიბლიის ყველა წიგნი და აღწერს იმ დღეს, როდესაც ღმერთი ძლევამოსილებით შემოიჭრება კაცობრიობის ისტორიაში. წინასწარმეტყველ ამოსის დროს ადამიანებს ღრმად სწამდათ, რომ ღვთის რჩეული ერისთვის გამარჯვებისა და სიხარულის ჟამი დადგებოდა. ისრაელი აღორძინდებოდა, ხოლო მტრები დამარცხდებოდნენ. ამოსი, შემდეგ კი ესაია და სხვა წინასწარმეტყველები ამტკიცებენ, რომ უფლის დღე ღვთის ერისათვის უმთავრესი შედეგების შეჯამების დღე იქნებოდა.

"ვაი, უფლის დღის მონატრულთ!
რისთვის გინდათ უფლის დღე?
ბნელია ის და არა ნათელი;
როგორც ლომისაგან გაქცეულ კაცს დახვდება დათვი!
ან სახლში მისული მიეყუდება კედელს და გველი უკბენს.
განა ბნელი არ არის უფლის დღე და არა ნათელი?
წყვდიადია და შუქის ნატამალი არ არის მასში."
(ამოს. 5:18-20)

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინასწარმეტყველი ამოსი ფუფუნების მოყვარულ სამარიელებს ამხილებდა, რომლებიც სახლებს სპილოს ძვლის ნაკეთობებით ამკობდნენ და იმავდროულად ღარიბებს ჩაგრავდნენ და ამცირებდნენ.



ისრაელის მეფე აქაბმა იუდას მეფე იოშაფატს რამოთ-გილყადზე, არამის (სირიის) ქალაქზე, ერთიანი ძალებით ლაშქრობა შესთავაზა. ლაშქრობის დაწყებამდე გადაწყვიტეს ღმერთს დაჰკითხვოდნენ და სამეფო კარზე მოღვაწე 400 წინასწარმეტყველს მიმართეს. ყოველმა მათგანმა დაარწმუნა მეფეები, რომ ლაშქრობა აუცილებლად გამარჯვებით დამთავრდებოდა.

მეფე იოშაფატი დააეჭვა ყველა წინასწარმეტყველის დადებითმა პასუხმა და მეფე აქაბს სხვა წინასწარმეტყველის, მიქაიაჰუს, აზრის მოსმენა ურჩია, რომელიც მეფის კარზე წარმატებით იმის გამო არ სარგებლობდა, რომ მუდამ უბედურებას წინასწარმეტყველებდა. საკუთარი სიტყვის ჭეშმარიტებაში დარწმუნებულმა მიქაიაჰუმ იწინასწარმეტყველა, რომ მთელი ისრაელი უმწყემსოდ დარჩენილი ცხვრის ფარასავით გაიფანტებოდა მთებზე.

განრისხებულმა აქაბმა მიქაიაჰუს დაპატიმრება და საპყრობილეში ჩაგდება ბრძანა და განკარგულებ გასცა, რომ წყლისა და პურის გარდა არაფერი მიეცათ, ვიდრე გამარჯვებული არ დაბრუნდებოდა უკან. თქვა მიქაიაჰუმ:

"თუ მშვიდობით დაბრუნდი, უფალს არულაპარაკია ჩემი პირით." (3 მეფ. 22:28)

საბედისწერო და უკანასკნელი აღმოჩნდა აქაბისათვის ეს ბრძოლა. არ შეისმინა ღვთის ჭეშმარიტი სიტყვა და დაიღუპა.

## ამოსი

წინასწარმეტყველი ამოსი სხვა წინასწარმეტყველთაგან განსხვავებით, სამეურნეო საქმიანობასაც მისდევდა: იუდეის სოფელ თეკოაყში ცხვრის ფარას მწყესავდა. შესაძლოა, ჩრდილოეთის სამეფოში, ისრაელში, პირველად მატყლის გასაყიდად ყოფილიყო ჩასული. სწორედ ისრაელში წინასწარმეტყველებდა მეფე იერობოამ II დროს.

ამოსი აღშფოთებული იყო სრული განუკითხაობითა და უსამართლობით, რომელიც სუფევდა ისეთ რელიგიურ ქალაქში, როგორიც იყო ბეთელი. იგი გულისტკივილით ქადაგებდა ხალხში და დაჟინებით არწმუნებდა ყველას, რომ ისრაელი ღვთის რჩეული ერი იყო. ამიტომ ისრაელიანებს ორმაგად დამნაშავეებად მიიჩნევდა ჩადენილი უსამართლობის გამო. ხალხი ასრულებდა დადგენილ რელიგიურ წესებს და სწირავდა მსხვერპლს, მგრამ ყოველივე მხოლოდ თვალთმაქცობა იყო, რადგან მთელ ქვეყანაში სრული უსამართლობა გამეფებულიყო. ამოსი ამხელდა ფუფუნების მოყვარულ ქალებსა და მდიდარ ვაჭრებს, რომლებსაც გაჭირვებული თანამოძმეების ბედი სრულებით არ ანაღვლებდათ. ამოსმა ხალხს ღვთის ნება-სურვილი ასე განუცხადა:

"წყალივით იდინოს სამართალმა და იყოს სიმართლე დაუწყვეტელ ნაკადულივით." (ამოს. 5:24)

## ოსია

ოსია ჩრდილოეთის სამეფოში, ისრაელში, წინასწარმეტყველებდა. ის ამოსის შემდეგ მოღვაწეობდა. იმ დროს, როცა ამოსის მიერ ნაწინასწარმეტყველები უბედურება უკვე ჩავლილი იყო. ოსიას წინასწარმეტყველებანი მის ცხოვრებისეულ გამოცდილებას ემყარება და არა ხილვებს.

ოსია მოღალატე ცოლის მიერ მიყენებული ტკივილით იტანჯებოდა. ღმერთის ბრძანებით იგი ცოლს კი არ გაეყარა, როგორც ეს მიღებული იყო იმ დროს, არამედ მონობაში მყოფი ცოლის მოსაძებნად და გამოსასყიდად გაეშურა.

ღმერთმა აჩვენა ოსიას, რომ ისრაელიც ზუსტად ისევე იქცეოდა ღვთის წინაშე, როგორც მას მოექცა ცოლი. როგორც ოსიას უყვარდა თავისი ცოლი, მისთვის მიყენებული ტკივილისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, ასევე უყვარდა ღმერთს ისრაელი, მისი ღალატის მიუხედავად.

ოსია აღწერს, თუ რატომ დაირღვა ღმერთსა და ისრაელს შორის არსებული აღთქმისმიერი ურთიერთობები. მათ უორგულეს ღმერთს და შეეკრნენ სხვადასხვა წარმართ ერებს.

### ოსია

### მთავარი ამბები და მოვლენები

ოსიას უყვარს მოღალატე ცოლი 1-3

ღმერთს უყვარს ცოდვილი ისრაელი 10-11

მონანიება და კურთხევა 14

ეროვნული ბიბლიოთეკა


შემდეგ სულიერი მრუშობის გზას დაადგნენ, მიატოვეს ჭეშმარიტი ღმერთი და ბაალს დაუწყეს თაყვანისცემა. ამას გარდა, მათ ფეხქვეშ გათელეს ღმერთის მიერ განსაზღვრული ცხოვრების წესი.

აი, ასე მიატოვა ისრაელმა ღმერთი. ოსიამ მოუწოდა რჩეულ ერს ღმერთს დაბრუნებოდნენ გულწრფელი მონანიების გზით, რათა აღთქმული ურთიერთობა აღედგინათ.

ძველ აღთქმაში არ მოიძებნება ადგილი, სადაც ასე ღრმად და მკაფიოდ იყოს აღწერილი ღმერთის განუზომელი სიყვარული თავისი ერის, ისრაელის მიმართ:

"როგორ გაგწირო, ისრაელ?
როგორ გაგიმეტო აღმასავით?..
გადამიბრუნდა გული,
ერთიანად ამიტანა სიბრალულმა.
აღარ ავინთები რისხვით,
აღარ აღვიძრები ისრაელის დასაღუპად,
რადგან ღმერთი ვარ და არა კაცი;
მე წმიდა ვარ თქვენს შორის
და რისხვით არ მოვალ."
(ოს. 11:8,9)

## ესაია

ესაიას წიგნი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნია მთელ ძველ აღთქმაში. წინასწარმეტყველი გამოირჩევა ღრმა სულიერი ჭვრეტის უნარით.

ესაია წარჩინებული კაცი იყო, მეფეების მეგობარი, კულტურული და განათლებული სახელმწიფო მოღვაწე, რომელიც ცხოვრობდა და წინასწარმეტყველებდა სამხრეთ სამეფოში, იუდაში, მეფეების იოთამის, ახაზისა და ხიზკიაჰუს დროს. ის ამცნობდა მეფეებს ღმერთის ნება-სურვილს და ხალხს ღვთის სიტყვას გადასცემდა.

ესაიას წიგნის 6 თავში აღწერილია, თუ როგორ მიიღო მან ღვთის მოწოდება. ეს არაჩვეულებრივი და ბრწყინვალე ხილვა მეფე უზიაჰუს სიკვდილის შემდეგ მოხდა. ესაიამ ამაღლებული, დიდებით მოსილი უფალი იხილა, რომლის სუფევაც ავსებდა ტაძარს. მის გარშემო მყოფი ფრთოსანი ქმნილებები გაბმით ამბობდნენ: "წმიდაა, წმიდაა, წმიდაა!"

ესაიას პირველი განცდა საკუთარი თავისა და ხალხის ცოდვის აღქმა იყო:

"ვიფიქრე: ვაი, მე, დავიღუპე, რადგან ბაგეუწმიდური კაცი ვარ და ბაგეუწმიდურ ხალხში ვცხოვრობ-მეთქი, ჩემმა თვალებმა კი მეუფე, ცაბაოთ უფალი იხილეს.

მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაფიმი და ხელში სამსხვერპლოდან აღებული მუგუზალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და მითხრა: აჰა, შეეხო ეს შენს ბაგეს და მოგცილდა უკეთურება, მიტევებულია შენი ცოდვა."

შემდეგ ღმერთმა იკითხა:
"ვინ მივავლინო და ვინ გაგვეგზავნება?"
ესაიამ უპასუხა:
"აჰა, მიმავლინე!"
და თქვა ღმერთმა:
"წადი..."
(ეს. 6:5-9)

ესაია, მსგავსად მისი წინამორბედი წინასწარმეტყველებისა, არარაობად მიიჩნევდა ღვთის თაყვანისცემის გარეგნულ მხარეს, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში ფესვი არ ჰქონდა გადგმული. ის გვიხატავს ღმერთს, რომელსაც მობეზრებული აქვს რელიგიური დღესასწაულები, როცა ხალხი ტაძრის ეზოს "თელავს." ამის ნაცვლად ღმერთი ხალხისგან ბოროტი საქმეების უარყოფასა და სიკეთის კეთებას მოითხოვს.

ესაია მრავალჯერ იმეორებს, რომ ღმერთი წმიდაა. წმიდა ნიშნავს გამორჩეულსა და ყოველგვარ ბიწიერს გარიდებულს. ღმერთის სიწმიდის ესაიასეული გაგება ძალიან ღრმა არის. ღმერთი განსაკუთრებულია და ღვთაებრივი უბიწოებითა და სრულყოფილებით გამოირჩევა. ყველაზე საუკეთესო ადამიანებიც კი ცოდვილნი და უწმიდურნი არიან მის წინაშე. ისევე როგორც ესაია განიწმიდა ტაძრის სამსხვერპლოდან აღებული მუგუზალით, ასევე ყოველმა ადამიანმა უნდა მოინანიოს და მიიღოს განწმედა, შენდობა, თუკი მას ღმერთთან მიახლოება სურს.

### ესაია

**მთავარი ამბები და მოვლენები**

ესაიას ხილვა და მოწოდება 6
"ემანუელი," ღმერთია ჩვენთან 7
მომავალი მეფე 9
მშვიდობიანი სამეფო 11
სიწმიდის გზა 35
ესაია და აშურელთა ალყა 36, 37
"ანუგეშეთ ჩემი ხალხი" 40
ღმერთის მსახური 42
სინათლე ერებისათვის 49
ტანჯული მსახური 52-53
"ჰოი, მწყურვალნო, ყველანი მოდით" 55
მომავალი დიდება 60
გათავისუფლება 61



ძველად, ვიდრე წიგნი თანამედროვე სახეს მიიღებდა, საბუთები ქილზე ან ეტრატის გრაგნილებზე იწერებოდა. ესაიასა და იერემიას წინასწარმეტყველებანიც ასეთ გრაგნილებზე დაიწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთის გამორჩეულობის აღწერასთან ერთად ესაია გვარწმუნებს, რომ ღვთის სუფევა თავის ხალხთან არის დავანებული. წინასწარმეტყველი საუბრობს ღვთის მომავალ წარმოგზავნილზე, რომელსაც "ემანუელი" ჰქვია, რაც ნიშნავს "ღმერთი ჩვენთან არის." ღმერთის შესახებ არსებული ორი საპირისპირო თვალსაზრისი კარგად ჩანს ამ სიტყვებში:

> "მე ვსუფევ მაღალში და სიწმიდეში, მაგრამ მე ვარ
> ტანჯულთანაც და სულით გლახაკთან, რათა
> ცხოველვყო გლახაკთა სული და ცხოველვყო
> ტანჯულთა გული." (ეს. 57:15)

წიგნის პირველი 39 თავი დათმობილი აქვს მეფე ახაზიასა (736-716 ქ.წ.) და მეფე ხიზკიაჰუს დროინდელ წინასწარმეტყველებებს (იუდას სამეფო).

აშურელთა აგრესიის დაძაბულ პერიოდში ესაია მეფე ხიზკიაჰუს ედგა გვერდში და ამხნევებდა (ეს. 37).

ესაია აღნიშნავდა, რომ მოახლოებულ საშინელებას ვერავინ გადაურჩებოდა. მხოლოდ ღვთის ერთგულთა მცირერიცხოვანი ჯგუფი დაუბრუნდებოდა ღმერთს და ქვეყანაში ღვთის სამართლიანობის დამკვიდრებას გააგრძელებდა.

## ესაიას გვიანდელი წინასწარმეტყველებანი

ესაიას წიგნის 40 თავიდან მოყოლებული წინასწარმეტყველებანი ეხება მოვლენებს, რომლებიც მოხდა მეფე ხიზკიაჰუს სიკვდილიდან დიდი ხნის შემდეგ. მათში არეკლილია ბაბილონეთის ტყვეობაში მყოფთა პატარა ჯგუფის სამშობლოში დაბრუნებასა და მეფე კიროსის მიერ ტყვეობიდან მათი გათავისუფლების (538 ქ.წ.), ამბები.

ნათელი არ არის თუ რატომ იწინასწარმეტყველა ესაიამ შორეული მომავლის შესახებ. მითუმეტეს, რომ მისი ეპოქის ადამიანთათვის ეს ამბები ძნელად გასაგები ან სავსებით გაუგებარი იქნებოდა. ამიტომ, მკვლევართა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ წიგნის ავტორი 40 თავიდან სხვა წინასწარმეტყველი იყო, რომელიც ტყვეობის წლებში ბაბილონეთში ცხოვრობდა. ხშირად, მას მეორე ესაიას უწოდებენ. მიჩნეულია, რომ ეს ტექსტები დამატებულია პირველი ესაიას გრაგნილზე დარჩენილ თავისუფალ ადგილზე. (ბიბლიის ეპოქაში "წიგნი" წარმოადგენდა ჭილის (პაპირუსი) ან ეტრატის (პერგამენტი) გრძელ გრაგნილს, რომლის ერთ ან ორივე გვერდზე წერდნენ და შემდეგ ერთი მხრიდან ახვევდნენ. ასეთი გრაგნილების სიგრძე განსაზღვრული იყო, რათა მკითხველისთვის მოსახერხებელი ყოფილიყო). განსხვავებული ნაწილების შეერთება სხვადასხვა გზებით შეიძლება მომხდარიყო.

### მომავალი მესია

ღმერთმა აღთქმა დადო მეფე დავითთან და შეჰპირდა, რომ მისი შთამომავლობა დაიმკვიდრებდა სამეფო ტახტს. ზოგიერთ წინასწარმეტყველს ამ დაპირებამ დიდი, მეფე დავითის მსგავსი, პიროვნების გამეფების იმედი ჩაუსახა, რომელიც მომავალში დაიმკვიდრებდა ერთიან ისრაელის სამეფოს. ამ მომავალ მეფეს "მესიას" უწოდებდნენ.

"მესია" (ებრ. "მაშიახ") ნიშნავს "ცხებულს." ყველა მეფე ზეთით იყო ცხებული იმის ნიშნად, რომ ხელისუფლება და ძალაუფლება ღმერთისგან ჰქონდა მიღებული. მაგრამ, მომავალი მეფე ღვთისგან განსაკუთრებული მიზნით იქნებოდა არჩეული და ცხებული. ებრაელი რჯულისმცოდნეები და მასწავლებლები ზოგიერთ წინასწარმეტყველებაზე დაყრდნობით მომავალ მესიას მათივე სიცოცხლეში ელოდებოდნენ.

ზოგიერთ წინასწარმეტყველებაში ესაია საუბრობს მომავალი მესიის შესახებ:

> "რადგან შეგვეძინა შვილი!
> მოგვეცა ძე და
> უფლობა იყო მის ბეჭებზე,
> ეწოდა სახელად საკვირველი მრჩეველი,
> ღმერთი ძლიერი, მარადისობის მამა,
> მშვიდობის მთავარი.
> ხელმწიფების განსადიდებლად და
> უბოლოო მშვიდობისათვის
> დავითის ტახტზე და მის სამეფოში,
> მის განსამტკიცებლად და გასაძლიერებლად
> სამართალში და სიმართლეში აწ და მარადის."
> (ეს. 9:5,6)

ესაიას წიგნის ამ ნაწილიდან ყველაზე გამორჩეული და მშვენიერია პოემათა სერია, რომელსაც მსახურის საგალობლები ეწოდება (ეს. 42:1-4; 49:1-6; 50:4-9; 52:13; 53:12).

აქ აღწერილია ღმერთის ერთგული მსახური, რომელიც დიდად განსხვავდება ურჩი მსახურისაგან – ისრაელისგან. ის კეთილშობილი, თავმდაბალი და მორჩილია. ბოლოს კი თავისი ხალხის გულისთვის იტანჯება და ისჯება:

> "საძულველი იყო, კაცთაგან ათვალწუნებული,
> გატანჯული და სნებამორეული...

> ნამდვილად კი, მან იტვირთა ჩვენი სნებები და
> იტვირთა ჩვენი სატანჯველი...

> მაგრამ ის ჩვენი ცოდვებისათვის იყო დაჭრილი,
> ჩვენი უკეთურობებისათვის დალეწილი; მასზე იყო
> სასჯელი; ჩვენი სიმრთელისათვის და მისი წყლულებით ჩვენ განვიკურნეთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ყველანი ცხვრებივით დავეხეტებოდით, თითოეული ჩვენ-ჩვენ გზას ვადექით, უფალმა კი მას შეჰყარა ყოველი ჩვენგანის უკეთურება." (ეს. 53:3-6)

მრავალღმერთიანობის ეპოქაში ესაიამ ჭეშმარიტი ღმერთის შეუდარებლობასა და განსაკუთრებულობას გაუსვა ხაზი. ისიც აღსანიშნავია, რომ ყურადღება გაამახვილა ქვეყნიერების აღსასრულზე და ადამიანის საბოლოო დახსნაზე.

## მიქა

მიქა ესაიას თანამედროვე წინასწარმეტყველი იყო, მაგრამ განსხვავებული ხასიათის პიროვნება გახლდათ. ის უბირი და წრფელი გლეხკაცი იყო და მისი წინასწარმეტყველებანი მთელი ისრაელისათვის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამეფოებისათვის იყო განკუთვნილი. თამამად და ცეცხლოვნად საუბრობდა ღმერთის სამართლიანობაზე და აფრთხილებდა იმ უბედურებისა და ნგრევის შესახებ, რომელიც იერუსალიმს ემუქრებოდა, თუკი მეფეები, მღვდლები და ცრუწინასწარმეტყველები არ მოინანიებდნენ. წინასწარმეტყველ იერემიას წიგნში ვკითხულობთ, რომ მიქას სიტყვებმა შედეგი გამოიღო, რადგან მეფემ და ხალხმა მოინანია. ამიტომ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მეფე ხიზკიაჰუს რეფორმებში მიქას დიდი წვლილი მიუძღვის.

ღმერთის ნება-სურვილი თავმოყრილია და გადმოცემულია მიქას ამ ღირსშესანიშნავ სიტყვებში:

"ხომ გეუწყა შენ, ადამიანო, რა არის სიკეთე და რას ითხოვს შენგან უფალი? მხოლოდ სამართლის ქმნას და წყალობის სიყვარულს, მოწიწებით სიარულს უფლის წინაშე." (მიქ. 6:8)



წინასწარმეტყველები სამართლიანობას ემსახურებოდნენ. ის, ვინც იცრუებდა და ყალბ სასწორს გამოიყენებდა, ღვთის სასჯელს დაითევდა.

ესაიას და მიქას კალამს ეკუთვნის ერთი ერთმანეთის მსგავსი წინასწარმეტყველება. ზოგს მიაჩნია, რომ ორივე ადრეული ხანის, უცნობ ავტორს დაესესხა. ეს წინასწარმეტყველება შეეხება იერუსალიმსა და ერების იდეალურ მომავალს:

"უკანასკნელ დღეებში იქნება...  
მოვლენ უამრავი ხალხები და იტყვიან:  
წამო, ავიდეთ უფლის მთაზე  
და იაკობის ღვთის ტაძარში,  
რომ გვასწავლოს თავის გზები  
და ვიაროთ მისი ბილიკებით...  
თავიანთ მახვილებს სახნისებად გამოჭედავენ  
და შუბისწვერებს – ნამგლებად;  
ხალხი ხალხის წინააღმდეგ აღარ აღმართავს  
  მახვილს  
და ომს აღარასოდეს ისწავლიან."(ეს. 2:2-4; მიქ. 4:1-3)

ეროვნული ბიბლიოთეკა

5

# წინასწარმეტყველები და ერები

იერემია · ნაუმი · სოფონია · აბაკუმი · იოველი · აბდია · იონა

### იერემია

#### მთავარი ამბები და მოვლენები

ღმერთი თავის წინასწარმეტყველად ადგენს იერემიას 1

ღმერთი თავის ურწმუნო ერს მიმართავს 2-6

ტყვეობა და უბედურება განჭვრეტილია 13-17,25

მეთუნის სახლში 18-19

აღდგენის პირობა 30-33

იერემია მინდორს ყიდულობს 32

მეფე იერემიას გრაგნილებს წვავს 36

იერემია საპყრობილეში 37-38

იერუსალიმის დაცემა 39,52

მიმართვა უცხო ერებს 46-51

ღმერთმა ისრაელიანები თავის ერად ამოარჩია და განსაკუთრებული აღთქმული ურთიერთობები დაამყარა მათთან. შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდეს, რომ სხვა ერებს არანაირი მნიშვნელობა და ღმერთთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ, მაგრამ წინასწარმეტყველები სხვაგვარად ფიქრობდნენ. მათ სწამდათ, რომ მათი ღმერთი მთელი მსოფლიოსა და სამყაროს ღმერთი იყო. ის არ ჰგავდა ადგილობრივ ღვთაებებს, რომელთა ძალაუფლება მცირე, შეზღუდულ ტერიტორიებზე ვრცელდებოდა. ღმერთის ძალაუფლება ისრაელის პატარა სამეფოს საზღვრებს შორს სცილდებოდა. აი, რას ამბობს ესაია:

"არარაობად აქცევს მთავრებს,
არაფრად აგდებს ქვეყნის მსაჯულებს." (ეს. 40:23)

პირველ რიგში, წინასწარმეტყველები მიიჩნევდნენ, რომ სხვადასხვა ერები თავიანთი მოქმედებებით ღმერთის წინაშე იყვნენ პასუხისმგებელნი. ამოსი ისრაელიანთა მოსაზღვრე ერებსა თუ ტომებს ულირს, არაადამიანურ საქციელში ადანაშაულებს. შესაძლოა, მათ ისრაელის მსგავსად არ ესმოდათ ღვთის კანონები, მაგრამ ისინი ადამიანთათვის მიუღებელ ისეთ არაბუნებრივ დანაშაულს სჩადიოდნენ, როგორიც იყო, მაგალითად, ორსული ქალის გამიშვლება. ყველა ერი თანასწორად აგებს პასუხს ღვთის წინაშე.

მეორე, ყველა ერი, ისევე როგორც ისრაელი, ღმერთის განგებას ექვემდებარება. შესაძლოა, ისინი ფიქრობენ, რომ მათი საქმიანობა მხოლოდ მათ ეხებათ, მაგრამ ღმერთის უზენაესი ნება მთელს კაცობრიობაზე ვრცელდება. ესაია გვიხატავს ღმერთს, რომელმაც აშურელთა შემოსევა დაუშვა ისრაელის დასასჯელად და ისინი საკუთარი ნების შესასრულებლად გამოიყენა. ესაია სპარსეთის მეფე კიროსსაც ღვთის მორჩილ მსახურად თვლის. როდესაც კიროსმა ტყვე ებრაელები გაათავისუფლა და სამშობლოში დააბრუნა (იხ. თავი 6), ღვთის ნება აღასრულა.

ესაია – და სხვა წინასწარმეტყველებიც – ისეთ მომავალზე საუბრობენ, როდესაც ყოველი ერი ღმერთის ერად იქცევა (ეს. 9).

## იერემია

ზოგიერთი წინასწარმეტყველი განსაკუთრებულად აღწერს სხვა ერებთან ბრძოლის ამბებს. როდესაც ღმერთმა იერემიას მოუწოდა, ასეთი სიტყვებით მიმართა მას: "იცოდე, დამიდგენიხარ დღეს ხალხებზე და სამეფოებზე, რათა აღმოფხვრიდე და ანადგურებდე, სპობდე და ამხობდე, აშენებდე და რგავდე."

ღმერთისგან მიცემული დავალება ისრაელის საზღვრებს სცილდებოდა. იერემიას ერთ-ერთი პირველი ხილვა იყო ჩრდილოეთისკენ მიმართული ათუხთუხებული ქვაბი, რომელიც ის-ის იყო უნდა ადუღებულიყო და მიწაზე გადმოღვრილიყო. ეს ნიშნავდა, რომ "ჩრდილოეთიდან დაატყდებოდა თავს უბედურება ქვეყნის ყველა მკვიდრს."

იერემიას მრავალწლიანი, ხანგრძლივი წინასწარმეტყველების მანძილზე ჩრდილოეთიდან დამტყდარი უბედურების ხილვას უმთავრესი ადგილი ეკავა. ცხადია ამ საკითხზე საუბარი მსმენელებში აღფრთოვანებას არ გამოიწვევდა. წინასწარმეტყველი ხედავდა, რომ ბაბილონელები, რომლებშიც ჩრდილოელი დამპყრობლები ჰყავდა ამოცნობილი, ქვეყანას წალეკავდნენ, მოსახლეობას კი ტყვედ წაასხამდნენ შორეულ შუამდინარეთში. იერემია წლების მანძილზე უბედურების მოსვლას წინასწარმეტყველებდა, მაშინ როცა სხვა წინასწარმეტყველები მომავალ კეთილდღეობასა და აყვავებაზე აუწყებდნენ ხალხს. უბედურების მომასწავებელი ღრუბელი ჯერ არ მოსჩანდა ჰორიზონტზე და იერემიასი არავის ესმოდა. პირიქით, დევნიდნენ კიდეც მას. დღესაც კი იერემიას სახელი უიღბლო პესიმიზმთან ასოცირდება.

ზოგჯერ მას ღვთისგან დაკისრებული ტვირთის ზიდვა შეუძლებლადაც კი მიაჩნდა. როდესაც ლურჯად მოლივლივე ცას შეჰყურებდა, ფიქრობდა რომ ცდებოდა და არც იმ ახრს გამორიცხავდა, რომ შეიძლება ღმერთს განზრახ ჰყავდა იგი შეცდომაში შეყვანილი. იერემია ღმერთს შესჩიოდა თავის გასაჭირს.

იმასაც ხვდებოდა იერემია, რომ გარეგნული სიმშვიდე მოჩვენებითი იყო, რადგან ისრაელიანები თანდათანობით და საფუძვლიანად სცილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


დებოდნენ ღმერთს. მეფე იოშიას რეფორმები ზედაპირული იყო. ერი შინაგანად იხრწნებოდა და გარდაუვალი დაცემისაკენ მიექანებოდა.

უამრავი მტერი გაიჩინა იერემიამ. ტაძრისადმი მისმა დამოკიდებულებამ წყენა და სიძულვილი დაატეხა თავს. მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოწიწებით ეთაყვანებოდა ტაძარს. ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ღმერთის სუფევის ადგილი საიმედოდ იყო დაცული მტრის შემოსევისგან. მაგრამ იერემია დასცინოდა ამ არაჯანსაღ რწმენას.

ფუჭი სიტყვები ვერ იხსნიდა ხალხს. ღმერთი სიყვარულსა და მორჩილებას მოითხოვს რჩეული ერისაგან.

იერემიას თანაშემწე ჰყავდა, მწერალი ბარუქი, რომელიც მის წინასწარმეტყველებებს იწერდა. როდესაც მეფე იეჰოაკიმს წაუკითხეს ბარუქის ხელნაწერი, არ მოეწონა. დანით ჭრიდა გრაგნილიდან წაკითხულ ნაწილებს და ცეცხლში სწვავდა. ღმერთის ბრძანებით იერემიამ და ბარუქმა ხელახლა ჩაწერეს წინასწარმეტყველებები. ღვთის სიტყვა ასე ადვილად არ ისპობა.

### იერემია და მეთუნე

იერემია ღმერთის სახეს, მის მოქმედებას ყოველდღიურ ცხოვრებაში ხედავდა, ისევე როგორც ხილვებში. ერთ დღეს სამეთუნეო დაზგაზე მომუშავე მეთუნე ნახა. მეთუნეს ერთი თიხის ჭურჭელი რომ გაუფუჭდა, ხელახლა დაიწყო ახალი ჭურჭლის კეთება, რომელიც უფრო უკეთესი იყო.

იერემია არწმუნებდა ხალხს, რომ ღმერთსაც ასე შეუძლია მოექცეს თავის ქმნილებას. ის, რაც თავისი ერისთვის სურდა ღმერთს, "გაფუჭდა," მაგრამ თუკი ადამიანები მოინანიებენ, ღმერთს ხელეწიფება განაახლოს გაფუჭებული.

### იერემია და ახალი აღთქმა

სხვა წინასწარმეტყველების მსგავსად, იერემია ხალხს ღმერთთან აღთქმული ურთიერთობებისაკენ დაბრუნებას მოუწოდებდა. მაგრამ, ის უფრო შორს წავიდა. ის გრძნობდა, რომ ადამიანი ღვთის აღთქმისეული ურთიერთობისა და რჯულის დაცვას საკუთარი ძალებით ვერ შეძლებდა. იერემიამ იწინასწარმეტყველა დღე, როდესაც ღმერთი ახალ, განსაკუთრებულ აღთქმას დადებდა კაცობრიობასთან, რომელიც ღმერთის შენდობასა და შემწეობაზე იქნებოდა დაფუძნებული:

"რადგან ეს არის ის აღთქმა, რომელიც უნდა დავუდო ისრაელს... წიაღში ჩავუდებ მათ ჩემს რჯულს და გულზე დავაწერ. მათი ღმერთი ვიქნები მე და ისინი ჩემი ერი იქნებიან... ყველას ვაპატიებ დანაშაულს და აღარ გავუხსენებ ცოდვებს." (იერ. 31:32-33)

## ნაუმი

ნაუმი ცხოვრობდა და წინასწარმეტყველებდა ქ.წ. VII საუკუნეში – აშურის ბატონობის პერიოდში. მისი წინასწარმეტყველების წიგნი აშურის დედაქალაქის – ნინევეს – დაცემით გამოწვეულ სიხარულს გადმოსცემს პოეტურ ენაზე. ერთი შეხედვით, სხვისი უბედურების გამო სიხარული გამართლებული არ არის, მაგრამ აშურელები ისეთი გაუგონარი სისასტიკით ეპყრობოდნენ დატყვევებულ ხალხს, რომ მათი დაღუპვა სამართლიანობად ჩაითვალა.

"სულგრძელია უფალი და დიდძალოვანი,
დაუსჯელს არავის გაუშვებს." (ნაუმ. 1:3)

ნაუმს მიაჩნდა, რომ ღმერთმა აშური ისრაელის დასასჯელად გამოიყენა, რადგან როგორც ყველა სხვა ერი, აშურიც მას ექვემდებარებოდა და მორჩილებდა.

ნაუმი დრამატულად აღწერს აშურის უკანას-



მეთუნე ფორმას აძლევს თიხას და იერემიას ღმერთის ყოვლისშემძლეობას და მის ხალხს ახსენებს: გაფუჭებული ხელმეორედ გაკეთდება.

კნელი ბრძოლის სურათს. ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ მხოლოდ თვითმხილველს შეეძლო ასე ზუსტად აღეწერა ომის ეპიზოდები. შორეულ წარსულში, როდესაც არ არსებობდა არც ტელევიზია და არც კინო, მხოლოდ სიტყვას შეეძლო ზუსტად და ამაღელვებლად გადმოეცა მოვლენათა მსვლელობა:

"დაქრიან ქუჩებში ეტლები, მოედნებზე
დაგრიალებენ, ჩირაღდნის ალივით ლაპლაპებენ,
ელვასავით ელავენ...
გაიღება მდინარეთა ჭიშკრები
და აირ-დაირევა სასახლე.
გადაწყდა: გასახლება, გაიტაცებენ!..
წყლისაგან დაიცალა ნინევე-წყალსატევი;
ისინი კი გარბიან.

დადექით! დადექით!
მაგრამ არავინ ბრუნდება უკან."

(ნაჰ. 2:5,7,8,9)

## სოფონია

სოფონია ცხოვრობდა და წინასწარმეტყველებდა მეფე იოშიას (640-609 ქ.წ.) ზეობის პერიოდში. შესაძლოა, სოფონია იოშიას რეფორმებამდელ (621 ქ.წ.) ათწლეულში წინასწარმეტყველებდა, რადგან ის იუდას ცოდვების ბნელ სურათს გვიხატავს და იმ მოახლოებულ საშინელ სამსჯავროზე საუბრობს, რომელიც ღმერთმა იერუსალიმსა და მთელ ერს მოუმზადა. სოფონიას წიგნის საკვანძო ადგილია ეს სიტყვები: "არც კარგს აკეთებს უფალი, არც ცუდსო."

მაგრამ ღმერთი მოქმედებს. სოფონია იუდას მონანიებისკენ მოუწოდებს. შემდეგ სხვა ერებს ეხება, რომლებიც ასევე იმსახურებენ ღვთის რისხვას. ისევე, როგორც სხვა წინასწარმეტყველები, ის მოახლოებულ წყვდიადს და დაღუპვას ხედავს. წიგნი მთავრდება ისრაელის მომავალი ბედნიერების, აღდგენისა და ღვთის კურთხევის სურათის აღწერით.

### სოფონია და უფლის დღე

სოფონია ეხება წინასწარმეტყველებათა უმთავრეს თემას – "უფლის დღეს." "ახლოს არის უფლის დიდი დღე, ახლოს არის და მოვა ძალიან მალე!" აცხადებს წინასწარმეტყველი და განაგრძობს:

"მწარედ იყვირებს მაშინ მაგარი ვაჟკაციც... რისხვის დღეა ის დღე, ჭირისა და სიმწრის დღე, ნგრევისა და მოოხრების დღე, სიბნელისა და წყვდიადის დღე, ჯანღისა და ბურუსის დღე." (სოფ. 1:14-15)

ხალხს მონანიებისაკენ მოუწოდებს სოფონია. თუკი ისინი სამართლიანად მოიქცევიან და ღვთის წინაშე თავს დაიმცირებენ, მხოლოდ მაშინ გადაურჩებიან იმ დღის სასჯელს.

## აბაკუმი

წინასწარმეტყველ აბაკუმის ცხოვრების დროს (ქ.წ. VII საუკუნე) ბაბილონი ძველი აღმოსავლეთის უძლიერეს სახელმწიფოდ იქცა. ღმერთმა გამოუცხადა აბაკუმს, რომ ბაბილონს ერების დასასჯელ იარაღად გამოიყენებდა. აბაკუმი მიხვდა, რომ იუდასაც თავს დაატყდებოდა ბაბილონელთა შემოსევა და მოსალოდნელმა უბედურებამ მის წინაშე მძიმე კითხვები წამოჭრა. როგორ შეიძლება, რომ წმიდა და სამართლიანმა ღმერთმა უწმიდური ბაბილონელები გამოიყენოს ისეთი მართალი და ღვთისმოშიში ერის დასასჯელად, როგორიც ისრაელია? მისი აზრით, ეს უსამართლობა იქნებოდა, მაგრამ ღმერთის პასუხს მაინც დაელოდა.

ღმერთმა უპასუხა, რომ ყოველგვარი ბოროტება ჟამთა დასასრულს იქნება მსჯავრდებული. მანამდე კი "მართალი თავისი რწმენით იცოცხლებს."



"ჩემს სადარაჯოზე დავდგები და გავალ კოშკზე," — ამბობს აბაკუმ წინასწარმეტყველი, — "დავაყურადებ, რომ ვნახო, რას მეტყვის უფალი." ასეთი საგუშაგო კოშკი მიწისმუშაკს საშუალებას აძლევს მოსავლის შემოსვლისას თვალი ადევნოს ქურდებს და საქონელს.

ღმერთმა იცის, თუ როდის რა მოიმოქმედოს. აბაკუმი სრულიად მიენდო ღმერთს და მისი ბრძანებები აღასრულა. წინასწარმეტყველის ლოცვის დასკვნა მყარი რწმენის ნათელ მაგალითს წარმოადგენს:

"თუნდაც აღარ აყვავდეს ლეღვი, აღარ გამოისხას ვაზმა მტევანი, გამტყუნდეს ზეთისხილის ნაყოფი, ყანებმა საზრდო არ მოიტანოს, მოწყდეს ფარეხიდან ცხვარი და აღარ დარჩეს ბოსლებში საქონელი: მე მაინც უფალში გავიხარებდი, ჩემი ხსნის ღმერთში ვნახავდი შვებას. უფალი ღმერთია ჩემი ძალა."

(აბაკ. 3:17-19)

## იოველი

იოველ წინასწარმეტყველის მოღვაწეობის დროის შესახებ ზუსტი ცნობები არ მოგვეპოვება. არც მისი ცხოვრების შესახებ ვიცით ბევრი რამ. ზოგს მიაჩნია, რომ იგი მეფე იოაშის ზეობის ადრეულ პერიოდში, დაახლოებით ქ.წ. 835-825 წლებში წინასწარმეტყველებდა. სხვები ფიქრობდნენ, რომ ის სპარსეთის იმპერიის დროს ცხოვრობდა, ბაბილონის ტყვეობის შემდეგ (ტყვეობა ქ.წ. 586 წელს დაიწყო და დაახლოებით 70 წელი გრძელდებოდა, პერიოდი, როცა იუდას მოსახლეობა ბაბილონეთში იყო გადასახლებული. იხ. თავი 6). საფუძვლით შესაძლებელია, რომ იოველი სწორედ ტყვეობის პერიოდში ცხოვრობდა. ის კალიების საშინელ შემოსევაზე საუბრობს, რომელიც სხვა ცნობილ მოვლენებს არ უკავშირდება. ამ საშინელ გაპარტახებას მომავალ უფლის დღეს უკავშირებს – "დღე ბნელი და უკუნი."

მაგრამ, იოველის წინასწარმეტყველებაში იმედიც გამოსჭვივის. თუკი ისრაელი მოინანიებს და ღმერთისკენ მიბრუნდება, ის "აგინაზღაურებთ იმ წლებს, რომლებიც შეჭამეს კალიამ, კუტკალიამ."

იოველი ღვთის კურთხევის მომავალი დღის მშვენიერ სურათს გვიხატავს, როცა ღვთის სული მთელს მსოფლიოს მოიცავს:

"ამის შემდეგ მოვაფენ ჩემს სულს
ყოველ ხორციელზე
და გაქადაგდებიან თქვენი ვაჟები და ასულები;
თქვენი უხუცესები ნახავენ სიზმრებს
და ჭაბუკები ხილვებს იხილავენ."

(იოვ. 3:1)

## აბდია

აბდია წინასწარმეტყველის წიგნი ძველი აღთქმის ყველაზე მოკლე წიგნია. მისი სიტყვები ედომის, ისრაელის სამხრეთ-აღმოსავლელი მეზობლის მიმართ არის ნათქვამი. განსაცდელის ჟამს ედომელებმა იერუსალიმის დაცემას შეუწყვეს ხელი (586 ქ.წ.). ედომელები იაკობის ძმის, ესავის, შთამომავლები იყვნენ. აბდია, რომელიც იაკობის შთამომავალი იყო ედომელებს "ძმებად" მიიჩნევდა, მიუხედავად იმისა, რომ მათ იერუსალიმის დაცემით ისარგებლეს, გაძარცვეს დაპყრობილი ქალაქი და მტერს ამოუდგნენ მხარში. აბდია კიცხავს მათ ულმობელ საქციელს:

"არ უნდა გეცქირა შენი ძმის დღისათვის,
მისი შავი დღისათვის;
არ უნდა გეხარა იუდაელებზე
მათი დაღუპვის დღეს,
ჭირის დღეს
არ უნდა გეტრაბახა."

(აბდ. 1:12)

ის წინასწარმეტყველებს შურისძიების დღეზე, რომელიც ქედმაღალ ედომელებს დაატყდებოდათ თავს:

"შენმა მზვაობრობამ შეგაცდინა,
კლდის ნაპრალებში დასახლებულხარ,
მაღალზეა შენი სადგომი.
გულში ამბობ:
ვინ ჩამოგაგდებსო ძირს?
არწივივით მაღლა რომ აიჭრა,
ვარსკვლავთა შორისაც რომ დაიბუდო,
იქიდანაც ჩამოგაგდებ,
ამბობს უფალი."

(აბდ. 1:3-4)

აბდია ხედავს იმ დღეს, როცა ისრაელი ისევ დაიმკვიდრებს თავის მიწა-წყალს და "უფლის იქნება სასუფეველი."



იოველი წერს ურიცხვი კალიის შემოსევაზე, რაც ღვთის სასჯელს წარმოადგენს.



დიდი არაბას ველის აღმოსავლეთით ძველი ედომის ბორცვები მოჩანს. ედომის წინააღმდეგ წინასწარმეტყველებდა აბდია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იონა

იონას წიგნი სხვა წინასწარმეტყველური წიგნებისგან მკვეთრად განსხვავდება. წიგნი ცხოვრებას დრამატულად აღწერს და ნაკლებად ეხება საკუთრივ წინასწარმეტყველებას. ეს წიგნი მშვენიერ ენაზეა დაწერილი და მრავალ არაჩვეულებრივ ამბებს მოგვითხრობს. აღსანიშნავია, რომ იონას ამბავი ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი და საყვარელი მოთხრობაა მთელ ბიბლიაში.

ჩვენ არაფერი ვუწყით იონას ან მის წიგნში აღწერილი ამბების შესახებ სხვა წერილობითი წყაროებიდან. 4 მეფეთა წიგნში ნახსენებია წინასწარმეტყველი იონა, რომელიც იერობოამ II მეფობის დროს, ქ.წ. VIII საუკუნეში ცხოვრობდა. მაგრამ, დანამდვილებით არ ვიცით, თუ რომელ იონაზეა საუბარი. მრავალი მკვლევარი მიიჩნევს, რომ იონას წიგნი ბევრად უფრო გვიან, ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, უნდა იყოს დაწერილი.

### იონას ამბავი

ღმერთმა მოუწოდა იონას საძულველ აშურელებთან წასულიყო და გაეფრთხილებინა ისინი, რომ უწმიდურების გამო მათი დედაქალაქი ნინევე დაისჯებოდა. ამ ცნობამ ისე შეაშინა იონა, რომ სასწრაფოდ საწინააღმდეგო მიმართულებით გაემგზავრა და თარშიშში მიმავალ გემზე ავიდა.

როდესაც ხომალდის ბანქვეშ ჩაეძინა, საშინელი ქარიშხალი ამოვარდა. მეზღვაურებმა თავიანთ ღმერთებს შეჰღაღადეს და შველა სთხოვეს, შემდეგ კი წილი ყარეს, რათა უბედურების მომტანი მგზავრი აღმოეჩინათ. წილი იონას ხვდა, რომელმაც თქვა, რომ თავს უფლება მისცა და გაექცა "უფალს, ცათა ღმერთს, რომელმაც ზღვა და ხმელეთი შექმნა."



მეზღვაურებს თავზარი დაეცათ, მაგრამ იონას გემიდან გადაგდება არ სურდათ, თუმცა თავად იონა ითხოვდა ამას. ბოლოსდაბოლოს, გემი რომ გადაერჩინათ, იონა გემბანიდან გადააგდეს, მაგრამ ის ზღვაში კი არ დაინთქა, არამედ უზარმაზარმა თევზმა გადაყლაპა. თევზის მუცლიდან ლოცვა აღავლინა და ღმერთს გადარჩენისთვის მადლობა შესწირა. მესამე დღის მიწურულს ღმერთის ბრძანებით თევზმა იონა ხმელეთზე გადმოანთხია.

ღმერთმა მეორედ უბრძანა ნინევეში წასვლა და ამჯერად იონა დაემორჩილა მას. მისი გაფრთხილება იმდენად წარმატებული აღმოჩნდა, რომ მეფემ და ქალაქის მკვიდრებმა წრფელად მოინანიეს ცოდვები. ღმერთმა წყალობა მოიღო და ქალაქს სასჯელი ააცილა. იონა განაწყენდა, რადგან ასეთ შედეგს არ მოელოდა. ის აშურელებზე შურისძიებას მოელოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდა. ქალაქიდან გავიდა, მცხუნვარე მზის ქვეშ დაჯდა და იმედს ბოლომდე არ ჰკარგავდა, რომ სასჯელი დაგვიანებით, მაგრამ მაინც აღსრულდებოდა.

ღმერთმა აყირო აღმოაცენა, რომელიც იონას თავსზემოთ გაიზარდა, რათა სასიამოვნო ჩრდილი მოეფინა და იონას წყენა გაექარვებინა. მაგრამ, მეორე დღეს მატლი მოავლინა ღმერთმა, რომელმაც გამოჭამა და გაახმო აყირო. შემდეგ აღმოსავლეთის ცხელი ქარი ამოვარდა და წყენაგანქარვებული იონა რისხვით აღივსო. ჰკითხა ღმერთმა იონას: “მაგრად გამწარდი?” ღონემიხდილმა იონამ მიუგო: “მაგრად გავმწარდი, ლამის მოვკვდე.”

ღმერთმა საჭირო გაკვეთილი ჩაუტარა იონას. თუკი იონა ასე მწარედ განიცდის იმ უბრალო მცენარის დაღუპვას, რომლის აღმოცენება-გაზრდა არ ხელეწიფება, მაშინ რამდენად უფრო მეტად აღელვებს ღმერთს ამ ქალაქის მცხოვრებლების, ქალებისა და ბავშვების ბედიღბალი, რომლებსაც “ერთმანეთისგან ვერ გაურჩევია მარჯვენა და მარცხენა, და სადაც უთვალავი პირუტყვია.”

## იონას წიგნის მნიშვნელობა

წინასწარმეტყველ იონას წიგნი განსაკუთრებულია. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ძალზედ მოკლედ და გონივრულად არის დაწერილი, არამედ იმიტომ, რომ ის ღრმააზროვანია.

მკვლევარები ვარაუდობენ, რომ წიგნი ებრაელების ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დაიწერა, როცა ყურადღება რასობრივ სიწმიდესა და წარმართი ერების სიძულვილზე იყო გამახვილებული. ნაწარმოების მიზანი სწორედ ამ დაძაბული მდგომარეობის გონივრული გაწონასწორებისაკენ იყო მიმართული. არაებრაელი ხალხი დადებითი მხრიდან არის ნაჩვენები: მეზღვაურები ღვთისმოშიშნი და გულშემატკივარნი არიან; ნინევეს მოსახლეობამ შეისმინა იონას ქადაგება და მოინანია ცოდვები. იონა კი მეამბოხე და შეუწყნარებელ პიროვნებად წარმოგვიდგება.

ზოგი იონას წიგნის დედააზრად მონანიების თემას მიიჩნევს. იონამ ურჩობის შემდეგ მოინანია, ასევე მოიქცნენ ნინეველებიც. წიგნის წაკითხვის შემდეგ ერთი კითხვა გვაწუხებს: მოინანია კი იონამ მეორედ?

იონას წიგნი ღმერთის უზენაესობას, ყოვლისშემძლეობას გვიხატავს. მას ემორჩილებიან ნინეველები და მეამბოხე იონაც. მან მოავლინა ქარიშხალი, დიდი თევზი, აყირო და ცხელი ქარი, რათა საკუთარი მიზნები განეხორციელებინა და იონასთვის საჭირო გაკვეთილი მიეცა.

იონას ამბავი ღმერთის მოწყალებასაც აღწერს. ღმერთი უსამართლო და ულმობელი როდია. მან შეიწყალა ნინეველები. იონას შეცდომის გამოსწორების საშუალება მისცა. ის არა მარტო უჩვენებს, არამედ ასწავლის კიდეც მოწყალებას თავის მსახურს. ღმერთი სამართლიანია, ამიტომ ბოროტებისა და ურჩობისათვის ჯერ საკუთარ რჩეულ ერს სჯის, შემდეგ კი სხვა ხალხებს. ღმერთს გული შესტკივა ადამიანების უძლურებასა და უსუსურობაზე. მას პირუტყვიც კი ებრალება.



იონა წარგზავნილი იყო ნინევეში, აშურის დედაქალაქში, რომლის ჯარებმაც საშინელი ზარალი მიაყენეს ღვთის რჩეულ ერს. აშურული ბარელიეფი გვიჩვენებს ქალაქ ლაქიშის დაცემის სურათს და მიზნად ისახავს აშურელთა ძლევამოსილების განდიდებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6

# ტყვეობა და დაბრუნება

ეზეკიელი · ეზრა და ნეემია · ანგია · ზაქარია
მალაქია · ესთერი · დანიელი

როდესაც იუდას ღვთისმოსავი მეფე იოშია ქარხემიშის ბრძოლაში დაიღუპა ქ.წ. 605 წელს, იუდას სამეფოს დამოუკიდებლობას წერტილი დაესვა. ბაბილონმა ეგვიპტის ძლიერი სამეფო დაამარცხა, თუმცა ამ უკანასკნელმა კიდევ მცირე ხნით შეინარჩუნა არამი (სირია) და იუდა. ეგვიპტის ფარაონმა ნეხაომ (ნექო) იუდას ახალი მეფე იეჰოახაზი (შალუმი) ქვეყნიდან განდევნა და მეფედ დასვა თავისი ერთგული კაცი, ელიაკიმი, რომელსაც იეჰოიაკიმი დაარქვა და იუდას სამეფოს ხარკის გადახდა დააკისრა. ახალი მეფე უკიდურესად უძლური იყო. მან იოშიას მიერ აკრძალული წარმართული ღმერთების თაყვანისცემა აღადგინა ქვეყანაში.

მას შემდეგ, რაც ბაბილონმა ეგვიპტე დაამარცხა, იეჰოიაკიმმა პოლიტიკური ორიენტაცია შეიცვალა, მიემხრო ბაბილონის ძლიერ მეფე ნაბუქოდონოსორს და მისთვის ხარკის გადახდა იკისრა. მეფის გაუთვლელი აჯანყების დასასჯელად ნაბუქოდონოსორი ქ.წ. 598 წელს იერუსალიმს მიადგა. ამ დროისათვის მეფობდა იეჰოიაკიმის თვრამეტი წლის მემკვიდრე იეჰოიაკინი (ანუ კონია), რომელიც სამთვიანი ალყის შემდეგ, ქ.წ. 597 წელს მტერს დანებდა. სახელმწიფო მოხელეები, წარჩინებული მოქალაქეები და თავად მეფე ბაბილონში გადაასახლეს. მეფე სიცოცხლის ბოლომდე ტყვეობაში იმყოფებოდა და იქვე აღესრულა.

ბაბილონელებმა სამეფო ტახტზე მათი ერთგული მეფე ციდკია აიყვანეს. ციდკიამ იერემია წინასწარმეტყველს სთხოვა რჩევა, მაგრამ არ შეისმინა მისი, განუდგა ბაბილონს და ეგვიპტელებს დაუკავშირდა, რამაც საშინლად განარისხა ნაბუქოდონოსორი. ქ.წ. 587 წელს მტერმა იერუსალიმი ალყაში მოაქცია და აიღო.

ციდკია ქალაქიდან გაიპარა, მაგრამ იერიხოსთან მდევრებმა შეიპყრეს. ჯერ საკუთარი შვილების დასჯას დაასწრეს იძულებით, შემდეგ კი თვალები დასთხარეს და ბაბილონში გაგზავნეს.

იუდაში მეფის ხელისუფლება გაუქმდა და ქვეყანა ბაბილონეთის პროვინციად იქცა. დამპყრობლებმა ხელისუფლება გედალიაჰუს, პატიოსან კაცს გადასცეს. მაგრამ, მეამბოხეებმა, რომლებსაც მეფის ოჯახის ერთ-ერთი წევრი ხელმძღვანელობდა, მოკლეს იგი. მკვლელი ბაბილონელთა რისხვას ეგვიპტეში გაექცა და თან წინასწარმეტყველი იერემიაც წაიყოლა იძულებით.

### ისრაელი ტყვეობაში

"ბაბილონის მდინარეებთან ვისხედით და ვტიროდით, ოდეს გვიგონებდით შენ, სიონო!"

136 ფსალმუნი გადმოსცემს იმ ებრაელი ტყვეების ღრმა მწუხარებას, რომლებიც თავიანთ მწარე ბედს დასტიროდნენ. სახელოვანი ქალაქი იერუსალიმი მიწასთან იქნა გასწორებული, წმიდა ტაძარი კი დანგრეულ იქნა. დატყვევების შემდეგ ებრაელები მოსწყდნენ სამშობლოს. მათი ყველა იმედი დასამარდა. მაგრამ მაშინაც კი, როდესაც ხალხი უკიდურესი განსაცდელის პირას აღმოჩნდა, წინასწარმეტყველები არ კარგავდნენ უკეთესი მომავლის იმედს.

იერემიამ, ყველაზე პესიმისტმა წინასწარმეტყველმა, იმ დროს, როდესაც მტერი ქალაქის კარიბჭის შენგრევას ლამობდა, გამოისყიდა მიწის ნაკვეთი, რომელიც ერთ დროს მის ოჯახს ეკუთვნოდა. მას სწამდა, რომ ისრაელიანები გადარჩებოდნენ და მისი სამშობლო არ დაიღუპებოდა.

იერემიას მიაჩნდა, რომ ისრაელის მომავალი მხოლოდ ტყვედწასხმული ხალხის ხელში იყო. ტყვეობას გადარჩენილი მოსახლეობა კი დარწმუნებული იყო, რომ მხოლოდ ისინი იყვნენ ღვთისათვის მოსაწონი. მაგრამ, იერემიამ თავისი ხილვა აღწერა იმ ორი კალათი ლეღვის მაგალითზე, რომელთაგან ერთი საღი და სურნელოვანი ხილით იყო სავსე, მეორე კი დამპალი და გაფუჭებული ნაყოფით. საღი ლეღვი დატყვევებულნი არიანო, გვიხსნის იერემია, დამპალი ხილი კი ტყვეობას გადარჩენილნიო. ამ უკანასკნელთა შორის, საკუთარი ნებით, თავად წინასწარმეტყველი იერემიაც იყო.

ეზეკიელი ახალგაზრდა მღვდელი იყო, როდესაც ებრაელ ტყვეთა პირველ ნაკადთან ერთად ქ.წ. 597 წელს ბაბილონში მოხვდა. მოვლენები ტრაგიკულად რომ არ განვითარებულიყო, ის მღვდლობას გააგრძელებდა იერუსალიმის ტაძარში. მაგრამ, ღმერთმა მას წინასწარმეტყველება დაავალა ბაბილონში. ეზეკიელმა, იერემიას მსგავსად, უბედურება უწინასწარმეტყველა ისრაელიანებსა და იერუსალიმს, რომელიც მართლაც აღსრულდა ქ.წ. 587-586 წლებში, როდესაც იერუსალიმი და მთელი სამეფო დაეცა.

ეზეკიელი სხვა წინასწარმეტყველებთან შედარებით საკუთარ ხილვებს ხშირად უჩვეულო მოქმედებებით გამოხატავდა. როდესაც უცხოტომელთა მიერ იერუსალიმის ალყაში მოქცევას წინასწარმეტყველებდა მსმენელნი უცნაური ქმედებით გააოგნა. მახვილით გაიკრიჭა თმა და წვერი, საკუთარი ალმის სახლიდან გვირაბი გათხარა, ვითომ ღამით მტერს დაუსხლტა ხელიდან. ასეთი უცნაური და დრამატული მოქმედებით გადასცემდა ხალხს წინასწარმეტყველებას.

მაგრამ, როდესაც ნაბუქოდონოსორის ჯარის იერუსალიმზე მეორე შეტევა წარმატებით დაგვირგვინდა ქ.წ. 587 წელს და მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა, ეზეკიელი, ისევე როგორც იერემია, იმედით აღსავსე მომავალზე იწყებს საუბარს. ღმერთი ყოველივეს აღადგენს და განაახლებსო, არწმუნებდა ხალხს წინასწარმეტყველი.

### ღმერთის დიდების ხილვა

ეზეკიელს ღმერთის მიუწვდომელობის მძაფრი გრძნობა ჰქონდა. პირველი ხილვის შემდეგ ის ბაბილონის ტყვეობაში აღმოჩნდა. შესაძლოა, იმ დროს ოცდაათიოდე წლის იყო. ამ ასაკში უნდა დაეწყო მღვდლობა იერუსალიმის ტაძარში. ბაბილონში, მდინარე ქებარის პირას, მინდორში, იხილა ღვთის დიდება. მძვინვარე ქარის შუაგულში, ელვარე ცეცხლის კონაში იხილა მოძრავი, ცოცხალი კაშკაშა ლითონის მსგავსი რამ, რასაც ღმერთის ტახტი ეყრდნობოდა.

კაშკაშა ლითონის მსგავს რაღაცაში ოთხი ქმნილება იყო, თითოეულს სხვადასხვა სახე ჰქონდა. ამ ქმნილებების გვერდით იაგუნდის მსგავსი ბორბლები ჩანდა, რომლებიც ყველა მიმართულებით მოძრაობდნენ. ქმნილებების ფრთებსა და თავებს ზემოთ "ბროლის ცა" იყო გადაჭიმული. მასზე კი ღმერთის საფირონის ტახტი იდგა, რომელზეც "ადამიანის მსგავსი რამ იჯდა."

ესაიას მსგავსად, იეზეკიელსაც სამუდამოდ ჩაებეჭდა გონებაში ღმერთის დიდების ხილვით გამოწვეული მოწიწებისა და სიდიადის გრძნობა.

### ძვლებით მოფენილი ველი

ეზეკიელის ერთ-ერთი ყველაზე მეტყველი ხილვაა ადამიანის გამხმარი ძვლებით მოფენილი ველის ხილვა. "თუ გაცოცხლდება ეს ძვლები?" შეეკითხა ღმერთი მას. შემდეგ, ღმერთის ბრძანებით, ეზეკიელი ამ ძვლებზე წინასწარმეტყველებს:

> "გაისმა ხმა, როცა წინასწარმეტყველებდი და, აჰა, შეიქმნა ზანზარი და ძვალი ძვალს მიედგა. დავინახე: აჰა, ძარღვები ჩნდება მათზე, ესხმით ხორცი და ზედ კანი ეკვრით, მაგრამ სული არ არის მათში."
>
> (ეზეკ. 37:7-8)

ღმერთმა უბრძანა ეზეკიელს ქარისთვის ეწინასწარმეტყველა. ქარი ხშირად სულის შთაბერვას, სუნთქვას ნიშნავს ხოლმე:

> "მეც ვიწინასწარმეტყველე, როგორც მიბრძანა, და შევიდა მათში სული და გაცოცხლდნენ; და წამოდგა ფეხზე დიდძალი ლაშქარი." (ეზეკ. 37:10)

ღმერთმა დაარწმუნა ეზეკიელი, რომ მას შეუძლია და სურს სასწაულებრივად გააცოცხლოს და აღადგინოს მისი რჩეული ერი — ისრაელი.

ეზეკიელი აღწერს, თუ როგორ მისცემს ღმერთი ისრაელს მოსიყვარულე და მორჩილ გულებს:

> "მოგცემ ახალ გულს და ახალ სულს ჩაგიდგამთ შიგნით; ამოგაცლით ქვის გულს სხეულიდან და ხორცის გულს ჩაგიდგამთ. ჩემს სულს ჩაგიდგამთ შიგნით და ისეთებს გაგხდით, რომ ჩემს წესებზე იაროთ და ჩემი სამართალი აღასრულოთ."
>
> (ეზეკ. 36:26-27)

#### ბაბილონის ტყვეები

ეზეკიელი, როგორც თავად ამბობს, ბაბილონეთში, მდინარე ქებარის პირას, გადასახლებულ ებრაელ ტყვეთა შორის იყო. ქებარი იმ დიდ სარწყავ არხთან არის გაიგივებული, რომელიც მდინარე ევფრატიდან გამოედინებოდა, ბაბილონს უვლიდა გარშემო და ისევ ევფრატს უერთდებოდა. ტყვეებს სხვადასხვა ქალაქში სახლების აშენების უფლება ჰქონდათ.

გადასახლებულები ტყვეთა ბანაკებში არ ცხოვრობდნენ და გადაადგილების თავისუფლებით სარგებლობდნენ. მინიჭებული ჰქონდათ სამოქალაქო უფლებები და იერუსალიმთან კავშირის საშუალება. შეეძლოთ თავისუფლად ემოგზაურათ ბაბილონეთის მთელ ტერიტორიაზე.



ეროვნული ბიბლიოთეკა


### მთავარი ამბები და მოვლენები

ღვთის დიდების ხილვა 1

ღმერთი მოუწოდებს ეზეკიელს 2,3

ეზეკიელი აღწერს იერუსალიმის ალყას 4,5

სხვა ხილვა: ღვთის დიდებამ ტაძარი მიატოვა 8-10

ეზეკიელი დევნილთა შორის — ტყვეობა 12

ეზეკიელის ცოლის სიკვდილი 24

ძვლებით მოფენილი ველის იგავი 37

ახალი ტაძრის ხილვა 40-48

# ბაბილონელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაბილონეთი (თანამედროვე სამხრეთ ერაყი) წინააზიური ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ცენტრი იყო. ბაბილონელებს დიდი ხნის ისტორია ჰქონდათ. ყველაზე ძველი წერილობითი ძეგლი ბაბილონეთშია აღმოჩენილი. აბრაამამდე ათასი წლით ადრე ბაბილონეთი ცივილიზაციის კერა იყო. დაახლოებით ქ.წ. 1850 წელს ბაბილონის მეფე ხამურაბმა კანონთა კრებული შეადგინა.

ქ.წ. VIII საუკუნეში ამ მიწა-წყალზე აშურის სამეფო გაძლიერდა, რომელიც მოულოდნელად და სწრაფად დაეცა. ქ.წ. 612 წელს იგი მიდიელებმა და ბაბილონელებმა დაამხეს და წარმოიშვა ახალბაბილონური, ანუ ქალდეველთა სამეფო.

ახალბაბილონური სამეფოს ყველაზე ცნობილი მეფე იყო ნაბუქოდონოსორ II. მის სახელს უკავშირდება ბაბილონის გრანდიოზული ნაგებობები და ძველი სამყაროს ერთ-ერთი საოცრება – "დაკიდული ბაღები."

ქ.წ. 586 წელს ნაბუქოდონოსორის ლაშქარმა იერუსალიმი დაანგრია, უამრავი ხალხი დაატყვევა და ბაბილონში გადაასახლა. ეზეკიელი და დანიელი ტყვეობაში წინასწარმეტყველებდნენ.

ბაბილონელები მათემატიკაში იყვნენ გაწაფული. მათ შეადგინეს ასტრონომიული ცხრილები. მოახდინეს ცხოველების, ფრინველების, თევზების, მცენარეებისა და ქვების კლასიფიკაცია. მათი რელიგია მაგიასა და ასტროლოგიას ეფუძნებოდა. ახალბაბილონური სამეფოს გაძლიერებას მხოლოდ პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა. გარდაქმნები რელიგიასა და კულტურაში უმნიშვნელო იყო, რადგან აშურისა და ბაბილონის კულტურა თითქმის არაფრით განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან.





მოჭიქული აგურებით გამოსახული ლომის ფიგურა, ნაბუქოდონოსორის დროინდელი ბაბილონიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაბუქოდონოსორმა ბაბილონი მშვენიერ ქალაქად აქცია. იშთარის კარიბჭე და საზეიმო გზა მთავარი ტაძრისკენ მიგვიძღვება. კარიბჭე ლურჯი მოჭიქული აგურით იყო ნაგები და ცხოველთა გამოსახულებები ამკობდა. (ქალაქის გარეუბანში აღმოჩენილი აგურის გამოსაწვავი ღუმელი შესაძლოა დანიელის "გავარვარებული ღუმელი" იყოს)



ბაბილონის განთქმული "დაკიდული ბაღები" სინამდვილეში ტერასები იყო, როგორც ამ მაკეტზეა ნაჩვენები.






მსოფლიოს რუკა ქ.წ. VII საუკუნე, ბაბილონი.



ბაბილონის მეფე მეროდაქბალადანი მიწას ჩუქნის წარჩინებულს. ადამიანების ფიგურების ზემოთ გამოსახულია ოთხი ღვთაების: ნაბოს, ნინხურსაგის, ეასა და მარდუქის სიმბოლოები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაბილონეთში გადასახლებულმა ეზეკიელმა იერუსალიმის ახალი ტაძარი იხილა. ტაძრის საკურთხევლიდან წყლის ნაკადი მოედინებოდა და გზად სიცოცხლეს აღმოაცენებდა. მლაშე და უსიცოცხლო მკვდარი ზღვა თევზით აივსო.

## ახალი ტაძარი

წიგნის დასასრულს ეზეკიელი აღწერს ახალი, სრულყოფილი ტაძრის ხილვას, რომელშიც ღმერთის თაყვანისცემა განახლდება. განახლებულ ქმნილებებსაც აღწერს წინასწარმეტყველი. სუფთა, კამკამა, მაცოცხლებელი წყალი გამოდის ტაძრის კარიბჭის ზღურბლიდან. ეზეკიელი გვამცნობს:

"გაზომა ათასი წყრთა და გამიყვანა წყალში; კოჭებამდე იყო წყალი. გაზომა კიდევ ათასი და გამატარა წყალში და მუხლამდე იყო; გაზომა ათასი და გამატარა; წელამდე იყო. გაზომა ათასი და უკვე მდინარე იყო, რომელიც ველარ გადავლახე, რადგან ამაღლდა წყალი, გადასაცურავი გახდა; ფეხით გადასვლა არ იქნებოდა მდინარეზე." (ეზეკ. 47:3-5)

მდინარეში უხვად არის თევზი. ბოლოს ის მკვდარ ზღვას ერთვის და მის მლაშე წყლებს ამტკნარებს. მდინარის ნაპირებზე ხეები იზრდება, რომელთა ნაყოფი საკვებად არის ვარგისი, ფოთლები კი სამკურნალოდ. ეზეკიელი თამამად აცხადებს, რომ ისრაელიანთა მიწაწყალზე უცხოელებიც თავისუფლად იცხოვრებენ. ისრაელიანთა სახელოვანი ქალაქის სახელი იქნება: იქ არის უფალი.

## ღმერთი და პიროვნება

იერემია და ეზეკიელი ერთ ანდაზას ასახელებენ: "მამებმა ისრიმი შეჭამეს და შვილებს კბილები მოეკვეთათო." მაგრამ, აქვე, წიგნის 18 თავში ეზეკიელი განმარტავს, რომ ღმერთი ამგვარად არ მოქმედებს. მხოლოდ დამნაშავე თაობა აგებს პასუხს ჩადენილი დანაშაულისთვის.

წინასწარმეტყველები, როგორც წესი, ხაზს უსვამენ ხალხის, როგორც ერთი მთლიანის პასუხისმგებლობას. თანამედროვე ცივილიზაციაში პიროვნებას უფრო მეტი პასუხისმგებლობა აკისრია, ვიდრე საზოგადოებას მთლიანად. აღსანიშნავია, რომ ეზეკიელი ღმერთის ცალკეულ პიროვნებასთან ურთიერთობაზე საუბრობს: პიროვნული ურთიერთობის თანახმად, ღმერთი გამოავლენს დამნაშავე და უდანაშაულო ადამიანს.

## სამშობლოში დაბრუნება

იერემია ამბობდა, რომ ღმერთი უპატრონებდა "სად ლეღვს" – ბაბილონში გადასახლებულ ტყვეებს – და აუცილებლად დააბრუნებდა სამშობლოში. ღვთის დაპირება სამოცდაათიოდე წლის შემდეგ შესრულდა. ფსალმუნში აღწერილია ის საზეიმო დღე, როდესაც ხალხი ტყვეობიდან ბრუნდებოდა:

"როცა დააბრუნებს უფალი ტყვეს სიონისას,
თავი სიზმარში გვეგონება.
მაშინ აივსება სიცილით პირი ჩვენი
და ენა ჩვენი – გალობით." (ფს. 125)

მაგრამ, ხალხის ის პატარა ჯგუფები, რომლებიც სამშობლოში სხვადასხვა ტალღებად ბრუნდებოდნენ, მცირერიცხოვანნი და უძლურნი იყვნენ. ესაიას სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ ნატამალი დაბრუნდა. წინასწარმეტყველი ესაია სპარსეთის მბრძანებელ კიროსზე საუბრობს. ღმერთმა თქვა:

"ჩემი მწყემსია და ყოველ სურვილს შემისრულებს! და ეუბნება იერუსალიმს: აშენდები! და სასახლეს: ჩაიყრება შენი საძირკველი!" (ეს. 44:28)

კიროსი იყო სპარსეთის მეფე, რომელმაც ბაბილონის იმპერია დაიპყრო. ის ზუსტად ისე მოიქცა, როგორც ესაიამ გვაუწყა. მან გამოსცა ბრძანება, რომელშიც ეწერა, რომ ცათა უფალმა იერუსალიმის ტაძრის აღმშენებლად დანიშნა. ამ მიზნის შესასრულებლად ყოფილი იუდას სამეფოს ყოველ მკვიდრს სამშობლოში დაბრუნების შესაძლებლობა მისცა. მაგრამ, ყოველ ებრაელს როდი სურდა დაბრუნება. იოსებ ფლავიუსი, რომელმაც ბევრად უფრო გვიან, რომის ბატონობის პერიოდში, დაწერა ებრაელთა ისტორია, აღნიშნავს, რომ ებრაელთა ნაწილი ბაბილონში კარგად მოეწყო და ამიტომ არ სურდა სამშობლოში დაბრუნება.

რა თქმა უნდა, ებრაელთა სამშობლოში დაბრუნება კიროსის მიზნებსაც ემსახურებოდა. ამიტომ მან იუდას განმგებლად შეშბაცარი განამწესა და ებრაელთა მცირერიცხოვან ჯგუფთან ერთად იერუსალიმში გაგზავნა, რათა ტაძრის მშენებლობას შესდგომოდნენ. დაბრუნებულებმა თან წაიღეს ოქროსა და ვერცხლის ჭურჭელი, რომელიც ნაბუქოდონოსორს ჰქონდა იერუსალიმის ტაძრიდან გატაცებული, კიროსმა კი უკან დააბრუნა.

მცირეოდენი ხნის შემდეგ მეფე იეჰოიაკინის შვილიშვილი, ზერუბაბელი, ებრაელთა ერთ ჯგუფს წარუძღვა სამშობლოში.

შემდეგი ჯგუფი ეზრა მღვდელთან ერთად დაბრუნდა ქ.წ. 458 წელს. ხოლო ქ.წ. 444 წელს ნეემიამ, რომელიც იუდას გამგებლად დაინიშნა, მორიგი ჯგუფი წაიყვანა. დაბრუნების ამბები, რომლებიც ეზრასა და ნეემიას წიგნებშია აღწერილი, დაახლოებით ასწლიან პერიოდს მოიცავს.

**მოვლენათა თანმიმდევრობა ეზრასა და ნეემიას წიგნებში**

საკმაოდ რთულია ეზრასა და ნეემიას წიგნებში მოვლენების თანმიმდევრობის ნათელი სურათის წარმოდგენა. ამ ორ წიგნში აღწერილია სამი ძირითადი მოვლენა.

პირველი, ზერუბაბელი დაბრუნდა ქ.წ. 538-516 წლებში ტაძრის აღდგენის მისიით. ამ პერიოდში მღვდელმთავარი იყო იესო, ხოლო ანგია და ზაქარია — წინასწარმეტყველები. ამ დროს აღადგინეს ტაძარი.

მეორე, ქ.წ. 458 წელს მღვდელი ეზრა დაბრუნდა სამშობლოში, რათა ხალხისთვის მოსეს რჯული ესწავლებინა.

მესამე, ქ.წ. 444 წელს ნეემია დაბრუნდა სამშობლოში როგორც გამგებელი, რათა აღედგინა იერუსალიმის კედელი, დაესახლებინა ქალაქი და მტრები გაენადგურებინა. ეს ამბები აღწერილია ნეემიას წიგნში.

## ეზრა და ნეემია

ეზრასა და ნეემიას წიგნებში ცოცხალი და ამაღელვებელი ამბებია მოთხრობილი. ეს წიგნები მომავალი წიგნის დასაწერად გამზადებულ გეგმას მოგვაგონებს. მათში შევხვდებით ამონაწერებს ტაძრის საბუთებიდან, კიროსის განკარგულებებიდან და სხვადასხვა ოფიციალური წყაროებიდან. ტექსტების ნაწილი ძველებრაულად არის შედგენილი, ნაწილი კი არამეულად. არამეული ენა სპარსეთის იმპერიის ერთ-ერთ სახელმწიფო ენად ითვლებოდა და სამშობლოში დაბრუნებული ებრაელობა, ისევე როგორც შუამდინარეთში დარჩენილები ამ ენაზე მეტყველებდნენ. ზოგჯერ ეზრასა და ნეემიას დღიურებიდან ამონაწერებიც გვხვდება წიგნებში. ნეემია პირველ პირშია დაწერილი და იმ პერიოდის ისტორიას უფრო სრულად გადმოგვცემს.

ნეემია წარჩინებული მოქალაქე გახლდათ. სპარსეთის მეფე ართახშაშთას კარზე ღვინის მწდის თანამდებობა ეკავა. ის დაანაღვლიანა და შეაშფოთა სამშობლოდან მიღებულმა ცნობამ, რომ იერუსალიმში პირველი ნაკადის გადასახლებიდან მრავალი წლის შემდეგ, იერუსალიმის კედელი ისევ დანგრეული იყო და მდგომარეობა არცთუ ისე სასიკეთო იყო. ლოცვისა და საგულდაგულო მომზადების შემდეგ ნეემიამ მეფისგან გამგზავრების ნებართვა მიიღო.

თავდაპირველად ქალაქის დარღვეული კედელი დაათვალიერა და აღდგენის გეგმა შეიმუშავა. შემდეგ ხალხის ზნეობრივ მდგომარეობას მიაქცია ყურადღება. მან ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ შინდაბრუნებულებს თავი ერთ ერად აღექვათ. ნეემიამ მოსახლეობა დარაზმა და ქალაქის კედლები 52 დღეში აღადგინეს. წინააღმდეგობების გადალახვაც მოუწია მას. იუდას მიწა-წყალზე მოსახლე ხალხს ტყვეობიდან დაბრუნებულ ებრაელებთან გაერთიანება ეწადათ. ნეემია ამის წინააღმდეგი იყო. დაძაბულობა თანდათან მატულობდა. ნეემიას უმთავრესი მიზანი საკუთარი ხალხის სიწმიდესა და რწმენაზე ზრუნვა იყო. ნეემიას წიგნის 5 თავში მოყვანილია მისი სამართლიანობის მაგალითი.

თორმეტწლიანი განმგებლობის შემდეგ ნეემია სპარსეთის სამეფოს დედაქალაქში შუშანში გაემგზავრა. იერუსალიმში მობრუნებულს ხალხი უცხოტომელთა წეს-ჩვეულებებზე გადა-



ნეემია სპარსეთის მეფის ღვინის მწდე იყო. ამ ქვის ბარელიეფზე გამოსახულია აშურეთის სამეფო კარის ღვინის მწდე. ეს მნიშვნელოვანი თანამდებობა იყო. მეფე ღვინის მწდეს საკუთარ სიცოცხლეს ანდობდა.

### ეზრა და ნეემია

**ეზრა: მთავარი ამბები და მოვლენები**

კიროსი ებრაელებს შინ აბრუნებს 1

ტაძრის საძირკველი ჩაყრილია — აღმშენებლობა იწყება 3

ტაძრის სატფურება; პასექის დღესასწაული 6

ეზრას დაბრუნება 7

შერეული ქორწინებები 9-10

**ნეემია: მთავარი ამბები და მოვლენები**

სამწუხარო ცნობები იერუსალიმიდან: ნეემია ლოცულობს 1

ართახშაშთა (არტაქსერქსე) სამშობლოში უშვებს ნეემიას 2

იერუსალიმის გალავნის განახლება 3-6

ეზრა რჯულს კითხულობს; აღთქმა განახლდა 8-10

გასრულების დღესასწაული 12

ნეემია და შერეული ქორწინებები 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული დაუხვდა, შაბათს არ იცავდნენ. შაბათი კი რჯულის მიღების დღიდან ღმერთთან აღთქმული ურთიერთობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი იყო. უცხოელები არა მარტო იერუსალიმში, არამედ ტაძრის შენობაშიც კი ცხოვრობდნენ. ნეემია მდგომარეობის გამოსწორებას ჩვეული შემართებით შეუდგა.

ეზრას მიზანი რჯულის სწავლება იყო. რჯული ძველებრაულ ენაზე იყო დაწერილი, ამიტომ არამეულად მოსაუბრე ხალხისთვის საჭირო იყო მისი თარგმნა და ახსნა-განმარტება. მრავალრიცხოვანი თავყრილობის წინაშე, ლევიანებით გარშემორტყმული ეზრა ამაღლებულ ფიცარნაგზე იდგა და იქიდან ასწავლიდა ხალხს. მას შემდეგ, რაც რჯულის საფუძვლიანი ახსნა-განმარტება მიიღეს, ებრაელებმა კარვობის დღესასწაული იზეიმეს.

ეზრა და ნეემია ძალზე განარისხა იმ ამბავმა, რომ ისრაელიანი კაცები ცოლად არაებრაელებს ირთავდნენ. ეზრამ დაჟინებით მოსთხოვა კაცებს თავიანთ არაებრაელ ცოლებს გაყროდნენ. ორივე მიიჩნევდა, რომ უმთავრესი იყო ღვთის ერის სიწმიდის დაცვა, ებრაელი ხალხის სხვა ტომისგან გამოყოფა. ისინი რჯულის დაცვის აუცილებლობას ქადაგებდნენ. ამ ორი პრინციპის დაცვას შეეძლო ებრაელთა ეროვნული მეობისა და რწმენის დაცვა.

ეზრას წიგნის პირველი თავები მოგვითხრობს ტაძრის აღდგენის დაწყების ამბავს. ეს ოდნავ უფრო ადრე მოხდა, ვიდრე ნეემია ქალაქის კედლის აღდგენას დაიწყებდა. მას შემდეგ, რაც ტაძრის საძირკველი ჩაიყარა, ხალხმა დიდი დღესასწაული გადაიხადა. ხმამაღლა განადიდებდნენ ღმერთს და მღეროდნენ:

> "უფალი კეთილია, რადგან საუკუნოა
> მისი წყალობა ისრაელზე! (1 ეზრ. 3:11)

საერთო მხიარულების მიუხედავად, მოხუცები დადარდიანდნენ, რადგან კარგად ახსოვდათ სოლომონის დიდებული ტაძარი, რომელსაც ახალი ტაძარი ვერ შეედრებოდა. იმ დროს, როცა ახალგაზრდები მღეროდნენ, ისინი მწარედ მოსთქვამდნენ.

ენთუზიაზმი და ძლევამოსილების შეგრძნება დიდხანს არ გაგრძელდა. მალე მეზობელმა ხალხებმა, რომელთაც უარი ეთქვათ მშენებლობაში მონაწილეობაზე, დიდი წინააღმდეგობა გაწიეს. ებრაელმა ხალხმა სიმტკიცე დაკარგა. იმავე დროს, კამბიზმა, კიროსის ძემ, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო ტახტი, იუდას სურსათ-სანოვაგის გაღება მოსთხოვა. ხალხი გაღარიბდა და სასოწარკვეთილებას მიეცა.

### ელეფანტინის ჭილი (პაპირუსი)

არამეულ ენაზე შედგენილი წერილობითი საბუთები აღმოჩნდა კუნძულ ელეფანტინაზე, ასუანის მახლობლად, მდინარე ნილოსზე. ისინი ეზრასა და ნეემიას პერიოდით თარიღდებიან და კუნძულზე მცხოვრებ ებრაელთა ჯგუფის შესახებ მოგვითხრობენ. აქ იყო სამხედრო საგუშაგო და ებრაელები ამ სასაზღვრო კუნძულზე სპარსეთის სამეფოს ინტერესებს იცავდნენ.

წერილი, რომელსაც პასექის ჭილს (პაპირუსს) უწოდებენ თარიღდება ქ.წ. 419 წლით და სპარსეთის მეფის დარიოსის სახელით არის შედგენილი. მასში პასექის აღნიშვნის ზუსტი წესებია აღწერილი. სპარსელები ზრუნავდნენ, რომ მათ ხელქვეით ხალხებს საკუთარი რელიგიური წესები ზუსტად შეესრულებინათ.

## ანგია და ზაქარია

### ანგია: მთავარი ამბები და მოვლენები

ღმერთი ტაძრის აღდგენას ბრძანებს 1,2

კურთხევის აღთქმა 2

### ზაქარია: მთავარი ამბები და მოვლენები

"მოიქეცით ჩემკენ" 1

სამართალი და მოწყალება 7

კურთხევის აღთქმა იერუსალიმისათვის 8

უფლის დღე 14

## ანგია და ზაქარია

ორი წინასწარმეტყველი ანგია და ზაქარია ხალხს მოქმედებისაკენ მოუწოდებდნენ. ანგია შთააგონებდა ხალხს, რომ საკუთარი სახლების მშენებლობაზე ნაკლები ძალები დაეხარჯათ და პირველ რიგში უმთავრესი საქმე აღესრულებინათ – ღვთის ტაძარი აღედგინათ. ღმერთის საქმე უპირველესია. ის ამხნევებდა ხალხს და ახსენებდა, რომ ღმერთი მუდამ მათთან იყო.

გამგებელმა ზერუბაბელმა და ხალხმა გულთან ახლოს მიიტანეს მოწოდება და მონდომებით შეუდგნენ ტაძრის მშენებლობას. ორივე წინასწარმეტყველი შთააგონებდა ზერუბაბელსა და იესო მღვდელმთავარს, რომ ღმერთს ისინი საკუთარი მიზნების განსხორციელებლად ჰყავდა ამორჩეული.

ზაქარია ზერუბაბელსა და იესოს "მორჩს" უწოდებს. მოგვიანებით ებრაელმა სწავლულებმა ეს სახელწოდება მესიას უწოდეს, რომელიც ერთდროულად უნდა ყოფილიყო მეფეცა და მღვდელიც.

ზაქარია წინასწარმეტყველის წიგნის ბოლო ნაწილი, 9-14 თავები იმდენად განსხვავდება წინა თავებისგან, რომ ზოგიერთი მათ სხვა ავტორის მიერ დაწერილად მიიჩნევს. ეს თავები აწმყოს კი არ შეეხება, არამედ ჟამთა აღსასრულს. მათი ერთი ნაწილი აპოკალიპტიკურია.

## მალაქია

### მთავარი ამბები და მოვლენები

ღმერთის უსაზღვრო სიყვარული 1

უფლის დღე, ღმერთის წყალობის აღთქმა 3-4

## მალაქია

მალაქია, რომლის წიგნი ძველი აღთქმის უკანასკნელი კანონიკური წიგნია, ამავე ეპოქის წინასწარმეტყველი იყო. იგი აღშფოთებულია

იმით, რომ ხალხი უდიერად ექცევა ღმერთს, რომ ღვთის თაყვანისცემა და მისთვის მსხვერპლის შეწირვა მეორეხარისხოვან საქმედ არის მიჩნეული, რომ თითქმის არავინ დარჩა ღმერთის სიყვარულსა და მამობრივი მზრუნველობის დამნახველი.

მალაქიას გადაწყვეტილი აქვს გამოაფხიზლოს ხალხი და უჩვენოს მოსიყვარულე ღმერთის სიწმიდე და სამართალი. წინასწარმეტყველის სიტყვები დრამატული და პირდაპირია. იგი ისეთ კითხვას სვამს ღმერთის შესახებ, რომელიც წესით ხალხს უნდა დაესვა: "ღმერთო, რისთვის შეგვიყვარე?"

მაგრამ ხალხი იმდენად არის სულიერად დაცემული, რომ ღმერთის სიყვარულს ველარ აღიქვამს და ეკითხება მას: "რით შეურაცხვყავით შენი სახელი?"

მალაქია ნათელ და გამომწვევ პასუხებს გვთავაზობს. ის კიცხავს კაცებს, რომლებიც ლამაზი ქალების გულისთვის სიყრმის ცოლებს ეყრებიან. ცოლ-ქმრულ ღალატს წინასწარმეტყველი ღმერთთან დადებული აღთქმის ღალატსამსგავსებს. მალაქია აფრთხილებს ხალხს, რომ ღმერთი როგორც გამომდნობელის ცეცხლი ისე მოვა მსჯავრის აღსასრულებლად და სუფთა ლითონს უვარგისი მინარევებისაგან გამოარჩევს. ვინ გაუძლებს ასეთ გამოცდას?

"რადგან, აჰა, მოდის დღე, თონესავით ავარვარებული და ყველა ამპარტავანი და ავისმოქმედი ჩალა იქნება და გადაბუგავს მათ მომავალი დღე, ამბობს ცაბაოთ უფალი; ისე რომ არ შეარჩენს არც ძირს და არც რტოს. ამოგიბრწყინდებათ, ჩემი სახელის მოშიშნო, მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე."
(მალ. 3:19-20)

მალაქიას მიერ გამოც-ხადებულ ღვთის სამსჯავროს დღესთან დაკავშირებით, ღვთის მორჩილების მიმართ ნათქვამია: "ამოგიბრწყინდებათ მზე სიმართლისა და კურნება იქნება მის ფრთებზე."



## ესთერი

ღმერთია მშველელი – ამ სიტყვებით შეგვიძლია გამოვხატოთ ესთერის წიგნის დედააზრი, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთის სახელი არ არის ნახსენები ამ წიგნში.

ესთერის წიგნი შესანიშნავი მოთხრობაა, მშვენიერი ენით დაწერილი. მოვლენები ვითარდება სპარსეთის სამეფოში ახაშვეროშის (ქსერქსეს) მეფობის დროს და ებრაელების დევნა-შევიწროების ამბავს ეხება. მარდოქაიმ, სამეფო კარზე დაწინაურებულმა ებრაელმა, თავისი ბიძაშვილი და შვილობილი – მშვენიერი ესთერი – მეფის ახალი ცოლის ასარჩევად მოწყობილ ერთგვარ შეჯიბრზე მოახვედრა. ესთერი შეირჩა საცოლედ და მალე სპარსეთის დედოფლად გამოცხადდა. მისი ეროვნება საიდუმლოდ იქნა შენახული.

ამასობაში მარდოქაიმ მოიმდურა ჰამანი, ახალაღზევებული მეფისკაცი. მიზეზი ის გახდა, რომ მარდოქაი, როგორც ეს ხეირიან ებრაელს შეჰფერის, მუხლმოყრით არ სცემდა თაყვანს ჰამანს. ჰამანმა განიზრახა მთელი ებრაული თემის დაღუპვა, რისთვისაც მეფეს დასტური გამოსტყუა. მარდოქაიმ ყველაფერი შეატყობინა ესთერს და უთხრა, რომ მხოლოდ მას შეეძლო თანამემამულეების გადარჩენა.

მარხვის შემდეგ ესთერი მეფესთან მივიდა. მიუხედავად იმისა, რომ გაუფრთხილებლად მეფესთან შესვლა აკრძალული იყო. დედოფალმა მეფე და ჰამანი ნადიმზე დაპატიჟა. ამჯერად ესთერმა მეფეს თავისი სათხოვარი არ გაუმხილა და სთხოვა მეორე დღესაც მოსულიყო ჰამანთან ერთად ნადიმზე და შეჰპირდა, რომ აუცილებლად გაუმხელდა გულისწადილს.

იმ ღამეს ძილი გაუკრთა მეფეს და მატიანეთა წიგნის წაკითხვა უბრძანა მსახურებს.

როდესაც მარდოქაის მიერ მეფის სიცოცხლის გადარჩენის ამბავი წაუკითხეს, მეფემ იკითხა, თუ რა საზღაური ჰქონდა მას მიღებული ერთგულებისწილ. როდესაც შეიტყო, რომ

ესთერი

**მთავარი ამბები და მოვლენები**

ესთერი სპარსეთის დედოფალი ხდება 2

მარდოქაიმ მეფის სიცოცხლე იხსნა 2

ჰამანი ებრაელების განადგურებას გეგმავს 3

ესთერმა თანამემამულეები გადაარჩინა 5-9

ფურიმის დღესასწაული 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კიროსი და სპარსეთის იმპერია

სპარსეთის ძლევამოსილ იმპერიას საფუძველი ჩაუყარა მეფე კიროს დიდმა ქ.წ. 549 წელს. დაახლოებით იმავე დროს მან ბაბილონიც დაიპყრო. კიროსმა ბაბილონეთში გადასახლებული ხალხები სამშობლოში დააბრუნა. ეს მას ხელს აძლევდა, რადგან ვრცელი იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში აქტიური მომხრეები შეიძინა. კიროსი დაპყრობილ-დამორჩილებული ერების რელიგიებისადმი რჯულშემწყნარებლობას იჩენდა. ის ზოგიერთ რელიგიას აშკარად მფარველობდა.

**სპარსეთის იმპერია**

ქ.წ. 530 წელს აღმოსავლეთში წარმოებული ომის დროს კიროსი დაიღუპა და სამეფო ტახტი მისმა ვაჟმა კამბიზმა დაიკავა. ის მამისგან ძალიან განსხვავდებოდა და ძალაუფლების განმტკიცების მიზნით საკუთარი ძმა მოაკვლევინა. ქ.წ. 525 წელს კამბიზმა ეგვიპტე შემოიერთა. როდესაც ქ.წ. 522 წელს კამბიზი მოკვდა, ქვეყანა არეულობამ მოიცვა და ასპარეზზე თვითმარქვია ტახტის მემკვიდრეები გამოჩნდნენ.

დარიოსმა, მმართველი დინასტიის ნათესავმა, სამხედრო ფენაზე დაყრდნობით სამეფო ტახტი ხელთ იგდო. ის მეფობდა ქ.წ. 521-486 წლებში და სპარსეთის იმპერიის უძლიერესი მმართველი იყო. ქ.წ. 520 წელს დარიოსმა სახელმწიფოში წესრიგი აღადგინა. სწორედ ამ წლებში წინასწარმეტყველებდნენ ანგია და ზაქარია, ამავე დროს დასრულდა იერუსალიმის ტაძრის აღდგენა (ეზრა 5 და 6).

ქ.წ. 486-465 წლებში მეფობდა ქსერქსე I. ესთერის წიგნის მეფე ახაშვეროში.

ქ.წ. 464-423 წლებში მეფობდა არტაქსერქსე I. ეზრას წიგნის 7 თავიდან ნეემია წინასწარმეტყველის წიგნის ჩათვლით აღწერილი მოვლენები ამ მეფის ხანას ეკუთვნის.

ქ.წ. 423-404 წლებში მეფობდა დარიოს II. ელეფანტინის კუნძულის (პაპირუსის) სახელით ცნობილი არამეული ტექსტები ამ პერიოდს ეკუთვნის.

ქ.წ. 404-359 წლებში მეფობდა არტაქსერქსე II

ქ.წ. 359-338 წლებში მეფობდა არტაქსერქსე III

სპარსეთის იმპერიის ორასწლოვანი ისტორია მეტად მნიშვნელოვანი იყო ებრაელი ხალხისთვის. სპარსელებმა ხელი შეუწყვეს ებრაელების სამშობლოში დაბრუნებას. მათი რელიგიური პოლიტიკა მრავალეროვან სახელმწიფოში სარწმუნოების თავისუფლებას იცავდა და პოლიტიკური ერთიანობის მიუხედავად იმპერიის ყველა ხალხს რელიგიური თავისუფლება ჰქონდა.



**სპარსელი მეომრების ფიგურები ამშვენებდა მეფე დარიოსის სასახლის მოჭიქული აგურებით მოპირკეთებულ კედლებს დედაქალაქ შუშანში, ქ.წ. 500 წელი.**

**მეფე დარიოსის სასახლის ნანგრევები პერსეპოლისში. გადარჩენილ ნაწილზე კარგად ჩანს ბარელიეფები — ძველი სიდიადის უტყვი მოწმეები.**





## "კიროსის თიხის ცილინდრი"

თიხის ცილინდრი, რომელიც ბაბილონის ერთ-ერთი ნაგებობის გათხრისას აღმოაჩინეს, მეფე კიროსის გმირობებს აღწერს. მეფე გვამცნობს, თუ როგორ დააბრუნა ხალხი სამშობლოში თავიანთ წმიდა ნაკეთობებთან ერთად. კიროსი ამბობს: "დაე, ყოველმა ღმერთმა, რომლებიც საკუთარ საწმიდარებში დავაბრუნე, ყოველდღე ჩემი დღეგრძელობისთვის ილოცონ."






დარიოს I კოლოსალური პორტრეტი ბეჰისტუნის კლდეშია გამოკვეთილი თეირანიდან ბაღდადისკენ მიმავალ გზაზე.



ესთერის წიგნში სპარსეთის მეფის სასახლის ლხინზე ოქროს სასმისები და სხვა ნივთებია ნახსენები. ძველსპარსული ოქროს სამაჯური.

### მთავარი ამბები და მოვლენები

დანიელი და მისი მეგობრები მეფის სასახლეში: მეფის სიზმარი 1,2

ნაბუქოდონოსორის ოქროს კერპი – გახურებული ღუმელი 3

მეორე სიზმარი: დამდაბლებული მეფე 4

წარწერა კედელზე – ბელშაცარის ლხინი 5

დანიელი ლომების ხაროში 6

მომავლის ხილვა 7-12

მარდოქაის პატივი არ ხვდომია წილად, დილით მარდოქაის დასჯის მოთხოვნით მოსულ ჰამანს უბრძანა დამსახურებული პატივი მიეგოთ ერთგული კარისკაცისთვის.

მეორე დღის ნადიმზე ესთერმა ებრაელების ამოჟლეტის ბოროტი გადაწყვეტილება ამხილა მეფის წინაშე. იმის გამო, რომ ძველი ბრძანების გაუქმება არ შეეძლო, მეფემ ახალი ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვით, ებრაელებს თავის დაცვა და თავდამსხმელების მოკვლის უფლება მისცა. ჰამანი კი, მის მიერ მარდოქაის დასაჯელად აღმართულ ძელზე ჩამოახრჩვეს.

მიუხედავად იმისა, რომ ესთერის წიგნში ღმერთის სახელი არ გვხვდება, მასში ლამაზად არის აღწერილი ორი ადამიანის სრულებით განსხვავებული ცხოვრება: ჰამანი, რომელსაც წარმატებისა და ბედ-იღბლის იმედი აქვს და მარდოქაი, რომელსაც სწამს ერთი ღმერთის, რომელიც საკუთარი ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავს.

ესთერის წიგნი ფურიმის ყოველწლიურ დღესასწაულზე იკითხება. წიგნის მიხედვით, ეს დღესასწაული, თავად მარდოქიამ დააწესა ებრაელთა გადარჩენის აღსანიშნავად. სიტყვა ფურიმ ნიშნავს წილს და უკავშირდება ჰამანის მიერ ებრაელთა გაჟლეტის თარიღის დასაზუსტებლად ნაყარ წილს. მაგრამ პირიქით მოხდა, ეს დღე ებრაელთა გადარჩენის და გამარჯვების დღედ იქცა.

## დანიელი

დანიელის წიგნის პირველი ექვსი თავი ყმაწვილ ებრაელთა პატარა ჯგუფის ამაღელვებელ და დრამატულ ამბავს მოგვითხრობს.



ესთერის წიგნი სპარსეთის სამეფო სასახლის დიდებული სიმდიდრის აღწერით იწყება. ეს ოქროს თასი "ოქსოსის საგანძურიდან" არის. სპარსეთი, ქ.წ. 500 წელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ისინი ბაბილონში ტყვეთა პირველ ტალღასთან ერთად მოხვდნენ. ბაბილონურ სიბრძნეში გაწაფვის შემდეგ სამეფო კარზე დაწინაურდნენ. ისინი სახელმწიფო მოხელეებად და მრჩევლებად განამწესეს.

ამ ჯგუფის წინამძღოლი იყო დანიელი. იგი თავიდანვე მტკიცედ იცავდა ებრაულ წესებს. მან უარი თქვა იმ საკვებზე, რომელსაც მოსწავლეებს აძლევდნენ სამეფო კარზე. მოხელეთა გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც აღმოჩნდა, რომ მწვანილზე და წყალზე მყოფი ებრაელები ბევრად უკეთ გამოიყურებოდნენ, ვიდრე სხვა ყმაწვილები.

მოგვიანებით, სასახლის კარზე მყოფი ბრძენკაცებიდან და ვარსკვლავთმრიცხველებიდან, მხოლოდ დანიელმა შესძლო მეფისათვის აეხსნა დიდი კერპის სიზმარი. დანიელმა ამ სიზმარში ოთხი დიდი სამეფოსა და მეხუთე, უძლიერესი ღმერთის სამეფოს ხილვა აღწერა. ღმერთის სამეფო ქვის ლოდივით დაეცა დიდ კერპს და სრულიად შემუსრა იგი. მეფემ აღიარა:

"თქვენი ღმერთი ჭეშმარიტად ღმერთთა ღმერთია მეფეთა, მეფეა და საიდუმლოთა გამცხადებელი." (დან. 2:47)

წიგნში აღწერილი შემდეგი ამბავი დანიელის სამი მეგობრის თავგადასავალს ეხება. მეფე ნაბუქოდონოსორმა საკუთარი ოქროს ქანდაკება აღმართა ერთ ველზე. ყველას უბრძანეს, რომ დათქმულ დროს, საყვირის ხმაზე, პირქვე დამხობილიყვნენ და თაყვანი ეცათ ამ კერპისთვის. შადრაქმა, მეშაქმა და ყაბედ-ნეგომ უარი თქვეს კერპის თაყვანისცემაზე. ისინი არ შედრკნენ და მიუგეს მეფეს:

"აჰა, არსებობს ჩვენი ღმერთი, რომელსაც ვემსახურებით. მას შესწევს ძალა, რომ ცეცხლით გახურებული ღუმლიდანაც გადაგვარჩინოს და შენი ხელიდანაც გვიხსნას, მეფეო ასე რომც არ მოხდეს, იცოდე, მეფეო, ჩვენ მაინც არ ვემსახურებით შენს ღმერთებს და თაყვანს არ ვცემთ იმ ოქროს კერპს, შენ რომ დადგი." (დან. 3:16-18)

მეფის ბრძანებით შებოჭილი ყმაწვილები დიდ, გახურებულ ღუმელში შეყარეს. მაგრამ, იხილა მეფემ, რომ ისინი ცეცხლის ალში უვნებელნი მიმოდიოდნენ და მათთან იყო მეოთხე, ღვთის მსგავსი ქმნილება. შიშისგან აცახცახებულმა მეფემ ცეცხლიდან მათი გამოყვანა ბრძანა. ისინი უვნებლები გამოვიდნენ გავარვარებული ღუმლიდან და ნაბუქოდონოსორმა ქება-დიდება შესწირა შადრაქის, მეშაქისა და ყაბედ-ნეგოს ღმერთს.

დანიელის წიგნის მეოთხე თავში ვკითხულობთ, მეფე ნაბუქოდონოსორის მეორე სიზმრის შესახებ. მან იხილა მაღალი, უხვნაყოფიანი ხე, რომელიც ანგელოზის ბრძანებით მოკვეთეს. დანიელმა, რომელიც სამეფო კარზე მსახურობდა, გაბედა და მეფეს მონანიებისა და სამართლიანობისკენ მოუწოდა. აუხსნა მეფეს სიზმრის მნიშვნელობა და გააფრთხილა, რომ ის ხე თავად მეფე იყო და ამპარტავნობის გამო იგი დროებით იქნება მოკვეთილი. მართლაც, მეფემ შეშლილობის ერთგვარი სენით იავადმყოფა ერთხანს და მერე კვლავ თავის ტახტს დაუბრუნდა. გადარჩენილმა ნაბუქოდონოსორმა ხმამაღლა განადიდა ღმერთი:

"ახლა მე, ნაბუქოდონოსორი, ვაქებ, აღვამაღლებ და ვადიდებ ზეციურ მეფეს, რომლის ყოველი საქმე ჭეშმარიტია და გზანი სამართლიანია, რომელსაც ძალუძს დაამდაბლოს ამაყად მავალნი." (დან. 4:34)

წიგნში აღწერილი მომდევნო ამბავი ბაბილონის სამეფოს აღსასრულის შესახებ მოგვითხრობს. მეფე და მისი ამალა ნადიმობისას იერუსალიმიდან წამოღებული წმიდა თასებით სასმელს შეექცეოდნენ, როცა მოულოდნელად კირით შეფეთქილ კედელზე ხელმა დაიწყო წერა. შეშინებულმა მეფე ბელშაცარმა დანიელი იხმო, რომელმაც საიდუმლო წარწერის მნიშვნელობა აუხსნა მეფეს და აუწყა, რომ ის გასამართლებულია და მისი სამეფოს აღსასრული მოახლოებულია. დასასრულის ჟამი მართლაც დამდგარიყო და დარიოს მიდიელმა ხელთ იგდო ბაბილონის სამეფო.

წიგნის შემდეგი ამბავი მოგვითხრობს მოხუცი დანიელის შესახებ, რომელიც მეფე დარიოსის კარზე მსახურობდა. იგი ერთ-ერთი დიდი მთავარი იყო. შურით აღძრულმა სატრაპებმა მისი დაღუპვა გადაწყვიტეს და დანიელის წინააღმდეგ მისი ყოველდღიური ლოცვის ჩვეულება გამოიყენეს. მათ დაიყოლიეს მეფე, რათა ბრძანება გამოეცა, რომ თუკი ვინმე ოცდაათი დღის განმავლობაში ღმერთს ან კაცს, მეფის გარდა, თხოვნით მიმართავდა, ლომების ხაროში ჩაეგდოთ. დანიელმა ეს ბრძანება არ შეასრულა და ის მეფესთან დაასმინეს. მეფე იძულებული იყო დაესაჯა დანიელი. მეორე დილით მეფე სასწრაფოდ გაეშურა ლომების ხაროსაკენ, სადაც უვნებელი დანიელი დაუხვდა. ღმერთმა "ლომებს პირი აუკრა" და არ ავნეს მას.

### როდის დაიწერა დანიელის წიგნი?

მრავალი სწავლული ვარაუდობს, რომ დანიელ წინასწარმეტყველის წიგნი მასში აღწერილ ამბებზე ბევრად უფრო გვიან დაიწერა, შესაძლოა, ქ.წ. II საუკუნეში. მკვლევარები ფიქრობენ, რომ წიგნში აღწერილი ამბები ბაბილონის ტყვეობაში მყოფი ებრაელებისთვის კი არ არის გამიზნული, არამედ იმ ებრაელებისთვის,



ამ ქვის ბარელიეფზე აშურის ერთ-ერთი მეფის ლომებზე ნადირობის სცენაა აღბეჭდილი. ბაბილონში მეფე დარიოსმა დანიელ წინასწარმეტყველის ლომების ხაროში ჩაგდება ბრძანა.

რომლებიც უკვე სამშობლოში სელევკიდი მეფის – ანტიოქე ეპიფანესგან განიცდიდნენ დევნას. დანიელისა და მისი მეგობრების თავგადასავალი ბერძენ-მაკედონელთა ბატონობის დროინდელ მოვლენებს ეხმიანება.

წიგნის ბოლო ნაწილი აპოკალიპტიკურია. მწერლობის ეს ფორმა გავრცელებული იყო ორი საუკუნის მანძილზე ქრისტეშობამდე. მასში გამოყენებულია მისტერიული ხილვების ჟანრი და მოქმედებებში ხშირად ჩართულია უცნაური ცხოველები და კოსმიური ძალები.

მწერლობის ეს სახე წარმოადგენდა ერთგვარ დაფარულ, კოდირებულ ინფორმაციას, რომელიც გამიზნული იყო მხოლოდ იმ მკითხველისთვის, რომელიც საშიში მტრისგან სასტიკ დევნას განიცდიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


7

# პოეზია და საგალობლები

ფსალმუნები · ქებათა-ქება სოლომონისა · გოდება · იერემიასი

Aდამიანი, რომელიც ბედნიერია და სიმღერა სურს, ან შეყვარებული ან თუნდაც სასოწარკვეთილია, პოეზიაში პოულობს შვებას. პოეზიისა და სიმღერის ჰანგები ყოველთვის ეხმიანება სიხარულს თუ მწუხარებას და ჩვენს სულიერ სიღრმეებზე ზემოქმედებას ახდენს.

მთელი ბიბლია აღსავსეა პოეზიით. ამას გარდა, ბიბლიაში არის განსაკუთრებული წიგნები, რომლებიც პოეტურ ენაზეა შექმნილი. ეს საგალობლები და ლექსები ძველი ებრაელი ხალხის კუთვნილებას წარმოადგენს.

**ებრაული პოეზია**

ცეკვის მსგავსად პოეზიასაც ფორმების მრავალფეროვნება ახასიათებს. მაგრამ რა განსხვავებაა სხვადასხვა ერსა და კულტურაში არსებულ პოეზიის ფორმებს შორის? ხშირად ამბავი ჰანგებით ყალიბდება, სიტყვები ირითმება. პოეზიის ნიმუშები შეიძლება რითმის მიხედვით გავარჩიოთ, რომელიც დამოკიდებულია ერთ სტრიქონზე ტაქტის რაოდენობაზე, ან ერთმანეთის მიყოლებით განლაგებული სიტყვების ჯამზე. რა თქმა უნდა, პოეზია ბევრად მეტია, ვიდრე აქ მოყვანილი ნიმუში. სიტყვები ყოველთვის დიდი სიზუსტით შეირჩევა და მნიშვნელობის წარმოსაჩენად წარმოსახვა გამოიყენება.

ებრაული პოეზიის ნიმუში რითმაზე არ არის დამოკიდებული, არც ტაქტზე, არამედ ეგრეთწოდებულ "წარმოსახვით რითმაზე." ლექსთაწყობის ასეთ სახეს "პარალელიზმი" ჰქვია. აზრების თავმოყრა აყალიბებს ლექსის სახეს. ლექსის იდეა პირველ სტრიქონზეა მოყვანილი, ხოლო შემდეგ სხვა სიტყვებით მეორდება იგივე აზრი. მოვიყვანოთ მაგალითი:

"ცანი ღაღადებენ ღმერთის დიდებას
და მისთა ხელთა ნამოქმედარს გვამცნობს
სამყარო." (ფს. 18:1)

ზოგჯერ პირველი იდეის ვარიაცია მეორეში ვლინდება. წავიკითხოთ 18 ფსალმუნის შემდეგი მუხლი:

"დღე დღეს გადასცემს სიტყვას,
ღამე კი ღამეს უმხელს აზრს."

აზრი შესაძლოა მესამე სტროფშიც გავრცელდეს, ან როგორც ამ ფსალმუნშია, შემდეგაც.

არსებობს პარალელიზმის სხვა სახეებიც, როდესაც მეორე სტროფი პირველისგან განსხვავდება. მაგალითად:

"რადგან მის მიერ ნაკურთხნი დაიმკვიდრებენ
ქვეყანას,
მის მიერ დაწყევლილნი კი ამოწყდებიან." (ფს. 36:22)

ზოგჯერ მეორე სტროფი შემდეგ სტადიაზე გადადის და პირველი სტროფის კულმინაციას იწვევს:

"ასე, სიკეთე და წყალობა დამდევს
კვალდაკვალ მთელი სიცოცხლე,
და დავმკვიდრდები უფლის სახლში
დღენი მრავალნი." (ფს. 22:6)

ფაქტიურად პარალელიზმის ფორმის ნიმუშების ჩამოყალიბების მრავალი გზა არსებობს. ებრაული პოეზია სტროფში ტაქტის ზუსტი რაოდენობით არ გამოირჩევა. მაგრამ, ხშირად, დაძაბული ადგილების რაოდენობა შემდეგ სტროფშიც მეორდება ხოლმე.

პოეზიის ამ სახეს ორი დიდი უპირატესობა აქვს. პირველი, ის ნაკლებად მკაცრია, ვიდრე რითმა ან რიტმი და ასეთი ლექსის შედგენა სპონტანურად, სწრაფად, შეიძლება მოხდეს. შესაძლოა, ბიბლიის ფურცლებზე სწორედ ამიტომ ვხვდებით პოეტური გრძნობების ამოფრქვევის უამრავ მაგალითს, იგავებს, ოდებს, ლოცვებს.

ებრაული პოეზიის მეორე უპირატესობა გახლავთ ის, რომ თარგმნის დროს, სხვა ენებისგან განსხვავებით, ლექსის სახე არ იკარგება. როდესაც პოეზია რითმაზე ან სიტყვების ხმოვანებაზეა დამოკიდებული, სხვა ენაზე თარგმნისას ლექსის მთელი სიმდიდრე იკარგება, მაგრამ "წარმოსახვით რითმებში" ის ყოველთვის ინახება.

## ფსალმუნები

საუკუნეების სიღრმიდან მოყოლებული, ადამიანს უდიდეს შვებასა და სიხარულს ანიჭებს ფსალმუნების წიგნი. პიროვნების ხასიათის მიუხედავად, სიხარულით არის აღსავსე ის თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მუსიკა

ბიბლია ხშირად ახსენებს მუსიკას, მუსიკოსებს და მუსიკალურ ინსტრუმენტებს. მათ აერთიანებს რელიგიური საგალობლების წიგნი — ფსალმუნები.

საყვირი დღესასწულის დაწყების მაუწყებელი იყო. ვერძის რქის საყვირის, შოფარის ხმა ომის დაწყებას აუწყებდა ხალხს. გამარჯვების დღესასწაულს თან ახლდა ცეკვა და სიმღერა.

მეფე დავითი დახელოვნებული მუსიკოსი იყო. ჯერ კიდევ ყმაწვილმა მეფე საული ქნარზე დაკვრით მოხიბლა. ხოლო როდესაც გამეფდა, სატაძრო მუსიკას ჩაუყარა საფუძველი.

არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ მონეტებზე, ლამპრებზე, რელიეფებსა და მოზაიკებზე გამოსახულია ძველი დროის მუსიკალური ინსტრუმენტები.



მუსიკოსები ზინჯირლიდან, ქ.წ. **VIII** საუკუნე, ქნარებსა და დაირებზე უკრავენ.



თიხის ფიგურა, ქალი, რომელიც ფლეიტაზე უკრავს.



ისევე, როგორც შორეულ წარსულში, ეს ყმაწვილები სალამურის ჰანგებზე ცეკვავენ მკვდარი ზღვის პირას.

ეს ჩანგი აღმოჩენილია ქალაქ ურის სამეფო სამარხებში (დაახლოებით ქ.წ. 2500 წელი).





სპილოს ძვლის ფირფიტაზე ამოკვეთილია მუსიკოსი, რომელიც ქინორაზე, მეფე დავითის ქნარზე უკრავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა


უკიდურეს ტანჯვასა და სილატაკეშია ჩაძირული – ფსალმუნები ყოველთვის საფუძვლიანად ეხმიანება ადამიანის მდგომარეობას, მის განცდებს. ფსალმუნები ადამიანის ემოციების თაიგულს წარმოადგენს. ავტორებმა საკუთარი სიხარული და სევდა უპირველესად კაცობრიობას კი არ მიუძღვნეს, არამედ ღმერთს. ბევრი ფსალმუნი ხომ ამავე დროს ლოცვაც არის.

ზოგიერთ ფსალმუნში ბედნიერებით გამოწვეული ემოციებია არეკლილი და ეს ემოციები ღმერთის ქება-დიდებაში იღვრება, ისე როგორც 102 ფსალმუნში:

"ადიდე, სულო ჩემო, უფალი
და მთელო შიგნეულობავ ჩემო – მისი წმიდა
სახელი.
ადიდე, სულო ჩემო, უფალი
და ნუ დაივიწყებ მის ქველმოქმედებას;
ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა,
მკურნალი ყველა შენი სნეულებისა." (ფს. 102:1-3)

მაგრამ, ფსალმუნებს უკიდურესი სასოწარკვეთილების გამოხატვაც შეუძლიათ. მაგალითად 101 ფსალმუნი მოვიყვანოთ:

"უფალო, ისმინე ჩემი ლოცვა
და ჩემი ღაღადისი შენთან მოვიდეს.
ნუ დაფარავ შენს სახეს ჩემგან,
ჩემი გაჭირვების ჟამს მომაპყარ ყური." (ფს. 101:2-3)

ავტორი ხაზს უსვამს თავის უკიდურეს სულიერ შეჭირვებას და მარტოობას. საკმაოდ ხშირად ასეთი ფსალმუნის დასასრულს ღმერთის იმედი გამოსჭვივის ხოლმე, თუმცა ავტორი უპრეტენზიოა, მას არ ეშინია ღმერთის წინაშე საკუთარი გრძნობების გამოაშკარავებისა.

ზოგიერთი ფსალმუნის ავტორი ღმერთის წინაშე ჩადენილ დანაშაულში კარგად არის გარკვეული. პატიებას ითხოვს 50 ფსალმუნის ავტორი:

"შემიწყალე, ღმერთო,
შენი წყალობისამებრ წაშალე ჩემი დანაშაული.
მრავლად განმბანე ჩემი ბრალისაგან
და ჩემი ცოდვისგან განმწმიდე." (ფს. 50:3-4)

ზოგიერთი ფსალმუნიდან სულიერი სიმშვიდე გამოსჭვივის. ყველასათვის ცნობილი და საყვარელი 22 ფსალმუნი მოსიყვარულე მწყემსის – ღმერთის რწმენასა და სიყვარულს გამოხატავს. შიშისა და სიკვდილის გარდუვალობის მიუხედავად, ღმერთი ზრუნავს თავისი სამწყსოს კეთილდღეობისათვის:

"უფალი ჩემი მწყემსია,
არაფერი არ მომაკლდება.
ხასხასა მოლზე დამასვენებს
და წყნარ წყლებზე წამიძღვება მე.
სულს დამიწყნარებს,
სიმართლის კვალზე დამაყენებს
თავისი სახელის გულისათვის
შავეთის ველზეც რომ ვიარო,
ბოროტებისა არ მეშინია, რადგან შენა ხარ ჩემთან;
მანუგეშებენ შენი კვერთხი და შენი საყრდენი.
გააწყე ტაბლა ჩემს წინაშე ჩემს მტერთა თვალწინ,
ზეთი სცხე ჩემს თავს;



სავსეა ჩემი თასი პირამდე.
ასე, სიკეთე და წყალობა დამდევს
კვალდაკვალ მთელი სიცოცხლე
და დავმკვიდრდები უფლის სახლში დღენი
მრავალნი." (ფს. 22)

ფსალმუნს ხშირად "მწყემსის ფსალმუნს" უწოდებენ: მწყემსი კეთილი – ღმერთი – "ხასხასა მოლს" უმზადებს თავის ხალხს.

ყველაზე მოკლე ფსალმუნი სიხარულითა და ქება-დიდებით არის აღსავსე:

"აქეთ უფალი, ხალხნო ყოველნო,
ადიდეთ იგი, ერნო ყოველნო!
რადგან გაძლიერდა ჩვენს მიმართ წყალობა მისი,
და ჭეშმარიტება უფლისა უკუნისამდეა.
ადიდეთ უფალი! (ფს. 116)

ყველაზე ვრცელია 118 ფსალმუნი, რომელიც რვა-რვა მუხლად არის დაჯგუფებული. თითოეული ჯგუფი კი ებრაული ანბანის თითო ასო-ბგერას ეძღვნება. ფსალმუნში საუბარია ღვთის სიტყვასა და მის კანონებზე, რომლებსაც აღფრთოვანებაში მოჰყავს ავტორი:

"ლამპარია ჩემი ფეხისათვის სიტყვა შენი
და სინათლე ჩემი – ბილიკისათვის.
დავიფიცავ და ავასრულებ, დავიცავ შენს მართალ
სამართალს
დავიტანჯე მეტისმეტად;
უფალო, მაცოცხლე შენი სიტყვისამებრ.
აღთქმანი ჩემი პირისა ისურვე – გთხოვ უფალო,
და სამართალნი შენნი მასწავლე." (ფს. 118:105-108)

ზოგიერთი ფსალმუნი მეფისა და სამეფო კარისთვის არის დაწერილი. 44 ფსალმუნი დი-



118 ფსალმუნი ღვთის რჯულის სიხარულით ალსავსე დლესასწაულია. მეფსალმუნე აღფრთოვანებული გამოხატავს ღვთის ნებისადმი მორჩილებას. იერუსალიმში ბარ მიცვას ზეიმზე რჯულის გრაგნილები სიხარულითა და რწმენით უპყრიათ ხელში.

დებული საქორწილო ლექსია და უფლისწულს ეძღვნება. სამეფოა 71 ფსალმუნიც. იგი მეფის კეთილდღეობისათვის წარმოთქმული ლოცვაა:

“ღმერთო, შენი სამართალი მიეცი მეფეს
და შენი სიმართლე მეფის ძეს.
გაასამართლოს შენი ერი სიმართლით
და შენი ღატაკნი – სამართლიანად.” (ფს. 71:1-2)

ყველა ფსალმუნი როდი აღწერს პიროვნების გრძნობებისა და ემოციების ნაკადს. ხშირად, როგორც მაგალითად 65 ფსალმუნი, ღვთის რჩეული ერის მორწმუნეთა კრებულისთვის არის გამიზნული:

“ადიდეთ, ხალხო, ღმერთი ჩვენი
და ალასმინეთ ხმა მისი ქებისა.
შეუნარჩუნა ჩვენს სულს სიცოცხლე
და არ გასწირა დასაცემად ჩვენი ფეხი.” (ფს. 65:8-9)

## ფსალმუნები – ჰიმნების წიგნი

მრავალი მკვლევარის აზრით ფსალმუნები თანამედროვე ფორმით, როგორც ჰიმნების წიგნი, ერთად შეიკრიბა ებრაელების ბაბილონის ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ, დაახლოებით ქ.წ. 520 წელს, ახლადაღდგენილ ტაძარში მსახურებისთვის. ახლა უკვე ცნობილია, რომ წინასწარმეტყველები მღვდლების მხარდამხარ მსახურობდნენ აღდგენილ ტაძარში და ზოგიერთი ფსალმუნი სწორედ მათ ეკუთვნით.

მაგრამ, უკვე ქ.წ. 1000 წელს ისრაელიანები ღვთის მსახურებისას ბევრ ფსალმუნს იყენებდნენ. მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ფსალმუნთა უდიდესი ნაწილი სოლომონის ტაძრის ღვთისმსახურებიდან და აგრეთვე, შესაძლოა, ზოგიერთი ადგილობრივი საწმიდარიდან მომდინარეობს. ჩვენს ხელთ არის ცნობა, რომ ფსალმუნს გალობდნენ მაშინ, როდესაც მეფე დავითმა აღთქმის კიდობანი იერუსალიმში შეიტანა (2 მეფ. 6:5).

ბევრ ფსალმუნს ფესვები ტაძრის ღვთისმსახურებაში აქვს გადგმული. მაგალითად 117 ფსალმუნი მსხვერპლშეწირვის სამზადისს აღწერს. სხვა ფსალმუნებში მოცემულია კითხვა-პასუხების მოდელი, თითქოს ლიტურგიის დროს გამოსაყენებელი, როდესაც ხალხი პასუხებს გალობით სცემდა. 23 ფსალმუნი ამ შემთხვევაში კარგ მაგალითად გამოდგება. თავდაპირველად გაისმის კითხვა:

“ვინ არის ეს მეფე დიდებისა?

შემდეგ კი პასუხი მოჰყვება:

“უფალი მტკიცე და ძლიერი,
უფალი – ომში ძლევამოსილი...
ის არის მეფე დიდებისა.” (ფს. 23:8,10)

## დავითი და ფსალმუნები

ფსალმუნის სათაურები და მითითებები გვიანდელი დამატების შედეგია, შესაძლოა ეს მაშინ მოხდა, როდესაც ფსალმუნების შეკრება დასრულდა. მრავალი ფსალმუნის სათაური ასე ჟღერს: “დავითის ფსალმუნი,” მაგრამ შეიძლება ითარგმნოს, როგორც “ფსალმუნი დავითისათვის,” იმის ნიშნად, რომ ფსალმუნი შედგენილია მეფე დავითის, ან რომელიმე მისი შთამომავლისთვის. შესაძლოა, ზოგიერთი სამეფო კარის ფსალმუნთა კრებულს ეკუთვნოდა და იმ დროის მეფისთვის იყო განკუთვნილი. მკვლევართა ერთ ნაწილს ეჭვი ეპარება დავითის ავტორობაში, ანუ ისინი მიიჩნევენ, რომ ფსალმუნები რომლებიც დავითის სახელს ატარებენ, მას არ ეკუთვნის. მაგრამ, ჩვენ ვიცით, რომ დავითი კარგი მუსიკოსი იყო და სწორედ მან მოაწესრიგა მუსიკისა და გალობის საკითხები მომავალი ტაძრისთვის.

ზოგიერთი ფსალმუნის სათაური მასში აღწერილ დავითის ცხოვრების გამორჩეულ ამბებს უკავშირდება. ზოგიერთი მეცნიერი ამ ბიოგრაფიულ ცნობებს ყურადღებას არ აქცევს, თუმცა ზოგს მიაჩნია, რომ ეს ამბები გვიანდელი დანართებია. მეფე დავითის ცხოვრებისეული გამოცდილება განსაკუთრებული იყო და კაცობრიობის ემოციების სრულ გამას მოიცავდა. არ უნდა გვიკვირდეს, რომ ასეთმა გამოცდილებამ სხვა ფსალმუნებშიც ჰპოვა გამოხატულება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფსალმუნების გამოყენება

ფსალმუნების წიგნი ბიბლიის უდიდესი ლექსების კრებულია. მიუხედავად იმისა, რომ ფსალმუნები ერთ მთლიან წიგნად მიგვაჩნია, იგი ხუთ ცალკეულ წიგნად იყოფა. თითოეული ნაწილი შემდეგი ფსალმუნით იწყება: პირველი – 1, მეორე – 41, მესამე – 72, მეოთხე – 89 და მეხუთე – 106. თითოეული წიგნი დოქსოლოგიით, ანუ ღმერთის მოკლე ქებადიდებით მთავრდება.

სავსებით შესაძლებელია, რომ ერთ დროს ხუთივე კრებული ცალ-ცალკე გამოიყენებოდა და მხოლოდ მოგვიანებით მოხდა მათი გაერთიანება. მაგალითად, მეორე წიგნი შემდეგი სიტყვებით მთავრდება: "დამთავრდა ლოცვანი დავითისა, იესეს ძისა." – თუმცა მისი სხვა ფსალმუნები მომდევნო წიგნებშიც გვხვდება.

გვხვდება ფსალმუნთა ჯგუფი, რომელსაც საერთო სათაური აქვს. მაგალითად: "მოძღვრება ძეთა." ეს პიროვნება ლევიანთა ერთ-ერთ იმ საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომლის წევრები მეფე დავითის მიერ ჩამოყალიბებულ ტაძრის გუნდში მომღერლები და მუსიკოსები იყვნენ.

119-133 ფსალმუნებს ერთი სათაური აერთიანებს: "გალობა აღსავალთა." ყველაზე ცნობილი თეორიის მიხედვით, ეს ფსალმუნები იერუსალიმის ტაძარში, დღესასწაულზე პროვინციებიდან მომავალ მლოცველებს ეკუთვნით.

ფსალმუნთა მთელ რიგს სათაურად უძღვის გუნდის ლოტბარისა და შემსრულებლისათვის გამიზნული მითითება. ზოგიერთ ფსალმუნს კი პირდაპირ მითითებული აქვს, რომ ის საგალობელია, ზოგიერთს კი გამოსაყენებელი მუსიკალური ინსტრუმენტის სახეობა. საკმაოდ ხშირად გვხვდება სიტყვა "სელა," რომლის ნამდვილი მნიშვნელობა უცნობია. შესაძლოა, ის მუსიკალური აკომპანიმენტის შეცვლას, პაუზას, ან მგალობლების ხმის აწევას მიანიშნებდა:

სამხიარულო გალობა, ცეკვა, გუნდის მოღვაწეობა და მუსიკალური ინსტრუმენტების მრავალსახეობა ყოველთვის ახლდა ღვთისმსახურებას. 150 ფსალმუნი ღვთის თაყვანისმცემლებს მოუწოდებს:

"ადიდეთ იგი ბუკის ცემით,
ადიდეთ იგი ჩანგით და ქნარით.
ადიდეთ იგი დაფით და როკვით,
ადიდეთ იგი ებანით და სტვირით.
ადიდეთ იგი ტკბილხმოვანი წინწილებით,
ადიდეთ იგი მაღალხმოვანი წინწილებით." (ფს. 150:3-5)

### შურისგების ფსალმუნები

ეს ფსალმუნები ბევრისთვის გაუგებარია, რადგან ისინი სრულიად აშკარად მოუწოდებენ შურისძიებისკენ და მეფსალმუნის მტრებს წყევლა-კრულვას უთვლიან. ამის მაგალითია 136 ფსალმუნი, საიდანაც ედომისა და ბაბილონის შურისძიების წყურვილი გამოსჭვივის.

იესო ქრისტეს სწავლება მიტევების შესახებ სავსებით ეწინააღმდეგება ამგვარ დამოკიდებულებას, რომლის მიბაძვა დღეს აშკარად ბოროტებაა და მიუღებელია. მაგრამ, სანამ მეფსალმუნეს გავკიცხავთ, აუცილებელია ამ წყევლა-კრულვაში სამართლიანობის დაცვის წყურვილი დავინახოთ. უდანაშაულო ადამიანისა და სამართლიანობის დაცვა ხომ ჩვენი საერთო სურვილია. ენის სიმტკიცეს შეუძლია თვითკმაყოფილებაში ჩაძირული ადამიანის გამოფხიზლება და ბოროტების, უზნეობის ნამდვილი რაობის წარმოჩენა. ბოროტების და სისასტიკის წინააღმდეგ განრისხება დღევანდელ დღესაც კი ეპატიება ადამიანს და მოდით ნუ გავკიცხავთ გულნატკენ მეფსალმუნეს.

### მესიანური თემები

ებრაელი მწიგნობრები ზოგიერთ ფსალმუნში მესიის – მომავალის მეფის – მოვლენის ცნობებს ხედავდნენ. ერთ-ერთ მაგალითად 109 ფსალმუნი გამოდგება:

"უთხრა უფალმა მეუფეს ჩემსას:
იჯექი ჩემს მარჯვნივ,
ვიდრე დავანარცხებდი შენს მტრებს შენს
ფეხთა ქვეშ."

ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ ისრაელის მეფეს განსაკუთრებული ადგილი ეკავა საზოგადოებაში, ღმერთსა და ადამიანს შორის შუამავლად ითვლებოდა. ხალხი ფიქრობდა, რომ ფსალმუნების ეს სიტყვები, სწორედ მათ თანამედროვე მეფეზე მიუთითებდა. ეჭვს გარეშეა, რომ პირველ ადგილს ყოველთვის მოქმედ მეფეს ანიჭებდნენ, მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ამ სიტყვებში მესიანურ მნიშვნელობასაც ხედავდნენ. ისინი ღვთის ცხებულს მოელოდნენ.

## ქებათა-ქება სოლომონისა

სოლომონის ქებათა-ქება კაცისა და ქალის ადამიანური სიყვარულით გამოწვეულ სიხარულს გამოხატავს. ლექსები გულწრფელია და ვნებიანად ასახავს ქალ-ვაჟის სიყვარულსა და კმაყოფილებას.

ებრაელი და ქრისტიანი მკითხველი ადამიანური სიყვარულის ასეთ აშკარა ჰიმნებს ყო-

ველთვის როდი აღიარებდა. ხშირად, ეს ლექსები აღიქმებოდა, როგორც ღმერთისა და ისრაელის სადღესასწაულო ურთიერთობად, ქრისტიანულ ხანაში კი, როგორც ქრისტეს სიყვარული სასძლოსადმი, ანუ თავისი ეკლესიისადმი. მაგრამ, ამ წიგნის ასეთი ახსნა-განმარტება ნიადაგს არის მოკლებული. უკეთესი იქნება თუკი წიგნის ღირსებას პირდაპირ მივიღებთ – ეს არის ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი, რომელიც ადამიანის სექსუალურობასა და წრფელ სიყვარულს აღიარებს, როგორც ღვთის დიდებული შესაქმის ნაწილს.

ეკლესია ხშირად გმობს სექსუალურ თემატიკას და ადამიანის სექსუალურობას ალმაცერად უყურებს. მაგრამ, ბიბლია არ იზიარებს ამგვარ დამოკიდებულებას. კაცისა და ქალის ურთიერთობები, მათ შორის ფიზიკურიც, ჯერ კიდევ ადამიანის დაცემამდე არსებობდა (იხილეთ თავი 1). სექსუალურობა ღმერთის ბოძებული კარგი საჩუქარია და ქებათა-ქება სოლომონისა ამ ფაქტს გვახსენებს.

ამ წიგნის ლექსები აღმოსავლური პოეზიის სახიერებით გამოირჩევა. შეყვარებულები გრძნობებს თავისუფლად გამოხატავენ. თუკი იმდროინდელ კულტურას გავითვალისწინებთ, გავოცდებით, რადგან წიგნში არსად ჩანს მამაკაცის აგრესიულობა ან ქალის მეორეხარისხოვანი მდგომარეობა. სიყვარული თანაბრად არის განაწილებული. კაცი ამბობს:

"როგორც შროშანი ეკალთა შორის,
ასეა სატრფო ჩემი ასულთა შორის!"

ქალი მიუგებს:

"როგორც ხე ვაშლისა ტყიურ ხეთა შორის,
ასეა მეტრფე ჩემი ჭაბუკთა შორის! მის
ჩრდილში ჯდომა მიყვარდა და ვზივარ
კიდეც, ნაყოფი მისი ეტკბო ჩემს სასას.
შემიყვანა მან ღვინის სახლში და აღმართა
ჩემზე სიყვარულად თავის ალამი." (ქებ. 2:2-4)

მიუხედავად იმისა, რომ ლექსებიდან გამოსჭვივის მეფე სოლომონის სახელი, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის არ არის წიგნის ავტორი. სოლომონს უზარმაზარი ჰარამხანა ჰქონდა და მექალთანეს რეპუტაციით სარგებლობდა, ამიტომ გასაკვირი არ არის თუ მისი სახელი სიყვარულის თემაში გამოსჭვივის. წიგნის დაწერის დრო უცნობია. შესაძლოა წიგნის ნაწილები სხვადასხვა დროს იყოს დაწერილი.

ბიბლიის ბევრი მკვლევარი ცდილობდა და ცდილობს წიგნის დედააზრის გარჩევასა და ლექსების ენობრივი სხვაობის დადგენას. ერთი თეორიის მიხედვით, სოლომონს ერთი სოფლელი ქალი შეუყვარდა და თავის ჰარამხანაში





გაზაფხულდა, ნუში აყვავდა, მინდორში მტრედების საამური ღუღუნი ისმის. ასეთ გარემოში ვითარდება ქებათა-ქებას სასიყვარულო პოეზია.

წაყვანა გადაწყვიტა, ქალს კი სხვა უყვარდა. მაგრამ, შეუძლებელია ამ წიგნის მოვლენათა თანმიმდევრობა და რეალური ფაქტები დამაჯერებლად დავადასტუროთ. ბევრად უფრო მარტივია და მისაღები, თუკი წიგნს სასიყვარულო პოეზიის ანთოლოგიად ჩავთვლით.

## გოდება იერემიასი

სათაური წიგნისა, რომელიც იერემიას წინასწარმეტყველების წიგნს მოსდევს, თავის თავზე თავად მეტყველებს. ეს არის გოდების წიგნი. ავტორი მძაფრი განცდებით და გულისტკივილით გვაუწყებს ბაბილონელი დამპყრობლების ხელში ჩავარდნილი იერუსალიმის (ქ.წ. 587) მწარე ხვედრს. წიგნი ხუთი ნაწილისგან შედგება და მათი წაკითხვა საკმაოდ მძიმე განცდებს აღგვიძრავს. დღევანდელ მსოფლიოში ასიათასობით ლტოლვილი უძლებს ისეთივე ტანჯვა-წამებას, როგორსაც წიგნის ავტორი თავად იტანდა. ჩვილები შიმშილისგან იხოცებიან დედის კალთაში; შიმშილისგან გამოფიტული, დაუძლურებული ბავშვები პირდაპირ ქუჩაში ეცემიან, რომელიც უამრავი ახალგაზრდისა და მოხუცის გვამით არის სავსე.

ეს არის სასტიკი მტრის ხელში ჩავარდნილი უბედური ხალხის აუტანელი ხვედრი. ქალაქის კარიბჭეები საშინელი ხანძრის შემდეგ ნაცარტუტად ქცეულა, ტაძარი კი, ეროვნული სიამაყე და იმედი, მიწასთან არის გასწორებული. ავტორის დარდი და ნაღველი ამ ტრაგედიის უშუალო განცდამ უფრო გააძლიერა. მან კარგად უწყის, რომ ხალხმა თავისი დანაშაულის ნაყოფი მოიმკა. ცრუწინასწარმეტყველებმა დაამშვიდეს და დააიმედეს ისინი, მათ კი, გულდაჯერებულებმა, ვერ შეიგრძნეს ცოდვის აღიარებისა და მონანიების აუცილებლობა. ასეთი ტანჯვისა და იმედგაცრუების მიუხედავად ავტორი იმედის სხივს ხედავს. რადგან ღმერთი აღთქმის ღმერთია, რომელიც თავის სიტყვას, აღთქმას ყოველთვის ასრულებს, ამიტომ, ისრაელის შენდობისა და აღორძინების იმედი არ ჩაქრება. ავტორი არაჩვეულებრივი რწმენითა და სიმტკიცით ამტკიცებს:

"კეთილია უფალი მისი მოსავისათვის,
მისი მძებნელი სულისათვის;
კარგია, როცა კაცი მდუმარედ მოელის
ხსნას უფლისაგან...
მაინც ექნება უფლის იმედი." (გოდ. 3:25,26,29)

### გოდება იერემიასი და წმიდა წერილი

გოდება იერემიასი ძველი აღთქმის იმ ნაწილს განეკუთვნება, რომელსაც ებრაელი რაბინები წერილებს უწოდებენ. ის შედიოდა იმ ხუთ ხელნაწერ გრაგნილში, რომლებიც ერთად იკითხებოდა და ამა თუ იმ ებრაულ დღესასწაულზე იკითხებოდა. გოდება იერემიასი, როგორც წესი, იერუსალიმის დაცემის გახსენების დღეს, ყოველწლიურად იკითხებოდა.



წიგნი ხუთი ლექსისგან შედგება (ბიბლიაში 5 თავისგან). პირველი ოთხი ლექსი აკროსტიქულია, ანუ ჯვარედინ ფორმაშია დაწერილი და პოეზიის მეტად რთულ ნიმუშს წარმოადგენს, მაგრამ ღრმა სულიერი განცდები საუკეთესოდ თავსდება ლექსის ზუსტად განსაზღვრულ სტილში.

არავინ იცის წიგნის ავტორის ვინაობა, თუმცა ტრადიცია იერემია წინასწარმეტყველის ავტორობაზე მიუთითებს. მაგრამ, დანამდვილებით ცნობილია, რომ ცრუწინასწარმეტყველებმა, რომლებიც ქვეყნის აყვავებას და კეთილდღეობას წინასწარმეტყველებდნენ, იერემია შეცდომაში ვერ შეიყვანეს. ის ჭეშმარიტი წინასწარმეტყველი იყო და ხალხს ბაბილონელთა მოსალოდნელი შემოსევისა და იერუსალიმის დაცემის შესახებ აფრთხილებდა. ერთი რამ უდავოა, ავტორი, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, მომხდარი მოვლენების თვითმხილველი იყო.

გოდების წიგნის ხუთივე თავი იერუსალიმის დაცემით გამოწვეულ დიდ ტკივილს გამოხატავს. "დღესასწაულზე არავინ დადის, დაცარიელდა მისი ჭიშკრები... დანაღვლიანდნენ მისი ქალწულები." ქალაქი ნანგრევებად იქცა, გადარჩენილნი ტყვედ წაასხეს. ნინევეს სასახლის ბარელიეფი ერთი საუკუნით ადრე მომხდარ მოვლენებს ასახავს. აშურელი ჯარისკაცები ქალაქს ანგრევენ და ძარცვავენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

8

# საბრძნო წიგნები

## იგავნი სოლომონისა · იობი · ეკლესიასტე

ძველი აღთქმის სიბრძნე მჭიდროდ იყო დაკავშირებული ყოველდღიურ ყოფასთან. ადამიანებთან ურთიერთობა, სავაჭრო საქმიანობის დაგეგმვა-აწყობა, ყოველდღიური საქმიანობა სიბრძნეს მოითხოვდა. ცხოვრებაში მყარი ორიენტაცია, პრინციპულობა და სამართლიანობა ბრძენი ადამიანის აუცილებელ თვისებად ითვლებოდა.

თუკი ზემოთქმულს შევაჯამებთ, სიბრძნე საჭირო იყო ოჯახის, სახლობისა და საქმის წარმატებით გასაძღოლად. ინტელექტუალური მიღწევებიც სიბრძნედ მოიაზრებოდა. 3 მეფეთა წიგნის 4 თავში ნათქვამია, რომ მეფე სოლომონი "ლაპარაკობდა ხეებზე ლიბანის ნაძვიდან დაწყებული ესაიბამდე, კედელზე რომ მიცოცავს; ლაპარაკობდა ცხოველებზე და ფრინველებზე, ქვეწარმავლებზე და თევზებზე."

ბიბლია სწორი გადაწყვეტილების მიღებასაც სიბრძნედ თვლის. იგავთა წიგნის სიბრძნე პირველ რიგში ღვთის მორჩილებაში და მოწიწებაში ვლინდება. სულელი, რომელიც ბრძენკაცის საპირისპირო თვისებებით გამოირჩევა, ის კი არ არის ვისაც გონება არა აქვს, არამედ ის, ვინც მცდარ ზნეობრივ გადაწყვეტილებას იღებს და მოკლებულია განსჯის უნარსა და სამართლიანობის გრძნობას.

### საბრძნო ლიტერატურა

სიბრძნის თემა ბიბლიის ყველა წიგნში გვხვდება, მაგრამ ზოგიერთ წიგნს გამორჩეულად საბრძნო ლიტერატურას უწოდებენ. ეს არის შემდეგი წიგნები: იგავნი, იობი და ეკლესიასტე. მათ შორის შეგვიძლია დავასახელოთ სიბრძნე სოლომონისა და სიბრძნე ზირაქისა, თუმცა ეს უკანასკნელნი არაკანონიკურ ლიტერატურად ითვლება (იხილეთ არაკანონიკური წიგნები). საბრძნო ლიტერატურა პოეზიის ენაზეა დაწერილი და მრავლისმთქმელ ბრძნულ იგავებს შეიცავს. ამ წიგნების მიზანია პასუხი გასცეს ყველაზე რთულ კითხვებს, რაც კი შეიძლება ადამიანს დაებადოს.

### იგავნი სოლომონისა – ყოველდღიური სიბრძნე

ნათქვამია, იგავთა წიგნი სამუშაო ტანსაცმელში გამოწყობილი ღვთისმოსაობა არისო. ეს იმას ნიშნავს, რომ წიგნი პირველ რიგში ცხოვრებისეულ რჩევებს უფრო იძლევა, ვიდრე რელიგიურ შეგონებებს. წიგნის შინაარსი ისევე მრავალფეროვანია, როგორც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება. ის გვასწავლის, თუ როგორ მივიღოთ მშობლების რჩევა-დარიგება და შეპირება, როგორ მოვიქცეთ მდიდრულ წვეულებაზე, როგორ უნდა დავაფასოთ მეუღლე და როგორ მოვერიდოთ მეძავ ქალებს. აგრეთვე გვასწავლის მეგობრებთან და მტრებთან ურთიერთობებს.

ამ წიგნში უხვად არის რჩევა-დარიგებები, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი საკუთარ სახლში, სამეფო კარზე, ბაზარში, მეგობრებთან და მეზობლებთან, ანუ ცხოვრების ყოველ სფეროში. იგავნი საჭირო რჩევებს იძლევა ადამიანის ქცევების შესახებაც. ქვემოთ მოყვანილი აფორიზმი ბრძნული შეგონების საუკეთესო მაგალითია:

#### სად ისწავლებოდა სიბრძნე?

მას, ვინც სამეფო კარზე მოღვაწეობას აპირებდა, განსხვავებული ცოდნა და სიბრძნეში განაფვა სჭირდებოდა. ასეთი პიროვნება უნდა დაოსტატებულიყო საერთაშორისო და საშინაო დიპლომატიაში. უეჭველია, რომ სიბრძნის მასწავლებლები და სიბრძნის სკოლები უხვად იყო სამეფო კარზე, სადაც ამ სახის სწავლა-განათლებაზე დიდი მოთხოვნა იყო. მაგრამ, სიბრძნის შესწავლა უმეტესად ოჯახებში მიმდინარეობდა. მშობლები თუ სოფლის უხუცესები საკუთარ გამოცდილებას უზიარებდნენ ახალ თაობას. იგავთა წიგნის ავტორი მიუთითებს:

"ისმინე, შვილო, მამაშენის დარიგება
და დედაშენის რჯულს ნუ გადახვალ.
რადგან იგი ლამაზი გვირგვინია შენს
თავზე და შენი ყელის სამკაულია."

(იგავ. 1:8-9)

ეროვნული ბიბლიოთეკა



"ესავდე უფალს მთელი გულით და ნუ დაენდობი საკუთარ ჭკუას. შეეცადე მის შეცნობას ყოველ შენს გზაზე და ის გაგისწორებს სავალს. ნუ იფიქრებ, რომ ბრძენი ხარ, უფლის გეშინოდეს და ბოროტებას განერიდე."
(იგავ. 3:5-7)

იგავთა წიგნის ერთიანი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული სურათის ჩვენება საკმაოდ რთულია, რადგან ის მოკლე პოეტური გამონათქვამებისაგან შედგება და ერთი საგნიდან ან თემიდან მეორეზე მოულოდნელი სისწრაფით გადადის. მაგრამ, ამავე დროს, წიგნში უამრავი საინტერესო და მრავალფეროვანი ცხოვრებისეული მომენტია ასახული, რომელთა დაუფასებლობა არ შეიძლება.

იყო ერთი ზარმაცი კაცი, რომელიც თავის საწოლზე ისე ტრიალებდა, როგორც კარი თავის ანჯამზე. თავის გასამართლებლად კი ამას ამბობდა: "გზაზე ლომია, შუა ქუჩაში ლომიაო."

იყო ერთი ანჩხლი ცოლი, რომელიც გაუთავებელი ლაპარაკის გამო ჰგავდა "საწვიმარ მილს წვიმიან ამინდში."

იგავთა წიგნში მრავალი სახასიათო პორტრეტია დახატული. ერთ-ერთია მეძავი ქალის სახე, რომელიც სუნამოწაცხებულ სამოსელშია გამოხვეული და ამბობს ჩემი ქმარი შორეთშია წასულიო. მალე ის აცდუნებს ერთ ჭკუათხელ ყმაწვილს, რომელიც დასაკლავი ხარივით უკან აედევნება.

აქვეა აღწერილი ლოთის ცხოვრება, რომელსაც სმისგან თვალები გასწითლებია, გონება დაბნელებია, მაგრამ მაინც სასმელს ეძებს.

იგავთა წიგნი კეთილმეზობლობისა და მეგობრობის თემას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს:

"ბევრი მეგობრის ყოლა დამღუპველია, ზოგი მეგობარი კი ძმაზე მოყვარულია."
(იგავ. 18:24)

"მეგობრისგან ჭრილობა ერთგულების ნიშანია, მტერი კი კოცნით აგავსებს."
(იგავ. 27:6)

"რკინა რკინით ილესება, კაცი კი კაცის სახეს ლესავს."
(იგავ. 27:17)

"დიდი ხმით თავისი მეგობრის მაკურთხებელი და დილაუთენია გამღვიძებელი მის მაწყევრად შეირაცხება."
(იგავ. 27:14)

წიგნის 31 თავში ერთგული ცოლის მეტყველი სურათია დახატული და ჩამოთვლილია მისი საქმიანობის შედეგები: ოჯახის საზრდოზე ზრუნვა, სახლ-კარის სიმტკიცე და სისუფთავე, შექებულია მისი შრომისმოყვარეობა:

"დგებიან მისი ვაჟები და ლოცავენ
მას, მისი ქმარი – და აქებს მას.
მრავალმა ასულმა გამოიჩინა მხნეობა,
მაგრამ შენ გადაამეტე ყველას.
მაცდუნებელია სიკოხტავე და სილამაზე
ამაოებაა. უფლის მოშიში დედაკაცია საქებარი.
მიაგეთ მას მისი შრომის საზღაური და
მისმა საქმეებმა იგი კარიბჭეებთან განადიდონ."
(იგავ. 31:28-31)

წიგნის მთავარი ადგილი სიბრძნეს ისეთ ქალად წარმოადგენს, რომელიც ყველას მოუხმობს და ეპატიჟება თავის ნადიმზე. ლირიკული მშვენიერებით არის აღწერილი იგავთა წიგნის 8 თავში მისი წარმოშობა:

"უკუნითიდან დამადგინა, თავიდანვე,
ქვეყნის დასაბამიდან...
მაშინ მე გვერდით ვყავდი, როგორც
ოსტატი, დღენიადაგ სიხარული ვიყავი და
ყოველ ჟამს მის წინაშე
ვლაღობდი, ვლაღობდი სამყაროში მის
მიწაზე და ადამის მოდგმაში იყო ჩემი
სიხარული."
(იგავ. 8:23,30-31)

სიბრძნე ხელოვნების სინატიფის მსგავსად აახლოებს პიროვნებას ღმერთთან და ადამიანთან.

იგავთა წიგნი კარგ რჩევა-დარიგებას სთავაზობს ადამიანს. ამასთან ერთად ისრაელის ღმერთის რწმენა და მორჩილება წიგნის უმთავრესი თემა და დედაძარია. აღსანიშნავია, რომ წიგნში ისრაელის ისტორიის არც ერთი მნიშვნელოვანი ამბავი არ არის მოყვანილი. მრავალმნიშვნელოვანია, რომ ასიდან ოთხმოცდარვაჯერ ღმერთი მისი აღთქმის სახელით იხსენიება, უფალი იაჰვე – "მე ვარ," სახელი, რომელიც თავად ღმერთმა გაუმჟღავნა მოსესა და მის რჩეულ ერს – ისრაელს.

## ვინ დაწერა იგავთა წიგნი?

იგავთა წიგნის ავტორად სხვადასხვა პიროვნებაა დასახელებული: სოლომონი, აგური, ლემუილი და სხვანი. ყველა ისინი ბრძენკაცებად იწოდებიან. წიგნი აკროსტიქული ლექსით მთავრდება, რომელშიც უცნობი "გამრჯე ცოლის" ამბავია აღწერილი. არაფერია ცნობილი აგურისა და ლემუილის შესახებ. სავარაუდოა, რომ ისინი ებრაელები არ იყვნენ. სოლომონ მეფე ყოველთვის სიბრძნის ნიმუში იყო. წიგნი ამ სიტყვებით იწყება: "იგავები სოლომონისა," იგივე მეორდება წიგნის მეათე თავში: "იგავნი სოლომონისა" და შემდეგ: "ესეც სოლომონის იგავებია." (იგავ. 25:1)

უეჭველია, რომ წიგნში ჩართულია არაებრაული წარმოშობის ლიტერატურული წყაროები, რომელთაგან ზოგი სოლომონის ეპოქაზე ბევრად უფრო ძველია. თუმცა, შესაძლოა, მეფე სოლომონს გარკვეული შეხება ჰქონდა წიგნის ზოგიერთ ნაწილთან. მეფეთა წიგნი გვაუწყებს:

"სოლომონის სიბრძნე აღემატებოდა აღმოსავლელთა მთელს სიბრძნეს და ეგვიპტელთა მთელ სიბრძნეს.



იგავთა წიგნის 31 თავის "გამრჯე ცოლი" მრავალი სიკეთით დაჯილდოვებული ქალია. ის არამარტო ოჯახის შემოსავალზე ფიქრობს, არამედ საკუთარი ხელით დამზადებულ მოსასხამებსა და სარტყელებს ყიდის, მიწის ნაკვეთს იძენს. მისი სიბრძნის საიდუმლო ღვთის რწმენასა და მორჩილებაში მდგომარეობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა



იგავნი სოლომონისა პრაქტიკული სიბრძნისმეტყველების წიგნია. მასში თავმოყრილია ყოველდღიური ცხოვრების საჭირბოროტო საკითხების გადაწყვეტის რჩევები.

ყველა ადამიანზე ბრძენი იყო იგი... წარმოთქვა სამი ათასი იგავი და ხუთი ათასი გალობა." (3 მეფ. 4:30-32)

### როდის დაიწერა იგავთა წიგნი?

წიგნის დათარიღების გასაღები წიგნშივე დევს. 25 თავის დასაწყისში სწერია: "ესეც სოლომონის იგავებია, რომელიც იუდას მეფის ხიზკიაჰუს კაცებმა შეკრიბეს." უდავოა, რომ იგავთა წიგნის თანამედროვე სახე ქ.წ. VI საუკუნეზე ადრე არ ჩამოყალიბებულა. ისტორიის სცენაზე ეგრეთწოდებული "ბრძენკაცები" ანუ სიბრძნის მეტყველები ქ.წ. V საუკუნეში გამოჩნდნენ. ამიტომ, წიგნის შექმნის თარიღად უფრო მისაღებია ქ.წ. V-III საუკუნეები. დღეს უკვე ცნობილია, რომ სხვა კულტურებში საბრძნო ლიტერატურა ბევრად უფრო ადრე შეიქმნა. სავსებით შესაძლებელია, რომ იგავთა წიგნში თავმოყრილი თემები სოლომონის მეფობაში უკვე საყოველთაოდ იყო გავრცელებული, თუმცა მათი ერთ წიგნად გაერთიანება გვიან მოხდა. პირველი ცხრა და ბოლო თავები წიგნის ყველაზე გვიანდელი დანამატია.

## იობი – ტანჯვის საკითხი

იგავთა წიგნმა პასუხი გასცა კითხვაზე "რა?" აგვიხსნა, თუ ვინ არის ბრძენი და უგუნური, თუ რა თვისებებით უნდა იყოს დაჯილდოებული მეუღლე ან მშობელი და როგორ უნდა იქცეოდეს პიროვნება სხვადასხვა ცხოვრებისეულ სიტუაციაში. წიგნი ერთგვარი სახელმძღვანელოა და გვასწავლის, რომ ღვთის მორჩილება და სამართლიანობა ადამიანის წარმატების საწინდარია. მაგრამ, ებრაული სიბრძნე სიღრმეში მიდის. იგი აღიარებს იმას, რომ პატიოსანი კაცის სახღაური ღვთის ჯილდოა, მაგრამ ამავდროულად იგი თვალს არ არიდებს ალალმართალი ადამიანის ტანჯვის პრობლემას. მართალი კაცი ყოველთვის როდი იმკის ჯანმრთელობას და დღეგრძელობას. ხშირად, სწორედ ის ადამიანი იტანჯება, რომელიც ყველაზე ნაკლებად იმსახურებს ამას. იობის წიგნი უდანაშაულო ადამიანის ტანჯვის საკითხებს ეხება, თუმცა ამ რთულ კითხვას მკაფიო პასუხს არ სცემს.

იობის ამბავი უთუოდ ძალიან ძველია. ის მოგვითხრობს მდიდარი კაცის ამბავს, რომელსაც დიდი ოჯახი და ავლა-დიდება ჰქონდა. თავსდამტყდარი საშინელი უბედურების შედეგად ერთმანეთის მიყოლებით დაკარგა მთელი თავისი მონაგარი და საყვარელი შვილები. ბოლოს ჯანმრთელობაც დაკარგა და გაუბედურებული, ცარიელ-ტარიელი დარჩა. მან ასეთ მდგომარეობაშიც კი არ დაკარგა ღვთის რწმე-

### საბრძნო ლიტერატურა და სხვა კულტურები

ბიბლიის წიგნების საბრძნო ლიტერატურას ბევრი საერთო აქვს სხვა კულტურებთან, განსაკუთრებით ძველეგვიპტურსა და შუამდინარულთან. აფორიზმები და იგავები წიგნის გადამწერთათვის საუკეთესო მასალა იყო. ნაწილი საბრძნო ლიტერატურისა მეფე დავითის ეპოქით (ქ.წ. XI საუკუნე) თარიღდება, ხოლო ნაწილი უფრო ადრეულ ხანას უნდა განეკუთვნებოდეს.
არსებობს ნიადაგი იმის დასასაბუთებლად, რომ ისრაელი სხვა ხალხებს დაესესხა ამ სახის ლიტერატურას. ერთ-ერთ ძველეგვიპტურ სახელმძღვანელოში, რომელიც ამონემოფისის მოძღვრების სახელით არის ცნობილი, იგივე მთავარი თემებია განხილული, რაც იგავთა წიგნში. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ თითქოს იგავთა წიგნიდან იყოს ნასესხები. თუმცა, ეგვიპტური ლიტერატურული ძეგლი სოლომონის ეპოქაზე ბევრად ადრინდელია და, შესაძლოა, ქ.წ. XII საუკუნეზე ადრეც კი იყოს შექმნილი.
3 მეფეთა წიგნში სწერია, რომ "მოდიოდნენ ყველა მოდგმის ხალხისგან სოლომონის სიბრძნის მოსასმენად და ქვეყნის ყველა მეფისგან, ვისაც კი სმენოდა მისი სიბრძნის ამბავი." ამ ცნობაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამ დროს სხვადასხვა ქვეყნის სამეფო კარსა და ცოდნის კერებს შორის გარკვეული ურთიერთობა არსებობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ნა. ერთხელ, როდესაც გაუბედურებული, საში-ნელი სენით შეპყრობილი იობი ნაცარში იჯდა და გლოვობდა, მეგობრები ესტუმრნენ. დიდი ხნის დუმილის შემდეგ, მათ ტანჯვის სავარა-უდო მიზეზები დაუსახელეს და მხოლოდ იმის თქმა შეძლეს, თუ რა შეეშალა იობს და რა უნდა გაეკეთებინა, რომ დაკარგული ცხოვრება და ავლა-დიდება დაებრუნებინა.

მეგობრების თვალსაზრისი წიგნში პოეტური გამოთქმებით არის გადმოცემული და იობი ყველას სათანადო პასუხს სცემს. მეგობრების მტკიცებები არა მარტო უპირისპირდებოდა იობის თვალთახედვას (უკეთესი იყო დადუმე-ბულიყვნენ), არამედ მის მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. ისინი დაჟინებით უმტკიცებ-დნენ, რომ იობის ტანჯვა დაშვებული შეცდო-მებით იყო გამოწვეული. მოუწოდებდნენ, რომ შეცდომა ელიარებინა და ღმერთის წინაშე მო-ენანიებინა. სამი მეგობარი, რომელთაც მეოთ-ხეც შეუერთდა, საკუთარ თვალსაზრისს რიტო-რიკულად იცავდა.

იობი აღიარებდა, რომ ის უშეცდომო ადამი-ანი არ იყო. მისი აზრით, მოკვდავი კაცი ღმერთის წინაშე მართალი ვერ იქნებოდა.

მაგრამ ისიც იცოდა, რომ პატიოსანი იყო, გასაკიცხი საქმე არ ჩაუდენია და არც ღმერ-თის წინაშე ამხედრებულა. იობს მეგობრების დამოკიდებულებამ უფრო ატკინა გული. "ნამ-დვილად რადგან ხალხნი ხართ, თქვენთან ერ-თად მოკვდება სიბრძნეც, მიუგო იობმა და დასძინა: "მეც თქვენსავით მაქვს გონება, თქვენზე ნაკლები არც მე ვარ."

იობი იმედს არ ჰკარგავს, მიუხედავად იმისა დაუბრუნდება წარსული დიდება თუ არა. გამ-წარებული კაცი სევდიანად ამბობს:

"რადგან ხესაც აქვს იმედი – თუ მოჭრიან კვლავ განახლდება, და ყლორტები არ მოაკლდება. თუ დაუბერდა მიწაში ფესვი და ღერო ჩაუკვდა ნიადაგ-ში, წყლის სუნზე კვლავ აყვავდება და ყლორტებს გამოიყრის როგორც ახალნერგი. მაგრამ კაცი კვდება და ძლეულია; სულს ამოუშვებს ადამიანი და სადღა არის?" (იობ. 14:7-10)

ისევე როგორც ძველი აღთქმის სხვა წიგნებ-ში, იობის წიგნში ადამიანის საფლავიდან აღორძინების იმედი და რწმენა გაიელვებს:

"მაგრამ ვიცი, ცოცხალია ჩემი
გამომხსნელი და საბოლოოდ აღიმართება მიწაზე!
და როცა დაიშლება ეს ჩემი კანი,
უსხეულმყოფელიც ვიხილავ ღმერთს."
(იობ. 19:25-26)

მაგრამ, იობს ღმერთთან დაპირისპირება სწყურია:

"ნეტავი მაცოდინა როგორ ვიპოვო იგი,
როგორ მივიდე მის სამყოფლამდე?
წინ დავუდებდი ჩემს სარჩელს და
მხილებებით ავივსებდი პირს." (იობ. 23:3-4)

ბოლოს, როდესაც მეგობრებმა თავისი სათქ-მელი თქვეს, იობმა თავისგამართლებისა და სიმწრის სიტყვები წარმოთქვა. იგი ხვდება ღმერთს, მაგრამ იმის მაგივრად, რომ პასუხი გასცეს იობს, 38 და 39 თავებში ღმერთი ისე-თი საკითხების წინაშე აყენებს მას, რომლებ-ზეც პასუხის გამცემი არავინ არის:

"სად იყავი, როცა დედამიწას ვაფუძნებდი?..
თუ გიბრძანებია შენს სიცოცხლეში დილისათვის,
თუ გიჩვენებია ცისკრისათვის მისი ადგილი...
თუ განგიცდია დედამიწის სიგრძე და განი?..
თუ შეგიღწევია თოვლის საგანძურში...
თუ ამოიყვან ზოდებს თავ-თავის დროზე?..

### ტანჯვის პრობლემა

ტანჯვის პრობლემა უკიდურესად რთულია, განსაკუთრებით მისთვის, ვინც პირისპირ შეჯახებია მას. იგი მეტად მტკივნეულია მათთვის, ვინც ღმერთის ყოვლისშემძლეობაშია დარწმუნებული. ამ შემთხვევაში ებრაელების მაგალითიც საკმარისია. იქნებ ღმერთს არ ვუყვარვართ – და ამიტომ ჯეროვნად არ ზრუნავს ჩვენზე და არ გვექომაგება – ან იქნებ არ შეუძლია დახმარება, იქნებ მისი ხელმწიფება შეზღუდულია. იობის წიგნის შესავალი გვთავაზობს ტანჯვის მიზეზის ახსნას ანუ იმას, რაც იობისათვის დაფარული დარჩა.

სატანა, ღმერთისა და კაცობრიობის მტერი, გესლიანად უმტკიცებდა ღმერთს, რომ იობს იმიტომ სწამდა ღმერთისა, რომ წარმატებული და უზრუნველყოფილი იყო მისი ცხოვრება. ის ამტკიცებდა, რომ იობი გამორჩენის მიზნით ემსახურებოდა ღმერთს და თუკი სიმდიდრეს, ოჯახსა და ჯანმრთელობას დაკარგავდა, აუცილებ-ლად განუდგებოდა გამჩენს. ღმერთი ენდობოდა იობის რწმენას და ამიტომ სატანას შეზღუდული უფლება მისცა, რათა უბედურება დაეთია მართალი კაცისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ იობის ტანჯვის მიზეზად, ღვთის სურვილის საწინააღმდეგოდ, სატანა გვევლინება, წიგნი ტანჯვის პრობლემის პირველმი-ზეზს მაინც ვერ პოულობს. ცხადია, რომ კურთხევა და წარმატება ადამიანის პატიოსანი ცხოვრების შედეგია; სიცოცხლე ხომ ჯილდოებისა და სასჯელე-ბის სისტემაზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანია. ტანჯული ადამიანის გულში გამოუცნობი იდუმალე-ბა სუფევს. მაგრამ ღმერთი, რომელიც ყველა პრობლემაზე მაღლა დგას, უსაზღვრო მოწიწებას, რწმენასა და მორჩილებას იმსახურებს. მოგვიანებით, იესო ქრისტეს პიროვნებაში თავად ღმერთის ტანჯვის მეშვეობით ამ საკითხის სრულიად ახალ განზომილებას დაედება დასაბამი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



თავსდატეხილი უბედურებით სასოწარკვეთილმა იობმა ღმერთს შესჩივლა. პასუხად კი შემოქმედი ღმერთის სიდიადის და ძლევამოსილების ნათელი სურათი იხილა.

თუ იცი ჯიხვთა დაბადების ჟამი?..
შენს ჭკუაზე ნავარდობს ქორი?..

(იობ. 38:4,12,18,22,32; 39:1,26)

ამ კითხვების დასმით ღმერთს თავის მოწონება არ სურს. ღმერთს უნდა, რომ იობმა შემოქმედის უსაზღვრო ძალა წარმოიდგინოს. ერთ მხარეს ყოვლისშემძლე ღმერთია, ხოლო მეორე მხარეს კი უსუსური, სუსტი იობი. ღმერთთან პირისპირ შეხვედრამ და საუბარმა დაამშვიდა და ანუგეშა იგი. იობი ამ სიტყვებით მიმართავს შემოქმედს:

"ყურმოკვრით მსმენია შენზე, ახლა
კი ჩემი თვალით გიხილე.
ამიტომაც ვკიცხავ ჩემს თავს და ვინანიებ
მტვერში და ნაცარში." (იობ. 42:5-6)

წიგნის ეპილოგში ღმერთი არ ტუქსავს ამპარტავნობისათვის და მოწიწების არქონისათვის, სამაგიეროდ იობის თვითკმაყოფილ და თავდაჯერებულ მეგობრებს მკაცრად კიცხავს. მაგრამ, იობმა მეგობრები არ დაივიწყა და ღმერთს მათი შენდობა სთხოვა. ღმერთმა ეს წადილიც შეუსრულა და იობს დაკარგული ჯანმრთელობა და სიმდიდრე აღუდგინა.

## როდის დაიწერა იობის წიგნი?

ჩვენთვის ცნობილი არ არის წიგნის ავტორი ან მისი დაწერის თარიღი. იობის წიგნი იმდენად დახვეწილი პოეტური ენით არის შექმნილი, რომ მის ავტორად სიბრძნის მასწავლებელი უნდა ვიგულისხმოთ, რომელიც, შესაძლოა, სამეფო კარზე ან საწმიდარში მოღვაწეობდა, სადაც ძველ ხელნაწერებზე მიუწვდებოდა ხელი. წიგნის შექმნის თარიღი საკამათოა და დროის დიდ ინტერვალს მოიცავს: მოსეს ეპოქიდან ბერძენთა ბატონობის ჩათვლით. მაგრამ, ყველაზე ადრეულ თარიღად მაინც სოლომონის მეფობის ხანა ითვლება. იობის ამბავი შესაძლოა ძალიან ძველია, მაგრამ თანამედროვე სახით მისი ჩაწერა შედარებით გვიან მოხდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ეკლესიასტე – ცხოვრების საზრისის ძიება

ეკლესიასტეს წიგნში ასახულია რეალური სამყარო, რომელშიც ადამიანებს აინტერესებთ ცხოვრების საზრისი:

რა არის სამყარო? ვინ მართავს სამყაროს? რა არის ყოველივეს პირველმიზეზი?

ეკლესიასტეს წიგნში დასმული საკითხები იგავთა წიგნს ენათესავება, მაგრამ მისი დედააზრი ცხოვრების საზრისის ძიება არის. წიგნის ავტორი არსებობის საზრისს იმ მიზნით იკვლევს, რომ მისი მიზანმიმართულება და დანიშნულება გამოავლინოს. ცდილობს სიამოვნების, შრომის, სიმდიდრისა და სამყაროს შექმნის საკითხებს ჩასწვდეს. წიგნის ავტორი საკუთარ თავს სოლომონს უწოდებს. ალბათ იმიტომ, რომ მეფე სოლომონს ამქვეყნიურ სიმდიდრესთან ერთად სიბრძნეც ჰქონდა უხვად. წიგნის ბოლოს, ძიების დასასრულს ის დასძენს, რომ ყველაფერი "ამაოებაა."

ებრაელი რაბინები ეკლესიასტეს წიგნის საღვთო წერილის წიგნებში ჩართვას არ იწონებდნენ (იხილეთ დანართი: ძველი აღთქმის წიგნები), რადგან ავტორი ადამიანის ცხოვრებაში ღმერთის მოღვაწეობას უარყოფდა, თუმცა ის ათეისტი არ არის. იგი აღიარებს, რომ ღმერთია შემოქმედი და სამყაროში ყველაფერი მის განგებას ემორჩილება. მაგრამ ავტორი ვერ ხედავს ადამიანის დანიშნულებას ცისქვეშეთში. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ მან დაინახა ცხოვრების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება:

"ყოველივეს თავისი დრო აქვს და
ყველაფერს თავისი ჟამი ამ ცისქვეშეთში.
ჟამი შობისა და ჟამი სიკვდილისა,
ჟამი დანერგვისა და ჟამი დანერგულის
აღმოფხვრისა...
ჟამი ტირილისა და ჟამი სიცილისა,
ჟამი გლოვისა და ჟამი ლხინისა." (ეკლ. 3:1,2,4)

მაგრამ, ცხოვრების რიტმების უსასრულო გამეორება მნიშვნელობას ჰკარგავს, რადგან სიკვდილი ყველაფერს შთანთქავს, კარგს და ცუდს, მდიდარსა და ღარიბს. თუმცა ავტორი ასეთ რჩევას აძლევს ყმაწვილკაცს:

"გახსოვდეს შენი გამჩენი შენს სიჭაბუკეში,
ვიდრე დაგიდგებოდეს მწარე დღეები და
გეწეოდეს წლები, რომლებზეც იტყვი,
რაღაში მადგიან მე ისინი?.." (ეკლ. 12:1)

შემდეგ მშვენიერ, პოეტურ ენაზე აღწერს სიბერის წლების სურათს:

"იმ დღემდე, ვიდრე დათრთხებოდნენ
სასახლის მცველნი და მეომარნი
დაუძლურდებოდნენ, ვიდრე შეწყვეტდნენ
სამუშაოს მეწისქვილე ქალები (რადგან
მცირედნილა დარჩებიან), ვიდრე ნათელი
დააკლდებოდეთ სარკმლიდან მჭვრეტელთ...
შეეშინდებოდეთ სიმაღლისაც და გზებზე შიში
დაივანებდეს, აყვავდებოდეს ნუში, დამძიმდებოდეს
კალია და დაცხრებოდეს ვნება, – როცა
მიდის კაცი თავის საუკუნო სახლისაკენ და
უკან მიჰყვებიან მოტირალნი, – ვიდრე
გაწყდებოდეს ვერცხლის საბელი და გატყდებოდეს
ოქროს ჭურჭელი, დაიმსხვრეოდეს დოქი
წყაროსთან, ჩაემვებოდეს ოწინარის ბორბალი
ჭაში, მიიქცეოდეს მტვერი მიწად, როგორც
იყო, და სული დაუბრუნდებოდეს ღმერთს,
რომელმაც შთაბერა." (ეკლ. 12:3-7)

წიგნის ბოლოს ავტორი თვალსაზრისს იცვლის. იგი ადამიანის ცხოვრებას აზრმოკლებულად აღარ თვლის, რადგან სჯერა, რომ ღვთის ხელშია ყველა ადამიანის სიცოცხლე და ღვთისთვის არაფერია დაფარული:



ეკლესიასტეს წიგნი "დროთა" და "ჟამთა" მონაცვლეობას ცხოვრების თავისებურებად მიიჩნევს. არის ჟამი დანერგვისა, შობისა და სიკვდილისა, ჟამი გლოვისა და ლხინისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეკლესიასტეს ავტორი მკაფიო ფერებში ხატავს სიბერის წლებს. მოხუცსაც და ახალგაზრდასაც ერთს ურჩევს: "გახსოვდეს შენი გამჩენი..."

"მოვისმინოთ ყველაფრის თავი და ბოლო: ღვთისა გეშინოდეს და დაიცავი მცნებანი მისნი, რადგან ეს არის კაცის თავი და თავი. რადგან ყველა საქმეს სამსჯავროზე მიიტანს ღმერთი, ყოველივე დაფარულს, კეთილს თუ ბოროტს."

(ეკლ. 12:13-14)

ეს სიტყვები კი უფრო იმედიანად ჟღერს:

"აი, სად ვხედავ მე სიკეთეს, შესაფერ საქმეს: ჭამოს კაცმა, სვას და იხაროს თავისი ღვაწლით ამ მზისქვეშეთში დღენი მისნი, ღმერთმა რომ მისცა; რადგან ესაა მისი ხვედრი."

(ეკლ. 5:18)

სასოწარკვეთილებისა და უიმედობის მიუხედავად, ეკლესიასტეს წიგნმა ბიბლიაში ღირსეული ადგილი დაიმკვიდრა. ყველას განგვიცდია ის მტანჯველი უსასოება, რომელსაც აღწერს ავტორი. მისი სიტყვები გვარწმუნებს, რომ სრულებით ბუნებრივია ცხოვრების საზრისზე ფიქრი, რადგან იგი აფართოებს რწმენის საზღვრებს და ადამიანს ხელს უწყობს თვალი გაუსწოროს ნებისმიერ ეჭვს. როდესაც ეჭვი თავის ზღვარს აღწევს, მაშინ ხდება იმ ნიადაგის მოსუფთავება, რომელზეც წარმოიქმნება მყარი რწმენა. მრავალმა ადამიანმა ეკლესიასტეს წიგნში რწმენის ათვლის წერტილი აღმოაჩინა.

## ვინ არის ეკლესიასტეს წიგნის ავტორი?

ორიგინალური წიგნი ამ სიტყვებით იწყება: "კოჰელეთის სიტყვები" (1989 წელს გამოცემულ ქართულ ბიბლიაშია: "სიტყვანი ეკლესიასტესი"). კოჰელეთის ზუსტად თარგმნა საკმაოდ რთულია. შეიძლება ითარგმნოს, როგორც ფილოსოფოსი, მქადაგებელი, მასწავლებელი, კრებულის გამძღოლი, ხელმძღვანელი. შესაძლოა, ეს სიტყვა სასულიერო კრებულის ან საბჭოს წინამძღოლს აღნიშნავდა. ავტორი თავს სოლომონს უწოდებს, მაგრამ ამ სახელით, ალბათ, მკითხველზე ზემოქმედების მოსახდენად ისარგებლა, რადგან ებრაულ სამყაროში სოლომონის სახელი სიბრძნესა და სიმდიდრესთან იყო დაკავშირებული.

ზოგი მკვლევარი წიგნს განიხილავს, როგორც ულვთოობის კრიტიკას. მათი აზრით, ავტორს სურს გვიჩვენოს რა არის ცხოვრება ღვთის რწმენის გარეშე. ამავე თვალსაზრისის მიხედვით, ავტორი ფრაზას "ამ მზისქვეშეთში" იმიტომ იმეორებს წამდაუწუმ, რომ ულვთო წუთისოფლის ბუნება უკეთ გამოავლინოს..

## როდის დაიწერა ეკლესიასტეს წიგნი?

ებრაული ტრადიცია წიგნის შექმნის თარიღად მეფე ხიზკიაჰუს ზეობის პერიოდს (ქ.წ. VI საუკუნე) ასახელებს, მაგრამ ქ.წ. III ან II საუკუნე უფრო მისაღები თარიღია.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ძველი აღთქმის წიგნები

ებრაული სარწმუნოების მრავალი წიგნი ძველი აღთქმის ეპოქაში შეიქმნა. ბევრი მათგანი სხვა ხელნაწერებთან ერთად გადაწერილი გრაგნილებისათვის განკუთვნილ ყუთებში ინახებოდა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ყველა ხელნაწერი ებრაული წმიდა წიგნების სიაში მოხვედრას იმსახურებდა. საჭირო იყო იმის გარკვევა, თუ რომელი წიგნი უნდა შესულიყო საღვთო წერილში.

საღვთო წერილს საგანგებო ადგილი ეჭირა. აღიარებული იყო, რომ მისი მეშვეობით ღმერთი ელაპარაკებოდა თავის რჩეულ ერს. ის წიგნები, რომლებიც ძველ აღთქმაშია თავმოყრილი სწორედ ამ ნიშნის მიხედვით იყო გამორჩეული დანარჩენი წიგნებისაგან. უკვე აღიარებული წიგნები დამტკიცებული იყო როგორც საღმრთო წერილის ნაწილი საგანგებოდ მოწვეული კრებებისა და საქმეში ჩახედული ხალხის მიერ.

ამ ამორჩეულ წიგნებს ვუწოდებთ "კანონს." საღვთო წერილის კანონში თავმოყრილი წიგნებისაგან შედგება ბიბლია. სიტყვა "კანონი" ნიშნავს ხვეპლას ან საზომ წნელს. კანონი მოიცავდა იმ წიგნებს, რომელთა მეშვეობით ადამიანს საკუთარი რწმენის და ცხოვრების გაზომვა შეეძლო. სიტყვა კანონი შეიძლება ნიშნავდეს საზომ წნელზე დასმულ ნიშნებს. ასე რომ, კანონი საგანგებოდ ამორჩეული წიგნების ნუსხას ნიშნავს.

### რჯული

ბიბლიის პირველი ხუთი წიგნი, რჯული, ანუ თორა უძველესი დროიდან მიჩნეულია საღვთო წერილად. გადამწერ ეზრას დროს, დაახლოებით ქ.წ. 400 წელს ეს წიგნები თანამედროვე სახით უკვე არსებობდა და წმიდა წერილად იყო აღიარებული.

### წინასწარმეტყველები

წინასწარმეტყველთა წიგნები, რომლებიც მათი ავტორების სიცოცხლეში ან ოდნავ უფრო გვიან შეიქმნა და დაახლოებით ქ.წ. 200 წლიდან საღვთო წერილში იქნენ ჩართულნი.

### წერილები

ძველი აღთქმის ებრაული კანონის მესამე ნაწილი "წერილებად" არის ცნობილი. ძველი აღთქმის კანონში მასში თავმოყრილი წიგნები სულ ბოლოს შევიდა. ზოგიერთი მათგანი უყოყმანოდ იქნა მიღებული. მაგალითად, ფსალმუნების წიგნმა იმთავითვე საპატიო ადგილი დაიმკვიდრა, რადგან ფართოდ გამოიყენებოდა ლიტურგიასა და სატაძრო ღვთისმსახურებაში. სხვა წიგნების საქმე უფრო რთულად იყო.

რა შეიძლება ითქვას ეკლესიასტესა და ესთერის წიგნებზე, რომლებშიც ღმერთის სახელი საერთოდ არ არის ნახსენები, ან გაკვრით თუ არის მასზე საუბარი. ან თუნდაც ქებათა-ქება სოლომონისა გავიხსენოთ, რომელიც აშკარად უმღერის ხორციელ სიყვარულს? ხალხი ვერ გარკვეულიყო იმაში, თუ რატომ უნდა ჩაერთოთ ეს წიგნები წმიდა წერილში. ამას გარდა, სხვა წიგნებიც არსებობდა: მოთხრობები, ისტორიული თუ საბრძნო ჟანრის ლიტერატურა, რომლებიც ამავე ტრადიციას აგრძელებდნენ. კითხვა ასეთი იყო: უნდა შესულიყო თუ არა ეს წიგნები კანონში.

ზოგიერთი ებრაელი ფიქრობდა, რომ ქ.წ. II-I საუკუნის ეგვიპტის ალექსანდრიაში მცხოვრები ელინიზირებული ებრაელებისათვის ამ სახის ლიტერატურა მისაღები იყო, ამიტომ ის მათი აზრით კანონში უნდა შესულიყო. საპირისპირო აზრზე იდგნენ პალესტინელი ებრაელები.

### საღვთო წერილის ებრაული კანონი

ქრისტიანული ერის დამდეგისათვის ჯერ კიდევ არსებობდა ზოგიერთი წიგნის კანონიზაციის პრობლემა. რომაელების მიერ იერუსალიმის აღების დროისათვის (ქ.შ. 70 წელი), ებრაელი სწავლულები მოწადინებულნი იყვნენ ბოლო მოეღოთ ჭოჭმანისათვის და საღვთო წერილის ნუსხა საბოლოოდ დაედგინათ. ტაძარი დანგრეული იყო. ებრაელთა სარწმუნოების უძველესი ცენტრი აღარ არსებობდა. ამიტომ, მსოფლიოში გაფანტული ებრაელობისთვის მეტად მნიშვნელოვანი იყო საღვთო წერილის დადგენილი კანონის არსებობა.

### იამნიის სკოლა

იმ დროს პალესტინის სანაპიროზე, იამნიაში, თეოლოგიური აკადემია არსებობდა, რომელიც იერუსალიმის ალყას თავდაღწეულმა ერთმა რაბინმა დაარსა. ცნობილმა ებრაელმა სწავლულებმა სწორედ აქ მოიყარეს თავი და იამნიის სკოლა განათლების ძლიერ კერად აქციეს. ქ.შ. 90 წელს აქ გამართული ბჭობა-კამათის შემდეგ საბოლოოდ დადგინდა საღვთო წერილის ებრაული კანონი. თუმცა აქ ოფიციალური გადაწყვეტილება ან დადგენილება არ ყოფილა მიღებული. მიუხედავად ამისა, ეს დადგენილება საყოველთაოდ იქნა აღიარებული. ერთი მხრივ იმიტომ, რომ იამნიის სკოლა დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა და მეორე მხრივ იმიტომ, რომ ეს გადაწყვეტილება ებრაელების საერთო შეხედულებას მიესადაგებოდა.

### ძველი აღთქმის წიგნები ებრაული ბიბლიის მიხედვით:

რჯული ანუ თორა:
დაბადება
გამოსვლა
ლევიანნი
რიცხვნი
მეორე რჯული

ადრინდელი წინასწარმეტყველები:
იესო ნავეს ძე
მსაჯულნი
1 და 2 მეფეთა
3 და 4 მეფეთა

გვიანდელი წინასწარმეტყველები:
**დიდი წინასწარმეტყველები:**
ესაია
იერემია
ეზეკიელი

მცირე წინასწარმეტყველები:
(თორმეტი წიგნი, რომელიც ერთ წიგნად ითვლებოდა)

| | |
|---|---|
| ოსია | ნაუმი |
| იოველი | აბაკუმი |
| ამოსი | სოფონია |
| აბდია | ანგია |
| იონა | ზაქარია |
| მიქა | მალაქია |

წერილები:
ფსალმუნები
იგავნი სოლომონისა
იობი
ქებათა-ქება სოლომონისა
რუთი
გოდება იერემიასი
ეკლესიასტე
ესთერი
დანიელი
ეზრა-ნეემია
1 და 2 ნეშტთა

ქრისტიანული ბიბლიისაგან განსხვავებით, რომელშიც 39 წიგნი შედის, ებრაულ ვერსიაში 24 წიგნია, რადგან ზოგიერთი წიგნი გაერთიანებულია ან რამდენიმე წიგნი ერთად არის ჩათვლილი. წიგნების თანმიმდევრობაც განსხვავებულია.

### სეპტუაგინტა

"სეპტუაგინტა" მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან სამოცდაათი. სეპტუაგინტა არის ებრაული ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი.

პალესტინის გარეთ მცხოვრები ებრაელებისთვის ქ.წ. 284-247 წლებს შორის ძველი აღთქმა ბერძნულად ითარგმნა, რადგან სამშობლოდან მოწყვეტილი ებრაელების მშობლიური ენა უკვე ბერძნული იყო.

ერთ-ერთი გადმოცემის მიხედვით, სამოცდაათ სწავლულს ცალ-ცალკე ოთახი მიუჩინეს და საღვთო წერილის სამოცდაათ დღეში თარგმნა დაავალეს. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სამოცდაათივე სწავლულის თარგმანი სიტყვასიტყვით ემთხვეოდა ერთმანეთს.

რა თქმა უნდა ეს ლეგენდაა. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ ძველი აღთქმის ბერძნული თარგმანი ალექსანდრიელი ებრაელების დამსახურებაა. შესაძლოა, მათ წმიდა წერილის თარგმნა წამოიწყეს და შემდეგ ეს საქმე მომდევნო თაობებმა გააგრძელეს. ყოველი წიგნი გრაგნილზე იწერებოდა და ცალკე ყუთში ინახებოდა, ხშირად იმავე პერიოდისა თუ მსგავსი ხასიათის წიგნებთან ერთად.

### არაკანონიკური წიგნები

სიტყვა "არაკანონიკური" იმ წიგნების საერთო სახელწოდებაა, რომელთა ძველი აღთქმის კანონ-

ში ჩართვაზე ერთ დროს საკამოდ დიდი ბჭობა-კამათი იყო გამართული. არც ერთი მათგანი არ შესულა პალესტინის ებრაელთა კანონიკურ წმიდა წერილში. ისინი ბერძნული სეპტუაგინტას ხელნაწერებთან ერთად ინახებოდა.

პირველმა ქრისტიანებმა ეს წიგნები მას შემდეგ გაიცნეს, როდესაც სეპტუაგინტა თავის ბიბლიად აღიარეს და სწორედ მაშინ ჩართეს ისინი წმიდა წერილში. ასეთი წიგნების გარკვეულ რაოდენობას, რომელიც მართლმადიდებელმა ეკლესიამ მიიღო, არაკანონიკური წიგნები ეწოდება. ქრისტიანული ეკლესიის ბევრ მიმდინარეობას ეს წიგნები წასაკითხად სასარგებლოდ მიაჩნია, მაგრამ რწმენის სფეროში მათ ავტორიტეტს უარყოფს. ამ წიგნების დიდი ნაწილი ბიბლიის კანონიკური წიგნებისგან ხარისხით განსხვავდება.

### სიბრძნის წიგნები

არაკანონიკური წიგნები ლიტერატურის სხვადასხვა სახეებს მიეკუთვნება, ისევე როგორც ბიბლიის დანარჩენი წიგნები.

მათ შორის არის ეგრეთწოდებული საბრძნო ლიტერატურა — პოეტური და ფილოსოფიური წიგნები — რომელიც წარმოდგენილია **სოლომონის სიბრძნითა** და ზირაქის სიბრძნით. სიბრძნე სოლომონისა შესაძლებელია ალექსანდრიელი ებრაელის ნაწარმოები იყოს. წიგნში ბერძნული აზროვნების გავლენა შეიმჩნევა, რომელიც საიქიო ცხოვრების რწმენაში გამოიხატება. ეს მშვენიერი სიტყვები სწორედ ამ წიგნში სწერია:

"მართალთა სულები ღვთის ხელში არიან
და ტანჯვა-წამება მათ ვერ შეეხება.
უგუნურთა თვალში კი მკვდრებად ჩანან
და მათი აღსასრული საუბედუროდ მიუჩნევიათ
ჩვენგან წასვლა კი — განადგურებად,
მაგრამ ისინი მშვიდობით სუფევენ." (სიბრძ. 3:1-3)

სიბრძნე ზირაქისას ავტორად ითვლება იესო ბენ სირა, რომელიც დაახლოებით ქ.წ. 180-იან წლებში იერუსალიმში ცხოვრობდა. ბერძნული თარგმანი მის შვილიშვილს, ზირაქს ეკუთვნის, რომელიც ეგვიპტეში ცხოვრობდა. ეს წიგნი ხოტბას ასხამს სახელოვან ადამიანებს.

"ახლა კი შევაქოთ სახელოვანი ვაჟკაცები და ჩვენი მამები თავთავიანთ
თაობებში." (ზირ. 44:1)

წინა თავშიც დიდებული სიტყვები გვხვდება:

"ბევრს ვილაპარაკებთ და ვერ გავწვდებით, დავასკვნით მხოლოდ:
საიდან მოვიცეთ ძალა მის სადიდებლად?
რადგან ყველა ქმნილებაზე დიდია."(ზირ. 43:27-28)

### არაკანონიკური ამბები

ზოგიერთი არაკანონიკური წიგნის ამბები შინაარსით ესთერის წიგნს მოგვაგონებს, ოღონდ მათში ზებუნებრივი ამბები და მოვლენები ჭარბობს. ტობითის წიგნის მიხედვით თევზის ღვიძლს, გულსა და ნაღველას მფარველი ანგელოზის ხელშეწყობით დემონების განდევნა და თვალისჩინის დაბრუნება შეუძლია.

**ივდითის წიგნი** მოგვითხრობს ერთ ახალგაზრდა ქვრივ ქალზე, რომელიც ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორის სარდლის ოლოფერნეს კარავში შევიდა, ვითომ სამხედრო საიდუმლოს გასაცემად. ხოლო როდესაც სარდალი დათვრა და რული მოერია, ქვრივმა თავი მოჰკვეთა და ამ გმირული საქციელით მშობლიური ხალხი საშინელი განსაცდელისგან იხსნა. საუბედუროდ, წიგნის ავტორი ნაბუქოდონოსორს აშურეთის მეფედ მოიხსენიებს და არა ბაბილონისა, რომლის ფაქტიური მმართველიც იყო ეს მეფე. ეს აშკარა შეცდომა კი მთელი წიგნის ავტორიტეტს ჩრდილს აყენებს.

### ისტორიული ჟანრის წიგნები

ისტორიული ჟანრის წიგნებს განეკუთვნება **მაკაბელთა წიგნები** (დასავლურ ტრადიციაში ისინი ორ წიგნად იყოფა, აღმოსავლურში — ოთხ წიგნად).

პირველ წიგნში აღწერილია ებრაელი ხალხის ბრძოლა სელევკიდური სირიის სასტიკ მეფესთან ანტიოქოს ეპიფანესთან, გამარჯვებული მაკაბელების სიმამაცე და ებრაელთა მეფის იოხანან ჰირკანელის

მმართველობა. წიგნში განვითარებული მოვლენები ქ.წ. 175-134 წლებში მიმდინარეობდა და მათი ჩაწერა სავარაუდოდ მეფე იოხანან ჰირკანელის სიკვდილის შემდეგ ქ.წ. 103 წელს უნდა მომხდარიყო. მაკაბელთა წიგნის დანარჩენი ნაწილი ძველი აღთქმის არსებულ წიგნებს უახლოვდება. აქ მოყვანილია წერილი, რომლის ავტორადაც დასახელებულია იერემია, რომელიც ბაბილონში გადასახლებულ ტყვეებს კერპთაყვანისმცემლობაში ადანაშაულებს. ბარუქ წინასწარმეტყველის არაკანონიკური წიგნის ავტორად დასახელებულია იერემია წინასწარმეტყველის მოწაფე და მწერალი ბარუქი.

არაკანონიკურ წიგნებს შორის უნდა ვახსენოთ დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის გვიანდელი ხანის დანართები. სუსანას ამბავში (დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის 13 თავი) აღწერილია პატიოსანი ებრაელი ქალის ამბავი, რომელიც უსამართლოდ დაადანაშაულეს მრუშობაში და რომელიც განსაცდელისგან დანიელმა იხსნა. ბელისა და ურჩხულის მოთხრობაში (თავი 14) დანიელი ბელის, ბაბილონელების კერპის თაყვანისმცემლებს სიცრუეში ამხელს. ისინი ამტკიცებდნენ, რომ კერპი ყოველღამე მიტანილ საჭმელს ჭამდა. დანიელმა აღმოაჩინა მათი გაიძვერობა და სიცრუე და დაასაბუთა, რომ კერპის მსახური ქურუმები და მათი ოჯახის წევრები შეექცეოდნენ შეწირულ საკვებს. ამას გარდა, დანიელმა ბაბილონელთა სათაყვანებელი გველეშაპიც მოკლა, რის გამოც ის ლომების ხაროში ჩააგდეს. იუდადან ანგელოზის მიერ სასწაულებრივად გადმოყვანილმა წინასწარმეტყველმა აბაკუმმა ხაროში ჩაგდებული დანიელი დააპურა. ლომებმა არ შეჭამეს და მეორე დღეს, გაოცებულმა მეფემ, გაათავისუფლა იგი.

### აპოკალიპტიკური წიგნები

არაკანონიკურ წიგნებსა და საკუთრივ ბიბლიაში კიდევ ერთი სახის ლიტერატურული ნაწარმოები გვხვდება. ეს გახლავთ აპოკალიპტიკური წიგნები. **მეორე ეზრას** (აღმოსავლური ტრადიციით **მესამე ეზრა**) წიგნი ამ სახის ლიტერატურულ ჟანრს განეკუთვნება.

ებრაელ წინასწარმეტყველთა თვალსაზრისით სიცოცხლე ციკლურად არ ვითარდება და არც ბუნების სეზონთა მიხედვით იცვლება. მათ არ სჯეროდათ, რომ სამყარო, დედამიწა და მისი მოსახლეობა ბრმა შემთხვევის ნაყოფი იყო. პირიქით, მათ მტკიცედ სწამდათ, რომ ღმერთი

**ბიბლიის არაკანონიკური წიგნები**

2 ეზრა
3 ეზრა
ტობითი
ივდითი
სიბრძნე სოლომონისა
სიბრძნე ზირაქისა
ეპისტოლე იერემიასი
ბარუქი
ესთერის წიგნის დამატებანი
დანიელის წიგნის დამატებანი
(ბელი და გველეშაპი, სუსანა)
მენაშეს ლოცვა
ფსალმუნი 151
1 მაკაბელთა
2 მაკაბელთა
3 მაკაბელთა
4 მაკაბელთა

ეროვნული ბიბლიოთეკა


განაგებს სამყაროს და ისტორიაც მისი ზედამხედველობის ქვეშ წინ მიემართება. ისინი ისტორიის იმ კულმინაციურ წერტილს ელოდებოდნენ, როდესაც ღმერთის ყოველი მიზანი საბოლოოდ აღსრულდებოდა.

ადრეული წინასწარმეტყველები, მაგალითად, ამოსი, უფლის მომავალ დღეს ელოდებოდა. ისინი ისრაელსა და იუდას შეაგონებდნენ და აფრთხილებდნენ, რომ ეს გამართლებისა და დაჯილდოების სასურველი დღე კი არ იქნებოდა, არამედ განსჯისა და სამართლიანობის აღდგენის დღე. ამ დღის მოახლოებასთან დაკავშირებით, წინასწარმეტყველები საყოველთაო მონანიებისაკენ მოუწოდენდნენ ერს.

მაგრამ, ქრისტემდე ორი ასწლეულით ადრე ასპარეზზე გამოჩნდა ახალი სახის ლიტერატურული ჟანრი, რომელიც მკაფიოდ და მრავალფეროვნად საუბრობდა ქვეყნის აღსასრულის შესახებ. ამ ჟანრს ახასიათებდა ზებუნებრივი მოვლენებისა და არსებების სიუხვე, ზეცისა და დედამიწის საშინელი კატასტროფების აღწერილობა, მოვლენების უცნაურად და დრამატულად განვითარება. ძველ აღთქმაში ასეთი ლიტერატურული ნაწარმოების საუკეთესო მაგალითია დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის ბოლო თავები. ეს ჟანრი თავს იჩენს ესაია, ეზეკიელ და ზაქარია წინასწარმეტყველთა წიგნების ზოგიერთ ნაწილში.

სიტყვა "აპოკალიფსი" ბერძნულია და "გახსნას," "გამოცხადებას" ნიშნავს. თუმცა აპოკალიპტიკური მწერლობა ბევრ აუხსნელ საიდუმლოს შეიცავს. ეს ჟანრი დევნა-შევიწროების პერიოდებისთვის არის დამახასიათებელი.

ჩვენს თვალწინ იშლება კოსმიური მასშტაბის დიდი და ხმაურიანი ბრძოლები ურჩხულებსა და გველეშაპებს, ანგელოზებსა და ვარსკვლავებს შორის. ამ დიდი ომების ამბავი რწმენისათვის დევნილ ხალხს ამხნევებდა. ღვთის დევნილი ერის ბრძოლა ღმერთსა და მის მოწინააღმდეგე ბოროტ ძალებს შორის სამყაროში გაჩაღებული დიდი ომის ნაწილად აღიქმებოდა.

თუმცა ამ ბრძოლის შედეგი წინასწარ იყო გადაწყვეტილი. ღმერთი აუცილებლად გაიმარჯვებს, სიკეთის მსახური ძალები დასძლევენ ბოროტ ძალებს და ღვთის ერი გამართლდება.

# აღთქმათშორისი ეპოქა

ძველი აღთქმის ებრაელი ხალხის ისტორიის უკანასკნელ პერიოდს, სპარსელთა ბატონობის პერიოდს აღწერენ ეზრას, ნეემიას და ესთერის წიგნები. 200 წელი გრძელდებოდა სპარსელთა ძლევამოსილების ეპოქა. ებრაელი ხალხისთვის ისტორიის ეს პერიოდი შედარებითი მშვიდობიანობით გამოირჩეოდა. თუმცა იმ ეპოქის პალესტინის შესახებ ბევრი რამ უცნობია, თუკი ქ.წ. IV საუკუნეს გამოვრიცხავთ.

ესთერის წიგნი იმ დროზე მიგვითითებს, როდესაც სპარსეთის იმპერიაში მცხოვრებ ებრაელებს საფრთხე დაემუქრათ. მაგრამ გადასახლებაში მყოფთათვის სპარსელთა ბატონობის ხანა ძირითადად მშვიდობიანი იყო.

პალესტინაში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ტყვეობიდან დაბრუნებული ებრაელები იერუსალიმის განახლებასა და სალმრთო რჯულის ხელახლა შესწავლას შეუდგნენ.

## ებრაელები და სამარიელები

როდესაც ტყვეობიდან დაბრუნებულმა ებრაელებმა იერუსალიმის ტაძრის განახლება წამოიწყეს, მათ ცალსახად განაცხადეს უარი დახმარება მიეღოთ იმ მიწაწყალზე მცხოვრები ხალხისაგან, რომელიც ოდესღაც ისრაელიანთა ჩრდილოელ ტომებს ეკუთვნოდა. სუფთა სისხლის ებრაელებმა "სამარიელები" (სახელწოდება ისრაელის დედაქალაქის სამარიის სახელიდან მომდინარეობს) უარყვეს, რადგან ისინი შერეული სისხლისანი იყვნენ — ისრაელიანებისა და იმ ხალხის ნარევს წარმოდგენდნენ, რომლებიც აშურელებმა თავისუფალ მიწაზე ჩამოასახლეს. ამასთან ერთად მათი სარწმუნოებაც უკვე შებღალული იყო.

სამარიელების შეხედულება ძირფესვიანად განსხვავდებოდა ებრაელების თვალსაზრისისგან. ისინი თავს მოსესა და რჯულის მიმდევრებად თვლიდნენ და როდესაც ებრაელებმა მათ ტაძრის აღდგენაში დახმარების ნება არ მისცეს, მაშინ სამარიელებმა ყველაფერი ილონეს, რათა იერუსალიმის აღდგენის საქმე შეწყვეტილიყო. ურთიერთობა ორ მეზობელ ხალხს შორის მალე მტრობაში გადაიზარდა. მალე სამარიელები გარიზიმის მთაზე, რომელიც მოსეს დროიდან წმიდა მთად ითვლებოდა, საკუთარი ტაძრის მშენებლობას შეუდგნენ. მტრობა და შუღლი საუკუნეები გრძელდებოდა. ახალი აღთქმის ეპოქაში ჩრდილოეთში მიმავალი ებრაელები ამჯობინებდნენ გრძელი შემოსავლელი გზით მოევლოთ და ისე მისულიყვნენ გალილეაში, ვიდრე სამარიაზე გაევლოთ.

## ბერძნების აღზევება

სპარსეთის იმპერიის ტერიტორია დასავლეთისკენ გავრცელდა. აქ კი, სპარსელთა პოლიტიკურ-ეკონომიკური მიზნები ბერძნების ძლიერ წინააღმდეგობას წააწყდა. ქ.წ. V საუკუნეს განეკუთვნება მარათონის, თერმოპილესა და სალამინის ბერძენ-სპარსელთა ომები.

მალე ისტორიის სცენაზე ძლევამოსილი, ლეგენდარული პიროვნება გამოჩნდა.

ალექსანდრე დიდი მხოლოდ ოცი წლისა იყო, როდესაც მამამისი ფილიპე II მაკედონელი შეთქმულებმა მოჰკლეს, მაგრამ ახალგაზრდობის მიუხედავად, ალექსანდრემ მრავალ ომში იზეიმა გამარჯვება. ახალგაზრდა მეფემ თანამედროვე პაკისტანის ტერიტორიებამდე ილაშქრა აღმოსავლეთში. ერთი ძველი მატიანე მოგვითხრობს, რომ ალექსანდრე მდინარე ინდის ნაპირზე ჩამოჯდა და ტირილი დაიწყო, რადგან დასაპყრობი აღარაფერი იყო დარჩენილი.

მსოფლიოს ყველა დროის ყველაზე ძლიერი მხედართმთავარი ოცდაცამეტი წლისაც არ იყო, როცა გარდაიცვალა.

ალექსანდრე მაკედონელის მას-

### პალესტინის მმართველები ძველსა და ახალ აღთქმას შორის

ელინების მმართველობა ქ.წ. 333-166 წლები
333-332 — **ალექსანდრე დიდმა** პალესტინა დაიპყრო
300 — ეგვიპტის მეფეები — **პტოლემეოსების** დინასტია
200 — სირიის მეფეები — **სელევკიდების** დინასტია
175-166 — **ანტიოქოს IV** ეპიფანე, 168 წელს დაიპყრო იერუსალიმის ტაძარი

ებრაელების დამოუკიდებლობის პერიოდი ქ.წ. 166-63 წლები
166 — მატათია და მისი ვაჟები, **მაკაბელები.** აჯანყება ანტიოქოსის წინააღმდეგ
166-160 — **იუდა მაკაბელი**
165 — იუდამ ტაძარი ხელახლა აკურთხა
160-143 — **იონათანი** (იუდას ძმა)
142-134 — **სიმონი** (იუდას ძმა)
134-104 — **იოხანან ჰირკანელი**
104-103 — **არისტობულე**
103–76 — **ალექსანდრე იანეოსი**
76-67 — **ალექსანდრა სალომე** (იანეოსის ქვრივი)
67-63 — **არისტობულე II**

რომაელთა მმართველობა ქ.წ. 63-4 წლები
63 — **პომპეუსმა** დაიპყრო იერუსალიმი. იუდეა რომის პროვინციის, სირიის შემადგენლობაში შევიდა
63-40 — **ჰირკანოს II**
48 — **იულიუს კეისარმა** პომპეუსი დაამარცხა
44 — იულიუს კეისრის მკვლელობა
40-37 — **ანტიგონე** — რომს დაქვემდებარებული ებრაელი მმართველი
37-4 — **ჰეროდე დიდი**
27 — ოქტავიუსს მიანიჭეს **კეისარ ავგუსტუსის** წოდება და ის რომის იმპერიის ერთპიროვნულ მმართველად იქცა.

წავლებელი და აღმზრდელი იყო ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე და შეიძლება ამიტომაც, მეფის ოცნება იყო ბერძნული კულტურის დაპყრობილ ტერიტორიებზე გავრცელება. მეფის სიკვდილის შემდეგ მისი ჯარის მხედართმთავრები ერთმანეთს წაეკიდნენ ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით. შუამდინარეთი და სირია სელევკოსმა დაიპყრო, პტოლემეოსმა კი ეგვიპტე იგდო ხელთ. პალესტინა ისევ ორი მოწინააღმდეგე მეფის პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზად იქცა. სელევკიდებსაც და პტოლემეოსებსაც საკუთარი სამფლობელოების გაძლიერება სურდათ და დედაქალაქების აღმშენებლობაზე ძალას არ ზოგავდნენ. ორივე იზიარებდა ბერძნული კულტურის საქვეყნოდ გავრცელების თვალსაზრისს.

## ელინიზმი

ძველი ბერძნების საკუთარი ეთნიკური სახელწოდება იყო "ჰელას," ხოლო "ელინიზმი" ეწოდება ალექსანდრე მაკედონელისა და მისი შემდგომი პერიოდის ბერძნულ კულტურას. ელინიზაცია კი ნიშნავს ბერძნული აზროვნების და ენის გავრცელებას. ამ პერიოდის ბერძნული ენა, კოინე, კლასიკური ხანის ენისაგან განსხვავდებოდა და საერთაშორისო ურთიერთობების ძველი ენის — არამეულის — გავლენა ემჩნეოდა. მალე ელინისტურ სამყაროში გავრცელდა ბერძნული არქიტექტურა. ბერძნული ტიპის გიმნაზიუმები, თეატრები და სტადიონები აშენდა მრავალ ქალაქში. წარჩინებულები ბერძნულ ტანსაცმელს ანიჭებდნენ უპირატესობას.

ალექსანდრე დიდის მიერ დაარსებული ეგვიპტის ქალაქი ალექსანდრია ელინიზმის საუკეთესო ნიმუშად ითვლებოდა. იქ იყო მუზეუმები და საყოველთაოდ ცნობილი ბიბლიოთეკა, რომლის წიგნსაცავი საოცრად მდიდარი იყო. მათემატიკოსი ევკლიდე და ფიზიკოსი არქიმედე ალექსანდრიაში მოღვაწეობდნენ. ქალაქში დიდი ებრაული დიასპორა ცხოვრობდა და სწორედ აქ ითარგმნა ბერძნულად წმიდა წერილი (იხილეთ ძველი აღთქმის წიგნები: სეპტუაგინტა). ზოგიერთ ებრაულ სასულიერო წიგნს ბერძნული აზროვნების გავლენის კვალი ეტყობა. ასეთია, მაგალითად, სოლომონის სიბრძნის არაკანონიკური წიგნი.

## ანტიოქოს ეპიფანე, დევნა-შევიწროვება

ქ.წ. III საუკუნეში, მას შემდეგ, რაც ალექსანდრე მაკედონელის ვრცელი იმპერია დაიშალა, პალესტინა ეგვიპტის მაკედონელი მეფეების — პტოლემეოსების — გავლენის ქვეშ მოექცა. ეგვიპტის მმართველობა საკმაოდ ლიბერალური იყო. პტოლემეოსები ებრაელთა შეხედულებებს არ ეწინააღმდეგებოდნენ. ბევრი ებრაელი ელინიზმის გავლენის ქვეშ მოექცა. ამავე დროს, აღორძინდა რელიგიური და ეროვნული თვითშეგნება, მეტადრე სოფლის მოსახლეობაში. განსაკუთრებით მონდომებულ და ეროვნული თვითმყოფადობის დამცველ ებრაელებს ეწოდებოდათ ხასიდიმები, რაც ერთგულს, ღვთისმოსავს ნიშნავს. ისინი ელინიზმის გავრცელების წინააღმდეგნი იყვნენ და მხოლოდ თორას ავტორიტეტს ეყრდნობოდნენ.

იმ დროს, როდესაც პოლიტიკური ატმოსფერო რჯულშემწყნარე იყო, ღვთისმოსავთა ეს ჯგუფი მკვეთრად არ გამოირჩეოდა ებრაელთა მასაში. მაგრამ მშვიდობა დიდხანს არ გაგრძელდა. ქ.წ. 223 წელს სელევკიდების სამეფო ტახტზე ავიდა ანტიოქოს III. მან ბრძოლაში დაამარცხა პტოლემეოს V და პალესტინა სელევკიდების ხელთ აღმოჩნდა. მისი მემკვიდრე იყო ანტიოქოს ეპიფანე. "ეპიფანე" ბერძნული სიტყვაა და "გამოჩინებულს" ნიშნავს. ანტიოქოსს სწამდა, რომ ის იყო განკაცებული ზევსი, ძველბერძენთა მთავრი ღმერთი. ის მმართველთაგან არ იყო პირველი, ვინც საკუთარ ღვთაებრიობას ამტკიცებდა, მაგრამ მან ყველას გადააჭარბა სისასტიკითა და დაუნდობლობით. დიდი მონდომებით წამოიწყო მან ელინიზმის გავრცელების კამპანია.

ანტიოქოსის აზრით, მოქალაქეობრივი ლოიალობის დამამტკიცებელი ზევსის თაყვანისცემა იყო. რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნა საკუთარი თავის — განკაცებული ღმერთის — სრულ მორჩილებასაც გულისხმობდა. მეფე ებრაელთა საქმეებშიც აქტიურად ჩაერია. ხაზინას ფული სჭირდებოდა, ამიტომ სახელმწიფო გადასახადები გაზარდა და მღვდელმთავარის თანამდებობაზე დიდი ფულადი გადასახადი დააწესა და ეს წმიდა ადგილი ვაჭრობის საგნად აქცია. მოხდა საიდუმლო გარიგება და ამ უმაღლესი თანამდებობისათვის ბრძოლაში ორი მოწინააღმდეგე შეება ერთმანეთს.

ამ დაპირისპირებას სავალალო შედეგი მოჰყვა. ანტიოქოსი იერუსალიმში შეიჭრა, ვითომდა სამართლიანობის აღსადგენად. სინამდვილეში კი ტაძარი გაძარცვა და ებრაელთა რელიგია კანონგარეშედ გამოაცხადა. სიკვდილით დასჯით დაემუქრა ყველა დედას, ვის ვაჟსაც წინადაცვეთას გაუკეთებდნენ, და იმას, ვისაც შინ თორას უპოვნიდნენ. სიკვდილი ელოდა შაბათის ყველა დამცველსაც.

ქ.წ. 168 წელს ანტიოქოსი ლაშქრით შეიჭრა იერუსალიმში და ტაძრის ეზოში სრულადდასაწველი სამსხვერპლოს ადგილას ზევსის საკურთხეველი აღმართა. თითქოს ეს ღვთისგმობა არ იყო საკმარისი, ანტიოქოსმა ტაძარში ღორის მსხვერპლშეწირვაც დააწესა. ებრაელები ღორს უწმიდურ ცხოველად თვლიდნენ და თვლიან. ეს ცხოველი მათში ზიზღს იწვევდა. ებრაელებს ღორის ხორცის ჭამასა და ზევსისათვის მსხვერპლშეწირვას აიძულებდნენ. ანტიოქოსის ჯარი ქვეყანას სრულიად აკონტროლებდა და მეფის განკარგულებების შესრულების საქმეს ამოწმებდა.

საშინელი ტანჯვისა და დევნის დრო დადგა. ყველამ როდი შეძლო განსაცდელის გადატანა, ბევრი ებრაელი დაემორჩილა მეფის ბრძანებებს, ხოლო ის, ვინც წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა ან რწმენისთვის მოკვდა ან გადაიხვეწა.

## ებრაელი ხალხის წინააღმდეგობის მოძრაობა, მაკაბელები

სელევკიდი მეფის უკიდურესმა ზომებმა, მალე აჯანყების, წინააღმდეგობის ცეცხლი გააღვივა. სოფლელ მღვდელს მატათიას ზევსისთვის მსხვერპლის შეწირვა უბრძანეს, მაგრამ მან მტკიცე უარი განაცხადა, მეტიც, ბრძანების გამცემი სირიელი მოხელე და ერთი სირიელთა ნების შემსრულებელი ებრაელი მოკლა. შემდეგ კი ხუთ ვაჟიშვილთან ერთად მთებში გაექცა მოსალოდნელ შურისძიებას. გაქცეულებს პატრიოტი ებრაელების გუნდი შეუერთდა. ისინი საბრძოლო ყიჟინას სცემდნენ და გაჰყვიროდნენ: "რჯულისა და მცნებების მოშურნეებო გამომყევით!"

განწვრთნილი ჯარისკაცების ლაშქარი კი არ აუჯანყდა დამპყრობლებს, არამედ მიზანსწრაფული პატრიოტების თავდადებული სახალხო ლაშქარი. მატათიამ თავის სიკვდილამდე (ქ.წ. 166) აჯანყებულთა წინამძღოლად უმცროსი ვაჟი იუდა დანიშნა, მეტსახელად მაკაბელი. ეს სიტყვა უროს ნიშნავს და მტრისათვის მოქნეულ მძიმე დარტყმებზე მიუთითებს. ძალთა უთანასწორობის მიუხედავად, იუდამ და მისმა თანამებრძოლებმა ანტიოქოსის ჯარები დაამარცხეს და სამშვიდობო ხელშეკრულებასაც მიაღწიეს.

ქ.წ. 165 წელს იუდამ ტაძრის სამსხვერპლო აღადგინა და ხელახლა ატფურა, ღვთის თაყვანისცემა და ღვთისმსახურება განახლდა. ამ დღის აღსანიშნავად, ყოველი წლის დეკემბერში ებრაელები ზეიმობენ ხანუკას, ანუ სატფურების დღესასწაულს.

იუდას მოკვლის შემდეგ დამოუკიდებლობისათვის ომს სათავეში მისი ძმები იონათანი და სიმონი ჩაუდგნენ. ებრაელების ბრძოლას ხელი შეუწყო საერთაშორისო ასპარეზზე რომის გამოჩენამ, რადგან სელევკიდების ყურადღება სწორედ ამ საშიშ დამპყრობელზე იყო მიმართული. ქ.წ. 190 წელს ანტიოქოს III რომაელებთან ომში დამარცხდა.

## რომის აღზევება

ქალაქ რომს განვითარების ადრეულ ეტაპზე მხოლოდ უმნიშვნელო ადგილი ეჭირა აპენინის ნახევარკუნძულის ცხოვრებაში. მაგრამ, უკვე ქ.წ. 338 წლისათვის რომი ნახევარკუნძულის თითქმის მთელ დასავლეთს აერთიანებდა და მისი გავლენა განუხრელად იზრდებოდა. ქ.წ. II საუკუნეში, როდესაც რომმა მთავარი მოწინააღმდეგე ჩრდილოეთ აფრიკის მძლავრი სახელმწიფო კართაგენი დაამარცხა, მისი ძალაუფლება თანდათან ყველა მიმართულებით გავრცელდა.

ქ.წ. 63 წელს რომაელმა მხედართმთავარმა გნეუს პომპეუსმა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველა ქვეყანა, მათ შორის პალესტინაც, რომს დაუქვემდებარა. ამიერიდან ხმელთაშუა ზღვა რომის პროვინციებით იყო გარშემორტყმული.

## ებრაელთა დამოუკიდებლობის პერიოდი

პალესტინაში, მაკაბელებმა, ანუ ჰაშმონელთა დინასტიამ, ებრაელი ერისათვის ერთსაუკუნოვანი დამოუკიდებლობა მოიპოვეს

(ქ.წ. 166-63). ისინი უცხოელების მეტ-ნაკლები გავლენის პირობებში მართავდნენ სახელმწიფოს და ერთდროულად ფლობდნენ მღვდელმთავრისა და ქვეყნის საერო ხელმძღვანელის თანამდებობებს. ამ დინასტიის ზოგიერთმა წევრმა მეფის ტიტულიც მიიღო.

საუბედუროდ, ძველი იდეალები დავიწყებას მიეცა და ქვეყნის მმართველობის მედიდური, დესპოტური სტილი დამკვიდრდა. ალექსანდრე იანეოსმა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად დაქირავებულთაგან შემდგარი ჯარი ჩამოაყალიბა, ამის გამო მოსახლეობის დიდი ნაწილი სირიელებს მიემხრო. იანეოსის სიკვდილის შემდეგ ძალაუფლება მისი ქვრივის, ალექსანდრას ხელში გადავიდა, ხოლო ამ უკანასკნელის სიკვდილის შემდეგ მისმა ორმა ვაჟმა ძალაუფლებისთვის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღა.

შემდეგი განსაცდელი მეზობელი ქვეყნების იდუმეისა და ნაბატეისაგან წამოვიდა. მათთან წარმოქმნილი დავის გადასაწყვეტად ალექსანდრას ვაჟებმა რომაელი მხედართმთავარი პომპეუსი მოიწვიეს, რომელიც იმ დროს სირიაში იმყოფებოდა. პომპეუსმა გამწვავებული პოლიტიკური ვითარებით ისარგებლა, იერუსალიმი დაიპყრო და ებრაელთა დამოუკიდებლობა სამუდამოდ დაასამარა.

## რომის მმართველობა

პომპეუსმა ქვეყნის მეთვალყურეობა სირიაში რომის წარმომადგენელს ჩააბარა. ჰაშმონელთა სამეფო იუდეის, იდუმეის, პირეის და გალილეის ოლქებად დაიყო. ხოლო ჰირკანოს II, ძმის ნაცვლად, მღვდელმთავრისა და ეთნარქოსის ტიტულები უბოძა. სამარიელებს შეუნარჩუნა მცირე ტერიტორია, რომელშიც შედიოდა გარიზიმის მთაზე აშენებული მათი ტაძარი.

ამ დროს, რომის რესპუბლიკა ომებმა მოიცვა. ქ.წ. 48 წელს პომპეუსი დაამარცხა იულიუს კეისარმა, ხოლო ეს უკანასკნელი ღალატით იქნა მოკლული 44 წელს. მრავალწლიანი შინაომების შემდეგ ძალაუფლება მოიპოვა იულიუს კეისრის შვილობილმა ოქტავიუსმა, რომელიც კეისარ ავგუსტუსის ტიტულით ქ.წ. 27 წელს რომის პირველი იმპერატორი გახდა.

ძალაუფლების შეცვლის შემდეგ, რომაელთა მიერ პროვინციის მმართველებად დანიშნულ პირებს დიდი სიფრთხილე უნდა გამოეჩინათ უმაღლეს ხელისუფლებასთან ურთიერთობაში. ჰირკანოსი და მისი მრჩეველი ანტიპატრე იდუმეელი საჩქაროდ განუდგნენ პომპეუსს და იულიუს კეისარს მიემხრნენ. ისინი, ალბათ, პოლიტიკურმა ალღომ გადაარჩინა. მალე ანტიპატრე მოკლეს და პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდა მისი ორი ვაჟი: ფაზაელი და ჰეროდე. ინტრიგებისა და შინაომების გამო ჰეროდემ დახმარება რომს სთხოვა. ქ.წ. 47 წელს ის იუდეის მმართველად დაინიშნა, ხოლო ქ.წ. 40 წელს რომაელებმა მეფედ გამოაცხადეს. სამი წელი დასჭირდა მას, რათა რომაელების შემწეობით ძალაუფლება განემტკიცებინა. ამის შემდეგ რომაელთა უზენაესი გავლენის ქვეშ მან სიკვდილამდე, ქ.წ. 4 წლამდე, იმეფა.

## ჰეროდეს დინასტია

ჰეროდე დიდი იდუმეელი იყო (იდუმეას ბერძნები და რომაელები ძველ ედომს უწოდებდნენ). ედომელები და ისრაელიანები დიდი ხნის მტრები იყვნენ. ქ.წ. 586 წელს იერუსალიმის დაცემის შემდეგ, ედომელებმა საკუთარი ტერიტორია, იუდას ხარჯზე, ჩრდილოეთის მიმართულებით განავრცეს. მაგრამ, ჰაშმონელებმა (ანუ მაკაბელმა მეფეებმა) იდუმეა დაიპყრეს და მოსახლეობას ებრაელების სარწმუნოება ძალით მოახვიეს თავს.

ჰეროდე, როგორც იდუმეელი, ებრაელ მოსახლეობაში უკმაყოფილებას იწვევდა. მაგრამ, მან ხანგრძლივი მშვიდობა დაამყარა. ამას გარდა, ფართო სამშენებლო მოღვაწეობასაც მიჰყო ხელი. მისი მეფობის დროს აშენდა მრავალი ციხე-სიმაგრე და ლამაზი სასახლე, რომელთაგან გამოირჩეოდა მაცადას სიმაგრე და იერიხოს ზამთრის სასახლე. ებრაელი მემატიანე იოსებ ფლავიუსი მოგვითხრობს: "არაბეთის საზღვარზე, მაღალ ბორცვზე აგო ციხესიმაგრე რომელსაც საკუთარი სახელის უკვდავსაყოფად ჰეროდიუმი უწოდა. თავისივე სახელი უწოდა იერუსალიმიდან შვიდი კილომეტრის დაშორებით ამართულ ხელოვნურ ბორცვს. ბორცვის თავზე წრიულად აშენა გალავანი და გუმბათი, სიმაგრის შიგნით დიდებული სასახლე ააგო, რომლის გარეთა კედლები მორთულობითა და სილამაზით ოთახების შიდა მოკაზმულობას არაფრით ჩამოუვარდებოდა. მეფემ თანხები არ დაიშურა ამ დიდებული ციხე-სიმაგრისა და სასახლის ასაშენებლად. შორი მანძილიდან, დაუღალავი შრომის შემდეგ, მოტანილი სასმელი წყლის მარაგი ულევი იყო."

ჰეროდეს აღმშენებლობითი საქმიანობიდან აღსანიშნავია იერუსალიმის ტაძრის განახლება. ახალი ტაძარი დიდებული და მდიდრულად მოპირკეთებული იყო.

ჰეროდე სასტიკი და ეჭვიანი ადამიანი იყო. საკუთარი დედა და ცოლი მარიამნა მოაკვლევინა. თავისი სამი ვაჟიც არ დაინდო, რადგან მათში მეტოქეებს ხედავდა. ყრმების ამოხოცვის ამბავი, რომელიც მათეს სახარებაშია აღწერილი, ჰეროდეს დაუნდობლობას უსვამს ხაზს.

ჰეროდეს ოჯახი აღრეული ქორწინებებით იყო განთქმული. მაგალითად, ჰეროდე ანტიპამ, თავისი ძმისცოლი, ჰეროდია შეირთო. ჰეროდია არა მარტო მისი რძალი იყო, არამედ ნახევარძმის ქალიშვილიც. ასე რომ, ცოლად ორმაგი ახლო ნათესავი შეირთო.

როდესაც ქ.წ. 4 წელს ჰეროდე დიდი მოკვდა, რომაელებმა სამეფო მის სამ ვაჟს გაუნაწილეს.

იუდეა, იერუსალიმის ჩათვლით არქელაოს ერგო, რომელიც ეთნარქოსის ტიტულს ატარებდა. ათი წლის შემდეგ, ქ.შ. 6 წელს, რომაელებმა გადააყენეს არქელაოსი და უშუალოდ სირიის პროვინციას დაუქვემდებარეს. იუდეის ყველაზე ცნობილი გამგებელი, ახალ აღთქმას თუ მოვიხმობთ, იყო პილატე პონტოელი, რომელიც ქ.შ. 26-36 წლებში მოღვაწეობდა (ამ პერიოდიდან დაიწყო ამბოხებათა გრძელი ჯაჭვი, რომელშიც საბოლოოდ ებრაელები დამარცხდნენ და ქ.შ. 70 წელს რომაელებმა იერუსალიმი სასტიკად ააოხრეს).

პალესტინის ჩრდილოეთი ნაწილი რომაელებმა საგამგებლოდ გადასცეს ანტიპას, რომელსაც გალილეისა და პირეის ტეტრარქოსის წოდება უბოძეს. (ტეტრარქოსი ქვეყნის მეოთხედი ნაწილის მმართველს ეწოდებოდა, თუმცა ხშირად, დამორჩილებული ოლქის მმართველის ტიტულიც იყო). ანტიპა მამას ჰგავდა, ფუფუნების მოტრფიალე იყო და მშენებლობით გაითქვა სახელი. გენესარეთის ტბის ნაპირზე გააშენა ქალაქი ტიბერია, ხოლო ნაზარეთის მახლობლად ქალაქი სეფორისი. ახალი აღთქმის მიხედვით, სწორედ მისი ბრძანებით შეიპყრეს იოანე ნათლისმცემელი და თავი მოჰკვეთეს. დაპატიმრებული იესო ქრისტეც მის წინაშე წარადგინეს.

ჰეროდეს მესამე მემკვიდრეს, ფილიპეს, ჩრდილო-აღმოსავლეთის ტერიტორია გადასცეს. ფილიპე კარგი მმართველი იყო და იტურეასა და ტრაქონიტიდას ქ.შ. 34 წლამდე განაგებდა, როგორც ტეტრარქოსი.



ჰეროდეს მიერ აშენებულ ციხე-სასახლეებს შორის ყველაზე განთქმულია მაცადა, რომელიც მკვდარი ზღვის მახლობლად აშენდა. აქ შეაფარეს თავი რომის წინააღმდეგ მოწყობილი აჯანყების დამარცხების შემდეგ გადარჩენილმა ებრაელებმა ქ.შ. 73 წელს და ალყაშემორტყმულებმა მასობრივი თვითმკვლელობით დაასრულეს სიცოცხლე.

# ძველი ბერძნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველი ბერძნების ისტორიის ოქროს საუკუნე ქ.წ. 500 წელს დაიწყო. ქალაქი ათენი დემოკრატიის ბურჯი იყო. მაგრამ ბერძნების გაძლიერება და მათი გავლენის გავრცელება დაიწყო მაშინ, როდესაც ფილიპე მაკედონელმა დაქუცმაცებული ბერძნული ქალაქ-სახელმწიფოები გააერთიანა ქ.წ. 338 წელს. ფილიპეს მემკვიდრემ, ალექსანდრე დიდმა, ქ.წ. 334 წელს დაამხო სპარსეთის იმპერია და გამარჯვებულმა სირიის გავლით ეგვიპტეს მიაღწია, სადაც ქალაქი ალექსანდრია დააარსა. აღმოსავლეთში კი მდინარე ინდამდე ილაშქრა. 32 წლის ალექსანდრემ მაშინდელი კულტურული სამყაროს უდიდესი ნაწილი დაიპყრო. ძალების მოზღვავების ასაკში გარდაცვლილი მეფის დაპყრობილი ქვეყნები მისმა მხედართმთავრებმა გაინაწილეს. პტოლემეოსი ეგვიპტეში გაბატონდა, სელევკოსმა კი პალესტინა, სირია და მთელი აღმოსავლეთი იგდო ხელთ.

სადაც კი მიაღწევდა ბერძნულ-მაკედონური ჯარი, ყველგან ბერძნულ ენასა და კულტურას ავრცელებდა. ახალი ქალაქები ბერძნული ნიმუშით შენდებოდა, თეატრებითა და სტადიონებით.

ბერძნული კულტურის გავრცელება არ შეწყვეტილა მაშინაც კი, როცა რომი ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში (ქ.წ. 146) გაბატონდა. ბერძნულმა ენამ საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა. რომაელებმა შეითვისეს ბერძნული ცხოვრების იდეალები და ღვთაებათა პანთეონი, თუმცა ღმერთებს ლათინური სახელები უწოდეს. რომაელთა საყოველთაო მბრძანებლობის ეპოქაში ქ.წ. I საუკუნეში ბერძნულ ენაზე დაიწერა ახალი აღთქმა. ებრაელებმა ბერძნული კულტურის ძლიერი გავლენა განიცადეს, არა მარტო ეგვიპტეში, სადაც წმიდა წერილი ბერძნულ ენაზე ითარგმნა, არამედ პალესტინაშიც. მოციქულ პავლესთვის წმიდა სახარების გავრცელების მთავარი სამიზნე ბერძნული ქალაქები იყო: ფილიპე, თესალონიკე, კორინთო და ათენი.

მაკედონია



**პართენონი, ძველი მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ქალაქის, ათენის აკროპოლისზე მდებარეობს. პართენონის ფრიზზე გამოსახული ბარელიეფი ბერძენი მოქანდაკეების დახვეწილ ხელოვნებაზე მეტყველებს.**





ქ.წ. VI საუკუნის ბერძნული სავაჭრო გემი. აღდგენილია ლარნაკზე გამოსახული ნახატის მიხედვით.




ბერძნული ცივილიზაციის განუყოფელი ნაწილი იყო სპორტული თამაშები. ლარნაკზე გამოსახული ნახატები გვიჩვენებს პენტატლონის მონაწილეებს: სიგრძეზე მხტომელს, შუბისა და ბადროს მტყორცნელებს.





ბერძნული თეატრების ნანგრევები ელინისტური სამყაროს ყველა ქვეყანაშია მიმოფანტული. მაყურებელთა ადგილები იარუსებად იყო აგებული, ამიტომ სცენა ყოველი მხრიდან კარგად მოჩანდა. სცენაზე ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვა ყველაზე შორს მჯდომ მაყურებელსაც კარგად ესმოდა. ათენის ამფითეატრი დღესაც მოქმედებს.



ძველ ქალაქ პალმირაში აღმოჩენილი ქალის ქანდაკება გვიჩვენებს, თუ როგორ თავსართავებს, საყურეებსა და გულსაკიდებს ატარებდნენ დღესასწაულზე მდიდარი ბერძენი ქალები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი აღთქმის სამყარო

პალესტინა, სადაც იესო ქრისტე დაიბადა, რომის ძალაუფლებას ექვემდებარებოდა. ქ.წ. 27 წელს რომის პირველი იმპერატორი გახდა ოქტავიუს ავგუსტუს კეისარი. ის ბევრს მოგზაურობდა, ადგილზე ეცნობოდა მოვლენებს და იმპერიის სხვადასხვა კუთხეში წამოჭრილ პრობლემებს აგვარებდა.

ვრცელი სახელმწიფოს ძლიერება ჯარს ეყრდნობოდა. იმპერიის ყველაზე მშფოთვარე პროვინციებში ერთი ან ორი რომაული ლეგიონი, რეგულარული ჯარი იდგა მშვიდობის დასაცავად. ლეგიონში დამხმარე ქვედანაყოფებიანად დაახლოებით ათი ათასი ჯარისკაცი ირიცხებოდა (უშუალოდ ბრძოლაში მონაწილეობდა ექვსი ათასი კაცი). თითოეულ ლეგიონში შედიოდა მძიმედ შეიარაღებული მეომრების ათი კოჰორტა (ერთ კოჰორტაში 480 ჯარისკაცი იყო), ცხენოსანთა და ლოდმტყორცნელთა რაზმები. ლეგიონში უმნიშვნელოვანეს როლს უმცროსი ოფიცერი – ცენტურიონი, ანუ ასისთავი თამაშობდა. ეს ჯარი განთქმული რომაული მშვიდობის (*Pax Romana*) გარანტი იყო.

დაპყრობილ ქვეყნებში რომაელები თავდაპირველად შექმნილ მდგომარეობას ითვალისწინებდნენ და მმართველად ადგილობრივ მეფეს ან წინამძღოლს ნიშნავდნენ, რომელიც რომის უზენაესობას აღიარებდა და რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ ითვლებოდა. ჰეროდე დიდმა რომის დახმარებით მიიღო ხელისუფლება და თავის მხრივ, ყოველთვის აღიარებდა მის ავტორიტეტს. საკუთრივ პროვინციები პირდაპირ იმპერატორს ემორჩილებოდნენ, რომელიც რომის მოქალაქეს ნიშნავდა პროვინციის ზედამხედველად. ასეთ მმართველებს ლეგატის ან პროკურატორის წოდება ენიჭებოდათ.

იმპერიის ზოგიერთ საზღვრისპირა ქალაქში რომაელი კოლონისტები ჭარბობდნენ, რათა საზღვრების უსაფრთხოება დაეცვათ. ქალაქ რომის მოსახლეობა დღითი-დღე იზრდებოდა და მათი ნაწილი ხალისით გადადიოდა პროვინციის ქალაქებში. ვეტერანი ლეგიონერები სამხედრო სამსახურის დასრულების შემდეგ კოლონიებში მიწებს უსასყიდლოდ იღებდნენ. ადგილობრივ მოსახლეობას ხშირად ანიჭებდნენ რომის მოქალაქის საპატიო წოდებას. კოლონისტები იმპერიის ერთგულნი იყვნენ და უკმაყოფილების ყოველი გამოვლენისა თუ აჯანყების ჩახშობაში აქტიურად მონაწილეობდნენ.

რომაელები ხმელთაშუა ზღვას სიამაყით "ჩვენ ზღვას" (*mare nostrum*) უწოდებდნენ. მართლაც, ამ ზღვას მხოლოდ რომაული სავაჭრო და სამხედრო გემები სერავდნენ. საზღვაო გზებს ქარის და დინების მიმართულების მიხედვით გეგმავდნენ. ზამთარი ზღვაზე სამოგზაუროდ საშიში იყო. რამდენიმე თვის განმავლობაში ღუზაჩაშვებული გემები მყუდრო ნავსადგურებში უცდიდნენ სანაოსნო სეზონის დაწყებას.

საზღვაო გზებზე უფრო დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რომაულ სახმელეთო გზების ქსელს. ეს გზები მყარად იყო ნაშენი. მანძილს ან მიმართულებას საგანგებო სვეტები აღნიშნავდნენ. იმპერიის ფარგლებში ამ გზებით მოგზაურობა ადვილი და უსაფრთხო იყო.

რომაელები ცხოვრების ბერძნულ წესს ეთაყვანებოდნენ, მაგრამ იმპერიის განათლებული მოქალაქეები ლათინურ ენასაც ფლობდნენ. იმპერიის უმთავრესი ენა ლათინური იყო.

## ებრაელები

ყველა ღვთისმოსავი ებრაელი აღიარებდა თორას, ანუ მოსეს რჯულს და იერუსალიმის ტაძარში წმიდა მსხვერპლშეწირვის წესს, მაგრამ ერის შიგნით ჩამოყალიბებულ ჯგუფებს სარწმუნოების დაცვის სხვადასხვა გზები ჰქონდათ არჩეული.

## სადუკეველები

ებრაელთა ერთ-ერთი ჯგუფი სადუკეველები (მომდინარეობს მღვდელი ცადოკის სახელიდან) ღვთისმსახურთა ოჯახებისგან შედგებოდა. ისინი საზოგადოების წარჩინებულ ფენას ეკუთვნოდნენ და პოლიტიკური წონაც ჰქონდათ. ხელისუფლებასთან მიმართებაში ლოიალურ, კომპრომისულ დამოკიდებულებას ამჯობინებდნენ.

წმიდა წერილიდან მხოლოდ თორას, ანუ ხუთწიგნეულს აღიარებდნენ და იმ დროს აღმოცენებულ ბევრ რელიგიურ ტრადიციას უარყოფდნენ, რადგან ისინი, მათი აზრით, რჯულის სწავლებას არ ეთანხმებოდნენ.

სადუკეველებს არ სწამდათ არც მკვდრეთით აღდგომა, არც ანგელოზებისა და დემონების არსებობა, არც მომავლის აპოკალიპტიკური წინასწარმეტყველებები. უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდნენ ტაძარში მსხვერპლშეწირვას და მღვდლობას.

## ფარისევლები

ფარისეველთა დაჯგუფება მგზნებარე მართლმორწმუნე ებრაელთა ჯგუფის – "ხასიდიმების" იდეალების გამგრძელებელი იყო. ეს ჯგუფი სადუკეველებს რიცხობრივად სჭარბობდა და მოსახლეობაშიც უფრო დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. იესო ქრისტეს დროს დაახლოებით 6000 ფარისეველი იყო. ზოგიერთი მათგანი მთელ დროს წმიდა წერილის შესწავლას ანდომებდა, სხვები კი სამოქალაქო საქმეებითაც იყვნენ დაკავებული. ფარისევლები უმთავრეს მნიშვნელობას თორას ანიჭებდნენ, თუმცა სადუკეველებისაგან განსხვავებით წმიდა წერილის სხვა წიგნებსაც აღიარებდნენ. რჯულის დაწერილი წერილის გარდა ფარისევლები "ზეპირ რჯულსა" და "უხუცესთა გადმოცემასაც" აღიარებდნენ. ისინი ცდილობდნენ ზეპირი რჯულის ცხოვრებაში დანერგვას. მათ სწამდათ მკვდრეთით აღდგომა, ანგელოზების არსებობა და მომავალი ღვთიური სამეფოს აპოკალიპტიკური წინასწარმეტყველება.

სიტყვა "ფარისეველი" "განცალკევებულს," "გამოყოფილს" ნიშნავს. ფარისევლებს სურდათ საღმრთო რჯულის ზედმიწევნით ზუსტად დაცვა და თავს ისაზღვრავდნენ გარშემომყოფი "უწმიდურობისაგან," მათგან, ვინც რჯულსა და გადმოცემებს არღვევდნენ. ხელისუფლებასთან მკვეთრ დაპირისპირებას ფარისევლები გაურბოდნენ.

## მოშურნეები (ზილოტები)

სარწმუნოების საკითხებში მოშურნეები (ზილოტები) ფარისევლებს ეთანხმებოდნენ, მაგრამ ხელისუფლებასთან დამოკიდებულებაში მკვეთრად განსხვავებულ პოზიციაზე იდგნენ. ამ მხრივ ისინი მეამბოხე სულის მკაბელებს ენათესავებოდნენ. მხოლოდ ღმერთის ძალაუფლებასა და ხელისუფლებას აღიარებდნენ და რომაელთა ბატონობის დამხობას აჯანყების გზით გეგმავდნენ.

## ესეველები, ყუმრანის საზოგადოება

იმ ადგილიდან, სადაც პირველად აღმოაჩინეს მკვდარი ზღვის ხელნაწერები, დაახლოებით ერთი კილომეტრის მანძილზე მდებარეობს ყუმრანის ებრაელთა ძველი სამოსახლო. აქაური მოსახლეობა ესეველების დასს ეკუთვნოდა. ეს იყო ებრაელების ჯგუფი, რომელიც საღმრთო რჯულს მგზნებარედ იცავდა. შესაძლოა, ეს დასი ბაბილონში ჩამოყალიბდა და ტყვეობაში დაკარგული რელიგიური თვითმყოფადობის აღდგენას ემსახურებოდა.

დაახლოებით ქ.წ. 150 წელს ამ საზოგადოების გამოყოფილი ნაწილი ყუმრანის უდაბნოში დასახლდა უფლებაჩამორთმეული მღვდელმთავრის წინამძღოლობით, რომელსაც "ჭეშმარიტების მასწავლებელს" უწოდებდნენ. თემის წევრები გულმოდგინებით სწავლობდნენ საღმრთო რჯულს, რადგან მესიის მოსვლას ელოდებოდნენ. ისინი კარვებსა და ახლო-მახლო გამოქვაბულებში ცხოვრობდნენ, მისდევდნენ მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას, ხოლო მათივე ხელით აშენებულ ნაგებობებს რელიგიური ან საზოგადოებრივი მიზნებისათვის იყენებდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, ესეველები საღმრთო რჯულს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, ამიტომ ხუთწიგნეულისა და წმიდა წერილის სხვა წიგნების ხელნაწერ პირებს მონდომებით ამზადებდნენ და საკუთარ ბიბლიოთეკაში ინახავდნენ. წიგნსაცავების ნანგრევების ნახვა დღემდეა შესაძლებელი.

ქ.წ. 68 წელს ესეველებმა რომის ლეგიონების მოსალოდნელი შემოჭრის ამბავი შეიტყვეს, ამი-

ტომ ძვირფასი ხელნაწერები სასწრაფოდ ჯვალოს ნაჭრებში გაახვიეს, თიხის დოქებში მოათავსეს და ახლო-მახლო გამოქვაბულებში გადამალეს. როცა ყუმრანის ნამოსახლარი გათხარეს, ზუსტად ისეთივე თიხის ჭურჭელი აღმოჩნდა, როგორც გამოქვაბულში იყო მანამდე ნაპოვნი. ხოლო სამელნეში აღმოჩენილი მელნის ნარჩენების ანალიზმა დაადასტურა, რომ ხელნაწერები სწორედ ყუმრანში იყო დაწერილი.

ესეელთა დასი ხასიდიმების მოძრაობას ჰგავდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა ესეელთა ყუმრანის თემის საიდუმლოს ფარდა ახადა, მაგრამ ამ დასის სხვა თემების შესახებ დღეს საკმაოდ მწირი ცნობები მოგვეპოვება. ესეელები იმ დღეს ელოდებოდნენ, როცა ღმერთი კაცობრიობის ისტორიაში შემოიჭრებოდა და მთელს ისრაელში მხოლოდ ისინი აღმოჩნდებოდნენ ღვთის ჭეშმარიტ მიმდევრებად და მის რჩეულ ერად. ებრაელების დიდი ნაწილი მესიის მოსვლას ელოდებოდა, თუმცა მისი მეფობის შესახებ მრავალი თვალსაზრისი არსებობდა. ესეელები სამი მესიის შესახებ მსჯელობდნენ: პირველი — წინასწარმეტყველი, როგორც მოსემ იწინასწარმეტყველა, მეორე — დავითის შთამომავალი მეფე და მესამე — მესია-მღვდელმთავარი, რომელიც დანარჩენ ორზე აღმატებული უნდა ყოფილიყო.

## მწიგნობრები

მწიგნობრები, ანუ როგორც ხშირად უწოდებდნენ, მერჯულეები, თავდაპირველად სხვა ადამიანის სიტყვის ჩამწერნი იყვნენ, მაგალითად ბარუქი, რომელიც იერემიას წინასწარმეტყველებებს იწერდა. შემდეგ, ეზრას მსგავსად ხელნაწერების პირებს ამზადებდნენ და რჯულის ამხსნელ-განმმარტებლებიც იყვნენ. ახალი აღთქმის ეპოქაში მწიგნობრები რჯულის პროფესიონალ განმმარტებლებად იქცნენ. ისინი რელიგიურსა და სამოქალაქო კანონებს სწავლობდნენ და ცხოვრებში მათი გამოყენების გზებს ეძებდნენ.

## სინედრიონი

სპარსელებმა ებრაელებს შინაური საქმეების დამოუკიდებლად მართვის უფლება მისცეს. სინედრიონი უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება იყო და ქ.შ. 70 წლამდე იარსება, ვიდრე რომაელებმა არ აკრძალეს. სინედრიონი სამოცდაათი წევრისგან შედგებოდა და მისი წინამძღოლი მღვდელმთავარი იყო. მას საკუთარი შეიარაღებული ძალები ჰყავდა და ადამიანის დაპატიმრების, დაკითხვისა და გასამართლების უფლება ჰქონდა. სინედრიონის უფლებაში შედიოდა სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, მაგრამ სასჯელის აღსრულებაში მოყვანა, ან დადასტურება მხოლოდ რომაული ადმინისტრაციის უფლებებში შედიოდა.

## სინაგოგა

იერუსალიმის ტაძარი სოლომონის მეფობიდან მოყოლებული ებრაელი ხალხის ღვთისთაყვანისცემის უმთავრესი ცენტრი იყო. ბაბილონის ტყვეობაში წაყვანილი ხალხი, რომელიც სამშობლოს ასეული კილომეტრებით დაშორდა, რა თქმა უნდა, იერუსალიმის ტაძარში ლოცვას ვეღარ მოახერხებდა. შესაძლოა, სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას ემსახურებოდა სინაგოგა, თუმცა მისი არსებობის შესახებ არსებული ყველაზე ძველი წერილობითი წყარო ქ.წ. III საუკუნით თარიღდება.

სინაგოგა სადა, კუთხოვანი ნაგებობა იყო და იერუსალიმის დიდებულ ტაძარს არაფრით ჰგავდა. არც ღვთისთაყვანისცემა შეედრებოდა ტაძრისას. სინაგოგაში მსხვერპლშეწირვა არ ხდებოდა და ღვთისმსახურება ლოცვით, თორას კითხვითა და ახსნა-განმარტებებით შემოიფარგლებოდა. თორას ხელნაწერი გრაგნილები სპეციალურ ყუთში ინახებოდა და ყოველ შაბათს იკითხებოდა.

პალესტინის საზღვრებს მიღმა სინაგოგა ებრაელების ურთიერთობისა და ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი ბურჯი იყო. იქ იკრიბებოდნენ ერის მამები, იქ იყო სკოლა და ზოგჯერ შორიდან ჩამოსული თანამემამულეებისთვის განკუთვნილი სასტუმრო. სინაგოგა ებრაელების სულიერი და საზოგადოებრივი ცხოვრების კერას წარმოადგენდა.

ბაბილონის ტყვეობიდან ებრაელების დაბრუნების შემდეგ სინაგოგები პალესტინისა და რომის იმპერიის თითქმის ყველა იმ ქალაქში დაარსდა, სადაც ებრაელთა საკმაოდ დიდი სათვისტომო არსებობდა. ზოგ ქალაქში რამდენიმე სინაგოგა იყო, რომლებიც ებრაელთა სხვადასხვა ჯგუფებს ემსახურებოდა. ისინი ერთმანეთისგან რელიგიური წესების დაცვის სიმკაცრით გამოირჩეოდნენ. ზოგიერთი სინაგოგა შედარებით ადვილად ეთვისებოდა ელინისტურ ან სხვა ადგილობრივ კულტურას.

სინაგოგა იერუსალიმის ტაძრის შემცვლელად არ ითვლებოდა. იერუსალიმში ყოველწლიურ დღესასწაულებზე ერთხელ მაინც წასვლა ყველა ებრაელის ვალი იყო და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოველების მსხვერპლშეწირვა მხოლოდ ტაძარში ხდებოდა.

## განხეთქილება

როგორც ცნობილია, ებრაელთა ნაწილი ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნდა და ისინი სპარსეთის იმპერიის სხვადასხვა კუთხეში დასახლდნენ. საკმაოდ ბევრი ებრაელი ეგვიპტეში გადასახლდა. ახალი აღთქმის დროს, ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ალექსანდრიაში უფრო ბევრი ებრაელი ცხოვრობდა, ვიდრე იერუსალიმში. სხვები ბევრს მოგზაურობდნენ და ანტიკური მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში სახლდებოდნენ, სადაც ძირითადად სავაჭრო საქმით იყვნენ დაკავებულნი.

ის ებრაელები, რომლებიც პალესტინის საზღვრებს მიღმა ცხოვრობდნენ, ცნობილნი იყვნენ, როგორც განთესილებაში მყოფი ებრაელები, ანუ დიასპორა. მათი რწმენა სინაგოგის მსახურებასთან და ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული. მშობლიური ენა იყო ბერძნული, რომის იმპერიის საერთაშორისო ენა, ამიტომ წმიდა წერილის ბერძნულ თარგმანს, სეპტუაგინტას, იყენებდნენ. ზოგჯერ, რელიგიურ საკითხებში პალესტინელ ებრაელებზე უფრო ნაკლებ სულიერ სიმტკიცეს იჩენდნენ და ადგილობრივი კულტურის ძლიერ გავლენას განიცდიდნენ.

## პალესტინის მეურნეობა

ჰეროდე დიდის მეფობის დროს პალესტინაში მოჰყავდათ და აწარმოებდნენ ზეთისხილსა და ზეითუნის ზეთს, ღვინოსა და ხორბალს. მოსახლეობის ძირითადი საკვები იყო ცერცვი, ბარდა, პური და ხილ-ბოსტნეული, იშვიათად ხორცი. თევზი, რომელსაც ხმელთაშუაზღვისპირეთსა და გენესარეთის ტბაზე იჭერდნენ და ამარილებდნენ, ადგილობრივ მოთხოვნილებას აკმაყოფილებდა და უცხოეთშიც გაჰქონდათ.

თიხის მრავალფეროვანი ჭურჭელი და ნივთები ქვეყნის ყველა კუთხეში მზადდებოდა. პალესტინაში სელი იზრდებოდა და მისგან ქსოვილებს ამზადებდნენ, ამავე მიზნით ფართოდ გამოიყენებოდა მატყლი. ბალსამონის ხე უხვად იძლეოდა სურნელოვან ფისს, რომლის ექსპორტი კარგ შემოსავალს იძლეოდა. ყველს ცხვრისა და თხის რძისაგან ამზადებდნენ.

ტვიროსულ მეწამულ საღებავს, რომელიც ძვირფასი ქსოვილების შესაღებად გამოიყენებოდა, იუდეის ზღვისპირეთშიც აწარმოებდნენ. მკვდარ ზღვაში მოიპოვებდნენ მარილსა და ასფალტს. ეს უკანასკნელი გემთმშენებლობაში გამოიყენებოდა. ჰეროდეს მეფობაში ბრინჯის მოყვანასაც მოჰკიდეს ხელი. ფინიკის ნაყოფი იმდენად უხვმოსავლიანი იყო, რომ ის უცხოეთშიც გაჰქონდათ. იუდეა ხილის სასმელებით იყო განთქმული.

# ესეელები და მკვდარი ზღვის ხელნაწერები

ერთი ბედუინი ბიჭი სახელად მუჰამედ მგელი მკვდარი ზღვის მახლობელ ველზე თხებს მწყემსავდა ხოლმე. 1947 წლის ერთ დღეს, გართობის მიზნით, კლდეში ამოკვეთილ ერთ-ერთ გამოქვაბულში ქვა ისროლა და დიდად გაოცდა, როდესაც თიხის ჭურჭლის მსხვრევის ხმა გაიგო. შეშინებული ბიჭი სირბილით გაეცალა იქაურობას, მაგრამ მალე მეგობართან ერთად მოვიდა შემთხვევის ადგილის დასათვალიერებლად.

გამოქვაბულში მეგობრებმა რამდენიმე თიხის ქოთანი იპოვეს, რომლებშიც ფისით დაფარული ნაჭრის ხვეულები იდო. ეს ჯვალოს ნაჭრები ძველ ხელნაწერებს განადგურებისგან იცავდა. ბიჭებმა აღმოჩენილი განძის გაყიდვა გადაწყვიტეს.

ამ აღმოჩენის დიდი ფასი და მნიშვნელობა რამდენიმე წლის შემდეგ გამოვლინდა. ეს არ იყო ერთადერთი გამოქვაბული, რომელიც ხელნაწერ განძს ინახავდა. დროთა განმავლობაში ყველა გამოქვაბული დაწვრილებით შეისწავლეს და ესთერის წიგნის გარდა ძველი აღთქმის ყველა წიგნის ხელნაწერი აღმოაჩინეს. ესაია წინასწარმეტყველის წიგნი ქ.წ. 100 წლით დათარიღდა და ის ძველი აღთქმის იმდროისათვის ცნობილ ყველაზე ხელნაწერზე ათასი წლით ძველი იყო. ნახშირბადის მეთოდით დათარიღებამ აღმოჩენილი ხელნაწერების ასაკი დააზუსტა. წმიდა წერილის ხელნაწერებზე მუშაობა დღემდე გრძელდება.

ხელნაწერების ავტორებად ითვლებიან ესეელები, მართლმორწმუნე ებრაელთა თემის წევრები (იხილეთ ძველი აღთქმის მსოფლიო).



ყუმრანის არქეოლოგიურმა გათხრებმა ბევრ საიდუმლოს ახადა ფარდა ქ.წ. 150 წელს აქ დასახლებული ესეელების თემის შესახებ. ამ ოთახში იწერებოდა ძველი აღთქმის მშვენიერი ხელნაწერები.

მკვდარი ზღვის განთქმულ ხელნაწერებს, რომლებიც ყუმრანის ესეელთა საზოგადოების ბიბლიოთეკას ეკუთვნოდა, რომაელთა შემოსევის დროს (ქ.წ. 70) თიხის ქოთნებში ინახავდნენ და ახლომდებარე მიუდგომელ გამოქვაბულებში მალავდნენ.





აბაკუმ წინასწარმეტყველის წიგნის ახსნა-განმარტების ნაწილი. ყუმრანში აღმოჩენილი ერთ-ერთი ხელნაწერი.

# ახალი აღთქმა






პალესტინა პირველ საუკუნეში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა


9

# ახალი აღთქმა

## ოთხი სახარება: მათე, მარკოზი, ლუკა, იოანე

როდესაც იესო ქრისტეს ცხოვრებასა და სწავლებაზე ვკითხულობთ, ერთის ნაცვლად ოთხი წიგნის გამოყენების შესაძლებლობა გვაქვს. იესო ქრისტეს ამბავი – "სახარება," ანუ "კეთილი ამბავი," როგორც ამას ავტორები მიუთითებენ, აღწერილია ოთხ განსხვავებულ წიგნში: მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს სახარებებში.

საყოველთაოდ მიღებულია ის აზრი, რომ ყველაზე ადრე დაიწერა მარკოზის სახარება, რომელიც მათესა და ლუკას სახარებების წყაროდ იქცა. ამიტომ, ჩვენ პირველ რიგში სწორედ მარკოზის სახარებით ვიხელმძღვანელებთ. მაგრამ იმის გამო, რომ სახარების ყველა ავტორს საკუთარი მიზნები ჰქონდა და ოთხივე წიგნი აბსოლუტურად ერთგვაროვანი მოთხრობებისაგან არ შედგება, ჩვენ დანარჩენ სამ სახარებასაც გამოვიყენებთ.

### რატომ არსებობს ოთხი სახარება

მიუხედავად იმისა, რომ ოთხივე სახარება ზოგჯერ ერთსა და იმავე მასალებს იყენებს, თითოეული მახარებელი იესო ქრისტეს პიროვნებას განუმეორებელი კუთხით წარმოგვიდგენს. ყოველი მათგანი განსაზღვრული მკითხველისათვის იყო გამიზნული და იესო ქრისტეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის განსაკუთრებულ ასპექტებს გადმოგვცემს.

### მათეს სახარება

მათეს სახარება ებრაელი მკითხველისთვის იყო გამიზნული. მისი თხრობის სტილი დახვეწილია და იესოს ცხოვრებასა და მის მოძღვრებაზე გვიამბობს. მათეს სახარება მოცულობით ყველაზე დიდია, თხრობა იესოს წინაპრების ჩამოთვლითა და მისი შობით იწყება და მთავრდება იესოს უკანასკნელი სიტყვებით, როდესაც მან სასუფეველში, მამასთან დაბრუნების წინ თავის მოწაფეებს მიმართა: "წადით და მოიმოწაფეთ ყველა ხალხი და მონათლეთ ისინი... ასწავლეთ მათ ყოველივეს დაცვა, რაც მე გამცნეთ." (მათ. 28:19-20)

მათე ძველი აღთქმის ტექსტს მოუხმობს, როდესაც მასში ნაწინასწარმეტყველები რომელიმე მოვლენის "აღსრულებაზე" საუბრობენ. მაგალითად, როდესაც მთავარანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს იესოს მომავალი შობის ამბავი გამოუცხადა, მათემ ესაიას წიგნის ბერძნული ვერსიის (სეპტუაგინტა) მეშვიდე თავი მოიხმო: "აჰა, მუცლად იღებს ქალწული, შობს ძეს და უწოდებს სახელად ემანუელს, რაც თარგმნით ნიშნავს: ჩვენთან არს ღმერთი." ასეთ კავშირს ებრაელი მკითხველის განსაკუთრებული დაინტერესება უნდა გამოეწვია. მათე მკითხველს მიუთითებდა, რომ ღმერთის ახალი გამოცხადება იესოს სახით უდავოდ დიდი მოვლენა იყო და ძველ აღთქმაში ღმერთის გამოცხადებას უკავშირდებოდა. დაინტერესების გაღვივებას ისიც უწყობდა ხელს, რომ მახარებელი მომავლის ამბებსა და განკითხვის დღეზე საუბრობდა.

მხოლოდ და მხოლოდ გადმოცემა გვაძლევს იმის უფლებას, რომ მოციქული მათე ამ სახარების ავტორად ჩავთვალოთ. სახარებიდან ვიცით, რომ მათე გადასახადების ამკრეფი იყო, როდესაც იესომ თავისთან მოიხმო. არც სახარების დაწერის ზუსტი თარიღია ჩვენთვის ცნობილი. შესაძლებელია ეს ქ.შ. I საუკუნის მიწურულს, 84-100 წლებში იყოს დაწერილი. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით კი, სახარება იესო ქრისტეს სიკვდილიდან ათი-ოცდაათი წლის გასვლის შემდეგ დაიწერა, ქ.შ. 40-60 წლებში.

### მარკოზის სახარება

მარკოზის სახარება, მათეს სახარებისგან განსხვავებით, წარმართებისთვის, ანუ არაებრაელი მკითხველისთვის დაიწერა. პაპიასი, ქრისტიანი მწერალი, დაახლოებით ქ.შ. 130 წელს წერდა, რომ მარკოზი "პეტრეს თარჯიმანი" იყო და "პეტრეს მეხსიერებაში ჩაბეჭდილი იესოს სიტყვები და საქმეები ზუსტად ჩაიწერა." ეს ამაღელვებელი სიტყვები მიგვითითებს, რომ მარკოზი იესოს უახლოესი მოწაფისა და მეგობრის მიერ მოთხრობილ ამბებს უშუალოდ მისგან ისმენდა და იწერდა.

როგორც ჩანს, პეტრე ბერძნულ ენას სრულყოფილად ვერ ფლობდა, ამიტომ მარკოზმა მისი არამეული საუბრები ბერძნულად თარგმნა. ზოგჯერ მახარებელი იესოს მიერ წარმოთქმულ სიტყვებს კი არ თარგმნის, არამედ არამეულ ენაზე გადმოგვცემს. იაიროსის ქალიშვილის მკვდრეთით აღდგომის ამბის აღწერისას, მარკოზი იესოს უმნიშვნელოვანეს სიტყვებს უცვლელად გვთავაზობს: "ტალითა კუმი!" რაც ნიშნავს: "შენ გეუბნები, გოგონა, ადექ!"

ელექტრონული ბიბლიოთეკა

მარკოზი შთამბეჭდავად აღწერს იესოს ადამიანურ სახეს. იესო დაღლილია და ნავში იძინებს; ბრაზდება, როდესაც მოწაფეები ბავშვებს არ უშვებენ მასთან. შესაძლოა, მარკოზს იმ ერეტიკული მოძღვრების მხილება სურდა, რომელიც იესოს რეალურ ადამიანად არ მიიჩნევდა. ალბათ, მარკოზმა თავისი სახარება ქრისტიანთა მოახლოებული დევნის გადასატანად დაწერა, რათა ახალგაზრდა მორწმუნეები ამ გამოცდისათვის მოემზადებინა. ის ხომ უდანაშაულოდ ტანჯულ იესოს გვიჩვენებს.

მარკოზის სახარებაში იესოს ვინაობა იდუმალებით არის მოცული: არაფერია ნათქვამი მისი შობის შესახებ. მოწაფეები თანდათანობით გებულობენ თუ ვინ არის იესო. წიგნის შუა ნაწილში პეტრე აცხადებს, რომ ის არის ღმერთის მესია. შემდეგ, წიგნის მეორე ნახევარში, იესო მოწაფეებს საკუთარი ტანჯვით სიკვდილისათვის ამზადებს. სამხედრო ან პოლიტიკური მესია-მხსნელი კი არა არის იგი, არამედ მესია, რომელიც ევნება, მოკვდება და მარადიული სიცოცხლისათვის მკვდრეთით აღსდგება.

მარკოზის სრული სახელი იყო იოანე-მარკოზი, ტრადიციულად ის ითვლება ამ სახარების ავტორად და შესაძლებელია საკუთარი თავის შესახებაც საუბრობს სახარების ერთ მოთხრობაში. გავიხსენოთ ახალგაზრდა კაცი, რომელიც იესოს შეპყრობის დროს სხვა მოწაფეებთან ერთად იყო მასთან და შეშინებული ისე გაიქცა, რომ მოსასხამიც კი ხელში შეატოვა დადევნებულ ჯარისკაცებს. დაზუსტებით ვიცით, რომ მარკოზის სახლი იესოს მიმდევრების ყველაზე ადრეული თავშესაფარი და შეკრების ადგილი იყო და უფლის სერობაც, შესაძლებელია, ამ სახლში მოხდა. (საქ. 12:12)

## ლუკას სახარება

ლუკა ახალი აღთქმის წიგნების ერთადერთი არაებრაელი ავტორია. მას ეკუთვნის ქრისტიანული სარწმუნოების ამსახველი ორი წიგნი, სახარება და მოციქულთა საქმეები. ლუკა, როგორც პავლეს სიტყვებიდან ვგებულობთ, ექიმი იყო და მისი სახარება ბევრად უფრო დახვეწილ ბერძნულზეა დაწერილი, ვიდრე მარკოზისა. წიგნის შესავალში ის გვაუწყებს, რომ მისი მიზანია ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის მოხელეს, თეოფილეს, იესოს შესახებ არსებული ყველა ცნობა ზუსტად მოუთხროს. ლუკა რომაულ სამყაროს ქრისტიანული სარწმუნოების ჭეშმარიტებას უმტკიცებს.

ლუკას შესახებ მისივე სახარებიდან ვგებულობთ. ის საგანგებო მზრუნველობას იჩენს ღარიბებისა და ქალების მიმართ, რომლებიც მოსახლეობის ყველაზე უუფლებო ფენას ეკუთვნოდნენ. იგი ხაზგასმით აღნიშნავს იესოს ლოცვის მნიშვნელობას. მის სახარებაში ჩართულია სამი იგავი ლოცვის შესახებ, რომლებიც სხვა სახარებებში არ გვხვდება. აგრეთვე მხოლოდ მის სახარებაშია აღწერილი მარიამის სამადლობელი ლოცვა, როცა ის ორსულად იყო; ჩვილი იესოს ამბავი, როდესაც ბაგაში ჩაწვენილს მწყემსები ეახლნენ თაყვანის საცემად. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს ამბები თავად მარიამმა მოუთხრო მას. ლუკას სახარების დაწერის ზუსტი თარიღის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ერთნი ფიქრობენ, რომ ის ქ.შ. 57-60 წლებში დაიწერა, სხვანი კი თარიღად ქ.შ. 70 წელს ასახელებენ.

## იოანეს სახარება

ტრადიციულად იოანეს სახარების ავტორად მიჩნეულია მოციქული იოანე. სახარებაში საკუთარი სახელის დასახელების ნაცვლად ნათქვამია "მოწაფე, რომელიც იესოს უყვარდა." ბიბლიის ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ სახარების ავტორი მოციქული იოანე კი არ იყო, არამედ მისი მოწაფე, რომელსაც ასევე იოანე ერქვა. დიდი ხნის მანძილზე ითვლებოდა, რომ იოანეს სახარება ყველაზე გვიან დაიწერა, დაახლოებით ქ.შ. 90-95 წლებში. მაგრამ ამჟამად არსებობს მოსაზრება, რომ ის უფრო ადრე, დაახლოებით ქ.შ. 40-65 წლებში დაიწერა.

იოანეს სახარება დანარჩენი სამი სახარებისგან მკვეთრად განსხვავდება, არა მარტო აღწერილი მასალით, არამედ მოვლენების

### სინოპტიკური სახარებები და Q

მათეს, მარკოზისა და ლუკას სახარებებს ზოგჯერ სინოპტიკურ სახარებებს უწოდებენ. სიტყვა სინოპტიკური ნიშნავს "ერთი თვალით დანახულს." თუკი ამ სამი სახარების შინაარსს ერთმანეთს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ მათ შორის ბევრი მსგავსება არსებობს. მათ შორის არსებული განსხვავებების მიუხედავად, მკითხველი აუცილებლად მივა იმ დასკვნამდე, რომ სამივე წიგნი ერთი საერთო წყაროდან მომდინარეობს. მეცნიერების აზრით, ყველაზე ადრე დაიწერა მარკოზის სახარება და მათემ  და ლუკამ სწორედ ამ წყაროთი ისარგებლეს საკუთარი წიგნების დაწერისას. ისინი ხშირად არბილებენ მარკოზის მიერ გამოყენებულ იესოს ემოციების და გრძნობების გამომხატველ მკვეთრ სიტყვებს და მისი უხეში ბერძნული ენის დახვეწასაც ცდილობენ.

Q არის პირველი ასო იმ გერმანული სიტყვისა, რომელიც აღნიშნავს წყაროს (Quelle). ამ სახელწოდებით ბევრი მეცნიერი იმ უცნობ ლიტერატურულ ნაწარმოებს მოიხსენიებს, რომლითაც, მათი აზრით, მათემ და ლუკამ ისარგებლეს, როდესაც იესოს ცხოვრების ისეთი მოვლენები აღწერეს, რომლებიც მარკოზის სახარებაში არ გვხვდება. ერთ-ერთი ვერსიით Q დაიწერა დაახლოებით ქ.შ. 50 წელს არამეულ ენაზე, თუმცა მისი ხელნაწერი ან პირი დღემდე არ არის აღმოჩენილი.





იესო თავის თავზე ამბობს, რომ ის არის "კარი ცხვართა," რომელიც ფარეხის შესასვლელს იცავს. ამ სიტყვებით იესომ ალგვითქვა, რომ ყველა მის მიმდევარზე იზრუნებს და დაიცავს მათ.

სხვა შემთხვევაში იესომ საკუთარ თავს უწოდა "ვაზი ჭეშმარიტი." მისი მიმდევრები ვაზის ის ლერწები არიან, რომლებიც სიცოცხლესა და ნაყოფიერებას ვაზისაგან ღებულობენ.

გადმოცემისა და მასალის დამუშავების თვალსაზრისითაც. იესო წიგნის დასაწყისშივე მესიად არის აღიარებული. იოანე იგავებზე ნაკლებად ამახვილებს ყურადღებას. მას იესოს პიროვნება და მისი სიტყვები აინტერესებს პირველ რიგში, მაგალითად: "მე ვარ პური სიცოცხლისა" და სხვა. შემდეგ ამ სიტყვებს ახსნა-განმარტება მოსდევს.

**იესოს სიტყვა "მე ვარ" საკმაოდ ხშირად გვხვდება იოანეს სახარებაში:**

* მე ვარ პური სიცოცხლისა (6:35)
* მე ვარ ნათელი წუთისოფლისა (8:12)
* მე ვარ მწყემსი კეთილი (10:11)
* მე ვარ კარი ცხვართა (10:7)
* მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე (11:25)
* მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე (14:6)
* მე ვარ ვაზი ჭეშმარიტი (15:1)

იესოს სასწაულებზე იოანე ბევრს არ საუბრობს და მაშინაც კი, როდესაც იესოს რომელიმე სასწაულს ასახელებს, მიაჩნია, რომ ესა თუ ის სასწაული განსაკუთრებულ ნიშანს წარმოადგენს. მაგალითად, როდესაც იესო ადამიანის სულიერ საჭიროებებზე ლაპარაკობს და ამბობს, რომ ის არის პური სიცოცხლისა, ამ სიტყვებს ფიზიკური სასწაულით ამტკიცებს და 5 000 კაცს პურითა და თევზით აპურებს. იესო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ როგორც პურია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიზიკური საზრდო, ისე თავად არის უმნიშვნელოვანესი სულიერი საზრდო. იესო სასწაულებრივად აღადგენს მკვდრეთით ლაზარეს და აცხადებს, რომ თვითონ არის აღდგომა და სიცოცხლე, ანუ მხოლოდ მას შეუძლია მიანიჭოს საუკუნო, მტკიცე და მშვიდი სიცოცხლე ყველას, ვისაც მისი სწამს.

**სასწაულები – ანუ ნიშნები – რომელიც იოანეს სახარებაშია აღწერილი:**

* წყალი ღვინოდ გადაიქცა (2:1-11)
* დიდებულის შვილის განკურნება კაპერნაუმში (4:46-54)
* სნეულის განკურნება ბეთ-ხასდას აუზთან (5:1-9)
* ბრმად შობილის განკურნება (9)
* იესოს წყალზე სიარული (6:19-21)
* 5000 კაცის დაპურება (6:5-13)
* ლაზარეს აღდგინება (11:1-44)
* სასწაულებრივი თევზჭერა (21:1-11)

იოანეს სახარება კონტრასტულია. ყველაზე საოცარი და ამაღელვებელია ბნელისა და ნათლის დაპირისპირება. იესო და მისი ჭეშმარიტება ნათელია და ბნელმა ვერ მოიცვა იგი. იოანეს სახარების პირველი თოთხმეტი დიდებული მუხლი, ანუ შესავალი, ამ წიგნში აღწერილ არაერთ თემას უკავშირდება:

"თავდაპირველად იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან, და სიტყვა იყო ღმერთი... სიტყვა იქცა ხორცად და დამკვიდრდა ჩვენს შორის, მადლითა და ჭეშმარიტებით აღსავსე. ჩვენ ვიხილეთ მისი დიდება, როგორც მამისაგან მხოლოდშობილის დიდება." (იოან. 1:1,14)

იოანე იერუსალიმში რამდენჯერმე ასვლასაც ახსენებს, მაგრამ არაფერს ამბობს იქ მომხდარ ამბებზე. მიჩნეულია, რომ იოანეს სახარება ებრაელებისა და წარმართებისთვის იყო განკუთვნილი. წიგნის შესავალში ნათქვამია, რომ იესო არის სიტყვა, რომელიც დასაბამითგან ღმერთთან არის და თავად ღმერთია. ამ სიტყვებით ავტორი დაბადების წიგნის პირველ თავს ეხმიანება. აღსანიშნავია, რომ იოანეს სახარების ეს სიტყვები ერთნაირად გასაგები იყო, როგორც ებრაელი, ისე ელინი მკითხველისათვის.

**გზის მომზადება იესოსათვის**

ძველი აღთქმა მთავრდება მალაქია წინასწარმეტყველის წიგნით, საიდანაც გამოსჭვივის მომავალი უფლის დღის დადგომის იმედი. უფლის დღე განკითხვის დღეა:

"უეცრად მოვა უფალი თავის ტაძარში...ვინ აიტანს მისი მოსვლის დღეს და ვინ გაუძლებს მის გამოცხადებას?.. აჰა, მოგივლენთ ელია წინასწარმეტყველს უფლის დღის, დიდის და საშინელის დადგომამდე."
(მალ. 3:1,2,23)



იესოს დაბადების დროინდელი რომის იმპერატორის ოქტავიუს ავგუსტუსის მონეტა. სწორედ ამ იმპერატორმა გამოსცა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბრძანება, რის გამოც იოსები და მარიამი ბეთლემში ჩავიდნენ.

ოთხასი წელი გავიდა ამ სიტყვების წარმოთქმის დღიდან და ამ დღის მომასწავებელი ნიშნები ჯერ კიდევ არ ჩანდა, მაგრამ ღვთის სიტყვის განკაცებამდე ცოტა ხნით ადრე ამ დღის მოახლოების ამაღელვებელი გუგუნი ჩაგვესმის ყურში. სამყარო თითქოს შეინძრა: დიდი ხნის წინ აღთქმული ღმერთის დაპირება სადაც არის უნდა შესრულდეს.

მარკოზის სახარება იოანე ნათლისმცემლის საოცარი, ქარიზმატული პიროვნების გამოჩენით იწყება. იოანე დაიბადა ზაქარია მღვდლისა და მისი ცოლის ელისაბედის ღვთისმოშიშ ოჯახში. მისი გაჩენა დიდი სიხარული იყო დიდი ხნის უშვილო ცოლ-ქმრისათვის.

## იოანე ნათლისმცემელი

იოანეს დაბადებამდე ღვთის ანგელოზმა საცნაური გახადა, რომ ის იქნებოდა ღმერთის წინამორბედი, რომელიც მაცხოვრისა და მეფის გზას მოამზადებდა. იოანე იზრდებოდა და წინასწარმეტყველობისთვის ემზადებოდა. მსმენელებს აგონებდა მგზნებარედ მოლაპარაკე ელია წინასწარმეტყველს, რომელიც წინასწარმეტყველ მალაქიას თქმით, წუთისოფელში უნდა დაბრუნებულიყო. იოანე თავისი უხეში და უბრალო ტანსაცმლითაც ელიას მოგვაგონებდა.

ხალხის ბრბო მიაწყდა იუდას უდაბნოს, იქ სადაც იოანე მონანიებასა და ღმერთისაკენ დაბრუნებას მოუწოდებდა. გაქნილსა და ცბიერ რელიგიურ წინამძღოლებს მწარე, მაგრამ მართალი სიტყვით ამხილებდა და ხალხს ცხოვრების ზნეობას ასწავლიდა. თავის შესახებ იოანე ამბობდა, რომ ის იყო "ხმა მღაღადებლისა უდაბნოში." ის ხმამაღლა აცხადებდა, რომ მალე მასზე უფრო დიდი და ძლიერი მოვიდოდა, რომელიც იოანესგან განსხვავებით, წყლით კი არ მონათლავდა, არამედ სულიწმიდით. იოანემ მოწაფეთა თუ მიმდევართა ჯგუფი შემოიკრიბა. ისინი გულისყურით უსმენდნენ წინასწარმეტყველის სიტყვებს მომავალ მხსნელზე.

ერთ დღეს იოანემ აღტაცებით მიუთითა მისკენ მომავალ კაცზე: "აჰა, ღვთის კრავი!" მისი მიმდევრები იმდენად დაინტერესდნენ წინასწარმეტყველის სიტყვებით, რომ ამ კაცს გაედევნენ და მთელი დღე მასთან დაჰყვეს. ასე გაიცნეს იესო.

იოანე ყველას კიცხავდა ცოდვებისათვის და მონანიებისაკენ მოუწოდებდა, გამონაკლისი არც იუდას მეფე ჰეროდე იყო, რომელიც ძმისცოლის შერთვისთვის გაიკიცხა. განრისხებულმა მეფემ იოანე საპყრობილეში ჩასვა. ამ დროიდან დაიწყო იესომ ქადაგება:

"აღსრულდა ჟამი და მოახლოვდა ღვთის სასუფეველი. მოინანიეთ და იწამეთ სახარება." (მარკ. 1:15)

იოანე მასთან მისულ მონანულ ხალხს ნათლავდა. მდინარე იორდანეს სუფთა, გამწმედი წყალი სიმბოლურად გამოხატავს ძველი ცოდვებისა და დანაშაულის ჩამორეცხვას და ადამიანს ახალი ცხოვრებისკენ მოუწოდებს.

## იესოს ცხოვრება

თუკი იესოს ცხოვრების დასაწყისის ამბავი გვაინტერესებს მათესა და ლუკას სახარებებს უნდა მივმართოთ, რომლებიც იესოს შობაზე მოგვითხრობენ. მათე გენეალოგიურ ხეს აღწერს და იესოს ძველი აღთქმის ისტორიასთან აკავშირებს. იესოს დედა მარიამი დანიშნული იყო იოსებზე. ვიდრე ისინი შეუღლდებოდნენ, ღვთის ანგელოზმა გაბრიელმა ქალწულ მარიამს აუწყა, რომ ვაჟი შეეძინებოდა:

"დიდი იქნება ის და უზენაესის ძედ იწოდება." (ლუკ. 1:32)

მარიამი ამ ამბავმა დააეჭვა და გააოცა. ის ხომ ქალწული იყო. მაგრამ, გაბრიელმა დაამშვიდა იგი და უთხრა, რომ ბავშვი ღმერთის ძალით დაიბადებოდა: "სულიწმიდა გადმოვა შენზე და უზენაესის ძალა მოგიჩრდილავს."

მარიამი საჩქაროდ გაემგზავრა ნაზარეთიდან იერუსალიმში, რათა ეს ამბავი ეუწყებინა თავისი ნათესავისათვის, ელისაბედისთვის, რომე-



### ნათლობა

ებრაელები წყალს სხვადასხვა რელიგიური ცერემონიებისთვის იყენებდნენ. ნათლობა ერთ-ერთი მათგანი იყო: სხეულის განბანა სულიერ განწმედას განასახიერებდა. სიტყვა ნათლობა, ბერძნულად "ბაპტიძო" "დაფვლას" ნიშნავს. თუკი წარმართი ებრაული სარწმუნოების მიღებას გადაწყვეტდა, მას ნათლავდნენ. ეს ინიციაციის ნიშანი იყო. იოანე ნათლისმცემელი ნათლობის რიტუალს მისი მსმენელებისა და მიმდევრების ცოდვების მონანიების გარეგნულ ნიშნად ატარებდა. იესომ თავის მოწაფეებს მოუწოდა, რომ ყველა, ვინც მათ ქადაგებას მოისმენდა და ქრისტეს მიიღებდა, წყალში მოენათლათ.

ნათლობა ქრისტიანულ ეკლესიაში სხვადასხვა სახით სრულდებოდა და სრულდება დღესაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა




იოანე ნათლისმცემელი ცხოვრების მთავარი ამოცანის შესასრულებლად იუდას უდაბნოში იწრთობოდა. იესოც, აქტიური მსახურების წინ, ამ უდაბნოში გამოიცადა. აქ, გზებიდან და დასახლებული ადგილებიდან მოშორებით, იესო ღმერთის დიდ მიზნებზე ფიქრობდა.

ლიც ფეხმძიმედ იყო და შვილის – იოანე ნათლისმცემლის შობას ელოდა. ანგელოზმა მარიამის საქმროს – იოსებსაც აუწყა სიმართლე მარიამის ორსულობის შესახებ და მან სიხარულით მიიღო იგი შინ.

**იესოს შობა**

რომის იმპერატორმა მოსახლეობის საყოველთაო აღწერის ბრძანება გამოსცა მთელი იმპერიის ფარგლებში. ეს ბრძანება პალესტინასაც ეხებოდა. იოსები და მარიამი ჩასაწერად გაემგზავრნენ ბეთლემში, იოსების წინაპრის დავით მეფის ქალაქში. სწორედ ბეთლემში იმშობიარა მარიამმა. იმის გამო, რომ ერთადერთ სასტუმროში ყველა ადგილი დაკავებული იყო, მარიამმა გამოქვაბულში, ან შესაძლოა გომურში იმშობიარა.

იმ ღამეს, როდესაც იესო დაიბადა, მწყემსებს, რომლებიც ბეთლემის ახლომახლო ბორცვებზე პირუტყვს დარაჯობდნენ, უფლის ანგელოზი გამოეცხადა და მაცხოვრის დაბადება ახარა. ისინი ჩვილის მოსაძებნად გაეშურნენ, რათა თაყვანი ეცათ მისთვის. მოგვიანებით კი, აღმოსავლეთიდან ბრძენი მოგვები მივიდნენ იესოსთან სათაყვანოდ და მეფური ძღვენი მიართვეს. მდიდარმა და ღარიბმა, ისრაელიანმა და უცხოელმა ერთნაირად განადიდეს ღვთის მესია.

**ყრმა იესო**

ოთხთავმა იესოს სიყრმის ამსახველი ერთადერთი ცნობა შემოინახა. ლუკა მახარებელი მოგვითხრობს, რომ თორმეტი წლის იესო (ებრაული კანონით ამ ასაკში ადამიანი უკვე ზრდასრული მამაკაცი ხდებოდა) მშობლებთან ერთად პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში ავიდა. უკან დაბრუნების დროს იესო მშობლებს დაეკარგა. ისინი შეშფოთებულები გაბრუნდნენ იერუსალიმში და სამი დღის შემდეგ ტაძარში იპოვეს. "რატომ მეძებდით? ნუთუ არ იცით, რომ მამის სახლში უნდა ვიყო?" იესომ ამით პირდაპირ აღიარა, რომ მისი ჭეშმარიტი მამა ღმერთია.

**იესოს ნათლობა**

ლუკას სახარების მიხედვით, იესო ოცდაათი წლის იქნებოდა, როდესაც თავის ნათესავთან, იოანე ნათლისმცემელთან, მივიდა მოსანათლავად იუდას უდაბნოში. იოანემ იცოდა, რომ იესო პიროვნული და სულიერი ძალით მასზე ძლიერი იყო, მაგრამ ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ იესო იყო ის კაცი, ვის მოსვლასაც წინასწარმეტყველებდა.

მაგრამ ღმერთმა იოანეს სასწაულებრივი ნიშანი მისცა. ვისზეც სულიწმიდა გარდმოხდებოდა მტრედის სახით, სწორედ ის უნდა ყოფილიყო ღვთის აღთქმული მეფე. იოანემ იესოს ნათლობის დროს იხილა ეს სასწაული და ღვთის ხმა გაიგონა:

> "შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მოვიწონე მე."
> (მარკ. 1:11)

ეს სიტყვები ძველი აღთქმის წიგნებს უკავშირდება. ფსალმუნი 2:7 გვამცნობს, რომ მესია მეფე დავითის საგვარეულოდან გამოვიდოდა. ესაია წინასწარმეტყველის წიგნის 42:1 მიხედვით კი, ღმერთი აღთქმულ მეფეს თავის რჩეულს უწოდებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## იესოს გამოცდა

იესოს ჯერ კიდევ მამის სიტყვები ესმოდა, როდესაც სულიწმიდამ იუდას უდაბნოში გადაიყვანა. ორმოცი დღე იმარხულა. მაშინ, შიმშილისგან გათანგულს სატანა – კაცობრიობის დაუძინებელი მტერი, ადამიანის პირველცოდვის მიზეზი – გამოეცხადა საცდუნებლად. სატანა გამომცდელად სთხოვდა იესოს სანახაობრივი სასწაულების გამოვლინებით დაემტკიცებინა, რომ ის მართლაც ღვთის მესია იყო.

მაგრამ იესომ უარყო სატანას მოთხოვნა და ღმერთის დასახულ გზას უერთგულა. დიახ, ის იყო მესია, რომელიც მორჩილად ემსახურებოდა ღმერთს, კაცობრიობის პრობლემებს არ გაურბოდა და საკუთარი თავის წარმოჩენა ან განდიდება არ სწყუროდა. მისი გზა იყო ტანჯული და უდანაშაულო მსახურის გზა, რომელიც საკუთარი ხალხის ცოდვისთვის კვდება, მათ სასჯელს საკუთარ თავზე იღებს. ზუსტად ამას წინასწარმეტყველებდა ასწლეულებით ადრე ესაია.

უდაბნოში გამოცდის შემდეგ, იესო ბევრს მოგზაურობდა პალესტინაში და ხალხს ასწავლიდა.

პეტრეს სახლი ჰქონდა გალილეის ტბის პირას, ქალაქ კაპერნაუმში, სადაც იესო ხშირად ასწავლიდა. ქ.შ. IV საუკუნის სინაგოგის ნანგრევები. ნაგებობა რომაული არქიტექტურული სტილისა და ებრაული სიმბოლოების ნაზავს წარმოადგენს.



## იესოს მოწაფეები

ებრაელ რაბინს, ანუ მასწავლებელს, ყოველთვის ჰყავდა მოწაფეების ან მიმდევრების გუნდი. იესომ თორმეტი კაცი აირჩია, რომლებიც მისი მოწაფეები და მეგობრები გახდნენ, ამას გარდა მას მრავალი სხვა მიმდევარი ქალი და კაცი ჰყავდა.

იესოს თორმეტი მოწაფე სხვადასხვა ხელობისა და ხასიათის ადამიანი იყო. პეტრე და მისი ძმა ანდრია მეთევზეები იყვნენ, ისევე როგორც მათი მეგობარი ძმები იაკობი და იოანე. იესომ ისინი იმ დროს მოიხმო, როდესაც საკუთარ ნავებზე მუშაობდნენ: "მომყევით მე." იესოს მოწაფე იყო აგრეთვე ლევი ალფესი, იგივე მათე, საძულველი მებაჟე – ებრაელი, რომელიც რომაელთა სასარგებლოდ აგროვებდა გადასახადებს. მოწაფეებს შორის იყო სიმონი, ძლიერი ნაციონალური პარტიის წევრი, რომელიც ძალის გამოყენებით აპირებდა რომაელთა ძალაუფლების დამხობას.

აი, იესოს თორმეტი მოწაფის სია: სიმონი, რომელსაც პეტრე უწოდა; იაკობ ზებედეს ძე და მისი ძმა იოანე; ანდრია, ფილიპე, ბართლომე, მათე, თომა, იაკობ ალფესი, თადეოზი, სიმონ კანანელი და იუდა ისკარიოტელი. იესომ ამ თორმეტ მოწაფეს მოციქულები უწოდა, რადგან მათ უნდა ემცნოთ ქვეყნიერებისათვის ღვთის ჭეშმარიტება.

## მოვლენათა თანმიმდევრობის აღწერა

იესოს შობის ამბავს მათე და ლუკა მახარებლები გადმოგვცემენ, იესოს ნათლობისა და საზოგადო ცხოვრების დაწყების ამბავი კი ოთხივე სახარებაშია აღწერილი. იესოს ცხოვრების უკანასკნელ ჟამს, ვნების კვირასაც ოთხივე სახარება დაწვრილებით მოგვითხრობს. მაგრამ, ამ მოვლენების თანმიმდევრობაში დროის ფაქტორი მკაფიოდ არ ჩანს.

მახარებლები იესოს ბიოგრაფები არ არიან და მისი ცხოვრების ყველა შემთხვევას არ გადმოგვცემენ. სახარებებში იესოს ცხოვრების ესა თუ ის მოვლენა სხვადასხვა თანმიმდევრობით არის აღწერილი, სხვადასხვა დროს ხდება. თითოეული მახარებელი თანმიმდევრობის ისეთ გარკვეულ ნიმუშს ეყრდნობა, რომელიც ემთხვევა და ახორციელებს ავტორის მიზნებს.

რა თქმა უნდა, იესოს ცხოვრების დასაწყისი და დასასრული შეგვიძლია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით განვიხილოთ, ან აღვწეროთ, მაგრამ უკეთესი იქნება, თუკი იესოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა მხარეს გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ვეცნობით და მხოლოდ ამის შემდეგ გავაგრძელებთ მისი ცხოვრების ქრონოლოგიურ თანმიმდევრობაზე საუბარს.

## იესოს ცხოვრების ერთი დღე

მარკოზ მახარებელი იესოს საჯარო მოღვაწეობის დასაწყისის ერთი მეტად დატვირთული შაბათი დღის ამბავს გვიამბობს. იმ დროს გალილეის ტბის პირას, მეთევზეების სოფელ კაპერნაუმში პეტრეს სახლში სტუმრობდა იესო თავის მოწაფეებთან ერთად. როგორც შაბათის წესი იყო, იესო სინაგოგაში წავიდა, სადაც ისე ძლიერად და შთამბეჭდავად იქადაგა, რომ ადგილობრივი თემი გაოცებული დარჩა. მაგრამ იესოს ქადაგება უხეშად შეაწყვეტინეს, როდესაც შენობაში ავი სულით შეპყრობილი შემოიჭრა ყვირილითა და ბოდვით. იესომ ღვთივბოძებული ძალაუფლებით მტკიცე ხმით უბრძანა ბოროტ სულს გაჩუმებულიყო და კაცი გაეთავისუფლებინა. დემონი დაემორჩილა მას.

სინაგოგიდან იესო, პეტრე, ანდრია, იაკობი და იოანე პეტრეს სახლში დაბრუნდნენ. პეტრეს სიდედრი ავად იყო, მაღალი სიცხე ჰქონდა და ლოგინში იწვა. მოწაფეებმა იესოს მიმართეს საშველად. იესომ ხელი დაადო ქალს და ის მაშინვე სავსებით გამოჯანმრთელდა, ფეხზე დადგა და სტუმრებს მოემსახურა.

იმ საღამოს, როდესაც შაბათი მიილია, კაპერნაუმის მიდამოებიდან ხალხმა ავადმყოფი მეგობრები და ნათესავები მიიყვანა იესოსთან და მან ყველა განკურნა.

ალიონზე, ვიდრე სრულიად განათდებოდა არემარე, იესო მარტოდ-მარტო გავიდა შინიდან, მოძებნა წყნარი ადგილი და ლოცვისთვის მოემზადა, მაგრამ მოწაფეებმა აქაც მიაგნეს მას. ისინი კაპერნაუმში დარჩენას ევედრებოდნენ, რადგან უამრავი ხალხი მოსულიყო მის სანახავად. მაგრამ იესომ იცოდა, რომ სხვაგანაც ბევრი ხალხი ელოდა მის გამოჩენასა და ღმერთის აღთქმის აღსრულების დამადასტურებელი სიტყვის მოსმენას. ღმერთის სასუფეველი უკვე წუთისოფელში იყო და გათავისუფლებასა და აღორძინებას სთავაზობდა ყველა ღვთისმორჩილს. ამიტომ გაემართა იესო გალილეის სხვადასხვა სოფლებისა და ქალაქებისაკენ, სადაც იგი ასწავლიდა და კურნავდა ხალხს.

## იესო ხალხს ასწავლის

იესო მოკლე და შთამბეჭდავი სიტყვებით ასწავლიდა ხალხს. ეს სიტყვები უფრო პოეტური იყო, ვიდრე პროზაული. ისინი თავისი სიცხადითა და ხატოვანებით გამოირჩეოდნენ. ამ გზით გადმოცემული აზრები ადვილად დასამახსოვრებელი იყო და ადამიანს საშუალებას აძლევდა გარკვეული დროის გავლის შემდეგაც ეფიქრა მოსმენილზე. იესოს სწავლება გასაოცარი იყო და ამავე დროს ადამიანის გონებისათვის ადვილი მისაღები.

მათე და ლუკა მახარებლებმა იესოს სწავლების ორი მნიშვნელოვანი ნაკვეთი შემოგვინახეს (მათ. 5; ლუკ. 6) ამ ქადაგებებს ხშირად "ნეტარებებს," "კურთხევის სიტყვებს" უწოდებენ, რადგან იესოს თითოეული განცხადება სიტყვა "ნეტარებით" იწყება:

"ნეტარ არიან სულით ღარიბნი, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი.
ნეტარ არიან მგლოვიარენი, ვინაიდან ისინი ნუგეშცემულნი იქნებიან.
ნეტარ არიან თვინიერნი, ვინაიდან ისინი დაიმკვიდრებენ ქვეყანას.
ნეტარ არიან სიმართლისათვის მშიერ-მწყურვალნი, ვინაიდან ისინი გაძღებიან.
ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან.
ნეტარ არიან გულით სუფთანი, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ.
ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ღვთის ძეებად იწოდებიან.
ნეტარ არიან სიმართლისათვის დევნილნი, ვინაიდან მათია სასუფეველი ცათა.
ნეტარ ხართ თქვენ, როცა გაგლანძღავენ, გაგდევნიან და ყოველნაირად ბოროტს იტყვიან თქვენზე ჩემს გამო."
(მათ. 5:3-11)

ბევრი ადამიანი ნეტარებას ჯანმრთელობაში, სიმდიდრეში, სახელ-დიდებასა და თვითკმაყოფილებაში ეძებს. მაგრამ, იესომ ბრძანა, რომ ჭეშმარიტი ნეტარება ისეთი თვინიერი და მოწ-



იესო პალესტინის ბუნების წიაღში ასწავლიდა ხალხს და კარგად ნაცნობ სურათებს ცოცხალ გაკვეთილებად აქცევდა ხოლმე. გაზაფხულობით გალილეის მთების ფერდობები ყვავილების ხასხასა ფერებით იფარება. "შეხედეთ ველის შროშანებს," — თქვა იესომ, — "სოლომონიც კი, მთელ თავის დიდებაში არ შემოსილა ისე, როგორც ერთი ამათგანი... ღმერთი თქვენ უფრო მეტად არ შეგმოსავთ...?"

# იესოს ცხოვრება

ეროვნული ბიბლიოთეკა

**მოვლენათა შესაძლო განვითარება ოთხი სახარების მიხედვით**

ოთხ სახარებაში აღწერილი ამბების ქრონოლოგიურად ერთმანეთთან დაკავშირება საკმაოდ რთულია. იესოს ცხოვრების დასაწყისისა და ვნების კვირის ამბავი ნათელია, მაგრამ ამ ორ მოვლენას შორის მიმდინარე ამბების პერიოდიზაცია გადაუჭრელი პრობლემაა. განსაკუთრებით რთულია იოანეს სახარებაში აღწერილი ამბების სხვა სამ სახარებასთან დაკავშირება. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეფუძნება სახარებებში აღწერილ იესოს ბოლო სამი წლის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ცხრილში აისახა იოანე მახარებლის ცნობა, რომ იესო სამჯერ ავიდა იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე.



ცხოვრებისა და მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი იესო ქრისტემ გალილეის მხარეში გაატარა, სადაც ასწავლიდა და კურნავდა ხალხს. ფოტოსურათზე ნაჩვენებია გალილეის ტიპიური პეიზაჟი.

იოანეს სახარება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იესოს იერუსალიმში ასვლის ამბებს. იესო ქრისტეს დროს ჰეროდეს ტაძარი იმ ადგილას იდგა, სადაც ამჟამად ეგრეთწოდებული “კლდის მეჩეთია” აღმართული თავისი თვალისმომჭრელი ოქრუცურვილი გუმბათით.



ეროვნული ბიბლიოთეკა


| მოვლენები | მათე | მარკოზი | ლუკა | იოანე |
|---|---|---|---|---|
| წინასწარუწყება იოანე ნათლისმცემელზე | | | 1:5-23 | |
| ხარება | 1:18-24 | | 1:26-38 | |
| იესოს დედა მარიამი ელისაბედთან | | | 1:39-56 | |
| იოანე ნათლისმცემლის შობა | | | 1:57-79 | |
| იესოს შობა | 1:25 | | 2:1-39 | |
| მოგვები აღმოსავლეთიდან | 2:1-12 | | | |
| ეგვიპტეში გაქცევა და დაბრუნება ნაზარეთში | 2:13-23 | | | |
| თორმეტი წლის იესო იერუსალიმის ტაძარში | 2:41-50 | | | |
| იოანე ნათლისმცემელის ქადაგება | 3:1-12 | 1:1-8 | 3:1-18 | 1:19-28 |
| **პირველი წელი** | | | | |
| ნათლისღება | 3:13-17 | 1:9-11 | 3:21-22 | 1:29-34 |
| იესოს გამოცდა მაცდურის მიერ | 4:1-11 | 1:12-13 | 4:1-13 | |
| პირველი პასექი | | | | 2:13-25 |
| ნიკოდემოსი იესოსთან | | | | 3:1-21 |
| იესო და სამარიელი ქალი | | | | 4:1-42 |
| იოანე ნათლისმცემლის შეპყრობა | 14:3-5 | 6:17-20 | 3:19-20 | |
| იესოს უარყოფა ნაზარეთში | | | 4:16-30 | |
| სიმონის, პეტრეს, იაკობის და იოანეს მოწოდება | 4:18-22 | 1:16-20 | 5:1-11 | |
| მათეს (ლევის) მოწოდება | 9:9-13 | 2:13-17 | 5:27-32 | |
| **მეორე წელი** | | | | |
| მეორე პასექი | | | 5:1-47 | |
| თორმეტი მოციქულის არჩევა | 10:2-4 | 3:13-19 | 6:12-16 | |
| ქადაგება მთაზე | 5:1-7:28 | | 6:20-49 | |
| თორმეტის მივლინება | 10:1-11:1 | 6:6-13 | 9:1-6 | |
| იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთა | 14:1-12 | 6:14-29 | 9:7-9 | |
| **მესამე წელი** | | | | |
| მესამე პასექი | | | | 6:1-71 |
| იესოს ქრისტედ შეცნობა პეტრესგან | 16:13-20 | 8:27-30 | 9:18-21 | |
| იესო წინასწარმეტყველებს თავის სიკვდილსა და აღდგომაზე | 16:21-28 | 8:31-9:1 | 9:22-27 | |
| ფერისცვალება | 17:1-13 | 9:2-13 | 9:28-36 | |
| სამოცდაათი მოწაფის გაგზავნა | | | 10:1-20 | |
| იესო იერუსალიმში, კარვობის დღესასწაულზე | | | | 7:5-52 |
| მართა და მარიამი | | | 10:38-42 | |
| იესო იერუსალიმში, უფუარობის დღესასწაულზე | | | | 10:22-28 |
| უკანასკნელად ასვლა იერუსალიმში | 20:20-28 | 10:32-34 | | |
| იესო იერიხონში | | | 19:1-10 | |
| ბრმა ბარტიმეოსის განკურნება | 20:29-34 | 10:46-52 | | |
| **ვნების კვირა** | | | | |
| იესოს შესვლა იერუსალიმში | 21:1-11 | 11:1-11 | 19:28-44 | 12:12-16 |
| იესოს გაცემა | 26:1-5,14-16 | 14:1-2,10-11 | 20:19,22:1-6 | 11:45-47 |
| პასექი, უფლის სერობა | 26:17-29 | 14:12-25 | 22:7-20 | 13:1-30 |
| გეთსიმანია | 26:36-46 | 14:32-42 | 22:39-46 | |
| იესოს შეპყრობა | 26:47-56 | 14:43-52 | 22:47-53 | 18:2-12 |
| იესო სინედრიონის წინაშე | 26:57-27:1 | 14:53-15:1 | 22:54-71 | 18:13-24 |
| უარყოფა პეტრეს მიერ | 26:69-75 | 14:66-72 | 22:54-62 | 18:15,25-27 |
| პილატეს სამსჯავრო | 27:2-30 | 15:1-19 | 23:1-25 | 18:28-19:15 |
| იესოს ჯვარცმა და დაფვლა | 27:31-66 | 15:20-47 | 23:26-56 | 19:16-42 |
| იესოს მკვდრეთით აღდგომა და მოწაფეებთან გამოცხადება | 28:1-15 | 16:1-8,9-14 | 24:1-49 | 20:1-21:23 |
| ამაღლება | | 16:19-20 | 24:50-53 | |

ყალე ადამიანის ხვედრია მხოლოდ, რომელიც მარტო საკუთარ კეთილდღეობაზე კი არ ფიქრობს, არამედ მოყვასის მიმართ ჩადენილ დანაშაულზეც წუხს. იესომ უმაღლესი შეფასება მისცა მისი სახელის გულისათვის დევნილებსა და დასჯილებს.

იესო ხალხს ესაუბრებოდა ლოცვის მნიშვნელობაზე, მოწყალებასა და მარხვაზე, რაც ყველა ღვთისმორწმუნე ებრაელისთვის სამ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ დებულებას წარმოადგენდა. ამასთანავე იესო მკაცრად კიცხავდა მოჩვენებით ღვთისმოსაობასა და თვალთმაქცობას. (მათ. 6)

კითხვაზე, თუ როგორ უნდა ელოცა ადამიანს, იესომ მოწაფეებს ლოცვის "ნიმუში" მისცა, რომელიც მათი პიროვნული ლოცვის საფუძველი უნდა ყოფილიყო:

"მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა, წმიდა იყოს სახელი შენი;
მოვიდეს სუფევა შენი, და იყოს ნება შენი, ვითარცა ცათა შინა, ეგრეცა ქვეყანასა ზედა;
პური ჩვენი არსობისა მოგვეც ჩვენ დღეს;
და მოგვიტევე ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა ჩვენთა;
და ნუ შეგვიყვან ჩვენ განსაცდელში; არამედ გვიხსენ ჩვენ ბოროტისაგან. რამეთუ შენია სუფევა და ძალი და დიდება საუკუნეთა მიმართ. ამინ." (მათ.6:9-13)

იესო ლოცვის დასაწყისში შეგვახსენებს, რომ ღმერთი მოსიყვარულე მამაა, მაგრამ ამავე დროს ის ცათა სასუფეველშია და იმდენად ძლევამოსილი და დიდებულია, რომ ადამიანს წარმოდგენა არ შეუძლია. ხალხმა პატივითა და მოწიწებით უნდა განადიდოს შემქმნელი ღმერთი. ლოცვაში პირველი ადგილი უნდა დაეთმოს ღვთის განდიდებას და უფლის განგების დავანებას ადამიანთა გულებში. ისიც აუცილებელია, რომ ადამიანმა ყოველდღიურ მატერიალურ სარჩო-საბადებელზე ილოცოს. მლოცველმა ღმერთს ჩადენილი შეცდომის ან დანაშაულის პატიება უნდა სთხოვოს და მოყვასისათვის ცოდვის შენდობის საჭიროება და მნიშვნელობა შეიმეცნოს. და ბოლოს, მლოცველმა ღმერთს ბოროტის ცდუნებისაგან და განსაცდელისგან დაცვა უნდა სთხოვოს.

იესო ხალხს ვიწრო რელიგიური მსოფლმხედველობისაგან გათავისუფლებას ასწავლიდა. ის ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ღვთისმსახურების გარეგნული მხარის ზუსტი დაცვა კი არ იყო მთავარი, არამედ მოყვასის სიყვარული და მისთვის წუხილი. ადამიანის სწორედ ეს თვისებებია ზეციური მამისათვის მისაღები.

## იგავებით სწავლება

იესო როგორც წესი იგავებით ასწავლიდა ხალხს, რომლებსაც ყოველთვის ორმაგი განმარტება ჰქონდა. ზოგიერთი იგავი ალეგორიული იყო. ალეგორიულია ისეთი ღრმააზროვანი მოთხრობა, რომლის ყველა პერსონაჟი ან შემთხვევა ორმაგ მნიშვნელობას იძენს. სწორედ ამ გზით ახსნა იესომ იგავი მთესველზე. მაგრამ, იგავების დიდ ნაწილს მრავალი მნიშვნელობა არ ახასიათებს. ისინი მოთხრობის დედააზრს დრამატულად, მკაფიოდ გამოხატავენ და იგავის შინაარსის ადვილად გაგებაში გვეხმარებიან, იმ გარემოს გათვალისწინებით, რომელშიც იესომ ესა თუ ის იგავი წარმოსთქვა.

მახარებელი მარკოზის სიტყვები ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ იესო ჭეშმარიტების დაფარვის მიზნით მიმართავდა მსმენელს იგავებით. იესომ თქვა:

"თქვენ მოცემული გაქვთ ცოდნა ღვთის სასუფევლის საიდუმლოისა, ხოლო გარეშეთათვის ყველაფერი იგავებით ხდება. რადგან ხედვით ხედავენ და ვერ შეიცნობენ, სმენით ისმენენ და ვერ იგებენ, რათა არ მოიქცნენ და არ მიეტევოთ." (მარკ. 4:11-12)

მაგრამ მათე ამ ადგილს სხვა სიტყვებით გადმოსცემს. მსმენელებს იგავის მიზანი კი ესმით, მაგრამ დასკვნები ვერ გამოაქვთ.

იგავებში დაფარული ჭეშმარიტების მარცვალი იმ კაკალის ნაჭუჭშია მოთავსებული, რომელიც პირველად უნდა გაიბზაროს. უფლის იგავები უმოქმედო, ზარმაცი მსმენელისთვის კი არ არის გამიზნული, არამედ ისეთი ადამიანისთვის, რომელიც იესოს სიტყვების მნიშვნელობაში, აზრში ჩაწვდომას ესწრაფვის. თუკი ასეთი მსმენელი ერთხელ მაინც აღიქვამს სათქმელს, მაშინ ის სრულყოფილად, ღრმად ჩასწვდება იგავის დედააზრს.

## ღვთის სასუფეველი

იესო ღვთის სასუფევლის მოსვლაზე ქადაგებდა და ხალხს ამის შესახებ იგავებით ასწავლიდა. ზოგიერთი ქრისტიანისგან გამიგია, რომ თუკი ღვთის სასუფევლის იესოსეულ მნიშვნელობას ჩავწვდებით, მაშინ ჩვენს ხელთ აღმოჩნდება სახარებებისა და მთელი ახალი აღთქმის გასაღები.

სასუფევლის აღმნიშვნელი ბერძნული სიტყვა ნიშნავს "ხელისუფლებას," "მეფობას" და ღვთის სასუფეველი იმას ნიშნავს, რომ ღმერთი იყენებს თავის მეფურ ხელმწიფებას და თავისი უზენაესი ნებისამებრ მოქმედებს.

ებრაელ ხალხს სწამდა, რომ ღმერთი მთელი სამყაროს უზენაესი გამგებელი იყო. ბევრი ფსალმუნიც ამ აზრს ასაბუთებს. მაგრამ მხოლოდ ღმერთის რჩეული ერი, ისრაელი, ემორჩილება საღმრთო რჯულსა და ღმერთის ძალაუფლებას. ებრაელებს ღრმად სწამდათ, რომ მალე ღმერთი კაცობრიობის ისტორიაში შემოიჭრებოდა და თავის ღვთაებრივ ძალაუფლებას მთელ მსოფლიოში გაავრცელებდა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


# იესოს იგავები

| | მათე | მარკოზი | ლუკა |
|---|---|---|---|
| ჭურჭლის ქვეშ დადებული ლამპარი | 5:14-15 | 4:21-22 | 8:16; 11:33 |
| გონიერი და უგუნური მშენებლები | 7:24-27 | | 6:47-49 |
| ახალი ქსოვილი ძველ ტანისამოსზე | 9:16 | 2:21 | 5:36 |
| ახალი ღვინო ძველ ტიკებში | 9:17 | 2:22 | 5:37-38 |
| იგავი მთესველზე | 13:3-8 | 4:3-8 | 8:5-8 |
| იგავი მდოგვის მარცვალზე | 13:31-32 | 4:30-32 | 13:18-19 |
| იგავი ხორბალსა და ღვარძლზე | 13:24-30 | | |
| იგავი საფუარზე | 13:33 | | 13:20-21 |
| მინდორში დაფარული განძი | 13:44 | | |
| იგავი ძვირფას მარგალიტზე | 13:45-46 | | |
| ზღვაში ნასროლი ბადე | 13:47-48 | | |
| გზააბნეული ცხვარი | 18:12-13 | | 15:4-6 |
| მოწყალე მეფე და უმოწყალო მონა | 18:23-24 | | |
| იგავი ვენახის მუშაკებზე | 20:1-16 | | |
| იგავი ორ შვილზე | 21:28-31 | | |
| ბოროტეული მევენახეები | 21:33-41 | 12:1-9 | 20:9-16 |
| საქორწილო ნადიმი | 22:2-14 | | |
| ლეღვის ხე — ზაფხულის მოახლოების მაცნე | 24:32-33 | 13:28-29 | 21:29-30 |
| იგავი ათ ქალწულზე | 25:1-13 | | |
| ტალანტები (მათე) მინა (ლუკა) | 25:14-30 | | 19:12-27 |
| ცხვრები და თხები | 25:31-46 | | |
| მარცვლის თესვა და მკა | | 4:26-29 | |
| მევახშე და მოვალეები | | | 7:41-43 |
| იგავი გულმოწყალე სამარიელზე | | | 10:30-37 |
| იგავი მეგობრობაზე | | | 11:5-8 |
| იგავი უგუნურის სიმდიდრეზე | | | 12:16-21 |
| ერთგული მსახურები | | | 12:35-40 |
| ერთგული განმგებელი | | | 12:42-48 |
| უნაყოფო ლეღვის ხე | | | 13:6-9 |
| საწყლების მოწვევა ნადიმზე | | | 14:7-14 |
| მომზადება დიდი ვახშმისა და მოწვეულების უარი | | | 14:16-24 |
| ფასის გაანგარიშება | | | 14:28-33 |
| დაკარგული დრაქმა | | | 15:8-10 |
| იგავი დაკარგულ ძეზე | | | 15:11-32 |
| იგავი ორგულ გამგებელზე | | | 16:1-8 |
| მდიდარი და ლაზარე | | | 16:19-31 |
| ბატონი და მონა | | | 17:7-10 |
| იგავი უსამართლო მსაჯულსა და ქვრივ ქალზე | | | 18:2-5 |
| ფარისეველი და მებაჟე | | | 18:10-14 |

ბოლოოდ დაამარცხებდა ბოროტებას, რჩეულ ერს შეიწყალებდა და აკურთხებდა. ამ დღეს ელოდებოდნენ ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი.

მას შემდეგ, რაც ქადაგება დაიწყო, იესომ პირდაპირ განაცხადა, რომ ღვთის სასუფეველი მოახლოვდა და უკვე ქვეყანად არის. იესოს მოსვლით, ღმერთი თავად შეიჭრა კაცობრიობის ისტორიაში. მაგრამ, ღვთის სასუფეველი მხოლოდ მან დაიმკვიდრა, ვინც იესო და მისი სწავლება მიიღო. საჭირო იყო დროის აღსრულებამდე მოცდა. იესომ საკუთარი სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომით სიკვდილი და ცოდვა დაამარცხა. მომავალში იესო ქრისტე დაბრუნდება და ღვთის სასუფევლის სრულყოფილ, უნივერსალურ ხელმწიფებას დაამყარებს.

**მოთხრობები ღვთის სასუფევლის შესახებ**

იესო ქრისტე ქადაგებას ხშირად ამ სიტყვებით იწყებს: "ცათა სასუფეველი ჰგავს..." შემდეგ ღვთის სასუფეველს იგავებით აღწერს.

ერთ დღეს უკან ადევნებულ ხალხს მთესველი კაცის იგავი უამბო. მარცვლის თესვისას, ზოგი თესლი გზისპირას დავარდა, ზოგი კლდოვან მიწაზე, ზოგი ეკლებში, ზოგი კი პოხიერ ნიადაგზე. გზისპირას დავარდნილი მარცვლები მალე ფრინველებმა აკენკეს. კლდოვანზე დავარდნილი მალე აღმოცენდა, რადგან ნიადაგი ღრმა არ იყო და მზემ მალევე დააჭკნო, რადგან ფესვი არ ჰქონდა. ეკალ-ბარდებში ჩაცვენილი მარცვლები ეკალმა მოაშთო. მხოლოდ პოხიერ ნიადაგზე დავარდნილმა მარცვალმა გამოიღო კარგი და უხვი ნაყოფი.

მოგვიანებით იესომ საგონებელში ჩავარდნილ მოწაფეებს იგავის შინაარსი აუხსნა. მარცვალი, უთხრა იესომ, ღვთის სიტყვა არის. გზისპირას დავარდნილი მარცვალი ნიშნავს, რომ მსმენელი მოისმენს ღვთის სიტყვას, მაგრამ მაშინვე დაჰკარგავს, რადგან მტერი – სატანა – უმალ წარსტაცებს. კლდოვან ნიადაგზე დავარდნილი მარცვალი ნიშნავს, რომ მსმენელნი ღვთის სიტყვას მოისმენენ და მაშინვე მიიღებენ, მაგრამ რადგან ფესვი არ აქვთ გადგმული, მალევე ივიწყებენ მოსმენილს. ეკალთა შორის მოხვედრილი მარცვალი კი არის ღვთის სიტყვა, რომელსაც მოისმენენ, მაგრამ სიმდიდრესა და გულისთქმას აყოლილნი უარყოფენ. პოხიერ ნიადაგზე მოხვედრილი მარცვალი ღმერთის სიტყვა არის, რომელსაც მოისმენენ, მიიღებენ, დამორჩილდებიან და რომელიც უხვ ნაყოფს გამოიღებს.

იესომ ღვთის სასუფევლის მნიშვნელობის განსამარტავად სხვა იგავებიც უამბო ხალხს. ერთ-ერთი მათგანია იგავი საფუარზე. ქალმა საფუარი გამოახვია ფქვილში და ცომი მალე მთლიანად გაფუვდა. ამ იგავით იესომ მსმენელებს ამცნო, რომ ღვთის სასუფეველი სწრაფად იზრდება და ფართოვდება.

იგავი მდოგვის მარცვალზე გვაუწყებს, რომ ყველა თესლზე მცირე მდოგვის მარცვალი აღმოცენების შემდეგ ყველა მწვანილზე უფრო დიდია და ხედ იქცევა. ასევეა ღვთის სასუფეველი, რომელიც დასაწყისში მცირეა, მაგრამ სწრაფად იზრდება და ვრცელდება.

იესოს ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი და ყველასათვის საყვარელი მოთხრობა არის



როდესაც თესლი ითესება, ხელით იბნევა მიწაზე, ყოველი მარცვალი როდი ხვდება კარგ ნიადაგში, ზოგი ქვიან მიწაზე ეცემა, ზოგი კი ბილიკზე. იგავი მთესველზე იესო ქრისტეს ერთ-ერთი ყველაზე კარგად ცნობილი მოთხრობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


იგავი დაკარგულ ძეზე, რომელიც ღმერთის უსაზღვრო სიყვარულზე გვიამბობს. იყო ერთი შეძლებული კაცი, რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა. უმცროსმა ვაჟმა მამას ქონების კუთვნილი წილი მოსთხოვა, წავიდა შორეულ ქვეყანაში და თავაშვებული, უგუნური ცხოვრებით მთელი ქონება გაფლანგა. უფროსი ვაჟი კი მამასთან დარჩა და მეურნეობის გაძღოლაში ეხმარებოდა. სარჩო-საბადებელს მოკლებული უმცროსი ვაჟი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა. ღორებს მწყემსავდა და რკოც კი სანატრელი ჰქონდა საჭმელად. ბოლოს გონს მოეგო და მამასთან პატიების სათხოვნელად გაემართა. სანამ მშობლიურ სახლს მიუახლოვდებოდა, მამამ შორიდანვე შენიშნა იგი, შეებრალა საყვარელი შვილი, გაიქცა მისკენ, სიხარულით შეეგება და კისერზე შემოეხვია.

უფროსი ვაჟი ამ ამბავმა აღფრთოვანებაში არ მოიყვანა. როდესაც დაკარგული ძის დაბრუნებით გახარებულმა მამამ ნადიმი გამართა, მინდვრის სამუშაოებიდან დაბრუნებულმა ნაწყენმა უფროსმა ვაჟმა შინ შესვლა არ ისურვა. მაშინ, მამა გამოვიდა მასთან, საკუთარ სიყვარულში დაარწმუნა და უთხრა:

"უნდა ვხარობდეთ და ვმხიარულობდეთ, ვინაიდან შენი ძმა მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და გამოჩნდა." (ლუკ. 15:32)

იესომ ეს ამბავი ებრაელ მერჯულე წინამძღოლებს უამბო, რომლებიც უფროსი ვაჟის მსგავსად, ზიზღითა და რისხვით უყურებდნენ იესოს, რომელიც ცოდვილებს, საზოგადოებიდან გარიყულ ადამიანებს ასწავლიდა და მათთან მეგობრობდა.

იესოს კიდევ ერთი ცნობილი იგავია გულმოწყალე სამარიელის ამბავი. ერთი კაცი იერუსალიმიდან იერიხოში მიდიოდა და უკაცრიელ გზაზე ყაჩაღები დაესხნენ თავს. გაძარცვეს, სცემეს და ცოცხალ-მკვდარი მიატოვეს გზაზე. შემთხვევით ამ გზაზე მღვდელმა და ლევიანმა ჩაიარეს ერთმანეთის მიყოლებით, მაგრამ ყურადღებაც კი არ მიაქციეს მას. ხოლო გზადმიმავალმა სამარიელმა, იმ ხალხის შვილმა, რომლებიც ებრაელებს უკიდურესად სძულდათ, შეიბრალა გონდაკარგული კაცი, ჭრილობები შეუხვია, თავის პირუტყვზე შესვა, სასტუმროში მიიყვანა და მეპატრონეს მკურნალობის საფასურიც გადაუხადა. მათეს სახარებაში იესო ქრისტემ ღვთის რჯულის მთავარი მოთხოვნა ჩამოაყალიბა: ღმერთისა და მოყვასის გულწრფელი სიყვარული. ლუკას სახარებაში მოთხრობილი ეს ამბავი პასუხს სცემს კითხვას: "ვინ არის მოყვასი?"

## იესო დავრდომილებს კურნავს

იესოს ყოველთვის დიდძალი ხალხი დაჰყვებოდა თან. მათ იესოს სწავლების მოსმენა სურდათ, მაგრამ უფრო მეტად იესოს სასწაულების ხილვა ეხალისებოდათ.



იესოს მოთხრობა "გულმოწყალე სამარიელზე" მკაფიოდ გვიხსნის ღმერთის ბრძანებას, "შეიყვარე მოყვასი შენი." იერუსალიმიდან იერიხოსაკენ მიმავალ გზაზე შარაგზის ყაჩაღები თარეშობდნენ. მგზავრები თავს უსაფრთხოდ მხოლოდ კარგად დაცულ სასტუმროში გრძნობდნენ.

ერთ დღეს იესოსთან ადგილობრივი სინაგოგის უფროსი მივიდა და მომაკვდავი ქალიშვილის განკურნება სთხოვა. ხალხის ბრბოთი გარშემორტყმული იესო მისი სახლისკენ გაემართა. უამრავ ხალხში ერთი ქალი იყო გარეული, რომელსაც იესოს შესახებ გაეგო და სწამდა, რომ მის სამოსელსაც რომ შეხებოდა მყისვე განიკურნებოდა. საბრალო ქალი თორმეტი წლის განმავლობაში სისხლის დენით იტანჯებოდა. ზურგს უკან მოუარა იესოს და მის სამოსელს შეეხო. ქალი მაშინვე განიკურნა და ფარულად სცადა წასვლა. მაგრამ, იესო შეჩერდა და იკითხა თუ ვინ შეეხო მის სამოსელს. მოწაფეებმა არასერიოზულად აღიქვეს მასწავლებლის შეკითხვა, რადგან ხალხის ბრბო ზედ აწყდებოდა იესოს, მაგრამ იესომ იცოდა, რომ ძალა გავიდა მისგან. შეშინებული ქალი თრთოლვით გამოეყო ხალხს, იესოს სრული სიმართლე აუწყა და თავისი გასაჭირის ამბავიც გაუმხილა. იესოს სურდა ქალს პირისპირ შეხვედროდა, რადგან იესოსთან შეხვედრა სრული განკურნების საწინდარი იყო.

ამ დროს სინაგოგის უფროსთან, იაიროსთან, სახლიდან წარმოგზავნილები მივიდნენ და აუწყეს, რომ მისი ქალიშვილი უკვე მომკვდარიყო. იესომ დაღონებულ მამას უთხრა: "ნუ გეშინია, მხოლოდ გწამდეს" და იაიროსის სახლისკენ განაგრძო სვლა. როცა სახლს მიადგნენ, იესომ დამცინავი პროფესიონალი მოტირალები გარეკა და მშობლებთან და თანმხლებ სამ მოწაფესთან ერთად იმ ოთახში შევიდა, სადაც ბავშვი იწვა. მიუახლოვდა საწოლს

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იესოს სასწაულები

| | მათე | მარკოზი | ლუკა | იოანე |
|---|---|---|---|---|
| **ფიზიკური და სულიერი დაავადებების განკურნება** | | | | |
| კეთროვანის განკურნება | 8:2-3 | 1:40-42 | 5:12-13 | |
| ასისთავის მონის განკურნება | 8:5-13 | | 7:1-10 | |
| პეტრეს სიდედრის განკურნება | 8:14-15 | 1:30-31 | 4:38-39 | |
| ეშმაკეული ღადარინელის განკურნება | 8:28-34 | 5:1-15 | 8:27-35 | |
| დავრდომილი კაცის გაჯანსაღება | 9:2-7 | 2:3-12 | 5:18-25 | |
| სისხლისდენით დატანჯულის განკურნება | 9:20-22 | 5:25-29 | 8:43-48 | |
| ორი ბრმის განკურნება | 9:27-31 | | | |
| ეშმაკეული მუნჯის განკურნება | 9:32-33 | | | |
| ხელგამხმარი კაცის განკურნება | 12:10-13 | 3:1-5 | 6:6-10 | |
| ეშმაკეული, ბრმა და მუნჯი კაცის განკურნება | 12:22 | | | |
| ქანაანელი ასულის განკურნება | 15:21-28 | 7:24-30 | | |
| უტყვი სულით შეპყრობილის განკურნება | 17:14-18 | 9:17-29 | 9:38-43 | |
| ბრმა ბარტიმეოსისა და მეორე ბრმის განკურნება | 20:29-34 | 10:46-52 | 18:35-43 | |
| ყრუ და ენაბლუს განკურნება | | 7:31-37 | | |
| არაწმიდა სულით შეპყრობილის განკურნება სინაგოგაში | | 1:23-26 | 4:33-35 | |
| ბრმის განკურნება ბეთსაიდაში | | 8:22-26 | | |
| დედაკაცის განკურნება შაბათს | | | 13:11-13 | |
| წყალმანკით დაავადებულის განკურნება | | | 14:1-4 | |
| ათი კეთროვნის განკურნება | | | 17:11-19 | |
| მოჭრილი ყურის გამრთელება | | | 22:50-51 | |
| დიდებულის შვილის განკურნება კაპერნაუმში | | | | 4:46-54 |
| სნეული კაცის განკურნება ბეთ-ხასდას აუზთან | | | | 5:1-9 |
| ბრმადშობილის განკურნება | | | | 9 |
| **ბუნების ძალებზე მბრძანებლობა** | | | | |
| ზღვისა და ქარის დაწყნარება | 8:23-27 | 4:37-41 | 8:22-25 | |
| წყალზე სიარული | 14:25 | 6:48-51 | | 6:19-21 |
| 5 000 კაცის დაპურება | 14:15-21 | 6:35-44 | 9:12-17 | 6:5-13 |
| 4 000 კაცის დაპურება | 15:32-38 | 8:1-9 | | |
| სტატირი თევზის პირში | 17:24-27 | | | |
| ლეღვის ხის გახმობა | 21:18-22 | 11:12-14,20-26 | | |
| თევზჭერა | | | 5:1-11 | |
| წყლის ღვინოდ გადაქცევა | | | | 2:1-11 |
| მეორე თევზჭერა | | | | 21:1-11 |
| **მკვდრების გაცოცხლება** | | | | |
| იაიროსის ქალიშვილის გაცოცხლება | 9:18-19,23-25 | 5:22-24,38-42 | 8:41-42,49-56 | |
| ქვრივის ვაჟის გაცოცხლება ნაინში | | 7:11-15 | | |
| ლაზარეს აღდგინება | | | | 11:1-44 |

ეროვნული ბიბლიოთეკა


და მკვდარ ბავშვს უთხრა: "ტალითა კუმი!" – "შენ გეუბნები, გოგონა, ადექ!" გოგონა მაშინვე წამოდგა ფეხზე და გაიარა. იესომ მშობლებს ბავშვის დაპურება ურჩია და მკაცრად გააფრთხილა, რომ მომხდარი არ გაეხმაურებინათ.

## ხუთი ათასი კაცის დაპურება

ოთხივე სახარების ავტორი მოგვითხრობს იმ დღის შესახებ, როდესაც იესო უამრავ ხალხს უქადაგებდა მრავალი საათის მანძილზე. საღამო ხანს, როცა ხალხს მოშივდა, იესომ მოწაფეებს მათი დაპურება დაავალა. მოწაფეებს კი მხოლოდ ხუთი ქერის პური და ვიღაც ბიჭის მიერ მოტანილი ორი თევზი ჰქონდათ. როდესაც იესომ პური და თევზი აიღო, ზეცას ახედა და აკურთხა, უეცრად იმდენი საკვები აღმოჩნდა, რომ ყველას ეყო და ნაწილი შეუჭმელიც კი დარჩა. იმ დღეს იქ 5000 კაცი იმყოფებოდა, ქალებისა და ბავშვების გარდა.

იოანე მახარებელი ამით იმას გვეუბნება, რომ იესო ხალხს თავის თავზე მიანიშნებდა. მან თქვა: "მე ვარ პური სიცოცხლისა." როგორც პური აძლევს ადამიანს სასიცოცხლო ძალას, ასევე იესოს შეუძლია სიცოცხლის მინიჭება ადამიანისათვის.

## იესოს სასწაულები

პირველ სამ სახარებაში იესოს სასწაულებს "ძალთაქმედებანი" ეწოდება, ხოლო იოანეს სახარებაში "ნიშნები." სასწაულები იესო ქრისტეს ღვაწლის გაზვიადების მიზნით არ არის ახალი აღთქმის წიგნებში ჩაწერილი, არამედ ისინი თავიდანვე ახალი აღთქმის შემადგენელი და განუყოფელი ნაწილი იყო. იესოს ძლევამოსილი საქმეები იმის დასტურია, რომ ღმერთი ნამდვილად შემოიჭრა კაცობრიობის ისტორიის მსვლელობაში იესო ქრისტეს მეშვეობით. ამ სასწაულებრივი ნიშნებით სრულიად ახალი ეპოქა დაიწყო. ერთმა ცნობილმა ქრისტიანმა აღნიშნა, რომ სასწაულებს ისევე ვერ დააშორებ სახარებას, როგორც ჭვირნიშნებს ქაღალდის ფურცელსო. იესომ თქვა: "თუ მე ღვთის სულით ვდევნი ეშმაკებს, აბა, მოსულა თქვენთან ღვთის სასუფეველი." იესოს სასწაულები ღვთის სასუფევლის მოახლოების ამბავს ადასტურებს.

კ.ს. ლუისი დარწმუნებული იყო, რომ იესო ქრისტეს სასწაულები ყოველდღიური, ჩვეულებრივი მოვლენების დაჩქარებული სახეობაა და რასაც დამტკიცება არ სჭირდება. მაგალითად, საკვების გამრავლება ხუთი ათასი კაცის დასაპურებლად, ან ქორწილში იესოს მიერ წყლის ღვინოდ გადაქცევის ამბავი გავიხსენოთ. ასეთი რამ ხომ ბუნებაში ყოველწლიურად ხდება, მაგრამ უფრო ნელი ტემპით და თანდათანობით. თუმცა ჩვენ ამ ჩვეულებრივ მოვლენებს სასწაულებად არ აღვიქვამთ.




მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში პური ძირითადი საარსებო წყაროა. იესომ კარგად იცოდა მშიერი ხალხის დაპურების მნიშვნელობა. 5 000 მშიერი კაცი ერთდროულად დააპურა და საკუთარ თავზე თქვა: "მე ვარ პური სიცოცხლისა." ადამიანისთვის იესო ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ფიზიკური შიმშილის დამაოკებელი პური.

ქრისტიანებს იესო ქრისტეს ღვთაებრიობისა სწამთ და რაკი ის სამყაროს შემოქმედი ღმერთია, სასწაულების მოხდენა მისთვის არა მარტო შესაძლებელია, არამედ სრულებით ბუნებრივიც.

## იესოს პიროვნება

იესოს თავის მოწაფეებისთვის არ უთქვამს, რომ ის არის მესია, ღვთის რჩეული და მეფე, რომლის სასუფეველიც მოახლოებულია. მას სურდა, რომ მოწაფეებს თავად დაენახათ ეს ჭეშმარიტება.

ერთხელ, როდესაც ტბაზე ნავით მიცურავდნენ, ქარიშხალი ამოვარდა. პატარა, სათევზაო ნავს ჩაძირვის საფრთხე დაემუქრა. შეშინებულმა მოწაფეებმა იესოს დახმარება სთხოვეს. მასწავლებლის სიტყვებმა ქარი და ტალღები დაამშვიდა. გაოცებული მოწაფეები ჩურჩულით მსჯელობდნენ, თუ ვინ იყო იესო. მათ ხომ უკვე იხილეს, რომ იესო ავსულებზე და ავადმყოფებზე მრძანებლობდა. მაგრამ სტიქიურ მოვლენებზე გავლენის მოხდენა ბევრად უფრო საოცარი და ძნელად დასაჯერებელი იყო. ისინი თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ მასწავლებელი არაჩვეულებრივი პიროვნება იყო.

ერთ დღეს, იესომ ჰკითხა მოწაფეებს, თუ მათი აზრით ვინ იყო იგი. პეტრემ მკაფიოდ და დამაჯერებლად უპასუხა: "შენა ხარ ქრისტე."

ეროვნული ბიბლიოთეკა



შესაძლოა იესოს დიდება მოწაფეებმა იხილეს ჩრდილოეთ პალესტინაში, ხემრონის მთის რომელიმე კალთაზე.

"ქრისტე" ბერძნულ ენაზე მესიას ნიშნავს. იესომ მიუგო, რომ ღმერთმა გაუმხილა ეს ჭეშმარიტება პეტრესა და მოწაფეებს.

ამ აღიარებისა და შეცნობის შემდეგ იესო დამოძღვრის შემდგომ საფეხურზე გადავიდა. მან გაუმხილა მოწაფეებს, რომ ერის წინამძღოლები და მღვდელმთავრები აწამებდნენ და მოჰკლავდნენ მას, მაგრამ სამი დღის შემდეგ მკვდრეთით აღდგებოდა. ამ სიტყვების გამგონე პეტრე გულწრფელად შეწუხდა და მასწავლებელს სთხოვა ამაზე მეტს ნუღარ ილაპარაკებო. მაგრამ იესომ იცოდა, რომ არჩეული გზა სიკვდილისკენ მიემართებოდა. დრო და დრო იგი მოწაფეებს მოახლოებული მოწამებრივი აღსასრულის შესახებ ესაუბრებოდა. მაგრამ მათ ამის გაგონებაც კი არ სურდათ.

## ფერისცვალება

ერთ საღამოს იესომ ყველაზე ახლობელი მოწაფეები გაიყოლა და მაღალ მთაზე სალოცავად ავიდა. სახარება მოგვითხრობს, რომ როდესაც ისინი მთაზე იმყოფებოდნენ, იესომ ფერი იცვალა, გარდაისახა. მისი სახე არამიწიერად გაბრწყინდა და ტანისამოსი გათეთრდა. გაოცებული მოწაფეების წინაშე ორი ადამიანი გამოჩნდა იესოსთან, რომლებშიც მათ მოსე და ელია წინასწარმეტყველი შეიცნეს. ლუკა მახარებელი აღნიშნავს, რომ ფერისცვალების წინ, იესო თავის მომავალ მოწამეობრივ სიკვდილზე ესაუბრებოდა მოწაფეებს.

პეტრემ, რომელმაც თავისი სიტყვის ფასი კარგად იცოდა, იესოს უთხრა, რომ კარგი იქნებოდა სამი კარვის დადგმა. ერთი იესოსთვის და თითო-თითო მოსესა და ელიასთვის. მაგრამ, სათქმელი ჯერ არ ჰქონდა დამთავრებული, რომ ღმერთის დიდების ბრწყინვალე ღრუბელი გამოჩნდა და სამივე დაფარა. ღრუბლიდან ღმერთის ხმა გაისმა:

"ეს არის ჩემი საყვარელი ძე, უსმინეთ მას!"(მარ. 9:7)

შეშინებული მოწაფეები მიწაზე განერთხნენ. მაგრამ, იესო მივიდა მათთან, შეეხო და უთხრა: "წამოდექით და ნუ გეშინიათ."

როდესაც წამოდგნენ იესოს გარდა ვეღარავინ დაინახეს.

იესომ გააფრთხილა ისინი, რომ მისი ტანჯვით სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომამდე ეს საიდუმლო არავისთვის გაემხილათ.

## მზარდი წინააღმდეგობა

იესო ცხოვრების ბოლო სამ წელს ასწავლიდა და კურნავდა ხალხს. ის ეხმარებოდა ადამიანთა ჯგუფებს და პირისპირ ხვდებოდა კონკრეტულ პიროვნებებს. მასთან ბრმა მივიდა და თვალისჩინის დაბრუნება სთხოვა, მეგობრებმა ავადმყოფი კაცი მიუყვანეს, რადგან სჯეროდათ, რომ მას შეეძლო განკურნება. ფიზიკური და გონებრივი საჭიროებების გარდა, იესო ადამიანის სულიერ პრობლემებსაც შეხვდა. მიუტევა ცოდვები და ახალი ცხოვრების დაწყების შესაძლებლობა მისცა.

უეჭველია ასეთ ადამიანს ყველას სიყვარულითა და პატივისცემით უნდა ესარგებლა, მაგრამ სახარების დაწყებისთანავე მახარებელი გვაუწყებს, რომ იესოს მტრები ჰყავდა. მისმა აქტიურმა მოღვაწეობამ ხალხი ორ ბანაკად გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა


ყო. არჩევანი ორ გზაზე შეჩერდა. ან უნდა გერწმუნა და მასთან დამდგარიყავი, ან მის წინააღმდეგ უნდა გამოსულიყავი. მესამე გზა არ არსებობდა. მის სწავლებასაც მრავალი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. ის ხომ მკვეთრად განსხვავდებოდა ფარისევლებისგან, სადუკევე-ლებისგან და მწიგნობრებისაგან.

იესო წმიდა წერილის ტრადიციულ ახსნა-განმარტებას სიტყვა-სიტყვით არ მისდევდა, პირიქით, საკუთარი ავტორიტეტით საუბრობდა, რაც ებრაელების სულიერ წინამძღოლებს არ მოსწონდათ. მათ თვალში იესო არარაობა და წინამასწარა იყო, რომელიც კარგად ჩამოყა-ლიბებულ ზეპირ რჯულსა და ტრადიციას უგულებელყოფდა. მაგრამ, იესო არ შეუშინდა მტკიცე კედლად აღმართულ წინააღმდეგობას. ის საჯაროდ ამხილებდა მათ და ხალხის წი-ნაშე სამზეოზე გამოჰქონდა ერის წინამძღო-ლების თვალთმაქცობა და მოჩვენებითი კანო-ნიერება.

იესოს საქმეებმა და მოვლენების შემდგომმა განვითარებამ ისე დაძაბა მდგომარეობა, რომ შურითა და სიძულვილით აღსავსე რელიგიურ-მა წინამძღოლებმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტეს.

## ლაზარეს აღდგინება

იესოს სამი მეგობარი ჰყავდა სოფელ ბეთანია-ში, იერუსალიმის ახლოს, ორი და – მართა და მარიამი და მათი ძმა – ლაზარე. ერთხელ დებმა აცნობეს იესოს, რომ მათი ძმა ავად იყო და მონახულება სთხოვეს. იესო მაშინვე არ გაემგზავრა ბეთანიაში და მხოლოდ ორი დღის შემდეგ ეწვია მათ სოფელს მოწაფეებ-თან ერთად.

ლაზარე ოთხი დღის დამარხული დაუხვდათ. დამწუხრებულ დებს ვერ გაეგოთ იესოს და-ყოვნების მიზეზი, რადგან მათ ღრმად სწამ-დათ, რომ იესოს ლაზარეს განკურნება შეეძ-ლო, თუკი დროულად გამოეხმაურებოდა

## იესო მესია

ებრაული სიტყვა მესია ნიშნავს ცხებულს. "ქრისტე" მომდინარეობს მესიის ბერძნული თარგმანიდან "ქრისტოს." ძველი აღთქმის ეპოქაში ცხებული იყო პიროვნება, რომელსაც ღმერთი განსაკუთრებული მოვალეობის შესასრულებლად ირჩევდა. ასეთი იყო წინასწარმეტყველი, მღვდელი ან მეფე. ღმერთის რჩეულობის ნიშნად ხდებოდა უკვე გამორჩეული პიროვნების ზეთით ცხება. იყო მოლოდინი, რომ ღმერთი თავისი რჩეული ერის გადასარჩენად მოავლენდა თავის ცხებულ მეფეს.

ამ მომავალი მეფის შესახებ მრავალი განსხვავებუ-ლი აზრი არსებობდა. ზოგიერთი "ცხებულ მეფეში" მებრძოლსა და გმირს ხედავდა, როგორიც იყო იუდა მაკაბელი. სხვები მეფე დავითის მსგავს ძლიერ მეფეს ელოდებოდნენ. ზოგი კი ისეთი ზებუნებრივი მხსნელის მოვლენას მოელოდა, რომელიც ღვთის რჯულს აღასრულებდა, როგორც ისრაელის ძლევამოსილი წინამძღოლი.

იესო საკუთარ თავს მესიას არ უწოდებდა, რადგან კარგად უწყოდა, რომ ხალხისთვის მისაღები და სასურველი მესია მის მიზანსა და ამოცანებს ეწინააღმდეგებოდა. მაგრამ, პეტრეს მიერ მისი მესიად აღიარება იესომ არ უარყო.

### ძე ღვთისა

ძველ აღთქმაში ისრაელს ღმერთის შვილი ეწოდებო-და (იხილეთ გამ. 4:22). ეს წოდება კი მჭიდროდ უკავშირდება მესიანიზმის იდეას. ძველი აღთქმის წიგნებში მესია — ცხებული, ღმერთის შვილი ხშირად ისრაელის მეფეების წოდებაა, მაგრამ ებრაელი მწიგნობრები ღმერთის ძედ მომავალ ძლევამოსილ მეფე-მესიას აღიქვამდნენ. მაგალითად, 2 ფსალმუნში ღმერთი მომავალ მესიაზე ამბობს: "ძე ხარ ჩემი." იესომ განსაკუთრებული გზით წარმოაჩინა თავი, როგორც ღვთის ძემ, რომელიც ზეციური მამის ნება-სურვილს უზადო მორჩილებით ასრულებდა.

### ძე კაცისა

იესო ყველაზე ხშირად საკუთარ თავს ძე კაცისას უწოდებდა. შესაძლოა მიზეზი ის იყო, რომ ამ წოდებას პოლიტიკური და სამხედრო ძალაუფლების ელფერი არ ჰქონდა. ძველ აღთქმაში ფრაზა "ძე კაცისა" უბრალოდ ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენებოდა. მაგრამ, დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის 7 თავში აღწერილ მოვლენაში "ცის ღრუბ-ლებზე მოდიოდა კაცის ძის მსგავსი," რომელსაც უძველესმა ღმერთმა მარადიული დიდება და მეფობა უბოძა. სინედრიონის სასამართლოს წინაშე წარმდ-გარმა იესომ ძველი აღთქმის ეს სიტყვები თავის თავზე წარმოსთქვა. იესო, როდესაც საკუთარ თავს ძე კაცისას უწოდებდა, მკაფიოდ აღნიშნავდა თავის ადამიანურობას და იმ ძალას და დიდებას, რომე-ლიც მამა ზეციერმა მიანიჭა.

### მსახური

ესაია წინასწარმეტყველი მოგვითხრობს მსახურის შესახებ, რომელიც თავისი ხალხის გადასარჩენად ეწამა. ესაიას დროს ეს მსახური მესიასთან არ იყო დაკავშირებული, მაგრამ იესომ თავად იტვირთა ეს რთული მისია. მან თქვა:

"კაცის ძე არ მოსულა იმისათვის, რომ მას ემსახუ-რონ, არამედ იმისათვის, რომ თავად ემსახუროს და მისცეს თავისი სული მრავალთა გამოსასყიდად." (მარკ. 10:45)

ესაიას წიგნის 53 თავის ბოლო ნაწილში აღწერილია თავისი ხალხისათვის მოკლული მსახურის ამბავი, რომლის თავგანწირვა მსოფლიოს ყველა ერზე გავრცელდება. (ეს. 42:49)

დების მოწოდებას. მაგრამ იესოს უნდოდა უდიდესი სასწაული მოეხდინა. დაამშვიდა დები და მართას ამ სიტყვებით მიმართა:

"მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე, ჩემი მორწმუნე, კიდეც რომ მოკვდეს, იცოცხლებს. ყველა, ვინც ცოცხლობს ჩემში და სწამს ჩემი, არ მოკვდება უკუნისამდე." (იოან. 11:25-26)

ამ შემთხვევაში იესო ფიზიკური სიკვდილიდან აღდგომაზე უფრო რეალურ და მარადიულ მოვლენებზე ესაუბრებოდა მართას. მან მკაფიოდ აღნიშნა, რომ ადამიანის მკვდრეთით აღდგინების გარდა მარადიული სიცოცხლეც შეუძლია მისცეს, რომელიც საიქიოში გრძელდება.

შემდეგ "შინაგანად შეძრული" იესო ლაზარეს სამარხს მიუახლოვდა და დიდი ხმით დაიძახა: "ლაზარე, გამოდი!" მკვდარი ადამიანი სამარხიდან ცოცხალი გამოვიდა.

ებრაელი მღვდელმთავრები და ერის წინამძღოლები შეშფოთდნენ. უამრავი ხალხის წინაშე მოხდენილმა სასწაულმა იესოს სახელი გაუთქვა და მეტი მომხრე შესძინა. ამიტომ მათ იესოს მოსაკლავად შეთქმულების მოწყობა გადაწყვიტეს.

### იესოს ზეიმით შესვლა იერუსალიმში

როდესაც იესო იერუსალიმს მიუახლოვდა, ორი მოწაფე გაგზავნა ქალაქში ვირის მოსაყვანად. იესო ვირზე ამხედრებული შევიდა იერუსალიმში. პასექის დღესასწაულზე ჩამოსული უამრავი ხალხი აღტაცებითა და სიხარულით შეეგება იესოს, ისინი ტანსაცმელსა და ხის რტოებს უფენდნენ წინ.

იესო საოცარი სიყვარულით სარგებლობდა ხალხში, რომელიც მესიანური ფსალმუნის სიტყვებით ესალმებოდა მას:

"ოსანა დავითის ძეს! კურთხეულია უფლის სახელით მომავალი! ოსანა, მაღალთა შინა!"

მოგვიანებით მიხვდნენ მოწაფეები იესოს მოქმედების მნიშვნელობას. წინასწარმეტყველი ზაქარია, როდესაც მომავალი მეფის შესახებ წინასწარმეტყველებდა, ამბობდა, რომ ის მშვიდობისმყოფელი იქნებოდა და საომარ ცხენზე ამხედრებული კი არ მოვიდოდა, არამედ ვირზე მშვიდად მჯდომი. ხალხის იესოსადმი დამოკიდებულებამ ებრაელთა წინამძღოლების რისხვა კიდევ უფრო გააძლიერა.

იერუსალიმში შესვლისთანავე იესო ტაძარში მივიდა. ის განარისხა იმ ამბავმა, რომ ვაჭრებს ტაძრის ეზო, რომელიც წარმართების ეზოდ ითვლებოდა, საბაზრო ადგილად ჰქონდათ ქცეული. ეზოში მსხვერპლშესაწირავი ფრინველები და ცხოველები იყიდებოდა, იქვე ახურდავებდნენ და ცვლიდნენ ფულს. იესომ ცხოველები, ფრინველები და მათი გამყიდვლები მეკერმეებთან ერთად გარეთ გამოყარა და ტაძრის ეზოში ვაჭრობა აუკრძალა. იესოს ეს მოქმედება წინასწარმეტყველური ნიშანი იყო, რომელიც ძველი წესრიგის და ეპოქის დასასრულსა და ახალი მესიანური ერის დადგომაზე მიუთითებდა.

"არ წერია: ჩემი სახლი სამლოცველო სახლად იწოდება ყველა ხალხისთვისო?
თქვენ კი ავაზაკთა ბუნაგად აქციეთ." (მარკ. 11:17)

იერუსალიმის ტაძარი, რომელშიც წარმართებისთვისაც იყო ადგილი გამოყოფილი, ღმერთის ნება-სურვილით ქვეყნის აღსასრულის წინ წარმართთა მოქცევისათვის იყო გამიზნული. იესომ კი საპირისპირო მდგომარეობა იხილა. ტაძარი ებრაელების ეროვნული ფანატიზმისა და მათი განსაკუთრებულობის, გამორჩეულობის ცენტრად იყო ქცეული.

### ბოროტი მიწისმუშაკები

იესომ ერთხელ ისეთი იგავი უამბო მსმენელებს, რომ ებრაელთა წინამძღოლების რისხვა გამოიწვია. კაცმა ვენახი გააშენა და იჯარით, გარკვეული გადასახადის საფასურად, მიწისმუშაკებს ჩააბარა. რთველის დროს პატრონმა მსახურები გაუგზავნა მოსავლის ნაწილის მისაღებად, მაგრამ მათ ზოგი მოკლეს, ზოგი სცემეს და დაჭრეს. ბოლოს ამ კაცმა საკუთარი საყვარელი ძე გაგზავნა მათთან, რადგან იფიქრა, მას მაინც მოერიდებიანო. მიწისმუშაკებმა არც ის დაინდეს და მოკლეს.

წინამძღოლებმა მოისმინეს ეს იგავი და მისი მნიშვნელობაც კარგად გაიგეს. ვენახი ისრაელს განასახიერებდა, მიწისმუშაკები ერის წინამძღოლებსა და უხუცესებს, ვენახის პატრონი ღმერთი იყო და მსახურები კი წინასწარმეტყველები. საყვარელი ძე კი თავად იესო იყო. მაგრამ, იმის ნაცვლად, რომ ამ იგავის გაფრთხილება ყურად ეღოთ, მათ იესოს შეპყრობისა და მოკვლის მზაკვრული გეგმის განხორციელება უფრო დააჩქარეს.

### გამცემი იუდა ისკარიოტელი

ებრაელთა წინამძღოლები და უხუცესები შეითქვნენ და იესოს მოკვლა გადაწყვიტეს. მათი ხელშემწყობი და თანამოაზრე იესოს უახლოეს გარემოცვაში აღმოჩნდა. როგორც ჩანს, იუდა ისკარიოტელი ნაციონალისტი იყო და იმით იყო იმედგაცრუებული, რომ იესომ არ აღადგინა ისრაელის ძლიერი სამეფო და არც ის ძალაუფლება გამოავლინა, რომელსაც იუდა მოუთმენლად ელოდებოდა და მან ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო – იესოს გაცემა. ამ მზაკვრულ საქმეში იუდამ ოცდაათი ვერცხლი აიღო. მღვდელმთავრებს კი დაჰპირდა, რომ აცნობებდა, თუ სად და როდის შეიძლებოდა იესოს შეპყრობა უხმაურად, ხალხისგან დაფარულად.

ეროვნული ბიბლიოთეკა


# ჰეროდეს ტაძარი



ტაძრის მთავარი ნაგებობის მასშტაბში შემცირებული მაკეტი, ქ. შ. 66 წლის იესრუსალიმის მაკეტიდან. წმიდა მიწის სასტუმრო, იერუსალიმი.








სიძველისგან დახლართული ზეთისხილის ხეები კარგად გამოხატავენ იესოს ტანჯვას ჯვარცმამდე, "სულის ბნელ ღამეს."

## პასექი და უფლის სერობა

პასექის დღესასწაული დადგა და უფუარობის პირველ დღეს იესომ ორი მოწაფე გაგზვნა იერუსალიმში, რათა ერთ-ერთი სახლის ზემოთვალში საპასექო სუფრა მოემზადებინათ. საღამოხანს იესო და თორმეტი მოწაფე ამ სახლს ეწვივნენ. იესომ პირსახოცი და საბანელი აიღო და თითოეულ მოწაფეს ფეხები დაბანა. ამ მოქმედებით მორჩილებისა და მიუკერძოებლობის მაგალითი აჩვენა მათ.

სერობის დროს, რაკი იცოდა, რომ მალე მოკვდებოდა, აიღო იესომ პური, აკურთხა და გატეხა, მისცა მოწაფეებს და თქვა:

"ეს ჩემი სხეულია."

შემდეგ ღვინით სავსე სასმისი აკურთხა, მისცა მათ და თქვა:

"ეს არის ჩემი სისხლი ახალი აღთქმისა, მრავალთათვის დაღვრილი ცოდვათა მისატევებლად."(მთ. 26:26-28)

ბოლოს უბრძანა, რომ მის მოსაგონებლად აღესრულებინათ ზიარება პურითა და ღვინით.

## გეთსიმანია

სერობის შემდეგ იესო თავის მოწაფეებთან ერთად წავიდა ზეთისხილის მთაზე, რომელსაც გეთსიმანია ეწოდებოდა, რათა წყნარ ადგილას განმარტოებულიყვნენ. ძალიან დამწუხრებული და აღელვებული იყო იესო. მიწაზე დაემხო და ათრთოლებულმა შეჰღაღადა ზეციურ მამას:

"აბბა, მამაო, შენთვის ყოველივე შესაძლებელია. ამაცილე ეს სასმისი. მაგრამ არა რაც მე მსურს, არამედ, რაც — შენ."

### ჯვარცმა

ჯვარცმა რომაელების გამოგონება არ იყო, თუმცა მათ კარგად შეითვისეს სიკვდილით დასჯის ეს საშინელი წესი. რომის იმპერიაში ამ წესით სიკვდილით ისჯებოდა გაქცეული მონა ან მძიმე დანაშაულში ბრალდებული თავისუფალი ადამიანი.

სიკვდილმისჯილს ლითონის ნაჭრებით გაწყობილი მათრახით შოლტავდნენ, რომელიც აუტანელ ტკივილსა და გონების დაკარგვას იწვევდა. შემდეგ მსაჯავრდებულს ჯვრის ძელს აჰკიდებდნენ და სასჯელის აღსრულების ადგილამდე მიჰყავდათ. ჯვრის ვერტიკალური ძელი წინასწარ იყო გამზადებული.

თავდაპირველად სიკვდილმისჯილს საკუთარი ზურგით მოთრეულ ძელზე ლურსმნებით აკრავდნენ. შემდეგ ამ ჰორიზონტალურ ძელს ძირითად ძელზე ამაგრებდნენ ჯვარედინად და მსხვერპლის ფეხის ტერფებსაც ლურსმნებით აჭედებდნენ. ჯვრის თავზე კი ამაგრებდნენ წარწერას, რომელზეც მითითებული იყო მსჯავრდებულის სახელი და დანაშაული.

ჯვარცმული ზოგჯერ რამდენიმე დღის მანძილზე იტანჯებოდა და ჟანგბადის მწვავე უკმარისობის გამო კვდებოდა.

## იესოს შეპყრობა

იუდამ იცოდა, თუ სად მიდიოდა იესო [illegible] სერობის შემდეგ ჩუმად გაიპარა, მივიდა მღვდელმთავრებთან და იესოს ადგილსამყოფელი აცნობა. დაამთავრა თუ არა იესომ ლოცვა, ჩამობნელებული არემარე და ხეები ჩირაღდნების შუქმა გაანათა. მღვდელმთვრებისა და მწიგნობრების ბრძანებით იუდას გაცემული იესო შეიპყრეს.

## იესო სამსჯავროზე

შეპყრობილი იესო მღვდელმთავრის სახლში წაიყვანეს, ხოლო შეშინებული მოწაფეები კი გაიფანტნენ. მიუხედავად იესოს მრავალგზის გაფრთხილებისა, რომ მას მალე დააპატიმრებდნენ, მოწაფეებს არ ჰქონდათ გააზრებული მასწავლებლის სიტყვები.

მოგვიანებით იოანე და პეტრე მღვდელმთავრის სახლში მალულად მივიდნენ და იესოს დაკითხვას ეზოდან უყურებდნენ. ეზოში პეტრე იცნეს და სამჯერ ჰკითხეს იესოს მიმდევარი იყო, თუ არა. მაგრამ შეშინებულმა და დაბნეულმა პეტრემ სამჯერვე უარყო იესოსთან ნაცნობობა. თუმცა ჯერ კიდევ შეპყრობამდე, იესოს გაფრთხილებული ჰყავდა პეტრე, რომ იგი მას სამჯერ უარყოფდა. მაშინ მან არ ირწმუნა მასწავლებლის სიტყვები. ახლა კი თვალები აეხილა და მწარედ ატირდა.

მთელი ღამის მანძილზე გრძელდებოდა იესოს დაკითხვა. მახარებლები გვაუწყებენ, რომ ცრუმოწმეების ჩვენებების მიუხედავად, იესოს არც ერთი სამხილი არ დაუმტკიცდა. ხანგრძლივი დაკითხვების შემდეგ მღვდელმთავარმა ფიცის ქვეშ მოსთხოვა დადასტურება, იყო თუ არა იესო მესია, ძე ღვთისა. იესომ აღიარა, რომ ის იყო მესია და დანიელ წინასწარმეტყველის წიგნის მეშვიდე თავის სიტყვებით მიუგო: "ამიერიდან იხილავთ კაცის ძეს ძალის მარჯვნივ მჯდომარეს და ცის ღრუბლებზე მომავალს."

სინედრიონის სამსჯავრომ იესოს ეს სიტყვები ღვთისგმობად ჩათვალა და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. იესოს ხელები გაუკრეს და საწამებლად ჯარისკაცებს გადასცეს.

მეორე დილით იესო რომის ხელისუფლების წარმომადგენელთან პილატე პონტოელთან წაიყვანეს და სასიკვდილო განაჩენის დადასტურება და აღსრულება მოსთხოვეს, რადგან სიკვდილის დასჯის საქმე მხოლოდ რომაელთა განკარგულებაში იყო. პილატემ უდანაშაულო იესოს გამართლება და გათავისუფლება სცადა, მაგრამ პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში თავმოყრილი ბრბოს შიშით, რომელსაც, შესაძლოა, არეულობა და ქაოსი გამოეწვია ისედაც მღელვარე იუდეაში, იძულებული გახდა სინედრიონის მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და იესოს ჯვარცმის ბრძანება გასცა.



მათე, მარკოზი და ლუკა მახარებლები გვამცნობენ, რომ დღის ექვსი საათიდან ცხრა საათამდე, მაშინ, როდესაც იესო ჯვარზე იტანჯებოდა, მზე დაბნელდა. სწორედ ეს მზის დაბნელება იქცა კაცობრიობის ისტორიის შემობრუნების ათვლის წერტილად.



იესო კლდეში გამოკვეთილ სამარხში დაკრძალეს და შესასვლელი მასიური ქვის ლოდით დაგმანეს. მაგრამ, სახარების ავტორებმა გვახარეს, რომ სიკვდილმა და სამარხმა ვერ დააკავეს იესო. ფოტოსურათზე გამოსახულია ჰეროდეს სამარხი იერუსალიმში.

### რატომ მოკვდა იესო

შეიძლება ვიფიქროთ, რომ იესო შურისა და მტრობის მსხვერპლი გახდა, მაგრამ ბიბლიაში ნათქვამია, რომ იესოს სიკვდილი ღმერთის წინასწარგამიზნული გადაწყვეტილების შედეგი იყო. იესომ თავად გადაწყვიტა მომკვდარიყო და მამაზეციერის ნება შეესრულებინა.

ოთხივე სახარება გვაუწყებს, რომ მსახურების დასაწყისიდანვე იესომ თავისი სიკვდილი იწინასწარმეტყველა. მას შემდეგ, რაც პეტრემ ირწმუნა, რომ ის არის მესია, იესომ არაერთხელ უთხრა მოწაფეებს, რომ ის მოკვდებოდა მრავალთა გამოსასყიდად. იმ დროს გამოსასყიდს მონის გასათავისუფლებლად იხდიდნენ. იესოს სიტყვები იმაზე მეტყველებს, რომ ის მრავალ ადამიანს დაიხსნიდა და ღმერთთან დააბრუნებდა.

იესოს სიკვდილის წინასწარუწყების სიტყვები ესაია წინასწარმეტყველის წიგნის 53 თავს ეხმაურება, რომელშიც მოთხრობილია საკუთარი ხალხის გადასარჩენად თავგანწირული მსახურის ამბავი.

იოანე ნათლისმცემელი იესოზე აცხადებს: "აჰა, ღვთის კრავი, რომელიც იღებს წუთისოფლის ცოდვას." იოანე, შესაძლოა, იმ საპასექო კრავზე ფიქრობდა, რომელიც ისრაელიანების გადასარჩენად შეიწირა ეგვიპტეში, მოსეს დროს; ან იმ კრავს გულისხმობდა, რომელიც ჩადენილი ცოდვის მისატევებლად შეიწირებოდა.

ბიბლიაში იესოს სიკვდილი გაგებულია, როგორც ადამიანის ცოდვისა და სულიერი სიკვდილისაგან გათავისუფლების აქტი. იესო საკუთარ სიკვდილს თავისი მესიანური მისიის განუყოფელ ნაწილად თვლიდა და არა სიძულვილისა და მტრობის შედეგად.

### იესოს სიკვდილი

იესოსთან ერთად ჯვარზე ორი ავაზაკი გააკრეს. თავიდან ისინი გმობდნენ და წყევლიდნენ მას, მაგრამ ბოლოს ერთმა მათგანმა ირწმუნა იესო. იქვე, გოლგოთაზე იესოს მტრებმა მოიყარეს თავი და დასცინოდნენ მას, თუმცა მოწაფეთა ჯგუფიც (მათ შორის იყო იესოს დედა მარიამი), ესწრებოდა იესოს ჯვარცმას.

ტკივილისა და სულის შეხუთვის მიუხედავად, ჯვარზე გაკრულმა იესომ უკანასკნელი სიტყვებით მიმართა თავის მიმდევრებს. პირველ რიგში მტრებისთვის შეჰღაღადა ღმერთს:

"მამაო, მიუტევე ამათ, ვინაიდან არ იციან რას აკეთებენ." (ლუკ. 23:34)

შემდეგ მოციქულ იოანეს დედამისზე მზრუნველობა დაავალა.

მახარებლები მოგვითხრობენ, რომ იმ დროს, როდესაც ჯვარცმული იესო სიკვდილისწინა აგონიაში იყო, სამი საათის განმავლობაში დაბნელდა. იესომ ფსალმუნის სიტყვებით გამოთქვა სიკვდილისწინა მარტოობის გრძნობა:

"ელი, ელი! ლამა საბაქთანი?" რაც ნიშნავს: "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რად მიმატოვე?" (მათ. 27:46)

როდესაც აღსასრული მოახლოვდა, იესომ გამარჯვებულის ხმით შესძახა: "აღსრულდა!" მან იცოდა, რომ ღმერთის მიერ დაკისრებული დავალება სრულყოფილად შესრულა. შემდეგ კი, უკანასკნელი სიტყვები წარმოსთქვა, ებრაელი ბავშვის ძილისპირული:

"მამაო, შენს ხელთ ჩამიბარებია ჩემი სული." (ლუკ. 23:46)

ეროვნული ბიბლიოთეკა



მახარებლები დამაჯერებლად მოგვითხრობენ, რომ იესო ღმერთისგან მოვიდა და სიკვდილის, აღდგომის და ორმოცი დღის გამოცხადების შემდეგ ღმერთს დაუბრუნდა. იესო "ამაღლდა ცაში" — გვაუწყებს ლუკა მახარებელი.

სახარებაში მოთხრობილია, რომ იესოს სიკვდილის დროს ტაძრის წმიდათა წმიდის ფარდა თავიდან ბოლომდე შუაზე ჩაიხა. მახარებლები მიხვდნენ, რომ იესომ, საკუთარი სიკვდილით, ღმერთთან მიმავალი გზა გახსნა.

ორმა წარჩინებულმა ებრაელმა, რომლებიც სიკვდილით დასჯას არ ემხრობოდნენ, იესოს დაკრძალვის თადარიგი დაიჭირეს. ერთმა მათგანმა, უხუცესთა საბჭოს წევრმა, იოსებ არიმათიელმა პილატესგან გამოითხოვა იესოს გვამი და თავის კლდეში გამოკვეთილ სამარხში დაკრძალა. იესოს სიკვდილის თვითმხილველი ქალებიც დაესწრნენ მის დაკრძალვას.

## მკვდრეთით აღდგომა

იესოს ჯვარზე სიკვდილის მეორე დღეს შაბათი იყო, უქმე დღე. კვირა დღეს კი, უთენია იესოს დაკრძალვის მოწმე ქალები სამარხისკენ გაეშურნენ, რათა ნელსაცხებლები ეცხოთ იესოს გვამისათვის. მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ნახეს, რომ სამარხის შესასვლელი ღია იყო, ხოლო ქვის უზარმაზარი ლოდი – გადაგორებული. სამარხში შესულებს იესოს გვამი ადგილზე არ დახვდათ. ანგელოზმა კი აუწყა მათ: "არ არის აქ, არამედ აღდგა."

ჯვარზე აღსასრულამდე იესომ რამდენჯერმე უთხრა მოწაფეებს, რომ სიკვდილის შემდეგ, მესამე დღეს მკვდრეთით აღდგებოდა, მაგრამ მათ არ შეისმინეს მასწავლებლის სიტყვები. ხოლო როდესაც სამარხიდან დაბრუნებულმა ქალებმა მათ მომხდარი ამბავი აუწყეს, მოწაფეები მაინც დაეჭვდნენ.

მაგრამ იმ საღამოს, როდესაც მოწაფეები ერთად იყვნენ შეკრებილები, თავად იესო გამოეცხადა მათ. თავდაპირველად ისინი შეძრწუნდნენ, რადგან მოჩვენება ეგონათ. მაგრამ იესომ დაუყვავა და დაამშვიდა მოწაფეები. მათ აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მიხვდნენ, რომ იესო ცოცხალი იყო.

## იესოს გამოცხადება ორმოცი დღის მანძილზე და ამაღლება

დაახლოებით ექვსი კვირის მანძილზე იესო დროდადრო ეცხადებოდა მოწაფეებსა და მორწმუნეებს. პავლე მოციქული ერთ შემთხვევას აღწერს, როდესაც იესო ერთდროულად 500 მორწმუნეს გამოეცხადა. იესოს სხეული ჰქონდა, მოწაფეებს შეეძლოთ შეხებოდნენ იესოს, მას შეეძლო მათ წინაშე საკვებიც ეჭამა, მაგრამ ის განსხვავებული იყო. იესოს დაკეტილ კარში გასვლა და საკუთარი ნება-სურვილით გამოჩენა ან გაუჩინარება შეეძლო. მისი მიწიერი სხეული გარდაქმნილი იყო.

აღდგომის შემდეგ იესო კვლავ ასწავლიდა თავის მოწაფეებს. იესომ განუმარტა მათ სიკვდილისა და მკვდრეთით აღდგომის მნიშვნელობა, რადგან მოწაფეებს ყველაზე მეტად სწორედ ამ მოვლენის გაგება უჭირდათ. იგი წმიდა წერილზე დაყრდნობით უმტკიცებდა მათ, რომ მესიის ტანჯვა, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა ღმერთის გეგმა იყო.

ერთ დღეს, იესო უკანასკნელად დაემშვიდობა თავის მოწაფეებს, აკურთხა ისინი, განშორდა და ზეცად ამაღლდა. ლუკა მახარებელი გადმოგვცემს, რომ იესო ღრუბელმა მოაფარა მათ თვალს. იესო მამა ზეციერის დიდებას დაუბრუნდა. იესოს ამაღლებამ მოწაფეები დაარწმუნა, რომ მას ველარ იხილავდნენ, რადგან დედამიწაზე იესოს მსახურება დასრულდა. ამიერიდან მათი მსახურების დრო დადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


10

# ეკლესიის განთიადი

## მოციქულთა საქმეები

მოციქულთა საქმეების წიგნის ავტორი გახლავთ ლუკა, რომელიც, აგრეთვე, ერთ-ერთი სახარების ავტორია. მოციქულთა საქმეებს ლუკა მახარებელი იმავე წარჩინებულ პიროვნებას, თეოფილეს, უძღვნის, ვისაც სახარება მიუძღვნა. სახარებაში ლუკამ იესოს საქმეები და მოძღვრება აღწერა. ახლა კი, იესოს იმ საქმეების შესახებ მოგვითხრობს, რომლებიც სულიწმიდის ძალით შემოსილმა თერთმეტმა მოციქულმა (მეთორმეტემ იუდამ თავი ჩამოიხრჩო) გააგრძელა. სწორედ ამის გამო ეწოდება ამ წიგნს მოციქულთა საქმეები.

ლუკა აღწერილ ამბავს გულმოდგინედ გადმოგვცემს. ის პავლეს განუყრელი თანამგზავრი და, შესაძლოა, მისი მკურნალი ექიმიც კი იყო. ლუკა წიგნში აღწერილი მრავალი მოვლენის თვითმხილველია.

მოციქულთა საქმეები დაიწერა დაახლოებით ქ.შ. 70-80 წლებში, თუმცა ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს, რომ ის უფრო ადრე, ქ.შ. 60-იან წლებში უნდა დაწერილიყო.

### ამაღლება

მკვდრეთით აღდგომის შემდეგ, იესო დრო-დადრო ეცხადებოდა თავის მოწაფეებს და საღვთო წერილის მიხედვით განუმარტავდა მათ სიკვდილისა და აღდგომის მნიშვნელობას. იესო ორმოცი დღის მანძილზე ეცხადებოდა მოწაფეებს და შემდეგ გაუჩინარდა, თუმცა ამით არ დამთავრებულა მისი მისია, მისი საქმეები მის მიმდევრებს უნდა გაეგრძელებინათ.

ლუკა ამბების გადმოცემას იესოს მკვდრეთით აღდგომიდან ექვსი კვირის შემდეგ მომხდარი მოვლენების აღწერით იწყებს, ანუ იესო ქრისტეს უკანასკნელი გამოცხადებით.

შეპყრობის წინაღამეს, სერობისას იესო დაჰპირდა მათ, რომ "სხვა ნუგეშისმცემელს" – სულიწმიდას – მოუვლენდა. სულიწმიდა, რომელიც ასევე ღმერთია, მოწაფეებს ღვთიურ ძალასა და რწმენას მიანიჭებდა.

"თქვენ მიიღებთ ძალას, როდესაც გადმოვა სულიწმიდა თქვენზე და იქნებით ჩემი მოწმენი იერუსალიმში, მთელ იუდეასა და სამარიაში და ქვეყნის კიდემდე." (საქ. 1:8)

ლუკამ თავისი წიგნის შინაარსი იესოს ამ სიტყვებზე ააგო. ის მოგვითხრობს ქრისტეს სახარების გავრცელებაზე რომის იმპერიის პროვინციებსა და დედაქალაქში – რომში. მისი წიგნის ძირითადი ამბები ეთმობა იესოს ორი ერთგული მიმდევრის მოღვაწეობას: პეტრეს, რომელიც იესომ თორმეტი მოციქულის წინამძღოლად დანიშნა და ახალმოქცეულ სავლეს, რომელიც პავლე მოციქულად იქცა.

### სულიწმიდის მოფენა

ზეთისხილის მთაზე, მოწაფეების თვალწინ, იესო "ამაღლდა ზეცად და დაჯდა ღვთის მარჯვნივ." მოწაფეები იერუსალიმში დაბრუნდნენ და მოუთმენლად ელოდებოდნენ სულიწმიდის მოვლინებას. ისინი იკრიბებოდნენ და ლოცულობდნენ. მათ იესოს ოჯახი და სხვა მორწმუნეებიც შეუერთდნენ.

იმ დროს იერუსალიმში უამრავმა მლოცველმა მოიყარა თავი ორმოცდაათობის აღსანიშნავად (პასექის გასვლიდან ორმოცდამეათე დღე დღესასწაული იყო). მოულოდნელად იმ სახლში, სადაც მოწაფეები იყვნენ შეკრებილნი, ძლიერი ხმაური გაისმა, თითქოს ძლიერმა ქარმა დაჰბერაო. ყოველ მოწაფეს ცეცხლის გაყოფილი ენები მოეფინა. ეს იყო სულიწმიდის მოფენის ხილული ნიშანი.

როცა ხმაური გაიგონეს, უამრავი მლოცველი მიაწყდა ამ სახლს. სულიწმიდით აღვსილი მოწაფეები სახლიდან გამოვიდნენ და იქ შეკრებილ ხალხს იესოს შესახებ უქადაგეს. სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულმა მლოცველებმა საკუთარ ენებზე მოისმინეს მათი სიტყვები, რითაც კიდევ უფრო მეტად გაოცდნენ. თუმცა ზოგიერთმა მოწაფეები სიმთვრალეში დაადანაშაულა, მაგრამ პეტრემ ეს ბრალდება შთამბეჭდავი სიტყვით უარყო. ის თამამად წარსდგა ხალხის წინაშე და იესო ქრისტე იქადაგა.

იქ შეკრებილთაგან მრავალი იყო ჯვარცმის მოწმე და ამიტომ ბევრი სახტად დატოვა იესოს მკვდრეთით აღდგომის ამბავმა. პეტრემ ძველი აღთქმის წერილები მოიხმო და დაუმტკიცა მსმენელებს, რომ იესოს სიკვდილი და აღდგომა მრავალი საუკუნის წინ იწინასწარმეტყველეს ებრაელმა წინასწარმეტყველებმა, და, რომ იესოს სიკვდილი ადამიანის სურვილზე კი არ იყო დამოკიდებული, არამედ კაცობრიობის ხსნის ღვთიურ განგებულებაზე. ასე მიმართა ხალხს პეტრემ:

"მტკიცედ იცოდეს ისრაელის მთელმა სახლმა, რომ ღმერთმა გახადა უფლად და ქრისტედ ეს იესო, რომელიც თქვენ ჯვარს აცვით." (საქ. 2:36)

### მოციქულთა საქმეები

#### მთავარი ამბები და მოვლენები

იესოს ამაღლება 1

სულიწმიდის მოფენა 2

პირველი ქრისტიანი მოწამის, სტეფანეს ამბავი 6-7

სავლეს (პავლეს) მოქცევა დამასკოს გზაზე 9

პეტრე მიხვდა, რომ სახარება წარმართებსაც ეკუთვნით 10

პავლემ და მისმა თანამგზავრებმა სახარება მცირე აზიასა და საბერძნეთში იქადაგეს 13-20

პავლეს შეპყრობა, დაკითხვები, ხომალდის დაღუპვა და რომში მისვლა 21-28

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ორმოცდაათობის აღსანიშნავად იერუსალიმში მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულმა მლოცველმა მოისმინა პეტრეს ქადაგება

ხალხში ბევრმა სინდისის ქენჯნა იგრძნო. მათ მოციქულებს კითხვით მიმართეს: "როგორ მოვიქცეთ, კაცნო, ძმანო?" პეტრეს პასუხი მზად ჰქონდა:

„მოინანიეთ და ყოველი თქვენგანი მოინათლოს იესო ქრისტეს სახელით ცოდვების მისატევებლად, და მიიღებთ სულიწმიდის ნიჭს." (საქ. 2:38)

დაახლოებით სამი ათასი კაცი მოინათლა იმ დღეს და ახალი ეკლესიის ბირთვი სწორედ მათგან შეიქმნა. ეს ეკლესია იყო ქრისტეს მორწმუნეთა მტკიცედ შეკრული თემი.

### ქრისტიანთა დევნის დასაწყისი

ახალშექმნილი ქრისტიანული თემი ძალას იკრებდა; მორწმუნეების რიცხვი ყოველდღიურად მატულობდა. მაგრამ განსაცდელის ჟამი მოახლოვდა. იუდეველთა წინამძღოლები, რომლებმაც იესოს ჯვარცმაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს, არ მოელოდნენ მოვლენების ასეთ განვითარებას: იესოს მოწაფეები ქადაგებდნენ, რომ იესო მკვდრეთით აღდგა და კვლავ აგრძელებს თავის მიმდევრებთან ურთიერთობას. განსაკუთრებით აღშფოთდნენ სადუკეველები, რომლებსაც სიკვდილის შემდეგ სიცოცხლის განახლებისა არ სჯეროდათ.

როდესაც პეტრემ და იოანემ ხეიბარი განკურნეს იესოს სახელით და განაცხადეს, რომ ამ საქმეში იესოს ძალა მოქმედებდა, ებრაელ წინამძღოლთა მოთმინების ფიალა აივსო. მათ სასწრაფოდ დააპატიმრეს მოციქულები, მაგრამ ვერ გაბედეს მათი დასჯა, რადგან განკურნებული კაცი სასწაულის ცოცხალი მოწმე იყო. ამიტომ გაათავისუფლეს ისინი და სასტიკად გააფრთხილეს, რომ იესოზე ქადაგება შეეწყვიტათ.

მაგრამ იესოს მოწაფეებმა მათი ბრძანება არ შეასრულეს. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც სასოწარკვეთილი მოწაფეები ხელისუფლებას ემალებოდნენ. იესოს მკვდრეთით აღდგომამ და სულიწმიდის ძალამ ისინი სიმამაცით შემოსა. მაგრამ მალე მორიგმა განსაცდელმა მოაწია. ებრაელთა წინამძღოლებმა მოწაფეების შეპყრობა და სიკვდილით დასჯა გადაწყვიტეს, მაგრამ სინედრიონის წევრის, სამართლიანი ფარისევლის, გამალიელის სიტყვებმა სინედრიონზე დადებითი გავლენა მოახდინა:

„ჩამოშორდით ამ ხალხს და მოეშვით მათ, ვინაიდან, თუ კაცისაგან არის ეს ზრახვა ანდა საქმე, ჩაიფუშება. ხოლო თუ ღვთისაგან არის, მაშინ თქვენ ვერ ჩაფუშავთ მას და, ვაითუ, ღვთის მოწინააღმდეგენი აღმოჩნდეთ." (საქ. 5:38,39)

მოციქულები სულიერად არ გატყდნენ, პირიქით გაძლიერდნენ და "უხაროდათ, რომ მისი სახელისათვის შეურაცხყოფის ღირსნი გახდნენ."

### ქრისტიანული ეკლესია

დევნის მიუხედავად, ქრისტიანები მოციქულთა მოძღვრებას ერთად ისმენდნენ, ლოცულობდნენ, გულითადად უზიარებდნენ ერთმანეთს სარჩო-საბადებელს და პურითა და ღვინით ეზიარებოდნენ, როგორც ეს იესომ ასწავლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


პირველი ქრისტიანები თავისი ნებით თმობდნენ ქონებას საერთო საჭიროებისთვის. თუკი თემში ვინმეს უჭირდა, ყოველი ქრისტიანი ვალდებული იყო დახმარების ხელი გაეწვდინა მისთვის. ეს იყო მზრუნველი, მოსიყვარულე თემი და სწორედ ამიტომ იზრდებოდა იგი.

### ანანია და საფირა

მიუხედავად იმისა, რომ პირველი ქრისტიანების თემი გულწრფელი ურთიერთობით გამოირჩეოდა, ზოგჯერ საპირისპირო მოვლენებსაც ჰქონდა ადგილი. ქრისტიანმა ცოლ-ქმარმა ანანიამ და საფირამ საკუთარი ყანა გაყიდეს და საფასური მოციქულებს ჩააბარეს საერთო სარგებლობისთვის. თანხის ნაწილი კი თავისთვის გადაინახეს, თუმცაღა განაცხადეს, რომ მთელი თანხა მოციქულებს მისცეს. ცოლ-ქმარი საკუთარი ინტერესებისათვის ზრუნავდა და ამავე დროს გულუხვი ქრისტიანების სახელის მოხვეჭა სურდა. პეტრემ ამხილა ანანია და უთხრა, რომ მან თავად სულიწმიდის წინაშე იცრუა. ანანია მაშინვე მკვდარი დაეცა პეტრეს ფერხთით. რამდენიმე საათის შემდეგ საფირაც მოვიდა, რომელმაც არაფერი იცოდა მომხდარის შესახებ. პეტრეს შეკითხვაზე ქალმაც იცრუა და მაშინვე სული განუტევა.

რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო სასჯელის შემსუბუქება, მაგრამ ანანიასა და საფირას დანაშაული მეტად მძიმე იყო, რადგან ქრისტიანული თემის სიმტკიცეში სერიოზულ ბზარს აჩენდა, ურთიერთსიყვარული და ურთიერთნდობა არ უნდა შერყეულიყო.

### სტეფანე

ეკლესიის წევრთა რიცხვი სწრაფად იზრდებოდა. საჭირო გახდა მორწმუნეთა მომსახურების საკითხების გადაწყვეტა. ამიტომ მოციქულებმა ეკლესიას თხოვნით მიმართეს, რათა შვიდი სარწმუნო კაცი აერჩიათ, რომლებიც ამ საკითხებს გადაჭრიდნენ.

სტეფანე, რომელიც ამ შვიდ კაცში მოხვდა, გამორჩეული მქადაგებელი იყო და სასწაულებსაც ახდენდა. მისი აზრით, მოსეს რჯულის დაცვისა და იერუსალიმის ტაძარში ღვთის თაყვანისცემის დრო წარსულს ჩაბარდა, რადგან იესომ კაცობრიობას ხსნა და ახალი ზნეობა მოუტანა.

ებრაელთა წინამძღოლებმა მისი სიტყვები მათი რელიგიის წინააღმდეგ გადადგმულ ნაბიჯად ჩათვალეს და სტეფანე დააპატიმრეს. სინედრიონის სამსჯავროს წინაშე წარმდგარმა სტეფანემ ვრცელი სიტყვით დაიცვა თავისი თვალსაზრისი და მტრები უფრო მეტად განარისხა. შეუდრეკელი სტეფანე ქვებით ჩაქოლეს.

“აჰა, მე ვხედავ გახსნილ ცას და კაცის ძეს, ღვთის მარჯვნივ მდგომს,” – შესძახა სტეფანემ. შემდეგ კი იესოს შეჰღაღადა: – უფალო იესო, მიიბარე ჩემი სული.” მომაკვდავმა სტეფანემ თავისი მასწავლებლის მსგავსად ამ სიტყვებით დაასრულა სიცოცხლე: “უფალო, ნუ მიუთვლი ამათ ამ ცოდვას.” ეს წარმოსთქვა და როგორც ლუკა ამბობს, “განისვენა.”

### სამარია

იესო ქრისტეს პირველი მიმდევრები ჯერ კიდევ იერუსალიმში იყვნენ, ხოლო ორმოცდამეათე დღეს მოქცეული ქრისტიანები თავიანთ ქვეყნებში დაბრუნდნენ და სახარებას ქადაგებდნენ. სტეფანეს მოკვლის შემდეგ გაძლიერებულმა დევნამ მრავალი ქრისტიანი აიძულა იერუსალიმიდან გაქცეულიყო. მხოლოდ მოციქულები დარჩნენ წმიდა ქალაქში. სადაც კი მივიდოდნენ ქრისტიანები, ყველგან იესოს აღდგომას ქადაგებდნენ. ერთ-ერთი მათგანი, ფილიპე, წარმატებით ქადაგებდა ქალაქ სამარიაში და ბევრი მოაქცია კიდეც ქრისტეს რწმენაზე.

ებრაელებისა და სამარიელების ურთიერთმტრობა საუკუნეებს ითვლიდა. მაგრამ იესომ იქადაგა სამარიაში და მოწაფეებსაც დაავალა, რომ ყურადღება არ მოეკლოთ ამ კუთხისთვის. სამარიელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შეიტყვეს, რომ მესია, რომელსაც ისინი მოუთმენლად ელოდნენ, უკვე მოსული იყო.

#### მოციქულთა ქადაგება

მოციქულთა საქმეების წიგნში ლუკა გვთავაზობს მოციქულების ქადაგებათა შინაარსის მოკლე ჩამონათვალს. ერთმა მეცნიერმა ამ ქადაგებების მთავარ თემებს მოუყარა თავი და მათ კერიგმა უწოდა, რაც მახარებლის ხარებას ნიშნავს. ადრეული პერიოდის მქადაგებლებს მახარებლები იმიტომ ეწოდებათ, რომ ისინი ყველას ამცნობდნენ ღმერთის სიტყვასა და ნებას. აი, მათი ქადაგების მთავარი თემები:

- წინასწარმეტყველთა მიერ ნაწინასწარმეტყველები მესიის ეპოქა მას შემდეგ დაიწყო, რაც იესო და მისი სასუფეველი გამოცხადდა წუთისოფელში.
- იესომ უცოდველად, სიმართლის თესვით განვლო ცხოვრება. მან საკუთარი ძალა გამოავლინა. მისი სიკვდილი კაცობრიობის ხსნის ღვთიური გეგმის უმთავრეს ნაწილს წარმოადგენს. იესო მკვდრეთით აღდგა და ღმერთმა ძალაუფლება და დიდება მიანიჭა მას. ის ისევ დაბრუნდება კაცობრიობის განსასჯელად.
- ღმერთმა სულიწმიდა მოავლინა და ყოველი, ვინც მოინანიებს და ირწმუნებს იესოს, მიიღებს მას.
- ყველას, ვინც მოინანიებს, ცოდვები ეპატიება. რწმენის მიღების ნიშნად ისინი წყალში მოინათლებიან.



ზეცაში ამაღლებამდე იესომ თავის მოწაფეებს დაავალა, რომ მისი სახარება ექადაგათ იუდეასა და სამარიიდან (ფოტოსურათზე ნაჩვენებია სამარიის ხედი) დაწყებული მსოფლიოს ყველა კუთხეში. იესოს ამ ბრძანებით იწყება მოციქულთა საქმეების წიგნი.

ფილიპეს ქადაგება და სასწაულები გულწრფელად მიიღეს და მრავალი მათგანი მოინათლა.

სამარიაში მომხდარი მოვლენების ამბავმა იერუსალიმამდე მიაღწია და მოციქულებმა სამარიაში პეტრე და იოანე გაგზავნეს. მათ ილოცეს და ახალმოქცეულებისათვის სულიწმიდის მოფენა სთხოვეს ღმერთს, რადგან მტკიცედ სწამდათ, რომ მათი მოღვაწეობა იესოს საქმის გაგრძელება იყო, იესოსი, რომელმაც მოწაფეებს სახარების იერუსალიმისა და საკუთრივ იუდეის ფარგლებს მიღმა გავრცელება უბრძანა. ღმერთმა შეისმინა მათი ლოცვა და სამარიელებმა მიიღეს სულიწმიდა.

### ეთიოპიელი დიდებული

სამარიაში წარმატებული ქადაგების შემდეგ ღმერთმა ფილიპეს უბრძანა სამხრეთისაკენ, ღაზასკენ მიმავალ გზაზე წასულიყო და დახმარება გაეწია ერთი კაცისათვის, რომელიც ეგვიპტის მიმართულებით მიემგზავრებოდა. ეს კაცი ეთიოპიის დედოფლის დიდებული იყო, საგანძურის მცველი. როდესაც ფილიპე მის ეტლს მიუახლოვდა აღმოაჩინა, რომ ის ძველი აღთქმის წმიდა წერილს კითხულობდა.

"თუ გესმის რასაც კითხულობ?" – ჰკითხა ფილიპემ. "როგორ გავიგებ თუ არავინ განმიმარტავს?" – უპასუხა ეთიოპიელმა.

ფილიპე ეტლზე ავიდა, გვერდით მიუჯდა მას და იესოს სახარება უქადაგა. თან ძველი აღთქმის ის სიტყვები მოიხმო, რომელსაც ეთიოპიელი კითხულობდა. ეს იყო ესაია წინასწარმეტყველის წიგნის ის ადგილი, სადაც საუბარია ცოდვილი ხალხის გადასარჩენად წამებულ მსახურზე. ეთიოპელმა დიდებულმა ირწმუნა იესო ქრისტე და მოინათლა. გახარებული გაემგზავრა სამშობლოსკენ ეთიოპიისკენ და იესოს სახარება თან წაიღო.

### სავლეს მოქცევა

ახალი ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი ყველაზე უფრო დაუძინებელი მტერი იყო ახალგაზრდა ნიჭიერი სწავლული სავლე. ის აქტიური ადამიანი იყო. ის იყო სტეფანეს ჩაქოლვის თვითმხილველი და მისი დასჯის მომხრე. სავლეს დღითი-დღე უძლიერდებოდა ამ ახალი სექტის დევნისა და განადგურების სურვილი. მისი თაოსნობით ქრისტიანებს სახლებში უვარდებოდნენ და აპატიმრებდნენ. ის იმდენად ემტერებოდა ქრისტიანებს, რომ მათ გასანადგურებლად უკიდურეს ღონისძიებებსაც კი მიმართავდა. ამის მაგალითია ის, რომ სავლეს გადაწყვეტილი ჰქონდა დამასკოში წასვლა და იქ გაქცეული ქრისტიანების შეპყრობა და იერუსალიმში ჩამოყვანა დასასჯელად.

დამასკოსაკენ მიმავალ გზაზე, როდესაც შუადღის მზე აჭერდა, პავლეს ზეციდან დამაბრმავებელი ნათელი მოევლინა, მიწაზე განერთხა და ხმა მოესმა, რომელიც ეუბნებოდა:

"სავლე, სავლე, რად მდევნი მე?"
"ვინ ხარ შენ, უფალო?"
"მე ვარ იესო, რომელსაც შენ სდევნი." (საქ. 9:4-5)

სავლე ახლაღა მიხვდა, რომ იესო უფალია და რომ, მისი მსახურების დევნით, ის თავად იესო ქრისტეს დევნის. ზუსტად იმ დროს ჩაქრა სავლეს მრისხანებისა და მტრობის ცეცხლი. ის სავსებით დაემორჩილა მბრძანებელს და მოწიწებით ჰკითხა: "რას მიბრძანებ, უფალო, რომ გავაკეთო?"

სავლე დაბრმავდა. თანმხლებმა პირებმა ქალაქში შეიყვანეს, სადაც სამი დღის მანძილზე თვალისჩინი ჰქონდა დაკარგული და არც საჭმელს მიჰკარებია. მაგრამ ღმერთმა დამასკოში მცხოვრებ ერთ ქრისტიანს, ანანიას, სავლეს მონახულება დაავალა. თავიდან ანანიას შეეშინდა, რადგან გაგონილი ჰქონდა სავლეს მიერ ქრისტიანების დევნის ამბავი, მაგრამ იგი ღვთის ნებას დაემორჩილა, სავლე მოძებნა და ამ სიტყვებით მიმართა:

"ძმაო სავლე, უფალმა გამომგზავნა მე, იესომ, რომელიც გეჩვენა გზაზე, სადაც მიდიოდი, რომ თვალი აგეხილოს და აღივსო სულიწმიდით." (საქ. 9:17)

ანანიამ ხელები დაასხა და სავლეს უმალ თვალისჩინი დაუბრუნდა, მიიღო სულიწმიდა და მოინათლა.

ამიერიდან სავლე ქრისტეს სახარების მქადაგებლად იქცა, ასწავლიდა სინაგოგებში და ამტკიცებდა, რომ სწორედ იესო იყო მესია. ყოფილმა თანამზრახველებმა მისი მოკვლაც კი სცადეს. სიკვდილისთვის თავი რომ დაეღწია, ერთ ღამეს დამასკოს გალავნიდან გოდრით ჩაუშვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## ებრაელები და წარმართები

ქრისტეს სახარებას უქადაგებდნენ ებრაელებს, სამარიელებს და იმ უცხოტომელებს, რომლებმაც ებრაელთა რწმენა მიიღეს. მრავალი უცხოელი აღფრთოვანებული იყო ებრაული რელიგიის მაღალი თვისებებით. ასეთ ხალხს ისრაელის ღმერთის მოშიშებს უწოდებდნენ. სხვები უფრო შორს წავიდნენ და ღვთის აღთქმის ნიშანი – წინადაცვეთა – მიიღეს და ებრაული რჯულის სრული მორჩილების პირობა დადეს.

ძნელია იმ უფსკრულის წარმოდგენა, რომელიც იმ დროს ებრაელებსა და წარმართებს მიჯნავდა. ყოველი მართლმორწმუნე ებრაელი ცდილობდა, რომ წარმართებთან ურთიერთობა მინიმუმამდე დაეყვანა. იკრძალებოდა მათთან თანამეინახეობა ან წარმართის სახლში შესვლა. ნებისმიერი საგანი, რომელსაც წარმართი შეეხებოდა, საგანგებოდ უნდა განწმედილიყო, ანდა განადგურებულიყო. ებრაელებს სწამდათ, რომ წარმართები "უწმიდურები" იყვნენ და ამიტომ იმ აღთქმის მოზიარენი ვერ გახდებოდნენ, რომელიც ებრაელებთან დადო ღმერთმა.

პირველ ქრისტიანებს, რომლებიც ებრაელები იყვნენ, ვერ წარმოედგინათ, რომ კაცობრიობის გადარჩენის ღვთიური გეგმა შეიძლება წარმართებზეც გავრცელებულიყო. მათი გამმიჯვნელი ზღუდე ჯერ მტკიცედ იდგა. ეს ყალბი მსოფლმხედველობა საჩქაროდ უნდა დარღვეულიყო.

### კორნელიოსი

კორნელიოსი იმ რომაული კოჰორტის ცენტურიონი ანუ ასისთავი იყო, რომელიც ზღვისპირა ქალაქ კესარიაში იყო დაბანაკებული. ის პატიოსანი და ღვთისმოშიში კაცი იყო. ერთ დღეს საოცარი მოვლენა მოხდა მის ცხოვრებაში. უფლის ანგელოზი გამოეცხადა და აუწყა, რომ ღმერთმა შეისმინა მისი ლოცვები. ამიტომ, ანგელოზის რჩევით მსახურები და ჯარისკაცები გაგზავნა ქალაქ იაფოში პეტრეს მოსაძებნად და კესარიაში ჩამოსაყვანად.

იმ დროს, როდესაც კორნელიოსის წარგზავნილები ჯერ კიდევ გზაში იყვნენ, პეტრემ სასწაულებრივი ჩვენება იხილა. მასპინძლის სახლის ერდოზე იყო ასული სალოცავად და თან საჭმლის მომზადებას ელოდებოდა. შესაძლოა, ეზოდან ზღვას გადაჰყურებდა და თეთრიალქნიან გემებს უმზერდა, როდესაც მოულოდნელად იხილა ციდან გადმომავალი დიდი "ტილოს მსგავსი," რომელშიც დედამიწის მრავალი სახეობისა თუ ჯიშის ცხოველი, ფრინველი და ქვეწარმავლი მოჩანდა. ეს ის ცხოველები იყო, ებრაული რჯულის მიხედვით უწმიდურად რომ ითვლებოდა. ხმამ უბრძანა მას:

"ადექი, პეტრე, დაკალ და ჭამე."

პეტრემ იუარა:

"არა, უფალო, არასოდეს არაფერი მიჭამია ბიწიერი და უწმიდური."

მაგრამ ხმამ კვლავ უბრძანა:

"რაც ღმერთმა განწმიდა, ნუ მიიჩნევ ბიწიერად."

(საქ. 10:14,15)

ჩვენება სამჯერ განმეორდა. როცა პეტრე ხილულის შესახებ ფიქრობდა, სახლის კარზე კაკუნის ხმა მოესმა. კორნელიოსის წარმოგზავნილი კაცები მოსულიყვნენ პეტრეს სანახავად. როდესაც მათი მოსვლის მიზეზი შეიტყო, მაშინღა მიხვდა სასწაულებრივი ხილვის ჭეშმარიტ აზრს. დარწმუნდა პეტრე, რომ ის ხალხი, რომელიც ღმერთმა მიიღო უწმიდური არ იყო.

კორნელიოსის ხალხი სახლში მიიპატიჟა, ხოლო მეორე დღეს მათთან ერთად დაადგა კესარიაში მიმავალ გზას.

მივიდა თუ არა რომაელის სახლში, კორნე-



ქალაქ-ნავსადგურ იაფოში პეტრემ იხილა ჩვენება, რომელსაც შორს მიმავალი შედეგები ჰქონდა. იესოს მიერ განხორციელებული ღვთიური გეგმები არა მარტო ებრაელებისთვის იყო განკუთვნილი, არამედ ყველასთვის.

ლიოსსა და დაპატიჟებულ ხალხს იესოს შესახებ აზარა. ისინი ყურადღებით უსმენდნენ მოციქულის სიტყვებს და, პეტრესთვის მოულოდნელად, სულიწმიდა გადმოვიდა მათზე და ენებზე დაიწყეს ლაპარაკი და ღმერთის განდიდება. როდესაც პეტრემ იხილა, რომ ღმერთმა წარმართები მიიღო, სულიწმიდით მონათლული წარმართები იესო ქრისტეს სახელით წყალში მონათლა. ამგვარად, წარმართი მორწმუნეები ქრისტიანული ეკლესიის ნაწილად იქცნენ.

კესარიიდან პეტრე იერუსალიმში ავიდა, სადაც ებრაელმა ქრისტიანებმა წარმართის სახლში შესვლისა და ქადაგებისთვის უსაყვედურეს. მაგრამ, პეტრეს ნაამბობი როცა მოისმინეს, საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ ღმერთმა "წარმართებსაც მისცა მონანიება სასიცოცხლოდ."

მოციქულთა საქმეების წიგნში აღწერილი ეს ამბავი ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენად იქცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სირიის ქალაქი ანტიოქია იერუსალიმის შემდეგ ქრისტიანობის ყველაზე დიდი ცენტრი იყო. იესოს მიმდევრებს სწორედ აქ ეწოდათ პირველად ქრისტიანები და ანტიოქიის ეკლესიამ დაავალა პავლესა და ბარნაბას სამახარებლოდ უცხო ქვეყნებში გამგზავრება. ანტიოქია ისევე როგორც ახალი აღთქმის ეპოქაში, დღესაც დიდი და მნიშვნელოვანი ქალაქია.

ქალაქი ქ.წ. 300 წელს ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთმა სარდალმა დაარსა. შემდეგ რომის იმპერიის საზღვრებში მოექცა, როგორც სირიის პროვინციის დედაქალაქი. ძველი ებრაელი ისტორიკოსის იოსებ ფლავიუსის სიტყვით ანტიოქია მნიშვნელობით რომის იმპერიის მესამე ქალაქი იყო, რომისა და ალექსანდრიის შემდეგ. ის განთქმული იყო მშვენიერი მოედნებით, ქუჩებით, ხეებითა და შადრევნებით შემკული კოლონადებით. ულამაზესი ნაგებობებისა და შენობების გამო ქალაქს "მშვენიერ ანტიოქიას" უწოდებდნენ. იმის გამო, რომ ქალაქში მრავალეროვანი, აღმოსავლური წარმოშობის მოსახლეობა სჭარბობდა, რომლის შემადგენლობაში სპარსეთის, ინდოეთის და ჩინეთის მკვიდრნიც კი იყვნენ, მას "აღმოსავლეთის დედოფალსაც" უწოდებდნენ. ქალაქში ბერძნულ-რომაული მოსახლეობა და ებრაელთა სათვისტომოც საკმაოდ მრავალრიცხოვანი იყო.



სწორედ ამ მოვლენას ეხმაურება ახალი აღთქმის მრავალი წერილი (ეფესელთა 2 და 3 წერილები). ასე დაიწყო წარმართების გაქრისტიანება.

## ანტიოქია

მრავალი ქრისტიანი, რომელიც სტეფანეს ჩაქოლვის შემდეგ იერუსალიმიდან გაიქცა, ქალაქ ანტიოქიაში დასახლდა. აქ ისინი აქტიურად უქადაგებდნენ იესოს სახარებას ებრაელებს და შესაძლოა, წარმართებსაც. ახალი აღთქმის წიგნებიდან ძნელია იმის ზუსტად გარკვევა, თუ ვინ იყვნენ ის ახლადმოქცეულები, თუმცა უდავოა, რომ ისინი ბერძნულენოვანი მოქალაქეები იყვნენ და მათ შორის ისეთი ღვთისმოშიშებიც იქნებოდნენ, როგორიც იყო რომაელი კორნელიოსი. მიუხედავად იმისა, რომ ისინი სხვადასხვა კულტურული წარმომავლობისანი იყვნენ, სახარებამ მათი განსხვავებული ზნეობრივი მისწრაფებები და საჭირბოროტო პრობლემები წარმატებით გადაწყვიტა.

ანტიოქიაში ბევრი ახალმოქცეული ქრისტიანი ცხოვრობდა, ამიტომ იქ საეკლესიო ცხოვრების მოსაწესრიგებლად იერუსალიმიდან კვიპროსელი ებრაელი ქრისტიანი ბარნაბა გაგზავნეს. ბარნაბა აღფრთოვანებული იყო ანტიოქიელი ქრისტიანების აქტიური მოღვაწეობით, მაგრამ ხვდებოდა, რომ რწმენის საკითხში მათ ბევრი სწავლა სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ ჩამოიყვანა სავლე-პავლე ტარსუსიდან, რომელიც მალე გაიცნო წარმართულმა სამყარომ.

პავლე და ბარნაბა მთელი წლის განმავლობაში ასწავლიდნენ ანტიოქიის ეკლესიაში, რომელიც მალე იერუსალიმის მსგავსად ქრისტიანობის ცენტრად ჩამოყალიბდა. აღსანიშნავია, რომ ანტიოქია თავიდანვე უფრო გახსნილი დამოკიდებულების იყო. ამიტომ იქ ებრაელი და წარმართი მორწმუნეები უფრო ადვილად პოულობდნენ საერთო ენას.

## პავლეს პირველი სამახარებლო მოგზაურობა

ერთხელ, როდესაც ანტიოქიის ეკლესია მარხულობდა და ლოცულობდა, სულიწმიდამ განაცხადა:

"გამომიყავით ბარნაბა და სავლე იმ საქმეზე, რაზეც მათ მოვუწოდე." (საქ. 13:2)

პასუხად ეკლესიამ იმარხულა, ილოცა და დავალების მიცემის ნიშნად ხელები დაასხა პავლეს და ბარნაბას. ამის შემდეგ ისინი სახარების გასავრცელებლად გაუშვეს შორეულ ქვეყნებში.

მათ თან წაიყვანეს ბარნაბას ახალგაზრდა ნათესავი იოანე-მარკოზი და ანტიოქიის ნავსადგურ სელევკიიდან გაემგზავრნენ.

სელევკიიდან თავდაპირველად კუნძულ კვიპროსზე ჩავიდნენ, ბარნაბას სამშობლოში, სადაც ქალაქ პაფოსში კუნძულის რომაელმა პროკონსულმა, მასთან დაახლოვებული გრძნეულის წინააღმდეგობის მიუხედავად, სახარება ირწმუნა.

კვიპროსის ქალაქ პაფოსიდან ხმელთაშუა ზღვაში გასცურეს და პამფილიის პროვინციის (მცირე აზია) ქალაქ პერგეში ჩავიდნენ. აქედან სანაპიროს ვაკეზე კი არ გაუყვნენ გზას, არამედ მთიანეთზე, რადგან პავლე მალაარიით დაავადდა და ზღვის სანაპიროს ნოტიო ჰავა ვნებდა. შესაძლოა ამის გამო, ისინი მცირე აზიის სამხრეთის მთიანეთის ჩრდილოეთისკენ

მიმავალ გზას დაადგნენ პისიდიის ანტიოქიისაკენ (ცენტრალური მცირე აზია), რომელიც ჯანმრთელობისათვის ნაკლებად მავნებელი იყო, მაგრამ შარაგზის ყაჩაღების სათარეშოს წარმოადგენდა.

მათი თანმხლები იოანე-მარკოზი პერგეშივე ჩამოშორდა ბარნაბასა და პავლეს და იერუსალიმში დაბრუნდა. არავინ უწყის ამის მიზეზი, მაგრამ ცნობილია, რომ პავლემ მწვავედ განიცადა მისი წასვლა.

პისიდიის ანტიოქიაში პავლე პირველად სინაგოგაში ქადაგებდა. ეს მისი ჩვეულება იყო, რადგან ღრმად სწამდა, რომ პირველ რიგში ებრაელებს უნდა მოესმინათ სახარება. სინაგოგაში ქადაგებების დროს პავლე ხშირად ებრაულ წმიდა წერილს ეყრდნობოდა.

ხოლო როდესაც ანტიოქიელმა ებრაელებმა უარყვეს, პავლემ წარმართებისკენ იბრუნა პირი. მათგან მრავალი მოექცა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე და მალე ანტიოქიაში ეკლესია დაარსდა. პავლეს უმთავრესი მიზანი ახალი ეკლესიების და ქრისტიანთა ჯგუფების ჩამოყალიბება და მათზე მზრუნველობა იყო.

ებრაელთა ერთი ნაწილი პავლეს წარმატებულმა მოღვაწეობამ განარისხა და მათ მძაფრი წინააღმდეგობის გაწევა გადაწყვიტეს. მსგავს შემთხვევას ჰქონდა ადგილი ქალაქ იკონიაში, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით დაახლოებით ასორმოცდაათი კილომეტრით იყო დაშორებული პისიდიის ანტიოქიიდან და სადაც პავლე და მისი თანმხლები პირები ჩავიდნენ. ქვებით ჩაქოლვის საშიშროება იმდენად დიდი იყო, რომ მქადაგებლები ჯერ ლუკაონიის ქალაქ ლისტრაში, შემდეგ კი ქალაქ დერბეში გადავიდნენ.

ლისტრაში ქადაგების დროს პავლემ შეამჩნია დაბადებიდანვე ხეიბარი კაცი, რომელიც მას გულისყურით უსმენდა. პავლე მიხვდა, რომ ამ კაცს განკურნების რწმენა ჰქონდა და ხმამაღლა შესძახა: "წამოდექ ფეხზე და გაიმართე!" ის კაცი უმალ განიკურნა.

მაგრამ ის, რაც ამ შემთხვევას მოჰყვა, ყოველგვარ მოლოდინს აჭარბებდა. ამ სასწაულის მხილველმა ადგილობრივმა მოსახლეობამ ჩათვალა, რომ ღმერთები – ზევსი და ჰერმესი – ჩამოვიდნენ დედამიწაზე, ამიტომ ხალხმა მათთვის მსხვერპლის შეწირვა დააპირა და ზევსის ტაძრის ქურუმი საჩქარო სამზადისს შეუდგა. აღშფოთებულმა პავლემ და ბარნაბამ ტანისამოსი შემოიხიეს და ხალხს შესძახეს: "კაცნო, ამას რას სჩადიხართ? ჩვენც თქვენი მსგავსი ადამიანები ვართ!"

მაგრამ მოციქულებმა ეს შემთხვევა ხელიდან არ გაუშვეს და შეკრებილ ხალხს ჭეშმარიტი ღმერთის შესახებ ახარეს, რომელმაც შექმნა ცა და მიწა, რომელიც იძლევა წვიმასა და "ნაყოფის მომცემ დროებს." პავლემ ადგილობრივი მოსახლეობისათვის გასაგები და მისაღები სიტყვებით უქადაგა მათ. მისი ახსნა-განმარტება მკვეთრად განსხვავდებოდა სინაგოგებში წარმოთქმული წმიდა წერილზე დაფუძნებული სწავლებისგან.

მოწინააღმდეგე ებრაელები ანტიოქიიდან ლისტრაში ჩამოვიდნენ და ხალხი მოციქულების წინააღმდეგ აამხედრეს. პავლე ჩაქოლეს და ქალაქგარეთ გაათრიეს, რადგან მკვდარი ეგონათ, მაგრამ ის სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. მეორე დღეს კი ბარნაბასთან ერთად უშიშრად გაუდგა გზას. გზადაგზა ყველა ახალმოქცეულ მორწმუნეს ამხნევებდა და ახლადდაარსებული ეკლესიების წინამძღოლებს ირჩევდა.

სამახარებლო მოგზაურობიდან უკან დაბრუნებულნი ქალაქ პერგეში შეყოვნდნენ და იქადაგეს. იქიდან კი გემით სირიის ანტიოქიაში დაბრუნდნენ და ეკლესიას თავიანთი მოგზაურობის ანგარიში ჩააბარეს.

## იერუსალიმის ეკლესიის კრება

იერუსალიმის ეკლესიის შეხედულებები წარმართთა მოქცევის თაობაზე ანტიოქიის ეკლესიის ხედვისაგან მკვეთრად განსხვავდებოდა. იერუსალიმში ბევრი მღვდელი გაქრისტიანდა, ხოლო ანტიოქიის ეკლესიის ძირითადი ნაწილი ბერძნულენოვანი ებრაელებისა და წარმართებისგან შედგებოდა. ეს ელინიზირებული ებრაელები ანუ, როგორც მათ უწოდებდნენ, ელინი ებრაელები, უფრო ნაკლებად იყვნენ შეზღუდული ებრაული რელიგიის კანონებით, ვიდრე ის ებრაელები, რომლებიც იუდეასა და იერუსალიმში ცხოვრობდნენ. მრავალი რჯულის დამცველი ებრაელი ქრისტიანი მიიჩნევდა, რომ ახალმოქცეულ წარმართებს მოსეს რჯული უნდა დაეცვათ და წინდაცვეთილიყვნენ. ამ თვალსაზრისს იმით ასაბუთებდნენ, რომ ღმერთმა აღთქმა ებრაელებთან შეკრა და ამი-



პავლე და ბარნაბა სამახარებლო მოგზაურობის დროს პირველად კუნძულ კვიპროსზე შეჩერდნენ, რომელიც ბარნაბას სამშობლო იყო. ქალაქ პაფოსის ნავსადგურიდან, რომელიც ამ ფოტოსურათზეა გამოსახული, მცირე აზიის (თანამედროვე თურქეთის) სამხრეთ სანაპიროსკენ გაცურეს გემით.

# რომაელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომაელებმა საკუთარი დიდების გასახსენებლად გზები დაგვიტოვეს, განსაკუთრებით დასავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. ეს მყარად ნაგები, გრძელი, ფართო და სწორი გზები პირველ რიგში სავაჭრო ურთიერთობებს კი არ ემსახურებოდა, არამედ დაპყრობილი ქვეყნების ეფექტურ მართვა-გამგეობას. ომის დროს ეს გზები ჯარისკაცებს ემსახურებოდა, მშვიდობიანობის დროს კი უცხო ქვეყნებისაკენ მიმავალ მოგზაურებს.

ბერძნული კულტურის, აზროვნებისა და ენის თაყვანისმცემელი რომაელები პრაქტიკული ხალხი იყო. ანტიკური სამყაროს ისტორიაში მათ გზებითა და აკვედუკებით, წყალგაყვანილობისა და გათბობის შთამბეჭდავი ნაგებობებით, აბანოებითა და გრანდიოზული სპორტული სანახაობებით დაიმკვიდრეს თავი. ქ.წ. 146 წლიდან, როდესაც კართაგენის ძლიერი სახელმწიფო გაანადგურეს ჩრდილოეთ აფრიკაში, რომაელებმა საკუთარი ძალაუფლება ხმელთაშუა ზღვის აუზის ყველა ქვეყანაზე გაავრცელეს.

ახალი აღთქმის ეპოქაში პალესტინა რომის იმპერიას ემორჩილებოდა. სახარებებში, მოციქულთა საქმეებსა და წერილებში ხშირად ვხვდებით რომაელ ჯარისკაცებსა და სახელმწიფო მოხელეებს. წარმოშობით ებრაელი პავლე რომის მოქალაქე იყო და მათ წეს-ჩვეულებებს კარგად იცნობდა. ის შთამბეჭდავად მოგვითხრობს რომაელთა სამხედრო ეტლებისა და სპორტული თამაშების შესახებ. იესომ მთელი სიცოცხლე პალესტინაში გაატარა, სადაც მეამბოხე მოშურნეები (ზილოტები) რომაულ ჯარს მოსვენებას არ აძლევდნენ გამუდმებული თავდასხმებით. მოციქული პავლე იმპერიის პროვინციებში მოგზაურობდა და რომშიც ჩავიდა, სადაც უკვე არსებობდა ქრისტიანული ეკლესია.

მრავალმა რომაელმა მიატოვა ძველი ღმერთები და იესოს სახარება მიიღო. მაგრამ მას შემდეგ, რაც იმპერატორის კულტის თაყვანისცემის წესი დამკვიდრდა, ქრისტიანებმა საკუთარი რწმენის დასაცავად ძვირი საფასური გადაიხადეს. იმპერატორების ბრძანებით, ამფითეატრებსა თუ სტადიონებზე, ათასობით მაყურებლის წინაშე ქრისტიანებს გარეულ ცხოველებს უსევდნენ და ცოცხლად სწვავდნენ.






სწრაფი და მოქნილი სამხედრო გემები რომაელების დაპყრობებისა და მბრძანებლობის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა




მშვენიერი მინის ჭურჭლის ნიმუშები მრავალ ქვეყანაშია აღმოჩენილი არქეოლოგების მიერ.

ძველი რომის ცენტრი – ფორუმი განთიადისას. ამჟამად ეს ადგილი ისეთივე უკაცრიელია, როგორც ფოტოსურათზე აღბეჭდილი თანამედროვე გზატკეცილი.






რომის იმპერია ძლიერების ზენიტში, ქ.შ. 100 წელი





ქვაზე ამოკვეთილი ბარელიეფები რომის ყოველდღიური სავაჭრო საქმიანობის სცენებს გვიხატავენ: ფულის გადამცვლელი და მისი მონა (ზემოთ); გლეხები მიწის იჯარის საფასურს იხდიან (მარცხნივ).

### ლუკა მოციქულთა საქმეების წიგნში

მოციქულთა საქმეების წიგნში მოციქულთა სამახარებლო მოგზაურობის აღწერისას, ტროადაში ჩასვლამდე, მოციქულები მესამე პირში მოიხსენიებიან. ხოლო ამ ქალაქში ჩასვლის შემდეგ ვითარება იცვლება და ვკითხულობთ: "ამ ჩვენების შემდეგ მაშინვე ვცადეთ მაკედონიაში გამგზავრება." მიუხედავად იმისა, რომ ლუკა თავს არ ასახელებს, ადვილი მისახვედრია, რომ ის პავლეს თანმხლებ პირთა შორის იყო. პავლეს სიტყვებიდან ვიცით, რომ ლუკა ექიმი იყო. ზოგიერთი თვლის, რომ ის ავადმყოფ პავლესთან ქალაქ ფილიპედან ჩამოვიდა და მოციქულის თანმხლებთ შეუერთდა. დროდადრო მესამე პირში თხრობიდან ის პირველ პირში თხრობაზე გადადის და აქედან გამომდინარე, ვიცით, თუ როდის უერთდებოდა ლუკა მოგზაურთა ჯგუფს.

ტომ ყველას, ვისაც ღმერთთან მტკიცე ურთიერთობის დაცვა სურდა, პირველ რიგში ღვთის აღთქმის ნიშანი – წინდაცვეთა უნდა მიეღო და ებრაელი ერის შემადგენელი ნაწილი გამხდარიყო.

ზოგიერთი ასეთი იუდეველი ქრისტიანი ანტიოქიაში ჩავიდა და თავის სწავლებას ავრცელებდა. პავლე და ბარნაბა ცხარედ კამათობდნენ მათთან. პავლეს მტკიცედ სწამდა, რომ ხსნა მხოლოდ იესო ქრისტეში იყო და სრულიად არ იყო დამოკიდებული რიტუალებზე ან ტრადიციებზე. ის შეუპოვრად უმტკიცებდა ყველას, რომ ადამიანის ხსნა და რწმენა კარგი ქცევებისა და საქმეების ჯილდო არ იყო.

ანტიოქიის ეკლესიამ ამ მწვავე საკითხის გადასაწყვეტად პავლე და ბარნაბა იერუსალიმში, მოციქულებთან მიავლინა. იერუსალიმში მოიწვიეს კრება, რომელსაც იესოს ძმა, იაკობი, ხელმძღვანელობდა. ხანგრძლივი დავა-კამათის შემდეგ მოციქულმა პეტრემ კორნელიოსის შესახებ ისაუბრა. ის ამტკიცებდა, რომ რჯულის ტვირთის ტარება ვერც ერთმა ებრაელმა ვერ შეძლო და, მითუმეტეს, რა საჭირო იყო წარმართებისთვის რჯულის დაცვის დაკისრება.

"ჩვენ გვწამს, რომ ჩვენ უფლის იესოს მადლით გადავრჩებით ისევე, როგორც ისინი." (საქ. 15:11)

მოციქულმა იაკობმა ძველი აღთქმა მოიხმო საკუთარი თვალსაზრისის განსამტკიცებლად და დაასკვნა:

"ამიტომ მე ვფიქრობ, არ დავაბრკოლოთ ისინი, ვინც წარმართთაგან ღვთისაკენ არიან მოქცეულნი." (საქ. 15:19)

ბოლოს ყველა შეთანხმდა, რომ წარმართებისთვის ებრაული რჯულის წესების დაცვა არ მოეთხოვათ, თუმცა გადაწყვიტეს, რომ ზოგიერთი წესი მაინც დაეცვათ, რომელიც ძირითადად კვების საკითხებს შეეხებოდა. ამიერიდან ებრაელ ქრისტიანებს, რომლებიც ძველი ტრადიციების გავლენისაგან ადვილად ვერ თავისუფლდებოდნენ, ზიზღის გარეშე შეეძლოთ წარმართობიდან მოქცეულ თანამოძმე ქრისტიანებთან ერთად პურობა.

### პავლეს მეორე მოგზაურობა

პავლემ და ბარნაბამ მეორე სამისიონერო მოგზაურობა დაგეგმეს და ბარნაბამ თავისი ახალგაზრდა ნათესავი იოანე-მარკოზი მოიხმო თანამგზავრად. პავლე წინააღმდეგი იყო იოანე-მარკოზის თან წაყვანის და ამიტომ ჩამოვარდნილი უთანხმოების გამო ორი მისიონერის გზები გაიყო.

ბარნაბამ თავის ნათესავთან ერთად კვიპროსისკენ გასცურა, ხოლო პავლე ახალ თანამგზავრთან, რომის მოქალაქე სილასთან, ერთად დაადგა გზას. მცირე აზიაში, ქალაქ ლისტრაში, პავლესა და სილას მამით ბერძენი ტიმოთე შეუერთდა, რომელიც იუდეველთა სურვილის გამო წინდაცვითეს. ეს მოვლენა ჩვენს გაოცებას იწვევს, რადგან კარგად ვუწყით წარმართ ქრისტიანთა მიმართ პავლეს მტკიცე და გადამწყვეტი დამოკიდებულების ამბავი. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ტიმოთე დედით ებრაელი იყო. შესაძლოა, პავლე ფიქრობდა, რომ ებრაელები მხოლოდ იმ შემთხვევაში მოუსმენდნენ ტიმოთეს ქადაგებას, თუკი იგი რჯულის გარეგნული წესების დამცველი იქნებოდა.

ლისტრადან ფრიგიისა და გალატიის გავლით პროვინცია ასიაში ჩავიდნენ, მაგრამ იქ ქადაგება აეკრძალათ და ეგეოსის ზღვისპირა ქალაქ ტროადაში გაემგზავრნენ, რომელიც ძველი ტროას, ანუ ილიონის ახლოს მდებარეობდა. ამ ქალაქში პავლემ ჩვენება იხილა, ვილაც მაკედონელი კაცი ევედრებოდა: "მოდი მაკედონიაში და დაგვეხმარე." პავლემ და მისმა თანამგზავრებმა მაშინვე გადაწყვიტეს მაკედონიაში წასვლა. ქრისტიანმა მისიონერებმა პირველად დადგეს ფეხი ევროპის კონტინენტზე.

### ქალაქი ფილიპე

მაკედონიის ქალაქ ფილიპეში სინაგოგა არ იყო. ამის მიზეზი, შესაძლოა, ებრაელთა მცირერიცხოვნება, ან მათი სიღარიბე იყო. მაგრამ, შაბათ დღეს პავლემ და სილამ ქალაქის გალავნის გარეთ, მდინარის პირას, სალოცავი ადგილი მოძებნეს და იქ მყოფ ქალებს უქადაგეს. მათ შორის იყო ძოწეულით მოვაჭრე ქალი ლიდია, ღვთისმოშიში, რომელმაც ირწმუნა სახარება და მოინათლა. შემდეგ კი პავლე და მასთან მყოფნი თავის სახლში მიიპატიჟა.

ლუკა მოგვითხრობს, რომ შემდეგი მოქცეული იყო ავი სულით შეპყრობილი ღარიბი მხევალი, რომელიც თავისი ბატონების ბრძანებით წინასწარმეტყველებდა და მათთვის დიდი შემოსავალი მოჰქონდა. როდესაც მან პავლე და

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ანტიკური ხანის ფილოსოფოსები

მოციქულების ეპოქაში ელინურ სამყაროში ღმერთების თაყვანისცემის პრაქტიკამ ადგილი დაუთმო ფილოსოფიურ აზროვნებას. თუმცა ფილოსოფიამ დაკარგა უწინდელი ძალა და ადამიანის სულიერ სიცარიელეს ვერაფერს შველოდა.

ფილოსოფიის სტოიკური სკოლის დამაარსებელი იყო ზენონ კვიპროსელი, რომელიც დაახლოებით ქ.წ. 300 წელს ათენში დასახლდა. ამ სკოლის სახელი მომდინარეობს ათენის ერთ-ერთი საზოგადოებრივი ნაგებობის სახელწოდებიდან, რომელსაც ბერძნულად "სტოა პოიკილე," ანუ "ჭრელი სვეტნარი" ეწოდებოდა. აქ იკრიბებოდნენ ზენონის მსმენელები. ზენონი ხაზს უსვამდა "მიზეზის" მნიშვნელობას, ცხოვრების იდეალად ბუნებასთან ჰარმონიულ შერწყმას მიიჩნევდა. სტოიკოსების მიზანი იყო თვითკმაყოფილება, ტკივილის დაძლევა და კეთილგონიერება.

ეპიკურელთა ფილოსოფიური სკოლა იმავე პერიოდში დააარსა ეპიკურემ ათენში. ეპიკურელების რწმენით სიცოცხლის მიზანი იყო ფიზიკური და სულიერი სიამოვნება. მათი აზრით ეს იყო მეგობრობა და ზნეობრივი წონასწორობა. მოგვიანებით ამ ფილოსოფიური სკოლის ზოგიერთმა წარმომადგენელმა ძველი სწავლება უარყო და უმთავრესი ყურადღება ფიზიკური სიამოვნებებით ტკბობას დაუთმო.

ჯონ სკოტმა, ანტიკური ფილოსოფიის მკვლევარმა, მოკლედ ჩამოაყალიბა ამ ორ ფილოსოფიურ მიმდინარეობას შორის არსებული განსხვავება: "ეპიკურელებს ბედნიერის არსებობა სწამდათ, ცხოვრების სიძნელეებს გაურბოდნენ და სიამოვნებისკენ ილტვოდნენ, სტოიკოსები კი ფატალისტები იყვნენ, მორჩილებასა და ჭირთათმენას ქადაგებდნენ."

მისი თანმხლებნი იხილა, მთელი ხმით შესძახა: "ეს კაცები უზენაესი ღვთის მონები არიან, რომლებიც გაუწყებენ თქვენი ხსნის გზებს." მრავალი დღის განმავლობაში თან დაჰყვებოდა მათ, ერთთავად აწუხებდა. ბოლოს და ბოლოს პავლემ იესოს სახელით ავ სულს მხევლიდან გამოსვლა უბრძანა და ისიც უმალ განთავისუფლდა. მაგრამ, მყარი შემოსავლის დაკარგვით აღშფოთებულმა მხევლის ბატონებმა პავლე და სილა შეიპყრეს და ქალაქის მაგისტრატებს, ანუ მთავრებს, მიჰგვარეს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე რომის მოქალაქე იყო, ისინი გაშოლტეს და საპყრობილეში ჩაყარეს. მძიმე განსაცდელში ჩავარდნილი, ხუნდებდადებული მახარებლები სულიერად არ დაეცნენ და მთელი ღამე ლოცულობდნენ და ღმერთს უგალობდნენ.

შუაღამისას ძლიემა მიწისძვრამ საპყრობილის საძირკველი შეაზანზარა, ჩარაზული კარები გააღო და ყველა პატიმარს ხუნდები დასცვივდა. საპყრობილის ზედამხედველი აუტანელმა შიშმა შეიპყრო, რადგან პატიმრების გაქცევას სირცხვილი და გარდაუვალი სასიკვდილო განაჩენი მოჰყვებოდა. ის იყო სიცოცხლე თვითმკვლელობით უნდა დაესრულებინა, რომ პავლემ საკნიდან გამოსძახა: "ჩვენ ყველანი აქა ვართ." საპყრობილის ზედამხედველმა ჩირაღდნები მოითხოვა, სასწრაფოდ საკანში შევიდა და ათრთოლებულმა შეჰღაღადა პავლეს:

"ბატონებო, რა ვქნა, რომ გადავრჩე?"

პავლემ უპასუხა:

"იწამე უფალი იესო და გადარჩები შენც და მთელი შენი სახლობა." (საქ. 16:30,31)

საპყრობილის ზედამხედველმა და მისმა ოჯახმა ირწმუნეს და მოინათლნენ.

მეორე დილით ქალაქის მთავრებმა მახარებლების გათავისუფლება გადაწყვიტეს, მაგრამ პავლემ უარი თქვა ასეთ თავისუფლებაზე და



პავლე სახარების საქადაგებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქებს ირჩევდა. ის სავაჭრო გზაჯვარედინებზე მდებარე იმ ქალაქებში ქადაგებდა, სადაც რომის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ამ გზით ვრცელდებოდა სახარება ახალმოქცეული ქრისტიანების საშუალებით.

ქალაქ თესალონიკედან, რომელიც "დიდ ეგნატეს გზაზე" მდებარეობდა, იგი ათენისაკენ გაემართა, სადაც ბერძენ ფილოსოფოსებთან კამათობდა და ქალაქის არეოპაგში იქადაგა, იქ, სადაც სასამართლო მდებარეობდა. ფოტოსურათი გადაღებულია ძველი ათენის ბაზრის მოედნიდან, აგორადან, ზემოთ ქალაქის დედა-ციხე, აკროპოლისი მოჩანს.

ქ.წ. V საუკუნე ათენისთვის ოქროს ხანა იყო. ამ დროს მიაღწია განვითარების ზენიტს ძველმა ელინურმა ქანდაკებამ, თეატრმა, მწერლობამ, ფილოსოფიამ და ხუროთმოძღვრებამ. ქალაქი პავლეს მოგზაურობის დროსაც რომის იმპერიის ინტელექტუალურ ცენტრად ითვლებოდა. შენობები და ქანდაკებები მნახველს სილამაზითა და სრულყოფილებით ატყვევებდა. ათენში ღმერთების იმდენი ქანდაკება იყო აღმართული, რომ ერთმა რომაელმა სატირიკოსმა მახვილგონივრულად შენიშნა, რომ ქალაქში ღმერთის პოვნა უფრო ადვილი იყო, ვიდრე ადამიანისა.

დედა-ციხე, აკროპოლისი, კლდოვან ბორცვზე იყო აშენებული და შორიდან მოჩანდა. აკროპოლისის ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა არეოპაგი, ანუ არესის ბორცვი. ქალაქის მართვა-გამგეობა სწორედ აქედან ხორციელდებოდა. ქალაქის მამები უფრო მეტად ზნეობაზე, რელიგიასა და განათლებაზე ზრუნავდნენ.

აგორაზე სვეტნარებით დამშვენებულ ნაგებობებში თავს იყრიდნენ ფილოსოფოსები და დროს დავა-კამათში ატარებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდიშის მოხდა მოითხოვა, რაკი მათ, რომის მოქალაქეებს შეუფერებლად მოექცნენ და უკანონოდ დასაჯეს. შესაძლოა, პავლე ამგვარად ახალგაზრდა ეკლესიის დასაცავად მოიქცა.

ლუკა რამდენიმე მოკლე წინადადებით აღწერს მახარებლების გრძელ გზას. მათ ხომ დაახლოებით 150 კილომეტრი გაიარეს ეგრეთწოდებულ ეგნატეს გზაზე, რომის დიდ აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ გზატკეცილზე. იქადაგეს ქალაქ თესალონიკეში, რომელიც დღესაც დიდი ქალაქია, მაგრამ ამ ქალაქში ადგილობრივი ებრაელების წინააღმდეგობას წააწყდნენ, რომლებიც პავლესა და მის თანამგზავრებს ქალაქ ბერეაშიც გაჰყვნენ და ხალხი აუმხედრეს მათ. პავლე იძულებული იყო მარტო გასცლოდა იქაურობას და სასწრაფოდ გაემგზავრა ქალაქ ათენში, სადაც თანამგზავრების ჩამოსვლას დაელოდა.

### ათენი

ათენში, ანტიკური სამყაროს ინტელექტუალურ ცენტრში, პავლე მოციქული სტოიკოს და ეპიკურელ ფილოსოფოსებთან კამათობდა ბაზრის მოედანზე, აგორაზე, როგორც მიღებული იყო. მათი მოწვევით არესის ბორცვზე, არეოპაგში გამოვიდა სიტყვით და საკუთარი რწმენის შესახებ ისაუბრა, ბერძენ პოეტთა სიტყვებიც კი მოიხმო დამაჯერებლობისათვის. ათენელი მსმენელების განსაკუთრებული ყურადღება მკვდრეთით აღდგომისა და განკითხვის დღის თემებმა მიიპყრეს.

### კორინთო

ათენიდან პავლე კორინთოში გაემგზავრა, სადაც თავს მეკარვეობით ირჩენდა იუდეველ ცოლ-ქმართან, აკვილასა და პრისკილასთან



კორინთო საბერძნეთის სამხრეთში მდებარეობდა. იულიუს კეისარმა ქ.წ. 44 წელს კოლონიის სტატუსით აღადგინა, ხოლო ქ.წ. 27 წელს პროვინცია აქაიის დედაქალაქად და რომაელი პროკონსულის რეზიდენციად იქცა. კორინთო მნიშვნელოვანი სავაჭრო ცენტრი იყო. ის მდებარეობდა ისთმოსის ყელზე, რომელიც პელოპონესის ნახევარკუნძულს აერთებდა მატერიკთან და ამიტომ ორი მოხერხებული ნავსადგური ჰქონდა: კენქრე და ლეხა.

ისთმოსის ყელზე დიდი არხის გაყვანა ვერ მოხერხდა, თუმცა მცირე ზომის ნავები და ტვირთები ხმელეთით გადაჰქონდათ ქალაქამდე ნავსადგურებიდან.

კორინთოს მრავალეროვანი მოსახლეობა აღვირახსნილობით იყო განთქმული. კლდოვან ბორცვზე აღმართული იყო სიყვარულის ქალღმერთის აფროდიტეს ტაძარი. ათასობით მონა ქალი ემსახურებოდა ტაძარს. ისინი ღამით ქალაქის ქუჩებს ეფინებოდნენ და მეძაობით ირჩენდნენ თავს.

აქ ეწყობოდა ისთმოსური სპორტული თამაშები, რომელიც უამრავ მაყურებელს იზიდავდა.

ფოტოსურათზე მოჩანს აპოლონის ტაძრის დიდებული კოლონები (დაახლოებით ქ.წ. 540), რომელსაც ამაყად გადმოჰყურებს ბორცვის თავზე აღმართული დედაციხე.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ერთად, ვიდრე სილა და ტიმოთე ეკლესიების მიერ შემოწირული ფულით არ დაბრუნდნენ მაკედონიიდან. ამის შემდეგ მთელ დროს სახარების ქადაგებასა და სწავლებას უთმობდა. კორინთოში თვრამეტი თვე დაჰყო, დააარსა ეკლესია და ახალმოქცეულებზე ზრუნავდა.

### პავლეს მესამე მოგზაურობა

ლუკა მოკლედ მოგვითხრობს პავლეს მეორე სამახარებლო მოგზაურობისა და მესამე მოგზაურობის დაწყების ამბავს, როდესაც პავლემ პირველი მოგზაურობის დროს დაარსებული ეკლესიები მოინახულა და შემდეგ მცირე აზიის ქალაქ ეფესოსაკენ გაემართა.

### ეფესო

პავლემ მეორე მოგზაურობის დროს მიცემული დაპირება შეასრულა და ქალაქ ეფესოში ჩავიდა, სადაც ყველაზე დიდხანს დაჰყო; ორი წელი დარჩა ქალაქში. თავდაპირველად, როგორც წესად ჰქონდა, ებრაელებს უქადაგა სინაგოგაში. მაგრამ, ებრაელთა დიდმა ნაწილმა უარყო პავლე და მოციქულმა ვინმე ტირანუსის სკოლაში განაგრძო მოღვაწეობა: სწავლება და ქადაგება. სკოლის დარბაზს იმ დროს იყენებდა, როდესაც მეპატრონე უთმობდა – შუა დღეს, როცა ძალიან ცხელოდა – მაგრამ პავლეს სიტყვის მოსმენის მსურველი მაინც ბევრი იყო.

ეფესოში პავლემ მრავალი ადამიანი სასწაულებრივად განკურნა და ავი სულებისგან გაათავისუფლა. შესაძლოა, პავლე მიიჩნევდა, რომ სასწაულების "ენა" ეფესელთათვის უფრო ადვილად გასაგები იყო.

ეფესოში რომის იმპერიის სხვადასხვა პროვინციიდან უამრავი ხალხი ჩამოდიოდა. განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა ცნობილი არტემისის ტაძარი. ადგილობრივი ვერცხლის მჭედლები ტაძრისა და ქალღმერთის ვერცხლის ქანდაკებებს ამზადებდნენ და სარფიანად ჰყიდიდნენ, მაგრამ პავლეს ქადაგებებს ისეთი წარმატება მოჰყვა, რომ ვერცხლის მჭედლების სავაჭრო საქმიანობა თითქმის ჩაკვდა. ამიტომ, ერთ-ერთმა მჭედელმა, სახელად დიმიტრიმ, ამ საქმით დაკავებული ხელოსნები შეკრიბა და პავლეს წინააღმდეგ აამხედრა. ხელოსნების ამბოხმა ეფესელთა ბრბოს მოუყარა თავი და დიმიტრის სიტყვებით აღგზნებული ხალხი შეუჩერებლად გაჰყვიროდა: "დიდია ეფესელთა არტემისი!"

ქალაქის ქუჩები აღშფოთებული ხალხით აივსო და ბრბო ხმაურით თეატრონისკენ გაეშურა. პავლემ ხალხთან შეხვედრა და მათი დამშვიდება მოიწადინა, მაგრამ მეგობრებმა არ გაუშვეს. ხალხის მასიური ამბოხი ქალაქის უსაფრთხოებას საშიშროებას უქმნიდა, ამიტომ ეფესოს მწერალმა ხელი გამოიღო და ძლივს დააწყნარა აბობოქრებული ბრბო.

### შემოწირულის შეგროვება

პავლე მოციქული ეფესოდან მაკედონიისა და აქაიის ეკლესიების მოსანახულებლად გაემგ-



ეფესო რომიდან აღმოსავლეთისკენ მიმავალ მთავარ სავაჭრო გზაზე მდებარეობდა. ქალაქი რომის პროვინცია ასიის დედაქალაქი იყო, რომელიც მცირე აზიის დასავლეთ ნაწილს მოიცავდა. ეფესო განთქმული იყო არტემისის ტაძრით, რომელიც მსოფლიოს შვიდი საოცრების რიცხვში შედიოდა. არტემისი ბერძნულ-რომაული მითოლოგიის ნადირობის ქალღმერთი კი არ იყო, არამედ მცირე აზიური წარმოშობის ნაყოფიერების მრავალმკერდიანი დედა ქალღმერთი.
ეფესო მისნობისა და მაგიური ხელოვნების ცენტრი იყო და მაგიურ წიგნებს ხშირად "ეფესურ წერილებს" უწოდებდნენ.
ქალაქში აღმართული იყო უზარმაზარი თეატრი, რომელიც 20000 მაყურებელს იტევდა.
ამჟამად ეფესოს დიდებული ნანგრევები მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ჩამოსულ უამრავ ტურისტს იზიდავს.



პავლე ტაძარში წარმართე-
ბის შეყვანაში დაადანაშა-
ულეს. ეს დანაშაული კი
სიკვდილით ისჯებოდა.
ტაძარში წარმართთა ეზო-
სა და იუდეველთა ეზოს
გამმიჯნავ კედლის ქვაზე
ამოკვეთილი წარწერა სას-
ტიკად კრძალავდა შიდა
ეზოში არაებრაელების
შესვლას და წესის დამრღ-
ვევს სიკვდილით ემუქრე-
ბოდა. ფოტოსურათზე გა-
მოსახული კარგად
შენახული ბერძნული წარ-
წერა იერუსალიმში აღმო-
აჩინეს 1871 წელს. ხოლო
მეორე წარწერის ფრაგმენ-
ტები, რომელსაც წითელი
მელნის კვალიც კი შემორ-
ჩა 1936 წელს იქნა აღმო-
ჩენილი.

ზავრა. ეჭვს გარეშეა, რომ მოციქული იერუსალიმელი ღარიბი ებრაელი ქრისტიანებისათვის ადგილობრივი ეკლესიებისაგან შემოწირულ თანხებსა და საჩუქრებს აგროვებდა.

პავლეს არასოდეს ავიწყდებოდა, რომ წარმართი ქრისტიანები მოვალენი იყვნენ თანამოძმე ებრაელი ქრისტიანებისთვის დახმარების ხელი გაეწვდინათ. სწორედ ამ მიზნით აგროვებდა შემონაწირს. ძმური დახმარება კიდევ ერთხელ ადასტურებდა, რომ ებრაელიცა და წარმართიც ქრისტეში ერთნი იყვნენ. შემოწირული ძღვენი პავლემ იერუსალიმში წაიღო და თან შემომწირველი ეკლესიების წარმომადგენლები წაიყვანა, რათა მათ საკუთარი ხელით გადაეცათ შემოწირული ძღვენი.

### იერუსალიმში გამგზავრება

იერუსალიმისაკენ მიმავალი პავლე მოციქული ეფესოში აღარ დაყოვნდა, მაგრამ ეფესოს ეკლესიის უხუცესებს წერილი გაუგზავნა და ისინი გემს, რომელზეც პავლე იმყოფებოდა, მალტაში დაუხვდნენ. პავლე უხუცესებს აფრთხილებდა მოსალოდნელი სიძნელეების შესახებ, და თან სულიერი სიმტკიცისაკენ მოუწოდებდა და იესოს სიტყვებით მიმართავდა მათ: "გაცემა მეტი ნეტარებაა, ვიდრე მიღება." უხუცესებმა და პავლემ ზღვის ნაპირზე მუხლი მოიყარეს და ერთად ილოცეს.

"მაშინ დიდი ტირილი ჰქონდა ყველას, ყელზე ეხვეოდნენ და პავლეს ეამბორებოდნენ," – წერს ლუკა, – "უფრო მეტად იმ სიტყვაზე წუხდნენ, რომ თქვა, ვეღარ იხილავთო ჩემ სახეს."

პავლე დარწმუნებული იყო, რომ იერუსალიმში დიდი განსაცდელი ელოდა. იუდეიდან კესარიაში მოსულმა წინასწარმეტყველმა აგაბოსმა იერუსალიმში მოსალოდნელი საფრთხის შესახებ აუწყა პავლეს და ურჩია არ წასულიყო იქ. ხელ-ფეხი პავლეს სარტყელით შეიკრა და ამ მოქმედებით უწინასწარმეტყველებდნენ პავლეს მომავალი ხვედრი. მაგრამ პავლეს გადაწყვეტილება მტკიცე იყო:

"რას სჩადით, ტირით და გულს მიტეხთ? მე არა თუ შესაკვრელად, არამედ იერუსალიმში სასიკვდილოდაც მზადა ვარ უფალ იესოს სახელისათვის." (საქ. 21:13)

### იერუსალიმში და შემდგომ

იერუსალიმში პავლე მოციქული თბილად მიიღეს, მაგრამ გააფრთხილეს, რომ მრავალი ახალმოქცეული იერუსალიმელი ებრაელი ქრისტიანები ეჭვის თვალით უყურებდნენ მას. ახალმოქცეულთაგან ზოგიერთი "რჯულის მოშურნე" მღვდელი იყო და ებრაული ტრადიციების მტკიცედ დაცვას მოითხოვდა. პავლეს კი იცნობდნენ, როგორც ებრაული წეს-ჩვეულებების უგულებელმყოფელს. ამიტომ რჯულის მოშურნე ქრისტიანების ეჭვის განსაქარვებლად პავლეს ურჩიეს ოთხი ებრაელი ქრისტიანისთვის აღთქმის შესრულებისათვის საჭირო თანხა გაეღო და მათთან ერთად განწმედილიყო.

პავლე დათანხმდა, მაგრამ როდესაც ამ ახალმოქცეულ ებრაელ ქრისტიანებთან ერთად ტაძარში შევიდა შესაწირავის შესაწირად, მოთვალთვალე იუდეველები შემოეხვივნენ და ებრაელებისათვის განკუთვნილ ეზოში წარმართების შეყვანაში დაადანაშაულეს პავლე. ტყუილად დადანაშაულებულ პავლეს სიკვდილით დასჯა ემუქრებოდა. შულლის ჩამომგდებმა ებრაელებმა ხალხი აღაშფოთეს პავლეს წინააღმდეგ და მას სიკვდილი არ ასცდებოდა, რომაული გარნიზონის ასისთავი რომ არ ჩარეულიყო საქმეში. მისი ბრძანებით პავლე ქალაქის ციხე-სიმაგრისაკენ წაიყვანეს, ხოლო როდესაც ასისთავმა შეიტყო, რომ პავლე რომის მოქალაქე იყო, ხალხის წინაშე სიტყვით გამოსვლის უფლება მისცა.

მეორე დღეს პავლე სინედრიონის წინაშე წარსდგა. პავლემ იცოდა, რომ სინედრიონში ორი ბანაკი იყო: სადუკეველებისა და ფარისევლებისა, ამიტომ განაცხადა, რომ მას მკვდრეთით აღდგომის რწმენის გამო სდებდნენ ბრალს. ფარისევლებს კი სადუკეველებისაგან განსხვავებით მკვდრეთით აღდგომა სწამდათ. პავლეს სიტყვებმა სინედრიონში დავა-კამათი გამოიწვია და ზოგიერთი ფარისეველი მღვდელი და მწიგნობარი პავლეს გამოესარჩლა.

იუდეველთა ერთმა ნაწილმა პავლეს მოკვლა განიზრახა, მაგრამ ამ შეთქმულების ამბავი მისმა დისწულმა შეიტყო და ათასისთავს კლავდიუს ლუსიას შეატყობინა. ამიტომ პავლე ღამე, ფარულად გადაიყვანეს კესარიაში, რომაელი გამგებლის ფელიქსის განკარგულებაში. მოციქულმა გამგებლისაგან სამართლიანობის დაცვა მოითხოვა, მაგრამ ფელიქსმა

ორი წლით დააკავა პავლე. ამ ვადის გასვლის შემდეგ კესარიაში ახალი გამგებელი პორკიოს ფესტოსი განამწესეს, რომელიც მაშინვე აქტიურად ჩაერია პავლესთან დაკავშირებულ სასამართლო საქმეში. ებრაელი ბრალმდებლები პავლეს იერუსალიმში გადაყვანასა და გასამართლებას მოითხოვდნენ, მაგრამ ფესტოსმა უარი განუცხადა, რადგან შიშობდა, რომ ისინი პავლეს გზაზე ჩაუსაფრდებოდნენ და მოკლავდნენ.

პავლემ ისარგებლა რომის მოქალაქის უპირატესობით და კეისრის სამსჯავრო მოითხოვა. ფესტოსი პავლეს მოთხოვნას დათანხმდა. ვიდრე რომში გაგზავნიდნენ, პავლეს შესაძლებლობა მიეცა ფესტოსის სტუმრების, ჰეროდე დიდის შვილიშვილების, მეფე აგრიპასა და მისი დის ბერნიკეს წინაშე დაემოწმებინა იესოს სახარების ჭეშმარიტება.

აგრიპამ პავლეს უდანაშაულობა აღიარა და დასძინა: "შეიძლებოდა ამ კაცის გათავისუფლება, კეისრის სამსჯავრო რომ არ მოეთხოვა." მაგრამ, პავლემ იცოდა, რომ პალესტინაში დარჩენა აღარ შეიძლებოდა, რადგან გადამტერებული იუდეველები აუცილებლად მოკლავდნენ მას. ამასთანავე მოთხოვნა აუცილებლად უნდა შესრულებულიყო და პავლე რომში უნდა წაეყვანათ. შესაძლოა, საპყრობილეში ჩაეგდოთ, მაგრამ პავლეს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი რომის იმპერიის დედაქალაქში ქრისტეს სახარების ქადაგება.



იერუსალიმელი იუდეველების მხრიდან პავლეს სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და ამიტომ, ის ორი წლის მანძილზე იყო დატყვევებული კესარიაში, ვიდრე კეისრის სამსჯავრო არ მოითხოვა და რომში არ გაამგზავრეს. ამჟამად კესარიის ანტიკური თეატრი აღდგენილია და საკუთარ ფუნქციებს ასრულებს.

## რომში გამგზავრება

ლუკა დაწვრილებით აღწერს დაპატიმრებული პავლეს თავგადასავლებით სავსე მოგზაურობას რომისაკენ. პავლემ რომაელი ასისთავი იელიოსი გააფრთხილა, რომ გემით მგზავრობა წელიწადის იმ დროს საშიში იყო, მაგრამ ასისთავი მესაჭესა და ხომალდის უფროსის გამოცდილებას უფრო ენდო, ვიდრე პავლეს სიტყვებს. საშინელი ქარიშხალი ამოვარდა, მაგრამ პავლემ მგზავრები გააფრთხილა:

> "ახლა კი გირჩევთ, გამხნევდეთ. ყველანი გადარჩებით ხომალდის გარდა... ვინაიდან მე მწამს ღვთისა."
>
> (საქ. 27:22,25)

დამქანცველი და ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ გემი კუნძულ მელიტას (თანამედროვე მალტა) ნაპირთან ახლოს მეჩეჩს შეეჯახა და დაილეწა, თუმცა ხომალდის ყველა მგზავრი გადარჩა და ხმელეთს გემის ნამსხვრევებით და ცურვით მიაღწიეს. ზამთარი კუნძულზე გაატარეს. პავლე კუნძულის მოსახლეობას კურნავდა და სახარებას უქადაგებდა. ხელსაყრელი ამინდების დადგომისთანავე კი რომისკენ გაემგზავრნენ, კუნძულ სიცილიის გავლით.

პავლეს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა რომიდან ჩამოსული ქრისტიანები შეეგებნენ აპიუსის მოედანთან, რომიდან დაახლოებით სამოცი კილომეტრის მანძილზე და იმპერიის დედაქალაქში შეუძღვნენ. რომში პავლეს შინაპატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მოციქული გარკვეული თავისუფლებით სარგებლობდა. რომში პავლემ წარჩინებული იუდეველები მიიწვია თავისთან, მომხდარის შესახებ სრული სიმართლე უამბო და იესო ქრისტეს შესახებ უქადაგა. იმ სახლში, სადაც პავლე ცხოვრობდა ორი წლის მანძილზე, მრავალი ებრაელი თუ წარმართი იკრიბებოდა და სახარების ქადაგებას ისმენდა.

აქ ლუკა მოულოდნელად ამთავრებს თხრობას. პავლე დაქირავებულ სახლში, რომაელ მცველებთან დატოვა. ლუკა გვაუწყებს, რომ მოციქული ორი წელი ცხოვრობდა რომში. შესაძლოა, იერუსალიმელმა იუდეველმა ბრალმდებლებმა აღარ გააგრძელეს ჩივილი და სასამართლო დავიწყებას მიეცა. ჩვენთვის ცნობილია, რომ პავლე შინაპატიმრობიდან გაათავისუფლეს და მომდევნო ორი წელი ის ბევრს მოგზაურობდა და ღვთის სიტყვას ქადაგებდა. შემდეგ კი კვლავ დააპატიმრეს და რწმენისათვის სიკვდილით დასაჯეს ქ.შ. 64 წელს.

# პავლეს ცხოვრება და მოგზაურობა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოციქული პავლე სახარების საქადაგებლად განსაკუთრებული მნიშვნელობის ქალაქებსა და ადგილებს ირჩევდა. ის სავაჭრო გზაჯვარედინზე მდებარე იმ ქალაქებში ქადაგებდა, სადაც რომის იმპერიის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული უამრავი ხალხი იყრიდა თავს. ამ გზით ვრცელდებოდა სახარება ახალმოქცეული ქრისტიანების საშუალებით.




ხანგრძლივი მოგზაურობა დასჭირდა პავლეს რომში ჩასვლას. ბოლოს დაპატიმრებული მოციქული სავაჭრო გემით მიადგა იტალიის ნაპირს.

ეროვნული ბიბლიოთეკა


## პავლეს ცხოვრება

სავლე დაიბადა რომის პროვინციის კილიკიის დედაქალაქ ტარსუსში. ალიზარდა ებრაულ ტრადიციულ გარემოში, მაგრამ ბევრი რამ ისწავლა ქალაქში მცხოვრები ბერძნებისა და რომაელებისაგან. ელინისტურმა ტარსუსმა, რომელიც ათენსა და ალექსანდრიას ბაძავდა სწავლა-განათლების მხრივ, დიდი გავლენა მოახდინა სავლეზე.

სავლემ რჯულის ახსნა-განმარტებლის კარიერა აირჩია, მაგრამ ისევე როგორც ყველა ებრაელი მოსწავლე, ის ვაჭრობის ხელოვნებასაც ეუფლებოდა. ტარსუსი ტყავის წარმოებით იყო ცნობილი. პავლე დაეუფლა მეკარვეობას და ტყავის სხვა ნივთების დამზადების ხელოვნებას.

შემდეგ იერუსალიმში გაემგზავრა და სწავლა ცნობილ რაბინთან გამალიელთან განაგრძო, რომლის პაპა ჰილელი განთქმული მასწავლებელი იყო. სავლე ფარისეველი იყო, ებრაული რჯულის ფიცხელი დამცველი. იგი დაბადებიდან რომის მოქალაქე იყო და ამიტომ მისი რომაული სახელი პავლე უფრო ცნობილია ჩვენთვის.

გაქრისტიანების შემდეგ, როგორც თავად მოგვითხრობს, პავლე არაბეთში ცხოვრობდა. შესაძლოა, განმარტოებისაკენ ისწრაფოდა უდაბნოში, რათა თავისი ახალი რწმენა გაეაზრებინა და შესაბამისი დასკვნები გამოეტანა.

ქრისტიანული ეკლესიის ალმშენებლობის საქმეში პავლეს უდიდესი წვლილი მიუძღვის. ის წარმართთა მთავარ მოციქულად ითვლებოდა, ბევრს მოგზაურობდა და ეკლესიების დასაფუძნებლად ყველგან ნოყიერ ნიადაგს ამზადებდა. მას ხშირად აპატიმრებდნენ, სცემდნენ, აწამებდნენ და ამცირებდნენ რწმენისათვის. ამას ემატებოდა ხანგრძლივი მოგზაურობის სირთულეები.

ახალდაარსებული ეკლესიებისადმი მიძღვნილმა პავლეს წერილებმა ახალი სარწმუნოების თეოლოგიური ქარგა შექმნეს.




ტიბერიაში ებრაელები ლოცულობენ. ვიდრე იესო ქრისტეს შეხვდებოდა დამასკოს გზაზე, პავლე "რჯულის მოშურნე," ებრაული ტრადიციების დამცველი იყო.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

11

# პავლეს წერილები

## რომაელთა წერილიდან ფილიმონის წერილამდე



ფოტოსურათზე გამოსახულია ძველბერძნული წერილი, რომელიც იწყება გამგზავნის სახელით, შემდეგ კი დამწერი მიმღებს მოკითხვას უთვლის. წერილი მთავრდება კეთილი სურვილების გამოხატვითა და დამშვიდობებით.

სადაც კი გაემგზავრებოდა პავლე მოციქული, ყველგან იესოს სახარებას ქადაგებდა და ამის შემდეგ რომის იმპერიის სხვადასხვა კუთხეებში ახალმოქცეული ქრისტიანების ჯგუფები და ეკლესიები ყალიბდებოდა. ზოგჯერ ამ ეკლესიებს პავლე ხელმძღვანელებს უდგენდა.

ხშირად პავლე ისე განაგრძობდა მოგზაურობას, რომ ადგილზე ტოვებდა ისეთ ახალდაარსებულ ეკლესიას, რომელსაც ახალი რწმენის შესახებ გამოცდილება და სათანადო ცოდნა აკლდა. ზოგჯერ მოციქულის წასვლის შემდეგ სხვა მასწავლებელები ჩამოდიოდნენ და ცრუ სწავლებებით აბრუებდნენ ახალმოქცეულებს. როდესაც პავლესთვის შეუძლებელი იყო ახალდაარსებულ ეკლესიაში ხელმეორედ ჩასვლა და საქმეების მოწესრიგება, მაშინ მოციქული წერილს გზავნიდა ამა თუ იმ ეკლესიაში და პირდაპირ მიუთითებდა არსებულ დარღვევებსა და გაუგებრობებზე, პასუხს სცემდა წამოჭრილ კითხვებზე.

პავლე ძალიან დატვირთული იყო და ერთთავად მოგზაურობდა, მაგრამ როდესაც სახარების ქადაგებისთვის დააპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს, წერილების წერისთვის საკმარისი დრო და საშუალება მიეცა. მას ყოველთვის თან ახლდა შეგირდი, ანუ მოსწავლე, რომელიც პავლეს კარნახით ადგენდა წერილებს.

პავლეს წერილები დიდად ფასობდა ქრისტიანებში და მის შინაარსს არა მარტო მიმღები ეკლესია ეცნობოდა, არამედ ახლო-მახლო არსებული ეკლესიებიც. მათ დიდი მოწიწებით კითხულობდნენ. დროთა განმავლობაში პავლეს ზოგიერთი წერილი ღვთივშთაგონებულად იქნა მიჩნეული და ქრისტიანებისადმი მიმართულ ღვთის სიტყვად იქნა აღიარებული. ახალ აღთქმაში მოქცეულია პავლეს ცამეტი წერილი.

### ძველი ბერძნული წერილის სტილი

პავლეს წერილები შედგენილია იმ დროს მიღებული წესის მიხედვით. მკვლევარი ჯონ დრეინი გვთავაზობს წერილის გეგმას:

1. წერილი იწყება გამგზავნისა და მიმღების სახელების ხსენებით.
2. შემდეგ მოდის მოკითხვა; ხშირად ძალიან მოკლე და მშრალი. პავლე ზოგჯერ ერთდროულად უძღვნის ებრაულ "შალომს," ანუ მშვიდობასა და ბერძნულ "კურთხევას."
3. შემდეგ მიმღების ჯანმრთელობის ამბავს კითხულობს და დღეგრძელობას უსურვებს. პავლე ხშირად ღმერთს მადლს სწირავს, რომ მისი მეგობრების ქრისტიანული ცხოვრება მტკიცდება და იფურჩქნება.
4. ამის შემდეგ მოდის წერილის ძირითადი ნაწილი. პავლე თავისი წერილის პირველ ნაწილში ქრისტიანული ცხოვრების თეორიულ მხარეს ეხება, ხოლო მეორე ნაწილში კი ამ სწავლების პრაქტიკულ შედეგებზე ამახვილებს ყურადღებას.
5. საკუთარი ცხოვრების ვითარების მოკლედ აღწერა და პიროვნული მოკითხვები. პავლე ეკლესიებში კონკრეტულ ადამიანებს მიმართავდა.
6. ამ მიზნით წერილში პავლე საკუთარი ხელით წერდა მოკლე მოკითხვას, რითაც ამტკიცებდა, რომ წერილის ავტორი მართლაც თვითონ იყო. წერილის ბოლო ნაწილს მდივანი იწერდა.
7. დამშვიდობებას რამდენიმე სიტყვით წერდნენ, მაგრამ პავლე ხშირად ვრცელი კურთხევითა და ლოცვის სიტყვებით ემშვიდობებოდა მკითხველს.

### პავლეს წერილების მიღებული თარიღები და დაწერის ადგილი

| წერილი | თარიღი ქ.შ. | ადგილი |
|---|---|---|
| **ჯგუფი 1** | | |
| გალატელთა მიმართ | 48 | სირიის ანტიოქია |
| 1 თესალონიკელთა მიმართ | 50 | კორინთო |
| 2 თესალონიკელთა მიმართ | 50 | კორინთო |
| **ჯგუფი 2** | | |
| 1 კორინთელთა მიმართ | 54 | ეფესო |
| ფილიპელთა მიმართ | 54 | ეფესო? |
| 2 კორინთელთა 10-13 | 55 | ეფესო |
| 2 კორინთელთა 1-9 | 55-56 | მაკედონია |
| რომაელთა მიმართ | 57 | კორინთო |
| **ჯგუფი 3** | | |
| კოლასელთა მიმართ | 60-61 ? | რომი |
| ფილიმონის მიმართ | 60-61 ? | რომი |
| ეფესელთა მიმართ | 60-61 | რომი |
| **ჯგუფი 4** | | |
| ტიტეს მიმართ | 62 შემდეგ | ეფესო |
| 1 ტიმოთეს მიმართ | 62 შემდეგ | მაკედონია |
| 2 ტიმოთეს მიმართ | 64 | რომი |

ეროვნული ბიბლიოთეკა


პავლეს წერილების გაცნობისას ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, თითქოს დეტექტიური ჟანრის ნაწარმოებს ვკითხულობდეთ. ჩვენ დიალოგის მხოლოდ ერთ მხარეს ვისმენთ. მოციქული ზოგჯერ მკითხველის მიერ დასმულ კითხვას პასუხობს. ის აგრეთვე, სხვადასხვა ვითარების ან მდგომარეობის ისეთ შეხედულებას გვაწვდის, რომელიც ბოლომდე არ არის განმარტებული. ამიტომ საჭიროა პავლეს წერილებს გასაღები მოვუძებნოთ და ნაწარმოების სხვადასხვა ფრაგმენტები შევაერთოთ. ბუნდოვანი და გაუგებარი ადგილების მიუხედავად, პავლეს წერილები სახარებისა და ქრისტიანული ცხოვრების შესახებ მკაფიო და დამაჯერებელ ცნობებს გვაწვდის.

პავლეს წერილები დაახლოებით ერთი ნიმუშით არის შედგენილი. წერილი იწყება თეორიით – ქრისტიანული ცხოვრების სწავლებით და გრძელდება პრაქტიკული რჩევა-დარიგებებით.

ზოგიერთ ეპისტოლეში, მაგალითად, კოლასელთა, ფილიმონის, ეფესელთა და ფილიპელთა წერილებში, პავლე გვაუწყებს, რომ ის პატიმარია. ახალი აღთქმის მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს წერილები დაწერილია რომში ქ.შ. 60-62 წლებში, როცა პავლე შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. მაგრამ უფრო ადრე, ის, შესაძლოა, ეფესოში იყო დაპატიმრებული და არსებობს მონაცემები, რომლის მიხედვითაც მტკიცდება, რომ ფილიპელთა წერილი სწორედ ეფესოში დაიწერა. წიგნის ამ თავში პავლეს წერილებს იმ თანმიმდევრობით განვიხილავთ, რომელიც აქვე მოყვანილ ქრონოლოგიურ დანართშია ასახული (ახალ აღთქმაში წერილები განსხვავებული თანმიმდევრობით არის დალაგებული).

## გალატელთა მიმართ

**მკითხველები.** პროვინცია გალატია მცირე აზიის ჩრდილო-დასავლეთში (თანამედროვე თურქეთი) მდებარეობდა. პავლე მოციქული თავის წერილს იმ ეკლესიებს უძღვნის, რომლებიც მან პისიდიის ანტიოქიაში, იკონიასა და დერბეში დააარსა პირველი მისიონერული მოგზაურობის დროს.

**წერილის მიზანი.** პავლე ძალიან წუხდა იმის გამო, რომ მისი წასვლის შემდეგ გალატიის ეკლესიაში მოსულმა უცნობმა ხალხმა მას ცრუ მოციქული უწოდა და სცადა მათთვის გაყალბებული სახარების თავსმოხვევა. ის წერს, რომ საჭიროა მდგომარეობის გამოსწორება.

ეს წერილი ნაჩქარევად არის დაწერილი და ჩანს, რომ ავტორი აღელვებული იყო. პავლე მტკივნეულად განიცდიდა გალატიის ახალმოქცეული ქრისტიანების მდგომარეობას. ის შიშობდა, რომ უცხო მასწავლებლებსა თუ მქადაგებლებს ჭეშმარიტი გზიდან არ ჩამოეშორებინათ გალატელები. მოციქული პირდაპირ, ჯიქურ მიმართავს მკითხველებს:

"ჰოი, უგუნურო გალატელებო! ვინ მოგაჯადოვათ თქვენ?" (გალ. 3:1)

პავლემ მკაფიოდ განუმარტა მკითხველებს იესოს სახარების სიწმიდე და მნიშვნელობა. მთავარი აზრი მან ამ სიტყვებით ჩამოაყალიბა:

"ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა გავმართლდეთ ქრისტეში რწმენით და არა რჯულის საქმეებით, ვინაიდან რჯულის საქმეებით ვერა ხორციელი ვერ გამართლდება." (გალ. 2:16)

ეს ცრუ მასწავლებელები ახალმოქცეულ გალატელებს ასწავლიდნენ, რომ იესო ქრისტეს რწმენის მიღებასთან ერთად აუცილებელი იყო რჯულის დაცვა, როგორც ამას ებრაული რჯული მოითხოვდა. რჯულის დაცვის ნიშნად კი, ისინი უნდა წინადაცვეთილიყვნენ. მაგრამ, წუთისოფელში არ მოიძებნებოდა ისეთი ადამიანი, რომელიც იესოსავით სრულყოფილად დაიცავდა რჯულს. პავლე უმეორებს გალატელებს, რომ ღმერთი მხოლოდ იმას მიიღებს, ვინც ჭეშმარიტად ირწმუნა იესო ქრისტე. გადარჩენისთვის მხოლოდ ეს რწმენა არის საჭირო:

"ვინაიდან ყველანი, ვინც რჯულის საქმეთაგან არიან, წყევლის ქვეშ იმყოფებიან... ცხადია, რომ რჯულით ვერავინ გამართლდება ღვთის წინაშე... ქრისტემ გამოგვისყიდა რჯულის წყევლისაგან და გახდა წყეული ჩვენსნაცვლად." (გალ. 3:10-13)

პავლე მოციქული გალატელ წარმართ ქრისტიანებს არწმუნებს, რომ იესოს რწმენით ისინი აბრაამის უფრო ჭეშმარიტი შვილები არიან, ვიდრე თავად ებრაელები. პავლემ ისინი ღვთის აღთქმის ჭეშმარიტ მემკვიდრეებად გამოაცხადა (გალ. 3). რჯულის დასაცავად მიმართული მუდმივი ძალისხმევა შედეგს არ იძლევა. მარტო ამის მოწადინებასაც კი შეუძლია ჩაახშოს ის თავისუფლება, რომელიც ყველა ქრისტიანს აქვს მინიჭებული:

"თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს." (გალ. 5:1)

ქრისტიანებმა ახალი ცხოვრებით უნდა იცხოვრონ; ცხოვრებით, რომელიც ღმერთისთვის მისაღები და მოსაწონია, მაგრამ არა საკუთარი ძალისხმევით, რადგან მათ სულიწმიდის ძალით მიიღეს ახალი სიცოცხლე იესო ქრისტეში, ამიტომ თავად სულიწმიდა დაეხმარება "სიყვარულის, სიხარულის, მშვიდობის, სულგრძელობის, სახიერების, სიკეთის, ერთგულების, სიმშვიდისა და თავშეკავების" სრულად გამოვლინებაში.

### გალატელთა მიმართ

**წერილის საკვანძო ადგილები**

პავლეს, როგორც მოციქულის უფლებამოსილება 1-2

რჯული ამხილებს; რწმენა იხსნის 3-4

თავისუფლება და პასუხისმგებლობა 5-6



ძველი რომაული თაღოვანი ნაგებობა ამაყად დგას ეგნატეს გზაზე, ანტიკური სამყაროს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დასავლეთ-აღმოსავლეთის შემაერთებელ გზაზე. ქალაქი სალონიკი საბერძნეთში (ანტიკური ეპოქის თესალონიკე).

## 1 თესალონიკელთა

**წერილის საკვანძო ადგილები**

პავლეს მსახურება თესალონიკეში – ცნობები ტიმოთესაგან 1-3

სიძვა და სიყვარული 4

იესო დაბრუნდება 4-5

## 2 თესალონიკელთა

**წერილის საკვანძო ადგილები**

იესოს მეორედ მოსვლა და განკითხვის დღე 1

ურჯულოების კაცი – ძე დალუპვისა 2

შრომა და კეთილი საქმეების კეთება 3

## 1 და 2 თესალონიკელთა მიმართ

**მკითხველები.** ეს წერილები პავლემ თესალონიკელ ქრისტიანებს მისწერა. თესალონიკე რომის პროვინციის – მაკედონიის დედაქალაქი იყო. პავლემ ამ ქალაქში იქადაგა და ეკლესია დააარსა მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს (საქ. 17).

**წერილის მიზანი.** თესალონიკელი ქრისტიანები იესოს მეორედ მოსვლის საკითხში ვერ გაერკვნენ. პავლეს სურდა ამ გაუგებრობის გამოსწორება და გადაწყვიტა იესოს დაბრუნების საკითხი უფრო მკაფიოდ განემარტა მათთვის.

მოციქულმა შეახსენა თესალონიკელებს, რომ ქალისა და კაცის სექსუალური ურთიერთობების გამარტივება ან უგულებელყოფა არ შეიძლებოდა და წმიდა ცხოვრებისაკენ მოუწოდა მათ. სიძვა ღმერთისთვის მიუღებელია:

"ვინაიდან ღვთის ნებაა თქვენი განწმედა, რათა გაერიდოთ სიძვას... ვინაიდან ღმერთმა მოგვიწოდა ჩვენ არა უწმიდურებისაკენ, არამედ სიწმიდისაკენ."
(1 თეს. 4:3,7)

თესალონიკელი ქრისტიანების ქრისტეს მეორედ მოსვლასთან დაკავშირებულმა დამოკიდებულებამ პავლეს ბევრი საფიქრალი გაუჩინა. მათ სჯეროდათ, რომ იესო თავის მორწმუნეებს წაიყვანდა მეორედ მოსვლისას, მაგრამ უკვე გარდაცვლილი მორწმუნეების ბედი აღარდებდათ. პავლე ამშვიდებდა მათ და უმტკიცებდა, რომ იესოს დაბრუნების დროს ყველა ჭეშმარიტი მორწმუნე მასთან იქნებოდა. ხოლო ვინც რწმენაში გარდაიცვალა, განსაკუთრებული უპირატესობით ისარგებლებდა:

"ვინაიდან თვითონ უფალი გადმოვა ციდან ბრძანების სიტყვით, მთავარანგელოზის ხმაზე და ღვთის საყვარულზე და ჯერ ქრისტეში მკვდარნი აღდგებიან. შემდეგ კი ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები, მათთან ერთად ვიქნებით ზეატაცებულნი ღრუბლებში, რათა ჰაერში შევეგებოთ უფალს და ამგვარად უფალთან ვიქნებით სამარადისოდ. ამიტომ ანუგეშეთ ერთმანეთი ამ სიტყვებით"
(1 თეს. 4:16-18)

იესოს მეორედ მოსვლას რომ მომზადებული შევხვდეთო, ასწავლიდა პავლე, საჭიროა ღმერთის მორჩილება და მადლიერება.

ახალი აღთქმის ზოგიერთი მკვლევარის აზრით თესალონიკელთა მეორე წერილი პავლეს არ ეკუთვნის, ვინაიდან, მათი აზრით, იესოს მეორედ მოსვლის შესახებ ამ წერილში გამოთქმული აზრები თესალონიკელთა პირველ წერილში დაფიქსირებულ თვალსაზრისს არ ეთანხმება. პირველ წერილში მოციქული ამბობს, რომ იესო ნებისმიერ დროს შეიძლება დაბრუნდეს, ხოლო მეორე წერილში ის ამბობს, რომ იესოს მეორედ მოსვლის ჟამს საყოველთაო სამართლიანობა იზეიმებს.

როგორც ჩანს, ნაყალბევი წერილი მართლაც არსებობდა. მისი ავტორი პავლეს სახელს ეფარებოდა. ამ ყალბი წერილიდან თესალონიკელმა ქრისტიანებმა შეიტყვეს, რომ იესო ქრისტე უკვე დაბრუნდა. პავლე კი ამხელს ამ ცრუ სწავლებას და თესალონიკელებს ურჩევს, რომ შეცდომაში არ შევიდნენ, რადგან იესოს დაბრუნებამდე ბოროტების საბოლოო "აფეთქება" უნდა მოხდეს, რომლის სათავესთან "ურჯულოების კაცი, ძე დალუპვისა" დადგება.

ზოგიერთმა თესალონიკელმა ქრისტიანმა შრომა შეწყვიტა და მუქთა პურის ჭამას მიეჩვია. პავლე ურჩევს მათ:

"ასეთებს ვამცნებთ და შევაგონებთ ჩვენს უფალ იესო ქრისტეში, რათა მათ წყნარი შრომით ჭამონ პური."
(2 თეს. 3:12)

პავლე ამ წერილს თავად აწერს ხელს, რათა მის ავტორობაში ეჭვი არავის შეეპაროს.

## 1 და 2 კორინთელთა მიმართ

ორი წერილი კორინთელთა მიმართ იმ სახით, რომლითაც ისინი ახალ აღთქმაში არის წარმოდგენილი, მრავალ სირთულეს გვიქმნის. რთულია იმის დადგენა, თუ როგორ შეერთდა რამდენიმე სხვადასხვა დროსა და ადგილზე დაწერილი წერილი. გთავაზობთ მოვლენათა განვითარების ერთ-ერთ შესაძლო სურათს:

- პავლე ეფესოში იმყოფებოდა, როდესაც კორინთოდან ცნობები მიუვიდა და მან წერილი მისწერა კორინთოს ეკლესიას, რომელიც ზნეობის საკითხებს შეეხებოდა. ამ წერილის შესახებ საუბრობს პავლე 1 კორ. 5:9.

- მას შემდეგ, რაც ქლოეს ხალხის საშუალებით კორინთოს ეკლესიაში მომხდარი განხეთქილების ამბავი შეიტყო (1 კორ. 1:11), პავლემ მორიგი წერილი მისწერა ეკლესიას. ეს წერილი ახალ აღთქმაში შევიდა, როგორც 1 წერილი კორინთელთა მიმართ, რომელშიც კორინთელი ქრისტიანების მიერ დასმულ კითხვებზეც პასუხობს მოციქული (1 კორ.7:1).

**იესო ქრისტეს მეორედ მოსვლა**

იესოს მეორედ მოსვლის აღსანიშნავად პავლე ბერძნულ სიტყვას "პარუსიას" იყენებს. "პარუსია" ნიშნავს "სუფევას" ან "მოსვლას" და ელინისტურ სამყაროში მეფის მოსვლას აღნიშნავდა. პირველი ქრისტიანები იესოს მეორედ მოსვლას მალევე ელოდებოდნენ, რომელიც უფლის იმ დღის კულმინაციური მომენტი უნდა გამხდარიყო, რომელიც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველებმა იწინასწარმეტყველეს და რომელსაც იესოს პირველი მოსვლით ჩაეყარა საფუძველი.

- ვითარების გარკვევის მიზნით პავლე ესტუმრა კორინთოს ეკლესიას (2 კორ. 2:1, 12:14, 13:1). შემდეგ კიდევ ერთი წერილი მისწერა კორინთოს ეკლესიას, რომელიც ახალ აღთქმაში 2 კორ. 10-13 თავების სახით შევიდა.
- შემდეგ პავლემ მანუგეშებელი ცნობა მიიღო ტიტესგან, რომ კორინთელები გამოსწორდნენ (2 კორ. 7:6-7). სწორედ ამ სასიხარულო ცნობის შემდეგ დაწერა მოციქულმა თავისი მეოთხე წერილი ანუ 2 კორ. 1-9.

**მკითხველები.** ეს წერილები პავლე მოციქულმა მისწერა კორინთელ ქრისტიანებს. კორინთო მნიშვნელოვანი ნავსადგური იყო სამხრეთ საბერძნეთში. მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს პავლემ აქ ეკლესია დააარსა (საქ. 18).

**წერილის მიზანი.** კორინთელთა წერილები რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გამო დაწერა მოციქულმა. როგორც ჩანს, საჭირო იყო კორინთელი ქრისტიანების საეკლესიო და პირადი ცხოვრების გამოსწორება. ამას გარდა, პავლეს სურდა პასუხი გაეცა იმ კითხვებზე, რომლებიც კორინთელებმა გამოუგზავნეს. მაგრამ მთავარი იყო კორინთელ ქრისტიანებთან ურთიერთობის აღდგენა, რადგან კორინთოში ჩასულ უცხო ხალხს მოციქულისთვის სახელის გატეხა უცდია. ამიტომ პავლე მდგომარეობის დაუყოვნებლივ გამოსწორებას ცდილობდა.

კორინთოს ეკლესია სულიწმიდის ნიჭების სიუხვითა და ენთუზიაზმით იყო აღსავსე, მაგრამ პრობლემებიც ბევრი ჰქონდა.

პავლეს შეატყობინეს, რომ კორინთოს ეკლესია ჯგუფებად დაიყო. პავლემ ერთიანობის დაცვა მოსთხოვა კორინთელებს და რწმენის უმნიშვნელოვანესი ფაქტი შეახსენა – იესო ქრისტე მათი გულისთვის ავიდა ჯვარზე! ამ სიტყვებმა ყოველგვარ დავას ბოლო მოუღო.

პავლე გააოგნა იმ ამბავმა, რომ ეკლესიის ერთ-ერთი წევრი თავის დედინაცვალთან მრუშობდა. ამიტომ შეახსენა ეკლესიას, რომ მრუშობა და სიძვა მიუღებელია ქრისტიანისთვის:

"ანდა, ნუთუ არ იცით, რომ თქვენი სხეულები ტაძარია თქვენში სულიწმიდის, რომელიც ღვთისაგან გაქვთ, და რომ თქვენს თავს არ ეკუთვნით? ვინაიდან ფასით ხართ ნაყიდნი. ამიტომ ადიდეთ ღმერთი თქვენი სხეულით და თქვენი სულებით, რომლებიც ღვთისაა." (1 კორ. 6:19-20)

**კითხვები და პასუხები**

პავლე კორინთელი ქრისტიანების მიერ დასმულ კითხვებს პასუხობს:

**"კაცისთვის კარგია არ გაეკაროს დიაცს?"** პავლეს აზრით სექსუალური ურთიერთობები დაშვებულია მხოლოდ ცოლსა და ქმარს შორის. დაუქორწინებელ და ქვრივ ქრისტიანებს კი ცოცხალ ნიმუშად საკუთარ თავს სთავაზობს, ანუ მარტოდ დარჩენას. მოციქული შეახსენებს კორინთელებს, რომ იესოს მეორედ მოსვლის დრო ახლოვდება და ქრისტიანები უნდა გათავისუფლდნენ წუთისოფლის ტვირთისაგან, რათა ღმერთს მთელი არსებით ემსახურონ.

**"შეიძლება ნაკერპავის ჭამა?"** წარმართულ ტაძრებში შეწირული საქონლის ხორცი ბაზარში იყიდებოდა. მისაღები იყო ქრისტიანებისთვის ამ ხორცის ჭამა? პავლეს აზრით, იმის გამო, რომ წარმართების ღმერთები რეალურად არ არსებობდნენ, მათთვის მსხვერპლის შეწირვას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა.

პავლემ კარგად იცოდა, რომ მის თვალსაზრისს ყველა არ იზიარებდა და ამიტომ კორინთელებს მოუწოდებს, რომ თანამოძმეების განსხვავებული აზრი გაითვალისწინონ. თუკი ნაკერპავის ჭამა ვინმეს აბრკოლებს, მაშინ ამ ხორცის ჭამისგან თავშეკავება სჯობსო, ამბობდა მოციქული. მოყვასზე ზრუნვა ხომ პირად შეხედულებაზე უფრო მაღლა დგას.

**წერილის საკვანძო ადგილები**

განხეთქილება ეკლესიაში 1,3

ქრისტეს ჯვარცმა – ქრისტიანობის საფუძველი 1-2

წესრიგი ეკლესიაში 5-6

ქორწინების საკითხები 7

ნაკერპავის ჭამაზე 8

უფლის სერობა 11

სულიწმიდის ნიჭები 12,14

სიყვარულის მნიშვნელობა 13

ქრისტეს აღდგომა 15



ქორწინებისა და ქორწინებისაგან თავის შეკავების საკითხი კორინთელთა მიმართ პირველი წერილის ერთ-ერთი საკვანძო ადგილია. ძველბერძნულ ლარნაკზე გამოსახულია ქალიშვილი, რომელიც ქორწილისთვის ემზადება.

## 2 კორინთელთა

### წერილის საკვანძო ადგილები

ღმერთის შემწეობა განსაცდელში – პავლეს პირადი გამოცდილება 1

რჯული და ახალი აღთქმა 3

ქრისტეში ცხოვრება – ახლა და სიკვდილის შემდეგ 5

უხვად შესწირონ ქრისტეს გულისთვის 8-9

პავლე და ცრუ მოციქულები; ღმერთი მოწყალეა სახარებისთვის ტანჯულთა მიმართ 11-12

### სიყვარულის ნიჭი

პავლე საუბრობს იმ ქრისტიანული ნიჭების შესახებ, რომლებმაც კორინთელი ქრისტიანების გონება დაიპყრეს და განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდნენ მათში. კორინთელებს ისე სწყუროდათ საკუთარი ნიჭების გამოვლინება, რომ ღვთისმსახურებას აურზაურით ამთავრებდნენ. პავლემ აუხსნა მათ, რომ ღვთისმსახურება და თაყვანისცემა მშვიდად უნდა მიმდინარეობდეს. მოციქულმა შთააგონა კორინთელებს, რომ ყველა ნიჭზე უმთავრესი სიყვარულია, რომელიც მათი რწმენის საუკეთესო მაჩვენებელია. კორინთელთა პირველი წერილის 13 თავი ბიბლიის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ადგილია:

"თუ მე ადამიანთა და ანგელოზთა ენებით ვლაპარაკობ, ხოლო სიყვარული არ გამაჩნია, მაშინ ჟღარუნა რვალი ვარ ან ჩხარუნა წინწილა... სიყვარული სულგრძელია, სიყვარული ქველმოქმედია, არ შურს, არ ყოყოჩობს, არ ამპარტავნებს... სიყვარული არასოდეს მთავრდება... ახლა კი რჩება რწმენა, იმედი, სიყვარული – ეს სამი. ხოლო მათგან სიყვარულია უმეტესი." (1 კორ. 13:1,4,8,13)

### მკვდრეთით აღდგომა

კორინთელთა პირველი წერილის ბოლოს პავლე მოციქული მკვდრეთით აღდგომის საკითხს ეხება. ზოგიერთი კორინთელი ქრისტიანი ქადაგებდა, რომ ქრისტიანები სიკვდილის შემდეგ მკვდრეთით არ აღდგებიან. პავლე დაბეჯითებით უმტკიცებდა ამ თვალსაზრისის დამცველებს, რომ იესო მკვდრეთით აღდგა და ყოველი მისი მორწმუნე სიკვდილის შემდეგ ახალი სიცოცხლისთვის აღდგება მკვდრეთით. იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომა ხომ რწმენის საძირკველია:

"ხოლო თუ ქრისტე არ აღდგა, თქვენი რწმენა ფუჭია და კვლავ თქვენს ცოდვებში ხართ." (1 კორ. 15:17)

მოციქული განუმარტავს კორინთელებს, რომ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ მიწიერი სხეული სულიერით შეიცვლება და მოუთმენლად ელოდება იესოს მეორედ მოსვლას, როდესაც ყველა ქრისტიანი "ერთ წამში, თვალის დახამხამებაზე, უკანასკნელი საყვირისას" შეიცვლება, სიკვდილი კი სამუდამოდ დამარცხდება.

"მადლობა ღმერთს, რომელიც გვაძლევს ძლევას ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ." (1 კორ. 15:57)

პავლე მოციქულის მეორე წერილი კორინთელთა მიმართ ღრმა გრძნობიერებითა და წუხილით გამოირჩევა. პავლე ძალიან განიცდიდა იმ სიძნელეებს და სულიერ ტკივილს, რომელიც წილად ხვდა მას, როგორც მოციქულს.

> **პავლეს ეკალი სხეულში**
>
> კორინთელთა მეორე წერილში პავლე იდუმალებით გვაუწყებს "ეკალზე მის სხეულში." თუმცა ის გარკვევით საუბრობს რაღაც დაავადებაზე თუ ფიზიკურ ხინჯზე, რომელმაც ძლიერი დარტყმა მიაყენა მას. მოციქულის ამ საწუხარის შესახებ არაერთი ვარაუდია გამოთქმული. ფიქრობენ, რომ საქმე გვაქვს თვალების დაავადებასთან ან მალარიის ხშირ შეტევებთან. ცნობილია, რომ მოციქული ძალიან განიცდიდა საკუთარ უძლურებას და კორინთელებს უთხრა, რომ ღმერთს სთხოვა შეწევნა, მაგრამ ღმერთმა ასეთი პასუხი გასცა მას:
>
> "გეყოფა ჩემი მადლი, ვინაიდან უძლურებაში ხდება სრულყოფილი ჩემი ძალა." (2 კორ. 12:9)
>
> პავლემ სიხარულით მიიღო თავისი უძლურება, რადგან სწორედ ამ უძლურებაში ვლინდებოდა ღმერთის ძალა.

"ყველაფერში შევიწროებულნი ვართ, მაგრამ არა ვართ დათრგუნულნი. შეწუხებული ვართ, მაგრამ არა სასოწარკვეთილნი. დევნილნი ვართ, მაგრამ არა მიტოვებულნი; გადაგდებულნი ვართ, მაგრამ არა დაღუპულნი." (2 კორ. 4:8-9)

პავლემ მისიონერული საქმიანობის სასტიკი ჭეშმარიტება მკაფიოდ, სრულყოფილად და ამავე დროს სევდიანად აღწერა ამ სიტყვებით:

"ცემაში, საპყრობილეებში, შფოთში, უძილობაში, მარხვაში, სიწმიდეში, შემეცნებაში, სახიერებაში, სულიწმიდაში და უთვალთმაქცო სიყვარულში." (2 კორ. 6:5-6)

და შემდეგ:

"ხუთჯერ მივიღე იუდეველთაგან ორმოცზე ერთით ნაკლები დარტყმა. სამჯერ კვერთხით მცემეს, ერთხელ ჩამქოლეს და სამჯერ გემის მსხვრევა განვიცადე, ღამე და დღე შუა ზღვაში დავყავი, მრავალჯერ მოგზაურობებში, განსაცდელში მდინარეებზე, განსაცდელში ყაჩაღებისგან, განსაცდელში თანატომელთაგან, განსაცდელში წარმართთაგან, განსაცდელში ქალაქად, განსაცდელში უდაბნოდ, განსაცდელში ზღვაზე, განსაცდელში ცრუ ძმებს შორის. შრომასა და გაჭირვებაში, ხშირ სითხიზლეში, შიმშილსა და წყურვილში, ხშირ მარხულობაში, ყინვასა და სიშიშვლეში. კიდევ გარდა სხვათა, დღითი-დღე რომ მოხდება: ზრუნვა ყველა ეკლესიაზე." (2 კორ. 11:24-28)

პავლე მოციქული მუხლჩაუხრელად იღვწოდა მის მიერ დაარსებული ეკლესიების ზრდისთვის. კორინთოში, ისევე როგორც სხვა ეკლესიებში ჩასული ცრუ მასწავლებლები პავლეს ღვაწლს ანადგურებდნენ და ადგილობრივ ქრისტიანებს შთააგონებდნენ, რომ ის არ იყო ჭეშმარიტი მოციქული. რამდენად მიუღებელიც არ უნდა ყოფილიყო პავლესთვის მსგავსი საქ-

### სპორტული თამაშები

ქრისტიანული ცხოვრების აღწერისას პავლე ანტიკური ხანის ბერძნულ სპორტულ თამაშებს მაგალითის სახით წარმოგვიდგენს. საკუთარ თავს ათლეტს უდარებს, რომელიც ქრისტიანულ შეჯიბრებაში ასპარეზობს და ქრისტიანებს დაუღალავი ვარჯიშისა და გამარჯვებისაკენ მოუწოდებს.

ანტიკურ სამყაროში ცნობილი იყო ოლიმპიური თამაშები. მსგავსი თამაშები ეწყობოდა დელფოსში, არგოსში და ისთმოსის ყელზე. შეჯიბრების მონაწილეები დაუღალავად ვარჯიშობდნენ და ასპარეზობის დადგენილ წესებს მტკიცედ იცავდნენ. თამაშებში სპორტის რამდენიმე სახეობა შედიოდა: სირბილი, ეტლების სრბოლა, ბადროს ტყორცნა. გამარჯვებულს დაფნის ან ზეთისხილის ფოთლებისაგან დაწნული გვირგვინით აჯილდოვებდნენ. მწირი ჯილდოს მიუხედავად, გამარჯვებულს პატივ-დიდება არ აკლდა.



ამ ძველბერძნულ ლარნაკზე გამოსახულია ეტლოსნების შეჯიბრება. პავლე ქრისტიანებს მიზნის მისაღწევად (ქრისტეში ცხოვრება) ისეთი ბეჯითი, დაუღალავი ლტოლვისკენ მოუწოდებს, როგორსაც ეტლოსნები ამჟღავნებდნენ შეჯიბრების დროს.

ციელი, ის იძულებული იყო თავი დაეცვა და დაეჭვებული ქრისტიანები დაერწმუნებინა, რომ ის მართლაც ღმერთის გამოგზავნილი, ჭეშმარიტი მოციქული იყო და კაცობრიობის ღმერთთან შერიგების საქმეს ემსახურებოდა:

"მაშასადამე, ის ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველმა განვლო და ახლა ყოველივე ახალია." (2 კორ. 5:17)

"ღმერთმა ქრისტეში შერიგა წუთისოფელი." (2 კორ. 5:19)

პავლე კორინთოს ეკლესიის შემოწირულობაზეც წერს. მოციქული სხვადასხვა ეკლესიებიდან მიღებულ შემონაწირს იერუსალიმის ღარიბი ქრისტიანებისთვის აგროვებდა. მას ღრმად სწამდა, რომ წარმართი ქრისტიანები მოვალენი იყვნენ თავიანთ ებრაელ თანამოძმეებს დახმარებოდნენ. მოწყალების გაცემით წარმართი ქრისტიანები კიდევ ერთხელ ამტკიცებდნენ ღმერთისა და მისი სახარების მორჩილებას და თვალნათლივ ავლენდნენ, რომ ებრაელებიცა და წარმართებიც ქრისტეში ერთნი იყვნენ. პავლემ გარკვეული დრო სწორედ სხვადასხვა ეკლესიიდან შემოწირული თანხისა და საჩუქრების შეგროვებას მოახმარა. როგორც ჩანს, კორინთელებმა საქველმოქმედო მოღვაწეობა კარგად დაიწყეს, მაგრამ შემდეგ ჩამორჩნენ. პავლე ცეცხლოვანი სიტყვით მიმართავს კორინთელებს და იმ სიხარულისა და კურთხევის შესახებ აუწყებს, რომელიც ღმერთის წინაშე ხელგაშლილობას მოაქვს. პავლე ქველმოქმედებისაკენ მოუწოდებს და ახალისებს კიდეც კორინთელებს:

"ვინაიდან თქვენ იცით ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი, რომ ის, მდიდარი, თქვენი გულისთვის გაღატაკდა, რათა თქვენ გამდიდრებულიყავით მისი სიღატაკით." (2 კორ. 8:9)

ბოლოს კი აღტაცებული პავლე მადლს სწირავს ღმერთს:

"მადლობა ღმერთს მისი აურაცხელი ნიჭისათვის." (2 კორ. 9:15)

## ფილიპელთა მიმართ

**მკითხველები.** პავლე მოციქულმა ეს წერილი ფილიპელ ქრისტიანებს მისწერა. ფილიპე ძველი მაკედონიის ქალაქი იყო და თანამედროვე საბერძნეთის ჩრდილოეთში მდებარეობს. მეორე მისიონერული მოგზაურობის დროს პავლემ ეკლესია დაარსა ამ ქალაქში (საქ. 16).

**წერილის მიზანი.** პავლემ მადლობა გადუხადა ფილიპელ ქრისტიანებს შემოწირული თანხებისათვის და შეევედრა, რომ ეკლესიაში არსებული განსხვავებული აზრი შეეწყნარებინათ.

ფილიპელი ქრისტიანები პავლეს განსაკუთრებული კეთილგანწყობითა და სიყვარულით სარგებლობდნენ. იგი გულთბილად წერს ფილიპელებს: "ვმადლობ ჩემს ღმერთს თქვენს ყოველ გახსენებაზე."

პავლე მადლობას უხდის ფილიპელ ქრისტიანებს მასპინძლობისა და შემოწირული ძღვენისათვის. შემდეგ კი ეპაფროდიტეს მიერ ჩამოტანილი ფილიპელთა შემოწირული ძღვენისთვის უხდის მადლობას. ეპაფროდიტე ფილიპელი ქრისტიანი იყო და პავლეს ქმედითი დახმარება გაუწია, როდესაც ის საპყრობილეში იჯდა. ეპაფროდიტე ავად გახდა და ლამის გარდაიცვალა, მაგრამ პავლე სიხარულით აცნობებს ფილიპელ ქრისტიანებს, რომ ის უკვე გამოჯანმრთელდა და ფილიპეში გზავნის უვნებელს, თან საკუთარ წერილს ატანს.

იმ დროს პავლე საპყრობილეში იჯდა და განაჩენის გამოტანას ელოდებოდა. არ იცოდა

### ფილიპელთა მიმართ

#### წერილის საკვანძო ადგილები

პავლეს სიყვარული ფილიპელი ქრისტიანებისადმი 1

იესოს თავმდაბლობის ნიმუში – თავგანწირვა: მიბაძვის მნიშვნელობა 2

მოგება და წაგება 3

ქრისტიანული ცხოვრებისაკენ ლტოლვა 3

სიხარული უფალში 4

პავლეს მადლობა შემოწირულისათვის 4



ანტიკური ფილიპეს ნანგრევები თანამედროვე საბერძნეთის ჩრდილოეთში მდებარეობს. ქალაქს სახელი მაკედონიის მეფის ფილიპეს საპატივცემოდ ეწოდა ქ.წ. IV საუკუნეში. ორი საუკუნის მანძილზე ბერძნული კოლონია იყო, შემდეგ რომის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა. ქ.წ. I საუკუნის მიწურულს ფილიპე კოლონიად გამოცხადდა და ქალაქში რომაული ჯარის ვეტერანები დასახლდნენ. ისინი ამაყად ატარებდნენ რომაულ ტოგას და მტკიცედ იცავდნენ რომაულ კანონებს. ფილიპე მაკედონიის პროვინციის დაწინაურებული ქალაქი იყო, რადგან მნიშვნელოვან სავაჭრო მაგისტრალზე მდებარეობდა. ქალაქში იყო ცნობილი სამედიცინო სკოლა.

ფოტოზე გამოსახულია ფილიპეს რომაული და ბიზანტიური ეპოქის ნანგრევები.

სიკვდილით დასჯიდნენ თუ გაათავისუფლებდნენ. ამიტომ საკუთარი საქმეებისათვის არ ეცალა, უფრო მეტად ფილიპელ ქრისტიანებზე ფიქრობდა და მათი ერთიანობისა და თანამშრომლობისათვის ლოცულობდა. პავლეს წერილის საკვანძო თემა სიხარულია.

პავლე გულმხურვალედ საუბრობს იესო ქრისტეს შესახებ. მოციქულის ეს მშვენიერი სიტყვები შესაძლოა ერთ-ერთი ადრექრისტიანული ჰიმნის ნაწილი იყო:

"ის, თუმცა ღვთის ხატება იყო, მიტაცებად არ თვლიდა ღვთის თანასწორად ყოფნას, არამედ წარმოიცარიელა თავი და მიიღო მონის ხატება, გახდა კაცთა მსგავსი და შესახედაობით კაცს დაემსგავსა დაიმდაბლა თავი და მორჩილი გახდა თვით სიკვდილამდე, ჯვარცმით სიკვდილამდე." (ფილიპ. 2:6-8)

პავლე ფილიპელ ქრისტიანებს ერთსულოვნებისაკენ მოუწოდებს. მოციქული მოხარულია, რომ ფილიპელები "ერთი სულით და ერთსულოვნად იღვწიან სახარების რწმენისათვის." ერთმანეთზე ნაწყენ ორ ფილიპელ ქრისტიან ქალს კი შერიგება სთხოვა: "ევოდიას შევახსენებ და სვინტიქეს შევაგონებ, თანამოაზრენი იყვნენ უფალში." (ფილიპ. 4:2)

ბოლოს მოციქული პავლე სრულყოფილი და წმიდა ქრისტიანული ცხოვრებით ცხოვრებას ურჩევს ფილიპელ ქრისტიანებს:

"ჩემო ძმებო, ყოველივე, რაც ჭეშმარიტია, რაც პატიოსანია, რაც მართალია, რაც წმიდაა, რაც საყვარელია, რაც საქებარია, ყოველივე, რაც სათნო და ქებულია იმაზე იფიქრეთ. რაც ჩემგან ისწავლეთ და მიიღეთ, მოისმინეთ და დაინახეთ ჩემში, ის შეასრულეთ და მშვიდობის ღმერთი იქნება თქვენთან." (ფილიპ. 4:8-9)

## რომაელთა მიმართ

**მკითხველები.** პავლე მოციქული ამ წერილს ქალაქ რომის ქრისტიანებს უგზავნის. წერილი მოციქულის რომში ჩასვლამდეა დაწერილი. პავლეს რომაელ ქრისტიანებში ნაცნობები ჰყავდა, ამიტომ მოუთმენლად ელოდა რომში ჩასვლასა და მეგობრებთან შეხვედრას.

**წერილის მიზანი.** პავლე რომაელ ქრისტიანებს რომში ჩასვლის სურვილსა და თავისი გეგმების შესახებ აცნობებს. წერილში ვხედავთ, თუ როგორ ქადაგებდა პავლე სახარებას. იგი რომის ეკლესიას ქრისტიანულ ცხოვრებასთან დაკავშირებულ დარიგებას აძლევს.

პავლეს ამ წერილს ბევრი საერთო აქვს გალატელთა მიმართ წერილთან. მაგრამ, გალატელთა მიმართ წერილი ემოციურად, ცხელ გულზე არის დაწერილი, ხოლო რომაელთა მიმართ წერილი მშვიდი, აუღელვებელი ტონით გამოირჩევა და სახარების შესახებ პავლეს მრავალწლიანი განსჯისა და ფიქრის ნაყოფია.

### გამოუვალი მდგომარეობა და ღმერთის გადაწყვეტილება

პავლეს მტკიცედ სწამდა, რომ ყველა ადამიანი ღმერთთან ურთიერთობას იყო მოკლებული. ის გვიჩვენებს, რომ ყოველი ადამიანი – წარმართი თუ რჯულის მცოდნე ებრაელი – ღმერთის სიწმიდესთან თანაზიარობას არ იმსახურებს:

"არ არის განსხვავება, ვინაიდან ყველამ შესცოდა და მოკლებულნი არიან ღვთის დიდებას." (რომ. 3:22-23)

მიუხედავად იმისა, რომ პავლემ მდგომარეობა მუქ ფერებში აღწერა, ის ხაზგასმით აღნიშნავს მძიმე ვითარებიდან გამოსვლის გასაოცარ შესაძლებლობას:

"ხოლო ახლა, რჯულისგან დამოუკიდებლად გამოჩნდა ღვთის სიმართლე, რომელსაც მოწმობენ რჯული და წინასწარმეტყველნი. ღვთის სიმართლე კი – იესო ქრისტეს რწმენით ყველა მორწმუნისადმი." (რომ. 3:21-22)

პავლე მტკიცედ იცავდა იმ აზრს, რომ ძეხორციელს არ ძალუძს ღმერთის წინაშე საკუთარი მოწადინებით გამართლება. თავად ღმერთმა გაამართლა ადამიანი:

"ქრისტე მოკვდა ჩვენთვის, როცა ჯერ კიდევ ცოდვილნი ვიყავით. ახლა კი, როცა მისი სისხლით გავმართლდით, მით უფრო გადავურჩებით მისით რისხვას. ვინაიდან, თუ მისი ძის სიკვდილით შევურიგდით ღმერთს, როცა მტრები ვიყავით, მით უმეტეს, შერიგებულნი გადავრჩებით მისი სიცოცხლით." (რომ. 5:8-10)

პავლე ამბობდა, რომ ღმერთმა "მადლით" იხსნა და დაიახლოვა ადამიანები. მადლი ღვთის საჩუქარია, რომლის მიღება ყოველ ადამიანს შეუძლია. როდესაც ადამიანი ღვთის მადლს ჭეშმარიტი რწმენით უპასუხებს, მისი სული მშვიდობითა და სიხარულით აღივსება:

"მაშასადამე, რაკი რწმენით გავმართლდით, მშვიდობა გვაქვს ღმერთთან ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მიერ." (რომ. 5:1)

### რომაელთა მიმართ

#### წერილის საკვანძო ადგილები

ღმერთის დიდების წინაშე მთელი მსოფლიო ულირსია 1-3

რწმენით ხსნა 3-7

ღმერთის სულის შემწეობა: წუხილი და მომავალი დიდება 8

ძლევამოსილი ღმერთი და ისრაელიანები 9-11

ცხოვრების შეცვლა: ქრისტიანული ქცევა 12-15

მავანნი მოციქულის ამ სიტყვებზე დაყრდნობით აცხადებდნენ, რომ ადამიანის ქცევას მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ცოდვა ღმერთის უფრო დიდი მადლის გამოვლინების საშუალებას აძლევსო. პავლე კი ამბობს, რომ ჭეშმარიტებისათვის არაფერია დაფარული! თუკი ადამიანი მადლით გამართლდება ღვთის წინაშე, მაშინ მისი ცოდვილი წარსული უნდა დასამარდეს. ქრისტიანული ნათლობის სურათის მიხედვით პავლე ადამიანის წარსულსა და ახალ ცხოვრებას აღწერს. ისევე როგორც მოკვდა იესო, ასევე წყალში დაფვლა განასახიერებს ცოდვილი ადამიანის წარსულის სიკვდილს. ისევე როგორც იესო აღდგა მკვდრეთით, ასევე ახალი ქრისტიანი წყლიდან ამოსვლისას ახალ ცხოვრებას იწყებს, ცხოვრებას, რომელიც ღმერთისთვის არის მისაღები.

### ებრაელები

რომაელთა მიმართ წერილის 9 და 11 თავები ებრაელების მდგომარეობას შეეხება. წერილის ეს თავები იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც ადასტურებს, რომ ღმერთი, რომელიც წერილის 1-8 თავებში ყოველ ადამიანს შეპირდა გადარჩენას, ნდობას იმსახურებს, რადგანაც ისრაელისათვის მიცემული ყველა დაპირება შეასრულა. მან არ მიატოვა ებრაელები – და ქრისტესა და მისი მიმდევრების სახით ძველი აღთქმა აღასრულა.

პავლე მოციქული წარმართებს ზედმეტ თავდაჯერებულობას არ ურჩევდა, ის შეახსენებდა მათ, რომ ისინი ღმერთის ეკლესიის შემადგენელი ნაწილი გახდნენ მსგავსად ებრაელი ერის ხეზე დამყნობილი ველური ზეთისხილის ხისა. მაგრამ, თითქოს ისე ჩანდა, რომ ღმერთმა თავისი რჩეული ერი, ისრაელიანები უარყო, მაგრამ მას კვლავ ჰქონდა ებრაელების ხსნის გეგმები. პავლე აღფრთოვანებულია ღმერთის სულგრძელობითა და მოწყალებით:

“ო! ღვთის სიმდიდრეთა და სიბრძნის და შემეცნების სიღრმე! როგორი ჩაუწვდომელნი არიან მისი სამართალნი და მიუკვლეველნი მისი გზები! რადგან ვინ შეიცნო უფლის გონება? ვინ იყო მისი მრჩეველი? ან ვინ მისცა მას წინასწარ, რომ მიუზღოს? რადგან ყოველივე მისგან, მის მიერ და მის მიმართ არის. მას დიდება უკუნისამდე. ამინ.” (რომ. 11:33-36)

წერილის ბოლოს პავლე ცხოვრების იმ ახალი გზების შესახებ საუბრობს, რომლებზეც უნდა იაროს ყველა ქრისტიანმა. ამ გზის დასაწყისია საკუთარი თავის ღმერთისადმი სრული დათმობა და შეწირვა:

“ამრიგად, შეგაგონებთ, ძმებო, ღვთის მოწყალებებით, რომ შესწიროთ თქვენი თავი ცოცხალ და წმიდა, ღვთისათვის სასურველ მსხვერპლად – თქვენი გონიერული მსახურება.” (რომ. 12:1)

ღმერთისადმი მორჩილება ცხოვრების ყველა სფეროს უნდა მოიცავდეს. ეკლესიაში ყოველმა ქრისტიანმა უნდა შეასრულოს ღვთის ნება და თანამოძმეებს დაეხმაროს. პავლე ეკლესიას გვიხატავს, როგორც სხეულს, რომლის ყოველი ასო ერთ მთლიანს წარმოადგენს და სასიცოცხლო დანიშნულებას ასრულებს, რათა სხეულის ნორმალური ფუნქციონირება არ შეწყდეს.

ამის გარდა, პავლე ქრისტიანებს მოქალაქეობრივი მოვალეობის პატიოსნად შესრულებისაკენ მოუწოდებს. “ყოველი სული დაემორჩილოს უმაღლეს ხელმწიფებას.” ყველა ქრისტიანმა სახელმწიფო გადასახადები უნდა გადაიხადოს და პატივი სცეს ხელისუფლებას.

რომი, ისევე როგორც კორინთოს ქრისტიანული თემი, კულტურული სიჭრელით გამოირჩეოდა. ებრაელ ქრისტიანებს წარმართულ ტაძრებში შეწირული საქონლის ხორცის ყიდვა არ სურდათ. წარმართ ქრისტიანებს ეს პრობლემა არ აწუხებდათ. რომაელთა მიმართ წერილში პავლე სხვისი განსჯის უმართებულობაზე მიუთითებს, რადგან ყოველ ადამიანს საკუთარი თვალსაზრისის დაცვის უფლება უნდა ჰქონდეს. ის, ვინც საკუთარ თავს ძლიერად და მტკიცედ თვლის, განსხვავებული თვალსაზრისის მქონე ქრისტიანს პატივისცემითა და გაგებით უნდა მოეპყროს და არა დაცინვითა და შეურაცხყოფით. პავლე ევედრება რომაელ ქრისტიანებს, რომ იესოს მიბაძონ, რომელიც პატივმოყვარე და თავმომწონე არ იყო. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება გაერთიანება:

“რათა ერთსულოვნად, ერთი პირით ადიდოთ ღმერთი, ჩვენი იესო ქრისტეს მამა.” (რომ. 15:6)



რომის კოლიზეუმი, მშენებლობა დასრულდა ქ.შ. 70 წელს. არენაზე მოასპარეზე გლადიატორებს 45000 მაყურებელი უყურებდა.

ელექტრონული ბიბლიოთეკა

წერილის ბოლოში პავლე მოკითხვას უთვლის ყველა ნაცნობ-მეგობარს, რომელიც "მარადიულ" ქალაქ რომში ცხოვრობდა. "მოიკითხეთ მარიამი, რომელმაც ბევრი იშრომა თქვენთვის... მოიკითხეთ ქრისტეში გამოცდილი აპელესი." ჩვენს წინაშეა ეკლესიის სურათი, რომელშიც ქრისტიანი დები აქტიურ როლს თამაშობდნენ.

"რადგან თქვენი მორჩილება ყველასათვის ცნობილია. ამიტომ მოხარული ვარ თქვენს გამო, მაგრამ მინდა, რომ ბრძენნი იყოთ სიკეთისათვის და უბრალონი ბოროტისათვის. ხოლო მშვიდობის ღმერთი მალე თქვენს ფერხთით შემუსრავს სატანას. ჩვენი უფლის იესო ქრისტეს მადლი თქვენთანაა. ამინ." (რომ. 16:19-20)

## კოლასელთა მიმართ

### წერილის საკვანძო ადგილები

იესოს ძლევამოსილება და პირველობა 1

თავისუფლება ქრისტეში 2

ძველი და ახალი ცხოვრება 3

სრულქმნილი ურთიერთობები 3-4

## კოლასელთა მიმართ

**მკითხველები.** კოლასე მდებარეობდა მდინარე ლიკოსის ნაყოფიერ ველზე, ლაოდიკიის მახლობლად, მცირე აზიის დასავლეთ ნაწილში.



კოლასელი ქრისტიანები, რომლებმაც პავლეს წერილი მიიღეს მცირე აზიაში ლიკოსის ველზე ცხოვრობდნენ (თანამედროვე თურქეთი).

პავლე არასდროს ყოფილა კოლასეში, მაგრამ ეს ქალაქი ეფესოს მახლობლად მდებარეობდა, სადაც პავლემ სამი წელი იცხოვრა.

**წერილის მიზანი.** კოლასელთა მიმართ წერილში პავლე იმ მცდარი შეხედულებების აღმოფხვრას ცდილობდა, რომელიც იესოს შესახებ აღმოცენდა ამ ქალაქის ეკლესიაში. მათ არ სწამდათ, რომ იესო ღმერთის ერთადერთი ძე იყო და მიიჩნევდნენ, რომ იესო ღმერთის ერთ-ერთი გამოვლინება იყო. ამგვარად, კოლასელთა აზრით, გადარჩენისათვის აგრეთვე აუცილებელი იყო სხვა ბუნებრივი, ძლევამოსილი არსებების თაყვანისცემა. პავლეს ამოცანაში შედიოდა კოლასელთა იმ თვალსაზრისის შეცვლა, რომლის მიხედვით ისინი ამტკიცებდნენ, რომ გადარჩენისათვის წინადაცვეთა და რჯულის მტკიცედ დაცვა იყო საჭირო.

იესო – როგორც ღმერთის ერთადერთი და ჭეშმარიტი ძე – ამ წერილის გულია. პავლე მკაფიოდ განმარტავს და ამტკიცებს, რომ იესო განსაკუთრებული პიროვნებაა. სწორედ მან შეჰქმნა სამყარო და საკუთარი სიკვდილით დააბრუნა ეს ქმნილება ღმერთთან, ადამიანი კი ღმერთის მეგობრად გამოაცხადა:

"ვინც არის უხილავი ღვთის ხატება, პირმშო ყოველი ქმნილებისა, ვინაიდან მისით შეიქმნა ყოველი, რაც ცაში და დედამიწაზეა, ხილული და უხილავი... ის არის დასაბამი... რადგან მასში მოიწონა მთელი სისავსის დამკვიდრება, რათა მისი მეშვეობით შემოერიგებინა ყოველი, დაეშვიდებინა მისი ჯვრის სისხ-

### გნოსტიციზმი

გნოსტიციზმის წარმოქმნის ზუსტი დრო უცნობია, მაგრამ ქ.შ. II-III საუკუნეებში ეს ფილოსოფიურ-რელიგიური მიმდინარეობა უკვე ფართოდ იყო გავრცელებული. გნოსტიციზმი ასტროლოგიისა და მეცნიერების ნაზავს წარმოადგენდა. ტერმინი მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან "გნოსის" და აღნიშნავდა მისტიკურ ცოდნას, რომლის საშუალებით სხვა სამყაროს საიდუმლოებების გამოკვლევას ცდილობდნენ.

გნოსტიკოსებს ორი სამყაროს არსებობისა სწამდათ. პირველი იყო სულიერი სამყარო, ღმერთის სასუფეველი. მეორე კი მატერიალური, სადაც ბოროტება ბატონობდა. გნოსტიკოსების დეისტური მსოფლმხედველობის მიხედვით, ღმერთი არ ერევა მატერიალური სამყაროს საქმეებში, ამიტომ ადამიანმა თავად უნდა მიაღწიოს სულიერ სამყაროს. ზოგიერთ ადამიანს მიცემული აქვს ღვთაებრივი საწყისის ნაპერწკალი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაუმატოს საიდუმლო ცოდნა, რათა კვლავ შეუერთდეს ღმერთს. ღვთაებრივი ნაპერწკლისა და საიდუმლო ცოდნის გარეშე ადამიანი კვლავ მოევლინება მატერიალურ სამყაროს.

გნოსტიციზმი ორ ძირითად მიმდინარეობად იყოფოდა. ზოგიერთი გნოსტიკოსი ასკეტურ ცხოვრებას ემხრობოდა და მიწიერ სიამოვნებებზე უარს აცხადებდა. მეორე ნაწილს კი სწამდა, რომ ხსნა ადამიანის ქცევებზე არ იყო დამოკიდებული და მიწიერ სიამოვნებებზე უარს არ ამბობდა. გნოსტიკოსების ორივე თვალსაზრისი ეწინააღმდეგება ქრისტიანულ რწმენას. ასკეტიზმი უარყოფდა ქრისტიანულ დებულებას, რომ ყოველგვარი სიკეთე და მიწიერი დოვლათი ღმერთმა ადამიანისთვის შექმნა. მეორე მხრივ, თვითკმაყოფილებისა და სიამოვნებებისაკენ სწრაფვა ეწინააღმდეგებოდა ქრისტიანული რწმენის უმთავრეს პრინციპებს, რომლის მიხედვით ადამიანმა უნდა დაიცვას ზნეობრივი კანონები და ღმერთისთვის მიუღებელი ქცევები უარყოს.

კორინთელთა და კოლასელთა წერილები, იოანეს პირველი წერილი და იოანეს გამოცხადება გვაძლევს უფლებას ვივარაუდოთ, რომ გნოსტიკურ ერესებს ქრისტიანულ ეკლესიაზე დიდი გავლენა ჰქონდა.

ლით მიწაზე თუ ცაში... ახლა შეგირიგათ მისი ხორცის სხეულში, მისი სიკვდილის მეოხებით, რათა წარგადგინოთ თქვენ თავის წინაშე წმიდები, უბიწონი და უბრალონი." (კოლ.1:15-22)

პავლე აფრთხილებს კოლასელ ქრისტიანებს, რომ ადამიანის მიერ შექმნილი რჯულის ტყვეობაში მოხვედრა არ უნდა დაუშვან. ქრისტიანებს მხოლოდ იესო ქრისტეში წინადაცვეთა სჭირდებათ, რომელიც ადამიანის ცოდვილი ბუნებისაგან გათავისუფლებას ნიშნავს.

იესო ქრისტემ ქრისტიანები სხვადასხვა აუტანელი აკრძალვებისაგან ("ნუ მიეკარები, ნუ იგემებ, ნუ შეეხები") გაათავისუფლა. ახლა მათი ცხოვრება ქრისტეს წინაშე მიმდინარეობს. ახლა კი უნდა მოიცილონ, როგორც ბინძური ტანსაცმელი, ცხოვრების ძველი წესი – სიძვა, უწმიდურება, ვნება, ანგარება და კერპთმსახურება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიმოსებიან მოწყალებით, სახიერებით, თავმდაბლობით, სიმშვიდით, სიყვარულითა და სულგრძელობით.

პავლე მოციქულმა კოლასელებს ადამიანებს შორის არსებული ურთიერთობების შესახებ ახსნა-განმარტება მისცა და ასწავლა, თუ როგორ უნდა ეპყრობოდნენ ერთმანეთს ცოლქმარი, შვილი და მშობელი, ბატონი და მონა.

პავლეს წერილის ერთ-ერთი მაცნე იყო ონისიმე, რომელიც კოლასეს ეკლესიის წევრის ფილიმონის გაქცეული მონა იყო და პავლეს სიყვარულით სარგებლობდა (იხილეთ ქვემოთ).

## ფილომონის მიმართ

ამ წერილის მიმღებია ერთი ქრისტიანი კაცი, პავლე მოციქულის მეგობარი, ფილიმონი. ფილიმონი მდიდარი ქრისტიანი იყო (ეკლესია მის სახლში იკრიბებოდა და უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სახლი დიდი იყო) და მონებიც ჰყავდა. ფილომონის ერთ-ერთი მონა იყო ონისიმე, რომელიც პატრონს გაექცა და ვიღაცამ პავლეს გააცნო, რომელიც რწმენისა და ქადაგების გამო იმ დროს დაპატიმრებული იყო. მოციქულთან შეხვედრის შემდეგ ონისიმე ქრისტეს რწმენას ეზიარა.

პავლემ კარგად იცოდა, რომ მოქალაქეობრივი და ქრისტიანული მოვალეობა ონისიმეს პატრონისთვის დაბრუნებას მოითხოვდა. გაქცეული მონისთვის თავშესაფრის მიცემა სერიოზულ დანაშაულად ითვლებოდა. მაგრამ პავლემ საუკეთესო გზა გამონახა და ონისიმეს ფილიმონთან სწორედ ეს პირადული წერილი გაატანა. წერილში პავლე თავის მეგობარს არწმუნებდა, რომ ონისიმე მისი სულიერი შვილი იყო – "რომელიც ვშვი ჩემს ბორკილებში."

ბერძნული სახელი ონისიმე "გამოსადეგს" ნიშნავს; პავლე მოციქული ფილიმონს სწერდა, რომ ონისიმე "გამოსადეგი" იყო მისთვის საპყრობილეში და მასთან განშორება ძალიან უჭირდა. "ახლა გიბრუნებ," – წერს პავლე, – "ხოლო შენ მიიღე იგი, როგორც ჩემი გული."

პავლე შუამდგომლობდა ფილიმონთან და სთხოვდა, რომ ონისიმე მიეღო არა როგორც უღირსი მონა, არამედ, როგორც ქრისტესმიერი ძმა. ამას გარდა, პავლემ პირობა მისცა ფილიმონს, რომ დაკარგულ თანხას აუნაზღაურებდა. შესაძლოა, გაქცევისას ონისიმემ პატრონს ფულიც მოჰპარა.

ახალი აღთქმა არ ილაშქრებს მონათმფლობელობის წინააღმდეგ, ანუ იმ საზოგადოებრივი წეს-წყობილების წინააღმდეგ, რომელშიც ჩაისახა იმ ეპოქის ცივილიზაცია. მაგრამ ამ წერილში გამოკრთის მომავალი ქრისტიანობის თვალსაზრისი, რომელიც მონათმფლობელობის გაუქმებას უჭერდა მხარს.

ჩვენ არ ვიცით ონისიმეს ამბის დასასრული. შესაძლოა, ფილიმონმა შეიწყალა, გაათავისუფლა და ისევ პავლესთან დააბრუნა იგი. იმის გამო, რომ წერილს საგულდაგულოდ ინახავდნენ და ავრცელებდნენ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ონისიმეს თავგადასავალს ბედნიერი დასასრული ჰქონდა. ეგნატე, ადრეული ეკლესიის ცნობილი ქრისტიანი მოღვაწე, ახსენებს ვინმე ონისიმეს, რომელიც ეფესოს ეკლესიის წინამძღვარი იყო. იქნებ სწორედ ის იყო გაქცეული მონა ონისიმე?

პავლეს წერილი იმედიანი განწყობილებით მთავრდება. მოციქული მომავალი სტუმრობისათვის ფილიმონს ბინის მომზადებას სთხოვდა. მტკიცედ სწამდა, რომ მალე გათავისუფლდებოდა პატიმრობიდან და თავის ძველ მეგობარს კიდევ ერთხელ მოინახულებდა.

## ეფესელთა მიმართ

**მკითხველები.** ეს წერილი, როგორც ჩანს, ერთ რომელიმე ან სხვადასხვა ეკლესიაში გასავრცელებლად იყო გამიზნული, რადგან ეფესელთა მიმართ წერილში პიროვნულად არავინ არის მოხსენიებული და არც წერილის ყველა ძველი ხელნაწერის სათაური მოწმობს იმაზე, რომ ის მართლაც ეფესელი ქრისტიანებისთვის იყო განკუთვნილი.

**წერილის მიზანი.** ეფესელთა მიმართ წერილი ღვთაებრივ საიდუმლოებებს ეხება – იმ დიად საიდუმლოს, თუ რა გეგმა აქვს ღმერთს იესოსთან, მის რჩეულ ერსა და სამყაროსთან მიმართებაში. ღმერთს თავისი ხალხისთვის ისეთი საკვირველი გეგმები აქვს ჩაფიქრებული, რომ მათ მართლაც ჯეროვანი ცხოვრებით ცხოვრება მართებთ.

პავლე აღფრთოვანებულია, რადგან ეფესელი ქრისტიანებისთვის ღმერთის ზოგიერთი საიდუმლოს განდობის საშუალება მიეცა, იმ საიდუმლოებებისა, რომლებიც საუკუნეთა გან-

ანტიკურ სამყაროში გაქცეულ მონებს სასტიკად სჯიდნენ. მოციქული პავლე ფილიმონის მიმართ წერილში გაქცეული მონის, ონისიმეს, შეწყალებისთვის შუამდგომლობდა. ფოტოზე გამოსახულია მონის რომაული ყელსაბამი, ლათინური წარწერით: "შემიპყარი გაქცევის მცდელობისას და პატრონთან დამაბრუნე."




### ეფესელთა მიმართ

**წერილის საკვანძო ადგილები**

ღმერთის საიდუმლო: პავლე განმარტავს ღვთის გეგმას 1,2

ებრაელი და წარმართი – ერთობა ქრისტეში 2,3

ეკლესია – სხეული, ქრისტე – თავი 4

სასურველი ურთიერთობები ოჯახსა და საქმიანობაში 5-6

სულიერი საჭურველი, რომელსაც ღმერთი გვაძლევს 6

## 1 ტიმოთეს მიმართ

### წერილის საკვანძო ადგილები

გაფრთხილება ცრუმოძღვრების წინააღმდეგ 1,4

ლოცვა და თაყვანისცემა ეკლესიაში 2

ეპისკოპოსებისა და დიაკვნების არჩევის წესი 3

პასუხისმგებლობა ეკლესიაში — ქვრივებისა და ხუცესებისადმი მოპყრობის შესახებ 5

სიმდიდრის საცდური 6

## 2 ტიმოთეს მიმართ

### წერილის საკვანძო ადგილები

ტიმოთეს პორტრეტი — წახალისება და რჩევა-დარიგება 1,2

უკანასკნელი დღეების "საზარელი ჟამი" 3

პავლეს დავალება ტიმოთესადმი და პავლეს მდგომარეობა 3,4



ეფესელთა წერილში პავლე მოციქული რომაელი ჯარისკაცის საბრძოლო ალკაზმულობას იშველიებს და ქრისტიანის "საჭურველს" თვალნათლივ აღწერს: რწმენა ფარია, ხსნა — ჩაჩქანი, ჭეშმარიტება — სარტყელი, სიმართლე — ჯავშანი და ღვთის სიტყვა — მახვილი.

მავლობაში დაფარული იყო და მხოლოდ იესო ქრისტეს მოსვლისა და მისი ეკლესიის დაარსების შემდეგ გაეხსნა კაცობრიობას.

ღმერთის გეგმები იესო ქრისტეზეა დაფუძნებული და მთელი სამყაროც მასზე არის დამოკიდებული. "დროთა სისავსის განგებულებისათვის, რათა ქრისტეში მოიყაროს თავი ყოველივემ, რაც ცაშია და რაც დედამიწაზეა."

პავლეს წერილის მკითხველებს აღფრთოვანებისაგან სხეულში ჟრუანტელი დაუვლიდათ, როდესაც წაიკითხავდნენ, რომ ისინი ღმერთის კოსმიური გეგმის მონაწილენი არიან:

> "როგორც ამოგვარჩია ჩვენ მასში სოფლის შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით." (ეფეს. 1:4)

პავლე ღვთის სხვა საიდუმლოსაც უზიარებს მკითხველებს. ღმერთმა ებრაელებთან ერთად წარმართებიც მიიღო თავის ოჯახში. იესო არა მხოლოდ კაცობრიობის ღმერთთან შერიგების მიზნით მოკვდა ჯვარზე, არამედ იმიტომ, რომ დაენგრია ებრაელებისა და წარმართების გამმიჯნავი ზღუდე, "ორისაგან თავის თავში შექმნა ერთი ახალი კაცი — მშვიდობისმყოფელი."

პავლეს სიხარულსა და ბედნიერებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ის ღმერთის უსაზღვრო მოწყალებასა და სიყვარულზე ფიქრობდა. მოციქულის სიხარული და ბედნიერება ეფესელი ქრისტიანებისთვის ლოცვაში გამოსჭვივის, როდესაც ის გამჩენს ევედრება, რომ ეფესელებმა უკეთ შეიცნონ ღმერთის დიდება და სახარება, მისი უშრეტი სიყვარულის სიღრმე, სიგანე და სიმაღლე.

შემდეგ პავლე, როგორც წესად ჰქონდა, ქრისტიანული თეორიის სწავლებიდან ყოველდღიური ქრისტიანული ცხოვრების პრაქტიკულ საკითხებზე გადადის. მან უკვე აღწერა ის ერთიანობა, რომელიც ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ დამკვიდრდა მის მიმდევრებში, ახლა კი ეს ერთიანობა საქმეში უნდა გამოჩენილიყო. მისი უპირველესი სურვილი ის იყო, რომ ეკლესია, როგორც მრავალი ასოსაგან შემდგარი სხეული, რომლის თავიც თავად ქრისტე იყო, სიყვარულში გადაზრდილიყო. ეკლესიის ყოველ წევრს ღმერთისგან მომადლებული ნიჭი ეკლესიის აღმშენებლობისათვის უნდა გამოეყენებინა:

> "სხეულის თითოეული ასოს ზომიერად მოქმედებით იზრდება თავისი თავის სიყვარულში აღსაშენებლად." (ეფეს. 4:16)

პავლე ოჯახური და საეკლესიო ურთიერთობების მოწესრიგების გზებს უსახავდა ეფესელებს და ისევე როგორც კოლასელებს, საჭირო რჩევა-დარიგებებს აძლევდა ცოლ-ქმარს, შვილებსა და მშობლებს, მონებსა და მათ პატრონებს.

"დასასრულ," — მოუწოდებს პავლე მკითხველებს, — "გამაგრდით უფლით და მისი ძალის სიმტკიცით."

"გამაგრებისათვის" კი უპირველესად აღჭურვა არის საჭირო. სულიერი საჭურვლის საილუსტრაციოდ პავლე რომაელი ჯარისკაცის საბრძოლო აღკაზმულობას გვთავაზობს. ქრისტიანებს საჭურველი ადამიანის თავდასხმის მოსაგერიებლად კი არ სჭირდებათ, არამედ "მთავრობათა წინააღმდეგ, ხელმწიფებათა წინააღმდეგ, ამ წუთისოფლის სიბნელის მპყრობელთა წინააღმდეგ, ცისქვეშეთის ბოროტების სულთა წინააღმდეგ."

ყოველი ქრისტიანისთვის რწმენა ფარია, ხსნა — ჩაჩქანი, ჭეშმარიტება — სარტყელი, სიმართლე — ჯავშანი და ღვთის სიტყვა კი მახვილი.

> "ამიტომ ხელი მოჰკიდეთ ღვთის სრულ საჭურველს, რათა შეძლოთ წინააღდგომა ბოროტ დღეს. და ყოვლის მძლეველებმა გაძლოთ." (ეფეს. 6:13)

## სამწყსო ეპისტოლეები: 1 და 2 ტიმოთე, ტიტე

**მკითხველები.** პავლე მოციქულის 1 და 2 წერილი ტიმოთეს მიმართ განკუთვნილია ახალგაზრდა კაცისათვის, ტიმოთესათვის, რომელიც პავლეს ერთ-ერთ მოგზაურობაში თან ახლდა და შემდეგ ეფესოს ეკლესიის წინამძღოლი გახდა. ტიტეს მიმართ წერილი კი განკუთვნილია პავლეს ძველი თანამშრომლის ტიტესათვის, რომელიც იმ დროს კრეტელი ქრისტიანების წინამძღოლი იყო.

არსებობდა ეჭვი, რომ პავლე ამ სამი წერილის ავტორი არ იყო. ამის მიზეზად იმას ასახელებდნენ, რომ ეს წერილები პავლეს ადრეული წერილებისგან სტილითა და თემატური შინაარსით გამოირჩეოდნენ. თუმცა ამ თვალსაზრისს ყველა როდი იზიარებდა, ბევრი პავლეს ავტორობის ჭეშმარიტებაში იყო დარწმუნებული. თუკი ეს ასეა, ეს სამი წერილი პავლეს უკანასკნელ წერილებად უნდა ჩაითვალოს.

**წერილის მიზანი.** 1 და 2 წერილებს ტიმოთეს მიმართ და ტიტეს მიმართ წერილს სამწყსო ეპისტოლეებს უწოდებენ, რადგან მათში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ეკლესიის, როგორც ღმერთის "სამწყსოს," საჭიროებებს. პავლე არიგებს ორ ახალგაზრდა ქრისტიანს, ტიმოთესა და ტიტეს, თუ როგორ უნდა უპატრონონ, იზრუნონ ანუ მწყემსონ ეფესოსა და კრეტის ეკლესიები.

პავლეს მეტად თბილი, მამაშვილური ურთიერთობა ჰქონდა ტიმოთესთან. პავლემ ნდობა გამოუცხადა და ეფესოს ეკლესიაზე პასუხისმგებლობა ჩააბარა მას. მოციქული ამხნევებს ტიმოთეს — როგორც ჩანს, ის მორცხვი და

ეროვნული ბიბლიოთეკა


ზედმეტად გულუბრყვილო კაცი იყო – და მოუწოდებს, რომ ახალგაზრდობის გამო თავი არავის "დააჩაგვრინოს." პავლე დახმარების ხელს უწვდის ეფესოს ეკლესიაში შექმნილი სირთულეების აღმოსაფხვრელად.

მას შემდეგ, რაც ეფესოში მოღვაწე ცრუმასწავლებლების შესახებ ესაუბრა, პავლემ ეკლესიაში ლოცვის შესახებ და ეკლესიის ხელმძღვანელის არჩევის წესის შესახებ დაარიგა ტიმოთე:

"ხოლო ეპისკოპოსი უნდა იყოს უმწიკვლო, ერთი ცოლის ქმარი, ზომიერი, აზრიანი, წესიერი, სტუმართმოყვარე, დამმოძღვრავი, არა ლოთი, არა მოჩხუბარი, არამედ შემწყნარე, უშარო, და ვერცხლის უყვარული, თავისი სახლის კარგი განმგებელი, რომელსაც შვილები მორჩილებაში ჰყავს ყოველგვარი ღირსებით... ნურც ახალმოქცეული იქნება, რათა არ გაკადნიერდეს და ეშმაკის სამსჯავროში არ აღმოჩნდეს. ასევე კარგი მოწმობა უნდა ჰქონდეს გარეშეებისაგან, რათა სირცხვილსა და ეშმაკის მახეში არ გაებას."

(1 ტიმ. 3:2-7)

ეკლესიის შიგნით არსებულ ურთიერთობებს პავლე ოჯახურ ურთიერთობებს ადარებს:

"ნუ შერისხავ ბერიკაცს, არამედ შეაგონე, როგორც მამას, ყმაწვილკაცებს კი – როგორც ძმებს, დედაბერებს – როგორც დედებს, ყმაწვილქალებს – როგორც დებს, მთელი სიწმიდით." (1 ტიმ. 5:1-2)

პავლე ტიმოთეს მიმართ დიდ ქრისტესმიერ სიყვარულსა და მზრუნველობას ამჟღავნებდა და ენდობოდა მას. პირველი წერილის ბოლოს პავლე ამ სიტყვებით მიმართავს მას: "ო, ტიმოთე, გაუფრთხილდი მობარებულს, განერიდე ამქვეყნიურ ლაყბობას და ეგრეთწოდებული მოძღვრების უკუღმართ დებულებებს."

მეორე წერილი ტიმოთეს მიმართ პიროვნული ხასიათისაა. პავლე ამ წერილში ტიმოთესა და საკუთარი მდგომარეობის შესახებ საუბრობს.

საპყრობილეში, სადაც სასიკვდილო განაჩენს ელოდებოდა, პავლე ღრმა განცდებით ფიქრობდა ტიმოთეზე და მასთან შეხვედრას მოუთმენლად მოელოდა. პავლეს სურდა, შეძლებისდაგვარად, სულიერად განემტკიცებინა და გაემხნევებინა ტიმოთე. მოციქული ქრისტიანული ცხოვრების სამ სურათს ხატავს: მეომარს, ათლეტსა და მიწისმუშაკს.

"იტანჯე ჩემთან ერთად, როგორც იესო ქრისტეს კეთილმა მეომარმა." (2 ტიმ. 2:3)

როგორც მამაცმა და კეთილმა მეომარმა, ტიმოთემ მხედართმთავრის გულისმოგება უნდა დაისახოს მიზნად და არა "ცხოვრებისეული"



მიწისმუშაკი მოსავლის მოლოდინში ხნავს და თესავს. პავლე მოციქული ამხნევებს ტიმოთეს და იმ ნაყოფის მიღებას ჰპირდება, რომელიც იესო ქრისტეს ერთგული სამსახურისთვის დაიმსახურა.

საქმეების აღსრულება. როგორც ათლეტმა, შეჯიბრის წესები უნდა დაიცვას გამარჯვებულის გვირგვინის მოსაპოვებლად, ტიმოთემ, როგორც მიწისმუშაკმა, თავისი დაუღალავი შრომის ნაყოფი პირველმა უნდა იგემოს.

წერილის ბოლოში პავლე მოახლოებული სიკვდილის შესახებ საუბრობს:

"კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე. ახლა კი მომელის მე სიმართლის გვირგვინი, რომელსაც მომცემს იმ დღეს უფალი, მართალი მსაჯული, და არა მარტო მე, არამედ ყველას, ვინც სიყვარულით ელის მის გამოჩენას." (2 ტიმ. 4:7-8)

პავლე ტიმოთეს ჩასვლას ელოდებოდა და სთხოვდა თან წამოეღო მოსასხამი, ეტრატები და წიგნები, რომლებიც მოციქულმა ტროადაში დატოვა. საპყრობილეში პავლეს სითბო და საინტერესო საკითხავი სჭირდებოდა!

პავლეს წერილიდან ჩანს, რომ ტიტეს კრეტის ეკლესიებში მძიმე ამოცანების გადაწყვეტა უწევდა. პავლე ერთი კრეტელი პოეტის სიტყვებით ახასიათებს ადგილობრივ მოსახლეობას: "კრეტელნი მუდამ ცრუნი არიან, ბოროტი მხეცები, უქნარა სტომაქები."

პავლე ეკლესიების ხუცესების არჩევისათვის საჭირო ისეთივე რჩევა-დარიგებას უგზავნიდა ტიტეს, როგორიც ტიმოთეს გაუგზავნა. მან ცრუმოძღვრებებისა და ყბედების მოძალების წინააღმდეგ გააფრთხილა ახალგაზრდა ქრისტიანი. მოციქულმა დასაშვები ქცევებისა და მოვალეობების შესახებაც შეაგონა ტიტე და აუხსნა თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ეკლესიაში და თემში მოხუცები და ჭაბუკები, ქალები და კაცები. პავლე კეთილგონივრული ცხოვრების მნიშვნელობას ხაზგასმით აღნიშნავდა:

"ვინაიდან გამოჩნდა ღვთის მადლი, ყველა ადამიანის მხსნელი, ჩვენს დასამოძღვრად, რათა უარვყოთ ულვთოება და ამქვეყნიური გულისთქმანი, და ვიცხოვროთ ამ წუთისოფელში აზრიანად, სიმართლით და ღვთისმოსაობით. მოველოდეთ ნეტარ სასოებას და ჩვენი დიდი ღვთისა და ჩვენი მაცხოვრის ქრისტე იესოს დიდების გამოჩენას." (ტიტ. 2:11-13)

## ტიტეს მიმართ

### წერილის საკვანძო ადგილები

ეკლესიის ხუცესების არჩევა 1

მისაღები და მიუღებელი ქცევები 2

ქრისტიანული ცხოვრება 3

# საწერი მასალა და ხელსაწყოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძველეს დროში შუამდინარეთში და მის მეზობელ ქვეყნებში თიხის სველ ფირფიტებზე წერდნენ, რომლებსაც შემდეგ მზეზე აშრობდნენ ან ქურაში გამოწვავდნენ სიმტკიცის მისანიჭებლად. მოგვიანებით ბერძნები თიხის ჭურჭლის ნატეხებზეც წერდნენ. ეგვიპტელებმა პირველებმა აღმოაჩინეს და საწერ მასალად აქციეს ჭილის (პაპირუსის) ლერწამი. ჭილის ლერწმის გულს წნეხავდნენ, შემდეგ დაწნეხილი ჭილის მეორე ფენას გარდიგარდმო ადებდნენ ზემოდან. ამ ორ ფენას გარკვეულ დროს წყალში და წებოში ალაგებდნენ. როცა საკმარისად გაიჟღინთებოდა, ერთ ფურცლად წნეხავდნენ. საბოლოოდ ფურცლის ზედაპირს პემზის ქვით აპრიალებდნენ.

სიტყვა ბიბლია მომდინარეობს ფინიკიური ქალაქის ბიბლოსის სახელწოდებიდან. ეს ქალაქი ჭილის ვაჭრობით იყო განთქმული. ამ ქალაქის სახელწოდება დაედო საფუძვლად წიგნის წინამორბედს – ხელნაწერ გრაგნილებს.

მაგრამ ჭილს ნაკლიც ჰქონდა. მისი წარმოება ძნელი იყო, მასზე წერაც არ იყო ადვილი საქმე და ამასთანავე სიმტკიცით არ გამოირჩეოდა. ამიტომ, ძველად ცხოველის ტყავსაც იყენებდნენ საწერ მასალად. ხბოს, ანტილოპის, ცხვრისა და თხის ტყავი ზედმიწევნით იწმინდებოდა ბეწვისაგან და მუშავდებოდა, შემდეგ ტყავს ჭიმავდნენ და საწერად ვარგისი ეტრატის ქაღალდი მზად იყო. ჭილის ან პერგამენტის ნაჭრებს გრაგნილებად ახვევდნენ. ყველაზე მეტად გავრცელებული იყო 6 მეტრი სიგრძისა და 25 სანტიმეტრი სიგანის გრაგნილები, რომლებსაც ორივე ბოლოდან ახვევდნენ.

ეტრატის სიძვირის გამო ძველ გრაგნილს ხელმეორედ იყენებდნენ, საგულდაგულოდ გაფხეკის შემდეგ. ხელნაწერებს, რომლებიც ამ სახით, ორ ფენად არიან შესრულებულნი პალიმფსესტებს უწოდებენ. ულტრაიისფერი ფოტოგრაფიის მეშვეობით დღეს უკვე შესაძლებელია პირველი ფენის ამოკითხვა, რომელიც ხშირად მნიშვნელოვან ინფორმაციას შეიცავს.

ქ.შ. I საუკუნეში ფურცლების წიგნად აკინძვის ხერხს მიაგნეს, რომელიც ფურცლის ორივე გვერდზე წერის საშუალებას იძლეოდა. ასეთი ფორმის ხელნაწერები კოდექსის სახელით არის ცნობილი.

მელანს უძველეს დროში იცნობდნენ. მას ჭვარტლის, მურის ან ზოგიერთი ხის ფისისაგან ამზადებდნენ. წერის წინ ამ მასას წყალში ხსნიდნენ. ეგვიპტელები საწერ ხელსაწყოდ ირიბად ჩათლილ ლერწმის ღეროს იყენებდნენ, რომლის წვერსაც ფუნჯის ფორმას აძლევდნენ. ებრაელები თავდაპირველად ამავე სახის საწერ ხელსაწყოს ხმარობდნენ, მაგრამ მოგვიანებით მწერლები წვერწამახულ ლერწმის ღეროებს იყენებდნენ.



აშურელი და ბაბილონელი მწერლები განსაზღვრული ფორმის თიხის ფირფიტებს იყენებდნენ. ფოტოსურათზე გამოსახული მიწის გაყიდვის ბაბილონური ხელშეკრულება შესრულებულია ლურსმული დამწერლობით.



ძველი ეგვიპტელების დამწერლობა ხატოვანი იყო და მას დღეს იეროგლიფური ეწოდება. ეგვიპტელები ხატოვან სიმბოლოებს გამოსახავდნენ შენობა-ნაგებობების კედლებზე (იხილეთ ფოტო) ან ჭილის ფურცლებზე.

საწერი მასალა, რომელზეც დაიწერა ახალი აღთქმის წიგნები დამზადებული იყო ჭილისაგან. ჭილის ლერწამი დღესაც იზრდება ისრაელში, ხულას ველზე.





პავლე და მისი თანამშრომლები, შესაძლოა, ამ ფოტოსურათზე გამოსახული რომაული საკალმის მსგავსს იყენებდნენ. ამ საკალმეში ელაგა ხის ან ლერწმის წამახული კალმები და სამელნე, რომელშიც შავი მელანი ინახებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


12

# საყოველთაო წერილები

## ებრაელთა წერილიდან იუდას წერილამდე

პავლე პირველი საუკუნის ერთადერთი ქრისტიანი მოღვაწე როდი იყო, რომელიც ქრისტიანებს წერილებით მიმართავდა. ახალ აღთქმაში კიდევ რვა სხვა წერილია; ზოგიერთი მათგანის ავტორები იესოს მოციქულები იყვნენ.

### ებრაელთა მიმართ

**ავტორი.** ებრაელთა წერილი ზედმიწევნით დახვეწილ ბერძნულ ენაზეა დაწერილი, მაგრამ მისი ავტორის ვინაობა უცნობია. გამოთქმულ მოსაზრებებში ფიგურირებდნენ პრისკილა და აკვილა (პავლეს მეგობარი მეკარვეები), ბარნაბა (პავლეს განუყრელი თანამგზავრი სამახარებლო მოგზაურობებში) და ლუკა – სახარებისა და მოციქულთა საქმეების ავტორი. ახალი აღთქმის ზოგიერთ გამოცემაში ებრაელთა წერილი პავლე მოციქულს მიეწერება, თუმცა ეს ვარაუდი სიმართლეს არ შეესაბამება.

**მკითხველები.** წერილი, როგორც ჩანს, იმ ებრაელი ქრისტიანებისთვის იყო გამიზნული, რომლებიც ძველ, ებრაულ სარწმუნოებაში აპირებდნენ დაბრუნებას.

**წერილის მიზანი.** წერილის მიზანი იყო მკითხველისთვის დაემტკიცებინა, რომ იესო და მისი ნამოქმედარი ბევრად უფრო მაღლა დგას, ვიდრე წარსულის ამბები და მოვლენები. ავტორის თქმით, ძველი აღთქმის სარწმუნოება გარეგნული, ზედაპირული ცერემონიებით გამოირჩეოდა, მაგრამ ღმერთისაკენ მიმავალი იესოს გზა ბევრად უფრო უკეთესია. იესო გარდასულ დროთა წინასწარმეტყველებზე აღმატებული წინასწარმეტყველია. მან ბევრად უკეთესი აღთქმა მოგვცა, ვიდრე მოსემ. იესო უფრო აღმატებული მღვდელმთავარია, ვიდრე აარონი მისი შთამომავლები თუ მემკვიდრეები. იესომ ყველაზე დიდი და ძვირფასი მსხვერპლი შესწირა – საკუთარი სიცოცხლე და ეს მსხვერპლი ძველი აღთქმის ცხოველების მსხვერპლშეწირვაზე განუზომლად დიდია.

ძველი აღთქმისაკენ დაბრუნება ხავსზე ჩაბღაუჭების ტოლფასია. უკეთესია იესოს მიერ შემოთავაზებულ მყარსა და შეუვალ ჭეშმარიტებას ვერწმუნოთ. ძველი აღთქმის ტრადიციის ქრისტიანული სარწმუნოების გვერდით თანასწორუფლებიანად დამკვიდრების მცდელობა იესოს დიდი ღვაწლის გაუფასურებისა და უარყოფის ტოლფასია.

### ქრისტეს სიდიადე

„ღმერთი, ძველთაგან მრავალჯერ და მრავალი სახით ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველებში, ამ უკანასკნელ დღეებში გველაპარაკა ძით, რომელიც დააყენა ყოვლის მემკვიდრედ, ვისი მეშვეობითაც შექმნა საუკუნენი." (ებრ. 1:1,2)

ებრაელთა წერილის ეს შთამბეჭდავი სიტყვები ყოვლისმომცველია. იესო, რომელიც ყველაზე და ყველაფერზე, მიწიერსა და ზეციერზე აღმატებულია, წუთისოფელში მოვიდა. იესომ ღმერთი გამოავლინა კაცობრიობის წინაშე და მისკენ მიმავალი თავისუფალი, ახალი გზა გახსნა. ავტორი მრავალგზის, დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ იესო უპირველესი და უდიდესია. იესო თავისთავად დიდია, მან წუთისოფელს ხსნა მოუტანა და ამ საქმეში მას თანასწორი არა ჰყავს. ქრისტიანებს სიხარულისა და ბედნიერებისათვის საკმარისი მიზეზი აქვთ, ამიტომ ღმერთთან ურთიერთობას ფაქიზად უნდა მოეპყრონ და გაუფრთხილდნენ, რადგან იესო ქრისტემ საკუთარი სიცოცხლის ფასად აღადგინა ერთ დროს დარღვეული კავშირი ღმერთსა და ადამიანს შორის.

იესო ანგელოზებს აღემატება, რადგან მათ მსგავსად ღმერთის ერთ-ერთი მსახური, „მოსამსახურე სული" კი არ არის, არამედ:

„იგია დიდების ბრწყინვალება და მისი არსების ანაბეჭდი, ყოველივე რომ უპყრია თავისი ძალის სიტყვით, რაკი დაასრულა ჩვენი ცოდვების განწმედა, დაჯდა დიდების მარჯვენივ სიმაღლეებში. ანგელოზებზე იმდენადვე უკეთესი გახდა, რამდენადაც მათზე უდიდესი სახელი დაიმკვიდრა." (ებრ. 1:3,4)

წიგნის შესავალშივე ავტორი გაფრთხილების სახით ერთ ფრაზას ჩაურთავს. მას ეშინია, რომ მკითხველმა ნაჩქარევი დასკვნები არ გამოიტანოს და ამით იესოს მადლით მონიჭებული დახსნა არ დაკარგოს. ის შეახსენებს მათ, რომ ღმერთის მცნების უარმყოფელი ძველი აღთქმის ეპოქაში სასტიკად ისჯებოდა:

„მაშ, როგორ გადავრჩებით უგულებელმყოფელნი ესოდენ დიადი ხსნისა, რომელიც თავდაპირველად უფალმა გვიქადაგა?" (ებრ. 2:3)

მოსეს დიდება იესოს გვერდით ფერმკრთალდება და მცირდება. ავტორი მოსეს, როგორც

### ებრაელთა მიმართ

#### წერილის საკვანძო ადგილები

იესოს უზენაესობა და ძლევამოსილება 1-4

იესოს უკეთესი აღთქმა 8-9

იესოს უკეთესი მსხვერპლი 10

რწმენის ადამიანები 11

წვრთნა, გაფრთხილება და გამხნევება 12

ღმერთისთვის მისაღები ცხოვრება 13

ღმერთის სახლის მსახურს, ადარებს იესოს, ღმერთის ძეს, რომელსაც ეს სახლი ეკუთვნის.

შემდეგ ავტორი მოსედან, ისრაელიანთა წინამძღოლიდან, გადადის აარონსა და მის მემკვიდრეებზე ანუ მღვდელმთავრებზე. მღვდელმთავრებს, როგორც ადამიანებს სხვადასხვა ნაკლი ახასიათებთ – არასრულყოფილება, სისუსტე და გარდაუვალი სიკვდილი, რომელიც მათ მსახურებას წერტილს უსვამს.

"მას კი, უკუნისამდე დარჩენით გარდაუვალი მღვდელობა აქვს. ამიტომაც ძალუძს სრულად გაადარჩინოს ყველა ვინც მისი შუამავლობით მიეახლება ღმერთს, ვინაიდან ცოცხალია მუდამ, რათა უშუამდგომლოს მათ."
(ებრ. 7:24-25)

"ასეთი მღვდელმთავარი შეგვფეროდა ჩვენ: წმიდა, უმანკო, გულმართალი, ცოდვილთაგან განრიდებული და ცათა ზედა ამაღლებული, რომელსაც არ სჭირდება, როგორც იმ მღვდელმთავრებს, ყოველდღე ჯერ თავისი ცოდვებისათვის შესწიროს მსხვერპლი და შემდეგ ხალხის ცოდვებისათვის. ვინაიდან ეს მან ერთხელ მოიმოქმედა, როცა თავი შესწირა."
(ებრ. 7:26,27)

მღვდელმთავარი წელიწადში ერთხელ ტაძრის წმიდათა წმიდაში შედიოდა, რომელიც სქელი ფარდით იყო გამოყოფილი წმიდისაგან, მღვდელმთავარს არ ჰქონდა უფლება ღმერთის სუფევის ადგილი ადამიანთა თვალისათვის გამოეჩინა, მაგრამ:

"ქრისტე შევიდა არა ხელთქმნილ წმიდაში, ჭეშმარიტის ანარეკლში, არამედ თვით ცაში, რათა წარსდგეს ახლა ჩვენთვის ღვთის წინაშე."
(ებრ. 9:24)

ავტორს შეუძლია დამაჯერებლად გვაუწყოს:

"ამრიგად, ძმანო, რაკი გვაქვს გაბედულება წმიდაში შესვლისა იესოს სისხლის მეშვეობით, ახლა და ცოცხალი გზით, რომელიც გაგვიხსნა მან ფარდით, ესე იგი, თავისი ხორცით."
(ებრ. 10:12,20)



ებრაელთა წერილის ავტორი მკითხველებს მოუწოდებს თავი მორბენლებად წარმოიდგინონ. მაყურებელთა შორის წერილის ავტორი გარდასულ დროთა მორწმუნეებს ხედავს. მათ თვალწინაა იესო, როგორც მიზანი, რომლისკენაც ისწრაფვიან, და რომელმაც კარგად იცის მოთმინების ფასი. ძველბერძნულ ლარნაკზე გამოსახული მორბენლები ერთმანეთს ეჯიბრებიან.

იესო არა მარტო ყველაზე აღმატებული მღვდელმთავრია, არამედ ერთადერთი საუკეთესო მსხვერპლის შემწირველიც. მასში გაერთიანებულია მღვდელმთავარიცა და მსხვერპლიც. ავტორი აღნიშნავს, რომ "ვაცთა და კუროთა სისხლით ცოდვების მოსპობა შეუძლებელია." მაგრამ იესომ საკუთარი თავი შესწირა და ეს იყო ერთადერთი, განსაკუთრებული მსხვერპლი, რადგან ის უცოდველი იყო.

შემდეგ წერილის ავტორი ერთმანეთს ადარებს ძველ აღთქმას, რომელიც ღმერთმა მოსეს საშუალებით დადო ისრაელთან სინაის მთაზე, და იესო ქრისტეს მიერ ბოძებულ ახალ აღთქმას. ავტორი მოიხმობს იერემია წინასწარმეტყველის სიტყვებს, რომელიც იმ დღის მოსვლას ელოდებოდა, როცა ღმერთი თავის რჩეულებს ახალ აღთქმას დაუდებდა. ღმერთი ამბობს:

"ჩავდებ ჩემს რჯულს მათ გონებაში და დავწერ მათ გულებზე... ვინაიდან შევუნდობ მათ უსამართლობას და ცოდვებს აღარ გავუხსენებ."
(ებრ. 8:10,12)

### მელქისედეკი

მელქისედეკი ნაკლებად ცნობილი პერსონაჟია, რომლის სახელი ებრაელთა წერილში გვხვდება. წერილის ავტორი, როდესაც მას იესოსა და ძველი აღთქმის მღვდელმთავრის შედარება სურს, ნიმუშად მელქისედეკს ირჩევს. მელქისედეკი მცირე ხნით ჩნდება დაბადების წიგნში, როგორც შალემის (იერუსალიმის) მეფე და უზენაესი ღმერთის მღვდელი. მას შემდეგ, რაც აბრაამმა ქანაანელი მეფის შეიარაღებული ხალხი დაამარცხა და ლოტი ტყვეობიდან გაათავისუფლა, მელქისედეკი ღვინითა და პურით შეეგება მას. შალემის მეფემ აბრაამი აკურთხა, ხოლო აბრაამმა თავის მხრივ შემოსავლის მეათედი უძღვნა მელქისედეკს. ამ იდუმალებით მოცულ პიროვნებას 109 ფსალმუნშიც ვხვდებით, როდესაც ღმერთი თავის ცხებულს მიმართავს: "შენ ხარ მღვდელი უკუნისამდე მელქისედეკის წესით."

ებრაელ მკითხველებს იესოს მღვდლად წარმოდგენა უჭირდათ, რადგან მას მღვდლების ოჯახთან – აარონის შთამომავლობასთან კავშირი არ ჰქონდა, მაგრამ ებრაელთა წერილის ავტორი მიიჩნევდა, რომ მელქისედეკის წესით მღვდლობა უფრო ესადაგებოდა იესოს, ვიდრე აარონის წესით მღვდლობა.

ძველ აღთქმაში არაფერია ნათქვამი მელქისედეკის წარმომავლობაზე, დაბადებასა და სიკვდილზე, ამიტომ ავტორი ასკვნის, რომ მას "არც დღეთა დასაბამი აქვს, არც სიცოცხლის დასასრული." ამგვარად, მელქისედეკი ემსგავსება იესოს, რომელსაც არც დასაბამი აქვს და არც დასასრული. მელქისედეკი, იესოსავით, მეფეც იყო და მღვდელმთავარიც. ისრაელიანები მოუთმენლად მოელოდნენ მესიას, რომელიც მეფე და მღვდელი იქნებოდა ერთდროულად, და წერილის ავტორი ამტკიცებს, რომ სწორედ იესოა მეფე და საუკუნო მღვდელმთავარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა


ახალი აღთქმა ცოდვების უპირობოდ პატიების შესაძლებლობას გვაძლევს, რადგან უცოდველმა იესომ საკუთარი თავი შესწირა გამოსასყიდ მსხვერპლად; და საღმრთო კანონების დაცვა სულიწმიდის მეშვეობით გახდა შესაძლებელი.

ავტორი ასკვნის, რომ ძველი აღთქმისა და ძველი ტრადიციებისაკენ დაბრუნება იესოსა და მის მიერ გაღებული მსხვერპლის შეურაცხყოფაა და სერიოზულ ცოდვად ითვლება.

### "რწმენით..."

ისევე როგორც მოციქულები და ახალი აღთქმის სხვა მქადაგებლები, ებრაელთა მიმართ წერილის ავტორი მკითხველისაგან ღმერთისა და მისი აღთქმის რწმენას მოითხოვს. ადამიანი რომ გადარჩეს, საჭიროა მიენდოს ღვთის განგებულებას, რომელიც იესო ქრისტეში გაცხადდა. ავტორი ამტკიცებს, რომ ღმერთი ადამიანისაგან მტკიცე რწმენას მოითხოვს. ამ თვალსაზრისის დასაცავად ის ბიბლიის იმ გმირებს წარმოგვიდგენს, რომლებიც ღმერთის ჭეშმარიტი რწმენით ცხოვრობდნენ.

პირველ რიგში ასახელებს ადამის ძეს აბელს, რომლის რწმენა სამაგალითო იყო და ღმერთმა მისი მსხვერპლი მიიღო. შემდეგ აბრაამს გვახსენებს – ღვთის რჩეული ერის დიდ მამამთავარს – რომელსაც თავის ცოლთან, სარასთან ერთად, ისე მტკიცედ სწამდა ღმერთი, რომ, როდესაც ღმერთმა მოუწოდა: "ისე წავიდა, რომ არ იცოდა, სად მიდიოდა."

მოსეს კი ამ სიტყვებით ახასიათებს ავტორი:

"რწმენით იყო, რომ თქვა უარი მოსემ, როცა წამოიზარდა, ფარაონის ასულის ძედ წოდებულიყო. და ღვთის ხალხთან ტანჯვა ამჯობინა, წარმავალ, ცოდვიან განცხრომას." (ებრ. 11:24-25)

როდესაც ბიბლიურ პერსონაჟებზე საუბრობს, ავტორი ამ ცნობილი ადამიანების თავგადასავალს ასეთი სიტყვებით აღწერს:

"რომლებიც რწმენით ამარცხებდნენ სამეფოებს, იქმოდნენ სიმართლეს, აღწევდნენ აღთქმებს, პირს უკრავდნენ ლომებს, შრეტდნენ ცეცხლის ძალას, ირიდებდნენ მახვილის პირს, ძლიერდებოდნენ უძლურებისაგან, მაგრები იყვნენ ომში... ისინი, რომელთა ღირსიც არ არის მთელი წუთისოფელი... ყველა ამათგანს რწმენით დამოწმება კი ჰქონდა, მაგრამ ვერ მიიღეს აღთქმული." (ებრ. 11:33,34,38,39)

სწორედ ეს ადამიანები წარმოადგენენ "მოწმეთა ღრუბელს" და ამიტომ წერილის ავტორი ცდილობს მკითხველების ყურადღება მათ რწმენაზე მიაპყროს. მათ მორბენლების მსგავსად, გზაზე შეხვედრილი ყოველგვარი წინააღმდეგობა უნდა გადალახონ და მიზანსწრაფულად გააგრძელონ სრბოლა. ავტორის ფიქრით იესოს უნდა მიაპყროს მზერა ყოველმა ადამიანმა, იესოს, რომელიც თავისი ნებით ავიდა ჯვარზე. "იფიქრეთ იმაზე, ვინც მოითმინა ესოდენი სიძულვილი ცოდვილთაგან, რათა თქვენ არ გატეხილიყავით სულდაძაბუნებულნი!"

## იაკობის წერილი

**ავტორი.** წერილის ავტორი შესაძლოა იყოს იაკობი, იესოს ძმა, რომელიც იერუსალიმის ეკლესიას წინამძღოლობდა. სავარაუდოა, რომ წერილი იესოს ჯვარცმიდან ათი-ოცი წლის შემდეგ დაიწერა. იაკობი მოწამეობრივად აღესრულა ქ.შ. 60 წელს.

**მკითხველები.** წერილი ეძღვნება მთელ ისრაელს: "განთესილობაში მყოფ თორმეტ ტომს."

**წერილის მიზანი.** იაკობის წერილი ძველი აღთქმის ეგრეთ წოდებულ საბრძნო ლიტერატურის ნიმუშს მოგვაგონებს და მკითხველს კეთილგონივრული ცხოვრების რჩევებს აძლევს. აგრეთვე, განსაცდელის წინაშე მდგომ ჩაგრულსა და დევნილ ქრისტიანებს ამხნევებს.

წერილი სოლომონის იგავებს მოგვაგონებს: საკითხების ფართო სპექტრს მოიცავს და ხშირად უბრუნდება უკვე გამოთქმულ თვალსაზრისს ან თემას. წერილის თხრობის გაბმული ძაფის პოვნა, ანუ შინაარსის თანამიმდევრობის აღმოჩენა არცთუ ისე ადვილია. წერილი აშკარად ეხმაურება იესოს მთაზე ქადაგებას. იაკობი წინასწარმეტყველთა მსგავსად სოციალური უსამართლობის თავგამოდებული მოწინააღმდეგეა და გამანადგურებელი სიტყვებით ამხილებს ღარიბების მჩაგვრელ მდიდრებს. ღარიბებსა და ჩაგრულებს უფლის დღის დადგომას ჰპირდება, როდესაც უფალი უსამართლობას სამარადისოდ აღკვეთავს.

იაკობს ცხოვრებისეული სურათების აღწერა უყვარს. იგი მოგვითხრობს ერთ ამბავს, როდესაც სინაგოგაში შესულ მდიდარ კაცს პატივისცემის ნიშნად საუკეთესო ადგილს დაუთმობენ, ხოლო, ღარიბ კაცს მოკლედ და ცივად მიუთითებენ: "აქ დაჯექ, ჩემს ფერხთით." იაკობი სასტიკად ეწინააღმდეგება ასეთ მიკერძოებას.

ავტორი ერთდროულად ღვთის მადიდებელ და მოძმის მაწყევარ ადამიანს იმ წყაროს ადარებს, რომლის თვალიდან ტკბილი და მწარე წყალი ერთდროულად მოედინება. ეს ხომ შეუძლებელია! იაკობის სიტყვით ადამიანის ენა ხომალდის საჭეს ან ცხენის ლაგამს ჰგავს, რომელიც ზომით პატარა არის, მაგრამ ძლევამოსილი! შემდეგ, ტყეს წაკიდებულ ცეცხლს ადარებს ენას. ცეცხლის პატარა ნაპერწკალს უზარმაზარი ზიანის მიყენება შეუძლია.

იაკობი ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს ჭეშმარიტი და არა მოჩვენებითი რწმენის მნიშვნელობას. ღმერთის შემეცნების საქმეში ის უხვსიტყვაობით არ გამოირჩევა:

"ასევე რწმენაც თუ საქმენი არ გააჩნია, თავისთავად მკვდარია." (იაკ. 2:17)

### წერილის საკვანძო ადგილები

განსაცდელის გადატანა 1

ჭეშმარიტი სარწმუნოება, ღმერთის სიტყვის მოსმენა და შესრულება 1

გაფრთხილება მიკერძოების წინააღმდეგ 2

რწმენა და საქმე 2

ენის მოთოკვა 3

წუთისოფლის მეგობრობა 4

მსჯავრი მდიდრებს 5

მოთმინება და ლოცვა 5

იაკობი ენის მოთოკვაზე საუბრისას მაგალითად იყენებს ცხენს, რომელიც ლაგამით იმართება და გემს, რომელსაც პატარა საჭე მართავს. ავტორს ამ შედარებით იმის თქმა სურს, რომ, თუკი კაცი ენის მოთოკვას შესძლებს, მაშინ ის მთელ სხეულსაც დაიმორჩილებს.



მამამთავარი აბრაამი რწმენის საუკეთესო მაგალითია: ღმერთის რწმენა საქმითაც დაამტკიცა, როდესაც ერთადერთ ძეს, ისაკს, სამსხვერპლოზე სწირავდა.

იაკობმა იცოდა, რომ მისი წერილის მკითხველთაგან ბევრმა უამრავი ჭირი დაითმინა და ამიტომ ამხნევებს მათ:

"ჩემო ძმებო, წინასწარმეტყველები, რომლებიც უფლის სახელით ლაპარაკობდნენ, ტანჯვისა და სულგრძელების მაგალითად აიღეთ თქვენთვის. აჰა, ჩვენ შევნატრით იმ მომთმენთ. იობის მოთმინება გაგიგონიათ და უფლისმიერი ბოლო გინახავთ, რადგან მრავალმოწყალე და შემწყალებელია უფალი." (იაკ. 5:10-11)

ბიბლიოთეკა

მოთმინება მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს ლოცვას. რაც არ უნდა მოხდეს, ბეჯითად ილოცეთ!

"ვინც იტანჯება თქვენს შორის ილოცოს, ვისაც უხარია, იგალობოს. არის თქვენს შორის ვინმე ავად? მოიხმოს ეკლესიის ხუცესნი და ილოცონ მასზე და ზეთი სცხონ უფლის სახელით." (იაკ. 5:13-14)

იაკობი არიგებს მკითხველს თუ როგორ უნდა მოიქცეს ის სხვადასხვა ვითარებაში.

### რწმენა და საქმეები პავლესა და იაკობის წერილებში

არსებობს თვალსაზრისი, რომ პავლესა და იაკობის წერილებში არის საფუძვლიანი აზრობრივი დაპირისპირება. პავლე ასწავლის (განსაკუთრებით გალატელთა და რომაელთა მიმართ წერილებში), რომ ადამიანი მხოლოდ რწმენით გადარჩება და არა საკუთარი ძალისხმევით. იაკობი კი კეთილი საქმეების აუცილებლობაზე მიუთითებს. ის წერს: "თქვენ ხედავთ, რომ მართლდება კაცი და არა მხოლოდ რწმენით."

პავლე და იაკობი საკუთარი თვალსაზრისის დასაცავად აბრაამის ცხოვრებას მოიხმობენ. პავლე ამტკიცებს, რომ აბრაამი ღმერთის წინაშე რწმენით გამართლდა. ღმერთის რწმენის გამო "ჩაეთვალა მას სიმართლედ" (რომ. 4:22). იაკობი თავის მხრივ, დაბეჯითებით ამტკიცებს, რომ "განა აბრაამი, მამაჩვენი, საქმეებით არ გამართლდა, როცა თავის ძეს, ისაკს, სამსხვერპლოზე სწირავდა" (იაკ. 2:21).

მიუხედავად იმისა, რომ პავლეს და იაკობის შეხედულებები ერთი შეხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, სინამდვილეში ასე არ არის. საქმე ის არის, რომ სიტყვებს "რწმენა" და "საქმე" ისინი სხვადასხვა მნიშვნელობით იყენებენ. "რწმენაში" პავლე მოციქული პიროვნების ღმერთისადმი სრულ მორჩილებას გულისხმობს. აბრაამი ღმერთისა და მისი აღთქმის რწმენამ და მორჩილებამ გაამართლა. იაკობი კი "რწმენაში" ფაქტის ჭეშმარიტების აღიარებას გულისხმობს და სწორედ ამიტომ თვლის, რომ ღმერთის არსებობის რწმენა გადარჩენისათვის საკმარისი არ არის.

"საქმეებში" პავლე ძველი რჯულის ტრადიციების შესრულების მცდელობას გულისხმობს. ეს მცდელობა კი წარუმატებლობისთვის არის განწირული და პიროვნებას ღმერთის წინაშე ვერ ამართლებს. იაკობი კი, "საქმეებს" მოქმედ, აქტიურ რწმენასთან აიგივებს, აბრაამმა დაამტკიცა, რომ მისი რწმენა ჭეშმარიტი იყო, როდესაც რწმენით სწირავდა ისაკს მსხვერპლად.

პავლე და იაკობი ცალსახად ეთანხმებიან ერთმანეთს იმაში, რომ ღმერთი ადამიანისგან ისეთ რწმენას ითხოვს, რომელიც მისდამი სრულ მინდობასა და მორჩილებაში ვლინდება.

### პეტრეს I წერილი

**წერილის საკვანძო ადგილები**

ხსნის "ცოცხალი" იმედი 1

ღვთის რჩეული ხალხი 2

ურთიერთობები 2-3

სიმართლისათვის ტანჯვა ნეტარებაა 3,4

რჩევა-დარიგება ეკლესიის ხუცესებსა და ხალხს 5

## პეტრეს პირველი წერილი

**ავტორი.** მოციქული და იესოსთან დაახლოებული მოწაფე, პეტრე ითვლება ამ წერილის ავტორად. თუმცა, ზოგიერთის ეჭვს იწვევს წერილის ნატიფი ბერძნული ენა, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, რომ წერილის სტილი შემდგომში პეტრეს თანამემწემ სილვანოსმა ანუ სილამ დახვეწა. არსებობს ვარაუდი, რომ წერილი ქრისტიანული ეკლესიის ადრეულ პერიოდშია შექმნილი და, თუ ვირწმუნებთ, რომ ის პეტრეს ეკუთვნის, მაშინ ის ქ.შ. 64-68 წლებამდე უნდა დაწერილიყო, რადგან სავარაუდოდ ამ წლებში აღესრულა მოწამეობრივი სიკვდილით მოციქული პეტრე.

**მკითხველები.** პეტრე მოციქულის წერილი განკუთვნილი იყო რომის იმპერიის მცირეაზიურ პროვინციებში გაფანტული ღვთის რჩეული ერის ერთი ნაწილისათვის. ებრაელებს, რომლებიც პალესტინის საზღვრებს გარეთ ცხოვრობდნენ, გაფანტულებს ანუ დიასპორას უწოდებდნენ. პეტრე მცირე აზიის სხვადასხვა ქალაქებში მოსახლე ახალმოქცეულ ქრისტიანებს ახალ დიასპორად აღიქვამდა.

**წერილის მიზანი.** ქრისტიანების დევნა-შევიწროვების ჟამი ახლოვდებოდა და ამიტომ პეტრე მათ გამხნევებას და რწმენაში გამტკიცებას ცდილობდა.

"კურთხეულია ღმერთი და ჩვენი უფლის, იესო ქრისტეს მამა!" აცხადებს პეტრე წერილის დასაწყისში. მოციქული წერილს წერს საშინელი განსაცდელის მომლოდინე ქრისტიანებს, მაგრამ ის სიხარულითა და აღტაცებით არის აღვსილი და იესოს მიერ მადლით ბოძებულ საოცარ ხსნაზე ფიქრობს.

პეტრე ამხნევებს მცირეაზიელ ქრისტიანებს და არწმუნებს, რომ განსაცდელს დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ისინი ისევე იწრთობიან, როგორც ოქრო იწმინდება ცეცხლით:

"რათა გამოჩნდეს თქვენი ნაცადი რწმენა ხრწნად ოქროზე ძვირფასი, — რომელიც ცეცხლში იცდება, — ქების, პატივისა და დიდებისათვის იესო ქრისტეს გამოცხადებისას." (1 პეტ. 1:7)

ეროვნული ბიბლიოთეკა


შემდეგ პეტრე მოციქული დამაჯერებელი სიტყვებით უმტკიცებს მათ, რომ დაუმსახურებელი ტანჯვა-წამების დათმენით ისინი იესო ქრისტეს ნაკვალევს მიჰყვებიან.

"ქრისტეც ხომ ეტანჯა თქვენთვის და მაგალითიც დაგიტოვათ, რათა მის კვალს მიჰყვეთ; რომელსაც არც ცოდვა ჩაუდენია და არც მზაკვრობა გაჰკარებია მის ბაგეს; რომელსაც ლანძღავდნენ და ლანძღვით არ უპასუხებდა, იტანჯებოდა და არ იმუქრებოდა, არამედ მიენდო სიმართლით განმკითხველს." (1 პეტ. 2:21-23)

ამას გარდა, პეტრემ ოჯახურ თუ საეკლესიო საქმეებზე პრაქტიკული რჩევა-დარიგება მისცა მცირეაზიელ ქრისტიანებს. მისი აზრით ქრისტიანმა ცოლებმა წარმართ ქმრებს საქმითა და კეთილი მიზნით უნდა უჩვენონ საკუთარი რწმენის ჭეშმარიტება:

"ცოლები დაემორჩილონ თავიანთ ქმრებს, რათა ისინი, ვინც არ ერწმუნებიან სიტყვას, სიტყვის გარეშე იყვნენ მოგებულნი თავიანთი ცოლების საქციელით, იხილავენ რა თქვენს უბიწო ქცევას მოშიშებით." (1 პეტ. 3:1-2)

როგორც ქრისტიანული ეკლესიის გამორჩენილი წინამძღოლი, პეტრე მცირე აზიის ეკლესიების ხუცესებს შეაგონებს და სთხოვს, რომ მწყემსმთავარ იესო ქრისტეს თავმდაბალი და მორჩილი მსახურები იყვნენ. ეკლესიაში ყველა ქრისტიანი უნდა ზრუნავდეს თანამოძმეებზე და გაჭირვებულს ქმედით დახმარებას უწევდეს.

წერილის დასასრულს მოციქული კიდევ ერთხელ ამხნევებს ქრისტიანებს:

"ხოლო ღმერთი ყოველგვარი მადლისა, რომელმაც მოგვიწოდა თავისი სამუდამო დიდებისაკენ ქრისტეში, თქვენი მცირეოდენი ტანჯვის შემდეგ სრულგყოფთ, გაგაძლიერებთ, განგამტკიცებთ და დაგაფუძნებთ. დიდება და ძლიერება მას უკუნითი უკუნისამდე. ამინ." (1 პეტ. 5:10-11)

## პეტრეს მეორე წერილი

**ავტორი.** ახალი აღთქმის მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ პეტრეს მეორე წერილის ავტორი თავად მოციქული კი არ არის, არამედ მისი ერთ-ერთი მიმდევარი ან მოწაფე. თუკი პეტრეს ჩავთვლით წერილის ავტორად, მაშინ წერილი ქ.შ. I საუკუნის სამოციან წლებამდე ანუ პეტრეს მოწამეობრივ სიკვდილამდე უნდა დაწერილიყო. ამ ვარაუდის მოწინააღმდეგეთა აზრით კი, წერილი ბევრად უფრო გვიან, ქ.შ. 120-175 წლებში დაიწერა.

**მკითხველები.** ამ საკითხის ერთადერთი გასაღებია წერილის მესამე თავის პირველი მუხლი, სადაც პეტრე მკაფიოდ ამბობს, რომ უკვე მეოთხე წერილს წერს. თუკი პეტრეს პირველ წერილს ამ შემთხვევაშიც პირველ წერილად ჩავთვლით, მაშინ უეჭველად უნდა ვაღიაროთ, რომ მეორე წერილი გამიზნული იყო იმავე მკითხველისთვის ანუ მცირეაზიელი ქრისტიანებისთვის.

**წერილის მიზანი.** წერილი მიმართულია ცრუწინასწარმეტყველთა და ცრუმასწავლებელთა წინააღმდეგ.

თავდაპირველად ქრისტიანულმა ეკლესიამ პეტრეს მეორე წერილის სრული ავტორიტეტი არ სცნო, მხოლოდ მოგვიანებით მოხდა მისი აღიარება, როგორც ღვთივშთაგონებული წერილისა და ამის შემდეგ შევიდა წმიდა წერილის შემადგენლობაში.

პეტრე მოუწოდებს ქრისტიანებს იმ ცრუწინასწარმეტყველებისა და ცრუმასწავლებლების წინააღმდეგ, რომლებიც მწვალებლურ სარწმუნოებას ავრცელებდნენ ეკლესიებში. ავტორი აღნიშნავს, რომ მათი ქცევებიც ისეთივე უწმიდური და მიუღებელია, როგორც მათი მოძღვრება და სარწმუნოება, რადგან რელიგია შემოსავლის წყაროდ აქციეს და "ანგარების გამო გამორჩენას ნახავენ." პეტრე მკაცრად აფრთხილებს ქრისტიანებს მათგან მოსალოდნელი საფრთხის წინააღმდეგ და დასძენს:

"ვინაიდან იცის ღმერთმა, როგორ იხსნას განსაცდელისაგან ღვთისმოსავნი, ხოლო უკეთურნი შემოინახოს განკითხვის დღისათვის დასასჯელად." (2 პეტ. 2:9)

პეტრე მკითხველის ყურადღებას მიაპყრობს იმ მასწავლებლებისაკენ, რომლებიც აცხადებენ, რომ იესო ქრისტე აღარ დაბრუნდება წუთისოფელში. ისინი დაცინვით ამბობენ: "სად არის მისი მოსვლის აღთქმა? რადგან მას შემდეგ, რაც მიიცვალნენ მამები, ყოველივე უცვლელად რჩება დასაბამიდან მოყოლებული."

ისევე როგორც წარღვნამ შეწყვიტა კაცობრიობის ცხოვრება ნოეს დროს, ასევე იესოს მეორედ მოსვლა შეაზანზარებს წუთისოფელს, არწმუნებს პეტრე მკითხველებს. მაგრამ უფლის მეორედ მოსვლა ყოვნდება და ავტორი ამის მიზეზად ორ მოვლენას ასახელებს: პირველი, ღმერთის დროს განცდა და ადამიანის დროს განცდა სხვადასხვაა:

"ეს ერთი არ უნდა დაივიწყოთ, საყვარელნო, რომ უფლისათვის ერთი დღე არის, როგორც ათასი წელი, ხოლო ათასი წელი, როგორც ერთი დღე." (2 პეტ. 3:8)

მეორე, ღმერთი სულგრძელია და მუდამ სიყვარულს ავლენს. მას არ სურს, რომ "ვინმე დაიღუპოს, არამედ რომ ყველა მივიდეს მოსანანიებლად."

პეტრე იესოს სიტყვებს ეყრდნობა, როდესაც მის მეორედ მოსვლაზე საუბრობს. უფლის დღე ქურდივით მოვა იმ დროს, როცა მას არავინ ელოდება. ქვეყნიერების აღსასრულის ჟამს კი იგი მკაფიო ფერებით გვიხატავს:

### პეტრეს II წერილი

**წერილის საკვანძო ადგილები**

ქრისტიანული ცხოვრება 1

გაფრთხილება ცრუწინასწარმეტყველთა წინააღმდეგ 2

იესოს მეორედ მოსვლის აღთქმა 3

"მაშინ ზეცანი გრგვინვით გადაივლიან, გავარვარებული კავშირები დაიშლებიან, მიწა და მისი საქმენი, რაც მასზეა, გადაიბუგება." (2 პეტ. 3:10)

საშინელი აღსასრულის მიუხედავად, პეტრე იმედის თვალით შეჰყურებს მომავალს. "ხოლო ჩვენ მისი აღთქმისამებრ მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე." ამიტომ ქრისტიანი კეთილგონივრულად უნდა ცხოვრობდეს და ღმერთთან მშვიდობას იცავდეს. "აღიზარდეთ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს მადლით და შემეცნებით. მისია დიდება აწ და საუკუნო დღის მიმართ. ამინ."

## იოანეს წერილები

**ავტორი.** იოანეს წერილების სახელით ცნობილი სამი წერილის ავტორი, როგორც ჩანს, ერთი პიროვნება იყო. შესაძლოა, იოანეს სახარებაც მის კალამს ეკუთვნის. ბიბლიის ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებს, რომ წერილების და სახარების ავტორი იყო იოანე მოციქული, იესოს უახლოესი მეგობარი. სხვები კი მიიჩნევენ, რომ ადრეულ ეკლესიაში ორ ცნობილ პიროვნებას ერქვა იოანე და წერილების ავტორი იყო მოციქულ იოანეს მოწაფე, რომელიც ცნობილია იოანე უხუცესის სახელით (ეს იოანე ეკლესიის ერთ-ერთი წინამძღოლი იყო). როგორც ჩანს, მკითხველები კარგად იცნობდნენ ამ პიროვნებას, რადგან მეორე და მესამე წერილში საკუთარ თავს მხოლოდ "უხუცესს" უწოდებს.

## იოანეს I წერილი

### წერილის საკვანძო ადგილები

ღმერთი არის ნათელი 1,2

ღმერთი სიყვარულია: ღვთისა და კაცის სიყვარული 2-4

ცრუმასწავლებლები: გამოცდა 2,4

საუკუნო სიცოცხლე 5

## იოანეს პირველი წერილი

**მკითხველები.** "ამას გწერთ, რაგდან სიცოცხლე გამოჩნდა და ჩვენ ვიხილეთ და გმოწმობთ, და გაუწყებთ თქვენ ამ საუკუნო სიცოცხლეს, რომელიც იყო მამასთან და გამოგვეცხადა ჩვენ." წერილი განკუთვნილი იყო მათთვის, ვისაც სწამდა იესო ქრისტე, როგორც ღვთის მხოლოდშობილი ძე.

**წერილის მიზანი.** იოანეს მიზანი იყო იმ ქრისტიანების დამშვიდება, რომლებიც ცრუმასწავლებლებმა ააღელვეს – შესაძლოა გნოსტიკური იდეებით. ამ მასწავლებლებს სჯეროდათ, რომ სულიერი სამყაროს კიბის თავში იდგნენ, ცოდვისაგან თავისუფალნი იყვნენ და რაც მოეპრიანებოდათ, იმას ასწავლიდნენ გულუბრყვილო ხალხს. იმ დროს გავრცელებული სწავლების მიხედვით, ცრუმოძღვრებს სწამდათ, რომ სამყარო აბსოლუტურად დაცემულია და მას ბოროტი ძალა განაგებს, ამიტომ ღმერთის იესოში განკაცებას უარყოფდნენ. მათი აზრით იესო არ იყო ღვთის ძე და მესია, ის ჩვეულებრივი ადამიანი იყო.

იოანეს პირველი წერილი მუსიკალურ ნაწარმოებს უფრო მოგვაგონებს, ვიდრე ჩვეულებრივ საუბარს. წერილის სამი მთავარი თემა: ჭეშმარიტება, ნათელი და სიყვარული საოცრად ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ღმერთი არის ჭეშმარიტება, ღმერთი არის ნათელი და ღმერთი არის სიყვარული. ქრისტიანს, რომელსაც ღმერთთან თანაზიარება სურს, ჭეშმარიტებაში, ნათელში და სიყვარულში უნდა ცხოვრობდეს.

იოანეს მტკიცედ სწამს, რომ ამ წუთისოფელში უცოდველი არავინ არის:

"თუ ვამბობთ, რომ არა გვაქვს ცოდვა, საკუთარ თავს ვატყუებთ და ჭეშმარიტება არ არის ჩვენში."(1 იოან. 1:8)

მაგრამ გულახდილ მონანიებას აუცილებლად მოჰყვება პატიება და განწმედა იესოს სისხლის მეშვეობით:

"თუ ვაღიარებთ ჩვენს ცოდვებს, მაშინ ის, ერთგული და მართალი, მოგვიტევებს ცოდვებს და განგვწმედს ყოველგვარი უკეთურებისგან." (1 იოან. 1:9)

იოანე გაოცებულია ღმერთის უსაზღვრო სიყვარულით:

"ნახეთ, როგორი სიყვარული მოგვცა მამამ, რათა გვეწოდოს და ვიყოთ ღვთის შვილნი. წუთისოფელი იმიტომ არ გვიცნობს ჩვენ, რომ არ შეიცნო იგი." (1 იოან. 3:1)

აქედან კი გამომდინარეობს, რომ "თუკი ასე შეგვიყვარა ღმერთმა, ჩვენც გვმართებს ერთმანეთის სიყვარული." კაცთმოყვარეობა კი საქმეში უნდა ჩანდეს:

"შვილებო! გვიყვარდეს არა სიტყვებით და არა ენით, არამედ საქმითა და ჭეშმარიტებით." (1 იოან. 3:18)

წერილის ბოლოს იოანე საუკუნო სიცოცხლის რწმენით ამხნევებს მკითხველებს:

"ისიც ვიცით, რომ მოვიდა ძე ღვთისა და მოგვცა გონება, რათა შევიცნოთ ჭეშმარიტი და ვიყოთ მის ჭეშმარიტ ძეში, იესო ქრისტეში: ეს არის ჭეშმარიტი ღმერთი და საუკუნო სიცოცხლე." (1 იოან. 5:20)

## იოანეს მეორე წერილი

იოანეს მეორე და მესამე წერილი ახალი აღთქმის ყველაზე მოკლე წიგნებს წარმოადგენენ.

იოანეს მეორე წერილი, როგორც აღვნიშნეთ, მოკლეა და ეძღვნება "რჩეულ ქალბატონს და მის შვილებს." მაგრამ, არსებობს ვარაუდი, რომ ეს ქალბატონი რომელიღაც ეკლესია იყო. სავსებით შესაძლებელია, რომ ეს იყო შენიღბული სახელი, რომელსაც უსაფრთხოების დაცვის მიზნით იყენებდნენ.

იოანე ამ წერილშიც ჭეშმარიტებასა და სიყვარულზე საუბრობს. ის აღფრთოვანებულია იმით, რომ ადგილობრივი ქრისტიანები ცრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა


მასწავლებლების მოძღვრების მახეში არ მოყვნენ და მოუწოდებს, რომ ერთმანეთის სიყვარული ბეჯითად გამოავლინონ. იოანეს მტკიცედ სწამს, რომ:

"სიყვარული კი ისაა, რომ ვიქცეოდეთ მის მცნებათა მიხედვით. ეს ის მცნებაა, რომელიც ისმინეთ დასაბამიდან, რათა მისებრ ვიდოდეთ." (2 იოან. 6)

მეორე და მესამე წერილში ავტორი მოგზაური მახარებლების თემას ეხება. რომის იმპერიაში საყოველთაო მშვიდობა სუფევდა, რომლის შენარჩუნებაზე ხელისუფლება გულმოდგინედ ზრუნავდა. იმპერიის პროვინციული ცენტრები კეთილმოწყობილი გზებით იყო ერთმანეთთან დაკავშირებული. ამ ხელშემწყობი მიზეზების გამო იმპერიის მოსახლეობა ბევრს მოგზაურობდა. მაგრამ სასტუმროები და ქარვასლები კეთილმოწყობით არ გამოირჩეოდა. უმეტესობა ბინძური და აუტანელი იყო და იშვიათად თუ შეხვდებოდით საწოლებით მოწყობილ სასტუმროებს, რომლებიც საეჭვო რეპუტაციით არ სარგებლობდნენ. სწორედ ამიტომ, იოანე მოუწოდებდა მკითხველებს, რომ სტუმრად ჩამოსული ქრისტიანებისათვის კარგი მასპინძლობა გაეწიათ, განსაკუთრებით კი მახარებლებისათვის, მაგრამ ცრუმასწავლებლების წინააღმდეგ სასტიკად აფრთხილებდა. თუკი ქრისტიანი ასეთ სტუმარს უმასპინძლებს, ის მის "ბოროტ საქმეთა მოაზრეა."

იოანე წერილს მოკლედ ამთავრებს:

"ბევრი რამ მაქვს თქვენთან მოსაწერი, მაგრამ არა მსურს ქაღალდითა და მელნით, რადგან ვიმედოვნებ თქვენთან მოსვლას და პირდაპირ ლაპარაკს, რათა სრული იყოს ჩვენი სიხარული." (2 იოან. 12)

## იოანეს მესამე წერილი

იოანეს მესამე წერილი ეძღვნება ერთ პიროვნებას – გაიოზს, რომელიც ერთ-ერთი ეკლესიის წინამძღოლი იყო.

გაიოზი, როგორც ჩანს, წერილის ავტორის მეგობარი და თანამშრომელი იყო, ამიტომ მიმართავს იოანე ასეთი თბილი სიტყვით:

"საყვარელო! ერთგულად აკეთებ ყოველივეს, რასაც იქმ ძმებისათვის და უცხოთათვის." (3 იოან. 5)

იოანე მოუწოდებს გაიოზს, რომ გულითადი დახმარება გაუწიოს ჩამოსულ ქრისტიანებს, რომლებიც იესოს სახარებას ავრცელებენ და ღვთის წინაშე გაიზიაროს მათი გაჭირვება.

ამას გარდა, იოანე აფრთხილებს გაიოზს "პირველობის მოყვარე" დიოტრეფეს წინააღმდეგ, რომელიც ქრისტიანებისათვის შეუფერებლად იქცეოდა. სხვა ქრისტიანს, დიმიტრის, კი მაღალ შეფასებას აძლევს.

ეს წერილი მოკლედ მთავრდება, რადგან:

"ვიმედოვნებ, რომ მალე გნახავ და პირისპირ ვისაუბრებთ." (3 იოან. 14)

## იუდას წერილი

ამ წერილის ავტორი იუდა, საკუთარ თავს იესო ქრისტეს მონასა და იაკობის ძმას უწოდებს. იაკობი ადრეულ ქრისტიანულ სამყაროში ცნობილი პიროვნება იყო – იერუსალიმის ეკლესიის წინამძღოლი, იესოს ძმა. ამრიგად, გამოდის რომ იუდა, ისევე როგორც იაკობი, იესოს ძმა იყო.

იუდას წერილი ეძღვნება "მოწოდებულთ, რომელნიც შეიყვარა მამა ღმერთმა და დაცულნი არიან იესო ქრისტესათვის." თუმცა, არ ვიცით თუ სად ცხოვრობდნენ ეს ქრისტიანები.

იუდას წერილსა და პეტრეს მეორე წერილს მრავალი თვისობრივი მსგავსება ახასიათებთ და ამიტომ მიიჩნევენ, რომ პეტრეს მეორე წერილი იუდას წერილის გავლენით დაიწერა.

ორივე წერილის ავტორები შეშფოთებას გამოხატავენ, რადგან "შემოიპარნენ ზოგიერთი ადამიანები, რომელთაც ადრიდანვე ეწერათ ეს მსჯავრდება, უღვთონი, რომელთაც ჩვენი ღვთის მადლი გარყვნილებად აქციეს და უარყოფენ ერთადერთ მბრძანებელსა და ჩვენს უფალ იესო ქრისტეს."

გაკვირვებას არ იწვევს ის ფაქტი, რომ იუდა და პეტრე ცალსახად უარყოფენ იმ ადამიანებს, რომლებიც ძირფესვიანად ეწინააღმდეგებიან სახარებასა და ქრისტიანულ ცხოვრებას.

იუდა მკითხველს ძველი აღთქმის დროინდელ იმ ადამიანებზე მოუთხრობს, რომლებიც ღმერთისთვის მიუღებელი უწმიდური საქმეებით ცხოვრობდნენ და ხაზგასმით აღნიშნავს მათ სავალალო აღსასრულს. ერთ-ერთი მაგალითის სახით ავტორი სოდომისა და გომორას ამბავს იხსენებს. ამ ქალაქებმა ღმერთის სასჯელი დაიმსახურეს, რადგან მათი მოსახლეობა ცოდვაში იყო ჩაძირული.

მიუხედავად მკაცრი მხილებისა, იუდა მაინც ამშვიდებს და ამხნევებს მკითხველს:

"ხოლო თქვენ, საყვარელნო, აღაშენეთ თქვენი თავი უწმიდეს რწმენაზე, ილოცეთ სულიწმიდით, დაიცავით თქვენი თავი ღვთის სიყვარულში და დაელოდეთ ჩვენი უფლისაგან, იესო ქრისტესაგან წყალობას საუკუნო სიცოცხლისათვის." (იუდ. 20-21)

წერილი მთავრდება ახალი აღთქმის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მშვენიერი ლოცვა-დიდებით:

"ხოლო ვისაც ძალუძს დაგიცვათ დაცემისაგან და უბიწონი დაგაყენოთ სიხარულში თავისი დიდების წინაშე, ერთადერთ ღმერთს, ჩვენს მაცხოვარს ჩვენი უფლით იესო ქრისტეთი დიდება, სიდიადე, ძალა და ხელმწიფება ყოველთა საუკუნეთა უწინარეს, აწ და ყოველთა საუკუნეთა მიმართ. ამინ." (იუდ. 24-25)

ეროვნული ბიბლიოთეკა

13

# იესოს მეფობა

## გამოცხადება



ძველრომაულ მონეტაზე გამოსახულია იმპერატორი დომიციანე, რომელმაც ღვთაებრივი თაყვანისცემა მოითხოვა. მის ბრძანებას ქრისტიანები არ დაემორჩილნენ და ქ.შ. I საუკუნის მიწურულს სასტიკი დევნა განიცადეს.

გამოცხადების წიგნის ავტორი იოანე კუნძულ პატმოსზე (იხილეთ ფოტო) იმყოფებოდა "იესო ქრისტეს მოწმობისათვის," როდესაც ეჩვენა ის ღვთიური ხილვები, რომლებიც ამ წიგნშია აღწერილი.

გამოცხადების წიგნის ავტორად, ტრადიციის მიხედვით, ითვლება იოანე მოციქული. მიჩნეულია, რომ მასვე ეკუთვნის იოანეს სახარება და სამი წერილი. იოანე გამოცხადების წიგნის ავტორად უკვე ქ.შ. 135 წელს იყო აღიარებული. ბიბლიის ზოგიერთი მკვლევარი აღნიშნავს, რომ იოანეს სახარებასა და გამოცხადების წიგნს შორის საგრძნობი სტილისტური განსხვავება შეინიშნება. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ენობრივი მსგავსებაც არსებობს. ძირითადად ეს მსგავსება ეხება ლოგოსს ანუ სიტყვას, ღვთის კრავსა და სიცოცხლის წყალს.

ირინეოსი (ქ.შ. 130-202) აღნიშნავს, რომ იოანემ გამოცხადების წიგნი დაწერა "არცთუ ისე შორეულ წარსულში, არამედ ჩვენი თაობის სიცოცხლის ჟამს, იმპერატორ დომიციანეს მმართველობის მიწურულს." ირინეოსის თარიღი სავსებით უთანხმდება წიგნში აღწერილ მოვლენებს. მართლაც, რომის იმპერატორმა დომიციანემ გამოსცა განკარგულება, რომლის მიხედვით იმპერიის ყველა მოქალაქეს თაყვანი უნდა ეცა იმპერატორისთვის. ამ განკარგულებას ქრისტიანთა დევნა მოჰყვა, რადგან მათ უარყვეს იმპერატორის თაყვანისცემის მოთხოვნა.

ზოგიერთი მკვლევარი არ ეთანხმება ამ თარიღს. ისინი მიიჩნევენ, რომ წიგნი დაიწერა დაახლოებით ქ.შ. 60-70 წლებს შორის, იმპერატორ ნერონის მმართველობის პერიოდში.



**მკითხველები.** გამოცხადების წიგნის პირველი მკითხველები იყვნენ რომის პროვინციის ასიის ეკლესიები. იესოს ბრძანებით იოანემ წერილები მისწერა ასიის შვიდი ქალაქის: ეფესოს, სმირნას, პერგამოს, თიატირას, სარდეს, ფილადელფიისა და ლაოდიკიის ეკლესიებს.

**მიზანი.** ასიის ქრისტიანები პროვინციის მოსახლეობის უმცირესობას წარმოადგენდნენ. რომის იმპერიის ძალაუფლების წინაშე რას გააწყობდა მცირერიცხოვან ქრისტიანთა თემი? მათ ღრმად სწამდათ, რომ იესო მოკვდა, აღდგა მკვდრეთით, დაბრუნდება და დედამიწის ყველა სამეფო მისი ძალაუფლების ქვეშ აღმოჩნდება. იმ დღეს დაემხობა ბოროტის ძალაუფლება და დედამიწაზე სამართლიანობა და მშვიდობა გამეფდება.

იმ დროს კი რომის იმპერია ძლიერების ზენიტში იყო. იმპერიის ფარგლებში მოქცეული ყველა ქვეყანა რომაულ კანონებს ემორჩილებოდა, კერპთაყვანისმცემლობა ხელისუფლების ხელშეწყობით იფურჩქნებოდა. ქრისტიანებს კი, რომლებიც იმპერატორს ღმერთად არ აღიარებდნენ, საპყრობილე და, ხშირად, სიკვდილი ემუქრებოდათ. ნუთუ ღმერთის ძალაუფლება არ ვრცელდება დედამიწაზე? იქნებ მხოლოდ რომია ყოვლისშემძლე ძალაუფლება?

გამოცხადების წიგნი სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილ ქრისტიანთა პრობლემას ეხმაურებოდა. ამ წიგნს ინტელექტუალური თავსატეხის დანიშნულება როდი ჰქონდა, როგორც ზოგიერთს ჰგონია. წიგნის მიზანი იყო მცირერიცხოვანი შეჭირვებული ეკლესიისათვის იმედისა და სულიერი სიმტკიცის მიცემა, კაცობრიობისა და ისტორიის შემქმნელი ცოცხალი ღმერთის რწმენის განმტკიცება.

ვან უნიკის წიგნში "ახალი აღთქმა" ვკითხულობთ: "ეს წიგნი მომავლის შეცნობის სურვილით შეპყრობილი ადამიანის ცნობისმოყვარეობის ან წარმოსახვის დაკმაყოფილების მიზნით არ დაიწერა. არც გამოცანებისა თუ თავსატეხების წიგნია, თუმცა წარსულშიც ამ მნიშვნელობით აღიქვამდნენ. სინამდვილეში წიგნი იდუმალების ფარდის მიღმა გვახედებს და ღმერთის გზებისა და საქმეების ფართო ხეივანს გვიჩვენებს. ის გვაუწყებს ღვთის სასუფევლის შესახებ, რომელიც უკვე აქ არის და მომავალში სრული სიდიადით გამობრწყინდება, დაამხობს რა ყველასა და ყველაფერ იმას, რაც მას ეწინააღმდეგება."

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რა ჟანრის ლიტერატურული ნაწარმოებია გამოცხადების წიგნი?

გამოცხადების წიგნსა და აპოკალიპტიკურ ლიტერატურას შორის არსებული მსგავსება ადვილი შესამჩნევია. აქ გვხვდება უცნაური ცხოველები და საიდუმლო რიცხვები, ანგელოზები და ზეციური სამყაროს სხვა საიდუმლოებები. მაგრამ გამოცხადების წიგნი, ამავე დროს, განსხვავებულია. ავტორი საკუთარ სახელს არ მალავს და წარსულის ცნობილი პიროვნების სახელით არ ინიღბება, ამავე დროს მკითხველების სახელებსაც თამამად ასახელებს. ის არ იზიარებს აპოკალიპტიკოსი ავტორების უიმედობას და მხოლოდ სხვა სამყაროს არ შესცქერის იმედის თვალით. ავტორს ღრმად სწამს, რომ ღმერთი იესო ქრისტეს მეშვეობით მოქმედებს, რათა სამყარო იხსნას.

ის წერს მესიაზე და მის სამეფოზე, მაგრამ აპოკალიპტიკოსებისგან განსხვავებით, ამ თემას მხოლოდ მომავლის კუთვნილებად არ მიიჩნევს. ღვთის სასუფეველი იესო ქრისტესთან ერთად მოვიდა, ხოლო იესოს სიკვდილმა და მკვდრეთით აღდგომამ კაცობრიობას გადარჩენის შესაძლებლობა მისცა. მეორედ მოსვლისას კი იესო ქრისტე ღვთის სასუფევლის სიდიადეს სრულად წარმოაჩენს. იოანეს მყარად აქვს გადგმული ფესვები აწმყოში, ისევე როგორც მომავალში, წუთისოფელში, ისევე როგორც ზეციურ სამყაროში. ღვთის ხალხის აწმყოში ტანჯვა და დევნა-შევიწროვება კი აზრს არ არის მოკლებული.

აპოკალიპტიკოსები ჯეროვან ყურადღებას არ უთმობდნენ ეთიკურ სწავლებას, მაგრამ იოანე, განსაკუთრებით თავის მეორე და მესამე წერილში, ხაზს უსვამს კეთილგონივრული ქცევისა და ჭეშმარიტი რწმენის განუზომელ მნიშვნელობას.

შესაძლოა, გამოცხადების წიგნი აპოკალიპტიკური ჟანრისაა, მაგრამ მისი მნიშვნელობა ბევრად აღემატება ამ ჟანრის სხვა ნაწარმოებებს.

იოანე კუნძულ პატმოსზე იმყოფებოდა, სადაც სახარების ქადაგების გამო გადაასახლეს. როგორც ჩანს, ის ქვის სამტეხლოებში მუშაობდა. წყლულებითა და სახსრების ტკივილით შეწუხებულ, ღონემიხდილ იოანეს მშვენიერებისა და სიხარულის აღქმის უნარი, ალბათ, აღარ ჰქონდა. და მაინც, მძიმე ხვედრის მიუხედავად, იოანე არაამქვეყნიურად თვალისმომჭრელმა ფერებმა და ხილვებმა აღავსო.

ხილვის დასაწყისში, იოანეს მოესმა ბრძანება, რომელიც საყვირის ან ჩანჩქერის მქუხარე ხმას წააგავდა. ის მიბრუნდა და იხილა ადამიანის გარეგნობის ძლევამოსილი და შიშის ზარის დამცემი პიროვნება, რომელმაც მეგობრულად მიმართა იოანეს და დაამშვიდა:

> „ნუ გეშინია, მე ვარ პირველი და უკანასკნელი, და ცოცხალი. მკვდარი ვიყავი და, აჰა, ცოცხალი ვარ უკუნითი უკუნისამდე.“ (გამოცხ. 1:17-18)

იოანე მიხვდა, რომ ეს პიროვნება იესო იყო, ღვთისგან განდიდებული და ძალმოსილი. მისი თმები მატყლივით თეთრი იყო, თვალები ცეცხლის ალივით ანათებდნენ, ხოლო ფეხები ელ-

### გამოცხადება

**მოკლე შინაარსი**

იოანეს ხილვა პატმოსზე 1

წერილები აზიის შვიდ ეკლესიას 2-3

ღია კარი ცაში: უზენაესი ღმერთი, დაბეჭდილი წიგნი და კრავი 4-5

წიგნის გაშლა; შვიდი ბეჭედი 6-8

შვიდი საყვირის ხმა და მომდევნო ამბები 8-11

დედაკაცი და წითელი გველეშაპი; ორი მხეცი 12-13

ღვთის კრავი თავის გამოსყიდულებთან ერთად 14

ღვთის მძვინვარებით სავსე შვიდი თასი 15-16

დედაკაცი და მხეცი; ბაბილონის დაცემა 17-18

ღვთის კრავის დიდი სერობა 19

ათასი წელი; სატანის დამარცხება; უკანასკნელი სამსჯავრო 20

ახალი ცა და ახალი მიწა 21-22

### აპოკალიპტიკური მწერლობა

აპოკალიპტიკური ლიტერატურა ეკუთვნის რელიგიური მწერლობის ჟანრს, რომელიც სავსეა არამიწიერი ქმნილებებით და კოდირებული ინფორმაციით. მისი დიდი ნაწილი შეიქმნა ქ.წ. I – ქ.შ. I საუკუნეების ებრაულ ტრადიციაში, იმ დროს, როდესაც ხალხი რწმენის გამო სასტიკ დევნას განიცდიდა.

სად იყო ის აღთქმული საზღაური, რომელიც რწმენისათვის დაიმსახურეს და რომელსაც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები ჰპირდებოდნენ მორწმუნეებისათვის? რატომ დაუშვა ღმერთმა ბოროტი ძალების ზეობა?

აპოკალიპტიკური მწერლობა განსაზღვრულ ნიმუშებს მიჰყვება და წარმოდგენილია, როგორც ზებუნებრივი არსების ხილვა, რომელიც იხილეს ენოქმა, აბრაამმა, მოსემ ან ეზრამ. მიზნად კი იმას ისახავს, რომ ხაზი გაუსვას თხზულების საგანგებო მნიშვნელობას ან დაფაროს ავტორის ვინაობა. აპოკალიპტიკოსები უარყოფდნენ ძველი აღთქმის იმ ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ღმერთი აქტიურად მოქმედებს წუთისოფელში. მათ სწამდათ, რომ ღმერთმა შექმნა ორი განსხვავებული სამყარო – მატერიალური და სულიერი. სწორედ სულიერ სამყაროს ეთმობოდა მთავარი ყურადღება. ჩვენი სამყაროს მიმართ აპოკალიპტიკოსები პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი და მიაჩნდათ, რომ დედამიწის ცივილიზაცია ნანგრევებში ჰპოვებდა აღსასრულს. მათი ეთიკური მოძღვრება ღრმააზროვნებით არ გამოირჩეოდა. უმთავრესი მიზანი იმის ჩვენება იყო, რომ ღმერთი გაათავისუფლებდა თავის რჩეულ ხალხს. ზოგჯერ ეს იდეა ღმერთის მესიას უკავშირდებოდა, რომელიც ღვთის სასუფეველს დაამკვიდრებდა დედამიწაზე.

გამოცხადება ყოველთვის ზეციურ სამყაროს უკავშირდება და მასში წარმოდგენილია ზებუნებრივი არსებები და სიმბოლური რიცხვები. ზოგჯერ იდუმალებით მოცული თხრობის მიზეზი ავტორისა და მკითხველის უსაფრთხოების დაცვა იყო. ზოგიერთი აპოკალიპტიკური ნაწარმოები ისტორიის გამეორებულ თხრობას შეიცავდა და მისი ავტორობა რომელიმე ისტორიულ პირს მიეწერებოდა. ასეთი წინასწარმეტყველებები სიზუსტით გამოირჩეოდნენ, როდესაც წარსულის ამბებს გადმოსცემდნენ, მომავლის აღწერისას კი ბუნდოვანი ფრაზებით იფარგლებოდნენ.

ვარე სპილენძივით კრიალა იყო; მისი პირიდან კი ორლესული მახვილი გამოდიოდა.

ეს აღწერილობა მნიშვნელოვანია, არა იმიტომ, რომ იესოს სახეს გვიხატავს, არამედ იმიტომ, რომ ხილვის გადმოცემის თავისებურებებს გვამცნობს, რომელთაგან ზოგი ძველი აღთქმიდან მომდინარეობს და ხილვების მნიშვნელობის გასაღებს წარმოადგენს. როდესაც ავტორი იესოს აღწერს, როგორც მატყლივით თეთრთმიან პიროვნებას, მკითხველი, რომელიც დანიელის წიგნს იცნობს, გაიხსენებს, რომ ამავე სიტყვებით არის აღწერილი ღმერთი. იოანეს კი იმის თქმა სურდა, რომ იესო-ადამიანი იმავე დროს ღმერთიც არის.

იესომ იოანეს უბრძანა ასიის შვიდი ქალაქის ეკლესიებისათვის მიემართა. აი, ეს ქალაქები: ეფესო, სმირნა, პერგამო, თიატირა, სარდე, ფილადელფია, ლაოდიკია. იესო ქრისტე – ეკლესიების უფალი, რწმენაში ამტკიცებს და აფრთხილებს, კეთილგონიერი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს ამ ეკლესიების ქრისტიანებს.

წერილები საერთო ნიშნებით ხასიათდება. ყოველი წერილი იწყება იესოს იმ სიტყვებით, რომლებითაც ის გამოცხადების ხილვის დასაწყისშია აღწერილი. მაგალითად, "ასე ამბობს, ვისაც ორლესული მახვილი აქვს" ან "ასე ამბობს, ვისაც შვიდი ვარსკვლავი უპყრია




თავის მარჯვენაში." თითოეულ წერილში მოყვანილია კონკრეტული ეკლესიის სულიერი მდგომარეობის იესოსეული შეფასება. ორი ეკლესია გაკიცხვას არ იმსახურებდა, ორი კი პირიქით, ქების ღირსი არ იყო, ხოლო დანარჩენი სამი ეკლესიის სულიერი მდგომარეობა ნაწილობრივ კარგი იყო, ნაწილობრივ კი უარყოფითი. დანახულია თითოეული ეკლესის სიკეთე და ის სიავე, რომელიც მონანიებას საჭიროებს. გამარჯვებულებს იესო ჰპირდება: "ვინც გაიმარჯვებს და ბოლომდე დაიცავს ჩემს საქმეებს, მას მივცემ ხელმწიფებას წარმართებზე." ყოველი წერილი იესოს იმ სიტყვებით მთვრდება, რომელსაც ის წუთისოფელში მოღვაწეობის ჟამს ხშირად იყენებდა: "ვისაც ყური აქვს ისმინოს!"

შვიდი წერილი მჭიდრო კავშირშია მკითხველების სულიერ მდგომარეობასთან. მტკიცე რწმენა, რომელსაც დამღუპველი შედეგები მოაქვს, გამოსწორებას საჭიროებდა. იესოსთან მჭიდრო ურთიერთობის დამყარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა მოახლოებული დევნა-შევიწროების გადატანა.

ცრუმოძღვრები და ცრუწინასწარმეტყველები წიგნში სხვადასხვა სახელებით წარმოგვიდგებიან: ნიკოლაელები, იეზაბელის ან ბალამის მიმდევრები. ცრუმოძღვრებათა მიმდევრებისათვის უცხო არ იყო კერპთაყვანისმცემლობა და სექსუალური თავაშვებულობა. ჩვენ ზუსტად არ ვიცნობთ ამ მოძღვრებათა რაობას, მაგრამ მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ გამოცხადების წიგნში დასახელებულ მოძღვრებებს ბევრი საერთო ჰქონდათ. შესაძლებელია, ისინი გნოსტიციზმის ადრეულ ფორმას წარმოადგენდნენ.

### გამოცხადების წიგნის მთავარი თემა

გამოცხადების წიგნის პირველი თავები დასრულდა და წიგნიც თითქოს ყოველდღიური ცხოვრების რეალობას დაშორდა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ჩვენ ჯადოსნური ზღაპრის სამყაროში გადავდივართ. ჯ. ბ. ფილიპსი, ახალი აღთქმის თანამედროვე ინგლისურ ენაზე მთარგმნელი, წერს, რომ გამოცხადების წიგნთან შეხება ამაღლევებელი და ძალიან საინტერესოა, რადგან მთარგმნელს შეხვედრა უხდება "არა გამოგონებულ ზღაპრულ სასწაულებთან, არამედ ღმერთის მარადიულ ფასეულობებთან და სამართალთან."

გამოცხადების წიგნის სიტყვასიტყვით გაგება ძნელია, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ, რომ ავტორი ყველა შესაძლო წარმოსახვისა და ენობრივი ქსოვილის გამოყენებით გვესაუბრება ღმერთზე და წუთისოფელზე. წიგნში აღწერილი ყოველი ხილვა შემდეგ ჭეშმარიტებებს ამტკიცებს:

- ღმერთი გამუდმებით მოქმედებს. იესომ დაამარცხა სიკვდილი და იესოს ხელმწიფება, რომელსაც საფუძველი უკვე ჩაყრილი აქვს, ერთ დღესაც მთელ სამყაროზე გავრცელდება.

- ბოროტი, რომლის ძალმომრეობა ყველასათვის აშკარაა, საბოლოოდ დამარცხდება. ყოვლისშემძლე ღმერთი მთელ სამყაროს და ყოველ ქმნილებას დაიმორჩილებს.

- ყველაფერი, რაც ხდება და რაც უნდა მოხდეს, ღმერთის გეგმის ნაწილია და მარადიული სიკეთისაკენ მიემართება.

- ქრისტიანებს მოელით ახალი ცა და ახალი მიწა, სადაც მხოლოდ მართლები იცხოვრებენ, სადაც აღარ იქნება ტკივილი და გლოვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა


- ღმერთს განზრახული აქვს სამყაროს გადარჩენა, რომელიც ქრისტეს სამეფოდ გადაიქცევა და მხოლოდ ის დარჩება ღვთის კურთხევის გარეშე, ვინც შეგნებულად იტყვის უარს დახსნაზე.

### თვალის მოკვრით დანახული ზეცა

"ამის შემდეგ ვიხილე, აჰა, ღია კარი ცაში და პირველი ხმა, რომელიც შემომესმა, საყვირით დამელაპარაკა და მითხრა: "ამოდი აქ და გიჩვენებ, რაც უნდა მოხდეს ამის შემდეგ." (გამოცხ. 4:1)

ამ სიტყვებით მიჰყავს მკითხველები იოანეს თავის ზეცაში.

ძვირფასი ქვების ბრწყინვალება და ცისარტყელას დიდება ღმერთსა და მის ტახტს გვიჩვენებს. ღვთის ტახტის გარშემო ოცდაოთხ ტახტზე ზის ოცდაოთხი სპეტაკი უხუცესი, რომლებიც, შესაძლოა, ქრისტეს ეკლესიას წარმოადგენენ. ელვარება და ჭექა-ქუხილი გამოდის ტახტიდან, რომელიც სულის ნათლით არის გაცისკროვნებული. ტახტის გარშემო იმყოფებიან უცნაური ქმნილებები, რომლებიც განუწყვეტლივ გალობენ: "წმიდაა, წმიდაა, წმიდაა უფალი ღმერთი." ოცდაოთხი უხუცესი კი გალობს:

"შენ ღირსი ხარ, უფალო და ღმერთო ჩვენო, რომ მიიღო დიდება, პატივი და ძალა, ვინაიდან შენ შექმენი ყოველივე და შენი ნებით იყვნენ და შეიქმნენ." (გამოცხ. 4:11)

ღმერთს მარჯვენა ხელში უჭირავს "შიგნიდან და გარედან ნაწერი წიგნი," რომელიც შვიდი ბეჭდით არის დაბეჭდილი. ეძებენ ღირსეულს, რომელიც ბეჭდების ახსნასა და წიგნის გადაშლას შესძლებს. იოანე მწარედ ტირის, რადგან ამ საქმის ღირსეული შემსრულებელი არ ჩანს. ამ დროს ერთ-ერთი უხუცესი იუდას ტომის ლომზე მიუთითებს. როდესაც იოანე ღმერთის ტახტისკენ იხედება, ლომის ნაცვლად კრავს ხედავს, რომელიც დაკლეს, მაგრამ ისევ ცოცხალია. ძლევამოსილი მეფელომი იმავდროულად ტანჯული კრავიც არის. და ხვდება იოანე, რომ დაკლული კრავი იესოა, რომელიც ღირსია ახსნას ბეჭდები და სამყაროს დაეპატრონოს. იესოს სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა კაცობრიობის ისტორიის დედააზრია. იესოს თავგანწირვამ სძლია ბოროტისა და სიკვდილის ხელმწიფებას და ღმერთის დიადი მიზნების საბოლოო განხორციელებისაკენ მიმავალი გზა გახსნა.

ამას მოსდევს გალობა, რომელიც მხოლოდ მკვდრეთით აღმდგარ იესოს ეკუთვნის:

"ღირსია დაკლული კრავი, მიიღოს ძალა და სიმდიდრე, სიბრძნე და სიმტკიცე, დიდება, პატივი და კურთხევა." (გამოცხ. 5:12)

### საშინელი სამსჯავროსა და დიდების ხილვა

გამოცხადების წიგნის შუა ნაწილი უცნაური ხილვებით გამოირჩევა. თავდაპირველად სასტიკად ისჯებიან უწმიდური მმართველები და ბაბილონი (ბაბილონში იოანე უდავოდ რომს გულისხმობდა). შვიდი ბეჭედი უკვე გაიხსნა, საყვირები ახმიანდნენ, ვარსკვლავები ზეციდან

**გამოცხადების წიგნის განმარტების გზები**

თანამედროვე მკითხველისათვის გამოცხადების წიგნი ძნელად გასაგებია, რადგან წიგნი სავსეა ზებუნებრივი ხილვებით, რომლებსაც უცნაური განმარტებები მოსდევს. მაგრამ წიგნი განკუთვნილი იყო ისეთი მკითხველისთვის, რომელსაც სულიერი დახმარება სჭირდებოდა სახელმწიფოს ძალმომრეობის წინააღმდეგ. წიგნი შეახსენებდა მკითხველს, რომ ღმერთი მართავს სამყაროს და კაცობრიობის მომავალიც მის ხელთ იყო.

გამოცხადების წიგნის განმარტების რამდენიმე გზა არსებობს. შემოგთავაზებთ ზოგიერთ მათგანს:

- წიგნში აღწერილი ამბები განკუთვნილი იყო იმ ეპოქის ადამიანებისთვის, რომელშიც ის დაიწერა. ამ შეხედულებას, რომელსაც **პრეტერისტული** ეწოდება, მკვლევართა ნაწილი იზიარებს, მაგრამ წიგნს თანამედროვე მკითხველისათვის ღირებულება ეკარგება.
- ზოგიერთი წიგნს კაცობრიობის მომავლის წინასწარმეტყველებად მიიჩნევს, რომელიც სიმბოლურად წარმოგვიდგენს ევროპის ისტორიას ქრისტეს მეორედ მოსვლამდე. განმარტების ამ სახეს ეწოდება **ისტორიული**. ამ შემთხვევაში წიგნი ძველი დროის მკითხველებისათვის კარგავს აზრს. არაევროპელები კი საერთოდ უგულებელყოფილნი არიან. ამ შეხედულების დამცველები წიგნის იმდენი სახის განმარტებას გვთავაზობენ, რომ ჭეშმარიტების გარკვევა შეუძლებელია.
- სხვა განმარტებების მიხედვით, გამოცხადების წიგნი, პირველი ხუთი თავის გამოკლებით, მხოლოდ ქვეყნის აღსასრულის შესახებ მოგვითხრობს. წიგნში აღწერილი ყველა ხილვა წინ უძღვის ქრისტეს მეორედ მოსვლას. ამ სახის განმარტებას **ფუტურისტული** ეწოდება.
- ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს, რომ გამოცხადების წიგნში აღწერილი ამბები სინამდვილეს არ შეესაბამება და ღირებულება არა აქვს. ის არ ეხმაურება ადრეულ ეკლესიასა თუ ქვეყნის აღსასრულს. სამაგიეროდ, წიგნი პოეზიის ენით წარმოაჩენს ღმერთს, რომელიც კაცობრიობის ისტორიას განაგებს. გამოცხადების წიგნის ამ სახის განმარტებას **იდეალისტური** ეწოდება.

აქ მოყვანილი განმარტებებიდან მკითხველისთვის ის არის მთავარი, რომ გამოცხადების წიგნის მარადიულ ფასეულობას წარმოადგენს ღმერთის, როგორც სამყაროსა და ისტორიის შემქმნელის, ყოვლისშემძლეობისა და დიდების წარმოჩენა.

იოანემ ხილვაში ნახა ღმერთი, რომელიც ტახტზე იჯდა და მთელ სამყაროს განაგებდა. ტახტის ირგვლივ კი მოჩანდა ცისარტყელა, რომელიც "შესახედაობით წააგავდა ზურმუხტს."



ეროვნული ბიბლიოთეკა



გამოცხადების წიგნი მთავრდება ახალი ცისა და ახალი მიწის ხილვით. იოანე ხედავს ახალ იერუსალიმს, რომელსაც მზე და მთვარე კი არ ანათებს, არამედ ღვთის სუფევა და დიდება.

ჩამოცვივდა, საშინელმა ავადმყოფობებმა დედამიწა გაანადგურა და ასპარეზზე აპოკალიფსის ოთხი მხედარი გამოვიდა.

გამოცხადების წიგნის ხილვები კალეიდოსკოპის მსგავსად ვითარდება. ცვალებადი და მრავალფეროვანი ნიმუშების მეშვეობით ისინი გვიჩვენებენ, თუ როგორ ამარცხებს ღმერთი საბოლოოდ ბოროტებას. ღმერთის სასამართლო იმ სასჯელებს გვაგონებს, რომლებიც ეგვიპტეს მოუვლინა ღმერთმა მოსეს დროს. აქ კი, გამოცხადების წიგნში, ღმერთის სასჯელი უაზრო სიფიცხისა და სისასტიკის გამოვლინებად კი არ გვეჩვენება, არამედ ღმერთის მიზანდასახულ მოქმედებად, რომელიც რჩეული ერისა და მთელი სამყაროს გადარჩენისაკენ არის მიმართული.

სატანა საბოლოოდ მარცხდება. მას შემდეგ, როცა თვითგანდიდებულმა სატანამ ზეცის დაპყრობა გადაწყვიტა, "გადმოგდებულ იქნა დიდი გველეშაპი, ძველი გველი, რომელსაც ეშმაკი და სატანა ჰქვია, მთელი წუთისოფლის მაცდუნებელი." გადმოგდებულმა სატანამ გამძვინვარებით შეუტია კაცობრიობას, განსაკუთრებით კი ღვთის რჩეულ ერს, მაგრამ მისი განადგურება ზეცაში დამტკიცდა და დაიბეჭდა. სატანის გამარჯვებას ედემის ბაღში, როდესაც მან პირველი კაცი და ქალი აცდუნა, დაკლული და მკვდრეთით აღმდგარი კრავის გამარჯვებამ წაართვა ძალა. მალე მისი ძალა საბოლოოდ დასამარდება და სატანა ჩაგდებულ იქნება ცეცხლოვან ტბაში, სადაც მისთვის და მისი ანგელოზებისთვის ადგილი უკვე მომზადებულია.

### ახალი ცა და ახალი მიწა

გამოცხადების წიგნის ბოლო ნაწილი ღმერთის აღთქმის სიტყვებით იწყება:

"აჰა, ვქმნი ყოველივე ახალს." (გამოცხ. 21:5)

ახალი ქმნილების აღწერა, რომელიც წარმოგვიდგება ახალი იერუსალიმის სახით და სადაც თავად ღმერთია სინათლე და სიცოცხლე, წიგნის უკანასკნელ გვერდებს ავსებს. ჭეშმარიტი მშვიდობა და ნეტარება სუფევს იქ, სადაც ადამიანი ღმერთთან ერთად ცხოვრობს:

"მოსწმენდს ყველა ცრემლს მათი თვალებიდან და აღარ იქნება სიკვდილი. გლოვა, გოდება და ტკივილიც აღარ იქნება, რადგან წინანდელნი გარდახდნენ."

(გამოცხ. 21:4)

"ქალაქს არ სჭირდება არც მზე, არც მთვარე, გასანათებლად, რადგან ღვთის დიდებამ გაანათა იგი და კრავია მისი სინათლე. ერები ივლიან მის ნათელზე, მიწიერი მეფეები მიიტანენ იქ თავიანთ დიდებასა და პატივს. მისი კარიბჭენი დღისით არ დაიკეტება, რადგან ღამე არ იქნება იქ. მიიტანენ იქ ერების დიდებასა და პატივს. ვერ შევა მასში ვერაფერი უწმიდური და ვერც ერთი სიბილწისა და სიცრუის ჩამდენი, არამედ მხოლოდ ისინი, ვინც კრავის სიცოცხლის წიგნში არიან ჩაწერილი."

(გამოცხ. 21:23-27)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართლიანობა აღდგა და უკეთურება სიკეთემ შეცვალა. ყველა ის, ვინც შეგნებულად ემსახურებოდა ბოროტს და უარყოფდა ღმერთს განდევნილ იქნება ღმერთისა და მისი ქრისტეს სამეფოდან. მაგრამ ღვთის სულისა და ქრისტეს სასძლოს ანუ ღვთის ხალხის სურვილია, რომ ყოველი ადამიანი შეუერთდეს ღვთის სასუფევლის ნეტარებასა და უსაზღვრო სიხარულს. დაპატიჟება არ აყოვნებს:

"სული და სასძლო ამბობენ: "მოდი!" გამგონემაც თქვას: "მოდი!" მწყურვალი მოვიდეს და მსურველმა უსასყიდლოდ აიღოს სიცოცხლის წყალი." (გამოცხ. 22:17)

დასასრულს გამოცხადების წიგნი ადასტურებს იესოს აღთქმას, რომ ის მალე დაბრუნდება დედამიწაზე, სადაც თავის მარადიულ სამეფოს დააფუძნებს. იესომ თქვა: "ჰე, მალე მოვალ!" წიგნის აღფრთოვანებული ავტორი კი მიუგებს: "ამინ. ჰე, მოდი, უფალო იესო!"

# ახალი აღთქმის წიგნები

ახალი აღთქმის ოცდაშვიდივე წიგნი დაახლოებით ქ.შ. 100 წლისთვის უკვე დაწერილი იყო. მაგრამ საკითხავია, თუ როდის მოხდა ამ წიგნების გაერთიანება ახალ აღთქმაში და როდის დაესვა მათ ღვთაებრივი ავტორიტეტის ბეჭედი. ქრისტიანები აღიარებენ ძველ აღთქმას, რადგან თავად იესო კითხულობდა მას და ხშირად იმოწმებდა ქადაგებისა და სწავლების დროს. მაგრამ ვინ ასვამდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნებს, ანუ "წერილს" "საღვთო წერილის" ბეჭედს?

ბიბლიის მკვლევართა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ ახალი აღთქმის უძველეს ნაწილს მოციქულთა წერილები წარმოადგენს. პროფესორი ფ.ფ. ბრიუსი წერს: "ბევრად უფრო ადრე, ვიდრე მოციქულების წერილები წმიდა წერილის კანონში შეიტანეს, ისინი უკვე ღვთაებრივი ავტორიტეტით სარგებლობდნენ იმ მკითხველებისთვის, რომლებისთვისაც დაიწერა ეს წერილები... კანონიკური წერილისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისი ღვთაებრივი ავტორიტეტი."

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ახალი აღთქმის, ისევე როგორც ძველი აღთქმის, წიგნების ღვთაებრივი ავტორიტეტი აღიარებული იქნა მკითხველებისა და რელიგიური წინამძღოლების მიერ. სწორედ აღიარება იქცა იმის საფუძვლად, რომ მოციქულთა წერილები ახალი აღთქმის კანონში მოხვდა.

ქ.შ. I საუკუნის 60-იან წლებამდე იესოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის თვითმხილველნი ჯერ კიდევ ცოცხლები იყვნენ. მაგრამ როდესაც იესო ქრისტეს თანამედროვე თაობა გადავიდა, მარკოზმა რომში დაწერა სახარება, რომელიც პეტრე მოციქულის მონათხრობზე და ქადაგებებზე იყო დაფუძნებული. დაახლოებით იმავე პერიოდში აღმოსავლეთში დაიწერა მათეს სახარება, რომელიც დაფუძნებული იყო იესოს იმ სიტყვებზე, რომელიც თავად მათემ ჩაიწერა. შემდეგ ლუკამ, პავლე მოციქულის თანაშემწემ, ორი წიგნი დაწერა, რომლებიც მოიცავენ პერიოდს იოანე ნათლისმცემლის შობიდან ქ.შ. 60-62 წლებამდე ანუ პავლეს რომში ცხოვრება-მოღვაწეობამდე. ამ წიგნებიდან პირველია სახარება, ხოლო მეორე მოციქულთა საქმეები. ბოლოს ქ.შ. I საუკუნის მიწურულს იოანემ, იესოს მეგობარმა და მოწაფემ, იესოს ცხოვრებისა და მოღვაწეობის შთამბეჭდავი მოვლენები აღწერა.

ქ.შ. I საუკუნის ბოლოს გაჩნდა ახალი აღთქმის წიგნების დადგენილი სიის შექმნის ტენდენცია. იოანეს სახარების დაწერიდან დიდი დრო არ იყო გასული, როცა მათეს, მარკოზის, ლუკასა და იოანეს ოთხივე სახარება გაერთიანდა ერთ წიგნში. გაერთიანებამდე კი, რომის ეკლესია მარკოზის სახარებით სარგებლობდა, აღმოსავლეთის ეკლესიები მათეს სახარებას ენდობოდნენ, ბერძენი ქრისტიანები ლუკას სახარებას კითხულობდნენ, ხოლო ეფესოს ეკლესია იოანეს სახარებით სარგებლობდა. ამჟამად ყოველი ქრისტიანული ეკლესია ოთხივე სახარებით სარგებლობს.

დაახლოებით იმავე პერიოდში თავმოყრილ იქნა სხვადასხვა ეკლესიებისათვის მიწერილი პავლე მოციქულის წერილები. ამ წერილებს სამოციქულო ეწოდება. ახალი აღთქმის კანონში მოციქულთა საქმეებიც შევიდა, რადგან ის აშკარად ლუკას ხელს ეკუთვნოდა და ხაზს უსვამდა პავლეს დიდ ღვაწლს ქრისტიანული ეკლესიის აღმშენებლობის საქმეში. სხვა მოციქულებისა თუ ქრისტიანების ნაწერები ახლოს იდგა სახარებასთან. ამიტომ, ეს წერილები, ისევე როგორც გამოცხადების წიგნი, ღვთიური ავტორიტეტის მატარებლად იქნა აღიარებული.

ქ.შ. 140 წელს ქრისტიანული მწერლობის ასპარეზზე გამოვიდა მარკიონი, რომელიც ავრცელებდა საკუთარ სწავლებას. მან წმიდა წერილის წიგნების განსხვავებული სია წარმოადგინა, რომელშიც საკუთარი ნაწარმოებებიც შეიტანა. მარკიონს მრავალი მიმდევარი ჰყავდა. ამ ცრუმოძღვრების სწრაფმა გავრცელებამ შეაშფოთა ადრეული ეკლესიის წინამძღოლები, ამიტომ გადაწყდა ახალი აღთქმის ოფიციალურად აღიარებული წიგნების სიის დაუყოვნებლივ ჩამოყალიბება, რათა ჭეშმარიტი ქრისტიანული სარწმუნოების საფუძველი არ შერყეულიყო და მარკიონის მწვალებლობისათვის ფრთები შეეკვეცათ.

ადრეული ეკლესია ეჭვის თვალით უყურებდა ზოგიერთ წიგნს, რომელიც ამჟამად ახალი აღთქმის კანონში შედის. ქ.შ. IV საუკუნის დასაწყისში ქრისტიანმა მოღვაწემ ევსები კესარიელმა შეადგინა სამი სია: პირველი შეიცავდა იმ წიგნებს, რომლებიც კანონში შევიდა, მეორე სიაში ის წიგნები შევიდა, რომლებიც არ შედიოდა კანონში, ხოლო მესამე სია იმ წიგნებისაგან შედგებოდა, რომელთა ბედი საბოლოოდ არ იყო გადაწყვეტილი. მესამე სიაში შედიოდა: იაკობის წერილი, იუდას წერილი, პეტრეს მეორე წერილი, იოანეს მეორე და მესამე წერილები. ახალი აღთქმის კანონიკური წიგნების თანამედროვე სია, რომელიც 27 წიგნს აერთიანებს ქ.შ. 367 წლით თარიღდება. ქ.შ. 397 წელს კართაგენის სინოდმა ეს სია საღვთო წერილად გამოაცხადა. მაგრამ ქრისტიანულ ეკლესიას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა ახალი აღთქმის თანამედროვე კანონის მისაღებად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საძიებელი


აარონი 22,25,26,30,160
აბაკუმი 64,65
აბელი 14,161
აბრაამი 14,15,16,17,33,161,162
ადამი 13,14
ათენი 139,140
ამაღლება (იესოს ამაღლება) 128,129
ამოსი 49,54,58,62,66,96
ანგელოზები 17,37,110,128,159,167,169
ანტიოქია (სირიის) 134,135
ანტიოქოს ეპიფანე 80,96,97,98
აპოკალიპტიკური მწერლობა 96-97,80,102,167
არაკანონიკური წიგნები 88,96
არამეული 73,74,98,107
აქაბი 49,55,56,57,58
აღდგომა (იესოს მკვდრეთით აღდგომა) 123,128,129,150
აღთქმა 15,19,23,24,25,31,34,40,44,52,53,54,55,58,59,62,63,73,87,89,125,135,147,159,160
აღთქმის კიდობანი 26,30,33,37,40,41,44,45,84
აღთქმული მიწა, *იხ.* ქანაანი
აშურეთი 49,50-51(რუკა),52,59,60,62,63,66,67,90,97

ბაბილონი, ბაბილონეთი 16,52,60,62,68,69,70-71 (რუკა), 72,79,85,87
ბაბილონის გოდოლი 14
ბარნაბა 134,135,138
ბაალი (თაყვანისცემა) 33,34,37,49,52,54,55,56,57,58
ბეთელი 37,48
ბეთლემი 39,111
ბელშაცარი 79
ბერძნები (რუკა) 100-101,95,97,102,103
ბოროტი, *იხ.* სატანა

გალილეა — ტბა 103,112
გამალიელი 130
გედეონი 36,37
გეთსიმანია 126
გნოსტიციზმი 154,164,168

დაბრუნება ბაბილონის ტყვეობიდან 60,62,72-75,84,93
დანიელი 66,79,80,96,97,123,126,168
დავითი (ცხოვრება) 41, (სამეფოს რუკა) 43,39,41-44,53,55,84,85
დებორა 36
დეუტერენომისტები (მეორე რჯულის ავტორები) 18,31
დიასპორა 103,162

ებრაელი ქრისტიანები 130-131,133,141,151,153,159-160
ეგვიპტე 17,18,19,20,21,23,55,68,90,95,98,103
ედომი 65,85
ევა 13,14
ევფრატი (მდ.) 15,69
ეკლესია 131,134,135,141,146,150,156-157,163,164,168
ელია 49,54,55-57,110,122
ელინიზმი, *იხ.* ბერძნები
ელისე 54,57
ეპიკურელები 139
ესაია 54,59-61,62,66,73,97,112,123,126,132
ესავი 17,65
ესეელები 102,103,104
ესთერი 75,78,97
ეზეკია - ხიზკიაჰუ 52,59,60,61,90,94
ეზეკიელი 54,66,79,72,97
ეზრა 73,74,97,103
ეფესო 140,141,155,156,166

ზაქარია 74,124
ზერუბაბელი 73,74

თამაშები 151
თორა 18,95,98,102,103
თორმეტი, *იხ.* მოციქულები

იაკობი (ეკლესიის წინამძღოლი) 138,161,162,165
იაკობი (იგივე ისრაელი) 17,18
იგავები (იესოს იგავები) 116,117(ცხრილი) 118,119,124
იერემია 54,55,62,63,66,68,72,87,96
იერიხო 32,33,68
იერობოამ I 48
იერობოამ II 49,66
იერუსალიმი 43,48,52,53,61,68,69,72,84,87,99,111,129,131,138,141,142
იესო 107-128,114,115(ცხრილი)
იესო ნავეს ძე 25,28,31,32-34
იესოს სიკვდილი 126,127,129,154,156
იზებელი 49,55,56
იოანე ნათლისმცემელი 99,110,111,126
იოანე ზებედეს ძე 112,126,130,132
იოანე, გამოცხადება 166-171
იოანე, სახარება 108-109
იოანე, წერილები 164-165
იოანე-მარკოზი, *იხ.* მარკოზი
იობი 90-93
იონა 66-67
იონათანი 42
იორდანე, მდ. 32,33,55,57
იოშაფატი 57-58
იოსები 18,19
იოშია 62,64
იოველი 65
ისაკი 15,17,162
ისრაელი (ჩრდ. სამეფო) 47 (რუკა),48,49,59,61
ისრაელი (მიწა) *იხ.* ქანაანი და პალესტინა
ისრაელის მეფეები 46(ცხრილი) 48-49,66
იუდა (იაკობის ძმა) 165
იუდა (სამხრეთის სამეფო) 47(რუკა) 48,52,53,58,59,60,61,64
იუდა ისკარიოტელი 112,124,125,129
იუდას მეფეები 46 (ცხრ.) 52-53,62-63,64,65,68

კაენი 14
კანონი (წერილის) 23,24,25,26,27,28,58,63
კაპერნაუმი 112,113
კარავი 23,25,26
კესარია 142,143
კიროსი 62,72-73
კორინთო 140,148-150
კორნელიოსი 133-134

ლეა 17
ლევიანები 26,34,74,85
ლოცვა 113,116
ლუკა, მოციქულთა საქმეები 129,138
ლუკა, სახარება 108,112,113

მათე, სახარება 107,112,116,119
მაკაბელები 96,97,98,99
მალაქია 74-75,110
მამამთავრები, *იხ.* აბრაამი, ისაკი, იაკობი (ისრაელი)
მანა 30
მარიამი (იესოს დედა) 110-111,127
მარკოზი 134,135,138
მარკოზი, სახარება 107-108,112,116
მართა (მარიამისა და ლაზარეს და) 123
მელქისედეკი 160
მენაშე 52
მეორედ მოსვლა, იესოსი (პარუსია) 148,149,163,171
მესია 57-58
მესიანური აღთქმის იმედი 44,60,74,85,102,103
მეწამული ზღვა 22-23
მიქა 61
მირიამი (მოსეს და) 19,23
მოაბელები 34,36,39
მოგვები (ბრძენი კაცები) 111
მოსე 19,22-25, 28, 29(ცხოვრება) 31,32,89,93,97,122,159,161
მოშურნეები (ზილოტები) 102
მოციქულები 112,129,150
მოწაფეები, თორმეტი *იხ.* მოციქულები, *აგრეთვე იხ.* პეტრე
მსახური, უფლისა 59,60-61,123
მსხვერპლშეწირვა 15,17,22,26,27,28,34,45,55,56,75,84,98, 102,103,152,159,160,161
მუსიკა 82(დანართი) 84,85
მღვდელმთავარი 27,74,98,126,159-160
მღვდლები 26,30,40,61,84,102,135,142
მცნება, *იხ.* რჯული

ნაბუქოდონოსორი 68,69,73,79
ნათანი 43,44
ნათლობა 110(დანართი) 111,130,153
ნაუმი 63
ნაყოფიერი ნახევარმთვარე 14,15(რუკა)
ნეემია 73-74,97
ნილოსი 22
ნოე 14

ონისიმოსი 155
ოქროს ხბო (თაყვანისცემა) 25,48
ორმოცდაათობა 129-130, 130(რუკა)
ოსია 57,58,66

პალესტინა (*იხ. აგრეთვე* ქანაანი) 15,17,38,95,97,103,111
პალესტინა, პირველი საუკუნე 106(რუკა)
პასექი 22,23,27,74,111,124,126
პავლე (სავლე), 129,132-133,134-143,150(ეკალი ხორცში) 146-157,162
პავლეს მოგზაურობები 136(რუკა) 136-137 (დანართი)
პეტრე 112,113,121,122,126,129-131,132,133,134,162-163,165
პილატე, პონტოელი 99,126
პოეზია 12,13,14,54,59,60-61,63,81,83-87,88,90,91-94,96,113

რახაბი 32
რახელი 18
რებეკა 17
რჯული 25,31,73,74,95,97,102,138,147
რობოამი 48
რომი, რომის იმპერია 98,99,102,108,129,139,142,143,144-145(რუკა, დანართი) 146,147,152-153,156,164,166,169
რუთი 39
რწმენა 147,152,161,162(დანართი)

სადუკეველები 102,130,142
სამარიელები 97,99,132
სამსონი 37,39
სამუელი 40,41,55
სარა 14,15,16,161
სასწაულები (იესოს სასწაულები) 109,119,120 (ცხრილი) 121
სასწაული, ძვ. აღთქმა 55
სატანა 13,91,112,118,170
საული, მეფე 40,41,42,55
სავლე, მოც. *იხ.* პავლე
საწერი ხელსაწყოები 158
სეპტუაგინტა 95,96,98, 103
სილა 138,139,140,162
სიმონ პეტრე, *იხ.* პეტრე
სინაგოგა 103,113,133,135
სინაი, მთა 19,23,24,25,56
სინედრიონი 103,131,142
სინოპტიკური სახარებები 108
სოფონია 64
სოლომონი 41,44-45-48,53,86,88,89-90,93,94
სპარსეთი 53,65,73,74,75-78,76-77(რუკა) 97-103
სტეფანე 131
სტოიკოსები 139
სულიწმიდა 110,111,129,130,132,133,134,147,149

ტანჯვა 91
ტაძარი 45,52,53,59,60,63,68,69,72,73,74,84,87,95,99,102,103,124,127,142
ტიმოთე 138,140,156
ტყვეობა 32,52,60,65,66,67,68-69,72,79,103

უდაბნო 19,23,25,28,29(უდაბნოში ხეტიალის რუკა) 29-30,111,112

ეროვნული ბიბლიოთეკა



უფლის დღე 57,64,65,74, 75,96,163
უფლის სერობა 108,124,131
უფუარი პური (*იხ.* პასექი)
ური 14,15,16(დანართი)
ფარაონები (ეგვიპტის მეფეები) 19,22
ფარისევლები 102,142
ფერისცვალება 121-122
ფილიპე (ქალაქი) 138,151, 152(დანართი)
ფილისტიმელები 34,36, 38(დანართი) 38,39,41,42

ქანაანი (აღთქმული მიწა), 15, 18,22,28,31,32, 33, 34(დაპყრობის რუკა)
ქანაანელები 33-34, 35(დანართი) 36,43,48
ქარმელი მთა 56

ღვთის სასუფეველი (სამეფო) 79,116,113, 118,121,166,168
ღვთისმოშიში 133,134
ღოთოლია 49
ღრუბელი (ღმერთის სუფევის) 25,122,128

შაბათი 23,27,28,73,112, 113,128
შებას დედოფალი 48
შენდობის დღე 26
შობა (იესოს შობა) 107, 108,111

ციდკიაჰუ 52,59,60,61,90,94

ძე კაცისა (იესო) 123

წარმართები 67,124,133,134, 135,138,141,142
წარმართი ქრისტიანები 134,,141,151,153
წარღვნა 14
წერილები (ებრაული) 95
წინადაცვეთა 23,133,138, 147,154
წინასწარმეტყველებანი 54, 59,60-61,63-64,65,69,72-73
წინასწარმეტყველები 32,40, 43,44,46(ცხრილი) 49, 66(რუკა) 54-67,68,69, 72,74,84,87,95,159-160

ხუთი ათასი, დაპურება 119
ხუთწიგნეული, *იხ.* თორა, რჯული

ჯვარცმა 126(დანართი) 127

ჰეროდე ანტიპა 98,110
ჰეროდე დიდი 97,99,102
ჰეროდეს ტაძარი 125 (დანართი)


## ბიბლიის წიგნები


აბაკუმ წინასწარმეტყველი 64-65
აბდია წინასწარმეტყველი 65
ამოს წინასწარმეტყველი 58
ანგია წინასწარმეტყველი 74
გალატელთა 147
გამოსვლა 19-25
გამოცხადება 166-171
გოდება იერემიასი 87
დაბადება 12-18
დანიელ წინასწარმეტყველი 78-80
ებრაელთა 159-161
ეზეკიელ წინასწარმეტყველი 69-73
ეზრა 73-74
ეკლესიასტე 93-94
ესაია წინასწარმეტყველი 59-61
ესთერი 75-78
ეფესელთა 155-156
ზაქარია წინასწარმეტყველი 74
1 და 2 თესალონიკელთა 148
იაკობი 161-162
იგავნი სოლომონისა 88-90
იერემია წინასწარმეტყველი 62-63
იესო ნავეს ძე 32-34
იოანე (სახარება) 107-128
იოანე (წერილები) 164-165
იობი 90-92
იოველ წინასწარმეტყველი 65
იონა წინასწარმეტყველი 66-67
იუდა 165
კოლასელთა 154-155
1 და 2 კორინთელთა 148-151
ლევიანნი 26-28
ლუკა 107-128
მათე 107-128
მალაქია წინასწარმეტყველი 74-75
მარკოზი 107-128
მეორე რჯული 31
1 და 2 მეფეთა 39-44
3 და 4 მეფეთა 44-53
მიქა წინასწარმეტყველი 61
მოციქულთა საქმეები 129-143
მსაჯულნი 36-39
ნაუმ წინასწარმეტყველი 63-64
ნეემია 73-74
1 და 2 ნეშტთა 53
ოსია წინასწარმეტყველი 58-59
1 და 2 პეტრე 162-164
რიცხვნი 28-30
რომაელთა 152-154
რუთი 39
სოფონია წინასწარმეტყველი 64
1 და 2 ტიმოთეს 156-157
ტიტეს 156-157
ფილიმონის 155
ფილიპელთა 151-152
ფსალმუნები 81-85
ქებათა-ქება სოლომონისა 85-87


## წიგნში გამოყენებული ციტატები:


ბიბლია, 1989წ.
ახალი აღთქმა და ფსალმუნები, 1993წ.

ჟ133/4
ვ.13-41ა.
ეროვნული
ბიბლიოთეკა



K 24.670
4

## წიგნთა წიგნის
## საუკეთესო მეგზური

ბიბლია კულტურული მსოფლიოს მთელი ისტორიის მანძილზე ყველა წიგნზე მეტად იკითხებოდა. ასე იყო ძველად, ასეა დღესაც.

თქვენს წინაშეა ბიბლიის მეგზური — "ბიბლიის კარი", რომელიც მკითხველს აწვდის ბიბლიის თითოეული წიგნის ლაკონურ შინაარსს, საკვანძო საკითხთა ნუსხას, ტექსტიდან ამოკრებილ უმნიშვნელოვანეს ციტატებსა და მოვლენათა ფონის ისტორიულ აღწერილობას.

შინაარსთან ერთად ამ წიგნს მიმზიდველს ხდის მასში ჩართული ფერადი რუკები, ქრონოლოგიური ცხრილები და ბიბლიური ქვეყნების ცოცხალი ფოტოსურათები.

"ბიბლიის კარი" მკითხველს დაეხმარება გაეცნოს ბიბლიის შინაარსს, დაინახოს მისი ადგილი ჩვენს ცივილიზაციაში და შეიმეცნოს მისი გაუხუნარი, მარადიული ჭეშმარიტება.